გიორგი მჭედლიშვილი

საქართველოს რეგიონების ყოფა და კულტურა

სალექციო კურსი

თბილისი
2015

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი..... **გვ.6**

1.საქართველოს რეგიონების ყოფა და კულტურა, როგორც სასწავლო დისციპლინა. საგნის რაობა და მისი შესწავლის მნიშვნელობა.

ზოგადი ცნობები საქართველოს შესახებ, ისტორიულ - გეოგრაფიული მიმოხილვა. ისტორიოგრაფია და წყაროები.
საქართველოს და მისი შემადგენელი ნაწილების აღმნიშვნელი სახელწოდებები ძველად და ახლა.

საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები. ტერიტორიულ - ადმინისტრაციული დაყოფის მოკლე ისტორია.
საქართველოს ტერიტორიის ფორმირება უძველესი დროიდან დღემდე.
თანამედროვე ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა Dდა მასთან დაკავშირებული პრობლემები.

2. თ ბ ი ლ ი ს ი გვ.26
არქეოლოგია, ისტორია, მატერიალური კულტურის ძეგლები, ყოფის დამახასიათებელი რეალიები: ყაბახი, ბერიკაობა, ყეენობა.
თბილისის ყოფაცხოვრების ე.წ. ქალაქური კოლორიტი – ჩაცმულობით, დამახასიათებელი ცხოვრების წესით: ყარაჩოხელი, კინტო.
დედაქალაქის ძველი და ახალი ძეგლები, მათთან დაკავშირებული ისტორიები.

3. კ ა ხ ე თ ი (კახეთ-კუხეთი) **გვ.55**
მისი ცალკეული მხარეები: გარეკახეთი (მდ. ივრის შუა წელი), შიგნიკახეთი (მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპირო),
გაღმამხარი (მდ. ალაზნის მარცხენა სანაპირო)
კამბეჩოვანი – XV ს-ის ბოლოდან ქიზიყი

ჰერეთი – დღევანდელი საინგილო
კახეთის არქეოლოგიური და ისტორიული ძეგლები, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული თავისებურებანი, ყოფის დამახასიათებელი რეალიები, საქართველოს ამ კუთხის ცნობილი ადამიანები.
კახეთის მატერიალური კულტურის ძეგლები, ადგილები, ისტორიაში მომხდარი მათთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ამბები.

4. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი.....გვ.88
ისტორიული მხარეები: დვალეთი, (შიდა ქართლის ჩრდილოეთით),
თუშეთი (ხევსურეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით).
ს ა ა რ ა გ ვ ო: მთიულეთი, გუდამაყარი, ჭართალი, ხანდო, ხევი, ხევსურეთი და ფშავი (ისტორიული სახელწოდებით ფხოვი).
არქეოლოგიური ძეგლები, ისტორიული განვითარება, საკულტო ადგილ სამლოცველოები და მათთან დაკავშირებული რიტუალი, ყოფის დამახასიათებელი რეალიები, მატერიალური კულტურის ძეგლები, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული თავისებურებანი, სახალხო მთქმელები, მხარის ცნობილი ადამიანები, მხარესთან დაკავშირებული მითოლოგია, ტოპონიმია, ტრადიცია, ტანსაცმელი, ხევისბერი, ფშავური წაწლობა და ხევსურული სწორფრობა, ხევსურული სახლი, ხევსურული კოშკი.
აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიული მხარეები და მათი ღირსშესანიშნაობები.

5. ქ ა რ თ ლ ი გვ.190
შიდა ქართლი, ადრინდელი სახელწოდებით ზენა სოფელი (ლიხის ქედიდან მდ. არაგვამდე და კავკასიონიდან თრიალეთის ქედამდე).
ქვემო ქართლი (თრიალეთის ქედიდან ლორე-ბამბაკის ქედამდე).

ზემო ქართლი ანუ მესხეთი (ტაშისკარიდან სამხრეთ დასავლეთისაკენ მდ. მტკვრის ზემო წელი და ჭოროხის მთელი ხეობა)
არქეოლოგია, ისტორიული განვითარება, ყოფის დამახასიათებელი რეალიები, ხუროთმოძღვრული ძეგლები, ადგილები, მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებთანაც დაკავშირებულია ისტორიაში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბები.

6. სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, კოლა.....გვ.201
შავშეთი, კლარჯეთი, ამიერ ტაო, იმიერ ტაო, თორთომი, სპერი.

არქეოლოგია, ისტორიული განვითარება, ყოფის დამახასიათებელი რეალიები, ხუროთმოძღვრული ძეგლები, ადგილები, მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებთანაც დაკავშირებულია ისტორიაში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბები.

7. ი მ ე რ ე თ ი.....გვ.244
არგვეთი (დღევანდელი ზემო იმერეთი).
სამოქალაქო (ქუთაისის შემოგარენი, ვაკე იმერეთი).
არქეოლოგიური ძეგლები, ისტორია, ყოფის დამახასიათებელი რეალიები, მატერიალური კულტურის ძეგლები.

8. ო დ ი შ ი ანუ ს ა მ ე გ რ ე ლ ო.....გვ.262
არქეოლოგიური ძეგლები, ისტორია, ყოფის დამახასიათებელი რეალიები, მატერიალური კულტურის ძეგლები და მასთან დაკავშირებული ისტორიები.

9. ს ვ ა ნ ე თ ი გვ.305
არქიტექტურისა და ლანდშაფტური ხელოვნების ძეგლები, ტრადიცია, ყოფის დამახასიათებელი რეალიები, სვანური კოშკი.
მხარის ისტორია და ღირსშესანიშნაობები.

10. რ ა ჭ ა – ლ ე ჩ ხ უ მ ი გვ.328
(ისტორიული თაკვერი)

ისტორიული თაკვერი. არქეოლოგია, ისტორიული განვითარება, ყოფის დამახასიათებელი რეალიები, ხუროთმოძღვრული ძეგლები, დოკუმენტური ძეგლები.

11. გ უ რ ი ა 364

არქეოლოგიური ძეგლები, ისტორიული განვითარება, ყოფის დამახასიათებელი რეალიები, მატერიალური კულტურის ძეგლები.

გურიის ეთნოგრაფიული თავისებურებანი.

12. ა ჭ ა რ ა გვ.401

არქეოლოგიური ძეგლები, ისტორიული განვითარება, ყოფის დამახასიათებელი რეალიები მატერიალური კულტურის ძეგლები. აჭარის ეთნოგრაფიული თავისებურებანი.

13. ა ფ ხ ა ზ ე თ ი გვ.424

ჯიქეთი

ტერიტორიული მდებარეობა, საზღვრები უწინ და დღეს, ბუნებრივი პირობები და რესურსები.

მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და მასთან დაკავშირებული ისტორია, ღირსშესანიშნაობები, აფხაზეთის ქალაქები.

ლიტერატურა 482

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოს თითოეული მხარეს ,,თავისი ისტორია" აქვს. ზოგადისა და საერთოს გვერდით თითოეულ მათგანს დანარჩენისაგან განსხვავებული ისტორიული განვითარების თავისებურებანიც გააჩნია. მაგრამ ესეც უნდა ვთქვათ, რომ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები და ეთნოგრაფიული ჯგუფები მხოლოდ საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის არ ყოფილა დამახასიათებელი. ასეთი დანაყოფები თითქმის ყველა კულტურულ და ცივილიზებულ ერს ჰქონდა. მაგალითად შეიძლება ქართველთა მეზობელი სომხები დავასახელოთ. ისტორიულ სომხეთში გამოყოფენ ათ დიდ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რაიონს, რომლებიც თავის მხრივ, შეიცავდნენ მცირე ეთნოგრაფიულ ერთეულებს. მეცნიერები სომხურ ენაში რამდენიმე ათეულ დიალექტს გამოყოფენ. როგორც ცნობილია, ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს თავისი დიალექტი ჰქონდა.

დასავლეთ ევროპის ხალხებიდან ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებისა და ეთნოგრაფიული ჯგუფების სიმრავლით იტალია (ვენეციელები, ლიგურიელები, კალაბრიელები, ლომბარდიელები, პიემონტელები, ტოსკანელები, სიცილიელები, სარდინიელები...) და ესპანეთი (კასტილიელები, ასტურიელები, ლეონელები, ესტრემადურიელები, არაგონელები, ანდალუსიელები, ვალენსიელები, აგრეთვე საკუთარ ენაზე მოლაპარაკე კატალონიელები, გალისიელები, ბასკები) გამოირჩევა. ეთნოგრაფიული მრავალფეროვნება განპირობებული იყო ამა თუ იმ ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებითა და ისტორიული მსვლელობით. საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული, კლიმატური გარემო კი უაღრესად მრვალფეროვანი, ისტორია კი მეტად რთული იყო. ამიტომაცაა, რომ ვრცელ და დიდ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან ერთად, საქართველოში პატარა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიც გვქონდა.

მათი შესწავლა-წარმოჩენა აუცილებელია არა მარტო ქვეყნის საერთო ისტორიის კიდევ უფრო სრული სურათის შესაქმნელად, არამედ იმ „ეთნიკური სიჭრელის" გასაცნობადაც, რომელითაც ესოდენ მდიდარია ჩვენი ქვეყანა.

დღეს საქართველოში ტურიზმი პრიორიტეტულ დარგად არის გამოცხადებული, რომელმაც უდიდესი როლი უნდა შეასრულოს ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებაში, მართალია, ტურიზმი, საკუთრივ, ეკონომიკურ ფორმაციასა და კატეგორიას წარმოადგენს, რომელიც, როგორც ტურიზმის ორგანიზატორთა, ასევე ტურიზმის მომხმარებელთა – ტურისტთა მრავალმხრივი საქმიანობაა, მაგრამ, ფაქტია ისიც, რომ ტურიზმი ადამიანის საქმიანობის ბევრ სფეროს მოიცავს. ამიტომაც ტურიზმის შესწავლა მჭიდრო კავშირშია როგორც ფსიქოლოგიის, ანთროპოლოგიის, გეოგრაფიის, ისტორიის, სოციოლოგიის, ინფორმატიკის, სამართლის შესწავლასთან, ასევე თვითონ განათლებასა და კულტურასთან. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ტურისტისათვის უმთავრეს მოტივს მაინც სიამოვნების მიღება, დასვენება და შემეცნებითი მიზნები წარმოადგენს. შემეცნებითი ტურის საფუძველია: ქვეყნის, რეგიონის, ქალაქის, ან ნებისმიერი ტიპის დასახლების, მისი ღირსშესანიშნაობების, არქიტექტურული ანსამბლის, ტაძრების და კულტურული ობიექტების – მუზეუმების, ასევე უნიკალური ბუნებრივი ობიექტების და მოვლენებით მდიდარი საექსკურსიო პროგრამა. თუ ტურისტისთვის მოცემულ ტურისტულ ობიექტზე პროფესიულ დონეზე ინფორმაციის მიწოდება, საკმარისი და აუცილებელი მოტივაციაა ტურისტის მიერ მოგზაურობისთვის მოცემული ადგილის ამორჩევისათვის, სხვა შემთხვევებში, იმ ქვეყნებში, სადაც ტურიზმის განვითარებისთვის რესურსების სიმწირეა, ამ საქმიანობით დაინტერესებულნი კვალიფიციური ცოდნით ახერხებენ (ხშირად მათზე უკეთესადაც, ვისაც საამისოდ უმდიდრესი პოტენციალი გააჩნიათ) ტურისტული ბიზნესისთვის თითიდან გამოწოვილიც კი რეალურ ობიექტად გახადონ. ყოველივე აქედან გამომდინარე ძნელი არ არის განსაზღვრო თუ რას ვისახავთ მიზნათ აღნიშნული საგნის სწავლებით.

I. ზოგადი ცნობები საქართველოს შესახებ, ქვეყნის და მისი შემადგენელი ნაწილების აღმნიშვნელი სახელწოდებები,

ძველად და ახლა. საქართველოს ტერიტორიის ფორმირება უძველესი დროიდან დღემდე

საქართველოს ფართობი 69.7 ათასი კვ. კილომეტრია. საქართველოს საზღვრების საერთო სიგრძე დაახლოებით 1970 კილომეტრია. მათ შორის სახმელეთო საზღვარზე 84% (1660 კმ.), ხოლო საზღვაოზე 16% (310 კმ) მოდის. საქართველოს დასავლეთი საზღვარი შავ ზღვაზე გადის.

საზღვრების ცვალებადობა მრავალ ფაქტორთანაა დაკავშირებული. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამხედრო-პოლიტიკურ, ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ფაქტორებს, მათ შორის საზღვრების ფიზიკურ-გეოგრაფიულ ხასითს. საქართველოს ისტორიის მანძილზე შედარებით ნაკლებად შეიცვალა მისი ჩრდილოეთი საზღვარი და ეს გასაგებიცაა, რადგან იგი მიუყვება მკვეთრად გამოხატულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ ერთეულს – რთულად გადასალახავ კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ და გვერდით ქედებს. სამხრეთი საზღვარი, რომელიც არ არის მკვეთრი ფიზიკურ-გეოგრაფიული ბარიერი და კონტაქტურია, XX საუკუნეშიც კი შეიცვალა.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის განსაზღვრა სხვადასხვაგვარად შეიძლება: 1. საქართველო მდებარეობს ევროპისა და აზიის მიჯნაზე, კავკასიის ქედის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის აღმოსავლეთით; 2. საქართველო მდებარეობს ჩრდილოეთ კავკასიასა და წინა აზიას შორის, ჩრდილოეთი განედის 41 და 43 გრადუსებს და აღმოსავლეთი გრძედის 40 46 გრადუსებს შორის; 3. საქართველო მდებარეობს მესამე სასაათო სარტყელში. მაქსიმალური გადაჭიმულობა ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ 616,5 კმ-ია, ყველაზე განიერია ზუგდიდის მერიდიანზე – 200 კმ.

სად მდებარეობს საქართველო – ევროპაში თუ აზიაში? ამგვარი კითხვა სტრაბონიდან მოყოლებული ჩვენს დრომდე, ხშირად მწვავე დისკუსიის საგანიც კი გამხდარა.

გასაგებია, რომ კითხვაზე პასუხი მჭიდროდ უკავშირდება ევროპასა და აზიას შორის საზღვრის საკითხს. აქ რამდენიმე აზრი არსებობდა. იყო დრო, როდესაც თავად ევროპელები საქართველოს აზიას რომ მიაკუთვნებდნენ. ამის შესახსენებლად, ვფიქრობ, ეს მაგალითიც გამოდგებოდა: 1922

წლის აპრილ-მაისში მიმდინარეობდა გენუის (იტალია) საერთაშორისო კონფერენცია. მიღწეული შეთანხმების საფუძველზე გენუის კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა საბჭოთა რუსეთი. საქართველოს ემიგრაციული მთავრობა ენერგიულ მოღვაწეობას შეუდგა, რათა მიეღწია საქართველოს კანონიერი მთავრობის წარმომადგენლის დაშვებისათვის გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე. მის წინააღმდეგ გაილაშქრა ინგლისმა. მისმა წარმომადგენელმა თავისი უარყოფითი პოზიცია იმით დაასაბუთა, რომ საქართველო აზიაში მდებარეობდა, აქ კი ევროპული ქვეყნების საკითხები განიხილებოდა. საბოლოოდ კი რამოდენიმე ათეული წლების შემდეგ, ევროპასა და აზიას შორის საზღვრის დადგენა შემდეგნაირად გადაწყდა, გარდა ფიზიკურ-გეოგრაფიულისა, აქ გათვალისწინებულ იქნა ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა: ტრდიციები, ისტორია, რელიგია და ეკონომიკის განვითარების ტენდენციები. ამ თვალსაზრისით 90-იანი წლების დასაწყისში საქართველო ევროპულ ქვეყნად გამოცხადდა, რის გამოც ჩვენი სამშობლო მიღებულ იქნა ევროსაბჭოში და სხვა ევროპულ საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ჩვენს დროში კიდევ უფრო ინტენსიურად დაისმის კითხვა – დიდია თუ პატარა საქართველო? საქართველო ფართობის მიხედვით ბევრად ჩამორჩება ისეთ გიგანტ სახელმწიფოებს, როგორიცაა რუსეთის ფედრაცია, კანადა, ჩინეთი, აშშ, ბრაზილია, ავსტრალია. ეს ქვეყნები 100-250-ჯერ უფრო დიდია, ვიდრე საქართველო. ამავე დროს მსოფლიოს 25 ქვეყანა 10-ჯერ და უფრო მეტად მცირეა საქართველოზე.

მსოფლიოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის ტერიტორიის მიხედვით საქართველოს 118-ე ადგილი უკავია. ევროპაში საქართველო შუა – 22-ე ადგილზეა. ფართობის მიხედვით ჩვენი ქვეყანა 23 სახელმწიფოს უსწრებს, მათ შორის ბელგიას, დანიას შვეიცარიას, ლატვიასა და სხვ.

2002 წლის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობა 4700 ათას კაცს შეადგენდა, საშუალო სიმჭიდროვე – 67 ადამიანი 1 კვ. მ-ზე. მოსახლეობის მიხედვით საქართველო 104-ე ადგილზეა. მსოფლიოს 27 საელმწიფოში მოსახლეობა 10-ჯერ უფრო ნაკლებია ჩვენთან შედარებით. საქართველოში უფრო მეტი ადამიანი ცხოვრობს, ვიდრე ირლანდიაში, ნორვეგიაში და ა.შ. ევროპის ქვეყნებს შორის მოსახლეობის მიხედვითაც

საქართველოს შუა – 25-ე ადგილი უჭირავს. მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით საქართველო მსოფლიოში 85-ე ადგილზეა.

თუ ჩვენს რესპუბლიკას მოვუძებნით ანალოგიებს საზღვარგარეთის ქვეყნებს შორის ფართობისა და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, აღმოჩნდება, რომ საქართველო თავისი ტერიტორიით, მოსახლეობის რაოდენობითა და სიმჭიდროვით ევროპის სახელმწიფოთა რიცხვს უფრო მიეკუთვნება. თუკი აღნიშნულ ფაქტორებთან ერთად განვიხილავთ ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებებს, აღმოჩნდება, რომ საქართველო ყველაზე მეტად ჰგავს ორ ევროპულ მთიან სახელმწიფოს – ავსტრიასა და შვეიცარიას.

აქედან გავაკეთოთ დასკვნა, რამდენად სწორია, როდესაც ჩვენ თვითონვე ჩვენს სამშობლოს ვუწოდებთ „პატარა ქვეყანას.“

დავიწყოთ იმით, რომ პოლიტიკური ლექსიკონი „პატარა ქვეყნის“ დეფინიციას, მის ერთმნიშვნელოვანი განმარტებით არ იძლევა. ყველაფერი კი ამქვეყნად შედარებითია და შეფარდებითიც. მითუმეტეს თუ მას ისტორიულ ჭრილშიც განვიხილავთ.

გასაგებია, რომ მოსახლეობის რაოდენობის შესწავლა, არათუ წინარე ისტორიულ ხანაში, ძველ და თვით შუა საუკუნეებშიც უაღრესად რთულია, რადგან იმდროინდელი მწირი მონაცემები ძნელად ექვემდებარება სტატისტიკურ დამუშავებას. ლოკალური წყაროების ირიბი მონაცემები იძლევა მიახლოებით ინფორმაციას მოსახლეობის რაოდენობის შესახებ.

ყველაზე ოპტიმისტური გამოთვლებით გვიანდელი რომის იმპერიის (აყვავების პერიოდში) მოსახლეობა 120 მლნ კაციდან შემცირდა 50 მლნ კაცამდე მე-5 ს. შუა პერიოდისათვის. ამგვარად, ადრეული შუა საუკუნეები იწყება დემოგრაფიული დაქვეითებიდან. რთული გამოთვლებით, რომელთა სიზუსტეც საეჭვოა, მე-5 საუკუნეში აპენინის ნახევარკუნძულზე (თანამედროვე იტალიის ტერიტორიაზე), ცხოვრობდა 4-5 მლნ., გალიაში - 3-5 მლნ., ესპანეთში - 4 მლნ-მდე, ბრიტანეთის კუნძულებსა და ირლანდიაში - 0,5 – 1 მლნ, გერმანიაში - 0,5 – 3 მლნ ადამიანი. მრავალრიცხოვანი ეპიდემიებისა და

ბარბაროსული ტომების მიგრაციის შედეგად, ევროპის მოსახლეობის საერთო რაოდენობა შემცირდა 27 მლნ-მდე. მე-7 საუკუნიდან იწყება მოსახლეობის მატება და კონტინენტმა დემოგრაფიულ დეპრესიას თავი მხოლოდ მე-11 საუკუნისათვის დააღწია. მოსახლეობის ზრდა განუხრელად გრძელდებოდა მე-14 ს. შუა პერიოდამდე, ვიდრე 1348-1349 წწ., შავი ჭირის ეპიდემიის შედეგად, მოსახლეობის რაოდენობამ კვლავ კლება არ იწყო. ქალაქების მოსახლეობა თითქმის განახევრდა, ხოლო სოფლისა ერთი მესამედით შემცირდა. მხოლოდ მე-15 საუკუნიდან იწყება კვლავ მოსახლეობის მატება.

ამ საერთო სურათის შექმნით, გავიხსენოთ რუსთაველის ეპოქა და სახელმძღვანელო წიგნებში წაკითხული ყველასათვის კარგად ნაცნობი სიტყვები: მე-12 საუკუნის საქართველო დიდი და მრავალეროვანი სამეფო იყო. ასე, ცხადია გიჭირს ეს სიდიდე თვალნათლივ განსაზღვრო, მაგრამ თუ მას ისტორიულ ჭრილში შევადარებთ სხვა ქვეყნებს საინტერესო სურათს მივიღებთ: ირკვევა, რომ მაშინდელი ქართული სახელმწიფოს შემოსავალი აღემატებოდა იმ დროის თურქებისა და ირანელების, ინგლისელებისა და ფრანგების შემოსავალს ერთად აღებულს. ამავე დროს იგი აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი ცენტრი იყო.

თამარისა და რუსთაველის ეპოქის საქართველო დიდი და გამორჩეული ქვეყანა იყო მოსახლეობის რაოდენობითაც: რიცხობრივად აღვემატებოდით საფრანგეთს, აგრეთვე, ინგლისს და მასთან ერთად აპენინის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ იმ მოსახლეთ, დღეს, რომ იტალიას ვუწოდებთ.

გარდა ამისა, თუ თამარ მეფის დროს თბილისი 100 ათას მცხოვრებს ითვლიდა, დროის ამ მონაკვეთისთვის, ლონდონისა და პარიზის მოსახლეობა 20 ათასამდე კაცი იყო. ცნობისათვის, რუსეთის დედაქალაქი მოსკოვი 100 ათასიანი ქალაქი მხოლოდ XVI საუკუნეში გახდა.

შემდგომშიც, მიუხედავად მოსახლეობის უდიდესი დანაკარგისა, გარეშე და შიდა მტრებთან აურაცხელი ბრძოლებით რომ იყო განპირობებული, XX ს-ის 50-იან წლებამდე ქართველი ერი

ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო ამიერკავკასიაში. ეს მაშინ, როცა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1801 წლისათვის (დღევანდელ საზღვრებში) შეადგენდა დაახლოებით 785 ათას კაცს, ხოლო 1800-1989 წლებში, ე.ი. თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა თითქმის შვიდჯერ გაიზარდა. ამ მაჩვენებლით საქართველო დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანას უსწრებდა, სადაც იგივე პერიოდში მოსახლეობა მხოლოდ 2-4 ჯერ გაიზარდა. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ XIX საუკუნის შუა წლებისთვის საქართველოს მოსახლეობა აღემატებოდა აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსახლეობას ერთად აღებულს. ამჟამად აზერბაიჯანის მოსახლეობა ორჯერ მეტია საქართველოს მოსახლეობაზე, ხოლო სომხეთს, რომელიც ამ ასი წლის წინ ოთჯერ ჩამორჩებოდა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობით, დღეს თითქმის გაუთანაბრდა. 1989 წლიდან დღემდე საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 30%-ით შემცირდა

დანაშაულია ამის შემდეგ სახელწიფოებრივ დონეზე არ იფიქრო დემოგრაფიულ პოლიტიკაზე, როგორც ახლო, ისე შორეულ პერსპექტივისთვის გათვლილზე.

კიდევ ერთი საყურადღებო გარემოებაც, გასაგებია, რომ მსოფლიოს ქვეყნების კლასიფიკაციაში საქართველოს ადგილის განსაზღვრა არც ისე ადვილია. მაგრამ, რაც ვიცით, ვფიქრობთ, ისიც საკმარისია გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად: ერთ სულ მოსახლეზე ერთობლივი ეროვნული პროდუქციის წარმოების მაჩვენებელი საქართველოში 80-იანი წლების ბოლოს 3500 დოლარს უდრიდა. ამ მხრივ ჩვენი ქვეყანა საშუალო დონეზე მაღლა იდგა და ევროპის მდიდარ ქვეყნებს უახლოვდებოდა. ბრძოლამ დამოუკიდებლობისათვის, თავს მოხვეულმა უმძიმესმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც 90-იან წლებში დაიწყო და დროში უსაშველოდ გაიწელა, საქართველო უღარიბეს ქვეყნად აქცია.

როგორც მოსახლეობის, ისე ეკონომიკური მაჩვენებლების თვალსაზრისით, ასეთი დიდი კლება დროის ასეთ მცირე

მონაკვეთში, იშვიათი მოვლენაა და ძნელად გასახსენებელი თვით მსოფლიო ისტორიისთვისაც.
და კიდევ ერთი, არცთუ უმნიშვნელო ფაქტორი, რომელიც ეპოქებისდა მიუხედავად, ადამიანთა ცხოვრებაზე განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს: სტიქიური უბედურებები - წყალდიდობები, ხანძარი გვალვები, ხანგძლივი და ცივი ზამთარი, მიწისძვრები და ა.შ.
ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში, როგორც წინარე ისტორიულ ხანაში, ისე ძველ და შუა საუკუნეებშიც კლიმატური (გეოგრაფიული) სარტყელები - არქტიკული, სუბარქტიკული, ზომიერი და სუბტროპიკული - შედარებით სხვაგვარად იყო განაწილებული, ვიდრე ამჟამადაა... თვით შუა საუკუნეებშიც კი კლიმატი უაღრესად ცვალებადი იყო, განუწყვეტლივ მერყეობდა ტემპერატურა, ირეოდა ატმოსფერული წნევის ზონები. ეს ცვლილებები ზემოქმედებას ახდენდნენ მცენარეებზე, ცხოველებსა და ადამიანებზე.
ცნობილია, რომ სადღაც V საუკუნისათვის ევროპის ტერიტორიაზე მოხდა აცივება, რომელიც რამდენიმე საუკუნე გაგრძელდა. 853 წელს ადრიატიკის ზღვა ისე გაყინულა, რომ ვენეციაში ფეხით სიარული გახდა შესაძლებელი.
თანდათან აცივება VIII-XIII საუკუნეებში შეიცვალა დათბობით, რომელიც მცირე ხანს გაგრძელდა. შემდეგ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში კვლავ აცივდა, აღინიშნა მყინვარების შემოტევა, ზღვების სანაპირო წყლების გაყინვა, მკაცრი ზამთრის ჩამოყალიბება. სწორედ კლიმატური მიზეზებით ხსნიან ისტორიკოსები იმ ფაქტს, რომ ვიკინგებმა შეწყვიტეს ცურვა ამერიკისა და გრელანდიის სანაპიროებისაკენ, რადგან ცურვა ყინულებს შორის უაღრესად სახიფათო იყო.
1316 წელს ყინულმა პარიზის ყველა ხიდი გაანადგურა. სულ ცოტა ხნის შემდეგ, 1326 წელს, მთელი ხმელთაშუა ზღვა გაიყინა. 1558 წელს 40 ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარ არმიას ბანაკი გაყინულ დუნაიზე ჰქონდა გაშლილი.
აღნიშნული აცივება გაგრძელდა მე-18 საუკუნემდე, ხოლო პიკი მოდის მე-17 საუკუნეზე, რომელსაც ლუი XIV-ის „მცირე

გამყინვარების“ პერიოდს უწოდებენ. ამ დროს საფრანგეთში გაყინულ ღვინოს ამტვრევდნენ და წონით ყიდდნენ.
კლიმატის ცვლილებები კი დიდ ზეგავლენას ახდენდა ხალხების ცხოვრებაზე. მაგალითად, ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის დასწყისში, ევრაზიის სტეპებში ნესტიანობის რეჟიმის ცვლილებები ითვლება იმის ერთ-ერთ მიზეზად, რომ მომთაბარე ტომები მონღოლეთის სტეპებიდან დაიძრნენ ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით.
განუწყვეტელი კლიმატური ცვლილებები, შიმშილობა და ეპიდემიები, მიგრაცია, სიცოცხლის ხანგძლივობა, ქორწინება, შობადობა, სიკვდილიანობა, ესაა ის, რისგანაც შედგება მრავალსახეობა ჩვენი პლანეტის, რომელზეც ჩვენი სამშობლოც, საქართველოა მონიშნული.

რა ჰქვია ჩვენს ქვეყანას?
ქვეყნის აღმნიშვნელი სახელწოდებები.

თავდაპირველად საქართველო შედგებოდა რამდენიმე ქვეყნის ანუ მხარისაგან. მათ შორის უმთავრესი იყო ქართლი. არსებობს ამ ტერმინის წარმოშობასთან დაკავშირებული სვადასხვა მოსაზრებანი. თავდაპირველად „ქართლი“ ყოფილა არა ქვეყნის, არამედ ხალხის სახელი. „იყო ქვეყანა ქართ და მასზე მოსახლე კოლექტივს ეწოდებოდა ქართლი.“ აღნიშნული მოსაზრებით, თავდაპირველად „ქართუელი||ქართველი“ არა ეთნიკურ ერთობას, არამედ ქართების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის მოსახლეებს, ზოგჯერ არაქართსაც მიესადაგებოდა.
მ. ბროსეს თვალსაზრისით, არსებობდა მცხეთასთან მტკვრის შენაკადი სახელწოდებით ქართი, რომლის ნაპირებზეც მცხოვრებნი, შემდეგში ტომთა შორის პირველობისათვის ბრძოლაში დაწინაურებულან და სახელწოდება მათ მიერ დამორჩილებულებზეც გაუვრცელებიათ. უნდა ითქვას, რომ

მ. ბროსეს მიერ მოთხრობილი ეს ისტორია ძალიან ჰგავს რუსეთში კარგად ცნობილ ტერმინ ,,როსის" წარმოშობის ვერსიას. აქაც, მდ. დნეპრის შენაკად როსის ნაპირებზე მცხოვრები როსის ტომები VI ს-დან ავრცელებენ ამ სახელწოდებას სხვა სლავურ ტომებზეც. თუმცა, უნდა ითქვას, რომ დამაჯერებლად ამ ტერმინის წარმოშობის უფრო სკანდინავიური ვერსია ჟღერს.

რაც შეეხება ტერმინ ,,ქართლის" წარმოშობის სხვა თვალსაზრისებს ამაზე უკვე ისტორიულ წყაროებშიც არის ლაპარაკი. მაგალითად, IX საუკუნის ძეგლის ,,მოქცევაი ქართლისაი"-ს მიხედვით, გამარჯვებული აზო წავიდა სამშობლოში - ,,არიან ქართლში," წამოიყვანა იქიდან თავისი ხალხი და მათთან ერთად დასახლდა მცხეთაში.

ცოტა მოგვიანებით ამ მხარეს უკვე ძველი ბერძნები იბერიას უწოდებენ. მათი აზრით, იბერები კავკასიაში გადმოასახლა ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა დასავლეთის იბერიიდან ანუ ესპანეთიდან (ბერძნები პირინეის ნახევარკუნძულსაც იბერიას უწოდებდნენ).

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას, თავდაპირველად ეგრისელებად იწოდებოდა, რომელსაც ძველი ბერძნული კოლხიდელები შეესატყვისებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს (აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს) კი იგივე ძველი ბერძნები იბერიას და მის მკვიდრებს იბერებს (იბერიელებს) უწოდებდნენ, რომელიც გვიან XVIII საუკუნეში ქართველებმა ივერიის სახით გააცოცხლეს. ტერმინები _ ჯბერია და იბერები და კოლხიდა და კოლხები ადრებიზანტიური ხანის საისტორიო ლიტერატურაშიც იხმარება.

XII საუკუნიდან ეთნონიმი „ქართველი" საქართველოს სახელმწიფოს ყველა მკვიდრს ეწოდებოდა. ეთნონიმ

ქართველის შესახებ არსებობს სხვა შეხედულებაც, რომელიც უარყოფს „ქართუელის“ „ქართლისაგან“ წარმომავლობას.
რაც შეეხება სახელწოდება „საქართველოს,“ იგი ქვეყნის გაერთიანების დროიდან დამკვიდრდა და სრულიად ამერ-იმერს მოიცავდა. „ვეფხისტყაოსანში“ ეს ტერმინი სულ სამად სამჯერ არის გამოყენებული.
მაგრამ, საქართველოს სახელად ”საქართველო” რომ ჰქვია, მარტო ჩვენ ვიცით. შესაძლოა ერთი-ორი განათლებული და კავკასიის საკითხებში ჩახედული უცხოელი ქართველოლოგიც გამოჩნდეს და მათ გაახსენდეთ, დანარჩენებს, მეზობლებს და არამეზობლებს, თუ გაუგიათ ჩვენზედ რამე ყველას თავისი სახელი აქვს ჩვენი ქვეყნისთვის შერქმეული.
არაბებისათვის ქართველები ჯურზანის ეთნონიმით არიან სახელდებულნი, რაც, თავის მხრივ, სირიული გურზანიდან მომდინარეობს. სპარსულად საქართველოს აღმნიშვნელი სახელწოდებები - ვრკან და გურგან „მგლის ქვეყანას“ ნიშნავდა, რაც გმირობისა და სიძლიერის სიმბოლო იყო. შუა საუკუნეების არაბულ ნარატიულ წყაროებში ქართველები აბხაზის სახელწოდებითაც არიან სახელდებული. იგივე შეიძლება ითქვას იმავე პერიოდის სპარსულ ლიტერატურაზეც, რაც, თავის მხრივ, განპირობებული იყო იმით, რომ ქართველ მეფეთა ტიტულატურა იწყებოდა ასე: „მეფე აფხაზთა (ე.ი. დასავლეთ ქართველთა), ქართველთა“.... ჯურზანიდან გაჩნდა ქურჯი, ქურჯიდან - გურჯი, რითაც დღეს ქართველები მახლობელი აღმოსავლეთის მუსლიმურ ქვეყნებში არიან ცნობილნი, მაგალითად, თურქეთში. საინტერესოა, რომ ქართველთა აღმნიშვნელი ეთნონიმიდან - ქურჯი არის მიღებული მამაკაცისა და ქალის საკუთარი სახელები ქურჯი და ქურჯია, რაც ლამაზის სინონიმიც იყო. მეცნიერებს ისიც შენიშნული აქვთ, რომ საქართველოს

თანამედროვე სახელწოდება „ჯურჯია“ „გგეორგია“-ს არაბულ ფორმას წარმოადგენს.

ძველი სომხებისათვის ქართველები ვირკები იყვნენ, ხოლო თანამედროვე სომხები ვრაცს გვიწოდებენ.

X - XV საუკუნეების სპარსული საისტორიო წყაროები საქართველოს გორჯესთანს უწოდებენ, ხოლო ქართველებს - გორჯიანს. თურქებისთვის საქართველო გურჯისტანი, ხოლო ქართველები გურჯები არიან. ამასთანავე, თურქული წყაროებისათვის არც საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელწოდებებია უცხო. მაგალითად, ქართლს ისინი ქაირთილს უწოდებდნენ, კახეთს - ქიახეთს, ქახითს, იმერეთს - აჩიკბაშს ან ბაშიაჩუკს, უქუდოთა ქვეყანას, სამეგრელოს - მეგრილს, ოდიშს. გურჯიდან არის მიღებული რუსული გრუზინ, რომელიც თავდაპირველად გამოითქმოდა როგორც გურზი. ეს ტერმინი რუსულ მატიანეებში XVI საუკუნიდან ჩნდება, უფრო ადრე კი ისინი ქართველთა აღსანიშნავად ობეზს გამოიყენებდნენ. სრულიად სამართლიანად შენიშნულია, რომ რუსული ტერმინი ობეზ ეტიმოლოგიურად უკავშირდება აბაზგ, აფხაზ სახელწოდებას, სავსებით შესაძლებელია, რომ იგი აბაზა-საგან ან აბაზინი-საგან წარმოიშვა, მაგრამ შინაარსობრივად საქართველოსა და ქართველებს აღნიშნავდა. თუმცა XV - XVI საუკუნეების რამდენიმე ნუსხაში ივერ, ივერსკაია ზემლია და ივერსკიც გვხვდება. 1406 წლის ხელნაწერში კი ტერმინი „ავერ“ განმარტებულია როგორც „ობეზ“-ის იდენტური ტერმინი. ეთნონიმი „გრუზია“, „გრუზინი“ სხვადასხვა ხალხებში, განსაკუთრებით სლავურ ენებში, რუსული ენიდან გავრცელდა.

გერმანულ წყაროებში საქართველოს „გეორგიენ“-ს უწოდებენ, ინგლისურენოვანში - ჯორჯიან, ფრანგულენოვანში - ჟეორჟი, იტალიურში - ჯორჯა, ხოლო ესპანურში _ ხეორხეია.

ამის შესაბამისად ქართველებს გერმანულად ეწოდებოდათ გეორგიერ, ინგლისურად - ჯორჯიანზ, ფრანგულად - ჟეორჟიენ, იტალიურად - ჯორჯანი და ესპანურად - ხეორხიანოს. ქართველების და საქართველოს აღმნიშვნელი ახალი ევროპული ტერმინები გეორგიან და გეორგია-ს წარმოშობა სპარსულ-ირანულ გურჯი და ჯურჯი-საგან დღეს საყოველთაოდ აღიარებულია. ისინი ევროპის ქვეყნებში XIII საუკუნიდან უკვე მყარად იყო ფეხმოკიდებული.

უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერები ქართველთა აღმნიშვნელ ევროპულ ეთნონიმებს ბერძნულ სიტყვას "გეორგიოს" უკავშირებენ, რაც მიწის მუშაკს, მიწათმოქმედს აღნიშნავს. ამტკიცებენ, რომ ეს გამოიხატება იმაშიც, რომ საქართველო წმინდა გიორგის ქვეყანაა, სადაც ეს წმინდანი ყველაზე პოპულარულია და რომ წმინდა გიორგი საქართველოს მცველია. ასეთი ეტიმოლოგია პირველად დე ვიტროს აქვს მოცემული: „ამ ხალხს ქართველები (გეორგიანი) ჰქვია, ვინაიდან, სხვა წმინდანებზე მეტად, უდიდესი მოწიწებით ეთაყვანებიან, აღმერთებენ და ღირს ყოფენ წმინდა გიორგის, რომელსაც მიიჩნევენ მცველად და მფარველად თავიანთ ბრძოლაში ურწმუნოთა წინააღმდეგ, მსგავსად ბაირაღისა." ეს მოსაზრება XVIII საუკუნის დასაწყისში დააყენეს ეჭვსქვეშ. ფერდინანდ დე ტროლოს მოსაზრებით, ქართველებს ეს სახელწოდება წმინდა გიორგიმდე ადრე ჰქონდათ. მან თავის მხრივ ეთნონიმი ბერძნულ სამყაროს დაუკავშირა - ცნობილია, რომ „გეორგიოს" მიწათმომომქმედს აღნიშნავს. მართალია, წმინდა გიორგის კულტი საქართველოში მართლაც ყველაზე პოპულარულია, საქართველო უძველესი და განვითარებული მიწათმოქმედების ქვეყანაა, მაგრამ მეცნიერები ამ შეხედულებას დღეს ფაქტობრივად არ იზიარებენ. ქართველებისა და საქართველოს აღმნიშვნელი ახალი ევროპული ტერმინების გეორგიან და გეორგია-ს წარმოშობა

სპარსულ-არაბულ გურჯი და ჯურჯი-საგან დღეს საყოველთაოდ აღიარებულია.

რაც შეეხება თანამედროვე მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ენებში ჩვენი ქვეყნის მოხსენიებას: ლიტველები ქართულს (ჩვენს ენას) სასაცილო სიტყვას „გრუზინიშკაი“-ს უხმობენ, ხოლო საქართველოს - „გრუზიოსს“. ჩვენს ამერ-იმერს იაპონურად „გურუჯია“ ჰქვია. ჩინურად კი (ჰანის დიალექტზე, 格魯吉亚) „გელუჯია.“

რაც შეეხება ინგლისუენოვან სიტყვა Georgia-ს, ქვეყანა, რომლის სახელი ინგლისურად სხვა, უფრო ცნობილ გეოგრაფიულ სახელს ემთხვევა, ან ქვეყანა, რომლის ინგლისური სახელიც ბევრმა არ იცის. ფაქტია, რომ საქართველოს Georgia-თი მოხსენიება პრობლებურია, როგორც გარე სამყაროსათვის, ისე ჩვენი იდენტობისათვისაც. ალბათ ჭკუასთან ახლოს იქნება, თუ ჩვენი სამშობლოს საერთაშორისო სახელს, არაქართული მსოფლიოსთვის ქართული წარმოშობის ეთნონიმებიდან შევურჩევთ. მთავარია ჩვენთვის იყოს მისაღები, სხვებმა კი კეთილი ინებონ და ასე დაგვიძახონ.

ქვეყნის (ან ქალაქის) სახელის წარმატებულად შეცვლის მაგალითები, უახლოესი წარსულიდან, რამდენიმეა: მოლდავეთი მოლდოვად იქცა, კიშინიოვი - ჩიშინაუდ, ბომბეი - მუმბაიდ, ბირმა - მიანმად, ჩერნოგორია - მონტენეგროდ (ან პირიქით), კანტონი - გუანგჟოუდ და ა.შ. როგორც ვხედავთ, ამ ცვლილებებით, არავის არაფერი არ მოსვლია. მსოფლიომ აიტაცა ახალი სახელები და ახლა უცხოელები ამ ქვეყნებსა და ქალაქებს, სხვა, ახალი სიტყვებით მოიხსენიებენ. თუ გვსურს - გავაკეთებთ. თუ არა და...მაშინ დაუსრულებლად ვამტკიცოთ, რომ რომ „ჯორჯიანზ“ ვართ, ან „გურჯლარ“ ან „გრუზინი.“

ნუ დაგვავიწყდება, რომ განმარტება-დამატება: ტერმინი Georgian ინგლისურ ენაში, ჩვენს გარეშე დამკვიდრდა და მას საქართველოსთან ან ქართველებთან, არაფერი აქვს საერთო. ეს დიდი ხნის ტერმინია და 18-19-ე საუკუნეების (1714 - 1830) ბრიტანეთის იმპერიის „გეორგიანულ“ ეპოქას აღნიშნავს. იმ დროს ინგლისს მართავდნენ ჰანოვერის დინასტიის მეფეები ჯორჯ I, II,III, და IV და შესაბამისად, მთელ ამ პერიოდს მადლიერმა შთამომავლობამ „გეორგიანული“ დაარქვა.

ამ ეპოქამ ბევრი სიახლე და „სიკეთე“ მისცა ბრიტანეთისა და მსოფლიოს ისტორიას, კულტურას და არქიტექტურას. ამ დროს მიმდინარეობს ამერიკის ინტენსიური კოლონიზაცია, სასტიკი ომები ინდიელებთან და მათი მეთოდური განადგურება, ამ ეპოქის პროდუქტია მერკანტილიზმის პოლიტიკა და უცხოური ექსპორტის შეზღუდვა, ამ დროს მიმდინარეობს ბრიტანეთის იმპერიის ძლევამოსილი ექსპანსია ინდოეთისკენ და სამხრეთ ზღვებისკენ (კაპიტანი კუკი). ამ დროს გაიმარჯვა ინგლისმა ტრაფალგარისა და ვატერლოოს სახელგანთქმულ ბრძოლებში.

როგორც ვხედავთ, „ჯორჯიან ერა/Georgian era“ უკვე არსებული კულტურულ-ისტორიული ფენომენია ანგლო-საქსურ სამყაროში და მას სრულიად კონკრეტული შინაარსი აქვს ინგლისელისა თუ ინგლისურად მკითხველისათვის. ტერმინი „ჯორჯიან/Georgian“, ჩვეულებრივ გამოიყენება სოციალური ისტორიისა და არქიტექტურის კონტექსტში, რაც ალბათ, გარკვეულ დაბნეულობას იწვევს „ჯორჯიან“-ის ეთნონიმად, მითუმეტეს ბრიტანეთიდან გეოგრაფიულად საკმაოდ მოცილებული საქართველოს, აღსანიშნავად. აღარაფერს ვამბობ „გუგლში“ ძებნისას აშშ-ს სახელოვან სამხრეთულ შტატზე, „ჯორჯიაზე“, რომელიც ჯიუტად გვეცილება ჩვენი ქვეყნის სახელს ინგლისურენოვან საძებნ სისტემებში ... გარდა ამისა, ჩვენც, ქართველებსაც ხომ უნდა

გვქონდეს რაიმე ემოციური ან ცნობიერი ბმა სახელთან Georgian?

განა ოდესმე გვითქვამს საკუთარ თავზე ქართულად, რომ „ჯორჯიან“ ვართ? ეს ტერმინი, ვფიქრობ, საკმაოდ უცხოდ ჟღერს, მისი ქართულად აღქმისათვისაც. ასეთ დროს, ბუნებრივია, რომ ვეძებეთ ქვეყნის აღმნიშვნელ ჩვენთვის ჩვეულ და შესისხლხორცებულ სხვა ეთნონიმებსაც.

ამ მხრივ არის ერთი საინტერესო დასახელება „იბერია“. იგი ჩვენში არანაირ გაუცხოებას არ იწვევს. იგი თითქოს მშობლიურია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, შემდეგი, რომ:

1. ქვეყნის სახელწოდება „იბერია“ ძველ ბერძნულ წყაროებში აღმოსავლეთ საქართველოს ანუ ქართული წყაროების მიხედვით ქართლს მიესადაგებოდა და არა სრულიად საქართველოს.

2. პარალელური ტერმინი „იბერია“ არსებობს ესპანურშიც და პორტუგალიურშიც. ესპანელები, პორტუგალიელები და ლათინური ამერიკის ლათინურენოვანი მოსახლეობა, თავს იბერიულ და იბერიულ-ამერიკული სამყაროს წარმომადგენლებად თვლიან. მეტიც, მსოფლიოს ისტორიულ და გეოგრაფიულ წყაროებში (სტრაბონი, პლინიუსი) პირენეის ნახევარკუნძულს იბერიის ნახევარკუნძული ჰქვია და ეს სახელი დღესაც აქტიურად გამოიყენება დასავლურ გეოგრაფიაში. ამიტომ სამყაროს ამ ნაწილისთვის ეთნონიმი „იბერიელი“ დამაბნეველი და შესაძლოა, მიუღებელიც კი აღმოჩნდეს.

„იბერიის“ გარდა შესაძლო ვერსიებიდან ხშირად განიხილება სახელწოდება „ივერიაც.“ ამ ტერმინის წარმოშობა გაურკვეველია, ქვეყნის საერთო აღმნიშვნელ სახელწოდებად იგი გამოიყენებოდა ერთიანი ქვეყნის სამეფო-სამთავროებად დაშლის დროიდან, როცა „საქართველო“ მხოლოდ გეოგრაფიულ ცნებას წარმოადგენს.

მაგალითად, 1790 წლის ხელშეკრულებას, რომელიც საქართველოს სამეფო-სამთავროების მესვეურებმა დადეს, ეწოდება „ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული“.... საბუთში ხაზი ესმის ქვემო ივერიელთა (დასვლეთ ქართველების) და ზემო ივერიელთა (აღმოსავლეთ ქართველების) ერთმორწმუნეობას, საერთო ენის მქონებლობას, სისხლით ნათესაობას, საერთო ისტორიის მქონებლობას (ისტორიის მახსოვრობას).

რადგან „ქართველი“ გაცილებით ადრე, სანამ ტერმინი „ივერია“ დამკვიდრდებოდა, საქართველოს ნებისმიერ მხარეში ყველა მკვიდრის აღმნიშვნელი იყო, ხოლო „საქართველო“ მათი სამშობლოს სახელწოდება, ამიტომ ვეთანმები ერთადერთ ვარიანტს დასამკვიდრებლად: ქართველი და საქართველო.

ვითომ ცუდად ჟღერს შემდეგი?

1. (ინგლ.)Where are you from? I am from The Republic of Sakartvelo and I am Kartvel ან სხვა ნაცნობი პასაჟი: I am Kartvel, therefore I am from Sakartvelo! მე ქართველი ვარ! (ქართ.) - Ich bin Kartvel! (გერმ.); Я Картвел! (რუს.); Je suis Kartvel! (ფრანგ.); anna Qartveli (არაბ.)

ვფიქრობ, ამ თემაზე დაფიქრება მართლაც ღირს, რადგან ეს ჩვენზე, ჩვენს ეთნონიმზე და ჩვენი ქვეყნის სახელზეა საუბარი!

საქართველოს მხარეების ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

ქართლს აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა კახეთი (კახეთ-კუხეთი), თავად კახეთს კი აღმოსავლეთიდან და სამხრეთ აღმოსავლეთიდან – ჰერეთი.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შემდეგი ისტორიული მხარეები იყო: შიდა ქართლის ჩრდილოეთით – დვალეთი; არაგვის ხეობაში – მთიულეთი და მისგან ჩრდილოეთით ხევი; კახეთის ჩრდილოეთით – ფშავი და შემდეგ ხევსურეთი (ფშავსა

და ხევსურეთს ერთად ეწოდებოდა ფხოვი) ხევსურეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს თუშეთი.
სამხრეთ – დასავლეთ და დასავლეთ საქართველოში, რომელსაც უძველეს დროში ეწოდებოდა ასურელთათვის დაიაენი, ურარტუელებისთვის დიაოხი და ბოლოს კოლხა, შემდეგში მოიხსენიებოდა სახელწოდებით ეგრისად, ან ლაზიკად. VIII საუკუნიდან მას აფხაზეთი, ხოლო XI საუკუნიდან იმერეთი ერქვა. ცოტა მოგვიანებით შემდეგი ქვეყნები გაჩნდა: არგვეთი (დღევანდელი ზემო იმერეთი), სამოქალაქო (ქუთაისის შემოგარენი, ვაკე იმერეთი), ოდიში ანუ სამეგრელო. ანაკოფიის ჩრდილო-დასავლეთით აფხაზეთი იწყებოდა, ხოლო მის შემდეგ – ჯიქეთი. ოდიშის სამხრეთით მდებარეობდა გურია და აჭარა.
დასავლეთ საქართველოს მთიანეთში შედიოდა სვანეთი (ოდიშის ჩრდილოეთით), რაჭა (არგვეთის ჩრდილოეთით) და ლეჩხუმი (რაჭასა და ლეჩხუმს ერთად თაკვერი ეწოდებოდა).
1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს, მომდევნო ხანებში კი, სხვა ქართულ პოლიტიკურ ერთეულთა რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ საქართველო ეთნიკურ-გეოგრაფიულ-კულტურული ცნება გახდა; ადმინისტრაციულ-ტერიტორიულად (პოლიტიკური შინაარსით) იგი ორ გუბერნიას (თბილისს და ქუთაისს) და ორ ოლქს (ოკრუგს) (ბათუმის და სოხუმის) მოიცავდა. (ოფიციალურად 1918 წლის 26 მაისიდან, საქართველოს პოლიტიკური შინაარსი ჰქონდა – იგი ფორმალურადაც დამოუკიდებელი რესპუბლიკა იყო. 1921 წ. 25 თებერვლიდან რუსეთის ხელახალი ოკუპაციის შედეგად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გახდა.

II. საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები ტერიტორიულ - ადმინისტრაციული დაყოფის მოკლე ისტორია. თანამედროვე ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა.

XVIII საუკუნემდე საქართველოს მოსახლეობას თავისი ქვეყნის ტერიტორიისა და საზღვრების შესახებ ინფორმაცია მდიდარი ზეპირი და წერილობითი წყაროებიდან ჰქონდა. მათ არ გააჩნდათ რუკები. ამ თვალსაზრისით, პირველი სარწმუნო წყარო ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1735-45 წწ. შექმნილი რუკებია.
ისტორიული წყაროების გამოყენებით შედგენილი თანამედროვე რუკების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ

საქართველოს ტერიტორიის ფართობი საუკუნეთა მიხედვით ამგვარად იცვლებოდა:

№	საუკუნე	ფართობი (ათასი კმ2)
1.	ძვ. წ. I ათასწ. II ნახევარი	140,4
2.	I-IV	134,2
3.	IX-X	131,0
4.	XII (დასაწყისი)	205,3
5.	XVII (II ნახევარი)	131,1
6.	XIX (ბოლო)	102,0
7.	XX (დასაწყისი)	89,7
8.	XXI (დასაწყისი)	69,7

1921 წლის თებერვალში ბოლშევიკური რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შედეგად საქართველომ მნიშვნელოვანი ტერიტორიის ნაწილი დაკარგა. რუსეთმა თურქეთს გადასცა 1878 წელს შემოერთებული ყველა ქართული პროვინცია აჭარის გარდა. საინგილო შევიდა აზერბაიჯანის, ხოლო ლორე – სომხეთის შემადგენლობაში. საქართველოს ფართობი შემცირდა 69,7 ათას კვ. კმ-მდე. ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა სამი ახალი პოლიტიკური ერთეული – აფხაზეთის სამოკავშირეო რესპუბლიკა (1931 წლიდან ავტონომიური რესპუბლიკა), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. 1944 წელს საქართველოს შემოუერთეს 6 ათასი კვ. კმ-ის ფართობის ტერიტორია ჩრდილოეთ კავკასიაში – მდ. ყუბანის ზემო დინების აუზი (ქლუხორის რაიონი) და ჩეჩნეთ-ინგუშეთის მაღალმთიანი რეგიონი (ახალხევის რაიონი). 1957 წელს ეს ტერიტორიები კვლავ რუსეთმა დაიბრუნა.

1991 წელს სსრკ-ის დაშლისა და საქართველოს აღდგენის მომენტისათვის ჩვენი ქვეყანა იმ საზღვრებში იქნა აღიარებული, რომელიც მას საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჰქონდა (69,7 ათასი კვ. კმ).

1989 წლისთვის საქართველოში იყო ორი ავტონომიური რესპუბლიკა, ერთი ავტონომიური ოლქი, 69 რაიონი (აქედან ოთხი – ჭიათურა, ტყიბული, წყალტუბო და გაგრა – ამ ქალაქების საბჭოებზე დამოკიდებულ ტერიტორიებად

ითვლებოდა და რაიონის სტატუსი ოფიციალურად არ ჰქონდა). ცალკე ერთეულებად ითვლებოდა ქალაქები: თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, გორი, ფოთი, ზუგდიდი და ტყვარჩელი. 4448 სოფელი (აქედან 174 დაუსახლებელი) გაერთიანებული იყო 942 სასოფლო საბჭოში. 1990 წლის დეკემბერში საქართველოს უზენაესმა საბჭომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ამ ტერიტორიის სტატუსი ჯერ დადგენილი არ არის.
დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს წინაშე ახალი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საკითხი დადგა. ეს მეტად რთული და საკამათო პრობლემაა და ამიტომ საბოლოო სახით ჯერ არ გადაწყვეტილა, თუმცა ძირითადი კონტურები უკვე გამოსახულია, რომელიც საქართველოს სამხარეო მოწყობას ითვალისწინებს. კერძოდ, მმართველობითი ორგანოები სამხარეო დონეზე უკვე მოქმედებენ, მაგრამ მხარეებად დაყოფა და მათი უფლებები ჯერჯერობით კონსტიტუციურად დამტკიცებული არ არის.
თითოეული სამხარეო ერთეული წარმოადგენს ერთიან ეკონომიკურ რაიონს, ერთგვაროვანი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებითა და გამოკვეთილი ბუნებრივი საზღვრებით. მნიშვნელოვანი ელემენტია აგრეთვე მოსახლეობის ეთნოკულტურული სიახლოვე და ისტორიულად ჩამოყალიბებული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ფუნქცია. თუ ერთმანეთს შევადარებთ საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიულ ოლქებს, ეკონომიკურ რაიონებს და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ პროვინციებს აღმოჩნდება, რომ ისინი უმრავლეს შემთხვევაში ერთმანეთს დაემთხვევიან. სწორედ ამ პრინციპებზე დაყრდნობით გამოიყოფა საქართველოს ძირითადი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები: შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო – ზემო სვანეთი, გურია, ცალკე ერთეულია ქ. თბილისი. მას ემატება აფხაზეთი და აჭარა და ჯამში ვღებულობთ თორმეტ ადმინისტრაციულ ერთეულს.
თანამედროვე ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის შედეგად საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში, წარმოდგენილია სამსაფეხურიანი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები: ზედა - მხარე, შუა – რაიონი, ქვედა - საკრებულო ან თემი.

2. თ ბ ი ლ ი ს ი

მდებარეობა. თბილისი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მისივე სახელწოდების ქვაბულში. მას მდინარე მტკვარი მიუყვება 35 კმ-ის მანძილზე. თბილისის ფართობია 36 ათასი ჰა. იგი საკმაოდ დაშორებულია ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული ცენტრიდან. ამის გამოა, რომ პირდაპირი მანძილი თბილისიდან შავი ზღვის სანაპირომდე 260 კმ-ია, აღმოსავლეთ საზღვრამდე – 110 კმ, ჩრდილოეთამდე – 110, ხოლო სამხრეთ საზღვრამდე 55 კმ. თუმცა, თუკი ყურადღებით დავაკვირდებით კავკასიის რუკას, შევნიშნავთ, რომ თბილისი პრაქტიკულად ამ რეგიონის ცენტრში მდებარეობს. ამიტომაცაა, რომ თბილისი არა მარტო საქართველოს დედაქალაქის, არამედ კავკასიის მთავარი ქალაქის ფუნქციასაც მრავალი საუკუნის განმავლობაში ასრულებდა და ასრულებს.

არქეოლოგია. მტკვრის შუა წელის ტაფობი, რომელშიც ახლანდელი ქალაქი თბილისია გაშლილი, თავისი ბუნებრივ-გეოგრაფიულ ხელსაყრელი პირობების გამო მოსახლეობამ უძველესი პერიოდიდანვე აითვისა. ძვ.წ. V-IV ათასწლეულიდან დაწყებული, მტკვრის ორივე სანაპირო, შეიძლება ითქვას, უწყვეტად იყო დასახლებული იმ დრომდე, ვიდრე თბილისი უკვე ქალაქურ სამოსახლოდ გადაიქცეოდა. ეს დასტურდება იმ არქეოლოგიური დაზვერვებითა და გათხრებით, რომლებიც ახლანდელ ქალაქის ტერიტორიაზე უკვე მრავალი ათეული წელიწადია ტარდება. 1930-31 წლებში დიდუბეში აღმოჩნდა ადრინდელი ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. IV-III ათასწლეულის) ნასახლარი, სადაც ნაპოვნია თიხის ჭურჭელი, დიდი რაოდენობით ობსიდიანის, კაჟის, ძვლის იარაღი და სხვა. ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე მიკვლეულია უძველესი დასახლების ნაშთი, ე.წ. „დელისის ნასახლარი", რომლის მასალა პარალელს პოულობს, ერთი მხრივ, ძვ. წ. V-IV ათასწლეულის პირველი ნახევრის სამხ. კავკასიის ადრინდელ სამიწათმოქმედო კულტურის კერებთან, მეორე მხრივ, მტკვარ-არაქსის კულტურულ მასალასთან. ამგვარად, თბილისის ტერიტორიაზე ნასახლარები უკვე 6000 წლის წინა პერიოდით თარიღდება. ე.წ. თბილისის ტერიტორიაზე, მტკვრის ორსავე სანაპიროზე, გვიანდელ ბრინჯაოსა და და ადრინდელ რკინის ხანის

არქეოლოგიურ პერიოდისთვის (ძვ.წ. XV-VII სს.) დასტურდება ერთმანეთისაგან მცირე მანძილით დაშორებული რამდენიმე ნამოსახლარი. ერთ-ერთი ასეთი ნამოსახლარია იმ მთის თხემი, რომელზეც უფრო გვიან თბილისის ციხე ააგეს; მეორე ამგვარი ნამოსახლარი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა, ახლანდელ ორთაჭალჰესთან ხიდს გაღმა ამართულ თავკვეთილ მაღლობზე (ახლანდელი რიტუალების სასახლის ადგილზე); დასახლების კვალი მიგნებულია აგრეთვე ძველ ავლაბარში (ძვ.წ. VI ს. სამაროვანი); დასარულ, ასეთივე ძველი სამოსახლო უნდა ყოფილიყო იმ კლდოვანი მაღლობის თავზე, სადაც ამჟამად მეტეხის ეკლესია და ვახტანგ გორგასლის ძეგლი დგას. ერთი ცნობით, აქ XX ს. 30-იან წლებში, როცა მეფის რუსეთის დროინდელ საპატიმროს ანგრევდნენ, გამოვლინდა ე.წ. „ანტიკური ხანის" ნაგებობათა ნაშთები.

ამგვარად, სავარაუდოა, რომ გარკვეულ დროს, სათანადო ხელშემწყობი სოციალ-ეკონონომიკური პირობების განვითარების შედეგად, თბილისის ქალაქური ტიპის დასახლება ამ ძველი სამოსახლოთა დაახლოება-გაერთიანების შედეგად წარმოიქმნა.

ქართველი არქეოლოგების უნიკალური აღმოჩენები გრძელდება, ახლახან ჩატარებული გათხრები კი, შესაძლოა, თბილისის დაარსების ისტორიის შეცვლის საფუძველიც გახდეს. საუბარია მეტეხის ხიდთან, 40 სებასტიელი მოწამის სახელობის ეკლესიასთან მდებარე ტერიტორიაზე ჩატარებულ გათხრებზე, რომლის შესწავლის დროსაც ქართველი არქეოლოგები უნიკალურ დასკვნამდე მივიდნენ.

წინასწარი მონაცემებით ირკვევა, რომ ამ ადგილას ციხე–ქალაქი ბევრად უფრო ადრე არსებობდა, სანამ ახლანდელ თბილისს ვახტანგ გორგასლის ხოხობი აღმოაჩენდა და „პირველი თბილისელი" გახდებოდა.

მართალია, ტერიტორიაზე ნაპოვნია უშუალოდ ვახტანგ გორგასლის დროინდელი ციხის გალავანი, მაგრამ ოდნავ მოშორებით არქეოლოგებმა ნარჩენების კომპლექსი იპოვეს, რომელიც, მათი თქმით, ბევრად უფრო ძველია ვახტანგ გორგასლის დროინდელ ეპოქაზე.

ის, რასაც ამ ეტაპზე ცალსახად ამბობენ არქეოლოგები, მიანიშნებს, რომ ციხე–ქალაქი ამ ადგილას ანტიკური დროის პირველ–მეორე საუკუნეებშიც არსებობდა – ამაზე უკვე იქვე ახლოს ნაპოვნი აბანოები მეტყველებენ.

ახლა სპეციალისტები იმ ნივთების შესწავლას იწყებენ, რომლებიც გათხრების დროს იპოვეს.

ამდენად, როგორც ძველი, ისე ახალი არქეოლოგიური აღმოჩენის გამო, შესაძლოა, თბილისის გერბიც კი შესაცვლელი გახდეს.

ისტორია. ელინისტური პერიოდიდან დაწყებული სამხრეთ კავკასიაზე მტკვრისა და რიონის ხეობებით გადიოდა ერთ-ერთი მაგისტრალური სავაჭრო გზა, რომელიც აღმოსავლეთის (ჩინეთი, ინდოეთი) აკავშირებდა დასავლეთთან (საბერძნეთი, რომი). ამ გზის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა ახ. წ. პირველ საუკუნეებში აღმოსავლეთისკენ რომის ექსპანსიასთან დაკავშირებით..

ნუმიზმატიკური და არქეოლოგიური მასალის საფუძველზე ფიქრობენ, რომ უკვე ახ.წ. I-II სს-ში თბილისის ტერიტორიაზე უნდა წარმოქმნილიყო ქალაქური ტიპის სამოსახლო. უძველესი წყაროსეული მოხსენიება განეკუთვნება ახ. წ. IV ს. II ნახევარს, როცა ამ ადგილებში მეფე ვარაზ-ბაკურის დროს ციხე ააგეს. ყოველ შემთხვევაში, უეჭველია, რომ IV ს-ში თბილისი უკვე ციხე-ქალაქი იყო, რომელსაც ამავე საუკუნის 70-იან წლებში დროებით რეზიდენციად იყენებდა სასანური სპარსეთის დიდმოხელე, „სპარსთა მეფის პიტიახში". ქართული წყაროს ეს ცნობა თბილისის შესახებ დასტურდება IV საუკუნეშივე შედგენილი რომაული საგზაო რუკით (იხ. რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის მიერ VI საუკუნეში შედგენილი სამოგზაურო რუკა უძველესი ჩვენამდე მოღწეულ ცნობებიდან, სადაც თბილისია მოხსენიებული). სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე აღნიშნულია სავაჭრო მნიშვნელობის პუნქტი „ფილადო", რაც ტფილისის სახელწოდების დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს. მოგვიანებით თბილისს იხსენიებს, VI საუკუნის მეორე ნახევრის ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოფანე. ქართლ-სპარსეთის მეფეთა დაზავების შემდეგ თბილისი კვლავ ქართლის მეფის ხელში იყო. იგი სწრაფად ვითარდებოდა. V ს-ის ბოლოს ფაქტობრივად უკვე სამეფოს დედაქალაქად იქცა. ეს მოვლენა ვახტანგ I

გორგასლის სახელთან არის დაკავშირებული. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, მცხეთიდან სანადიროდ გამოსული ვახტანგი ტყეში შემთხვევით წააწყდა ცხელი გოგირდიანი წყლის წყაროს, რომელშიც მისი შევარდენი ნანადირევი ხოხობითურთ ჩაიფუფქა. მეფეს მოეწონა ადგილმდებარეობა და ბრძანა აქ ქალაქის აშენება, რომელსაც თბილი წყაროების გამო „თბილისი" (იმდროინდელი ქართულით „ტფილისი") უწოდა.

რეალურად თბილისის გადაქცევა სახელმწიფოს სატახტო ქალაქად, რა თქმა უნდა, სხვა მიზეზებით იყო განპირობებული. IV და, განსაკუთრებით, V ს-ში ქართლის სამეფოს სამეურნეო და სოციალურმა ვითარებამ დღის წესრიგში დააყენა ალვანეთის (კავკასიის ალბანეთის) დას. მხარეების (ჰერეთი, სუჯეთი, კამბეჩოვანი) ქართლთან გაერთიანების საკითხი, რაც წარმატებით გადაჭრა კიდეც ვახტანგ გორგასალმა. იგი ამავე დროს აპირებდა ქართლის სამეფოს აღმ. პროვინციების (ცენტრი – ქ. უჯარმაში) გადაქცევას ირანის საწინააღმდეგო სამხ. სტრატეგიულ ბაზად. ქართლის სამეფოს ტერიტორიულმა ზრდამ აღმოსავლეთისაკენ, აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ თბილისი გეოგრაფიულად და ეკონომიკურად უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული კახეთ-ჰერეთთან, ვიდრე მცხეთა, მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის უაღრესად დიდი მნიშვნელობის ფაქტი, რომ ქართლის სამეფოს ცენტრმა მცხეთიდან თბილისში გადაინაცვლა. თბილისი, გარდა თავდაცვისათვის ხელსაყრელი მდებარეობისა, მტკვრის ვიწრობებში, ქვეყნის შუაგულში იყო და ადვილად სწვდებოდა არა მარტო აღმოსავლეთის პროვინციებს, არამედ სამხრეთსაც (ქვემო ქართლი), ჩრდილოეთსაც (შიდა ქართლი) და დასავლეთსაც (ზემო ქართლი, ეგრისი), როდესაც დაისახა ტენდენცია ამ მხარეებს შორის უფრო ინტენსიური სამეურნეო და კულტურული ურთიერთობისა, რაც ვახტანგ გორგასლის დროს დას. და აღმ. საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებითაც გამოიხატა, მაშინ თბილისის უპირატესობაც მცხეთასთან შედარებით აშკარად წარმოჩნდა. ამიტომაც გადაიქცა იგი ქართლის (შემდეგ კი ერთიანი საქართველოს) სამეფოს დედაქალაქად.

სახელწოდება „თბილისი," მართლაც, თბილი გოგირდიანი წყლის გამო უნდა შერქმეოდა ქალაქს, რაც იმას მოწმობს, რომ

საკუთრივ თბილისი – ქალაქის ძირითადი უბანი, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე იყო განლაგებული (ახლანდ. „აბანოთუბანი") და ეს სახელწოდება შემდეგ გავრცელდა დანარჩენ უბნებზეც. ძველქართულად ქალაქს „ტფილისი" („ტფილი") მინერალური წყაროების გამო უწოდეს.

ვახტანგ გორგასალმა თბილისი აღადგინა და გააშენა, ამიტომაა იგი მიჩნეული ქალაქის დამაარსებლად. მისმა მემკვიდრემ დაჩი I-მა უჯარმელმა (VI ს. დამდეგი) დაამთავრა ქალაქის ზღუდე-გალავნის აგება და მამის ანდრძის თანახმად, სატახტო ქალაქი მცხეთიდან თბილისში გადმოიტანა. თბილისის უძველესი მოსახლეობა გაჩნდა გოგირდოვანი წყაროების უბანში (ახლანდელი გორგასლის მოედნის მომიჯნავე ტერიტორია). სამხრეთ-აღმოსავლეთით ქალაქი იფარგლებოდა ყოფილი ორთაჭალის ბაღის (ახლანდელი სამასი არაგველის სახ. პარკი.) მიდამოებით, ჩრდილო-აღმოსავლეთით მდ. მტკვარი საზღვრავდა, სამხრ.-დასავლეთით თაბორის ქედის კალთები, ჩრდილო-დასავლეთით კი წავკისწყალი. IV საუკუნეშივე წარმოიშვა თბილისის მეორე უბანი კალა ციხითურთ, შემდგომში ქალაქი იზრდებოდა საკუთრივ თბილისისა და კალის ფარგლებს გარეთ, მტკვრის დინების აღმა. ზრდას ხელს უწყობდა მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა: აქ გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები აღმოს. ამიერკავკასიისა და წინა აზიისაკენ. თბილისი თანდათან შუა აღმოსავლეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა. მომიჯნავე სახელმწიფოთა სამხედრო-სტრატეგიულმა და ეკონომიურმა ინტერესებმა გაზარდეს ინტერესი მისადმი. VI საუკუნის ბოლოდან იწყება საუკუნოვანი ბრძოლა თბილისისათვის. ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის მდგრადობა უშუალოდ დაკავშირებული იყო საქართველოს დედაქალაქის ბედთან. 570-580 წლებში ქალაქს სპარსელები ფლობდნენ. 627 წ. თბილისი დაარბია ბიზანტია-ხაზარების ლაშქარმა; 736-738 წლებში – არაბმა სარდალმა მარვან II იბნ-მუჰამადმა (მურვან ყრუმ). ამიერიდან თბილისი ახლად წარმოქმნილი თბილისის საამიროს ცენტრი ხდება. 764 წელს ქალაქი ხაზარებმა დაარბიეს. 853 წელს თბილისში ხალიფის ხელისუფლების განმტკიცების მიზნით ქალაქი დალაშქრა არაბმა სარდალმა ბუღა თურქმა. 1037-51 მეფე ბაგრატ IV-მ არაერთხელ სცადა თბილისის

დაკავება, მაგრამ ქვეყანაში არსებული არამყარი პოლიტიკური ვითარების გამო ეს შეუძლებელი გახდა. 1045 წელს თბილისის ხელისუფლება ქალაქის წარჩინებულთა – უხუცესთა საბჭოს ხელში გადავიდა. 1068 წ. თბილისი თურქ-სელჩუკთა სულთანმა ალფ-არსლანმა დალაშქრა და დაიკავა. XI ს. 80-იანი წლებიდან ქალაქს ისევ უხუცესთა საბჭო მართავდა. 1122 წელს უცხოელთა ბატონობისაგან ქალაქი გაათავისუფლა დავით IV აღმაშენებელმა. გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს დედაქალაქი ამიერიდან თბილისში გადმოიტანეს და მან სამეფო ქალაქის სტატუსი მიიღო. XII-XIII სს-ში თბილისი ეკონომიკურად ძლიერი, დიდი და კეთილმოწყობილი ქალაქი იყო, მისი მოსახლეობა 80 ათას კაცს აღწევდა. განვითარდა ვაჭრობა და ხელოსნობა, შეიქმნა ამქრული გაერთიანებები, ვაჭართა საკრედიტო კომპანიები – ორთაღები, ჩამოყალიბდა მოსახლეობის განსაკუთრებული სოციალური კატეგორია – მოქალაქეები. კიდევ უფრო გაიზარდა ქალაქის ფარგლები, ვარაუდობენ, რომ მასში შედიოდა ქაშვეთის ეკლესია და ლურჯი მონასტერი. მის კედლებს გარეთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარეუბანი იყო დიდუბე. გაიზარდა ქალაქი მტკვრის მარცხენა მხარესაც; ისნის ციხეში იყო სამეფო სასახლე. ამ ეპოქის თბილისი მრავალეროვანი ქალაქი იყო. ქართველი მეფეები ლოიალური პოლიტიკით ხელს უწყობდნენ სხვადასხვა ხალხისა და სარწმუნოების წარმომადგენელთა თანაცხოვრებას, რაც განაპირობებდა ქალაქის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრების სტაბილიზებას. თამარის მეფობის (1184-1213) პირველსავე წლებში თბილისის მოსახლეობის ზედაფენებში თავი იჩინა უფლებათა გაფართოებისაკენ მისწრაფებამ. ამ მიზნით მათ მოითხოვეს ახ. სამეფო საბჭოს (დარბაზის) ე.წ. „კარავის" დაწესება. 1226 წელს თბილისი ჯალალედინის სარდლობით ხვარაზმელებმა დალაშქრეს; ქალაქი სასტიკად აოხრდა, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურდა. XIII ს-ის 30-იან წლებში დედაქალაქი მონღოლებმა აიღეს. მათ არ მოშალეს ქართული სახელმწიფოებრიობა, თბილისი კვლავ ქვეყნის ცენტრი იყო. 1259 წელს თბილისელები მეფე დავით VI ნარინის მეთაურობით აუჯანყდნენ მონღოლებს. 1260 წელს აჯანყდა მეფე დავით VII ულუ. ორივე აჯანყება მონღოლებმა გაჭირვებით ჩაახშეს. XIV ს. 20-იანი წლებიდან – მონღოლთა ბატონობის გადაგდების

შემდეგ, თბილისი კვლავ სრულიად საქართველოს დედაქალაქია. 1366 წელს თბილისში გავრცელდა შავი ჭირის ეპიდემია, რომელმაც მოსახლეობის ნახევარი იმსხვერპლა. 1386 წ. თბილისი აიღო თემურლენგმა. საქართველოში მან 8-ჯერ ილაშქრა, აქედან 2-ჯერ დაარბია დედაქალაქი. ამ ლაშქრობების შემდეგ თბილისის საერთაშორისო მნიშვნელობა საგრძნობლად დაეცა. ალექსანდრე I დიდის მეფობის წლებში (1412-43) დაიწყო ქალაქის აღდგენითი სამუშაოები, მაგრამ ხელისუფლებამ ბოლომდე ვერ მიიყვანა თავისი გეგმა. გარეშე დამპყრობთა გამუდმებულმა თავდასხმებმა მოშალა ქალაქის ეკონომიკური ცხოვრება, პარტახდებოდა ქალაქის ცალკეული უბნები. 1444 წელს ქალაქი აიღო და დაარბია ქ. თავრიზის (ირანი) მფლობელმა ჯაჰან-შაჰმა; ამავე საუკუნის 70-იან წლებში თბილისი კვლავ სპარსელების ხელში იყო. 1490 წლიდან, საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, თბილისი მხოლოდ ქართლის სამეფოს პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრი გახდა. 1524 წელს იგი მეფე დავით X-მ გაათავისუფლა. 1524-41 წლებში ქალაქი მშვიდობიანად ვითარდებოდა. შეკეთდა ძველი და აშენდა ახალი შენობები, იმატა მოსახლეობამ, გამოცოცხლდა ვაჭრობა და ხელოსნობა. 1541 წელს ქალაქი ააოხრა ირანის შაჰმა – თამაზ I-მა. 1578 წელს ჩილდირის ბრძოლაში ოსმალთა გამარჯვების შემდეგ აღმ. ამიერკავკასია ოსმალთა გავლენას დაემორჩილა. თბილისი ახალი მტრის ხელში აღმოჩნდა. ქართლის მეფის სიმონ I-ის ცდა, გაეთავისუფლებინა ქალაქი ჯერ სპარსი, შემდეგ ოსმალო დამპყრობთაგან, უშედეგო იყო. 1609 წელს თბილისის მოურავი გახდა გიორგი სააკაძე. XVII ს. I მეოთხედში ირანის გამუდმებული აგრესიის პირობებში ქალაქი მნიშვნელოვნად დაინგრა. 1632 წლიდან, მას შემდეგ, რაც ქართლის გამგებლად როსტომი დაინიშნა, თბილისი კვლავ აღორძინდა. გამოცოცხლდა ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება. ხელისუფლება გარკვეულ თანხებს გამოყოფდა ქალაქის კეთილმოწყობისათვის. 1700 წლისთვის თბილისში 20 ათასი კაცი ცხოვრობდა. ქალაქის მცხოვრებთა ზედაფენას ქმნიდა ფეოდალური არისტოკრატია, მსხვილი ვაჭრები და სოვდაგრები, შემდეგ მოდიოდა ე.წ. მოქალაქეთა კატეგორია. მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ ნასყიდი, შეწირული და და ნებიერი ყმები, ხიზნები და ქალაქის გლახაკნი.

თბილისის უმაღლესი ხელისუფალნი იყვნენ მეფის მიერ დანიშნული მოურავი და მელიქ-მამასახლისი.
1709 წელს თბილისში დაარსდა სტამბა, სადაც პირველად დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი". 1723 წელს ქალაქი ოსმალებმა დაიპყრეს, 1735 წელს კი ირანის შაჰმა ნადირმა (ნადირ-შაჰი) აიღო. 1748 წ. იგი ერეკლე II-მ გაათავისუფლა. 1755 წელს ქალაქში დაარსდა ფილოსოფიის სემინარია. 1762 წ. თბილისი გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს დედაქალაქი გახდა. XVIII ს. 70-იან წლებში თბილისში იყო თოფხანა, ზარაფხანა, ქსოვილის სამღებროები, მარილის გამოსახდელი და თიხის ჭურჭლის საწარმოები. XVIII ს. ბოლოს ჩნდება მანუფაქტურული საწარმოებიც. მაგრამ ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებაში კვლავ გაბატონებული იყო წვრილი ხელოსნური მეურნეობა. 1795 წელს თბილისი აიღეს და დაარბიეს ირანის შაჰის აღა-მაჰმად-ხანის ჯარებმა. 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ თბილისი ახლად წარმოქმნილი საქართველოს გუბერნიის ცენტრი გახდა, აქვე იყო კავკასიის არმიის მთავარსარდლის სადგომი. 1845 წლიდან თბილისი კავკასიაში რუსეთის მეფისნაცვლის რეზიდენციაა. ქალაქის ტერიტორია საგრძნობლად გაიზარდა, დაგეგმარდა მისი ცენტრალური უბნები, იმატა ევროპული ტიპის შენობების რაოდენობამ. სწრაფად განვითარდა ქალაქის სამეურნეო და კულტურული ცხოვრება. სამრეწველო კაპიტალი თანდათან დევნიდა ადგილობრივ შინამრეწველურ წარმოებას. ბატონყმობის გაუქმებამ (1866), თბილის-ფოთის (1872), თბილის-ბათუმისა და თბილის-ბაქოს (1883) რკინიგზების გაყვანამ ახალი ბიძგი მისცა ქალაქის ეკონომიკურ აღმავლობას, გაიზარდა ფაბრიკა-ქარხნებისა და სავაჭრო-სახელოსნოების რიცხვი, საგრძნობლად იმატა შრომაში დასაქმებულთა რაოდენობამ. 1819 წელს თბილისში გამოვიდა პირველი პერიოდული გამოცემა - „საქართველოს გაზეთი", 1828 წლიიდან „თბილისის უწყებანი" (ქართულ და რუსულ ენებზე). აღდგა ქართული თეატრი, XIX ს. II ნახევარში თბილისში იყო ტყავის დასამუშავებელი ქარხნები, თამბაქოს ფაბრიკები და სხვა სამრეწველო საწარმოები, მათ შორის უდიდესი – ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოები 1883 წელს გადმოიტანეს სადგურ მიხაილოვოდან (ხაშური). თბილისის საფაბრიკო-საქარხნო წარმოების ხვედრითი წონა

ჯერ კიდევ მცირე იყო. მნიშვნელოვნად ჭარბობდა წვრილი სახელოსნოები. საგლეხო რეფორმის წინ. რეფორმის შემდგომ პერიოდში დაიწყო ქალაქის საშუალო და დაბალი კატეგორიის მოსახლეობის მკვეთრი სოციალური დიფერენციაცია. მისი შედეგი იყო 1865 წ. 27 ივნისს დაწყებული თბილისის ამქართა გამოსვლა. 1897 წლისთვის ქალაქის მოსახლეობამ 160 ათას კაცს მიაღწია. საკმაოდ გაფართოვდა ქალაქი, კეთილმოეწყო ცენტრალური ქუჩები: გოლოვინის (ახლანდელი რუსთაველის პროსპექტი) და მიხეილის (ახლანდელი აღმაშენებლი პროსპექტი). თბილისში მრავლად იყო ადგილობრივი, რუსეთისა და უცხოეთის კომერციული სააგენტოები, სადაზღვევო სააგენტოები, სატრანსპორტო კომპანიები, საბანკო-საკრედიტო დაწესებულებები. გაიხსნა სპარსეთის, ოსმალეთის, საფრანგეთის, შვეიცარიის, ბელგიის სახელმწიფოთა საკონსულოები. 1882-83 წლებში თბილისში გამოჩნდა ცხენის რკინიგზის პირველი ვაგონები ე.წ. „კონკები". 1904 წელს ამუშავდა ვიწროლიანდაგიანი ელექტროტრამვაი. XIX ს. II ნახევრიდან ქალაქი ფოტოგენის ნათურებით ნათდებოდა. 1897 წელს დაიწყეს ელექტროგანათება. 1861 წ. თბილისში გაიყვანეს პირველი წყალსადენი, იგი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას. 1887 წ. ავჭალიდან გაიყვანეს უფრო დიდი ტევადობის წყალსადენი. 1869 წელს არსენალის მუშებმა მოაწყვეს თბილისში პირველი ორგანიზებული პოლიტიკური გამოსვლა. 1872 წ. გაიფიცნენ მირზოევის საფეიქრო ფაბრიკის მუშები. 1892 წ. შეიქმნა პირველი ს.-დ. ჯგუფი - „მესამე დასი". 1898-1900 წლებში ამ ჯგუფში გამოიყო რევოლუციურ მარქსისტული ფრთა, რომელშიც შედიოდნენ ლ. კეცხოველი, ი. სტალინი და ა. წულუკიძე. 1901-02 წლებში თბილისის ს.-დ. ორგანიზაცია სცემდა ლენინურ-ისკრულ მიმართულების გაზეთ „ბრძოლას". თბილისი აქტიურად იყო ჩაბმული 1905-07 რევოლუციაში. ასეთივე დამოკიდებულება გრძელდებოდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დროსაც. 4 მარტს შეიქმნა თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭო, რომლის უმრავლესობას მენშევიკები შეადგენდნენ. 6 მარტს საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ქალაქის ბურჟუაზიულ სათათბიროსთან ერთად შექმნილიყო ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო. ახლად შექმნილმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ხელში აიღო

ქალაქის ადმინისტრაციული ხელისუფლება. თბილისი არ იყო ტიპიური სამრეწველო ქალაქი, წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს აქ უფრო ფართო ასპარეზი ჰქონდათ. ამიტომ თებერვლის რევოლუციის შემდეგ პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირზე მენშევიკები და ესერები ადმოჩნდნენ. 11 მარტს გამოვიდა ბოლშევიკების ლეგალური გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი", ხოლო 4 ივნისს ქართულ ენაზე – ბოლშევიკური გაზეთი „ბრძოლის", (ფ. მახარაძის რედაქტორობით) პირველი ნომერი. 4 ივნისს შედგა ბოლშევიკების საერთო საქალაქო კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მენშევიკებისაგან სრული გათიშვის შესახებ. 1917 წ. 3 სექტემბერს თბილისის ავლაბრის კლუბის საზამთრო შენობაში, ბოლშევიკების ინიციატივით მოიწვიეს მუშა, ჯარისკაცი და ინტელიგენტი ახალგაზრდობის კრება; შეიქმნა ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკი" – ლენინური კომკავშირის ჩანასახი საქართველოში. 1917 წლის 25 ოქტომბრის რევოლუციის ამბავი თბილისში იმავე დღესვე გაიგეს. ქალაქში მღელვარება დაიწყო. 1918 წ. 10 თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატმა თბილისში მოიწვია ხელისუფლების უმაღლესი ორგანო ე.წ. ამიერკავკასიის სეიმი. სეიმის გახსნის დღეს თბილისში ალექსანდრეს ბაღთან გაიმართა მიტინგი. 1920 წლის 2-3 მაისს თბილისში ბოლშევიკებმა სცადეს მთავრობის დაწესებულებათა ხელში ჩაგდება, მაგრამ ცდა უშედეგოდ დასრულდა. ხელისუფლებამ აჯანყების ხელმძღვანელები დააპატიმრა. 1920 წლის 3 ივნისს თბილისში ქართულ ენაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) ცენტრ. და თბილ. კომიტეტების ორგანოს - „კომუნისტის" – პირველი ნომერი. 1920 წლის მიწურულს ბოლშევიკებმა შეძლეს საქართველოს ბევრ რაიონში აჯანყების ორგანიზება. ეს კარგი საბაბი იყო იმისათვის, რათა ვ. ლენინს მითითება მიეცა საქართველოს საზღვართან მყოფ მე-11 წითელ არმიისთვის დაძრულიყვნენ მათ დასახმარებლად. 16 თებერვალს მე-11 წითელი არმიის მეწინავე რაზმებმა გადალახეს საზღვარი და განაგრძეს წინსვლა თბილისის მიმართულებით. საქართველოს მენშევიკურმა სარდლობამ თბილისის მიდამოებში – კოჯორთან და სოღანლუღთან განალაგა საგანგებოდ შერჩეული ჯარის ნაწილები. 24 თებერვალს ბრძოლები ქალაქის მისადგომებთან წარმოებდა. თბილისის დაცვა უიმედო იყო. მენშევიკებმა ღამით

დაიწყეს ქალაქიდან ჯარის გაყვანა. 25 თებერვალს დილით თბილისში მე-11 წითელი არმიის ნაწილები შევიდა. იმავე დღეს გ. ორჯონიკიძემ უდეპეშა ვ. ლენინს და ი. სტალინს: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს.”

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში თბილისის სამრეწველო დონე დაბალი იყო. თანდათან მწყობრში ჩადგა მრავალი ახალი საწარმო.

დიდი იყო თბილისელების წვლილი 1941-45 წლების სამამულო ომში. საბჭოთა კავშირის დასავლეთი რაიონებიდან თბილისში ევაკუირებული იყო სამრეწველო საწარმოთა ნაწილი. თბილისის მრეწველობა უშვებდა მრავალი სახის სამხედრო იარაღსა და საჭურველს. თბილისში იყო კავკასიის ფრონტის სარდლობის შტაბი. ათასობით თბილისელი იბრძოდა ფრონტზე. მათგან 24 კაცს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ომის შემდგომ წლებში თბილისმა დიდი როლი ითამაშა მთლიანად ქვეყნის აღდგენით და აღმშენებლობით საქმეში.

მატერიალური კულტურის ძეგლები. თბილისი ვიწრო ზოლადაა გაჭიმული მდ. მტკვრის ორივე ნაპირის გასწვრივ და ამფითეატრივითაა შეფენილი სამი მხრიდან მთებით შემოფარგლული ქვაბულის ფერდობებზე. თბილისის ისტორიული ნაწილი უშუალოდ ქალაქის ცენტრს ემიჯნება. თბილისის ძველი უბნები ქალაქის სამხრეთ ნაწილშია, ცხელ მინერალურ წყაროებთან, სადაც IV საუკუნეში მდ. მტკვრის ყველაზე ვიწრო ადგილზე აუგიათ ხიდი, ხოლო მარჯვენა ნაპირზე, მთაზე და მის კალთებზე, - ციტადელი (სხვადასხვა დროს ეწოდებოდა კალა, ნარიყალა, დედა-ციხე), რომელიც ადრინდელ ფეოდალური ხანის ციხე-ქალაქის შემდეგ ქართლის დედაქალაქის – თბილისის მთავარი ხუროთმოძღვრული დომინანტი იყო. V-VI სს. მიჯნაზე ააგეს ანჩისხატის ეკლესია, VII ს. I ნახევარში – სიონის ტაძარი და სხვა.

განვითარებულ ფეოდალურ ეპოქაში გაერთიანებული საქართველოს სამეფოს დედაქალაქი თბილისი დიდი, მაღალი კედლებითა და ციხე-კოშკებით დაცული, კეთილმოწყობილი, მდიდარი ქალაქი იყო. გაიზარდა ქალაქის ტერიტორია. სავარაუდოა, რომ ქაშვეთის ეკლესიის, ლურჯი მონასტრის მიმდებარე უბნები ქალაქის საზღვრებში შედიოდა, დიდუბე კი გარეთუბანი იყო. საკმაოდ დიდი დასახლება გაჩნდა მტკვრის

მარცხენა ნაპირზე, ისნის (ავლაბარი) უბანში. აქვე მეტეხთან იყო მეფის სასახლე. ჩამოყალიბდა ფეოდალური თბილისის დამახასიათებელი სილუეტი: მდინარის მარჯვენა ნაპირზე ნარიყალას ციხე-სიმაგრე, მარცხენაზე - კლდის ციცაბო ქარაფზე – გალავნით შემოფარგლული მეფის სასახლე (არ შემორჩენილა) და მეტეხის ეკლესია.

გვიანდელი ფეოდალური ხანის თბილისის არქიტექტურაზე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ შემორჩენილიო ჩანახატებით (შარდენი, ტურნეფორი) და ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი (1735) ქალაქის გეგმითა და აღწერით. XVII-XVIII სს-ში თბილისი 4 ნაწილისაგან შედგებოდა: 1. სეიდაბადი ანუ „საკუთრივ ტფილისი" – ქალაქის უძველესი, მინერალური წყლების რ-ნი; 2. კალა – ქალაქის უმთავრესი ნაწილი; იგი შემოფარგლული იყო ციხე-გალავნით, რომელსაც 6 კარი ჰქონდა; 3. ისნის (ისანი, ავლაბარი) – მეტეხის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის დასახლება; 4. გარეუბანი – საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ტერიტ. ქალაქის ზღუდის ჩრდ-ით, ქალაქს გარს ერტყა (განსაკუთრებით სალალაკის უბანში) „წალკოტნი და სავარდენი ყოვლის ხილითა და ყვავილითა სავეს". ამ ხანის თბილისის გეგმარება ტიპურია შუა საუკუნეების ფეოდალურ ქალაქისათვის – ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩების, შესახვევებისა და ჩიხების ქსელი. ადმინისტრაციულმა და ფუნქციურმა ცენტრმა გადმოინაცვლა კალაში – მეფის მოედანზე (ახლანდელი ერეკლე II-ის მოედანი) და სიონისა და ანჩისხატის შემაერთებელი ქუჩის გასწვრივ (ახლანდელი სიონის, ერეკლე II-ის და შავთელის ქუჩები). შეიძლება აღვადგინოთ ამ პერიოდის თბილისის ხუროთმოძღვრული სახე – მთელი განაშენიანება მდინარესაკენ არის მიმართული – მის ნაპირებზეა მთავარი ეკლესიები, „მტკვარგადაკიდებით" ნაგები სასახლეების, ქარვასლების, ფერდობებზე ტერასებად შეფენილი „ქვითკირითა და გაჯით გალესილი" ერთსართულიანი ბანიანი სახლების ფასადები.

აღა-მაჰმად-ხანს გამანადგურებელი შემოსევის (1795) შედეგად საერო ხასიათის ნაგებობებიდან არაფერი შემორჩა გარდა მეფე როსტომის სასახლის აბანოს (შემდგომში აქ ზარაფხანა იყო) ნაშთებისა.

XIX ს. დამდეგიდან თბილისი ამიერკავკასიაში მეფის რუსეთის ხელისუფლების ადმ. ცენტრი, სწრაფად ვითარდება და

იზრდება. ისპობა ქალაქის გალავანი და კარები. თავდაპირველად ქალაქი იზრდება გარეთუბნის ხარჯზე, შემდეგ ახალი კვარტლები იკავებს სოლოლაკის ბაღებს. 40-იანი წლებიდან იწყება მდინარის მარცხენა ნაპირის სოფლების კულიისა და ჩუღურეთის განაშენიანება. ქალაქის ადმინისტრაციულმა კულტურულმა და სავაჭრო ცენტრმა გარეთუბანში გადაინაცვლა. მდინარის მარჯვენა მხარეს ყალიბდება ქალაქის მთავარი არტერია გოლოვინის პროსპექტი და ოლღას ქუჩა, მარცხენა მხარეს კი მოგვიანებით (XIX ს. შუა წწ.) ქალაქის მეორე გრძივი მაგისტრალი – მიხეილის პროსპექტი. აშენდა ხიდები – ვორონცოვისა (1851, არქიტექტორი სკუდიერი), ვერისა (1884, ინჟ. პ. ზამიატინი, არქიტ. ს. უმანსკი. 1953 წელს მის ადგილზე აიგო ახალი – ი. სტალინის სახ. ხიდი.), მუხრანისა (1911, ინჟ. ე. პატონი. შედუღების წესით აგებული პირველი ხიდი რუსეთის იმპერიაში; 1965 წ. იგი შეცვალა ახალმა – ბარათაშვილის სახ. ხიდმა.)

თბილისის ქალაქთმშენებლობით პრაქტიკაში ინერგება გეგმიანი საწყისები. ახალი უბნების განაშენიანება შედარებით რეგულარულ ხასიათს ატარებს. ცენტრალურ უბნებში (გარეთუბანი, კუკია) ნელა მაინც ტარდება, კეთილმოწყობითი სამუშაოები, გაშენდა რამდენიმე საზოგადოებრივი ბაღი და სკვერი – წავკისის ხეობაში ყოფილი სამეფო ბაღების ადგილზე, სახაზინო ბაღის ნაცვლად გაიხსნა (1845) ბოტანიკური ბაღი; ასპარეზის (ყაბახის) ადგილზე – ალექსანდრეს ბაღი (1859, არქ. ო. სიმონსონი;), დიდუბის უბანში – ე.წ. მუშტაიდის ბაღი (40-იანი წწ.) და სხვა.

თბილისში გაჰყავთ ჯერ კონკა (პირველი ხაზი - 1883), შემდეგ ტრამვაი (პირველი ხაზი - 1904); მამადავითის მთაზე აგებენ ფუნიკულიორს (1905).

XX ს. პირველ ათეულ წლებში თბილისის განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრები ვრცელდებოდა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე – ძვ. ქალაქიდან ვარაზისხევისა და მდ. ვერემდე (დაწყებული იყო ვაკისა და საბურთალოს დასახლებაც), ხოლო მარცხენა ნაპირზე ისნიდან და ნავთლუღიდან დიდუბემდე და ღრმაღელემდე.

მაგრამ რევოლუციამდე თბილისს არ გააჩნდა ერთიანი გეგმა. ყურადღება არ ექცეოდა ქალაქის რელიეფს, ბუნებრივი მონაცემების მხატვრულად გააზრებულ გამოყენებას (მაგ.,

დაიკარგა ქალაქსა და მდინარეს შორის მხატვრულ-გეგმარებითი კავშირი). ამ პერიოდისათვის თბილისი ჩამოყალიბდა როგორც ტიპური ბურჟუაზიული ქალაქი: შედარებით კეთილმოწყობილ ცენტრალურ უბნებს უპირისპირდებოდა მუშათა განაპირა კეთილმოუწყობელი დასახლებები. ძირითადად განაშენიანება ერთ და ორსართულიანი იყო. მხოლოდ ცენტრალურ უბანსა და მთავარი მაგისტრალების გასწვრივ შენდებოდა მრავალსართულიანი სახლები.

XIX ს. დასაწყისიდან 60-იან წლებამდე თბილისის ოფიციალურ მშენებლობაში ინერგებოდა რუსეთის იმპერიაში იმ დროს გავრცელებული ე.წ. გვიანდელი რუსული კლასიციზმი: მთავარმართებლის სახლი (1802; 1807 აააგეს უფრო მოზრდილი სასახლე; 1865-68 გადააკეთეს და გააფართოვეს არქიტ. ო. სიმონსონის პროექტით; ნაგებობამ ამ სახით მოაღწია დღემდე. ახლანდელი პიონერთა სასახლე), ყოფილი შტაბის შენობა (საფუძველი ჩაეყარა 1824), ი. ზუბალაშვილის სახლი. (30-იანი წწ., არქიტ. ბერნარდაცი. შემდეგ აქ სასულიერო სემინარია იყო; ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმი) და სხვა. ამ ხანებში აშენებული ქარვასლებისა და აბანოების არქიტექტურაში (განსაკუთრებით ინტერიერში) კვლავ რჩება აღმოსავლეთის არქიტექტურის გავლენა.

XIX ს. 40-იანი წლებისათვის ყალიბდება ორ და სამსართულიანი ე.წ. თბილისური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურა. მასში ორგანულად არის შერწყმული კლასიცისტური ფორმები, ელემენტები და ადგილობრივი ტრადიციები. კლიმატურ პირობებს ითვალისწინებს სახლის თითქმის მთელი ფასადის გასწვრივ მიშენებული ღრმა, მოხარატებული ხის აივანი, რომლის ფართობი ხშირად ჭარბობს ოთახების ფართობს. ამის საუკეთესო ნიმუშები გვხვდება როგორც ძველი ქალაქის ფარგლებში, ასევე შედარებით ახალ უბნებში.

XIX ს. II ნახევრიდან თბილისის არქიტექტურაში გაჩნდა ახალი ტიპის ნაგებობები – შემოსავლიანი საცხოვრებელი სახლები, ფაბრიკა-ქარხნები, ბანკები, დიდი მაღაზიები და სასტუმროები; რკინიგზის სადგური, საგამოფენო პავილიონები და სხვა სახლები შენდება სხვადასხვა ისტ. სტილის მიბაძვით, დამკვეთის გემოვნებით. ამ ხანის ნაგებობათაგან აღსანიშნავია:

სახაზინო თეატრი (1851, არქიტ. სკუდიერი; დაიწვა 1874. შემდეგ აქ თამაშევის ქარვასლა იყო. აიღეს 1934), მთავარმართებლის რეკონსტრუირებული სასახლე, სამხ. ტაძარი (1897, არქიტ. რ. გედიკე, დ. გრიმი; ახლანდელი მთავრობის სახლის ადგილას), ქალაქის საბჭოს შენობა (80-იანი წწ. არქიტ. ა. შტერნი), სახაზინო თეატრი (1880-96, არქიტ. ვ. შრეტერი; ახლანდელი ოპერისა და ბალეტის თეატრი; რეკონსტრუქცია 1976), დიდების ტაძარი (80-იანი წწ.), არტისტული საზოგადოების თეატრი (1901 არქიტ კ. ტატიშჩევი, ა. შიმკევიჩი; ახლანდელი რუსთაველის სახ. დრამატული თეატრი), ქართული გიმნაზია (1906, არქიტ. ს. კლდიაშვილი; ახლანდელი თსუ-ის მთავარი კორპუსი), სასტუმრო „მაჟესტიკი" (XX ს. 10-იანი წწ. არქიტ. გ. ტერ-მიქელოვი; ახლანდელი სასტუმრო „თბილისი") და სხვა. XIX ს. მიწურულში შეიმჩნევა „მოდერნის" მომძლავრება. ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების გავლენით ძლიერდება აგრეთვე ინტერესი ქართ. ისტორიული არქიტექტურისადმი – შენდება „ქართული სტილის" რამდენიმე საზ. და საცხ. სახლი: საუფლისწულო უწყების ღვინის სარდაფი (1896, არქიტ. ა. ოზეროვი), ქაშვეთის ახ. ეკლესია (1910, არქიტ. ლ. ბილფელდი), სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი (1916, არქიტ. ა. კალგინი, ახლანდელი ეროვნ. ბიბლიოთეკა) და სხვა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, განსაკუთრებით 30-იანი წლებიდან ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები თბილისის სარეკონსტრუქციო და კეთილმოწყობითი სამუშაოებსაც შეეხო. სოციალ. ყოფის გავლენით თბილისის არქიტექტურაში გაჩნდა ახ. სახის ნაგებობები – მუშათა კლუბები, საბავშო ბაღები და ბაგები, კულტურისა და დასვენების პარკები და სხვ. დაიწყო საცხოვრებელი კვარტალების კომპლექსური დაპროექტირება და მშენებლობა.

ახლა კი თვალი გადავავლოთ დღემდე შემორჩენილ დედაქალაქის იმ უძველეს ძეგლებს, რომლებიც თბილისის თვალწარმტაც სურათებს ქმნიან:

ნარიყალა ქალაქის ძველი ციტადელი – დედაციხე ანუ კალა, რომელსაც XVIII ს-დან უწოდებენ. თბილისის მთავარი ციხესიმაგრე, მისი დედა-ციხე ოდითგანვე მთის სხვადასხვა სიმაღლის ბაქნებზე განლაგებულ რთულ ფორტიფიკაციურ ნაგებობას წარმოადგენდა. ციხის პატრონები პრაქტიკულად

ქალაქს ფლობდნენ. XVII საუკუნის სპარსი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში აღტაცებული წერს ციხის შეუვალობას.
თავდაპირველად ნარიყალა ციტადელის ყველაზე მაღალ ნაწილს ეწოდებოდა, შემდგომში კი სახელწოდება მთლიანად „ზემო ციხეზე" გავრცელდა. მკვლევართა აზრით, თბილისის ციხის სახელწოდება ორი ნაწილისაგან „ნარინ" და „ყალასაგან" შედგება. „ნარინ" მონღოლურ „მცირეს" შეესატყვისება, ხოლო „ყალა" თუ „კალა" წინა აზიაში გავრცელებული ტერმინია და ციხეს ნიშნავს. ძნელად თუ მოიძებნება მეორე ციხესიმაგრე, რომელსაც ესოდენ ბობოქარი ისტორია ჰქონდეს. ნგრევა, აღდგენა, შეკეთება, დაშენება ერთმანეთს ცვლიდა. შემორჩენილი კედლები წყობის ხასიათით განსხვავდებიან და ჭრელ სურათს ქმნიან. უმეტესად აგურებით მოჩარჩოებული კედელი უხეშად თლილი ქვითაა ამოყვანილი, ნაწილი კი მთლიანად აგურითაა ნაგები. პირველი მათგანი შუა საუკუნეებს განეკუთვნება, მეორე კი უფრო გვიანდელია. ყველაზე ადრინდელ ნაწილს ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში შემორჩენილი კოშკის ფრაგმენტი წარმოადგენს, რომელიც თლილი ქვითაა ამოყვანილი და შესაძლოა დაარსების დროიდან მოდის.
ნარიყალაზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა საინტერესო შედეგები გამოიღო. გაითხარა და გაიწმინდა XIII საუკუნის სასახლისეული ეკლესიის ნაშთები, რომელიც, როგორც ჩანს, აუფეთქებიათ და დაუწვავთ. მიაკვლიეს აგრეთვე ისეთ მასალას საშუალებას რომ აძლევს მკვლევარებს ივარაუდონ, აქ უფრო ადრე აგებული ტაძარიც უნდა ყოფილიყო.
შაჰტახტი ციხის გალავანი ნარიყალადან სოლოლაკის ქედს მიუყვებოდა და მთავრდებოდა ე.წ. შაჰტახტთან – მძლავრ ფირტიფიკაციურ კომპლექსთან, რომელიც ქალაქს დასავლეთიდან იცავდა. შაჰტახტის ნარჩენები დღესაც აღმართულია. ცალკეული ცნობებით, შაჰტახტში IX საუკუნიდან ჩნდება არაბების მიერ დაარსებული ობსერვატორია. თბილისის ობსერვატორიას იხსენიებს X საუკუნის არაბი გეოგრაფი ალ-ისტაბრი. ობსერვატორიამ 1837 წლამდე იარსება.
თბილისის აბანოები ა. ს. პუშკინი აღნიშნავდა: „არაფერი შემხვედრია არც რუსეთში, არც თურქეთში თბილისის აბანოებზე უფრო მშვენიერი."

აბანოების უბანი თბილისის უძველესი ნაწილია. სწორედ აქ აღმოცენდა პირველი დასახლება, აქ დაირწა საქართველოს დედაქალაქის აკვანი. აბანოების უბანი იწყება გორგასალის მოედნის ოდნავ ქვემოთ, ვრცელდება წავკისის წყლის ხეობის ბოლომდე და თაბორის მთის კალთის მცირე მონაკვეთზე. გოგირდოვანი ცხელი წყლის წყაროები თაბორის მთიდან იღებენ სათავეს. თბილისურ თერმულ წყლებს მაღალი სამკურნალო თვისებები გააჩნიათ. წყაროების ტემპერატურა მერყეობს 24-დან 47-მდე.

თბილისის აბანოები მოიხსენიება ძველ საბუთებში და მოგზაურთა აღწერებში. X საუკუნის არაბი გეოგრაფის სიტყვებით: „აქ წყალი უცეცხლოდ დუღს.” ძველი თბილისის აბანოებს მხოლოდ ჰიგიენური დანიშნულება როდი ჰქონია. ისინი გარკვეულ საზოგადოებრივ დანიშნულებასაც ასრულებდნენ. ძველი თბილისის ჩვევების მცოდნე და მეხოტბე ი. გრიშაშვილი წერდა: „წინათ აბანო მსურველთათვის ყოველთვის ღია იყო, ხალხს გათენებამდე შეეძლო შიგ ყოფნა. აბანო ზოგჯერ სოფლიდან ჩამოსული გლეხისათვის სასტუმროს დანიშნულებასაც ასრულებდა... ორ შაურად მთელ ღამეს აბანოში არხეინად ეძინა” ან კიდევ: „აბანოში ქალები მთელი დღით რჩებოდნენ, იქვე საუზმობდნენ და სადილობდნენ კიდეც. მერე ჩაის სმა იწყებოდა. ქალს ახალი ტანისამოსი უეჭველად აბანოში უნდა ჩაეცვა.. ეს იყო მათი კლუბიცა და თეატრიც.” აბანოებში დროსტარება ხშირად ფინალი იყო თბილისელი მოქეიფე ბოჰემისათვის.

თბილისის აბანოები, ისევე როგორც ქალაქის სხვა ნაწილები, არაერთხელ დაუნგრევიათ, აღუდგენიათ, გადაუკეთებიათ. ჩვენამდე მოღწეული აბანოების უმეტესობა XVII საუკუნით თარიღდება. აბანოების სახელი მისი მფლობელის ვინაობას ასახავდა (ერეკლეს, მეითრის, ენალას აბანოები) ან რაიმე ნიშან-თვისებიდან გამომდინარეობდა: („გრილი აბანო”, „ჭრელი აბანო,” „პატრუქის აბანო”), აბანოების დიდ ნაწილს ირანული არქიტექტურის კვალი აჩნია (თაღების, ნიშნების წაისრული მოხაზულობა). აღმოსავლურ ფორმებში გადაკეთდა XIX საუკუნეში ე.წ. „ჭრელი აბანოც.” მან სახელი მიიღო სხვადასხვა ფერის შორენკეცებიდან, რომლებითაც მოპირკეთებულია კუთხეებში მინარეთების მსგავსი კოშკებით დაგვირგვინებული პორტალი. აქ, ისევე როგორც სხვა

აბანოებში, დარბაზები მიწის დონის ქვევით არის განლაგებული და გადახურულია კამარებით. დარბაზები გუმბათოვანი კამარების თავზე მოწყობილი სასინათლო ფარნებით ნათდება. ვრცელი დარბაზები მარმარილოთია მოპირკეთებული. ბებუთას (გვიან „საგარნიზონო") აბანოს გეგმარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პირდაპირი დანიშნულების გარდა, მას საზოგადოებრივი შენობის ხასიათიც ჰქონია. ვრცელი დარბაზის იატაკი ფილებითაა მოპირკეთებული და სფერული გუმბათითაა გადახურული. ადრე კამარა და კედლები ფერწერული ნიმუშებით იყო დაფარული. დარბაზის შუაგულში, აუზებია მოწყობილი, ხოლო კედლებში დატანილ ნიშებში მასაჟისათვის განკუთვნილი ქვის საწოლები დგას. სააბაზანო დარბაზის წინ ასევე სფერული გუმბათით გადახურული რვაწახნაგიანი ვესტიბიული მდებარეობს.

აბანოების უბანში და მიმდებარე ტერიტორიაზე უწინ ბაღები იყო გაშენებული. ახლა აბანოების უბანში სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების შედეგად პირველ ყოვლისა განახლდა ერეკლეს აბანოების კომპლექსი. ფეოდალურ თბილისში კიდევ ერთი აბანო იყო თვით კალაში. იგი სასახლის კომპლექსში შედიოდა და კომპლექსის აღმშენებელი მეფე როსტომის (1632-1658) სახელით არის ცნობილი („როსტომის აბანო"). შენობა შემორჩენილია. მისი გუმბათები მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გადის. იქ მისვლა ერეკლეს მოედნიდანაც შეიძლება. შენობის კედლები კვადრატული ფორმის ბრტყელი აგურითაა ამოყვანილი. რვავე ოთახი გუმბათითაა გადახურული და ზემოდან ნათდება. სქელ კედლებში ისრულთაღიანი ნიშებია მოწყობილი. ერთ-ერთ ოთახში შემორჩენილია „სგრაფიტოს" ტექნიკით შესრულებული ორნამენტის ფრაგმენტი.

ანჩისხატი თბილისის ძველ უბანში (კალაში) მდებარეობს. ეკლესია ღვთისმშობლის სახელობისაა, აშენებულია VI ს-ის დასაწყისში. ვახტანგ გორგასლის ძისა და მემკვიდრის დაჩი უჯარმელის დროს. ანჩისხატი ეკლესიას XVIII ს-ში ეწოდა, როცა აქ დაასვენეს სამხრეთ საქართველოში თურქების დამკვიდრების დროს ანჩის მონასტრიდან წამოღებული ძველი „ხელთუქმნელი ხატი," მოჭედილი ბექა ოპიზარის მიერ XII ს-ის ბოლოს.

სამნავიანმა ბაზილიკამ ჩვენამდე საგრძნობი გადაკეთებებით მოაღწია, რომელთა უმრავლესობა XVII საუკუნით თარიღდება.

გადაკეთებები შეეხო როგორც გარე სახეს, ასევე ინტერიორს და განსაკუთრებით – შენობის მაღალ ნაწილებს. აბსიდას, მთავარ თაღს, საკურთხევლის სარკმელს შენარჩუნებული აქვთ პირვანდელი ნალისებრი მოყვანილობა, რაც დამახასიათებელია ქართული ადრექრისტიანული ხანის არქიტექტურისათვის. 1958 წელს სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნოებმა (არქიტექტორი რ. გვერდწითელი) ჩაატარეს მნიშვნელოვანი სარესტავრაციო სამუშაოები ძეგლის გვიანდელი დანაშრევებისაგან განთავისუფლების მიზნით. იატაკის დონე დაწიეს 1,5 მ-ით პირვანდელ დონემდე, მოარღვიეს XIX საუკუნეში დასავლეთის ფასადზე მიშენებული სამრეკლო და ბაზილიკაზე დაშენებული ცრუ გუმბათი. სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად საკურთხევლის აბსიდაში გაიხსნა XVII საუკუნის ფრესკების ფენა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადების პირნაკეთობასა და ასევე სამხრეთის ფასადის ქვედა ნაწილზე ნათლად იკითხება უძველესი წყაროები, რომლებიც თარაზულნაკერიანი გლუვად დამუშავებული კვადრებითაა ამოყვანილი. გვიანდელი სამრეკლოს მოშლის შედეგად დასავლეთის ფასადზე გამოჩნდა მედალიონში ჩასმული ჯვრის გამოსახულება და შესასვლელის თავზე მოქცეული ნალისებრი ფორმის ლუნეტი. ანჩისხატის ბაზილიკა ქართული ადრექრისტიანული ეპოქის უმნიშვნელოვანესი ძეგლია.

ბაზილიკის დასავლეთის ფასადიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით, შედარებით მაღალ ნიშნულზე დგას ორიარუსიანი სამრეკლო, რომლის ქვედა ნაწილიც თაღოვანი გასასვლელია. დაბლა მდგარი ბაზილიკისაკენ კიბეებს ჩავყავართ, გასასვლელის თავზე, მეორე სართულზე საცხოვრებელი სათავსოა, რომლის ინტერიერი დამუშავებულია ისრული თაღებითა და ნიშებით. ნაგებობა, ქვითნაშენი სამრეკლოს გამოკლებით, აგურით არის ამოყვანილი. აგურითვეა ნაგები სამრეკლოს კარვისებული გუმბათიც. კარიბჭის თავზე მოქცეული წარწერა გვაუწყებს, რომ სამრეკლო აგებულია ქართლის კათალიკოსის დომენტის მიერ 1675 წელს. ე.ი. იმ ხანაში, როდესაც საქართველო პოლიტიკურად დამოკიდებული იყო ირანზე, რამაც კვალი დაამჩნია იმდროინდელი შენობების არქიტექტურას და მათ შორის – ანჩისხატის სამრეკლოს (აგურის წყობის ხასიათი, ისრული თაღები და ნიშნები).

სიონი ტაძარს სახელი იერუსალიმის სიონის მიხედვით შეერქვა და ღვთისმშობლის სახელზეა აგებული. კათედრალური ტაძარი განაშენიანების ხაზის სიღრმეში დგას და დასავლეთის ფასადით სიონის ქუჩაზე გადის, ხოლო აღმოსავლეთის ფასადით – სანაპიროსაკენ. გადმოცემით იგი იყო ერთი იმ ეკლესიათაგანი, რომელიც ვახტანგ გორგასალმა ააგო თბილისში V ს-ის II ნახევარში 570-80-იან წწ-ში. ქართლის ერისმთავარმა გუარამ კურაპალატმა საფუძველი დაუდო სიონის ახალ ტაძარს, რომელიც დასრულდა ერისმთავარ ადარნასეს გამგებლობის ხანაში 620-იან წლებში.

თბილისის უმთავრესმა ქრისტიანულმა სამლოცველომაც გაიზიარა ქალაქის ისტორიის ბედუკუღმართობა. ეკლესია არაერთხელ დაუნგრევიათ და გაუძარცვიათ. 1226 წელს ხვარაზმელთა შაჰმა ჯალალედინმა ჩამოანგრია ეკლესიის გუმბათი და ტაძარში კარავი დადგეს. თუმცა მალევე აღადგინეს. ტაძარი მნიშვნელოვნად დაზიანდა თემურ ლენგის, ხოლო შემდგომ სპარსელების შემოსევისას XVI და XVII საუკუნეებში. როგორც გარედან, ასევე ტაძრის შიგნითაც რამდენიმე სამშენებლო შრე გაირჩევა და ამიტომ ძნელია ჩვენამდე მოღწეული სიონის არქიტექტურა მივაკუთვნოთ რომელიმე ერთ კონკრეტულ ეპოქას. მისი დღევანდელი კომპოზიცია, როგორც ჩანს, XI-XII საუკუნეებშია ჩამოყალიბებული. ტაძარი ბოლნისის ტუფით მოაპირკეთეს 1710 წელს. ტაძარი ცენტრალურგუმბათოვანი ნაგებობაა, წახნაგებიანი აბსიდების სახით განვითარებული აღმოსავლეთის ნაწილით. გუმბათი საკურთხევლის კედლებსა და ორ ბურჯზე ამოყვანილ კამარებს ეყრდნობა. კამარებს და თაღებს ისრული მოხაზულობა აქვთ, რაც XVI საუკუნის გადაკეთებით აიხსნება. გარე მოჩუქურთმება თავშეკავებული და სადაა. შედარებით მდიდრულად არის ორნამენტირებული გუმბათის ყელი.

ინტერიერის მოხატულობა 1851-1855 წწ-ში არის შესრულებული გრიგოლ გაგარინის მიერ. მანვე შეადგინა კანკელის პროექტიც. სიონის ტაძარში ინახება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უდიდესი სიწმინდე – წმ. ნინოს ჯვარი.

1978 წელს საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივით სიონზე დაიწყეს სარესტავრაციო სამუშაოები. გახსნილი ცოკოლის ძველი წყობა გეგმის პირვანდელი მოხაზულობის წარმოდგენის საშუალებას იძლევა.

ტაძრის ჩრდილოეთით მდგომი სამრეკლო 1425 წელსაა აგებული. სპარსელების 1795 წლის შემოსევისას დაინგრა მისი ზედა ნაწილი, რომელიც ჩვენს დროში აღდგა. რაც შეეხება მაღალ სამრეკლოს სიონის დასავლეთით, ქუჩის გადაღმა, იგი აშენებულია 1812 წელს და თბილისში შემოტანილი რუსული კლასიცისტური არქიტექტურის პირველი ნიმუშია.

ლესელიძის ქუჩა, რომლის გასწვრივ შუა საუკუნეებში სავაჭრო-სახელოსნო რიგები - „შუა ბაზარი" – იყო განლაგებული, კალას ორ ნაწილად ყოფს. ამ ქუჩაზე შემორჩა საკულტო შენობები: სინაგოგა, ქართული ეკლესია ჯვარისმამა და სომხური ტაძარი ნორაშენი. ერთმანეთის გვერდით მდგომი ეს ორი ეკლესია ქუჩის განაშენიანებაში წარმოქმნილი გარღვევების წყალობით სივრცობრივად სიონს უკავშირდება.

„ჯვარიმამა" დგას რიჟინაშვილისა და ლესელიძის ქუჩების გადაკვეთის ოდნავ მაღლა. შენობა აგურით არის ნაგები. გუმბათიანი ეკლესია, რომელმაც დღემდე მოაღწია, აშენებულია XVI საუკუნეში, V საუკუნეში აგებული და მონღოლების მიერ დანგრეული ადრინდელი ეკლესიის ადგილზე. ეკლესია იერუსალიმის მონასტრების მონაზონთათვის აშენდა, რომელთა რიცხვში წმინდა ჯვარის მონასტერიც იყო. აქედან მოდის ეკლესიის სახელიც, რომელიც კვლავ დაინგრა სპარსელების შემოსევისას 1795 წელს და აღადგინეს 1825 წელს, რაზედაც მეტყველებს დასავლეთის შესასვლელის თავზე მოთავსებული წარწერა. ფასადების მოკრძალებული სამკაულია აგურში გამოყვანილი ჯვრის გამოსახულებანი. გუმბათი წახნაგოვან ყელზეა ამოყვანილი. ძველი კედლის ფერწერიდან მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი საკურთხევლის აფსიდაში.

ნორაშენი სომხურ-გრიგორიანული ეკლესია აგებულია 1793 წელს. ცენტრალურგუმბათოვანი შენობა შნობა ლესელიძის ქუჩაზე აღმოსავლეთის ფასადით გამოდის. კედლის მხატვრობა 1840-იან წლებშია შესრულებული. ეკლესიის სახელი სომხურად ახალშენს ნიშნავს.

კალას ტერიტორიაზე რამდენიმე გვიანფეოდალური ხანის საკულტო ნაგებობაა შემორჩენილი.

სასახლისეული წმინდა გიორგის ეკლესია დგას ერეკლეს მოედნის ახლოს გასული საუკუნის საცხოვრებელი სახლის უკან, რომელიც თეატრალურ მუზეუმად არის გამოყენებული. ეკლესია აღმოსავლეთის ფასადით შავთელის ქუჩაზე გადის.

დასავლეთიდან ფასადს ამთავრებს მცირე სამრეკლო. ორქანობიანი სახურავის შუა წელზე დაბალ ყელზე ამოყვანილი გუმბათი დგას. ფასადებს და სამრეკლოს ნათლად ემჩნევა XIX საუკუნის გადაკეთებების კვალი. ეკლესიის მშენებლობა, მონღოლების მიერ დანგრეული მთავარანგელოზის ტაძრის ადგილზე, მეფე როსტომმა დაიწყო და ბატონიშვილმა სვიმონმა დაასრულა 1710 წელს.

კალაში შემორჩენილ საკულტო ნაგებობათა შორისაა XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე აშენებული კლდისუბნის წმ. გიორგის ეკლესია. კლდის უბანშივეა ე.წ. ათეშქას – ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძრის ნანგრევებიც. აგურით ნაგები ნანგრევების თაობაზე ერთიანი აზრი არ არსებობს. ზოგიერთი მათ მეჩეთის ნაშთად მიიჩნევს. ნანგრევები დგას ფეთხაინის სამრეკლოს გვერდით, სოლოლაკის ქედის ფერდობის განაშენიანების ნაპირას.

კალაში გვიანფეოდალური ხანის რამდენიმე ეკლესიაა განლაგებული. ზოგიერთი მათგანი სომხურმა თემმა შეიყიდა ქართული ეკლესიისაგან, რადგან იმ დროს, გამანადგურებელი ომების შედეგად, ქართული ეკლესიის მრევლი საგრძნობლად შემცირებული იყო, სხვები კი ახლად ნაგებია.

ბეთლემის ეკლესია 1740 წელს განაახლა თავადმა გივი ამილახვარმა. გადმოცემით ამ ადგილზე იდგა ვახტანგ გორგასლის ხანაში აგებული უძველესი ეკლესია. XVIII საუკუნეში ეკლესია სომხურმა თემმა შეიძინა და მას შემდეგ ფეთხაინი უწოდეს. აქედან მოყოლებული ეკლესია რამდენჯერმე გადაკეთდა. გუმბათიანი შენობა სოლოლაკის ქედის ფერდობზეა აღმართული, ე.წ. ფეთხაინის კიბის ბოლოს. ბეთლემის ეკლესიის ცალკე მდგომი სამრეკლო XVI საუკუნეშია აშენებული.

მოღნინი ფეთხაინის კიბის დასაწყისის სიახლოვეს, ახოსპირელის ქუჩაზეა. ჩვენამდე მოღწეული გუმბათიანი ეკლესია 1751 წელს არის აშენებული. ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის ცნობით, ამ ადგილზე უფრო ადრინდელი ეკლესია მდგარა.

სურფ-ნიშანი („წმინდა ჯვარი") ძველი თბილისის განაშენიანებაში გამოირჩევა აბსოლუტური ზომებითა და მაღალი გუმბათით. სურფ-ნიშანი ნახსენები აქვს ჟან შარდენს, მაგრამ დღევანდელი გუმბათიანი ეკლესია 1701 წლით

თარიღდება. მის არქიტექტურაში აშკარად ჩანს გვიანდელი გადაკეთებები.
იმ ნაგებობათა შორის, რომლებიც თავის დროზე სომხურმა ეკლესიამ შეიძინა, აღსანიშნავია წმ. გიორგის სახელზე აგებული ციხის დიდი ეკლესია (ვახუშტის მიხედვით - „ციხის დიდი საყდარი"), რომელსაც სომხებმა „სურფ-გევორქი" უწოდეს. გუმბათიანი ეკლესია დგას დღევანდელი გორგასალის მოედნის სამხრეთ-დასავლეთით და მას კიბეებით უკავშირდება. ახლა ძნელი დასადგენია, თუ როდის აშენდა ამ ადგილას პირველი ეკლესია. ზოგიერთი ცნობით, საყდარი XII საუკუნეში განახლებულა. ამის შემდეგ ტაძარი რამდენჯერმე დანგრეულა და აუშენებით. დიდი ხნის განმავლობაში ციხე სპარსელების ხელში იყო. სპარსელების განდევნის შემდეგ 1770-იან წლებში მეფე ერეკლემ შენობა კვლავ სომხურ თემს დაუბრუნა.
„მეტეხი" – თბილისის ერთ-ერთი უძველესია ძეგლია. ღვთისმშობლის სახელზე აგებული მეტეხის ტაძარი თითქოს კლდესთან შეზრდილი დგას მტკვრის მარცხენა ნაპირზე. გადმოცემით, პირველი ეკლესია ამ ადგილზე გორგასალს აუგია V ს-ში, რომელიც შემდეგ მონღოლებმა დაანგრიეს. დღევანდელი ტაძრის ადგილზე უფრო ადრინდელი ნაგებობის არსებობაზე მიუთითებენ როგორც ლიტერატურული წყაროები, ასევე მატიანეები. მიაჩნიათ, რომ შიგ დაკრძალულია ვარსქენ პიტიახშის წამებული მეუღლე შუშანიკი. სახელწოდება „მეტეხი" უცნობი წარმოშობისაა. XII ს-ის ბოლოს, თამარის მეფობის დროს ამ ადგილას სამეფო სასახლე და ეკლესია არსებულა, რომელიც 1235 წელს, მონღოლთა შემოსევის დროს, თბილისის ციხისთავმა გადაწვა. ეკლესია აღადგინა დემეტრე თავდადებულმა 1278-1289 წლებში. მისი კომპოზიცია მარტივი და ლაკონიურია. გეგმის საფუძველს სწორკუთხედი შეადგენს, რომლის შუა ნაწილში გუმბათის მზიდავი ოთხი სვეტია აღმართული. აღმოსავლეთის ფასადს სამი გამოწეული ნახევარწრიული აბსიდა ქმნის, რომელთაგან საშუალო – შედარებით დიდი ზომისაა. ფასადზე მოცულობით გამოკვეთილი აბსიდები ის ნიშანდობლივი თვისებაა, რომელიც მეტეხის ტაძარს იმ პერიოდის სხვა ეკლესიებისაგან გამოარჩევს. კედლის თავდაპირველი წყობა შესრულებულია თლილი ქვით კვადრებით. ადგილ-ადგილ დანგრეული კედლები ერეკლე II დროს აგურით განუახლებიათ. ყურადღებას

იპყრობს ტექნიკურად კარგად შესრულებული ორნამენტაცია. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ჩრდილოეთის ნართექსი, რომელსაც საგრძნობი გადაკეთებების კვალი ამჩნევია. გუმბათის ყელი, ჩამოქცეულა ერეკლე II ჯარის მიერ მეტეხის ციტადელის დალაშქვრისას და იგი აგურით აღუდგენიათ XVIII საუკუნეში.

რუსეთის იმპერიის ბატონობის დროს მეტეხის ძველი ციხე დაანგრიეს და მის მაგიერ საპყრობილე აღმართეს, რომელიც გაუქმდა 1933 წელს.

მეტეხის პლატოს რეკონსტრუქციამდე (1960-იანი წლები), ტაძრისაგან დაახლოებით 20 მეტრის დაშორებით, ჩანდა მეფის სასახლის ნარჩენები თლილი ქვით ამოყვანილი კედლის ფრაგმენტების სახით.

საჩინო მეტეხის კლდის ძირას იწყება კიბეების სისტემა, რომელსაც დედოფალ დარეჯანის რომანტიკული იერის მქონე სასახლისაკენ – საჩინოსაკენ მივყევართ. საჩინო მართლაც მართლაც რომ გამორჩეულია გარემო განაშენიანებაში და დიდ სივრცეზეა გაბატონებული.

საჩინო აშენებულია ერეკლე II მეუღლის მიერ 1776 წელს. სასახლე, სასახლისეული ეკლესია და დამხმარე ნაგებობები გარშემორტყმული იყო გალავნით. სასახლის ძირითადი ნაწილი ავლაბრის ციხის სისტემის მკვეთრად გამოწეული კუთხის ბურჯზეა დადგმული. ციხის კედლები ამოყვანილია ქვისა და ბრტყელი აგურის წყობების შენაცვლებით. სასახლის მრგვალი შენობა მაღალ კედელზეა შეკიდული. მრგვალ შენობაში რამდენიმე სათავსია. ყურადღებას იპყრობს ხის აივანი, რომელიც გარს უვლის მძლავრ კედლის ბურჯს. კონსოლებზე გადმოსული აივანი მეტად შთამბეჭდავია. 1807 წელს, სანკტ-პეტერბურგში დედოფლის გამგზავრების შემდეგ, აქ დაარსდა ფერისცვალების მონასტერი (1822 წ.), ხოლო 1862 წელს მოთავსდა სასწავლებელი და სემინარია სასულიერო პირთა შვილებისათვის. ამ დროს გადაკეთდა შიდა სათავსები და მოისპო ჭერისა და კედლების ორნამეტაცია, შესრულებული აღმოსავლური მოტივების გამოყენებით. განახლდა სასახლისეული ეკლესია. შემდგომ წლებში შენობა პლატოს მხრიდან სხვადასხვა მინაშენით დაიფარა.

1982 წელს დამთავრდა საჩინოს ძირფესვიანი რესტავრაცია.

მთაწმინდა – ანუ მამადავითის მთა. ერთხანს ამ მთის ფერდობზე მცირე გამოქვაბულში ცხოვრობდა წმ. დავით გარეჯელი. სახელწოდება მთაწმინდა, როგორც ჩანს, X ს-ში გაჩნდა ათონის წმ. მთის ანალოგიით. წმ. დავითის ეკლესია აშენდა 1859-1879 წლებში. ეკლესიის ირგვლივ ტერასაზე განლაგებულია პანთეონი. აქ დასაფლავებულნი არიან მწერლები, პოეტები, საზოგადო მოღვაწენი.

ქარვასლები: შუა საუკუნეების თბილისის მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრში ქარვასლები ჭარბობდა. ყველაზე დიდი ქარვასლები აწინდელ სიონის ქუჩაზე იდგა. სპარსელების 1795 წლის შემოსევისას ისინი დაანგრიეს და მათ ადგილზე XIX საუკუნეში ახალი ქარვასლები გაშენდა. 1850 წლისათვის თბილისში 13 ქარვასლას ითვლიდნენ.

თუმცა ქარვასლები განსხვავებულ გარემოსა და სხვადასხვა დროს შენდებოდა, მათ სტრუქტურაში მაინც შეიძლება მოიძებნოს საერთო ნიშნები. ორ ან სამ სართულად გალაგებული სათავსები ჩვეულებრივ გარს ერტყმიან შიდა ეზოს. ამასთან, ზედა სართულებზე სასტუმრო ოთახები იყო, ხოლო პირველ სართულებზე – დუქნები, სახელოსნოები და საწყობები. საწყობად იყენებდნენ საკმაოდ განვითარებულ სარდაფის სართულებსაც. ზოგჯერ ღია ეზოს მაგივრად შენობის ცენტრში მოქცეული იყო დიდი ზომის დარბაზი, თავისებური ვესტიბიული, რომლის პერიმეტრზეც იარუსებად განულაგებიათ სათავსები. ვესტიბიული ზემოდან ნათდებოდა. ზედა სართულის ოთახები ეზოსა და ვესტიბიულის გარშემო მოწყობილ გალერეა-დერეფნებზე გამოდიოდა. ისეთი ქარვასლებიც შენდებოდა, რომელთაც შიდა ეზოები არ ჰქონდათ და გარედან მთელ პერიმეტრზე ღიასვეტებიანი გალერეები გასდევდა. ჩვენამდე მოაღწია სიონის ქუჩაზე განლაგებულმა რამდენიმე ქარვასლამ.

თეკლეს ქარვასლა თავისი ფუნდამენტურობით გამოირჩევა. იგი აშენებულია მეფის ფუნდუკის ძველ ადგილზე, რომელიც საბუთებში 1672 წლიდან არის მოხსენიებული და აღნიშნულია თბილისის 1735 წლის გეგმაზე. შიდა ეზოში ადრე აუზი ყოფილა მოწყობილი, სასტუმრო ნაწილი 62 ოთახისაგან შედგებოდა. ქვემოთ 30 მაღაზია და სხვადასხვა სახის სახელოსნო ყოფილა. ვრცელ სარდაფებს საწყობებად იყენებდნენ. დღემდე მოღწეული მისი არქიტექტურული სახე

გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩამოყალიბდა, როდესაც შენობისადმი „აღმოსავლური” იერის მინიჭების ტენდენციამ იჩინა თავი.

არწრუნის ქარვასლა (მფლობელის სახელი), ერთ-ერთი პირველთაგანია XIX საუკუნეში აგებულ ქარვასლათაგან. იგი სიონის ქუჩას და მტკვრის სანაპიროს შორის არის მოქცეული. შენობა ააგეს სპარსელების 1795 წლის შემოსევის შედეგად დანგრეული ძველი ქარვასლის ნანგრევებზე, რომელიც მეფე როსტომმა ააშენა 1650 წელს და თბილისის ეპისკოპოსს – თბილელს უბოძა. ახალი ქარვასლა ადრინდელის კონტურს იმეორებს. მის ცენტრში დიდი ეზოა, სადაც მშვენიერი აუზი ყოფილა მოწყობილი. ერთ-ერთი კედლის ნიშაში მერკურის (ვაჭრობის ღმერთის) ქანდაკება მდგარა. შიდა ეზო გალერეებით არის გარშემორტყმული. ქარვასლის 25 სარდაფში საქონლის საწყობები იყო. პირველი სართულის 11 დუქანს ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მკერავი ოსტატები ქირაობდნენ. მეორე სართულზე განლაგებულ 25 მაღაზიაში ევროპული და აზიური შალეულით, აბრეშუმითა და სხვა საქონლით ვაჭრობდნენ. ზემო სართულზე კი 33-ნომრიანი სასტუმრო იყო მოთავსებული. შემდეგდროინდელმა გადაკეთებებმა სრულიად უცვალა მას ფასადები. პირველად ქარვასლა 1855 წეწლს გადაკეთდა, დიდი ხანძრის შემდეგ, ხოლო 1912 წელს „მოდერნის” სტილში რადიკალურად შეიცვალა სიონის ქუჩაზე გამავალი ფასადი. 1983 წელს ჩატარდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები. პირვანდელი სახის მაქსიმალურად აღდგენის მიზნით მას ჩამოაცილეს გვიანდელი მინაშენები.

ერეკლეს ქუჩაზე შემორჩენილია მეტად საინტერესო ორსართულიანი ქარვასლა, სადაც დღეს საცხოვრებელი ბინებია განლაგებული. ვიწრო გასასვლელს მივყავართ ორსართულიან გადახურულ ზედა ეზო-ვესტიბიულში, რომლის პერიმეტრზეც განლაგებულია სათავსები. მეორე სართულზე ვესტიბიულს გარს ეკვრის ღია აივანი – გალერეა. შემორჩენილია აგრეთვე თაღებითა და კამარებით გადახურული სარდაფები, რომლებიც ადრე საწყობებად გამოიყენებოდა. ყურადღებას იპყრობს ვესტიბიულში, მეორე სართულის გასწვრივ განლაგებული ორნამენტები, რომლებიც „სტუკოს” ტექნიკითაა შესრულებული.

თბილისში ქარვასლების მშენებლობა გასული საუკუნის 70-იან წლებში წყდება.

ძველ ქალაქის ახალი ძეგლები.

„ქართლის დედა" ძველი ქალაქის მრავალი ადგილიდან და დიდ მანძილზე ცის ფონზე მკვეთრად აღიქმება სოლოლაკის ქედის თხემზე აღმართული მონუმენტური ქანდაკება „ქართლის დედა", რომელიც საქართველოს დედაქალაქის სიმბოლოდ არის აღიარებული. ქალს ერთ ხელში მოყვარეთათვის განკუთვნილი ღვინის თასი უჭირავს, მეორეში კი – მტრის დასახვედრად მომარჯვებული მახვილი. ამ ჩანაფიქრით ხელმძღვანელობდა ქანდაკების ავტორი ელგუჯა ამაშუკელი.

თავდაპირველად მონუმენტი დროებით აღიმართა 1958 წელს თბილისის 1500 წლისთვის საზეიმო დღეებში. იგი ხის ლარტყებით იყო შესრულებული. ქალაქის დიდ სივრცეზე გაბატონებული ქალის ფუგურა ხალხმა სულ მალე თბილისის სიმბოლოდ მიიჩნია და შემდგომში ქანდაკება უჟანგავი ლითონით დაიფარა. ამით აიხსნება მონუმენტის ზედაპირის დამახასიათებელი ტექნიკა.

მეფე ვახტანგ გორგასალის ძეგლი თბილისში. მეტეხის პლატოზე, კლდის პირას, მეტეხის ტაძრის სიახლოვეს 1967 წელს დაიდგა მცხეთიდან თბილისში დედაქალაქის გადმოტანის ინიციატორის მეფე ვახტანგ გორგასალის ქანდაკება (მოქანდაკე ე. ამაშუკელი, არქიტექტორები თ. კანდელაკი, დ. მორბედაძე). ვახტანგის სახელთან და თბილისის დაარსებასთან დაკავშირებულია საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი მომხიბლავი ლეგენდა. ამ მეფის სახელის უკვდავსაყოფად ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებაც იკმარებდა. გმირი მეფის სახე არაერთი თაობის ქართველისთვის გახდა სამშობლოს სიყვარულის წყარო და ძალა.

კლდის ქიმზე წინ წაწეული ძეგლი სხვადასხვა რაკურსებით აღიქმება ახლო და შორი მანძილებიდან. ცხენზე ამხედრებული მეფის ფიგურა ზვიადი და ამავე დროს დაძაბულია. იდაყვში მოხრილი ხელი თითქოს გადაჭრით მიუთითებს: ამ ქალაქში უნდა დაიდგას სამეფო ტახტიო.

300 არაგველის მონუმენტი 1959 წელს დაიდგა თბილისის გმირი დამცველების საპატივცემულოდ, რომლებმაც თავი შესწირეს დედაქალაქს, 1795 წელს კრწანისის ველზე, სპარსელებთან გამართულ ბრძოლაში. ობელისკის ვიწრო

ვერტიკალურ ზოლზე ამოკვეთილია მიძღვნა დაღუპული მეომრებისადმი. ღრმა რელიეფის მქონე ლამაზი ასოები ორნამენტურ ქსოვილს ქმნიან.

300 არაგველის მონუმენტის სიახლოვეს 1968 წელს აღმართეს ასევე კრწანისის ველზე დაღუპული მეფის მუსიკალური დასისადმი მიძღვნილი მეორე მემორიალი. ძეგლი 7 + 12 მ ზომის კედელია. აღმოსავლეთის ფასადზე ამოკვეთილია მეომრის სახე, ფარი და მახვილი, ხოლო საწინააღმდეგო მხარეზე – მეომრებისა და მუსიკოსების გამოსახულებები (არქიტექტორი ნ. მგალობლიშვილი, მოქანდაკე თ. ჭყონია).

თბილისისათვის დღევანდელი იერსახის მომნიჭებელი ამ უმნიშვნელოვანესი ქმნილებების გარდა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში დედაქალაქში არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი დაიდგა.

ყოფის დამახასიათებელი რეალიები. თბილისის ყოფა-ცხოვრებაში ტრადიციულად იყო განსაკუთრებული ე.წ. ქალაქური კოლორიტი – ჩაცმულობით, გასართობ-სანახაობებით. ქალაქის ცხოვრებას თავისებურ იერს მატებდა თბილისის ბაზრობები და გოგირდოვანი წყლების აბანოები, გარდა თავისი პირდაპირი დანიშნულებისა, ისინი წარმოადგენდნენ მოსახლეობის თავშეყრის, ახალი ამბების ურთიერთგაზიარების ადგილებს. დავიწყოთ გართობა-სანახაობებით, რომლებიც სისხლსავსეს ხდიდა ქალაურ ცხოვრებას:

ყაბახი. (თურქ. კაბაკ - გოგრა), საჯირითო მოედანი სამხედრო ვარჯიშებისა და სახალხო გართობებისათვის ფეოდალურ საქართველოში. მოედნის შუა ადგილას აღმართული იყო ძელი, რომელზეც სამიზნედ გოგრის მაგივრად ოქროს ან ვერცხლის თასს დგამდნენ. ცხენზე ამხედრებულკი მოჯირითეები რი-რიგობით ჩაიქროლებდნენ და მშვილდ-ისარს ესროდნენ თასს. გამარჯვებულს ჯილდოდ ამ თასს გადასცემდნენ. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ყაბახი ერქვა არა მთლიანად მოედანს, არამედ მის ცენტრალურ ნაწილს, სადაც ძელი იყო აღმართული. ამავე ასპარეზობაზე თამაშობდნენ ბურსტ, იმართებოდა მარულა. ყაბახობა, ანუ თასის მოსაპოვებლად გამართული შეჯიბრება ტარდებოდა ქორწილსა და საეკლ. თუ საერო დღესასწაულების დროს ფეუდალ. არისტოკრატიისათვის სავალდებულო იყო ყაბახის ხელოვნების დაუფლება. თბილისში

ყაბახი ორბელიანთა მამულში იმართებოდა. XIX ს-ში ყაბახმა თანდათანობით დაკარგა პირვანდელი მნიშვნელობა. უკანასკნელი ყაბახობა თბილისში XIX ს-ის 40-იან წლებში გაიმართა, შემდეგ მთავარმართებელ ბარიატინსკის განკარგულებით ყაბახი ბაღად გადააკეთეს და იმპერატორ ალექსანდრე II-ის სახელი უწოდეს. ყაბახი ფართოდ აისახა XVIII-XIX სს. ქართველ მწერალთა შემოქმედებაში, იგი აღწერილი აქვთ თეიმურაზ II-ს („სარკე თქმულთა"), გ. ორბელიანს („იარალის"), ნ. ბარათაშვილს („ღამე ყაბახზედ"), გ. ერისთავს („ყაბახისადმი") და სხვა.

ბერიკაობა. ქართველი ხალხის იმპროვიზაციული ნიღბების თეატრი. ტერმინი „ბერიკაობა" განაყოფიერებისა და შვილიერების კულტის სადიდებელ სანახაობას აღნიშნავს და ნაწარმოებია საერთო ქართველური ძირიდან „ბერ" (შვილი). ბერიკაობას ბერიკები ასრულებდნენ.

ყეენობა. ქართული ხალხური თეატრის ერთ-ერთი სახეობა-მასობრივი ხალხური სანახაობა. მისი საწყისები სამიწათმოქმედო, განაყოფიერების კულტის მისტერიულ წარმოდგენებშია. შემდეგ ყეენობამ ჩამოიცილა რელიგიური შინაარსი სა სახალხო სანახაობად იქცა, რომელიც გამოხატავდა ქართველი ხალხის ბრძოლას ბიზანტიის კეისრების (VI ს.), არაბების (VII ს.) და საერთოდ ყველა დამპყრობლის წინააღმდეგ. XIX ს-ის II ნახევრიდან ყეენობა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ სანახაობად იქცა. შეიცავდა ყეენის მოკაზმვის, ყეენის ჯარის შემოსევის, ქალაქის თუ სოფლის დარბევის, სამართლის, ქართველთა სარდლისა და ყეენს შორის ბრძოლას, დამარცხებული ყეენის მდინარეში გადაგდების სცენებს. ქალაქში ყეენობას ხელოსნები მართავდნენ, - სოფლად გლეხობა. ყეენობაში მათ სოციალური ბრძოლის მოტივები შეჰქონდათ. ყეენობის ტრადიციული მოქმედი პირები იყვნენ: ყეენი (მეფე), დედოფალი, ვეზირი, მოსამართლე, ხუმარა („მოენე"), მტრის ჯარისკაცები, ქართველთა მეთაური – სარდალი, განმათავისუფლებელი ბრძოლის მონაწილენი. ყეენობა დღემდეა შემორჩენილი კახეთში, მესხეთში, სვანეთში და სხვა.

თბილისის ყოფა-ცხოვრების ე.წ. ქალაქური კოლორიტი – ჩაცმულობით, დამახასიათებელი ცხოვრების წესით იყო ყარაჩოხელი და კინტო.

ყარაჩოხელი. (თურქ. - შავჩიხიანი), ხელოსანი ან წვრილი ვაჭარი ძვ. თბილისში. გამოირჩეოდა რაინდული ბუნებით, სიდარბაისლით, დარდიმანდობით, თავისებური ჩაცმა-დახურვით (გულამოღებული აბრეშუმის პერანგი, შავი ატლასის ან სატინის წვრილ-ნაოჭებიანი ახალუხი, შავი შალის უბეგანიერი შარვალი, ქოშები ან წაღები, გრძელკალთებიანი, მოკლენაოჭიანი ორჩაქიანი შავი შალის ჩოხა, შემკული ვერცხლის გობაკიანი ქამრით, ბაღდადი და ბუხრის ქუდი). ყარაჩოხელი ჩვეულებრივ რომელიმე ხელოსნური ამქრის წევრი იყო. ძვ. თბილისურ ყოფას XX ს. 20-იან წლებამდე შემორჩა. სამაგიეროდ ეს სახელწოდება ჩვენს დრომდე შემორჩა ყოფით ლექსიკონს, სადაც ყარაჩოხელი გადატანითი მნიშვნელობით დარდიმანდს, მოქეიფე, ხელგაშლილ კაცს ნიშნავს.

კინტო. ძვ. თბილისში ხელზე მოვაჭრე, განეკუთვნებოდა წვრილ ვაჭართა კლასს. გამოირჩეოდა მოსწრებული სიტყვა-პასუხით და თავისებური ჩაცმა-დახურვით (მაღალსაყელოიანი, საკინძეშემოხსნილი და დაწინწკლული ჩითის პერანგი, მოკლე შავი ნაოჭიანი ახალუხი, უბეგანიერი მონაოჭებული შარვალი, მესტები, ზოგჯერ ყელდაკეცილი „დაწყობილი ჩექმები," ვერცხლის აბზინდიანი სარტყელი, აბრეშუმის ან ჩითის ხელსახოცით). თასზე გაწყობილ ხილსა და ბოსტნეულს გასაყიდად ქუჩებში თავით დაატარებდა. კინტო თბილისურ ყოფას XX ს. 30-იან წლებამდე შემორჩა. დღესდღეობით ყოფით ლექსიკონში შემორჩენილი სახელწოდება კინტო გადატანითი მნიშვნელობით – ცუღლუტს, ლაზღანდარას, მასხარას ნიშნავს.

3. კ ა ხ ე თ ი (კახეთ-კუხეთი)
კამბეჩოვანი – XV ს-ის ბოლოდან ქიზიყი
ჰერეთი – დღევანდელი საინგილო

კახეთი — ისტორიული რეგიონი აღმოსავლეთ საქართველოში. კახეთის მხარე საქართველოს თანამედროვე ადმინისტრაციულ დაყოფაში. ადმ. ცენტრი თელავი, მუნიციპალიტეტი 8, ფართობი 11 379 კმ, მოსახლეობის რაოდენობა 409 551 (2004). მოიცავს მდ. ივრის შიდა და ქვემო დინებისა და მდ. ალაზნის აუზს. კახეთის ცალკეულ მხარეებს ეწოდებოდა გარეკახეთი (მდ. ივრის შუა წელი), ქიზიყი (მდ. ივრის ქვემო წელი), შიგნიკახეთი (მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპირო) და გაღმამხარი

(მდ. ალაზნის მარცხენა სანაპირო). უძველეს დროს კახეთი გაცილებით მცირე ტერიტორიას მოიცავდა (მდ. ივრის ზემო წელი თიანეთსა და უჯარმას შორის). ცენტრი ჩელეთი (აგრეთვე ჟალეთი), IV საუკუნიდან – უჯარმა. კახეთზე გადიოდა მნიშვნელოვანი გზები. ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობის გამო დროთა ვითარებაში თავდაპირველი კახეთის გარშემო გაერთიანდა მომიჯნავე პოლიტიკური ერთეულები. ადრინდელ ფეოდალურ ხანაში კახეთი უკვე ერწო – თიანეთისა და თუშ-ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიასაც მოიცავდა. VIII ს-ის ბოლოს კახეთის შერმადგენლობაში შევიდა აგრეთვე კუხეთი და ჰერეთის ტერიტორიის ნაწილი (XV ს-დან კი მთელი ჰერეთი). XI ს-დან კახეთის პოლიტიკური ცენტრია თელავი, XV ს-დან – გრემი. ამჟამინდელი საქართველოს ადმინისტრაციულ – ტერიტორიული დაყოფით ჰერეთი მოიცავს ახმეტის, გურჯაანის, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, დედოფლისწყაროსა და ყვარლის რაიონების ტერიტორიას.

კახეთის სამთავრო. ფეოდალური ხანის ერთ-ერთი ქართული სახელმწიფოებრივი ერთეული, რომელიც VIII ს-ის 80-იან წლებში (ვახუშტის ცნობით – 787 წელს) გამოეყო ქართლის საერისმთავროს. გამოყოფა განპირობებული იყო ქართლის საერისმთავროს ეკონომიკური აღმავლობის შედეგად ფეოდალური ურთიერთობის შემდგომი გაღრმავებით და ამის ნიადაგზე სეპარატული ტენდენციების განვითარებით. ეს პროცესი, რომლის საწყისები ჯერ კიდევ VI ს-დან შეიმჩნევა, VII – VIII სს-ში მიმდინარეობდა არაბთა წინააღმდეგ ქართლის საერისმთავროს ბრძოლის პარალელურად და მასთან კავშირში. კერძოდ, ქართლის (პოლიტიკური მნიშვნელობით) ერთ-ერთ აღმოსავლეთ პროვინციაში, კახეთში, ამ ბრძოლას თაოსნობდა წანართა ტომი, რომელიც იმ დროისათვის კახეთში პოლიტიკური ჰეგემონის როლს თამაშობდა. სწორედ წანარ წარჩინებულთა ირგვლივ გაერთიანდნენ კახეთის სხვადასხვა თემები და შესაძლებელია ამ წარჩინებულთა წარმომადგენელი იყო კახეთის მთავარი გრიგოლიც. კახეთის სამთავროს ჩამოყალიბება ტერიტორიის ექსპანსიით აღინიშნა, როგორც დასავლეთით ქართლისაკენ (სადაც საზღვარი IX ს. დასაწყისში აშოტ კურაპალატთან ბრძოლის შედეგად მდ. ქსანზე დაიდო), ისე აღმოსავლეთით, ჰერეთისაკენ (რომელთანაც მიჯნა დაახლოებით ყვარელ-გურჯაანის ხაზზე გადიოდა, ალაზნის

ველზე და გარეჯის უდაბნოს აღმოსავლეთით ივრის ზეგანზე). ჩრდილოეთით კახეთის სამთავროს კავკასიონი ესაზღვრებოდა (ზოგან საზღვარი ქედს გადაღმაც გადადიოდა), ისე რომ ხევი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი და ქისტეთის სამხრეთი მთიანეთი (ძურძულ-ღლიღვები) კახეთის სამთავროს ფარგლებში შევიდა. იგი სამხრეთითაც გაფართოვდა და ძველი ქართული პროვინცია გარდაბანი X ს-ის შუა წლებამდე მის შემადგენლობაში ითვლებოდა. VIII-IX საუკუნეებში კახეთის სამთავროს ცენტრი უჯარმა იყო, X ს-ში – ბოჭორმა, შემდეგ თიანეთი. კახეთის მთავარი ქორეპისკოპოსის ტიტულს ატარებდა. ვარაუდობენ, რომ IX ს-ის დასაწყისში სამთავროში გადატრიალება მოხდა და ტახტს გარდაბნელთა დინასტიის წარმომადგენლები დაეუფლნენ. საუკუნის ბოლოს გარდაბნელები არევმანელებმა შეცვალეს. შინაგან მმართველობას მთავრები ერისთავების საშუალებით ახორციელებდნენ. ვახუშტი ასახელებს 3 დიდმოხელეს: რუსთავის, კვეტერის და პანკისის ერისთავებს. ახელ მთავართა საგარეო პოლიტიკა პირველ რიგში მიმართული იყო არაბთა ცენტრალური ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. 840 – 841 წლებში სოფელ გავაზთან კახელებმა დაამარცხეს არაბი სარდლის ხალიდ იაზიდის ძის ლაშქარი. ხალიფას წარმომადგენლებთან ბრძოლაში კახელები უკავშირდებოდნენ თბილისელ ამირებს, რომლებიც აგრეთვე ებრძოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას. მაგალითად, ბუღა თურქის დამარბეველი ლაშქრობისას (853 წ.) კახელები თბილისის ამირას მომხრედ გამოვიდნენ. 914 წელს ებრძოდნენ არაბ სარდალს აბულ-კასიმს. გარდა ამისა, კახეთის მთავრები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში – იბრძოდნენ ჰერეთის სამეფოს შემოერთებისათვის „აფხაზთა” მეფესთან ერთად, ასევე შიდა ქართლის დაუფლებისათვის. XI ს-ის დასაწყისში კახეთის ქორეპისკოპოსებმა მოახერხეს ჰერეთის სამეფოს შემოერთება. ასე წარმოიქმნა კახეთის სამეფო.

კახეთის სამეფო. ქართული ფეოდალური სახელმწიფო XI ს. და XII ს. დასაწყისში. ბიზანტიასთან გიორგი I-ის ურთიერთობის გართულებით ისარგებლა კახთა ქორეპისკოპოსმა კვირიკე III-მ, განუდგა საქართველოს მეფეს, „დაიპყრა კახეთი და ჰერეთიცა და იწოდა მეფედ კახთა” (ვახუშტი). ამიერიდან მთელი XI

საუკუნის განმავლობაში კახეთის სამეფო მთლიანი საქართველოსაგან განცალკევებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა და მისი მესვეურები „კახთა და რანთა (ჰერთა) მეფის ტიტულს ატარებდნენ. კახეთის სამეფო მოიცავდა ტერიტორიას მდ. ქსნიდან (დასავლეთით) ალჯიგანჩაიმდე (აღმოსავლეთით) და დიდოეთ-ხუნძახიდან (ჩრდილოეთით) მტკვრამდე (სამხრეთით). მის ფარგლებში შედიოდა ჰერეთის სამეფოს აღოსავლეთი ნაწილი – ახლანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი (ბელაქნის, ზაქათალის, კახის, და შაქის რაიონები). ამიტომ თუ ქართული წყაროების მიხედვით კახეთის მფლობელი ოფიციალურად „რანთა და კახთა მეფედ" იწოდებოდა, არაბულ წყაროებში იგი „შაქთა და გურჯთა მეფედ" ანუ იმავე „რანთა (ჰერთა) და კახთა მეფედ" იხსენიება. კვირიკემ ახალშექმნილი სახელმწიფოს ცენტრი თელავში გადაიტანა, ააგო სასახლე (დღევანდელი „ძველი გალავანი" თელავში), ჩაატარა გარკვეული ადმინისტრაციული რეფორმა – სამეფო დაყო 7 საერისთავოდ (რუსთავის, კვეტერის, პანკისის, შტორის, ვეჯინის, ხორნაბუჯისა და მაჭის). ფაქტობრივად, როგორც ჩანს, კვირიკემ შერყეული ძველი ვითარება აღადგინა. პირველ ხანებში კახეთის მეფეები გაერთიანებული საქართველოს მეფეების მოკავშირედ გამოდიოდნენ უცხო აგრესორებთან ბრძოლაში. მაგალითად, კვირიკე III გიორგი I-ს ეხმარებოდა ბიზანტიასთან ბრძოლაში, ხოლო ბაგრატ IV-ს – განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ. მაგრამ უფრო მოგვიანებით, როდესაც ბაგრატ IV-მ ენერგიული ღონისძიებები გაატარა კახეთის სამეფოს საქართველოსთან კვლავ შესაერთებლად, კახთა მეფეები თურქ-სელჩუკებს დაუკავშირდნენ და ამ გზით შეეცადნენ დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. აღსართან I-მა, კახეთის სამეფო, რომ შეენარჩუნებინა, ქრისტიანობაც კი დათმო და გამაჰმადიანდა. მაგრამ ყველა ეს ღონისძიება დროებითი იყო, რადგან გაერთიანებულ საქართველოს მეფეს კახეთში საკმაოდ ძლიერი დასაყრდენი ჰყავდა საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლი აზნაურების სახით (აშოტ მარილელი, ხახულა გურნი, ვეჯინის ერისთავი წირქვალელი და სხვ.). სწორედ დიდებულ აზნაურთა ამ დასის, კერძოდ, არიშიანისა და მისი მომხრეების მხარდაჭერით შეძლო დავით აღმაშენებელმა XII ს-ის დასაწყისში კახეთის უკანასკნელი

მეფის აღსართან II-ის შეპყრობა და კახეთის სამეფოს შემოერთება. ამიერიდან კახეთის სამეფო გაერთიანებული საქართველოს ადმინისტრაციულ წესწყობილებისდა კვალად რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულად დანაწილდა (კახეთის, ჰერეთის საერისთავოები, ხორნაბუჯის სანაპირო, „არიშიანის ადგილი").

გვიანდელი საუკუნეების ფეოდალურ საქართველოში კახეთი კვლავაც ერთ-ერთი სამეფოა (1465-1762 წლებში). მისი პოლიტიკური საზღვრები იყო: დასავლეთით მდ. არაგვი, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდ. მტკვარი, ჩრდილოეთით კავკასიის მთავარი ქედი (ადგილ-ადგილ საზღვარი ქედს გადაღმაც გადადიოდა: პირიქით ხევსურეთი და თუშეთი, გარკვეულ პერიოდამდე დიდოეთი და წახური კახეთის სამეფოს საზღვრებში შედიოდა) .XVII ს. დასაწყისამდე კახეთის აღმოსავლეთი საზღვარი იწყებოდა იქ, სადაც იორ-ალაზანი მდ. მტკვარს უერთდებოდა, შემდეგ მიემართებოდა ჩრდილოეთით ავჯინოურის ტბის გასწვრივ, კვეთდა მდ. აგრიჩაის და მდ. გიშისწყლის (გიშჩაი) გაყოლებით კავკასიის ქედამდე გადიოდა. შემდეგ საზღვარმა დასავლეთით ყიფიჩაიმდე (კარის მდინარე) გადმოიწია. დედაქალაქი გრემი, XVII ს-ის 70-იანი წლებიდან თელავი.

კახეთის სამეფოს ისტორია შეიძლება 3 ძირითად პერიოდად გაიყოს: 1. სამეფოს წარმოქმნიდან XVII ს-ის დასაწყისამდე; 2. XVII ს-ის დასაწყისიდან 1744 წლამდე; 3. 1744-1762 წლები.

კახეთის სამეფო ხელახლა წარმოიქმნა ფეოდალური საქართველოს დაშლის შედეგად. სამცხის ათაბაგის ყვარყვარე II-ის მიერ ქართლის მეფის გიორგი VIII-ის დატყვევების (1465) შემდეგ კახეთის ერისთავებმა და წარჩინებულებმა თავიანთ დამოუკიდებელ მთავრად დასვეს ერთ-ერთი ადგილობრივი ერისთავი დავითი. 1466 წ. გიორგი VIII-მ ქართლის სამეფოს დაკარგვის შემდეგ დაამარცხა დავითი, დამკვიდრდა კახეთში და სათავე დაუდო კახეთის ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას. გიორგი VIII-ის (კახეთში გიორგი I) დროს გაუქმდა საერისთავოები და ერისთავების გამგებლობაში მყოფი სამეფო სამფლობელო მოურავებს გადაეცათ. მოურავობის ინსტიტუტი კახეთის მეფეების ხელში ადგილობრივ ფეოდალების მორჩილებაში ყოლის ეფექტური საშუალება იყო. ამ სახელოს იღებდნენ კახეთის ძლიერი ფეოდალური საგვარეულოების

ცალკეული წარმომადგენლები სხვა თანამოგვარეებისაგან (სახლიკაცებისაგან) დამოუკიდებლად, რაც საფუძველს აცლიდა ამ სახლების ერთიანობას. კახეთში ფეოდალური გვარების საერთო-სახასო მიწათმფლობელობასთან შედარებით უფრო განვითარებული იყო კერძო-ინდივიდუალური (სათავისთავო) მიწათმფლობელობა. საქართველოს სხვა ნაწილებისგან განსხვავებით, სადაც XV და შემდეგ საუკუნეებში შეუფერხებლად განვითარდა სათავადოთა სისტემა, კახეთის სამეფოში XV-XVI სს-ში სათავადოები არ აღმოცენებულა. მეფის ხელისუფლება აქ შედარებით ძლიერი იყო. ამ საუკუნეებში ქვეყანა ეკონომიურ წინსვლას განიცდიდა. ვითარდებოდა საშინაო და საგარეო ვაჭრობა. წარმოიქმნა ახალი ქალაქები. გარეშე ძალა აქ რაიმე შესამჩნევ ზეგავლენას ვერ ახდენდა. XVII ს-ის II ნახევრიდან კახეთის სამეფოშიც დაიწყო სათავადოების ჩამოყალიბება (არსებობს სხვა თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც ქართლისა და საქართველოს სხვა ნაწილების ანალოგიური სათავადოები კახეთშიც არსებობდა თვით XV-XVI სს-ში). კახეთის სამეფოში თავადთა წოდებას შეადგენდნენ უძლიერესი ფეოდალები (ჩოლოყაშვილები, მაყაშვილები, ანდრონიკაშვილები, ვაჩნაძეები, ჯორჯაძეები, ჯანდიერები„ ჭავჭავაძეები, ვახვახიშვილები და სხვ.), რომელთაც აგრეთვე უმაღლესი სამოხელეო თანამდებობანი ეპყრათ (სახლთხუხუცესობა, ბოქაულთუხუცესობა, ეშიკაღასბაშობა, მდივანბეგობა, მოლარეთუხუცესობა, აგრეთვე მსხვილი სამოურავოების განმგებლობა და სხვ.). ამათზე დაბლა იდგნენ აზნაურები, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილი იყო მოქცეული თავადებისა და ეკლესია-მონასტრების ყმობაში, ისინი ძირითადად სამეფო ყმები იყვნენ.

კახეთის სამეფოში შედიოდა: ალავერდის, ბოდბის, რუსთავის (მარტყოფის), სამების, ნინოწმინდის, ჭერემის, ნეკრესის, ხარჭაშნის და სხვ საეპისკოპოსოები. ეპისკოპოსებს მეფე ნიშნავდა. ახეთი სამხედრო-ადმინისტრაციული თვალსაზრისით სადროშოებად იყო დაყოფილი, რომელთაც სათავეში, განსხვავებით საქართველოს სხვა ნაწილებისაგან, ეპისკოპოსები ედგნენ. ეპისკოპოსობა მემკვიდრეობითი თანამდებობა არ იყო, ამიტომ ისინი ყოველმხრივ მეფეზე იყვნენ დამოკიდებული, ხოგჯერ ამა თუ იმ სადროშოს სათავეში მეფის

მიერ დანიშნული უფლისწული იდგა. თავისებურება შეინიშნება მწარმოებელი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაშიც, საგლეხო მიწათმფლობელობაში. აქ ძირითადად ჭარბობდა სახნავ-სათესი მიწების საერთო-სასოფლო (თემური) მფლობელობა, რაც თავის მხრივ განსაზღვრავდა ბეგარა-ყალანის გაწერის წესსაც. მკვიდრი გლეხობა 2 ძირითად სოციალურ-ეკონომიკურ კატეგორიად იყოფოდა: მოყალნეებად და მსახურებად. მოყალნე გლეხები საგადასახო ვალდებულებების მიხედვით 4 ძირითად კატეგორიად იყოფოდნენ: 1. „შემძლენი" ანუ „დიდი მოსავლის პატრონნი"; 2. „ამათ ქუედანნი" ანუ „ნაკლების მოსავლის პატრონნი"; 3. „მცირე შეძლების" მქონენი და 4. „შეუძლებელნი" ანუ „ბეზმისქინნი." მსახურები გლეხთა უმაღლეს ფენას ქმნიდნენ. მოყალნეებისაგან განსხვავებით მათ უფრო პრივილეგირებული მდგომარეობა ეკავათ, სამსახურიც უფრო საპატიო ეკისრებოდათ და საბატონო გამოსაღებისაგან (ყალან-ბეგარისაგან) მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლებულნი იყვნენ. მათ ევალებოდათ უმთავრესად ბატონის ხლება-მოლაშქრეობა, მოხელეობა და საბატონო მეურნეობის გაძღოლაში სხვადასხვა დამხმარე ფუნქციის შესრულება. კახეთის სამეფოში იყვნენ „გარემოსულნიც": თავშეწირულნი, ნებითმოსულნი (ნებიერნი), ხიზანნი და მონასყიდენი (ნასყიდნი). XV-XVI საუკუნეებში კახეთის სამეფოში მნიშვნელოვნად იყო განვითარებული მარცვლეული მეურნეობა, მევენახეობა, მებაღეობა, მესაქონლეობა (მ.შ. მეცხვარეობა), მეაბრეშუმეობა. ვითარდებოდა საშინაო და საგარეო ვაჭრობა, ხელოსნური წარმოება. აღმოცენდა და განვითარდა ახალი ქალაქები: გრემი, ბაზარი. კახეთის ფეოდალურ ეკონომიკაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კახეთის მთისა და ბარის ეკონომიკურ კავშირურთიერთობას. კახეთის მეფემ ალექსანდრე I-მა (1476-1511) მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყარა ქართლის სამეფოსთან, შაქისა და შირვანის სახანოებთან. უზუნ-ჰასანის, იაყუბ-ყაენის (1477, 1488-89) და შაჰ ისმაილ I-ის საქართველოში ლაშქრობათა დროს ალექსანდრე I-მა ფორმალური მორჩილებით მშვიდობა შეინარჩუნა. მისი მეფობის დროს კახეთის სამეფომ (პირველმა ქართულ სამეფოებს შორის) ურთიერთობა დაამყარა რუსეთის სახელმწიფოსთან. 1483 წელს მოსკოვში ჩავიდა კახეთის მეფის პირველი ელჩობა, რომელშიც

შედიოდნენ ნარიმანი, დამიანე, და შაქელი ხოზემარუმი, 1492 წლის იანვარში = მე-2 ელჩობა. კახეთის მეფემ გიორგი II-მ (ავგიორგი) მიზნად დაისახა ქართლის შემოერთება, მაგრამ მარცხი განიცადა. უშედეგო გამოდგა კახეთის დასაუფლებლად ქართლის მეფის ცდაც: 1520 წ. ქართლის მეფე დავით X იძულებული გახდა კახეთის მეფედ ეცნო ლევანი (1520-74). მათ შორის დაიდო შეთანხმება გარეშე მტრების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის წარმოების შესახებ, მაგრამ ეს ყოველთვის ვერ ხორციელდებოდა. 1524 წ. ლევანმა შაქის დაპყრობა სცადა, მაგრამ ირანის შაჰის ჩარევის გამო იძულებული გახდა უკან დაეხია. შაქ-შირვანის დაუფლებისათვის ბრძოლამ კახეთს სარგებლობა ვერ მოუტანა. პირიქით, დააჩქარა ყიზილბაშური ირანის მიერ ამ ქვეყნების ინკორპორაცია (1538 წ. ირანმა შირვანი დაიპყრო, 1551 წ. – შაქი.), რომელშიც ძალაუნებურად ლევანსაც მოუხდა მონაწილეობის მიღება. კახეთის სამეფო ყიზილბაშთა ურდოების უშუალო შემოსევების მუდმივი საფრთხის ქვეშ მოექცა. XVI საუკუნეში გაძლიერებული საშამხლო კახეთს ეცილებოდა პირიქით თემების (წახურის, დიდოეთის) მფლობელობაში. ლევანი დაუკავშირდა შამხალის მოწინააღმდეგე ჩერქეზთა მთავარს და მასთან ურთიერთობის გასამტკიცებლედ ამ მთავრის ქალი მოიყვანა ცოლად. ლევანმა დაიმორჩილა გამდგარი თუშ-ფშავ-ხევსურეთიც. XVI ს-ის 60-იან წლებში მან აღადგინა პოლიტიკური კავშირი რუსეთთან. შეთანხმების შესაბამისად, რუსთა მეთოფეთა რაზმი კახეთის სამეფოს სანაპირო ციხეებში ჩააყენა, მაგრამ რუსეთი მოერიდა ოსმალეთთან ურთიერთობის გართულებას, ამავე დროს ირანის შაჰის მოთხოვნასაც გაუწია ანგარიში და ეს ჯარი 1572 წლიდან კახეთიდან უკან გაიწვია. 1578 წ. ირან-ოსმალეთის ომის (1578-90) დროს ოსმალთა სარდალმა მუსტაფა ლალა-ფაშამ სამცხე და ქართლი დაიკავა. მეფე ალექსანდრემ ოსმალთა სარდალს მორჩილება გამოუცხადა. კახეთი ამჯერადაც გადარჩა დარბევა-აოხრებას. კავკასიაში ოსმალთა ბატონობის დამყარების შემდეგ გაძლიერდა საშამხლოს მთიელთა თავდასხმები კახეთზე, ჩაიკეტა კახეთისათვის მნიშვნელოვანი სავაჭრო-სამიმოსვლო გზები რიოგორც ირანისაკენ, ისე თერგისა და ასტრახანისაკენ. კახეთის სამეფოს ოსმალთაგან საბოლოო დაპყრობა ემუქრებოდა. 1585 წ.

კახეთში ჩავიდა რუსეთის მეფის მოციქული რუსინ დანილოვი, რომელმაც ალექსანდრე II-ს შესთავაზა კავშირის შეკვრა რუსეთთან. კახეთიდან დაუყოვნებლივ გაიგზავნა ელჩობა, რომელიც კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში მიღებას თხოულობდა. შემდეგ წელს საქართველოში ჩამოვიდა მოსკოვის ოფიციალური ელჩობა როდიონ ბირკინის მეთაურობით. 1587 წ. 28 სექტემბერს კახეთის მეფემ თავის დარბაისელებთან ერთად ხელი მოაწერა „ფიცის წიგნს", რომლითაც რუსთა მეფის ქვეშევრდომად აღიარა თავი, ხოლო რუსეთმა იკისრა კახეთის დაცვა ყველა გარეშე მტრისაგან. ამ კავშირის წინააღმდეგი იყვნენ ოსმალეთი და სპარსეთი.

კახეთის სამეფოს მე-2 პერიოდი იწყება კახეთის წინააღმდეგ ირანის შაჰის აბას I-ის აგრესიით. 1603 წ. ირან-ოსმალეთის ახალი ომი დაიწყო. შაჰი აბას I ერევნის ციხეს შემოადგა და იხმო ქართლისა და კახეთის მეფეები. ალექსანდრე II დიდი ყოყმანის შემდეგ გამოცხადდა შაჰთან. აბას I-მა კახეთს ჩამოაშორა კაკ-ენისელი და იქ მუსლიმური სასულთნო შექმნა. შაჰი ალექსანდრეს არ ენდობოდა., ამიტომ უკან გამობრუნებულს თან გაატანა მასთან მძევლად მყოფი ალექსანდრეს უმცროსი ვაჟი კონსტანტინე მირზა, რომელიც 1605 წ. ძეგამში მამისა და ძმის მოკვლით ვერაგულად დაეუფლა ტახტს. კახეთში კონსტანტინე I-ის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. აჯანყებულებმა მოკლეს კონსტანტინე I. შაჰი იძულებული გახდა კახეთის მეფედ დაემტკიცებინა ალექსანდრეს შვილიშვილი თეიმურაზი, მაგრამ ოსმალეთთან მშვიდობის ჩამოგდებისთანავე, 1614-17, აბას I-მა 4-ჯერ ილაშქრა კახეთში და ქვეყანა მიწასთან გაასწორა. 1618 წ. თეიმურაზ I-ის ინიციატივით დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებმა საერთო ელჩობა გააგზავნეს რუსეთში დახმარების სათხოვნელად. 1624 წ. კიდევ ახალი ელჩობა გაიგზავნა რუსეთში. ქართლ-კახეთში ირანის საწინააღმდეგო მოძრაობა გაიშალა. ქართლ-კახეთის ამოსაგდებად გამოგზავნილი ირანის არმია აჯანყებულმა ქართველებმა გიორგი სააკაძის მეთაურობით 1625 წლის მარტში მარტყოფთან გაანადგურეს. გაერთიანებული და განთავისუფლებული ქართლ-კახეთის მეფედ თეიმურაზ I გამოცხადდა. აბას I-ის მიერ გამოგზავნილ ახალ დიდ ჯართან იმავე წლის 1 ივლისს მარაბდის ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ მტერმა მიზანს მაინც ვერ მიაღწია.

მალე 1626 წ. ბაზალეთის ბრძოლაში თეიმურაზმა დაამარცხა გიორგი სააკაძე და ქართლ-კახეთიდან განდევნა. 1629 წელს აბას I-ის სიკვდილის შემდეგ თეიმურაზი ირანს კვლავ აუმხედრდა. ახალმა შაჰმა სეფი I-მა თეიმურაზის წინააღმდეგ როსტომი გაგზავნა., რომელმაც შეძლო თეიმურაზის განდევნა. 1634 წ. თეიმურაზმა კვლავ დაიკავა კახეთი. 1639 წ. მან საზეიმოდ მიიღო რუსეთის მეფის ერთგულების „ფიცის წიგნი.” 1648 წ. შაჰის აბას II-ის ბრძანებით როსტომმა ყიზილბაშთა ჯარით კახეთში ილაშქრა. დაამარცხა თეიმურაზ I და და აიძულა იმერეთში გადახვეწილიყო. თეიმურაზმა რუსეთიდან დახმარების მიღების მიზნით 1652 წ. მოსკოვში გაგზავნა თავისი შვილიშვილი ერეკლე დავითის ძე დედამისთან, ელენე დედოფალთან ერთად. აბას II-მ კახეთი სამართავად გადასცა განჯის ხანს. კახეთში თურქმანთა ჩასასახლებლად მზადებას შეუდგნენ. ამ დიდ საფრთხეს კახეთის მოსახლეობა კარგად გრძნობდა. 1658 წ. მოსკოვში ჩავიდა თეიმურაზ I. რუსეთი პოლონეთთან და შვედეთან ომით იყო დაკავებული და საქართველოსთვის დახმარების გაწევა არ შეეძლო. ამით ისარგებლეს სპარსელებმა: მცირე ხანში კახეთში ჩაასახლეს თურქმანების 15000 ოჯახი; კახეთის სამეფო 2 ნაწილად გაყვეს და სამართავად გადასცეს ყარაბაღის ბეგლარბეგსა და ნახჭევანის მმართველს. კახეთში იფეთქა მძლავრმა სახალხო აჯანყებამ. 1659 წ. კახეთი ერთიანად გაიწმინდა ჩასახლებული თურქმანებისაგან. ბახტრიონის ბრძოლის შემდეგ კახეთი ქართლის მეფემ ვახტანგ V-მ დაიკავა. 1664 წ. აბას II-მ კახეთი გადასცა ვახტანგ V-ის უფროს ვაჟს არჩილს. 1661 წლიდან თუშეთში იმყოფებოდა მოსკოვიდან წამოსული თეიმურაზის შვილიშვილი ერეკლე I, რომელმაც რამდენჯერმე სცადა კახეთის დაკავება, მაგრამ დამარცხდა და 1666 წ. რუსეთში დაბრუნდა. არჩილ II-მ დედაქალაქი თელავში გადაიტანა, განაახლა ეკლესიები, ააშენა მრავალი შენობა, სცადა ლეკიანობის ალაგმვა. ირანის შაჰმა სულეიმან I-მა არჩილ II-ს დაუპირისპირა ერეკლე ბატონიშვილი, რომელიც 1674 წ. რუსეთიდან მოიწვია. არჩილი იმერეთში გადავიდა. შაჰმა ერეკლეს გამაჰმადიანება მოსთხოვა. 1677 წ. ერეკლეს მაგივრად კახეთის მმართველად (ჯანიშინად) დაინიშნა გამაჰმადიანებული გორჯასპი კახაბრიშვილი, 1688 წლიდან 1703 წლამდე კახეთს განჯის ხანები მართავდნენ. ამ პერიოდში კახეთში მოიშალა

ადგილობრივი მმართველობა, გაძლიერდა ლეკიანობა. დაღესტნელი მთიელები მასიურად ჩასახლდნენ აღმოსავლეთ კახეთის ტერიტორიაზე. ყოველივე ეს კახეთის მოსახლეობის წინააღმდეგობას იწვევდა. 1703 წ. შაჰი იძულებული გახდა კახეთში ხანების მმართველობა გაეუქმებინა და კვლავ მეფობა აღედგინა. შაჰმა კახეთის მეფედ ერეკლე I დაამტკიცა, რომელიც აქამდე (1688-1703) ქართლს განაგებდა. შაჰმა ერეკლე I ირანში დატოვა, ხოლო კახეთში ჯანიშინად მისი უფროსი ვაჟი დავით II (იმამყული-ხანი) გაგზავნა. მის მიერ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად ლეკიანობა კიდევ უფრო ძლიერდებოდა, ამასთან კახელი გლეხობა მასობრივად გადადიოდა ლეკების მხარეზე, რადგან მათთან „უბატონობას" ეძებდა. ადგილი ჰქონდა გლეხთა აქტიური ანტიფეოდალურ გამოსვლებსაც (ბოდბისა და ბოდბისხევის გლეხთა აჯანყებანი 1699, 1711-1716) 1722-იდან კახეთს განაგებდა დავითის ძმა კონსტანტინე II (მაჰმადყული-ხანი), რომელსაც ირანის შაჰმა თბილისის დაკავება უბრძანა. 1723 წელს კონსტანტინემ თბილისი დაიკავა, ამასობაში ქართლში ოსმალები შეიჭრნენ და კონსტანტინე II კახეთში დაბრუნდა. მან ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ რუსეთიდან დახმარების მიღება სცადა, მაგრამ უშედეგოდ. კონსტანტინე II დამარცხადა ოსმალებთან ბრძოლაში ჯერ ყაზახთან 1724, შემდეგ გუფასთან 1725 და ფშავში გაიხიზნა.

ამ ვითარებით ისარგებლეს ლეკებმა და განიხიზრახეს კახეთის მთლიანად დაკავება და გამაჰმადიანება. როდესაც ლეკებმა თვითონ მოინდომეს კახელი გლეხების ყმადქცევა, მოსახლეობამ ისინი კახეთიდან გააძევა. მეფე კონსტანტინე II თელავში დაბრუნდა. ლეკთა წვრილ-წვრილი თარეში მაინც გრძელდებოდა. ამავე დროს მათ მტკიცედ მოიკიდეს ფეხი გაღმა მხრის კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში. 1727 ოსმალეთის სულთანმა საგანგებო ფირმანით დაუმტკიცა ჭარელ ლეკებს მათ მიერ მიტაცებული კახური მიწა-წყალი. ასე ჩამოსცილდა კახეთს საბოლოოდ მისი აღმოსავლეთი ნაწილი (საინგილო), სადაც ჭარ-ბელაქნელი აღალარების სახელმწიფო ჩამოყალიბდა. კონსტანტინე II იძულებული გახდა ოსმალებს დაზავებოდა და ხარკი ეკისრა. კახეთის მოსახლეობა ბრძოლას ოსმალებისა და

ლეკების წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა თეიმურაზ II. ეს მოძრაობა ირანის სარდალმა ნადირმა (თამაზ I ყული-ხანი) ქართლ-კახეთიდან ოსმალების გასაძევებლად გამოიყენა (1735), ხოლო თეიმურაზ II დააკავა და კახეთის მმართველად მისიძმისწული, გამაჰმადიანებული ალექსანდრე ბატონიშვილი (დავითის ძე), დანიშნა. მალე თეიმურაზ II-მ თავი დააღწია ირანელთა ტყვეობას და აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. 1736 წელს იგი ირანის დამსჯელი ჯარის სარდალმა სეფი-ხანმა ვერაგულად დაატყვევა და ისპაანში გაგზავნა. ირანის შაჰმა ნადირმა თეიმურაზი კახეთის მმართველად დააბრუნა (1738), ხოლო ინდოეთში სალაშქროდ მისი ძე ერეკლე (შემდეგში ერეკლე II) იახლა. ნადირ-შაჰი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო: 1743 მან კახეთი ხარკისაგან გაათავისუფლა, კახეთს მხოლოდ 500-კაციანი ნოქრის გამოყვანა ევალებოდა. ქვეყანა შედარებით დამშვიდდა, მოსახლეობა მომრავლდა. კახეთისაკენ მასობრივად მიემართებოდნენ ქართლიდან აყრილი გლეხები. 1743 წელს არაგვისხველები ბეჟან ერისთავს აუჯანყდნენ და მოკლეს (არაგვის საერისთავოს გლეხთა აჯანყება 1742-1746). მათ თავიანთ პატრონად თეიმურაზ II მიიწვიეს. ნადირ-შაჰმაც არაგვის საერისთავო კახეთის მეფეს დაუმტკიცა. 1744 თეიმურაზმა ქსნის ხეობაც დაიკავა. თეიმურაზი და ერეკლე აქტიურად დაეხმარნენ ნადირ-შაჰს ოსმალებისა და მათ მხარეზე მდგომი ქართლის თავადების წინააღმდეგ ბრძოლაში. აჩაბეთის ბრძოლაში ერეკლეს მეთაურობით კახელებმა დაამარცხეს ოსმალთა ჯარი, 1744 ივნისში ნადირ-შაჰმა თეიმურაზ II ქართლის მეფედ, ხოლო ერეკლე II კახეთის მეფედ დანიშნა.

1744-1762 წლები[რედაქტირება]

მე-3 პერიოდი კახეთის სამეფოს ისტორიაში არის ქართლისა და კახეთის ფაქტობრივი გაერთიანების დასაწყისი. ქართლ-კახეთის ტახტზე ქრისტიანული წესით ასული მამა-შვილი ერთობლივად მოქმედებდა როგორც საშინაო, ისე საგარეო ასპარეზზე. 1746 ერეკლე II-ს მოუხდა ქსნის, არაგვის და თრუსოს ხეობის მთიელების აჯანყების ჩახშობა. 1747 ქართლი და კახეთი აუჯანყდნენ ნადირ-შაჰს. საქართველოს მაგალითით აჯანყდნენ

კავკასიის სხვა ქვეყნებიც და შემდეგ მთელი ირანიც. იმავე წელს ნადირ-შაჰი შეთქმულებმა მოკლეს და ირანი გაუთავებელმა არეულობამ მოიცვა. თეიმურაზის ირანში ყოფნის დროს ერეკლე II-მ დაამარცხა ქართლის ტახტის პრეტენდენტი აბდულა-ბეგი. თეიმურაზის დაბრუნების შემდეგ მამა-შვილი წარმატებით იბრძოდა ამიერკავკასიაში ჰეგემონობისათვის და ზედიზედ დაამარცხეს კავკასიაში გაბატონების მოსურნე ყიზილბაში ხანები (მაჰმად-ხანი 1749, ფანა-ხანი 1750).

ამ გამარჯვებების შედეგად ქართლ-კახეთს დამორჩილდნენ ერევნის, ნახჭევნისა და განჯის სახანოები. დღის წესრიგში დადგა აღმოსავლეთ კახეთის (ჭარ-ბელაქნისა და კაკ-ენისელის) დაბრუნების საკითხი. 1750 ერეკლე II-მ დაამარცხა პირაქეთა და დაღესტნელი ლეკთა გაერთიანებული ჯარი, 1751 წელს კი ქართლ-კახეთის ჯარი ქვეშევრდომ ხანთა დამხმარე ჯარებთან ერთად ჭარში შევიდა, მაგრამ ერეკლე-თეიმურაზის ჯარი დამარცხდა (აგრის ბრძოლა 1751), რადგან მათ წინააღმდეგ გამოვიდა შაქრის ხანი აჯი-ჩალაბი, თანაც ქართლ-კახელებს მაჰმადიანმა ხანებმა უღალატეს. ერეკლემ და თეიმურაზმა მეორედაც განიცადეს მარცხი აჯი-ჩალაბთან 1752 წლის დასაწყისში განჯის ბრძოლაში ისევ მაჰმადიანი ხანების ღალატის გამო, მაგრამ მამა-შვილმა ენერგიული ღონისძიებების შედეგად საბოლოოდ აჯი-ჩალაბი მაინც დაამარცხა. აღმოსავლეთ კახეთის შემოერთება მაინც ვერ მოხერხდა.

1752 ერეკლემ და თეიმურაზმა რუსეთში ელჩობა გაგზავნეს, ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის მეთაურობით. ეს ელჩობაც უშედეგოდ დამთავრდა. ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობის გართულებით ისარგებლეს დაღესტნელმა ფეოდალებმა და წვრილ-წვრილ შემოსევებთან ერთად 2 დიდი ლაშქრობაც მოაწყვეს (მჭადიჯვრის ბრძოლა 1754, ყვარლის ალყა 1735), მაგრამ ისინი ერეკლემ ორივეჯერ სასტიკად დაამრცხა. ლეკიანობის აღსაკვეთად ქართლ-კახეთის სამეფო კარი არაერთ ღონისძიებას სახავდა, მაგრამ მხოლოდ საკუთარი ძალებით მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელი იყო, 1760 თეიმურაზ II პეტერბურგს გაემგზავრა დახმარების სათხოვნელად, მაგრამ

რუსეთი მაშინ პრუსიასთან ომში იყო ჩაბმული და ქართველთა თხოვნის დაკმაყოფილება არ შეეძლო.
თეიმურაზ II-ის პეტერბურგში გარდაცვალების (1762 წლის 8 იანვარი) შემდეგ ერეკლე II-მ თავი ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა. 1762 წელს ქართლი და კახეთი ფორმალურადაც ერთ სამეფოდ გაერთიანდა, რომელიც 1801 წლამდე არსებობდა.

ტრადიციები

კახეთი მევენახეობისა და მეღვინეობის ერთ-ერთი უძველესი კერაა. აქ ვაზის 80-მდე ჯიშია გავრცელებული.
კახეთი აგრეთვე ცნობილია ჩურჩხელით. ბამბის ძაფზე ასხმულ ნიგოზს, თხილს, ქიშმიშს ან ჩამიჩს თათარაში სამჯერ ავლებენ. ასე მზადდება აღმოსავლეთ საქართველოში ჩურჩხელა და დასავლეთ საქართველოში ჯანჯუხა. კარგი ჩურჩხელა და ჯანჯუხა გაზაფხულამდე ძლებს. საუკუნეების განმავლობაში ქართველ მოლაშქრეთა ერთ-ერთი მთავარი საკვები ჩურჩხელა იყო.
დიპლიპიტო — დასარტყამი საკრავია. იგი შედგება ტოლი სიმაღლის (20-25სმ) და სხვადასხვა დიამეტრის თიხის ორი ქილისაგან, რომლებზეც ციკნის ტყავი ან ხარის ფაშვია გადაკრული. ნაირფრად მოხატული ქილები თასმითაა გადაბმული. დიპლიპიტოზე ხის ორი პატარა ჯოხით უკრავენ. ჟღერადობის გასაძლიერებლად ტყავს ცეცხლზე ათბობენ.

არქიტექტურა

ალავერდის სამონასტრო კომპლექსი და, იმავდროულად საეპისკოპოსო ცენტრი, ალაზნის ველზე მდებარეობს. კომპლექსის მთავარი ტაძარი XI საუკუნის დასაწყისში წმინდა გიორგის სახელზეა აშენებული და საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ეკლესიაა. ალავერდი გარედან ძუნწად არის შემკული ორნამენტებით, რაც დამახასიათებელია კახეთის ძეგლებისათვის.
ქალაქი სიღნაღი XVIII საუკუნეში, მეფე ერეკლეს დროს აშენდა და შემოიზღუდა დიდი გალავნით, რომელსაც 23 კოშკი და 5 ჭიშკარი ჰქონდა. მოგვიანებით, როცა სიღნაღის მცხოვრებთა რაოდენობა გაიზარდა, გალავნის ნაწილი ქალაქის შიგნით

მოიქცა. დღევანდელი ქალაქის დიდი ნაწილი XIX საუკუნეშია გაშენებული.

დავითგარეჯა სამონასტრო კომპლექსია დავითგარეჯა ნახევრად უდაბნო ადგილას, გარეჯის კლდოვან მთებში. ის VI საუკუნეში დავით გარეჯელმა დააარსა. დავით გარეჯელი იყო ერთ-ერთი იმ ცამეტ ასურელ მამათაგან, რომლებმაც VI საუკუნეში საქართველოს სამონასტრო ცხოვრებას ჩაუყარეს საფუძველი. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე დავითგარეჯში ბერად აღიკვეცა და რამდენიმე წელს მოღვაწეობდა დიდი ქართველი განმანათლებელი სულხან-საბა ორბელიანი.

კახეთი ერთ - ერთი დიდი რეგიონია საქართველოს ფარგლებში. იგი ადმინისტრაციულად მოიცავს როგორც კახეთს, ასევე ისტორიულ კუთხეს – თუშეთს. კახეთში წარმოდგენილია ჰავისა და ლანდშაფტის მრავალფეროვნება, აქ გვხვდება როგორც სუბტროპიკული, ისე სტეპური ბუნება. საშუალო ტემპერატურა ზამთარში +1.4 ც, ხოლო ზაფხულში+23 +25 ც-ია. კახეთის ბუნება მეტად მრავალფეროვანია, რეგიონის მასშტაბით გვხვდება ნახევრადუდაბნო, მარადმწვანე ტყეები და სუბალპური მცენარეული საფარიც კი. ყველაზე დაბალი ადგილი ელდარის ვაკეა 90-150 მ. ზღ. დ., ხოლო უმაღლესი თებულოს მთა - 4493 მ. თუშეთის საშუალო სიმაღლე – 1880 მ. კახეთი ცნობილია კულტურულ ძეგლთა სიმრავლით. არაერთი ეკლესია - მონასტერი თუ ციხესიმაგრე იპყრობს ტურისტებისა და ექსკურსანტების ყურადღებას. კახეთის გამორჩეულად ცნობილი კულტურული ძეგლებია: ნინოწმინდა, ბოდბე, ხორნაბუჯი, უჯარმა, სიღნაღი, გურჯაანის ყველაწმინდა, ალავერი, ახალი და ძველი შუამთა, იყალთო, გრემი, ნეკრესი... თითოეული ეკლესია - მონასტერი ძველი ტრადიციის მატარებელია, დღემდე მოქმედებს მათი სახელობითი დღესასწაულები. ეს კი საუკეთესო ფაქტორია მომლოცველთა ან უბრალოდ კულტურული ტურიზმით დაინტერესებულთათვის მხარეს დიდი პოტენციალი აქვს ღვინის ტურიზმის განვითარებისთვის. კახეთის მეღვინეობის ისტორია ჩვ. წ. აღ-მდე III-II საუკუნეში იწყება და დღემდე მხარის ეკონომიკის

უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს. საქართველოს ღვინის ქარხნები უმეტესად კახეთშია კონცენტრირებული. აქაურ ქარხნებში ტურისტებს სხვადასხვა სერვისს სთავაზობენ: აცნობენ საწარმო პროცესს, ატარებენ ღვინის დეგუსტაციას, აცნობენ ქართულ ტრადიციებს სპეციალურად მოწყობილ ეთნოგრაფიულ კუთხეებში. ღვინის დაგემოვნება შესაძლებელია ტრადიციულ ქართულ ოჯახებშიც, სადაც ტურისტს შეუძლია ძველ ან ძველ სტილში აგებულ მარნებში კახური ტექნოლოგიით დამზადებული ღვინო დააგემოვნოს და ასევე გასინჯოს ქართული სამზარეულოს კერძები (ხშირად ხალხური სიმღერების ფონზე).კახეთში ყოველწლიურად იმართება ღვინის ფესტივალი. კახეთის ტერიტორიაზე ექვსი დაცული ტერიტორიაა – ბაწარას, ბაბანეულის, მარიამჯვრისა და ვაშლოვანის ნაკრძალები, თუშეთისა და ლაგოდეხის ეროვნული პარკები. თითოეული მათგანი ბუნების მოყვარულთ საოცარ ბუნების ძეგლებს სთავაზობს.

კახელები — ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი. ძირითადად ცხოვრობენ კახეთის მხარის ტერიტორიაზე. კახელები საუბრობენ კახურ დიალექტზე, რომელიც ლიტერატურული ქართული ენის ერთ-ერთი საფუძველია. ეთნოგრაფიულ-ლინგვისტური თვალსაზრისით კახელებს შორის ცალკე გამოყოფენ ქიზიყელებს და ინგილოებს. ამჟამად საქართველოში მცხოვრები დაახლოებით 3.600.000 ქართველიდან, დაახლოებით 500.000 ქართველი, კახური ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომაგდენელია.

ვახუშტი ბატონიშვილი კახელებს ასე ახასიათებს:

„ხოლო კაცნი და ქალნი შუენიერნი, ჰაეროვანნი და მგზავსნი ყოვლითავე ქართველთა ზნითა, ჩუეულებით და ქცევით, არამედ ლაღნი, ამაყნი, მეხოტბენი, დიდმთქმელნი, მეჩხუბარნი, შემმართებელნი, უფრო გლეხნი, ერთგულნი, მოსილნი ქართულად, ენითა და სარწმუნოებითა ქართლისათა, და სამწყსონი ქართლის კათალიკოზისანი". "ქიზიყელები ამაყი ხალხია. ცოტაოდენს წყენასაც არავის არ დაუთმობენ და არავის ადვილად არ დაებრიყვებიან. დამოუკიდებლობა მათ ძლიერ

უყვართ. სიტყვა-პასუხში, სიარულსა და მიხვრა-მოხვრაში ქიზიყელებს აშკარად ეტყობათ, რომ ბატონ-ყმობის უღელი კისერზე არა სდგომიათ და არ დაუჩაგრავს... როცა კარგად დააკვირდები, დარწმუნდები, რომ ესენი ნიჭიერი ხალხია“

ჰ ე რ ე თ ი - დღევანდელი საინგილო, ისტორიული მხარე აღმოსავლეთ საქართველოში. სახელწოდება „ჰერეთი“ აგრეთვე კავკასიის ალბანეთის ტერიტორიასაც აღნიშნავს. XV საუკუნიდან ტერმინი „ჰერეთი“ აღარ იხმარება და მას ენაცვლება ტერმინი „კახეთი“.

ინგილოები — ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი. ცხოვრობენ ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე. ეს მხარე ამჟამად აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის და მოიცავს სამ რაიონს: ბელაქანის, ზაქათალის და კახის. კახის რაიონში მცხოვრებმა ინგილოებმა შეინარჩუნეს ქრისტიანული რწმენა, დანარჩენ ორ რაიონში კი გამაჰმადიანდნენ. გამაჰმადიანებულ ქართველს იანგილოს ეძახდნენ, რაც თურქულად „ახლად მორჯულებულს“ ნიშნავს. აქედან წარმოსდგება სახელები „ინგილო“ და „საინგილო“. ინგილოები საუბრობენ ქართული ენის ინგილოურ დიალექტზე, რომელიც ახლოსაა კახურ-ქიზიყურთან, აგრეთვე ფერეიდნელი ქართველების მეტყველებასთან.

ჰერეთი წყაროებში პირველად იხსენება V ს-ში. უძველეს ხანაში კავკასიის ალბანეთის სამეფოში შედიოდა. X-XIV სს. წყაროთა მიხედვით, საკუთრივ ჰერეთი ეთნიკურ-ისტორიული მნიშვნელობით მოიცავდა გვიანდელი ხანის შიგნიკახეთისა და გაღმამხრის ტერიტორიას (მდ. ალაზნის ველი) საინგილოს ჩათვლით. XII საუკუნეში ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა საქართველოს ფეოდალური მონარქიის ერთ-ერთი პოლიტიკური ერთეული – ჰერეთის საერისთავო, რომელიც დაღესტნის მოსაზღვრე მთიანეთსაც მოიცავდა. XI ს. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ჰერეთი მოიცავდა კამბეჩოვანსაც და სუჯეთსაც (ე.ი. გარდა მდ. ალაზნის ველისა, მდ. ივრის შუა და ქვემო დინების ზეგანს), თუმცა წყაროსეული ცნობა უფრო ძველ რეალობას ასახავს და ეფარდება ვახტანგ I გორგასალის (V ს.) მიერ შექმნილ ადრინდელი პერიოდის ჰერეთის საერისთავოს ტერიტორიას. ზოგიერთი წყაროს მიხედვით

სახელწოდება „ჰერეთი” აგრეთვე კავკასიის ალბანეთის ტერიტორიასაც აღნიშნავს. XV ს-დან ტერმ. „ჰერეთი” აღარ იხმარება და მას ენაცვლება ტერმინი „კახეთი.”

ჰერეთის სამთავრო, ფეოდალური ხანის ერთ-ერთი ქართული სახელმწიფოებრივი ერთეული, რომელიც VIII ს. II ნახევარში გამოეყო ქართლის საერისმთავროს. ჰერეთის დამოუკიდებელი ფეოდალური სამთავროს შექმნა განაპირობა ქართლის საერისმთავროს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალმა დონემ ფეოდალური ურთიერთობის შემდგომმა გაღრმავებამ. სამთავროს ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა VIII ს-ის I ნახევარში არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ ქართლის საერისმთავროს შეუპოვარი ბრძოლის პირობებში. VIII ს. 40-50-იან წლებში ქართლის ერისმთავრის არჩილის შემწეობითა და ნებართვით ჰერეთში დამკვიდრდნენ ბაგრატიონთა საგვარეულოს ერთ-ერთი შტოს წარმომადგენლები. ქართლის უკანასკნელი ერისმთავრების იოანესა და ჯუანშერის გარდაცვალების შემდეგ ამ ბაგრატიონებმა დაიპყრეს მთელი ჰერეთი შაკიხიდან (ე.ი. შაქიდან) გულგულამდე (დაახლოებით თელავამდე) და საფუძველი ჩაუყარეს ჰერეთის ფეოდალურ სამთავროს. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ეს მოხდა 787 წელს. ახლადშექმნილი ჰერეთის ტერიტორია მოიცავდა გაღმამხარს, საინგილოს, შიგნიკახეთს, კამბეჩანსა და შაქს. ჰერეთის მთავარს ემორჩილებოდა აგრეთვე დაღესტნის მთიანეთის ნაწილი: ხუნძახი და დიდოეთი. პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი იყო ქ. შაქი.

განსაკუთრებით ძლიერი იყო ჰერეთის სამთავრო IX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. ამ ხანაში ჰერეთის მთავარმა ჰამამმა 893 წელს, მოსე კალანკატუელის ცნობით, მეფის ტიტული მიიღო.. ასე შეიქმნა ჰერეთის სამეფო.

ჰერეთის სამეფო. ქართული ფეოდალური სახელმწიფო (IX ს. დასასრული XI დასაწყისი). მისი დამაარსებელია ჰამამი, რომელმაც მოსე კალანკატუელის ცნობით, 893 წელს მეფის ტიტული მიიღო.

IX – X საუკუნეებში ჰერეთის სამეფოს პოლიტიკურ-ეკონომიური ძლიერება და მაღალი კულტურა დასტურდება ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების სიმრავლით. შემონახულია შესანიშნავი

ხუროთმოძღვრული ძეგლები: ყუმის ბაზილიკა (VIII ს.), ლექთის ტეტრანკონი (VIII-IX სს.), გურჯაანის (კახთუბნის) „ყველაწმინდა" (VIII-IX სს.), ხირსის „სტეფანწმინდა" (IX), ოზაანის „ამაღლება" (IX ს.) და მრავალი სხვ.

ჰამამის გარდაცვალების შემდეგ ჰერეთის სამეფოს ტახტზე ადის მისი შვილი ადარნასე, ქართული წყაროების მიხედვით (მატიანე ქართლისაი," ვახუშტი ბატონიშვილი) ადარნასე პატრიკი. მის დროს, დაახლოებით 915 წელს კახეთის ქორეპისკოპოსმა კვირიკე I-მა (892-918) აფხაზთა მეფე კონსტანტინე III-თან ერთად გაილაშქრა ჰერეთის წინააღმდეგ. მოკავშირეებმა დაიპყრეს და გაინაწილეს ჰერეთის მნიშვნელოვანი პუნქტები: არიში (ახლანდელი მთისძირი), გავაზი (ახლანდელი ახალსოფელი), ორჭობი. რამდენიმე ხნის შემდეგ ადარნასე პატრიკმა ისარგებლა კახეთის სამთავროს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის გართულებით და დაკარგული ტერიტორია დაიბრუნა.

ადარნასე პატრიკის შემდეგ ჰერეთის მეფე იყო მისი ძე იშხანიკი (დაახლოებით 943 – X ს. 60-იანი წწ.), მასთან ერთად ჰერეთს მართავდა დედამისი - დინარ დედოფალი (ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელი, ადარნასე II-ის ასული და ცნობილი გურგენ IV დიდის ერისთავთერისთავის, მაგისტროსის და). იბნ ჰაუკალის თხზულების მიხედვით, იშხანიკის მეფობის დროს ჰერეთი დეილამის მთავრების – სალარიდების სახელმწიფოს ვასალი იყო. X ს-ის 50-იან წლებში იშხანიკმა ისარგებლა სალარიდების სახელმწიფოში შიდაფეოდალური ომებით და ხარკის მიცემა შეუწყვიტა. ქართული წყაროების მიხედვით, იშხანიკისა და დინარ დედოფლის მმართველობის ხანაში ჰერეთმა უარყო მონოფიზიტობა და აღიარა ქალკედონური მრწამსი. ამ დიდმნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული აქტით განხორციელდა ჰერთა საბოლოო გაერთიანება ერთიან ქართულ (მცხეთის) ეკლესიასთან. იშხანიკის შემდეგ მეფობდა იოანე სენექერიმი (დაახლოებით X ს. დასასრული). მან გაზარდა თავისი სამეფოს ტერიტორია ალბანეთისა და კახეთის ხარჯზე, რის გამოც წანართა მეფის ტიტულიც მიიღო. XI ს. დასაწყისიდან საისტორიო წყაროებში ჰერეთის მეფე აღარ იხსენიება. როგორც ჩანს, ამ დროს არსებობა შეწყვიტა ჰერეთის მფლობელთა დინასტიამ. XI ს. დასაწყისში

გაერთიანებული საქართველოს მეფე ბაგრატ III და კახთა ქორეპისკოპოსი დავითი (975-1010) იბრძვიან ჰერეთის დასაპყრობად. XI ს-ის 20-იან წლებში კახეთის მეფე კვირიკე III (1010-37) დიდმა დაიპყრო ჰერეთის სამეფო, რითაც დასრულდა კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური შერწყმის პროცესი. ამიერიდან ჰერეთის სამეფომ შეწყვიტა დამოუკიდებელი არსებობა და მოექცა ახლად შექმნილი პოლიტიკური ერთეულის - „რანთა და კახთა" სამეფოს შემადგენლობაში. XII ს-ის დასაწყისში ჰერეთი კახეთის სამეფოსთან ერთად გახდა გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ორგანული და განუყოფელი ნაწილი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

კამბეჩოვანი, კამბეჩანი, კამბეჩიანი (სახელწოდება წარმოდგება კამეჩ-კამბეჩისაგან), მხარე შუა საუკუნეების საქართველოში, კახეთში. მოიცავდა ტერიტორიას მდ. ალაზნის ქვემოწელსა და მდ. მტკვარს შორის. ცენტრი ხორნაბუჯი. ანტიკურ წყაროებში მოხსენიებულია სტრაბონთან (ძვ.წ. I – ახ.წ. I სს.) როგორც კამბისენე. ვარაუდობენ, რომ უძველეს ხანაში კამბეჩოვანი ალბანურ ტომთა კავშირის გაერთიანებაში შედიოდა. აქ ერთმანეთს ემიჯნებოდნენ იბერიელები (აღმ. ქართველები), ალბანელები და სომხები. კამბეჩოვანის გამო ხშირად ეცილებოდნენ ერთმანეთს იბერიისა და ალბანეთის სახელმწიფოები. V ს-ის ბოლოდან, მას შემდეგ, რაც აქ მეფე ვახტანგ გორგასალმა ხორნაბუჯის საეპისკოპოსო დაარსა, კამბეჩოვანი მკვიდრად შევიდა ქართული კულტურული და პოლიტიკური გავლენის სფეროში. VI ს-ში, ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ კამბეჩოვანი სპარსელთა მოხელეს ემორჩილებოდა. VII ს-ის შუა წლებიდან აქ არაბები ბატონობდნენ. VIII ს. II ნახევრიდან კამბეჩოვანი ჰერეთის სამთავროს შემადგენელი ნაწილი იყო. XI ს-ის დასაწყისში, კახეთისა და ჰერეთის გაერთიანების შემდეგ, კახეთის სამეფოს საერისთავო გახდა. XII ს-ში გაერთიანებულ საქართველოს სახელმწიფოში კამბეჩოვანი ერთ-ერთი სანაპირო საერისთავოა. XIII ს. დასაწყისში იგი რამდენჯერმე ააოხრეს ხვარაზმელებმა, შემდეგ – მონღოლებმა. XV ს. ბოლოდან ისტორიულ კუთხედ ქიზიყად იწოდება. (ქარ. საბ. ენციკლ. ტ. 5 . გვ. 343-344).

ქიზიყი. ისტორიული მხარე აღმ. საქართველოში, კახეთში, ტერიტორია მდ. მტკვრის ჩრდილოეთით, ყარაიის ველის

ქვემოთიდან მოკიდებული, მდინარეების ივრისა და ალაზნის ქვემო წყლის აუზი (ახლანდელი სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების ტერიტორია). ქიზიყის ანტიკური და ადრინდელი ფეოდალური ხანის სახელწოდებაა კამბეჩოვანი. სახელწოდება „ქიზიყი" წყაროებში XV საუკუნიდან გვხდება. გვიანდელ შუა საუკუნეებში ქიზიყი იყო კახეთის ძირითადი ძალა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში. 1616 წელს ირანის შაჰმა აბას პირველმა დაარბია მხარე; მოსახლეობა ხორნაბუჯის ციხეში გაიხიზნა და მტერმა ვერ მოახერხა მისი აყრა. XVII ს. 60-70-იან წლებში კახეთში გაბატონებულ ყიზილბაშ ხანებს ქიზიყში, მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, ყარაღაჯში, ჰქონდათ სამხედრო საყრდენი პუნქტი. ქიზიყშივე ჰქონდა საზამთრო (აგრეთვე ყარაღაჯში) და საზაფხულო (მაღაროში) რეზიდენციები კახეთის მეფე დავით II-ს (იმამყული-ხანი 1703-22). XVIII ს. II ნახევარში, თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მმართველობის დროს, ქიზიყი მთავარ როლს ასრულებდა დაღესტნიდან და ჭარ-ბელაქნიდან მოძალებული მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში. XVIII ს. II ნახევარში დაწინაურდა და ქიზიყის მთავარი ქალაქი გახდა სიღნაღი.

არსებობს აზრი, თითქოს ქალაქთა სიაში ამჟამინდელი სიღნაღის ჩარიცხვამდე (1770 წ.) მის მიდამოებში არ იყო რაიმე დასახლება. „ჯული ქიზიყის" ამ მიკრორაიონში პირველი და უკანასკნელი საფორტიფიკაციო ნაგებობაც თითქოს მხოლოდ და მხოლოდ 1762 წელს დასრულებული ერეკლესეული უზარმაზარი ციხე-გალავანი იყოს. ეს აზრი დღემდე არსებობს მხოლოდ იმიტომ, რომ კამბეჩოვანის მხარის (მერმინდელი ქიზიყის) წარსულის ბევრი საინტერესო საკითხი ჯერ კიდევ შეუსწავლელია. „ქართლის ცხოვრების" XVIII საუკუნის შუა წლების ხელნაწერებში გვხვდება განმარტებითი მინაწერი: "კამბეჩ(ო)-ანი – ქისიყია"-ო.! ვახუშტი ბატონიშვილიც ადასტურებს, რომ ქიზიყს "პირველ კანბეჩოვანი" ეწოდებოდა და თავის 1735 წლის რუკაზე "კანბეჩოვანს" უჩვენებს იმ ტერიტორიაზე, რომლის გულში სოფ. ზემო მაღარო, ზემო ბოდბე და ჭოტორი მდებარეობს (ცივ-გომბორის ქედის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უღელტეხილის არეში).

ასეთმა ბუნებრივმა მდებარეობამ მაღარო-ჭოტორი-ბოდბე შინათბრძოლებისა და გარეშე მტრებთან სისხლიანი შეხლა-შემოხლის მრავალი აქტის მოწმე გახადა. უაღრესად საინტერესოა, რომ ამავე დროს ეს მიდამოები ყოველთვის იყო უჩვეულოდ მჭიდრო მოსახლეობის საბუდარი. თვით შაჰ-აბასის შემოსევის შემდეგაც კი ეს კუთხე ხალხმრავალი ჩანს, რასაც გვიდასტურებს 1640 წელს კახეთში ჩამოსული რუსთა ელჩი თავადი მიშეცკი. საგულისხმოა, რომ სიღნაღის კონცხსა და მაღაროს მაღლობებს, რომელთა კალთებზე აღნიშნული წლის 6 აგვისტოს ღამე გაათია რუსთა საელჩომ, მიშეცკი პირდაპირ „ქიზიყს" უწოდებს", ხოლო აკადემიკოსი კ. ჩუბინაშვილი მიშეცკის „ქიზიყის გორას" აიგივებს სიღნაღის კონცხთან. მაღარო – სიღნაღის მიდამოებს სხვა წყაროებშიც ვხვდებით, როგორც ქიზიყის აღმნიშვნელ მიკრორაიონს —- „ჯულ-ქიზიყს"-. მაგალითად, დავით ბატონიშვილი 1800 წლის ნოემბერში წინააღმდეგ გალაშქრების ამბების აღწერისას, აღნიშნავს, რომ იგი ჩავიდა "ქიზიყს, მხედრობითა თვისითა".. აქედან (ქიზიყიდან) "წარემართენ და მივიდნენ წინამხარს, ძველ ანაგად წოდებულსა ადგილსა, რომელიც შორავს ქიზიყს ორითა ფარსანგითა. ყველამ იცის, რომ ძველი ანაგაც ქიზიყშია, მაგრამ იგი მაინც ორიენტირებულია მიკრორაიონ "ქიზიყიდან", რომლის სახითაც უეჭველია ნაგულისხმევია მაღარო-სიღნაღის მიდამოები.

"ქიზიყი" მოხსენებულია, როგორც ცალკე დასახლებული პუნქტი, 1711 – 1716 წლების ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელშიც, სხვათა შორის, მითითებულია, რომ "გადასახადი" ("რიგის ძროხა") უნდა გაეღოთ სოფლებს ბოდბეს, ხევსა და ხიზიყს თანაბრად. მაღარო-სიღნაღის უღელტეხილის არეში, ამ მხარის მოსახელე დასახლების ("ქიზიყის") არსებობის ფაქტი ერთგვარ საბაბს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ქიზიყის პროვინციის წინაპარი – კამბეჩოვანის პროვინციის ცენტრალური დასახლებაც (უძველესი ქ. კამბეჩოვანის სახით) ამ უღელტეხილის არეში იყო. ცივ-გომბორის ქედის გადამკვეთი ყველა უღელტეხილი, როგორც ვიცით, ქვეყნის მესვეურთა

შეუნელებელი ყურადღების საგანს შეადგენდა: მათი თხემები და მისადგომები აღიჭურვებოდა სათავდაცვო ნაგებობით, მათ ზონებში იქმნებოდა ადმინისტრაციული და სარწმუნოებრივი ცენტრები.

ბედის ანაბარა მიტოვებული არ უნდა ყოფილიყო, რასაკვირველია, არც მაღარო-სიღნაღის უღელტეხილი, რომლის ზონაშიც უკვე IV საუკუნიდან არსებობდა წმ. ნინოს საყდარი – მთელი ივერიის "წმინდა ადგილი". ამ საყდრის ბაზაზე აღნიშნული საუკუნიდანვე არსებობდა საეპისკოპო, ხოლო 472 – 473 წლებში ვახტანგ გორგასალმა აქ თავისიანი ეპისკოპოსი "დასუა". მაგრამ რატომ არაა დაცული თუნდაც მარტო ეს საყდარი ისეთი უშუალო საფორტიფიკაციო ნაგებობებით, როგორიც გააჩნია ალავერდის, ხირსის წმ. სტეფანეს, ოზაანის „ამაღლების" ტაძრებს? ნუთუ ცარიელ სიტყვებად დარჩა მირიან მეფის ანდერძი წმ. ნინოს განსასვენებელი ადგილის – დაბა ბუდის (ე. ი. უღელტეხილის ცენტრალური პუნქტის) საგანგებოდ გამაგრება-გამშვენიერების შესახებ, რისთვისაც მან სამეფო განძის ნახევარი გადასდვა? სად არის ნაკვალევი მისი გრანდიოზული გეგმის განხორციელებისა? გვგონია, რომ არა მარტო მირიან მეფის, მასზე ადრინდელი და მომდევნო დროის ჩვენი ქვეყნის მესვეურთა მხრივ ამ უღელტეხილის დაცვაზე ზრუნვის ნაკვალევი ნამდვილად ჩანს. უღელტეხილის თხემის ცენტრალურ ნაწილში (სოფ. მაღაროს სამხრეთ ნაპირში) ერთი მომცრო გორაკია, რომელრც „ზღუდერი" ეწოდება. მის მწვერვალზე ამჟამად დგას გვიანფეოდალურა ხანის დარბაზული ტიპის მიტოვებული ეკლესია – „ზღუდერის" წმ. გიორგი. გორაკის სამხრეთისა და დასავლეთის კალთებზე კარგად შეინიშნება დიდი ხნის აბალახებული სამოსახლოების ნაკვალევი, ხოლო გორაკის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც იგი უღელტეხილის თხემს ებმის, ასევე კარგად ეტყობა ნაზღუდარი. „ზღუდერი" ზღუდიდან არის წარმომდგარი და სამართლიანად ვარაუდობენ, რომ ტერმინ „ქალაქის" შემოსვლამდე ქართველები ამ ტერმინით აღნიშნავდნენ გამაგრებულ დაბა-ქალაქებს. უღელტეხილის თხემის ჩრდილო დაქანებაზე (სოფ. მაღაროს

აღმოსავლეთ განაპირაზე) დაშვებულ სერს "ასსარი" ეწოდება და ეს ტოპონიმი თითქოს არაბულ "ჰისარს" ენათესავება ("შემოერტყა", "შემოევლო"). ასსარის ზემო ნაწილს კიდევ ცალკე საკუთარი სახელი "ციხითვეანი" ჰქვია. ადგილობრივი მოსახლენი ირწმუნებიან, რომ "ციხითვეანში" მათ დროსაც (50 – 60 წლის წინათ) იყო საფორტიფიკაციო ნაგებობათა ნაშთები (შლიდნენ და ქვას იყენებდნენ საშენ მასალად). "ზღუდრის" მახლობლად – ბოდბის ხევის გადასახედში უკანასკნელ ხანებამდე იდგა მძლავრი ოთხკუთხა სათავდაცვო კოშკი, რომელიც "შესაძლოა იყო მაღაროს "სასახლე მეფეთა საზაფხულოს" სათავდაცვო სისტემის ელემენტი. პლ. იოსელიანის ცნობით, ეს სასახლე 1705 წლამდე არსებობდა და ქვის გალავანი ერტყა. ამჯვარად, მაღარო-სიღნაღის უღელტეხილის თხემზე სამი უაღრესად საინტერესო და მრავალმხრივ საგულისხმო ტოპონიმი – "ზღუდერი", "ასსარი" და "ციხითვეანი" გვაქვს, რომელთა კავშირი საფორტიფიკაციო საქმესთან ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, ხოლო "ხნოვანებით" ეს „ზღუდერი" მაინც, თუ კი სხვა, უკვე შესწავლილი "ზღუდრების" მიხედვით ვიმსჯელებთ, ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე დგას. ასეთად წარმოგვიდგება დაბა ბუდის, წმ. ნინოს სარწმუნოებრივი ცენტრის ირგვლივ არსებული სათავდაცვო სისტემის ერთ-ერთი (უმთავრესი) კვანძი, მისი სამხრეთის ფარი, თავდაპირველი დანიშნულებით კი მაღარო-სიღნაღის უღელტეხილის საიმედო მოდარაჯე და მბრძანებელი – უძველესი ციხე-ქალაქი კამბეჩოვანის ნაკვალევი. მისი ამგვარი მდებარეობა კამბეჩოვანის პროვინციის დამოუკიდებელი და ამასთან ბუფერული მდგომარეობის სიმპტომად გვეჩვენება. ახლა კი დაბა ბუდის წმ. ნინოს სარწმუნოებრივი ცენტრის ირგვლივ არსებული სათავდაცვო სისტემის სიღნაღის კვანძის შესახებ, ახლანდელი ქალაქ – "სიღნაღის" წარმოქმნამდე. 1852 წელს გაზეთ Кавказ – ის 58 – ე ნომერში დაიბეჭდა ი. ბელკინის Очерки Сигнага, რომელშიაც ავტორს მითითებული აქვს ორი ციხე – გალავნის – ძველისა და ახლის არსებობა. ახალი ციხე – გალავნის აგების ამბები

ადგილობრივი მოსახლეობის მეხსიერებაში მაშინაც თურმე „ცოცხლად" იყო დაცული. ძველი ციხე – გალავნის დაარსების შესახებ კი არავინ არაფერი უწყისო, აღნიშნავს „აღწერილობის" ავტორი. სიღნაღის ქალაქის თავის ანდრონიკაშვილის მიერ 1863 წელს შედგენილ Описание города Сигнага -ს ტექსტში შეტანილია ცნობები ამ ქალაქში არსებული „ძველი ნაგებობების ნაშთების" შესახებ. იგი ჯერ მიუთითებს დღემდე შემონახული ერეკლესეული ციხე-გალავნის დამახასიათებელ ცნობებზე, " შემდეგ აღნიშნავს, რომ, „в городе существуют остатки старой крепости заложеное которой неизвестно. Стены её имеют в окруности 36 саженей, с несколькими башнями.

ახლა იმ მცირეოდენი, ფაქტიურად არსებული საფორტიფიკაციო ნაგებობების ნაშთების შესახებ, რომლებიც ჩვენ გვაქვს შენიშნული ქ. სიღნაღის კონცხზე:

1.1762 წელს დასრულებული ერეკლესეული ციხე-გალავნის "მეფის ანუ ჯუგაანის" კოშკის ახლო ჩვენ შევნიშნეთ ამ გალავნის ქვეშ, მის მიმართ პერპენდიკულარული მიმართულებით გამავალი, უძველესი საფორტიფიკაციო კედლის მონაკვეთი. თქმა არ უნდა, რაკი ამ ნაკვეთზე გადადის არსებული ციხე-გალავნის მაგისტრალური კედელი, უკანასკნელი მასზე გვიანაა აგებული.

2.ქალაქის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული უბნის ტერიტორიაზე ჩვენ შევნიშნეთ დაახლოებით 1000 მეტრის სიგრძე საფორტიფიკაციო კედლის მონაკვეთი, რომელიც არსებულ ციხე-გალავანს კარგა მანძილით არის მოშორებული (ფოტოგრაფ ე. სილდირიანის კარ – მიდამოდან კიროვის ქუჩის გადაკვეთამდე).

3. ძველი საფორტიფიკაციო კედლისა და გვირაბის ნაშთები შენიშნული იყო ქალაქის ცენტრში ახალი ადმინისტრაციული შენობის აგების დროს, რომელიც თავისი მდებარეობით ზემოაღნიშნული კედლის ხაზზე მოდის.

სიღნაღის კონცხზე ორი ციხის არსებობაზე უნდა მეტყველებდეს ქვემოთ მოყვანილი ორი ცნობა, რომელთაგან

პირველი ეკუთვნის ვახტანგ ბატონიშვილს, ხოლო მეორე ომან ხერხეულიძეს;

1.“მეფემან ირაკლი აღაშენა ციხე იგი ხისიხისა (ქიზიყისა, ი. შ.), რომელსა უწოდებენ სიღნაღს, რომლისაცა მიზეზით მრავალგზის ისარგებლეს ხალხთა ხისიხისა და სხვათა მახლობელთა სოფელთა მისთათა მშვიდობით დაცვითა მტერთაგან”.

2. „მეფემ ირაკლიმ განაახლა ციხე გორისა, გალავანი სიღნაღისა, თელავისა” და სხვ.

პირველი ცნობა უნდა ასახავდეს ახალი, 1762 წელს დასრულებული ციხეგალავნის აგების ფაქტს, ხოლო მეორე – ადრე არსებული (ძველი ციხე-გალავნის) აღდგენა - რეკონსტრუქციის ამბებს. დაბა ბუდის ირგვლივ არსებულ საფორტიფიკაციო ნაგებობათა მესამე კვანძის კვალი მძლავრი ოთხკუთხა კოშკების ნანგრევთა სახით არსებობს, წმ. ნინოს ტაძრის აღმოსავლეთით მდებარე მაღლობების სოფ. ასანურისაკენ დაქანებულ ფერდობებზე. თუმცა ზოგი მკვლევარი ქალაქ კამბეჩოვანსა და ხორნაბუჯს ერთდაიმავე ქალაქად თვლის, ჩვენი რწმენით უკანასკნელი იყო პირველის “თანამგზავრი“ და მდებარეობდა სულ რაღაც 3 კილომეტრზე მის აღმოსავლეთით. მხედველობაში გვაქვს დაბა ბუდის წმ. ნინოს სარწმუნოებრივი ცენტრის ირგვლივ არსებული დასახლება. ხორნაბუჯი (ტოპონიმი) უნდა იყოს “დაბა ბუდის” ბერძნული თარგმანი; ბერძნული „ხორიონ”, რაც უდრის გამაგრებულ პუნქტს, ან “ხორა”, რაც მხარეს, სოფელს უდრის, და, დაბის სახელი “ბუდი“. მაგალითები ბგერა “დ”-ს გარდაქმნისა ბგერა “ჯ“-დ საკმაოდ მოიპოვება. ცნობილია, რომ ბერძნები ასეთ პრაქტიკას არ ერიდებოდნენ. ”ქორა” (შემდეგ „ხორა“), როგორც ცნობილია ქართული “ქორეპიროპოსის” კომპონენტს შეადგენს (მხარის, სოფლის, ეპისკოპოსი).

დაბა ბუდის ხორნაბუჯად „გარდაქმნით” უნდა აიხსნას ის უცნაური გარემოება, რომ ნინოს დაკრძალვის შემდეგ ბუდის სახელი ქართულ საისტორიო წყაროებში (მროველი, ჯუანშერი, “მატიანე ქართულისაი“) სრულიად ქრება და მის მაგიერ თავს

იჩენს აქამდე უცნობი “ხორნაბუჯი” (ვარიაციებით; ხუარნაბუჩი, ხორანბუჯი, ხორამბუჯი და სხვ.). სარწმუნოებრივი ცენტრი ხორნაბუჯი რომ დაბა ბუდის წმ. ნინოს ტაძრის ბაზაზე აღმოცენდა და არა ჭოეთის მხარის “ახალ” ხორნაბუჯში, ამას შემდეგი გარემოება უნდა ადასტურებდეს: ვახტანგ გორგასალის მიერ კამბეჩოვანის მხარეში “თავისიანი” – ეპისკოპოსის დანიშვნის მომენტისათვის (472 – 473 წლებში), როგორც გამორკვეულია, ქართლის სამეფოს ხელში არ იყო ამ მხარის ის ნაწილი, რომელშიც ჭოეთის ციხე მდებარეობდა; იგი ალბანეთის სამეფოს ხელთ ყოფილა და ჩვენს ქვეყანას ვახტანგ გორგასალმა თავისი მეფობის სულ უკანასკნელ წლებში შემოუერთა. ამიტომ არც ერთი საისტორიო წყარო, მათ შორის არც ვახუშტი ბატონიშვილის შრომები, არ იძლევა არავითარ მითითებას, რომ ჯუანშერის მიერ ნახსენები ხორნაბუჯი, სადაც ვახტანგ გორგასალმა 472 – 473 წლებში თავისიანი ეპისკოპოსი “დასუა”, იყოს სახელდობრ ჭოეთის ციხის მიდამოების ხორნაბუჯი, რომელიც მხოლოდ VI საუკუნის დასაწყისიდან იწყებს ჩამოყალიბებას “ხმალითა წახმული” ჭოეთის ციხის არეში. ჯუანშერის მიერ მითითებული მონაცემების განხილვისას, განსვენებულმა აკად. ივანე ჯავახიშვილმა გამოარკვია, რომ ამ მემატიანეს გამოტოვებული აქვს ვახტანგის ეპოქაში უკვე არსებული ბევრი საეპისკოპოსო: ამასთან ივ. ჯავახიშვილმა ჩამოთვალა კიდეც ეს გამოტოვებული საეპისკოპოსოები, მაგრამ გამოტოვებულთა შორის მან არ მოიხსენია ბოდბის უძველესი საეპისკოპოსო, მიუხედავად იმისა, რომ ჯუანშერის ცნობებშიც არაფერია ნათქვამი ამ ობიექტის შესახებ. ცხადია, ივ. ჯავახიშვილიც სთვლიდა, რომ ხორნაბუჯის საეპისკოპოსოს სახით ჯუანშერს ნაგულისხმევი ჰქონდა ბოდბის საეპისკოპოსო. ამგვარად, კამბეჩოვანის (შემდეგ ქიზიყის) უდიდესი სარწმუნოებრივი ცენტრი ხორნაბუჯი (დაბა ბუდი) წმ. ნინოს ტაძრის ბაზაზე არსებულად ჩანს, იგი სულ რაღაც 3 კმ იყო დაშორებული ძველი კამბეჩანიდან, და შეიძლება ზოგჯერ აღარც ეს მანძილი რჩებოდა მათ შორის. ციხე ქალაქი კამბეჩანის მზე უკვე VI საუკუნის დასაწყისიდან ჩაესვენა. იგი

შემუსრა “ხუასრო მეფემ”, მაგრამ მის კართან მდებარე სარწმუნოებრივი ცენტრი დაბა ბუდისა (ძვ. ხორნაბუჯი) ხელუხლებლად დატოვა. ჯუანშერის ცნობით, სწორედ ასევე მოექცა “ხუასრო მეფე” მცხეთის საკათალიკოსო ცენტრსაც: არმაზი შემუსრა, მის კარზე მდგარი საკუთრივ მცხეთა კი ხელუხლებელი დატოვა. სპარსელებმა მცხეთა ვერ დაიპყრეს, “გარნა რომელი ზღუდესა გარეგნით იყო, მოაოხრესო”. მაგრამ არმაზის ამღებს მცხეთის აღება აღარ უნდა გასჭირვებოდა, მით უმეტეს, რომ სპარსელთ მტკვარი გადაელახათ (არმაზი – მცხეთას შუა). ივერიის უდიდესი სარწმუნოებრივი ცენტრების მცხეთისა და ხორნაბუჯის ხელუხლებლად დატოვება უნდა გაგებულ იქნას, როგორც “ხუასრო მეფის” პოლიტიკური ნაბიჯი: ქართული ეკლესია ვახტანგ გორგასალის დროს ქრისტიანობის იმ მიმდინარეობის პოზიციებზე იდგა, რომელსაც ამ დროს სპარსეთში მფარველობას უწევდნენ (რათა ამით ძირი გამოეთხარათ ბიზანტიის გავლენისათვის ივერიის სამეფოზე). როდესაც მთელი კამბეჩოვანის მხარე საბოლოოდ შეუერთდა ქართლის სამეფოს, მის მესვეურთა პოლიტიკურ-სტრატეგიული საქმიანობის სიმძიმის ცენტრმა აღმოსავლეთისაკენ გადაინაცვლა: მათ ახალი ასპარეზი და დიდი ამოცანები გაუჩნდათ: ამ დროისათვის უკვე ხორნაბუჯელებად წოდებულნი, ზურგიდან მხარმიცემულნი, ახალი ვითარებისათვის შეუდარებლად ხელსაყრელი ჭოეთის ციხის არეში დამკვიდრდნენ და ალაზნისა და შირაქის ველების მიჯნაზე დასაწყისი მისცეს ახალგაზრდა ფეოდალური ქალაქის არსებობას. ამ დრომდე კი აქ ძველთაგანვე არსებობდა ზღაპრული შესახედაობის ციხე - სიმაგრე, რომელიც ეტყობა, იმ მცირე ტომობრივი ერთეულის (ქართველური) სახელს ატარებდა, რომელიც V საუკუნის სომხურ საისტორიო წყაროს მითითებით “წოთეთად” იწოდებოდა. ადგილობრივი მოსახლეობა მას დღესაც ჭოეთის ციხედ თვლის (მის გარშემო არსებული “ჭოეთის” ან “ჭუეთის” ტყის სახელის მიხედვით), ხოლო ზოგჯერ “თამარის ციხედ” იხსენიებს. ეჭვს გარეშეა, რომ უძველესი ქალაქი კამბეჩანის (მაღაროს – სიღნაღის უღელტეხილი), სარწმუნოებრივი ცენტრი

“ხორნაბუჯის” (დაბა ბუდის) და ჭოეთის (ქ. ხორნაბუჯის) ციხის მიდამოების მიწის წიაღი – ჩვენი ერის წარსულის მრავალ საიდუმლოებას ინახავს და მათი გამომზეურება ჩვენი საისტორიო მეცნიერების სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს.

ფერეიდნელები — ირანის ფერეიდანის მხარეში მცხოვრები ქართველები. ეს ხალხი XVII საუკუნის დასაწყისში შაჰ-აბასს გადაუსახლებია უმთავრესად კახეთიდან და საინგილოდან. უცხოურ გარემოცვაში მათ ქრისტიანობაზე ააღებინეს ხელი და გაამუსლიმანეს. სპარსულმა ენამ იქ თანდათანობით მტკიცედ მოიკიდა ფეხი, მაგრამ ქართული ენა მაინც არ დავიწყებიათ. ფერეიდანში უმრავლეს სოფელს ქართული სახელი დღემდე აქვს შემორჩენილი. აქაური ქართველები მეტყველებენ ე.წ. ფერეიდნულ დიალექტზე, რომელიც თითქმის 4 საუკუნეა მოწყვეტილია ლიტერატურულ ქართულ და მოძმე დიალექტებს.

კახეთის ისტორიული ძეგლები

ძნელად თუ მოიძებნება ისეთი დიდი კულტურული მემკვიდრეობის მქონე ქვეყანა, როგორიც საქართველოა, მისი ყოველი კუთხე ნათლად ასახავს ისტორიის ყოველ ეტაპს. ამ მხრივ ერთ–ერთი გამორჩეული მხარეა კახეთი.

კახეთის ისტორიაში ძნელია ხანგრძლივი მშვიდობიანი პერიოდის მონახვა, მაგრამ ქართველი ერი, რომელიც ცნობილია თავისი შრომისმოყვარეობითა და მებრძოლი ხასიათით, ის ყოველთვის ახერხებდა აეშენებინა თავდაცვითი თუ საეკლესიო ხასიათის ნაგებობები. მრავალ ისტორიულ ძეგლზე შემონახული წარწერები საინტერესო ცნობებს გვაწვდიან წარსულ საუკუნეებში ამ მხარის ისტორიული და კულტურული ვითარების შესახებ.

XIX საუკუნის გამოჩენილი გერმანელი საზოგადო მოღვაწე და ლიტერატორი არტურ ლაისტი კახეთზე წერდა: "ნათელო კახეთო! ტყიანი მთების გვირგვინი შემოვლებია შენს მწვანე ველ–მინდორს. მზე და მთვარე შენი მეგობარია...ვისაც უნდა სასწაული იხილოს, მან სავსე მთვარიან ღამეს თელავიდან აღმოსავლეთით ალაზნის ველს უნდა უყუროს".(არტურ ლაისტი, "კახეთი", თბილისი, 1927.

თელავი საქართველოს ერთ–ერთი უძველესი, რაიონული დაქვემდებარების ქალაქია. მისი სახელწოდება უკავშირდება მცენარე თელას, რომელიც ამ რეგიონისათვის საკმაოდ დამახასიათებელ სახეობას წარმოადგენს. თელავის ტერიტორიაზე პირველი დასახლება გვიანდელ ბრინჯაოს ხანაში გაჩნდა, ელინისტურ ხანაში განვითარდა ხოლო გვიან ანტიკურ ხანაში მის ბაზაზე წარმოიქმნა ქალაქის ტიპის დასახლება. (აფხაზავა ი. "თელავი" თბილისი. საბჭოთა საქართველო. 1978. გვ: 29–31.)

V-VI საუკუნეების ნაგებობათაგან თელავში საინტერესოა უძველესი არქიტექტურული ძეგლი, ფერისცვალების მონასტერი, ანუ "ღვთაების ეკლესია", იგი დაარსდა V საუკუნეში და რესტავრირებულია XVI საუკუნეში, თავად ბეჟან ყორჩიბაშვილის მიერ. ("საქართველოს ისტორიის ნარკვევები" ტომი II. თბილისი. 1973.)

ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ყურადღებას იპყრობს ციხე–სიმაგრე "ბატონის ციხე".XVII-XVIII საუკუნეებში აქ მოთავსებული იყო კახეთის მეფეთა რეზიდენცია. "ბატონის ციხის" ძველი კომპლექსი მოიცავს ციხის ზღუდეს, სასახლეს, კარის 2 ეკლესიას, აბანოსა და გვირაბს. (ხარიტონაშვილი ჯ. "თელავი" თბილისი. საბჭოთა საქართველო. 1990.8–13 გვ.)

კახეთის ისტორიული ძეგლებიდან აღსანიშნავია: წინანდალი; ნეკრესი; იყალთო; შუამთა; გრემი; ალავერდი; ბოდბე და სხვ.

წინანდალი მდებარეობს მდ. კისისხევის მარჯვენა ნაპირას, თელავიდან 10კმ–ზე. წინანდალში დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლმუზეუმია, რომლის ეზოსაც უმდიდრესი და ულამაზესი დეკორატიული პარკი ამშვენებს. პარკის ტერიტორიაზეა მცირე ზომის ეკლესია, რომელშიც ჯვარი დაიწერეს დიდმა რუსმა მწერალმა ა. გრიბოედოვმა და ნინო ჭავჭავაძემ. ცნობილი ფრანგი მწერალი ა.დიუმა წერდა: "წინანდალი ივლისის თვეში ფერიების სასახლე გეგონებათ, აქ ერთმანეთში არეულია ყვავილები, ყურძენი, ბროწეული, ლიმონი, ნარინჯი, ვარდები. მცენარე და ხილი ერთდროულად ჰყვავის, იფურჩქნება და

მწიფდება. ჰაერი გაჟღენთილია მრავალი ერთმანეთში არეული სურნელებით. (ა. დიუმა. "კავკასია" თბილისი. 1962. გვ: 301–302).
ალაზნის ველზე, ქ.თელავიდან 20კმ–ზე თეთრი გედივით ამაყად დგას ალავერდის ტაძარი. ალავერდის წმ. გიორგის მონასტერი დაარსებულია VIსკ–ში ერთ–ერთი ასურელი მამის, იოსებ ალავერდელის მიერ, რომელმაც წმ. გიორგის მცირე ტაძარი ააგო.
ბოდბის წმ. ნინოს მონასტერი სიღნაღის რაიონში მდებარეობს, ქ. სიღნაღიდან 2კმ–ის დაშორებით. მისი დაარსების ზუსტი თარიღი უცნობია, ტაძარი აგებულია IVსკ–ის 30–იან წლებში, მირიან მეფის ბრძანებით, ქართველთა განმანათლებლის, წმ.ნინოს პატივსაცემად. Vსკ–ში ვახტანგ გორგასალმა გაამშვენა და გააფართოვა ტაძარი.მონასტრის ერთ–ერთი უდიდესი სიწმინდეა ივერიის ღვთისმშობლის ხატი.
თელავის დასავლეთით 7–8 კმ–ზე მდებარეობს **იყალთოს მონასტერი,** რომელიც VIსკ–ის II ნახევარში დაარსდა ერთ–ერთი ასურელი მამის, წმ. ზენონის მიერ. იყალთოს მონასტერი იყო საქართველოს კულტურულ–საგანმანათლებლო ცენტრი. 1962 წლიდან სოფელ იყალთოში ყოველ წელს ტარდება "შოთაობა" ეს დღესასწაული ეძღვნება დიდ ქართველ პოეტს, შოთა რუსთაველს, რომელიც იყალთოში სწავლობდა.(არჯევანიძე ი. "თბილისიდან ალაზნის ველისაკენ" თბილისი.საბჭოთა საქართველო.1958)
მნიშვნელოვან არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენს **ძველი და ახალი შუამთის მონასტრები**. ძველი შუამთა წარმოადგენს ძველი ხუროთმოძღვრების ანსამბლს თელავის ჩრდილო–დასავლეთით 7კმ–ზე. აქ დასაფლავებულია XIX სკ–ის გამოჩენილი პოეტი, რომანტიკოსი, ა. ჭავჭავაძე. ახალი შუამთა თარიღდება XVI სკ–ით. (აფხაზავა ი. "თელავი" თბილისი. საბჭოთა საქართველო. 1978. გვ: 29–31)
თელავიდან 32 კმ–ზე, ჩრდილო–აღმოსავლეთით, ყვარლის რაიონში მდებარეობს **მთავარანგელოზის მონასტერი.** იგი დაარსდა 1565 წელს ლევან კახთა მეფის მიერ, რომელიც

დაკრძალულია ტაძრის შიგნით, სამხრეთ–დასავლეთ კუთხეში. გრემის სამონასტრო კომპლექსი შედგება 7 ტაძრისაგან.

ნეკრესი მდებარეობს ყვარლის რაიონში, სოფელ შილდის მახლობლად, გრემიდან 13კმ–ის დაშორებით.დაარსდა VIსკ–ში, ერთ–ერთი ასურელი მამის, აბიბოს ნეკრესელის მიერ. ტაძრის ტერიტორიაზე IVსკ–ის პატარა ეკლესიაა, იგი გადარჩენილ ქრისტიანულ ძეგლთაგან უძველესია საქართველოში.

ზემოთ ჩამოთვლილი მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ისტორიულ–კულტურული სიმდიდრისა, რომელიც კახეთში არსებობს.

ღირსშესანიშნაობები:

ალავერდი (X-XVII სს.),
ალვანი (VIII-IXსს.),
ბაიხოს სამება (VII ს.),
კვეტერას ციხე-სიმაგრე და ჯვარგუმბათოვანი ეკლესია (VIII-XI სს.),
მატანის ციხე (XVIII ს.),
გურჯაანის ყველაწმინდა (VIII ს.), ვ
აზისუბნის ორმოცნი (VI ს.),
ვაჩნაძიანის ყველაწმინდა (VIII-IXსს.),
ვეჯინის სამონასტრო კომპლექსი (X-XI სს.),
ზეგაანის ყველაწმინდა (Vი-VII სს.) და წმ. მარინეს ეკლესია(V ს.),
კარდენახის საბაწმინდა (VI-XIV სს.),
სანაგირეს სამეკლესიანი ბაზილიკა (X-XVI სს.),
ჭერემის ციხე-ქალაქი(V ს.),
წერმის სამეკლესიანი ბაზილიკა (X-XI სს.) და სასახლე (VIII-IX სს.),
ხორაუგის ქვაბთა სისტემა,
ვაზიანის ამაღლება (X ს.),
ხორნაბუჯის ციხე-ქალაქი (V ს.),
აკურას სამნავიანი ბაზილიკა (IX ს.), ა
ხალი შუამთა (XVI ს.),
ვანთა ხუროთმოძღვრული კომპლექსი (VIII-IX სს.),
ბატონის ციხე (XVII ს.),

იყალთოს მონასტერი და აკადემია (VI-XIIსს.),
კირისხევის ღვთისმშობლის ეკლესია (VI-VII სს.),
კონდამიანის უდაბნო და სამონასტრო კომპლექსი (VI ს.),
ძველი შუამთა (V–VII სს.),
ლელიანის სამონასტრო კომპლექსი (X–XI სს.),
ბერების სერი,გამოქვაბულთა კომპლექსი (VI-VIII სს.),
დავით-გარეჯა (VI-XVIII სს.),
კაწარეთის სამნავიანი ბაზილიკა (V–VI სს.),
ნაომარი გორა (ძვ. წ. II-I ათასწლ.),
საგარეჯოს წმ. პეტრეს და წმ. პავლეს დარბაზული ეკლესია (XVIII ს.),
მანავის გუმბათიანი ეკლესია (XVIII ს.),
მარტყოფის სამონასტრო კომპლექსი (VI-XIX სს.),
ნინოწმინდას სამონასტრო კომპლექსი (VI ს.), ც
იხე-ქალაქი უჯარმა (IV ს.),
ბოდბის სამონატრო კომპლექსი (IV-IX სს.),
ციხე-ქალაქი სიღნაღი (XVIII ს.),
ხირსას მამათა მონასტერი (VI ს.),
გრემი (XVI ს.),
ნეკრესის სამონასტრო კომპლექსი (IV-IX),
ნეკრესის წინაქრისტიანული სამლოცველო (ძვ.წ. II ს.),
ყვარლის ციხე (XVI-XVII სს.),
ყვარლის ნათლისმცემლის ეკლესია,
აღდგომის ტაძარი (XVI-XVII სს.),
ძველი გავაზის ღვთისმშობლის ტაძარი (V–VI სს.),
შილდას ნახევრად მიწაში ჩაფლული ტაძარი, ტელავის ძველი გალავანი (VIII-IX სს.)
ხაშმის სამნავიანი ბაზილიკა (V–VI სს) და სასახლე (IX-X სს.),
დუბის დედათა მონასტერი (VI ს.),
უძველესი ნაქალაქარი სოფელ მთისძირში,
ჯანდიერაანთ ციხე, მანავის ციხე(შუა საუკ.),
ახმეტის ოთხკუთხა კოშკი,
ჩაილურის ციხე-გალავანი(შუა საუკ.),
ილიას ქანდაკება ილიას გორაზე(ყვარელი),

დურუჯის ხეობის ლოდი,
ყვარლის ღვინის გვირაბი,
ყვარლის საფუტკრეები და ფიქალები,
უდაბნოს სვეტი,
ქილაკუპრი და ფორფოტები (ტალახის ვულკანები)

მუზეუმები:
ვაჩნაძიანის სოფლის ისტორიული მუზეუმი,
თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი,
გ. ლეონიძის სახლ-მუზეუმი,
ვ. სარაჯიშვილის,
ვ. გოძიაშვილის,
ილო მოსაშვილის,
ი. ევდოშვილის,
ს. მირიანაშვილის,
ს. შანშიაშვილის,
ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმები,
ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმი,
ი. ჭავჭავაძის მუზეუმი,
მარჯანიშვილის მუზეუმი,
ახმეტის,
გურჯაანის,
დედოფლისწყაროს,
საგარეჯოს და გავაზის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები

4. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი ისტორიული მხარეები: დვალეთი, (შიდა ქართლის ჩრდილოეთით), თუშეთი (ხევსურეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით). სააარაგვო: მთიულეთი, გუდამაყარი, ჭართალი, ხანდო, ხევი, ხევსურეთი და ფშავი (ისტორიული სახელწოდებით ფხოვი)

დვალეთი – 600 კვ. კილომეტრი ტერიტორია. ადგილი, რომელსაც საქართველო ერქვა.

საქართველოს ისტორიული პროვინცია. XVIII ს-დან მისი აღმოსავლეთი (უმეტესი) ნაწილი (გარდა მამისდონის ხეობისა) შედიოდა ქართლ-კახეთის სამეფოში, ხოლო შემდგომ – ტფილისის გუბერნიის გორის მაზრაში (1859 წლამდე). დასავლეთი ნაწილი (მამისდონის ხეობა) შედგიოდა რაჭის საერისთავოთა მმართველობაში (შემდგომ – ქუთაისის გუბერნიის ონის მაზრაში). 1859 წლიდან დვალეთი (ნარა-მამისონის ქვაბული) ადმინისტრაციულად ჩამოშორდა საქართველოს. ამჟამად ეკუთვნის რუსეთის ფედერაციას (ჩრდილო ოსეთი რესპუბლიკა, ალაგირის რაიონი). ეს მნიშვნელოვანი მხარე იყო და კეტავდა ოსეთიდან საქართველოსკენ მომავალ გზას.

საქართველოში სადაც ჩრდილო კავკასიიდან ოსთა გადმოსახლება დაიწყო XVII საუკუნიდან.ამ რეგიონთან მიმართებაში ტერმინი "ოსეთი" არაოფიციალურად ხმარებაში შემოდის XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან. „ოსეთი", როგორც სახელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისა, პირველად 1842-43 წლებში გაჩნდა, მაშინ როდესაც თბილისის გუბერნიაში შეიქმნა „ოსეთის ოკრუგი", რომელმაც მოიცვა ნარის (ისტორიული. დვალეთი), ჯავისა და ლიახვის თემები. 1858 წელს ოკრუგი კავკასიის მეფისნაცვლის ალექსანდრე ბარიატინკის განკარგულებით გაუქმდა, დვალეთი (ნარის უბანი) კი თერგის ოლქს გადაეცა. უშუალოდ ტერმინი „სამხრეთი ოსეთი", უკვე 1860 წლიდან ფიქსირდება რუსეთის იმპერიის ოფიციალურ დოკუმენტებში.

დვალეთი არის დახლოებით 600 კვ.კმ. ფართობის ტერიტორია. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილი 1919 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით" საგანგებოდ შეჩერდა დვალეთზე. იგი წერდა: „დვალეთის შესახებ საგანგებოდ უნდა იყოს აღნიშნული, რომ იგი კავკასიონის უღელტეხილის ორ, მთავარსა და პირიქითელს, ქედებს შუა არის მოქცეული ეს

დვალეთი ამ ადგილას საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთის მონაპირე მხარე იყო.

ძველთაგანვე დვალეთი საქართველოს ეკუთვნოდა, მაგრამ ამ სამზღვარს განსაკუთრებული ყურადღება XII საუკუნითგან მიექცა. როდესაც აქ მოხდა დავლეთიდან ხალხის ბარში ჩამოსვლა და ამ ადგილის მომთაბრე ტომებისაგან დაკავება.

დვალელ მოღვაწეთაგან ცნობილნი არიან XI საუკუნის სასულიერო პირნი: მიქელ დვალი, იოანე დვალი და სიმონ დვალი.

საარაგვო - ნებისმიერი რეგიონის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოფლების მდებარეობა-განლაგებას, მოსახლეობის ეთნიკურ ვინაობას და სოციალურ შემადგენლობას, მის რიცხობრივ ცვალებადობას დროის სხვადასხვა მონაკვეთში და ცვალებადობის მეზეზებს.

მოსახლეობაში გავრცელებული შემკრებლობითი შინაარსის ტერმინის „საარაგვოს" ქვეშ იგულისმებოდა არაგვად წოდებული მდინარეთა ხეობებში ლოკალიზებული ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, რის შესაბამისად „არაგველებად" თვლიდნენ თავს არა მარტო მთიულები, გუდამაყრელები, ხანდოელები, ჭართლელები და მოხევეები, ამასთან ფშაველებიც და ხევსურებიც.

ხევსურეთი — საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე. საქართველოს თანამედროვე ადმინისტრაციულ დაყოფაში მცხეთა-მთიანეთის მხარე. ფართობი 1 050 კმ, ადმ. ცენტრი ბარისახო, შატილი, მუნიციპალიტეტი 1.

ხევსურეთი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ორივე მხარეზე. იგი ორ ნაწილად იყოფა – პირაქეთა ხევსურეთად (იგივე მირგვალი ან ბუდეხევსურეთი), რომელიც კავკასიონის ქედის სამხრეთით ხევსურეთის არაგვის აუზს მოიცავს (ბისო-ხახმატის, ლიქოკის, როშკა-ქმოსტის, გორშელმის, ჩირდილის, დათვისურას და აკუშოსხევის წყალთა აუზში). პირიქითი ხევსურეთი მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილო მხარეზე არხოტის, არდოტის, შატილის წყლების ხეობებშია მოქცეული. ორივე ნაწილი ერთმანეთს დათვისჯვარ-წუბროვნის, საძელისა და არხოტის მთის უღელტეხილებით უკავშირდება.

რეგიონს ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩეჩნეთი ესაზღვრება, ჩრდილოეთით – ინგუშეთი; მათგან ხევსურეთი მითხოსა და მაისტის მაღალი მთებით არის გამოყოფილი. ხევსურეთისა და ფშავის გამყოფი საზღვარი იწყება მთა მცირე ბორბალოდან და ლიქოკის მთით აკუშოსხევის სათავეებიდან ბეტისჩრდილსა და კიშხევს გაუყვება. აღმოსავლეთით ხევსურეთი თუშეთისაგან აწუნტის ქედით არის გამოყოფილი, ხოლო დასავლეთით ხევი და მთიულეთ-გუდამაყარი ესაზღვრება. ფართობი 1050 კმ2-ია.

მიუხედავად მკვლევართა სხვადასხვა თაობის მიერ ჩატარებული კვლევა-ძიებისა, შეიძლება ითქვას, რომ ისტორიულ-არქეოლოგიურად ხევსურეთი ჯერაც შეუსწავლელია და ამიტომ ძნელია ამ კუთხის სრული ისტორიული მიმოხილვის მოცემა. მაგრამ იმ მცირეოდენი და ნაწყვეტი ცნობების მიხედვით, რომლებიც მოიპოვება ქართულ საისტორიო წყაროებში, ცალკეულ მკვლევართა გამოკვლევებზე დაყრდნობით, შესაძლებელია აღდგენა ხევსურეთის ისტორიული წარსულის თუნდაც მკრთალი სურათის.

ხევსურეთში არქეოლოგიური კვლევა-ძიება არავის უწარმოებია, მაგრამ შემთხვევითი აღმოჩენილი ნივთების მიხედვით მაინც ირკვევა, რომ პრეისტორიულ ხანაში ადამიანს დღევანდელი ხევსურეთის მიდამოებში უცხოვრია. ამას მოწმობს აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის ნივთები და სამკაულები.

ამ ნივთებს შორის აღსანიშნავია ბრინჯაოს ხალტეები, ბრინჯაოს ქინძისთავი და ბრინჯაოს მრგვალი ბალთები.

რაც შეეხება ხევსურეთზე ისტორიულ ცნობებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში ეს კუთხე ხევსურეთის სახელწოდებით XV საუკუნემდის არ იხსენიება. ეს გარემოება საბაბს აძლევდა ზოგიერთ მკვლევარს ეფიქრა, რომ ხევსურეთი დასახლებულია საშუალო საუკუნეების მიწურულშიო. აქ ვითომცდა მოემწყვდნენ ფრანკი ჯვაროსნები და ხევსურებსაც ამ უცხო ენისა და ტომის ჯვაროსნების ნაშთად სთვლიდნენ. ამას უმთავრესად იმითაც ასაბუთებდნენ, რომ ჯვაროსნებივით ხევსურები ტანისამოსს ჯვრებით იმკობენ და ატარებენ საშუალო საუკუნეების ჯავშან-იარაღს, რომელთა შორის გვხდება ჯვაროსნობის დროის ხმლები. (А. Л. Зисерман, Двадцать пять лет на Кавказе (1842-1867), часть 1, СПБ, 1879 г., стр. 253.).

ჩვენ აქ არ შევუდგებით ზისერმანისა და სხვათა ამ უსაფუძვლო ჰიპოტეზის განხილვას ხევსურების წარმოშობის შესახებ. ეს ჰიპოტეზი მხოლოდ გარეგანი ნიშნების შემთხვევით მსგავსებაზეა დამყარებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ხევსურებზე ეს ყალბი წარმოდგენა დღემდის გავრცელებულია რუსეთისა და უცხოეთის ლიტერატურაში.

სახელწოდება „ხევსურეთი" შერქმეული აქვს მხარის მთიანი, ხევებიანი ადგილმდებარეობის გამო. ამ სახელწოდებით წყაროებში XV ს-დან იხსენიება, ხევსურეთის ადრინდელი სახელწოდება კი ფხოვი იყო (ასე ეწოდებოდა მას ფშავთან ერთად), ხოლო ხევსურები და ფშაველები – ფხოველებად იწოდებოდნენ.

ერთი სიტყვით, საისტორიო წყაროების მიხედვით „ფხოვის"-ს სახელწოდებით ჩვენ გვაქვს მოცემული ფშავ-ხევსურეთი, რომელიც გეოგრაფიულად და კულტურულ-ისტორიულად, როგორც დღეს, წინათაც ერთ მთლიანობას წარმოადგენდა. ამიტომ ისტორიული წარსული და თავგადასავალი ამ ორივე კუთხისა ერთგვარია.

პირველად ფხოველნი იხსენიება „მოქცევაი ქართლისაი"-ში, სადაც აღწერილია იბერიელების მოქცევა ქრისტიანობაზე (337 წ.) და წმ. ნინოს მოღვაწეობა. ამ ცნობიდან ირკვევა, რომ ფხოეთი IV დასახლებული ყოფილა და წარმართ ფხოელებს, ე.ი. ფშაველებსა და ხევსურებს, ქრისტიანობა არ მიუღიათ და, ეტყობა, მათი ერთი ნაწილი თუშეთში და კავკასიონის მიღმა მხარეში გადახვეწილა. მაგრამ ამავე ცნობის მიხედვით მოსახლეობა ფხოვში (ხევსურეთი) უფრო ადრე უნდა ვიგულისმოთ, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს I საუკუნისა., ამ დროიდან დღემდის მოსახლეობა ამ კუთხეში უწყვეტია.

შემდეგ საუკუნეებში ფხოელნი იხსენიება კახეთის ქორიკოზის კვირიკე II დიდის დროს (1014 წ.) როდესაც კვირიკე II კახეთი ხელმეორედ დაიპყრო და ახალი საერისთაოები დააწესა, მათ შორის მოხსენებულია ფხოელთა ქვეყანა.

ამრიგად, XI საუკუნეში ხევსურეთი (ფხოვი) ქისტ-ჩაჩნებთან ერთად (ღლიღვი და ძურძუკი) ადმინისტრაციულად შედიოდა კახეთში და ექვემდებარებოდა კვეტერის საერისთაოს.

თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში დაახლოებით 1212 წელს, ფხოველებმა და დიდოელებმა ამბოხება მოაწყეს და მათ წინააღმდეგ თამარმა ლაშქარი გაგზავნა ივანე მხარგრძელის

სარდლობით. სამწუხაროდ, მემატიანეს მოხსენიებული არა აქვს, თუ რა პოლიტიკურ-ეკონომიური მიზეზით უნდა ყოფილიყო ეს ამბები გამოწვეული. მაგრამ, ცხადია, ამბოხება ძლიერი და ამასთან საშიშიც ყოფილა, რომ თამარი იძულებული გამხდარა მის ჩასახშობად გაეგზავნა თავისი დიდი სარდალი ივანე მხარგრძელი. მეფის ლაშქარი გადასულა კავკასიონის ქედზე და ისე შემოუვლია მეამბოხეთა მხარე. სამი თვის ბრძოლის შემდეგ დამარცხებულ ფხოველებს ათაბაგისათვის შერიგება უთხოვიათ და მორჩილების ნიშნად მძევლები და ხარაჯა მიუციათ. ამ დროიდან XV საუკუნემდის საისტორიო მწერლობაში ფხოვის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. არ იხსენიება თვით სახელი ფხოვიც, რომლის ნაცვლად უკვე ფშავ-ხევსურეთია მიღებული.

საუკუნეების განმავლობაში ხევსურეთი პოლიტიკური და ადმინისტრაციული სტატუსით სამეფო ხელისუფლებას ექვემდებარებოდა. სამეფო ხელისუფლების დასუსტების პერიოდში, XV საუკუნეში ფეოდალური მონარქიის დაცემისა და დაშლის ხანაში ფშავ-ხევსურეთი და თუშეთი ისევ გადამდგარან და კახეთის მეფეს გიორგი I დავითის ძეს (1471-1492 წწ.) არ ემორჩილებოდნენ თურმე. ამ გარემოებისათვის ყურადღება მიუქცევია კახთა მეფეს ლევან II (1520-1574 წწ.), რომელსაც განუზრახავს ხევსურეთისა და ფშავ-თუშეთის შემორიგება და აღუთქვამს მათთვის საძოვრების დათმობა.

რასაკვირველია, კახეთის სამეფოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხევსურეთის შემომტკიცებას. ეს პროვინცია მას ჩრდილოეთიდან საზღვარს დარაჯობდა, საიდანაც კახეთს მუდამ ჩრდილოეთის ტომები ემუქრებოდნენ. ამასთანავე ხევსურეთი იხდიდა ბეგარას და სალაშქროდაც გადიოდა, მაგრამ მეფეებთან ბატონ-ყმურ დამოკიდებულებაში არ ყოფილა. საზოგადოდ მთა სახასო იყო, ის მხოლოდ მეფეს ემორჩილებოდა და იქ კერძო მებატონეს ხელი არ ჰქონდა. მთის გამგებლობა ქსნისა და არაგვის ერისთავებს ჰქონდათ ჩაბარებული. გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დების მიხედვით ერისთავებს ექვემდებარებოდნენ: გამგებელი ანუ მოურავი, ხევისთავი, ხევისბერი და ციხისთავი. ხევსურეთი კახეთის სამოურავოში შედიოდა. მაგრამ ფაქტიურად მას ხევისბერები განაგებდნენ თემური ადათების მიხედვით. და თუ ამ თემურ თავისუფლებას მეფის ხელისუფლებისაგან რაიმე საფრთხე მოელოდა, ის მზად იყო განდგომისა და ამბოხებისათვის.

ხევსურეთის თემების თავშესაფარი და მთავარი ადგილი იყო გუდანი, სადაც გუდანის წმ. გიორგის ჯვარი და დროშა ესვენა. აქ იხდიდნენ ხევსურები სამღვთოს, აქვე იყო გუდანის ჯვარის ქადაგი, რომელიც ხალხს ამცნობდა გუდანის-ჯვრის ბრძანებას ლაშქრობისა თუ ზავის შესახებ. გუდანის-ჯარი ლაშქრის სარდალი იყო და მისი ბორაყი ლაშქარს მუდამ წინ მიუძღოდა. მაგრამ თემური ხევსურეთის ამ თავისუფლებას ფეოდალებისაგან მუდამ საფრთხე მოელოდა. განსაკუთრებით, მეფის ხელისუფლების შესუსტების დროს. და მაშინ გაძლიერებული არაგვის ერისთავები ცდილობდნენ სხვა მთიელებთან ერთად ხევსურეთის დაპყრობასაც. ამ მხრივ ცნობილია ზურაბ არაგვის ერისთავის (1619-1629 წწ.) ხევსურეთში გალაშქრება, რომლის შესახებ გალექსილი ეპიზოდები და ხევსურეთის გმირული თავგადასავალი ხალხში დღემდის შემონახულია.

ზურაბს ხევსურეთისაკენ პირველად ორწყლით გაულაშქრია, სადაც ფშავ-ხევსურეთის არაგვი ერთდება. ზურაბს აქ ფშაველები შებრძოლებიან და ის ამ გზით ხევსურეთში ვერ შესაულა. მაშინ ზურაბის ლაშქარს მთიულეთით შემოუვლია, გუდამაყრის ხეობით გადასულა ხევსურეთში და ლიქპკის ხეობაში შეჭრილა. ლიქოკის ვიწრო და მაგარი ხეობა ზურაბს დიდხანს ვერ გაუტეხია და ლიქოკელებსაც ამ ბრძოლაში გულადობა და ვაჟკაცობა გამოუჩენიათ.

ხალხური თქმულებით ზურაბს ლიქოკის ხეობა დიდხანს ვერ გაუტეხია. მაშინ გაბრაზებულ ზურაბს ლიქოკელების სალოცავზე „ხმალა ხატზე" მდგარი ალვის ხე მოუჭრავს, რომ ამით ლიქოკელებზე შური ეძია. ეს ხმალა ხატი ყოფილა ლიქოკის ხეობის მისავალში ბარისახოს ვაკეზე. ზურაბმა ახალწელიწად დღეს ლიქოკის ხეობა აიღო, მხოლოდ სოფ. აკუშო მაინც ვერ დაიმორჩილა.

ზურაბს ხევსურეთის დასაპყრობად მესამედაც გაულაშქრია. იგი ხევსურეთში ხევის გზით გადასულა და სოფ. როშკაში შეჭრილა. არაგვის ერისთავის ეს გამოლაშქრება მოულოდნელი ყოფილა და ხევსურებს მასთან პირდაპირ შებრძოლება ვერ გაუბედნიათ. ხევსურებს ზურაბისათვის ელჩები მიუგზავნიათ, შერიგება უთხოვიათ და ბეგარაც შეუძლევიათ. მაგრამ ზურაბ ერისთავი ამით არ დაკმაყოფილებულა და ხევსურეთისათვის ყმობა მოუთხოვია. ხევსურებს ყმობა არ მიუღიათ და გუდანის

ჯვრის ბრძანებით ზურაბზე გაულაშქრიათ. ბრძოლა მომხდარა სოფ. გუდანთან, ბეგენთ-გორთან, სადაც დიდი გმირობა გამოუჩენია ხევსურ მამუკა ქალანდაურს. ამ ბრძოლაში ზურაბი დამარცხებულა, მისი ლაშქარი განახევრებულა და დახოცილთა სისხლით ღულის წყალი წითლად შეღებილა. ამ გამარჯვების აღსანიშნავად ქალანდაურს ბეგენთ-გორში სამანი ჩაუდგამს. ამ ბეგენთ-გორში დღეს ერთი დიდი ლოდი დევს, რომლის ქვეშ, ხალხური თქმულებით, თვით მამუკა ქალანდაური ასაფლავია. ეს ადგილი წმინდა ადგილად ითვლება. აქ ცხენოსანი ხევსური ჩამოხტება და ფეხით გაივლის. ზოგი ამ ლოდზე სანთელსაც ანთებს და ლოცულობს.

ხალხური თქმულებით, ზურაბი ხევსურეთში ლაშქრობით რომ ვერას გამხდარა, მას ღალატისათვის მიუმართავს და ამ მიზნით ხევსურეთის თავკაცები თრუსოში დაუბარებია, ვითომც საქმეზე მოსალაპარაკებლად. ზურაბმა ხევსურები ნადიმზე მიიწვია და დანდობით მათ იარაღი აახსნევინაო. ცბიერ ზურაბს სტუმარ-მასპინძლობის ეს ადათი დაურღვევია და უიარაღო ხევსურები ნადიმზე ვერაგულად დაუხოციაო. გადარჩენილა მხოლოდ ერთი ხევსური ალუდა ალექსაური, რომელსაც ზურაბის მეღვინე მოუკლავს და გამოქცეულა.

ამგვარად, თემობრივი ხევსურეთის ეს ბრძოლა მაბატონე ზურაბის დამარცხებით დამთავრდა. მაგრამ, ძლიერი ზურაბი ხევსურეთისათვის მაინც საშიშროებას წარმოადგენდა და, როდესაც 1629 წელს თეიმურაზ I-მა ზურაბ ერისთავი ღალატით მოაკვლევინა, ამას მთაში დიდი სიხარული გამოუწვევია.

მე-17 საუკუნეში ხევსურებმა მონაწილეობა მიიღეს ბახტრიონის აღებაში. 1658 წელს კახეთის მმართველმა სელიმ-ხანმა ბახტრიონსა და ალავერდში თათრები დაასახლა. ამასთანავე ის ხელს უწყობდა ლეკების თარეშს და ამით გათამამებული ლეკებიც თუშების ცხვარ-საქონელს იტაცებდნენ. თუშებმა დახმარება სთხოვეს ფშავ-ხევსურეთს. ამ მოწოდების პასუხი იყო ის, რომ ხევსურები გუდანის დროშით ბახტრიონისაკენ სალაშქროდ წასულან. ისინი თუშ-ფშაველებთან ერთად შეუერთდნენ ზაალ ერისთავის მხედრობას და 1659 წელს ბახტრიონი აიღეს, ხოლო დამარცხებული სელიმ-ხანი გაიქცა.

მე-17 საუკუნის დასაწყისიდან მთაში პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა გართულდა, განსაკუთრებით, თეიმურაზ I მეფობის დროს, როდესაც სპარსეთის მბრძანებლის შაჰ აბასის

მთელი პოლიტიკა მიმართული იყო ქართლ-კახეთის დაპყრობისაკენ. ამ მიზნით შაჰ აბასი ამხედრებდა ჩრდილო კავკასიაში მობინადრე მთიელებს, განსაკუთრებით, ქისტ-ჩაჩნებსა და ლეკებს, რათა მათში შეესუსტებინა საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული გავლენა და, ამავე დროს, შეეკრა დიდოეთ-ქისტეთით რუსეთისაკენ მიმავალი გზები. საიდანაც ქართლ-კახეთის მეფეები მოსკოვის მეფესთან დიპლომატიურ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ.

წინათ კი VII-XVI საუკ. მანძილზე ქისტ-ჩაჩნები და ლეკები საქართველოსთან მეგობრულ კავშირში იყვნენ და ადმინისტრაციულად ფშავ-ხევსურეთთან ერთად ისინი შედიოდნენ ხუნძახისა და პანკის-კვეტერის სამოურაოში. ამასთანავე, ქისტეთ-ლეკეთი იმყოფებოდა საქართველოს კულტურული და სარწმუნოებრივი გავლენის ქვეშ, ამას მოწმობს ძველ ძუძუკეთ-ღლიღვეთში (დღევანდელი ქისტეთ-ჩაჩნეთში) არსებული ქართული სტილის ძველი ტაძარი, რომელიც დაცულია ასას ხეობაში და ცნობილია თხაბა-ერდის სახელწოდებით. ტაძარი შემკულია ასომთავრული ქართული წარწერით და IX საუკუნით არის დათარიღებული. ამავე ტაძარშია ნაპოვნი ქართული ფსალმუნის XI-XII საუკ. ხელნაწერი.

დაღესტანში კი ცნობილია ხუნძახის ქართული წარწერა და „დათუნია"-ს ნიში.

რომ ისტორიულ წარსულში ჩაჩნეთ-დაღესტანი და ყოფილი ზაქათალის ოლქის და ნუხის მაზრის მოსახლეობა სარწმუნოებრივად საქართველოს ეკლესიას ექვემდებარებოდა ამას, სხვათაშორის მოწმობს მაღალაშვილის სახარების მე-14 საუკუნის ერთი მინაწერი, საიდანაც ჩანს, რომ ეს მხარე შედიოდა ქერმუხის მთავარი ეპისკოპოსის სამწყსოში. ამ მხრივ, საყურადღებოა აგრეთვე ისტორიკოს თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობაც.

ლეკებმა თეიმურაზ I მეფობისას დაიწყეს კახეთის აშკარა მტრობა და მეფემაც, მიუხედავად ქვეყნისთვის რთული ვითარებისა, გაილაშქრა დიდოეთში. საუბედუროდ, თეიმურაზმა ეს ბრძოლა დიდი დანაკარგით წააგო. დიდოეთი კახეთს საბოლოოდ ჩამოშორდა და ამ მიმართულებით თეიმურაზს რუსეთის გზაც დაეხშო.

ამის შემდეგ თეიმურაზი იძულებული იყო რუსეთისაკენ გზა ქისტეთ ჩაჩნეთის მიმართულებით გაეხსნა და 1638 წელს მას იქ გაულაშქრია. თეიმურაზს ქისტ-ჩაჩნები დაუმორჩილებია და რუსეთ-კახეთის გზა მას გაუხსნია. ხევსურეთ-ფშავ-თუშეთის მიმართულებით, საიდანაც ის შემდეგ მოსკოვის მეფესთან დიპლომატიურ მიმოწერას აწარმოებდა.
ხევსურები მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე თეიმურაზ I და მოსკოვის მეფის ალექსი მიხეილის ძის შორის დიპლომატიურ მოლაპარაკებაში და 1657 წელს თუშებთან და ფშაველებთან ერთად თავიანთ წარმომადგენელ ხევსურებსაც აგზავნიან მოსკოვში და სთხოვენ ალექსი მიხეილის ძეს ქვეშევრდომობას და მფარველობას.
მე-18 საუკუნეში, თეიმურაზ II (1744-1760 წწ.) მეფობის უკანასკნელ წლებში, „ქართლის ცხოვრების" ცნობით, ხევსურეთი კახთ მეფისაგან გამდგარა და მას წინანდებურად თურმე არ ემორჩილებოდა. ხევსურები, ეტყობა ბეგარას არ იხდიდნენ და მათ დასამორჩილებლად ხევსურეთში თვით ბატონიშვილს ერეკლეს გაულაშქრია. ხევსურებს წინააღმდეგობა ვერ გაუბედნიათ და ერეკლესათვის მორჩილება განუცხადებიათ და ფშაშიც მიურთმევიათ. ერეკლეს ხევსურები შემოურიგებია, მათთვის დაუდვია სამეფო ბეგარა და ამის სიმტკიცის ნიშნად მძევლებიც წამოუყვანია. ამის შემდეგ ერეკლესა და ხევსურებს შორის კეთილი განწყობილება დამყარებულა.
ერეკლეს აქ ყოფნა ხევსურებს დღესაც ახსოვთ. გადმოცემით, ერეკლე გუდანში მისულა, გზად ღულის ვაკეზე გაუვლია და აქ შეუსვენია ორი მუხის ქვეშ, რომლებსაც ახლა უჩვენებენ. გუდანში ერეკლე ხატში შესულა და უთქვამს: მე გუდანის ჯვრის მოძმე ვარო. ამიტომ არეკლე თურმე თავისუფლად შედიოდა ხატის დარბაზში, სადაც სხვას შესვლა ეკრძალებოდა. დარბაზში ერეკლე ხმამაღლა დაიწყებდა ლაპარაკსო, ვითომც გუდანის-ჯვარს ესაუბრებოდაო. შემდეგ მეფე დარბაზიდან გამოდიოდა და ხევსურებს ამცნობდა გუდანი-ჯვრის ბრძანებას ლაშქრობის შესახებო. ხევისბერები მაშინვე აიღებდნენ გუდანი-ჯვრის დროშას და სალაშქროდ ქუდზე კაცი გადიოდაო.
ამგვარად, გუდანის-ჯვრის ყმები – ხევსურები მისსივე მოძმის ერეკლეს ყმებიც გამდარან და ხევსურეთიც მუდამ მზად

ყოფილა ერეკლეს სამსახურისათვის. ხევსურეთის შემომტკიცების მიზნით ერეკლეს ამასთანავე იქ მოუნათლია ორმოცდაოთხი ბავშვიც და ნათლიაც თვითონვე ყოფილაო.

ერთი სიტყვით, ერეკლეს მეფობაში (1760-1798 წწ.) ხევსურები ერთგულად ემსახურებოდნენ კახეთის სამეფოს. ისინი იყვნენ მეფის ამალაში და მონაწილეობას იღებდნენ ერეკლეს სხადასხვა ბრძოლებში.

ხევსურებს მონაწილეობა მიუღიათ ასპინძის ომში (1770 წ.), სადაც დიდი გულადობა გამოუჩენია მეფის ამალაში მყოფ შვიდ ხევსურს. ხევსურები იბრძოდნენ აგრეთვე კრწანისის ველზე აღა-მაჰნად-ხანის წინააღმდეგ 1795 წელს. ხევსურებს ეს ისტორიული ამბავი ახლაც ახსოვთ. კრწანისის ბრძოლაში ერეკლეს ცხენი წაქცევია და მფეს მოსაკლავად თათრის ლაშქარი მიხვევია, მაგრამ ხევსურებს მტრები ხმლებით გაურეკიათ და მეფეც სიკვდილისგან დაუხსნიათ.

კრწანისის ველზე დამარცხებას ჩქარა მოჰყვა თვით ერეკლეს სიკვდილი. მაგრამ, ერეკლეს სიკვდილის შემდეგაც არ დაუკარგავს ხევსურეთს თავისი პოლიტიკური მნიშვნელობა და ის მე-19 საუკუნის ისტორიაშიც მონაწილეობს.

დიდი პოლიტიკური გართულება კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში მოჰყვა რუსეთთან შეერთებას (1801 წ.), რომელმაც გამოიწვია მთიულეთის ამბოხება, ალაქსანდრე ბატონიშვილის განდგომა და შამილის ბრძოლები.

ამბოხების დროშა 1804 წ. პირველად მოხევეებმა და მთიულებმა ააფრიალეს. მეამბოხე მთიულები ფშავ-ხევსურებს დახმარებას სთხოვდნენ. ისინი კი (მათი დიდი ნაწილი) ხევის მოურავ, რუსეთის ერთგულ, გაბრიელ ყაზბეგის გავლენით აჯანყებაში მონაწილეობაზე თავს იკავებდნენ.

1804 წლის ოქტომბერში მთიულეთის ამბოხება დამარცხდა. რუსეთის თვითმპყრობელობის მხედრობამ გაიმარჯვა. მხოლოდ სპარსეთში გადახიზნული ალექსანდრე ბატონიშვილი ტახტის დაბრუნების იმედს მაინც არ კარგავდა და სპარსეთის დახმარებით ცდილობდა ამბოხების ნაპერწკლები საქართველოში არ ჩაეფერფლა. ამ მიზნით ალაქსანდრე განაგრძობდა საიდუმლო მიმოწერას მთიელებთან და კახეთის მეამბოხე ჯგუფებთან.

1812 წელს დაიწყო კახეთის ამბოხება და მეამბოხეებმა ალექსანდრეს სთხოვეს მეთაურობა. თავისი ამალით

ალექსანდრე ერევნიდან კახეთში გადმოვიდა. მას მიემხრო თვითმპყრობელობით უკმაყოფილო თავად-აზნაურობის ერთი ნაწილი, ალექსანდრეს მიემხრნენ აგრეთვე ფშავ-ხევსურები, ქისტ-ჩაჩნები და ლეკები, რომელთა დახმარებით ის სამხედრო გზის ხელში ჩაგდებას ცდილობდა. დაიწყო ბრძოლები, მაგრამ რამდენიმე შეტაკების შემდეგ დამარცხებული ალექსანდრე იძულებული იყო კახეთი დაეტოვებინა და ერთგულ ხევსურეთს შეხიზნებოდა. ხევსურეთში ალაქსანდრე შატილში დაბინავდა. მის წინააღმდეგ დაიძრა გენერალ-მაიორი სიმონოვიჩი. მომხდურთა შიშით ფშაველებმა უვნებლათ გაატარეს რუსის ჯარი. ოკუპანტები 1813 წლის 30 მაისს ლებაისკარით არდოტის ხეობაში გადავიდნენ. სოფ. გუროში მოხდა დიდი ბრძოლა. სოფელი გურო რუსის ჯარმა გაანადგურა და მიწასთან გაასწორა. სიმონოვიჩი ახლა შატილისაკენ გაემართა. ალექსანდრე თავისი ამალით ქისტებში გადავიდა და აქედან კი ერევნისაკენ გაეშურა. ამის შემდეგ შატილიც იძულებული გახდა ქედი მოეხარა დამპყრობლების წინაშე. ხევსურებს ეს ამბავი დღესაც ახსოვთ და მას დიდი მწუხარებით იგონებენ.

შატილში ალექსანდრეს უცხოვრია ბაბდია ჭინჭარაულის ქვიტკირში. ეს სახლი დღესაც დაცულია, მას მხოლოდ წინაკედელი აქვს მორღვეული. ალექსანდრეს შატილში ერთგული სამსახურისათვის ზოგიერთი ოჯახისათვის წყალობის წერილი უბოძებია. სოფელ შატილში ნანაისძე თოთიასძე ჭინჭარაულის ოჯახში ახლაც ინახება ერთი ასეთი წერილი, რომელშიც ალექსანდრე მამაპაპისეული ტახტის დაბრუნების შემთხვევაში ერთგულებს წყალობას ჰპირდებოდა.

შატილელებს მონაწილეობა მიუღიათ აგრეთვე შამილთან ბრძოლებშიც. 1843 წელს შატილში გადმოსულა თავისი ლაშქრით შამილის თანამებრძოლი ცნობილი ახვერდი-მაჰმადი (ხევსურულად აჰმედ-მაჰმედი) და შატილისათვის მორჩილება მოუთხოვია. შატილელებს ამაზე უარი უთქვამთ და თავიანთ ქვიტკირებში გამაგრებულან. ლეკებთან ბრძოლა სამი დღე-ღამე გაგრძელებულა. ბოლოს ხევსურებს ქვიტკირის სარკმლიდან ნიშანში ამოუღიათ თვით ახვერდი-მაჰმადი და მოუკლავთ.

ამის შემდეგ დამარცხებული ლეკის ჯარი უკანვე გაბრუნებულა. ამ გამარჯვებისათვის შატილელებს საჩუქრად მეფის მთავრობისგან მიუღიათ ჯვარ-მედლები, რამდენიმე ფუთი პური და თოფის წამალი. გამარჯვების აღსანიშნავად

მთავრობის განკარგულებით აქვე აუგიათ პატარა ეკლესია, რომლის კედელში ჩაუსვამთ ქვა რუსული და ქართული წარწერით. ეს წარწერა დღეს დატანებულია კერძო პირის სახლის კედელში.

რუსეთთან დამოკიდებულებაში მიუხედავად ასეთი ეპიზოდებისაც, შეიძლება ითქვას ხევსურები აქტიურად იბრძოდნენ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ და სხვა მთიან რეგიონებთან ერთად არაერთხელ გამოსულან დამპყრობლების წინააღმდეგ. მე-19 საუკუნის სამოციან წლებში დამთავრდა კავკასიის გმირული ბრძოლების ეპოპეა და ჩვენში დამყარდა მონარქიული რუსეთის ბიუროკრატიული რეჟიმი. ამასთანავე რუსეთის კაპიტალის შემოჭრამ ხელი შეუწყო ახალი სოციალური ჯგუფების წარმოშობას და საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნას. საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ამ განვითარებას ჩამორჩა ხევსურეთი, რომელიც მომწყვდეული იყო კავკასიონის მთებში და უგზოობის გამო ის დიდხანს მოკლებული იყო კულტურულ ცხოვრებას. უგზოობისა და ეკონომიკური ჩამორჩენილობის გამო, დაიწყო ხევსურთა მიგრაცია სხვა რეგიონებისაკენ, რაც დიდხანს გრძელდებოდა.

ორივე ხევსურეთი რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ მაზრების გარეთ აღმოჩნდა. 1840 წლის 10 აპრილის დებულებით ხევსურეთი ფშავთან და თუშეთთან ერთად თელავის მაზრაშია. მოგვიანებით (1842 წ.) თელავის მაზრიდან გამოიყო თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოკრუგი. 1859 წელს ოკრუგის უფროსის ადგილსამყოფელი თიანეთში გადაიტანეს და ოკრუგმაც თიანეთის სახელი მიიღო. 1886 წლის 10 მაისის დებულებით მაზრები გაიყო საბოქაულოებად (საპოლიციო უბნებად) და ხევსურეთი ფშავთან ერთად თიანეთის მაზრის საბოქაულოდ გარდაიქმნა. საბჭოთა წლებში და დღემდეც კი ორივე ხევსურეთი დუშეთის რაიონის შემადგენლობაშია (ბარისახოს, შატილისა და გუდანის საკრებულოების სახით).

XIX ს. 80-იან წლებში ხევსურების სხვა რეგიონებში გადასახლება, საბჭოთა ეპოქაშიც გაგრძელდა.

ხევსურეთს შეუძლია გამოკვებოს მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული ნაწილი, ამიტომ ნამრავლი იძულებულია სხვაგან გადასახლდეს და თავისი სარჩო იქ მოიპოვოს. ასე გაჩნდა

ხევსურთა ახალშენები ხევში (ჯუთა), გუდამაყარში, ერწო-თიანეთში, კახეთში (გომბორი, შირაქი).

XX ს-ის 50-იან წლებში ხევსურების ნაწილის ბარად ჩამოსახლებას ნეგატიური სოციალური და ეკონომიკური შედეგი მოჰყვა. ამ დაშვებულ შეცდომათა გამოსწორების ერთგვარი მცდელობა იყო, როდესაც 80-იან წლებში დაიწყო ხევსურეთის მიტოვებულ რეგიონებში ცხოვრების გეგმაზომიერი მოწესრიგება (მაგალითად, სოფელი გუდანი). დაწყებული ეს საქმიანობა სამწუხაროდ, საკმაოდ ხანმოკლე გამოდგა და დიდხანს აღარ გაგრძელებულა. არსებული პრობლემები ჩვენი დროისთვისაც ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავად რჩება. საქართველოს მთიანი რეგიონები დღეს-დღეობით ბედის ანაბარა არ არის მიტოვებული, წინ დიდი სამუშაოებია შესასრულებელი და იმედია, ქვეყანაში ტურიზმის აღორძინებისთვის ხელშეწყობა, როგორც საქართველოს მთიან რეგიონებისთვის, ისე მისი მოსახლეობისთვისაც სასურველი შედეგების მომტანი გახდება.

საკულტო ადგილ-სამლოცველოები და მათთან დაკავშირებული რიტუალი:

ახლა კი რაც შეეხება ხევსურთა რწმენა-წარმოდგენებსა და საკულტო ადგილ-სამლოცველოებს:

სარწმუნოებით ხევსურები ქრისტიანებად ითვლებიან და ისტორიულ წარსულში შედიოდა ხარჭაშოს საეპისკოპოსოს სამწყსოში. მაგრამ ქრისტიანულ მოძღვრებას აქ ფეხი ვერ მოუკიდებია და საუკუნეების განმავლობაში ხევსურები წარმართულ წესებს თითქმის ჩვენს დრომდე ასრულებენ.

ხევსურეთი ამასთანავე ქრისტიანული ძეგლებითაც ღარიბია. მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის თვითმპყრობელობამ განიზრახა „ურწმუნო" ხევსურეთში ქრისტიანობის აღდგენა და ამ მიზნით აქ დაიწყეს ეკლესიების შენება და მღვდლების განწესება: ბარისახოში, ხახმატში, ბაცალიგოში, ახიელში და შატილში. ხევსურები ებრძოდნენ მეფის ხელისუფლების მიერ გამწესებულ სამღვდელოებას, ეკლესიებში არ შედიოდნენ და არც მათ ლოცვა-კურთხევას ისმენდნენ.

ამავე დროს ხევსურები თავიანთ წარმართულ ხატ-სამლოცველოებს და მათ სამსახურს იცავდნენ და ძველ კერპულ წესებს ასრულებდნენ. ამ ნიადაგზე ხშირად ადგილი

ჰქონდა სამღვდელოებასა და ხატის მსახურთა შორის შეტაკებას, მაგრამ მეფის ხელისუფლების შიშით ხევსურები ვერ ბედავდნენ აშკარა ბრძოლას, მხოლოდ რევოლუციის პერიოდში შეძლეს ხევსურებმა სამღვდელოების განდევნა და ეკლესიები დახურეს.

ხევსურებს სწამთ მრავალი ხატ-ანგელოზები, რომელთა საყმოს მთელი ხევსურეთი წარმოადგენს. თავიანთ თავსაც ხევსურები ამ ხატების ყმად თვლიან. ამ წარმართულ პანთეონში ღვთაებები დაჯგუფებულია იერარქიული კიბისა და მათი ფუნქციონალობის მიხედვით. თითოეულ ღვთაებას უფროს-უმცროსობის მიხედვით მიჩენილი აქვს თავის სამოღვაწეო ასპარეზი, რომელსაც მხოლოდ ის განაგებს.

ხევსურის წარმოდგენით, ღვთაებებში პირველია მორიგე ღმერთი, რომელიც ყველაზე ძლიერი და უფროსია. შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს კვირაეს ან კვირიას. ამ ორი ღვთაების შემდეგ ძლიერ და მნიშვნელოვან ხატად მთელს ხევსურეთში ითვლება გუდანის-ჯვარი, რომელსაც „სამღვთოდ" იხსენიებენ და წმ. გიორგობით ლოცულობენ.

თემურ ხევსურეთში თავდაცვას და ლაშქრობას დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა და ლაშქრობის საქმეც გუდანის-ჯვარს ეკითხებოდა. ამ მიზნით ლაშქრობის წინ ხევსურები გუდანში ქადაგს დასვამდნენ და მისი მეშვეობით გუდანის-ჯვარს შეეკითხებოდნენ ლაშქრობის საქმეს. როგორც ეს ხატი ბრძანებდა, ხევსურები ისე მოქმედებდნენ. თუ ლაშქრობაში გუდანის-ჯვარს გაუჭირდებოდა, მორიგეს ბრძანებით მას თურმე შეეშველებოდნენ: კოპალა კარატის წვერისა, პირქუში და სანება ცროლის წვერისა, რომლებსაც თავიანთი ცალკე სამოღვაწეო დარგიც ჰქონიათ მიჩენილი.

ხევსურეთის ამ ხატ-ანგელოზებს აქვთ თავიანთი საბრძანისი ნიშები, რომლებსაც აქ ჯვრებს უწოდებენ, თუშები და ფშაველები კი – ხატებს. თვითეულ თემს ხევსურეთში თავისი სამლოცველო ჯვარი აქვს. თემში შემავალ სოფლებს კი ამ ჯვრის ნიში აქვთ აღმართული.

სასოფლო ხატებში იხდიან სასოფლო და საოჯახო ხატობას, სათემოში კი – სათემო ხატობას, მხოლოდ გუდანისა და ხახმატის ხატობაში თითქმის ხევსურეთის ყველა თემი იღებს მონაწილეობას.

ჯვარები ხევსურეთში სოფლის მახლობლად, ერთ რომელიმე განაპირა უბანშია მოთავსებული და მთავარ ხატებს აქ აქვს ორი საბრძანისი, დავაკებაზე და მთის წვერზე. ჯვარის ანუ ხატის ადგილი, ჩვეულებრივ, ყორის გალავნით არის შემოზღუდული და წმინდად და დედაკაცისათვის შეუვლად ითვლება. ხატში რამდენიმე საკულტო ხასიათის ნაგებობაა. მათ შორის მთავარია ხატის ნიში ან კოშკი, რომელიც წარმოადგენს მთაში გავრცელებული ჩვეულებრივი ტიპის სამლოცველოს. ხატის კოშკი ოთკუთხედია. მისი სიმაღლე აღწევს ორ მეტრამდე: ხატის ნიშს დატანებული აქვს თახჩა, სადაც საწირ-სანთლებსა და სახუცო კოჭობსა სდებენ.

ხატის კოშკზე ხატობას დროშა ასვენია. ხატის კოშკის თავი, ჩვეულებრივ, შემკულია ორმისა და ჯიხვის რქებით. ზოგან ხევსურეთში გვხდება პირამიდული და გუმბათიანი ხატის კოშკიც.

ხევსურეთში შემორჩენილია შუა საუკუნეების მატერიალური კულტურის ძეგლები: ხახმატის ციხე, ახიელის ციხე, ლებაისკრის ციხე, მუცოს ციხე-სოფელი,არდოტის ციხე-სოფელი, ხახაბოს ციხე-სოფელი, შატილის ციხე-სოფელი, გუდანის ჯვარი, ანატორის ჯვარი, ანატორი, აკლდამები და სხვა.

ყოფის დამახასიათებელი რეალიები. ხევსურეთის მოსახლეობა მოქცეულია ვიწრო და ძნელ ხეობებში, სადაც სოფლები მთის მაღლობებზეა გაშენებული და შესდგება ერთად შეჯგუფებული რამდენიმე მეკომურისაგან.

დასახლებული ხეობა წინათ გამაგრებული იყო ციხე-კოშკით, რომელიც დარაჯობდა და იცავდა იქაურ მოსახლეობას. საგვარეულო წყობილების დროს ციხე იყო გვარის საიმედო თავშესაფარი, ამიტომ ხევსურეთის სოფლებს , რომლებსაც მუდმივი შუღლი და მტრობა ჰქონდათ მეზობელ თემებთან, განსაკუთრებით ქისტებთან და ლეკებთან, არ შეეძლოთ უციხოდ არსებობა. ამ მხრივ ყველაზე მძიმე პირობებში პირიქითი ხევსურეთი იყო და აქ, არხოტისა და შატილის თემებში, დღემდის დაცულია კოხტად ნაგები თავგუმბათი სიპედიანი ციხეები. არაგვის ხეობის ხევსურეთში კი ციხეები უკვე დაშლილია და მხოლოდ ლიქოკისა და ხამატის ხეობაში დარჩენილა რამდენიმე თავმორღვეული ციხე.

თავიანთი კონსტრუქციით და ნაგებობის ტექნიკით პირიქითი (შატილ-არხოტი) და პირაქეთი (არაგვის ხეობა) ხევსურეთის

ციხეები განსხვავდებიან. პირიქითი ხევსურეთის ციხეები პირამიდულსახურავიანი და თუშური ტიპისაა, პირაქეთა ხევსურეთისა კი უფრო მთიულურს წააგავს. ასეთი ციხე შედარებით კარგად არის დაცული სოფ. ხახმატში. ციხე ქვა-კვირით არის ნაგები და ოთხკუთხედი ფორმისაა. მას კარი მეორე სართულში აქვს გამოჭრილი. ეს ციხე ჩაქცეულია, სახურავი არა აქვს და ძნელია მისი სართელების გამართულობისა და გეგმის აღდგენა.

პირიქითი ხევსურეთის ციხეები კი თითქმის ყველა კარგად არის დაცული. მათ შორის სოფ. ახიელის ციხე, რომელსაც კარატ ციხე ეწოდება. ეს ციხე ეკუთვნის ცისკარაულის გვარს და აუშენებია მათ წინაპარს აბა ჯურჯიაულს, რომელსაც ციხის ამგებ ქისტი ოსტატისათვის 50 ძროხა მიუციაო. კარატ-ციხე ქვა-კირით არის ნაგები და თავისი კონსტრუქციით და არქიტექტურული ფორმით სიმეტრიულია და ლამაზი., მისი საძირკვლის ფართობი უდრის 5 X 6 მეტრს.

ამავე ტიპის ციხეა კვირიწმინდაში. იგი მარტია შუქიაურს კუთნებია. ამ ციხის კედელი ჩაზნექილია, მაგრამ ჯერ კიდევ ამაყად დგას და მნახველზე შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთივე ციხეებია შატილის მხარეში: ლებაისკარში, კისტანში და გუროში.

ლებაისკარის სიპედიანი ციხე ხუთსართულიანია და კარგად არის ნაგები. ციხეს სიპედის წვერზე აზის ქვის კუშტული და მეხუთე სართულის კედლის ზემო ნაპირზე წითელი საღებავით გამოსახულია ჯვარი და ადამიანებისა და ცხოველების პრიმიტიული ფიგურები.

გუროს ციხე დაზიანებულია, მას ბათაკათ ციხეს უწოდებენ და ეკუთვნის გოგოჭურთ გვარს. ამ ციხეზე მიკრულია ხევსურის მიერ მოჭრილი ქისტის მარჯვენა ხელი.

ციხის თვითეული სართული ისტორიულ წარსულში თავის დანიშნულებას ასრულებდა. პირველი სართული საოჯახო ქონების სამალავი იყო, ზოგჯერ იქ ტყვეებსაც ამწყვდევდნენ. მეორე, მესამე და მეოთხე სართულებში მტრიანობის დროს მეკომურეები იხიზნებოდნენ. მეხუთე სართულში მოლაშქრენი იდგნენ, იქიდან მტერს ზვერავდნენ და სათოფურებიდან თოფებს ესროდნენ., ჩარდახებიდან კი კარზე მომდგარე მტერს ქვებს უშენდნენ.

რაც შეეხება ამ ციხეების კონსტუქციის სადაურობის საკი9თხს და მშენებელი ოსტატების ვინაობას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ხევსურული სიპედიანი ციხეები თავიანთი ნაგებობებით იგივეა, რაც თუშური ტიპის ციხეები და ხევსურებიც თუშებივით ამ ციხეების აშენებას ქისტ ოსტატერბს მიაწერენ. რასაკვირველია, ამ გადმოცემის გაზიარება ძნელია. ვიცით, რომ ქისტები ხევსურებს მტრობდნენ და ძნელი დასაჯერებელია, რომ ქისტებს ხევსურებისათვის ციხეები ეშენებინათ.

ხევსურეთში დღეს ამ ციხეების აგება არავის ახსოვს, მაგრამ აქ ყველამ იცის, რომ ასეთივე ტიპის ციხეები ქისტეთშიც ბევრია და ამიტომ ხევსურები თავიანთი ციხეების აშენებას ქისტებს მიაწერენ ისე როგორც ქისტები თავიანთი პირამიდული ციხეების მშენებლებად ქართვე ოსტატებს თვლიან. პირიქითი ხევსურეთის ამ ციხეების დათარიღებაც ძნელია. წარწერა და თარიღი ციხეებს არ შერჩენია, მხოლოდ სათოფურების მიხედვით, რომელიც თოფთან ერთად ჩვენში მე-16 საუკუნიდან შემოდის, ამ ციხეების წარმოშობის ხანა მე-17-18 საუკუნით უნდა განისაზღვროს.

ხევსურეთის სოფლის მოსახლეობა შეჯგუფებულია. პირიქით ხევსურეთში, ახიელში და, განსაკუთრებით, შატილ-არდოთში დღემდის დაცულია საგვარეულო ტიპის სოფლები. პირაქეთ ხევსურეთში კი სოფლები უფრო გაფანტულია და მეკომურები ერთმანეთისაგან მოშორებით სახლდებიან, რათა სათიბ-სახნავი მიწა მეტი ექნეთ და საქონლის მომრავლებაც უფრო ადვილი იყოს.

ძველი სოფლები მტრის შიშით მთის მწვერვალზე შენდებოდა. ხევსურეთის სოფლის დამახასიათებელია უგზოობა, უგეგმობა. ზოგი აქაური სოფელი ისე მჭიდროდაა შეჯგუფული, რომ მეკომურეების გარჩევაც კი ძნელია. არხოტში სახლების ბანები გაერთიანებულია და ბანიდან ბანზე გადასვლით კაცი მთელ სოფელს მოივლის.

ხევსურული სახლი დროთა ვითარებაში უცვლელი არ ყოფილა. ხევსურული ძველი კონსტრუქციის სახლებს, რომლებშიაც მათ მამაპაპას უცხოვრიათ, აქ ქვიტკირს უწოდებენ. ქვიტკირი საგვარეულო ტიპის სამ-ოთხ სართულიანი სახლია. ქვიტკირები ხევსურეთის სოფლების ძველ უბნებში თითქმის ყველგან დაცულია: ბისოში, ხახმატში, ახიელში, ამღაში, ლებაისკარში

და, განსაკუთრებით, შატილში და არდოტში, რომლებიც დღესაც მხოლოდ ამ ქვიტკირის სახლებისაგან შედგება.
ქვიტკირის სახლებში დღეს არაგვისა და არხოტის ხევსურეთში არ ცხოვრობენ და ისინი გაპარტახებულია. მხოლოდ ამღაში და ახიელშია ერთი-ორი ქვიტკირის სახლი მთლიანად და კარგად დაცული. ეს ხევსურული ქვიტკირი ბ-ნ ს. მაკალათიას დაკვირვებით თუშური ჩარდახიანი სახლის ტიპს ეკუთვნის.
საგვარეულო ტიპის ამ ძველ ქვიტკირში წინათ ძმათაშვილები ცხოვრობდნენ და თვითეულ სართულს თავისი დანიშნულება ჰქონდა. პირველი სართული საქონლის ბოსლად იყო გამოყენებული, მეორეში და მესამეში ძმათაშვილების ოჯახები ცხოვრობდნენ, მეოთხე კი საომარი იყო, საიდანაც ოჯახი მტერს ებრძოდა და თავდაცვის მიზნით ჩარდახებიდან ქვებს ისროდნენ.
მნახველზე არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ტოვებს ხევსურული ქვიტკირები. ეს მაინც განსაკუთრებით შატილის კლდეზე აშენებულ ქვიტკირის სახლებზე ითქმის, რომლებიც სვეტებივით არიან აჩხირული და შორიდან ადამიანს ერთი დიდი და მთლიანი ციხის შთაბეჭდილებას უტოვებს.
აღსანიშნავია სულხან ჭინჭარაულის უკანასკნელი დროის ქვიტკირი სოფ. ბარისახოში.
სულხან ჭინჭარაულს, რომელსაც ქისტები თურმე მტრობდნენ, ეს ქვიტკირი ან ციხე, როგორც მას ხევსურები უწოდებენ აუშენებია 1919-1920 წლებში. ამ დიდ რევოლუციაში, როდესაც სამოქალაქო ომებმა მთაც შეარყია და მთიელებმაც დაიწყეს ერთმანეთის დარბევა. სულხანს ამ ქვიტკირის მოთავება არ დასცლია. მას ქისტის გონებით შატილიონი ძმადნაფიცი შემოჰკვდომია, შატილიონთა მდევარს სოფ. კისტანთან სულხანიც მოუკლავს.
საქართველო ეთნიკურად მრავალფეროვანი ქვეყანაა, ამიტომ აქ მცხოვრებ ადამიანებს ქართულთან ერთად, მრავალი რამ განსხვავებული და თავისებური აქვთ მეტყველებაში, ხასიათში, ცხოვრების წესში, ჩაცმა დახურვაში, ისტორიულ ტრადიციებსა და სულიერი კულტურის მონაპოვრებშიც.
ტრადიცია. ხევსურეთი ერთ-ერთი ყველაზე ძველი ტრადიციების მქონე კუთხეა, რომელსაც მეტად საინტერესო წეს-ჩვეულებები გააჩნდა.

ხევსურეთში შურისძიების მსუბუქი ფორმა არსებობდა, რომელსაც კეჭნაობას უწოდებდნენ. კეჭნაობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო და იშვიათად თუ იპოვიდით დაუკეჭნავ ხევსურს. ამიტომ კეჭნაობასა და იარაღის ხმარებაში ხევსურები ბავშობიდან ვარჯიშობნენ, ჯერ ხის დაშნებითა და ფარებით, შემდეგ კი ნამდვილ ხმლებსა და ფარებზე გადადიოდნენ კეჭნაობაში მთავარი იყო გავარჯიშებული ხელი და კარგი ხმალი. ხევსურებში მოწინააღმდეგის მძიმედ დაკეჭვნა სირცხვილად ითვლებოდა, თავად კეჭნაობა კი ვაჟკაცობად. ქალებში კარგი მოკეჭნავე დიდი მოწონებით სარგებლობდა. ვინც კეჭნაობას გაურბოდა, მას ძრახავდნენ. მაგრამ აქ მარტო პირადი ვაჭკაცობა არ კმაროდა, საჭირო იყო მიყენებული ჭრილობებისთვის გადასახდელად ქონებრივი შესაძლებლობაც. ამიტომ ღარიბი ხევსური კეჭნაობისაგან თავს იკავებდა, შეძლებული კი სახელს ეძებდა, მუდამ შარზე იყო და დაკეჭნილს ეუბნებოდა: „თეთრი ოქროთი აგილესავ მაგ ჭრილობას" ან „ბაჯაღლო ოქროთი შეგიმკობ მაგ ჭრილობასო." კეჭნაობის სისხლი გვარსა და თემზე გადადიოდა და, სანამ შერიგება არ მოხდებოდა, შუღლი 4-5 თაობამდე გრძელდებოდა. პირველ შეტაკებისთანავე მეშუღლეები ხმლებს იშიშვლებდნენ, ფარებს მოიმარჯვებდნენ და ერთმანეთს კეჭნიდნენ. ვინც ამ დროს მათ შეესწრებოდა, უნდა გაეშველებინა, გვერდის აქცევა სირცხვილად ითვლებოდა. ზოგჯერ მოკეჭნავეთა შორის ქალი მანდილს შეაგდებდა და იტყოდა: „ესეთა გეხვეწებით!" მაშინ მოჩხუბრები უნდა გაშველებულიყვნენ.

ხევსურული ადათით ცოლ-ქმარი ერთმანეთს სახელს არ იტყოდნენ. ცოლი ქმარს ასე მიმართავდა: „არ მგდისა", ქმარი ცოლს - „დიაცო! „შენ!" რძალი მამამთილსა და დედამთილს სახელს ვერ ეტყოდა, მათ მულს მამობით იხსენიებდა. მაგალითად, ნინოს მამა, ნინოს დედა. მამამთილი რძალს 2-3 წელი ხმას არ სცემდა. „რძალი არც მაზლს დაუძახებდა სახელს, ეტყოდა: „ვაჟავ!"

ხევსურეთში არც სიძე-სიდედრი ერთმანეთს ხმას არ სცემდნენ, სანამ ქალ-სიძეს შვილი არ ეყოლებოდა და ისინიც მესამე პირის მეშვეობით საუბრობდნენ. ვერც სიდედრი ეტყოდა თავის სიძეს სახელს, ეძახდა: „სიძევ!"

საზოგადოდ, ხევსური ქალი რჩენისა და შენახვის მიზნით არ თხოვდებოდა. ის ეკონომიურად ქმრისაგან ნაკლებად იყო

დამოკიდებული, ამიტომ ოჯახური უსიამოვნების დროს ქალი ადვილად ტოვებდა ქმარს და ბრუნდებოდა მამის სახლში. მაგრამ თუ ქმრის სურვილი არ იქნებოდა, ქალი ქმარს თავს ვერ გაანებებდა.

უფრო ადრეულ ხანებში ქმრის დაწუნება ქალისთვის სამძიმო საქმედ ითვლებოდა. პატივმოყვარე ხევსური ცოლის გაქცევას დიდ შეურაცხყოფად თვლიდა, სამწუნობროს არ იღებდა და ქალის მშობლებს მტრობდა. ხშირი იყო ცოლის დასახიჩრებაც. გაქცეულ ცოლს ქმარი ცერა თითს მოაჭრიდა, რომ მას ხელსაქმობა არ შეძლებოდა, მაგრამ თუ ქმარი დაითხოვდა ცოლს, მას ნამაშვრალი ეძლეოდა. ასეთ დროს ქალს იმდენი ძროხა ეძლეოდა, რამდენ წელსაც, მას ქმართან უცხოვრია. შინ დაბრუნებულ ქალს ახალგაზრდა ხევსური იშვიათად შეირთავდა და იგი იძულებული იყო, ხანში შესულ ხევსურზე გათხოვილიყო. ქვრივ ქალს არ ირთავდნენ, რადგან ის იღბალ-გატეხილად ითვლებოდა.

ტანსაცმელი. ხევსურული სამოსი. ქართული კულტურის თავისებურებანი ხალხური სამოსელის მრავალფეროვნებაშიც გამოვლინდა. გამოირჩევა თუშური, ფშავური, ხევსურული, მოხევური, რაჭული სამოსელი. მამაკაცთა შესამოსელიდან ჩოხასთან ერთად აღსანიშნავია ხევსურული სამოსელი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გავრცელებული სამოსელი „ჩაქურა“.

ყველაზე მეტად ყურადღებას იქცევს ხევსურული ქალის სამოსელი - ტალავარი, რომელიც ორიგინალური თარგითა და ჭარბი ნაქარგობით გამოირჩევა, მას შინ ქსოვდნენ შალის ძაფისაგან.

ტალავარი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან, ესენია: შალის გრძელი კაბა - „სადიაცო“, ზემოდან შემოსაცმელი შალისავე „ფაფანაგი“ ან მოკლესახელოებიანი „ქოქლო“. ხევსური ქალის თავსაბურავია „სათაურა“ და „მანდილი“, ფეხსამოსი კი - „თათები“ ან ქალამან-წინდა და „ბაჭიჭები“.

სადიაცოს ორი ძირითადი ნაწილი აქვს: „მხარ-ზურგი“ და „გულისპირი“. კაბას საყელოსთან სარჩულიანი საყელო აქვს მოყოლებული, მხრებზე მოკერებულია სახელოები, ხოლო კაბის კალთებს ქვემოთ ეკერება ბრტყელი და ზოლიანი არშია,

რომელსაც ეწოდება „ქოქომონი“. „ქოქომონის“ ფერები გარკვეული კანონზომიერებითაა განლაგებული: ჯერ შავი ფერია, შემდეგ წითელი და ლურჯი. კაბის ყელთან სამკუთხედის ფორმის პატარა ამოჭრილია, რომელზეც შეიძლება მიეკეროს ღილებითა და მძივებით გაწყობილი პატარა შალის ნაჭერი, ე.წ. „ქოქა“.

კალთამოკერებულს „თიკვ-ჩოფასაც“ უწოდებენ. მას უბის ქვემოთ ოთხკუთხა ფერადი ნაჭრები აქვს გამოკერებული. სადიაცოს ამარა გარეთ გასვლა ძველად დიდი სირცხვილი იყო. კაბის ზემოდან შემოსაცმელი, შალის ზედა სამოსელი „ქოქლო“, რომელსაც ჩოხის მოყვანილობა აქვს, შედგება „წინა კალთების“, „ზურგნის“ და „აზღოტებისაგან“. „ქოქლოს“ ეკერებოდა მაღალი საყელო და ქვემოდან შეხსნილი მოკლე სახელოები. ქოქლოს თავისებურება ისაა, რომ მისი წელი ჩვეულებრივზე მაღლაა და გვერდებიც შეხსნილია.

ქოქლოზე უფრო ძველია „ფაფანაგი“, რომელსაც დღეს მარტო სადღესასწაულოდ, სახატოდ იცვამენ. ისიც ქოქლოს მსგავსია, მაგრამ აქვს განსხვავებული ნიშნებიც: მას უფრო გრძელი სახელოები აქვს და გვერდის კალთა ფარაგის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. შემდგომ ქოქლოს გვერდით ჩნდება „ქათიბი“. ისიც ქოქლოს მსგავსია, ოღონდ ფაბრიკული ქსოვილისაგან მზადდება.

ხევსური ქალები ზამთარში სამოსად ტყავებსაც ხმარობდნენ და ამისათვის შინაური ცხოველების - თხის, ცხვრისა და ძროხის - ტყავს იყენებდნენ. ასეთი ტყავი ჩოხისებურად იყო გამოყვანილი. ხმაროდნენ საგანგებოდ მორთულ-მოკაზმულ ტყავებსაც, რომელთაც ზურგზე ეფინა ოთხკუთხა დიდი საყელო.

ხევსური ქალის თავსაბურავი ორი ნაწილისაგან შედგებოდა: „სათაურასა“ და „მანდილისაგან“. მოკლედ შეჭრილ და შუბლზე ჩამოყრილ ყვითლად შეღებილ თმაზე (ადრე ხევსურ ქალებსაც გრძელი თმა ჰქონდათ. ორად განაწილებულ ნაწნავებს - „ნაჭაპნებს“ - შუბლზე ჯვარედინად გადაიგრეხდნენ და ბოლოებს ჩაიმაგრებდნენ. ამით შუბლზედაც ჯვარს ისახავდნენ)

ჯერ სათაურას დაიდგამდნენ, შემდეგ მის ზემოდან გრძელსა და ვიწრო მანდილს შემოიკრავდნენ. სათაურას ერთნაირად ხმარობდა გათხოვილი და გაუთხოვარი, მანდილს კი მხოლოდ გათხოვილი ქალი ხმარობდა.

ხევსურეთში ისევე, როგორც ძველ საქართველოში, ქალისათვის თავსაფრის ახდა შეურაცხყოფად მიაჩნდათ. მანდილი ქალის სინდის-ნამუსის სიმბოლოს წარმოადგენდა. საკმარისი იყო, ქალს მანდილი მოეხადა და მოჩხუბართა შორის ჩაეგდო, რომ ისინი დაზავებულიყვნენ.

ხევსურეთში ფეხსამოსად ხმარობდნენ ყელიანი წინდის ფორმის, ძირზე ტყავგამოკრულ „თაუბს“ და ტყავის ქალამნებს. ქალები ფეხზე წინდებთან ერთად ნაქსოვ „ბაჭიჭებსაც“ იცმევდნენ.

ხევსური ქალის სამოსელი უხვადაა შემკული ნაქარგით. ნაქარგისათვის იყენებდნენ აბრეშუმის, შალის ან ბამბის ძაფებს, ასევე ვერცხლის სამკაულებს, მონეტებს, ფერადი ნაჭრების აპლიკაციებს. ნაქარგის ძირითადი მოტივია ჯვარი.

ორიგინალური თარგითა და მხატვრული შემკულობით ხევსურულ ტანსაცმელს ბადალი არ მოეძებნება არამარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში.

ხევსურული ტანისამოსი ჩვენში ცნობილია თავისი ორიგინალობით, მას ახასიათებს თავისებური გამოჭრილობა და მორთულობა. ამ მხრივ ხევსურები განსხვავდებიან სხვა მთიელებისაგან, რომელთაც ძველებური ჩაცმა აღარ შერჩენიათ. ხევსურულ ტანისამოსს ტალავარი ეწოდება. ასეთი ტალავარი შინ მოქსოვილი ტოლისაგან (შალი), ხელით იკერება, რომელსაც ხევსური ქალები ამზადებენ. ტრადიციულად, ტალავრის შეკერვა და მორთვა აქ თითქმის ყველამ იცის, ამაში ქალებს პატარაობიდანვე ავარჯიშებენ.

ფეხებზე იცვამდნენ საქალამნე თათს (წინდას) და ნაჭრელ პაჭიჭს, რომელსაც ბოლოზე შემოვლებული ჰქონდა წვრილი გრეხილი შილიფა. წინდაზე ქალამანს იცვამდნენ, სასტუმროდ კი ამოკერებულ თათს.

ხევსურის ქალები სათაურას იხურავდნენ. ეს ხევსურული სათაურა ქართულ ჩიხტს ემსგავსება, ის ბამბის ნაჭრისაგან იკერება და შემდეგ მატყლით იტენება. ამ სათაურაზე გათხოვილი ქალები მანდელს იხვევენ.

მანდელი ფოჩიანია და ეს ფესვიანი მხარე ფერადი აბრეშუმის სახეებით არის მოქარგული. გაუთხოვარი ქალი მანდელს არ იხურავს და სათაურას უმანდელოდ ატარებს. გათხოვდება თუ არა ქალი, მანდელს შემოიხვევს. ახალ პატარძელს უმანდელოდ სიარული მამის სახლში შეეძლო, ქმრისას კი სირცხვილად ითვლებოდა. ქალს უფროსთან მანდელის მოხდა არ შეეძლო და არც ქმრის ნათესავებს მიეგებებოდა უმანდელოდ, რაც მას უზრდელობაში და უპატივცემულობაში ჩამოერთმებოდა. ამავე დროს მანდელი ხევსურეთში ერთგვარ პატივსა და მოწონებაში იყო. ჩხუბის დროს ქალები მეშუღლეებს თავიანთ მანდელით აშველებდნენ. მანდელის შელახვა კი აქ დიდ სირცხვილად ითვლებოდა.

მატერიალური კულტურის ძეგლები. ხევსურეთში აღმოჩენილია ბრინჯაოს ხანის ნივთები და სამკაულები, რაც აქ ადამიანის პრეისტორიულ ხანაში ცხოვრებაზე მიუთითებს.

ეს რეგიონი ქრისტიანული ძეგლებით ღარიბია. მართალია, იგი ხარჭაშოს საეპისკოპოსოს სამწყსოში შედიოდა, მაგრამ აქ ქრისტიანულ მოძღრებას ფეხი ვერ მოუკიდებია და ისინი წარმართულ წესებს ასრულებნენ. XIX საუკუნეში აქ ქრისტიანობის აღდგენა განუზრახავთ და ეკლესიები აუშენებიათ ბარისახოში, ხახმატში, ბაცალიგოში, ახიელში და შატილში. ხევსურები თავიანთ წარმართულ ხატ-სამლოცველოებსა და მათ სამსახურს იცავდნენ. ძლიერ და მნიშვნელოვან ხატად მთელს ხევსურეთში ითვლება გუდანის-ჯვარი, რომელსაც „საღვთოთ” იხსენიებენ და წმინდა გიორგობით ლოცულობენ. მას ეშველებოდნენ: კოპალა კარატის წვერი, პირქუში და სანება ცროლის წვერი. ძლიერ ხატად ითვლება აგრეთვე ხახმატის ჯვარი. ამ დიდ და ძლიერ ხატებთან ერთად, ხევსურებს სწამთ მცირე ხატებიც. ასეთია ანატორის-ჯვარი. შატილის თემში რამდენიმე ხატია: წმინდა გიორგი, მთავარანგელოზი და ადგილის დედა.

ხევსურეთში ძშემორჩენილია შუა საუკუნეების საბრძოლო-საცხოვრებლის დანიშნულების კოშკები. საგანგებოდ სამხედრო დანიშნულების კოშკები ერთდროულად დგას სოფელთან. კოშკები აგებულია ნატეხი ქვითა და შიფერით დუღაბზე, კედლებში სათოფურებია ჩაყოლებული. გადახურვა საფეხურიანია და პირამიდის სახე აქვს. არქიტექტურული ნიმუშებია: ლებაისკარის, ახიელის, ხახმატის ციხეები.

მნიშვნელოვანი ინტერესი აქვს მუცოსა და შატილის ციხე-სოფლებს. ხევსურეთში შემორჩენილია აგრეთვე აკლდამები.
ხევსურული კოშკი. შუა საუკუნეებში გავრცელებული კოშკის ტიპი თუშეთსა და ხევსურეთში საბრძოლო-საცხოვრებლის დანიშნულებისა. საგანგებოდ სამხედრო დანიშნულების კოშკები ერთდროულად დგას სოფელთან, თვით სოფლის ციხე-სახლების კოშკები უფრო დაბალია და ფართოა. ხევსურული კოშკები გეგმით კვადრ. 5-6 სართლიანი ნაგებობაა. პირველი სართული დაბალი და ბნელია. შუა საუკუნეებში ძველად მეკომურეები იხიზნებოდნენ, ბოლო სართული საბრძოლველად იყო გამიზნული. კოშკებს ჩვეულებრივ აგებდნენ ნატეხი ქვითა შიფრით დუღაბზე. კედლებში სათოფურებს აყოლებდნენ. ზემო სართულზე შვერილი მაშიკულებია, ე.წ. ჩარდახი. გადახურვა საფეხურებიანი პირამიდის სახისაა. ნიმუშთაგან ცნობილია ლებაისკარის, ახიელის, ანანურის ანსამბლის და სხვა კოშკები; მთათუშეთის ნიმუშთაგან – დართლოს, გირევის, ფარსმისა და სხვა კოშკები.
შატილი. მთიანი საქართველო მიუდგომლობისა და მკაცრი ბუნებრივი პირობების გამო საცხოვრებელი და დაცითი ნაგებობების საკუთარ სახეობას იმუშავებს. აქ ციხე იშვიათია, არის თავდაცვისთვის გამიზნული საცხოვრებელი სახლები და კოშკები. ქვეყნის სხვა რეგიონებში სათოფეებით აღწურვილ სახლებს იშვიათად შეხვდებით, მაგრამ შეიძლება ნახოთ სათოფეებით გაწყობილი ეკლესიები და წისქვილებიც კი.
მთებში მიკარგულ სოფლებს მტრის შემოსევის დროს მხოლოდ საკუთარი თავისა და მეზობლის იმედი უნდა ჰქონოდა. ასე იყო შატილიც. იგი დუშეთის რაიონში, კავკასიონის ჩრდილოეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 1400 მეტრზე, მდ. არღუნის ხეობაში მდებარეობს და საუკუნეთა განმავლობაში დარაჯობდა ქვეყნის ჩრდილოეთ გადმოსასვლელებს.
შატილი ერთ მკაველ მიწაზე, კლდოვან ფერდობზეა შეფენილი. სახლი სახლზეა მიდგმული, ქვედა სახლის სახურავი ზედას ეზოა და ასე შემდეგ. აქ სოფლიდან გამოუსვლელად ყველა სახლში შეიძლება მოხვდეთ. ასეთ სახლებს ჩარდახიან სახლებსაც ეძახიან. შატილი საცხოვრებელი სახლების კომპლექსიცაა და ციხე-კოშკებისაც. ეს ფაქტიურად ციხე-სოფელია.

შატილი საერთოდ და მისი ცალკეული სახლები ხევსურეთისა და ფშავის ტიპიური ნაგებობებია.
შატილი საერთოდ და მისი ცალკეული სახლები ხევსურეთისა და ფშავის ტიპიური ნაგებობებია.
თუ როგორია შატილის სახლები, სამაგალითოდ შეიძლება გოგუა ჭინჭარაულის საცხოვრებელი აღვწეროთ. ფერდობზე ორი სახლია ერთმანეთის ახლოს. მათ შორის დახურული გადასასვლელია. სახლების პირველიუ ორი სართული დამხმარე ნაგებობაა, განკუთვნილი წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლისათვის, მესამე სართული საცხოვრებელია, მეოთხე თავდაცვას ემსახურება. შატილის სახლები შეიძლება XVII საუკუნით ან XVIII ს-ის დასაწყისით დათარიღდეს.
ხევისბერი. კულტის მსახური, ხალხური (თემური) და სახელმწიფო მმართველობის წარმომადგენელი ძვ. საქართველოში (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში) სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ხევის-ბერი ერთის ხეობის უხუცესი (უფროსი) კაცია.” ხევისბერობას საკანონმდებლო წესით განამტკიცებდა მთიულეთისათვის განკუთვნილი სამართლის წიგნი – „ძეგლის დადება მეფეთ მეფის გიორგის მიერ” (XIV). „ქუეყნის,” „თემისა და თემის” მოხელე-ხ-ები იყვნენ „ლაშქართ თავადნი,” – დარბაზით დაწყებულნი” (როგორც წესი, საოჯახო-საგვარეულო მემკვიდრეობითობის საფუძველზე). პატივით ისინი განმგებელს, აზნაურს უტოლდებოდნენ. (ხევისბერის „სისხლი” 6000 თეთრს უდრიდა). ფშავ-ხევსურთა ხევისბერი კი ჯვარ-ხატის (წარმართული ღვთაების) მთავარ მსახურწინამძღვრად – მისი დღესასწაულის წარმმართველად და რიტუალის შემსრულებლად, შეწირული განძეულობის მცველად არის მიჩნეული. მოხევეთა ხევისბერი იყო ხევის მოთავე, წინამძღოლი როგორც საერო, ისე რელიგიურ საკულტო საქმეებში. ხევისბერებს თემი, ხევის საბჭო ირჩევდა. ხევისბერები სამოსამართლო ფუნქციებსაც ასრულებდნენ. ვახუშტი ბატონიშვილი ხევისბერებს მსაჯულთუხუცესის ხელქვეითებად მიიჩნევდა. იოანე ბატონიშვილის სჯულდებაში გათვალისწინებულია ხევისბერნი, ვითარცა „ქურდებისა და ავკაცთა ქართლსა, კახეთსა შინა გარდამხდევინებელნი.” ხევისბერი მხატვრულად წარმოსახა ა. ყაზბეგმა რომანში

„ხევისბერი გოჩა.” გადანაშთური დანაწესის სახით ხევისბეროზა XX-მდე შემორჩა.

ხევსურები — ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი, ძირითადად სახლობენ ხევსურეთში, დიდი კავკასიონის ორივე მხარეს ხევსურეთის არაგვისა და არღუნის აუზებში. ინტენსიური მიგრაციის შედეგად მათი სოფლები გაჩნდა აგრეთვე ხევში, ერწო-თიანეთში, კახეთში (შირაქი), ქვემო ქართლში (გარდაბანი). ხევსურები ლაპარაკობენ ქართული ენის ხევსურულ დიალექტზე. დიდი ხნის განმავლობაში ხევსურები ინარჩუნებდნენ ტრადიციული კულტურის ნიშნებს: ტანსაცმელი, იარაღი, მრავალიარუსიანი საცხოვრებელი, ადათ-წესები და სხვა. ვახუშტი ბაგრატიონი ხევსურებს ასე ახასიათებს:

„ფიზიკურად ხევსური ჯანსაღია და მაგარი. ამასთანავე ის ამტანია და გამრჯე. ხევსური საშუალო ტანისაა, მხარბეჭიანი და კუნთებმაგარი. სახით ის გარუჯულია და პირმრგვალი. ცხვირი ხევსურს სწორი მოყვანილობისა აქვს, თვალები დიდი და ლურჯი. ქცევაში დინჯია, მოქმედებაში კი მარდი. გულადობა და გამბედაობა ხევსურს არ აკლია და თავის პიროვნების დასაცავად თავგანწირვამდის მიდის (იციან სისხლის აღება). გულზვიადი და თავმოყვარე ხევსური ზნეობრივ შეურაცხყოფასა და ფიზიკურ სიმახინჯეს ვერ იტანს და თვითმკვლელობასაც სჩადის. ცოტაოდენს წყენასაც არავის დაუთმობენ და არავის არ დაებრიყვებიან. დამოუკიდებლობა მათ ძლიერ უყვართ უცხოსთან ხევსური ამაყია, მას ხევსურობით თავი მოაქვს, უცხოური არ მოსწონს და მას არც ბაძავს. ამასთანავე ხევსური ფრთხილია და ჭკვიანი. ის ადამიანს ძნელად თუ დაენდობა, მაგრამ დანდობილს ხევსური სამარემდის ჩაჰყვება და არ უღალატებს. ხევსურის ქალი ტანით ჯმუხია და ქცევით დინჯი, მას ქალური სინაზე აკლია და მამაკაცური იერი გადაკრავს. ხევსურ ქალსაც ახასიათებს სიმარდე და გულადობა. მაგრამ შრომისა და მძიმე სოციალური პირობების გამო ხევსურ ქალს სევდიანი და მოღუშული გამომეტყველება აქვს. მრუშობა და გარყვნილება ხევსურს ეჯავრება და მას აქ ადგილი არა აქვს.“

ანთროპოლოგიურად ხევსურები გამოირჩევიან აღმოსავლურ-ქართული ტიპის სახით, მთიან რეგიონში და უგზო პირობებში ცხოვრების გამო, ხევსურთა უდიდესი ნაწილი გამხდარია. ხევსურების უმტესობას თვალები ღია ფერის აქვს, თმის ფერი კი ქერადან მუქ წაბლისფრამდე მერყეობს. სავსურულ სახესა და ნაკვთებს უფრო თხელი და წყობილი ეთქმის.

ხევსურული სამზარეულო.

ხევსურული ლუდი. ლუდი ხევსურეთში საპატიო სასმელია. ლუდი ქერისა და სვილისაგან იხარშება. ღირსებით აქ სვილის ლუდს ამჯობინებენ. სალუდე ჭირნახულს ჯერ ფორად აქცევენ და შემდეგ მას დაფქვავენ. ფქვილს წყალში ჩაყრიან და ადუღებენ. როცა ის დაიდუღებს, გასაწურავად.

ტომრებში ჩაასხამენ, თავებს ჭუჭკიტ მოუკრავებ და მას ორკაპიან „კედნით" (ჯოხი) მოუჭერენ: პარკიდან ლუდის წვენი ქვაბში იწურება. ტომარაში რჩება მხოლოდ ქატო, რომელსაც საქონელს აჭმევენ.

გამონაწურ ლუდის ტკბილს ისევ ქვაბში ჩაასხამენ, სვებს (ბალახია) ჩაატანენ და ადუღებენ. როცა ტკბილი დაიდუღებს, მას ხელმეორედ კარგად გასწურავენ, ლუდს შეანელებენ, შემდეგ კოდში ჩააყენებენ და ჭიჭს მისცემენ. ჭიჭი ლუდის წვენს ოთხ დღეში დაამაჭრებს და მეხუთე დღეს მშუშხავ ლუდს მიირთმევენ. ხევსურები ლუდს კარგად აკეთებენ და ბევრსაც სვამენ.

მოხევეები — ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიული ჯგუფი. ძირითადად ცხოვრობენ ისტორიული ხევის ანუ თანამედროვე ყაზბეგის რაიონის ტერიტორიაზე, აგრეთვე მისი მოსაზღვრე ჩრდილოეთ ოსეთის სოფლებსა და ქალაქ ვლადიკავკაზში. მოხევეები საუბრობენ ქართული ენის მოხევურ დიალექტზე და გამოირჩევიან კულტურისა და ყოფის ზოგიერთი თავისებურებებით.

ვახუშტი ბაგრატიონი მოხევეებს ასე ახასიათებს:

„თავიანთი ფიზიკური აღნაგობით მოხევეები საშუალო ტანისა არიან. სხეულის სიმკვრივესთან ერთად მათ ახასიათებთ ფიზიკური ჯანმრთელობა და მოქნილობა. ტიპიური მოხევე

სახით უფრო პირმრგვალია, აქვს სახის სწორი მოხაზულობა და შავგვრემანი ფერი. ფიზიკურ სისაღესთან მოხევე გულადია, მოსაქმე, მარდი და გამბედავი... მოხევე თავისი ენის მოსიყვარულეა. მიუხედავად იმისა, რომ მას მჭიდრო ეკონომიურ-კულტურული კავშირი აქვს კავკავთან და სხვა უცხო ქალაქებთან, ის მშობლიურ ენას არ ივიწყებს. ენის სიწმინდის შერყვნა მოხევეს სამარცხვინოდ მიაჩნია. მოხევეები მეტყველებენ დინჯად და გარკვევით. გონებამახვილობასთან მათ ახასიათებთ ნათელიაზროვნება და სწრაფი მოფიქრება. საუბრის დროს მოხეურად უქცევენ“

მთიულები — ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიული ჯგუფი. ძირითადად ცხოვრობენ ისტორიული მთიულეთის ტერიტორიაზე, დუშეთის რაიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდინარე მთიულეთის არაგვის ხეობაში. მთიულთა კომპაქტური დასახლებები არის შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთში. საუბრობენ ქართული ენის მთიულურ დიალექტზე და გამოირჩევიან კულტურისა და ყოფის ზოგიერთი თავისებურებებით.

ვახუშტი ბაგრატიონი მთიულებს ასე ახასიათებს:

„ფიზიკური აღნაგობით მთიულები საშუალო ტანისანი არიან, მათ ახასიათებს სხეულის სიმკვრივესთან სახის ლამაზი მოყვანილობა. შეიძლება ითქვას, რომ მათში დღემდე დაცულა ქართულ სილამაზის ტიპიური იერი. მეტყველებენ წმინდა ქართული ენით, დინჯად და გარკვევით... ზნეობრივად მოსახლეობა საკმაო სიმაღლეზე სდგას. ყაჩაღობა, ქურდობა და მკვლელობა აქ იშვიათი შემთხვევაა. სტუმართმოყვარეობისა და პურმარილის ადათებს ჯერ კიდევ მტკიცედ მისდევენ.“

თუშები - ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიული ჯგუფი, ცხოვრობენ თუშეთში - დიდი კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობებზე, პირიქითა და გომეწრის ალაზნის სათავეებში, აგრეთვე კახეთში - ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. თუშები საუბრობენ ქართული ენის თუშურ დიალექტზე, ხოლო მათი ერთი თემი - წოვა-თუშები - აგრეთვე ბაცბურ ენაზე. წარსულში თუშებისთვის დამახასიათებელი იყო კულტურისა

და ყოფის ზოგიერთი თავისებურებები, რაც მათ განასხვავებდა საქართველოს სხვა კუთხეების მცხოვრებთაგან. ისინი მისდევდნენ მეცხვარეობას, შემონახული ჰქონდათ საოჯახო-თემური ტრადიციები, არიან მაღალგანვითარებული კოშკური არქიტექტურისა და მუსიკალური ხელოვნების შემოქმედნი.

ვახუშტი ბატონიშვილი თუშებს ასე ახასიათებს:

„ფიზიკურად თუშები მაგარი და ჯანმრთელი ხალხია... თუშის ტიპი ქართულია. მას აქვს სახის სწორი მოყვანილობა, ფერით შავგვრემანია და ტანით საშვალ სიმაღლისა. მთასა და ცხვარში შეზრდილი თუში გულადია; იგი მტერს მტრულად უხვდება და მოყვარეს მოყვრულად. საზოგადოებრივ და საქმიან ცხოვრებაში თუში ზრდილი და თავაზიანია. მას უყვარს შრომა, გარჯილობა და დოვლათის მოხვეჭა. თუში ამასთანავე მომჭირნეა, დროსა და ადგილას ანგარიშიანიც; ის აზროვნებს დინჯად და საღად, თქმაში გონებამახვილია, მოქმედებაში მარდი. თუშები მეტყველებენ წმინდა ქართულით, მხოლოდ ჩაღმის ზოგიერთ სოფლებში, ომალოსა და შენაქოში დღესაც დაცულია ქართული ენის თუშური თქმა, ზოგიერთ ბგერების და სიტყვების თავისებური გამოთქმით“

ანთროპოლოგიურად თუშებს აღმოსავლურ ქართული სახე და აღნაგობა აქვთ. არიან საშუალო სიმაღლის, მკვრივი აგებულების, პირმრგვალი სახით. თუშების უმეტესობას ღია ფერის თვალები და საშუალოზე ღია ფერის თმა (ჩალისფრიდან წაბლისფრამდე) აქვს. ახასიათებთ თხელი ნაკვთები, სწორი, ოდნავ აწეული ცხვირი და თხელი ტუჩები.

მთიულეთი - მხარე აღმოსავლეთ საქართველოში. მოიცავს მდინარე თეთრი არაგვის ხეობას. მისი უკიდურესი სამხრეთ საზღვარი იყო მთიულეთკარი, ჩრდილოეთით – თრუსოს ხევი და საკუთრივ ხევი, აღმოსავლეთით – გუდამაყარი, დასავლეთით – ლომისის ქედი. ფართობი 408 კმ2-ია.

ისტორიული განვითარება. მთიულეთ-გუდამაყარში მოსახლეობა ადრევე ჩნდება და მთელი ეს კუთხე ძველი იბერიის სამეფოს გეოგრაფიულად მნიშვნელოვან სამფლობელოს შეადგენდა. მით უმეტეს, რომ იბერიის სატახტო ქალაქი – მცხეთა, მტკვრისა და არაგვის შეერთებაზე მდებარეობდა. ამიტომაც, მთელ არაგვის

ხეობას იბერიის სამეფოსათვის, უდიდესი სტრატეგიულ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ხეობაში გადიოდა ჩრდილოეთის გზა, საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც გამაგრებული იყო დარიალის (არაგვის) კარით.

ამ კარით იბერიის სამეფოს ემუქრებოდნენ სამხრეთ რუსეთის ველებზე მობინადრე ტომები: სკვითები, ალანები, ხაზარები და სხვ. მათგან თავდაცვის მიზნითა და სტატეგიული მოსაზრებით, იბერიის მეფეები ამ ხეობას ციხე-კოშკებით ამარაგებდნენ.

გადმოცემის თანახმად, მთიულეთში ქრისტიანობა უქადაგია ქართველთა განმანათლებელ ნინოს. იბერიის სამეფოს მოქცევის შემდეგ მემატიანე მოგვითხრობს, რომ წმინდა ნინო ეახლა მთიულეთ-გუდამაყრის მოსახლეობას, რათა მოქცეულიყვნენ ქრისტეს რჯულზე. იმხანად ეს მშვიდობიანი გზით ვერ მოხერხებულა, რისთვისაც მეფის ხელისუფლებას მახვილისათვის მიუმართავს.

V საუკუნეში, არაგვის ხეობის გავლით ვახტანგ გორგასალი ხანგძლივად ებრძოდა დარიალის ხეობით შემოჭრილ ალანებს. დავით აღმაშენებელი (1089-1125) კი არაგვის ამ ხეობით უფრო მშვიდობიან პოლიტიკას აწარმოებდა. რადგან ეს გზა მას სჭირდებოდა ყივჩაყთა საქართველოში შემოსაყვანად. ამასთან თვით მთიულებსაც არაერთხელ მიუღიათ მონაწილეობა ჩრდილოეთის მეამბოხე ტომების დასამორჩილებლად.

თავდაპირველად მთიულეთი ეწოდებოდა ცხავეტის თემს. XIII საუკუნიდან კი ხადა-ცხავატს, მთიულეთშივე შედიოდა ხანდო, ხშირად მთიულეთად იგულისხმებოდა აგრეთვე გუდამაყარიც.

IX საუკუნის 50-იან წლებში არაბთა ლაშქარმა ბუღა თურქის სარდლობით ცხავატამდე მიაღწია, მაგრამ მთიულებმა მტერი უკუაქციეს.

XIII ს. დასაწყისში, თამარის მეფობის ხანაში, მთიულები აქტიურად მონაწილეობდნენ ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. აჯანყებული ფხოველებისა და დიდოელების დასამორჩილებლად მოწყობილ ლაშქრობაში მთიულეთი ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობის გამო თავიდანვე სამეფო ხელისუფლების ყურადღებას იქცევდა. ადრინდელ ფეოდალურ ხანაში მთიულეთი სახასო ქვეყანა იყო. XII ს. 80-90-იან წლებში მისი გამგებლები იყვნენ ქართლის ამირთამირა აბულასანი, შემდეგ – მანდატურთუხუცესი ჭიაბერი.

მთიულეთ-გუდამაყარის შესახებ საკმაო ცნობებია მოცემული „ძეგლის დადება მეფეთ მეფის გიორგის მიერ," შედგენილი გიორგი ბრწყინვალის მიერ 1335 წელს. ეს ძეგლი მთიულეთის იურიდიულ-უფლებრივი ნორმების შემცველია, რომლის მიხედვით შესაძლებელია იმდროინდელი მთიულეთის საზოგადოებრივი ცხოვრების რეკონსტრუქცია.

ირკვევა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება აქ ემყარებოდა თემურ წყობილებას და ხალხიც ამ თემურ ადათ-წესებს ემორჩილებოდა. მოსახლეობა იყოფოდა ხევებად და თითოეულ ხევს სათავეში ხევისბერი ედგა. ბატონყმობისა და ფეოდალურ არისტოკრატიის ბატონობას აქ ჯერ კიდევ არ ჰქონდა ფეხი მოკიდებული, თუმცა ეს კუთხე საქართველოს მეფის მორჩილებაში ყოფილა. მეფეს მმართველად ერისთავი ჰყოლია, რომელიც უშუალოდ მას ემორჩილებოდა. ერისთავის თანაშემწე კი გამგებელი იყო. მათ ევალებოდათ მეფის პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვა, განსაკუთრებით ლაშქრობისა და ხარჯების აკრეფის დროს. ხევისბერის ფუნქცია კი ხევის ლაშქრის შეყრა და მეთაურობა იყო. მასვე ეკითხებოდა აგრეთვე სისხლის სამართალიც. თითოეული ხევი ციხე-კოშკით იყო გამაგრებული, რომელშიც მეციხოვნე ჯარი იდგა. ასეთ ციხეს ციხისთავი განაგებდა.

XIV საუკუნის დასაწყისში მთიულეთი ქსნისა და არაგვის ერისთავთა ბრძოლის ასპარეზი გახდა; მეფე ვახტანგ III-ის დახმარებით ქსნის ერისთავი შალვა ქვენიფნეველი დაეუფლა მთიულეთის დიდ ნაწილს – მდ. თეთრი არაგვის მარჯვენა სანაპიროს – ღუდიდან ხანდომდე.

შემდეგში, არაგვის ერისთავები ძლიერდებიან და მეფეს ურჩობას უწევენ. 1575 წელს ვანათელმა აზნაურმა ქართლის სამეფოს დასუსტებით ისარგებლა, ქსნის ერისთავის დახმარებით შეესია არაგვის საერისთავოს და 1578 წელს არაგვის ერისთავობა დაიმტკიცა. მისმა მემკვიდრემ – ნუგზარმა მთიულეთში გაილაშქრა და ეს კუთხეც დაიპყრო. მთიულებმა ამბოხება მოაწყვეს, მაგრამ ძლიერმა ზურაბ ერისთავმა (1619-1629) მთიულეთი ხელმეორედ დაიპყრო. ამის შემდგომ ამ ტერიტორიას არაგვის ერისთავები განაგებდნენ. მთიულეთი არაგვის საერისთავოში შედიოდა 1743 წლამდე. შემდგომში იგი საუფლისწულო მამული იყო. ერეკლე II არაგვის ხეობის გამგებლობა ვახტანგ ბატონიშვილს უბოძა.

ადმინისტრაციულად არაგვის საერისთავო სამოურავოებად იყო დაყოფილი. 1774 წელს მთიულეთში 4 სამოურავო ყოფილა: ხადა-ზემო მლეთასი, გუდამაყრის, ხანდოს უკანამხრისა და ჭართლის სარეკძთუბნის. საეკლესიო მართვა-გამგეობის მხრივ კი, ეს მხარე წილკნელ ეპისკოპოსს ემორჩილებოდა.
საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, დარიალისა და არაგვის ხეობის მთიულები აუტანელ მძიმე პირობებში მოექცნენ. რუსეთის მხედრობა მოითხოვდა სამხედრო გზის შეკეთება-გაფართოებას, დაცვას ჯარის სურსათისა და გადასაზიდ საშუალებათა უზრუნველყოფას. ე სკი მძიმე ბეგარად გადაექცა ამ გზაზე მობინადრე მთიულებს. ამ აუტანელი პიორობების გამო მთიულებმა 1804 წელს ამბოხება მოაწყეს.
XIX საუკუნის დასწყისში მთიულეთ- გუდამაყარი მაზრის საზღვრებს გარეთ მოექცა. 1840 წელს კი ეს რეგიონი თბილისის მაზრაში აღმოჩნდა. 1842-1843 წლებში გამოიყო მთიელთა ოკრუგი, ხოლო საუკუნის ბოლოს, უკვე დუშეთის მაზრაში აღმოჩნდა. საბჭოთა წლებში მთიულეთ-გუდამაყარი ძირითადად დუშეთის ადმინბისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულშია, ხოლო მცირე ნაწილი კი ყაზბეგის რაიონში.
მატერიალური კულტური ძეგლები. მთიულეთ-გუდამაყარში შემორჩენილია ფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლი. ადრინდელ ფეოდალურ ხანას მიეკუთვნება მახვილოს ციხე, რომელიც ბაკურხევის მარჯვენა მხარეზე მახვილივით არის აღმართული. ოცდაათამდე ცალკე მდგომი ზურგიანი და სწორკუთხა კოშკია ხადას ხეობაში. ვახუშტი ბაგრატიონი აქ 60 კოშკის არსებობაზე მიუთითებს. მეოცე საუკუნის 50-იან წლებში ხელოვნებათმცოდნე პროფ. პ. ზაქარაია კი აქ 36 კოშკს აღნიშნავს. ეს კოშკები ძირითადად ადრეფეოდალური (X ს-ის ჩათვლით) ხანისაა. კოშკებია – ბედონის, ქალაქეთისა და სხვ. ციხესიმაგრეებია – ძველი სეთურების, ზაქათკარის მახლობლად, ჯაღმიანთ ციხე, მახარობლიანთ ციხე, მაგარციხე, შარუმიანთ ციხე, სუნთციხე, ხადისციხე და სხვ.
მთიულებში შემორჩენილია საგვარეულო და სათემო ხატები, სათემო ხატებში მთიულეთის ყველა თემი იყრის თავს. ასეთია ლომისის წმინდა გიორგი მლეთაში, პირიმზე ფუძის ანგელოზი გუდამაყარში, წიფორის წმ. გიორგი ფასანაურთან, ღუდას

ყოვლადწმინდა მლეთასთან. ეკლესიებია აგრეთვე ხანდოს, ჭალის, ცეცხლისჯვარის, ქოროღოს ღვთისმშობელი, წკერეს კვირაცხოველი, ბედონის ყველაწმინდისა და კვირაცხოველის, კაიშაურის დარბაზული და გუმბათიანი, ხადის მთავარმოწამისა და სხვ.

სათავდაცვო და საკულტო ნაგებობათა გვერდით, სოფლებში შემორჩენილია მთიულური საცხოვრებელი სახლების უაღრესად საინტერესო ნიმუშები.

გუდამაყარი - მხარე აღმოსავლეთ საქართველოში, მდ. გუდამაყრის არაგვის ხეობაში. ამ „მთის ალაგს" დასავლეთიდან ესაზღვრება მთიულეთი, ჩრდილოეთიდან ხევი, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჭართალი, სამხრეთიდან „სახანდოო", ხოლო აღმოსავლეთიდან ხევსურეთი და ფშავი გუდამაყრის ქედით. ამ უკანასკნელზე გადიოდა გვიანდელი ხანის ქართლისა და კახეთის სამეფოთა საზღვარი.

ყურადღებას იქცევს გავრცელებული ტერმინის – საგუდამაყროს შინაარსიც. როგორც ირკვევა ხსენებული ტერმინი გუდამაყრის გარეთ, მაგრამ მის ცალკეულ სოფელთა საკუთრებაში მყოფი („მუნებურ" მთიელთა მიერ ათვისებული) ტერიტორიის აღსანიშნავ ცნებას წარმოადგენს. სახელწოდება საგუდამაყრო შინაარსობრივად განსხვავდება ტერმინისაგან გუდამაყარი, რაც მხოლოდ გუდამაყრის ხევში ლოკალიზებული „მთის ალაგის" აღსანიშნავად გამოიყენება. ანალოგიური ვითარება დასტურდება მთიულეთსა და ხანდოშიც, სადაც გავრცელებული ტერმინების „სამთიულოსა" და „სახანდოოს" სახით სწორედ „საგუდამაყროს" იდენტური მნიშვნელობის ცნებებთან გვაქვს საქმე. გუდამაყრელებს იხსენიებს ლეონტი მროველი (XI ს.) ქართლის გაქრისტიანების ისტორიასთან (IV ს.) დაკავშირებით – ქართველთა განმანათლებელი ნინო სხვა მთიელებთან ერთად წობენში მათ ქრისტიანობას უქადაგებდა. გუდამაყარში მეურნეობის წამყვანი დარგი იმთავითვე იყო მეცხოველეობა. გუდამაყრის მხარის ისტორიულ ძეგლთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადრინდელი ფეოდალური ხანის მახვილოს ციხე, რომელიც ბაკურხევის მარჯვენა მხარეზე მდებარეობს. მახვილივით აზიდულ მთაზე და პირიმზის ფუძის ანგელოზის ეკლესია სოფ. ჩოხში.

გუდამაყრის ხეობაზე გადიოდა საქართველოს თანამედროვე სამხედრო გზის ერთ-ერთი განშტოება, რომელიც არაგვის

ხეობას ხევთან აკავშირებდა. საქართველოს სამხედრო გზის შესახებ არსებული ლიტერატურიდან, პირველ რიგში კი მეგზურებიდან, ცნობილია, რომ უძველესი დროიდანვე არაგვის გზა (მოგვიანებით სამხედრო გზად სახელდებული), გადიოდა ჯვრის უღელტეხილზე. ამ მარშრუტით მოგზაურობდნენ რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგაც. საკმარისია დავიმოწმოთ თუნდაც ა. პუშკინის „მოგზაურობა არზრუმში" (1829), რომელშიც აღწერილია მისი გადასვლა ჯვრის მთაზე, აგრეთვე მ. ლერმონტოვის მიერ „ჩვენი დროის გმირში" აღწერილი გადასვლა ჯვრის უღელტეხილზე. მართალია, გუდამაყრის ხეობაზე ბურსაჭირის გადასასვლელზე გზის გაყვანა მიმდინარეობდა 1831-1847 წლებში, მაგრამ ამ პროექტის დაწუნების და 1858 წელს აღნიშნული გზის მიტოვების შემდეგ კვლავ ძველი მარშრუტი აირჩიეს და 1861 წელს (და არა 1859 წელს) მლეთის აღმართის გახსნა წილად ხვდა გრ. ორბელიანს. საყურადღებოა, რომ გუდამაყრის ხეობაზე გამავალი სამხედრო გზის უწინდელ მნიშვნელობაზე თვალნათლივ მიუთითებს გუდამაყარში დღემდე შემორჩენილი ტოპონიმები: რუსების ნაგზევი (ს. ბურსაჭირი) და სარუსე გზა (ს. გამსი).

თუ ფეოდალურ ხანაში გუდამაყარი არაგვის საერისთავოში შედიოდა. XIX საუკუნეში იგი დუშეთის მაზრის შემადგენლობაში იყო. თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით მოიცავს დუშეთის რაიონის გუდამაყრის სასოფლო საბჭოს ტერიტორიას.

ფშავი - მხარე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, რომელსაც ტრადიციულად მდ. არაგვის მარცხენა შენაკადის – ფშავის არაგვის აუზი უჭირავს. ტერიტორიულად მას დასავლეთით – გუდამაყარი ესაზღვრება, ჩრდილოეთით ხევსურეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით – თიანეთი და სამხრეთით შიდა ქართლი. ფშავის ფართობი 304 კმ2-ია.

მატიანეში ფშავი ხევსურეთთან ფხოვად (ფხოეთად) მოიხსენიება, ხოლო ფშაველები და ხევსურები ფხოელებად. ასე რომ ფშავი ისტორიული ფხოვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის XV საუკუნის შემდეგდროინდელი სახელწოდებაა (ფხოვის ისტორია ჩვენ უკვე გაგაცანით, როდესაც ხევსურეთს შევეხეთ), რაც შეეხება სახელი ფშავის წარმოშობას, შესაძლებელია ეს სიტყვა დაკავშირებული იყოს „ფშა"-სთან,

რაც ნიშნავს ფშაურად მდინარის ნაპირიდან გამომდინარე წყაროს. ასეთი ფშანი წყაროები ბევრია უკანაფშავის თემში. მისი ძველი ისტორიული სახელი ფხოვი დღეს მხოლოდ ერთ სოფელს შუაფხოს შერჩენია, რომელიც ფხოვის არსებობის უტყუარი მოწმეა.

მე-XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან წყდება ფშავის შესახებ ისტორიული ცნობები და ჩვენ არ ვიცით თუ რა ბედი ეწია მას შემდეგ საუკუნეებში. შესაძლებელია ფხოელებმა ისარგებლეს მონღოლების შემოსევით საქართველოს ფეოდალურ მონარქიის დაშლა-დაცემით და ისევ განდგნენ და ეწეოდნენ დამოუკიდებელ თემურ ცხოვრებას. ამას მოწმობს მე-XV საუკუნის ერთი ისტორიული ცნობა. (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 158.)

ამ გარემოებისთვის ყურადღება მიუქცევია კახეთის მეფეს ლევან II-ეს (1520-1574 წწ.). კახეთის სამეფომ ეკონომიკური ზემოქმედებით აიძულა მთის მოსახლეობა დამორჩილებოდა მის ხელისუფლებას. ლევან მეფისა და ფშავს შორის მომხდარა შეთანხმება, რომლის ძალითაც ფშაველებს მეფისათვის უნდა ეძლიათ ლაშქარი და ბეგარა, სამაგიეროდ მეფეს ფშაველების ცხვარისათვის უნდა დაეთმო კახეთში ზამთრის საძოვრები. ამ პირობის სიმტკიცის ნიშნად მეფეს ფშაველების მთავარ სალოცავი ლაშარისათვის შეწირულობაც მიურთმევია.

სანამ ჩვენ ფშავის ისტორიის შემდეგ საუკუნეების განხილვაზე გადავიდოდეთ აქ საჭიროდ მიგვაჩნია ზოგადად შევეხოთ, თუ როგორი იყო ფშავის თემის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების წყობილება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ფშავის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება თემურ წყობილებას არ გასცილებია. მისი დამოკიდებულება საქართველოსა და კახთა მეფეებთან ნორმალური ხასიათისა იყო, რაც განისაზღვრებოდა ლაშქრისა და ბეგარის გაღებით.

ადმინისტრაციულად ფშავი შედიოდა ჯერ კვეტერის საერისთაოში, შემდეგ კი ერწო-თიანეთის სამოურაოში.

საეკლესიო მმართველობის მხრივ ფშავი ეკუთვნოდა ხარჭაშოს საეპისკოპოსოს.

ერისთავ-მოურავები მეფის ბრძანებით ფშავის ხევში ჰკრებდნენ მოლაშქრეებს და ხარჯსაც იღებდნენ. მაგრამ მათ უფლება არ

ჰქონდათ ფშავის შინაურ საქმეებში ჩარეულიყვნენ, რომელსაც თემურ ადათის მიხედვით ხევისბერები განაგებდნენ.
თემურ მმართველობის მხრივ მთელი ფშავი 12 თემად იყო გაყოფილი და თითოეულ თემს გვარის ხევისბერი განაგებდა.
ხევისბერების სათავეში იდგა თავხევისბერი, რომელსაც ყველა ხევისბერები ემორჩილებოდნენ. თავხევისბერს ეკითხებოდა სათემო საქმეები. ის ხელში ლაშარის დროშით და ჯვრით აფიცებდა და წინ მიუძღოდა საომრად მიმავალ ლაშქარს.
ლაშქრობისა და ზავის საქმეს არჩევდა და წყვეტდა თორმეტივე თემის საერთო ყრილობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა თავხევისბერი. ამისათვის იწვევდა ყველა თემების ხევისბერებს და გვარის საპატიო მოხუცებს, რომლებიც იკრიბებოდნენ მათურხევასთან დამასტეს მინდორზე ან ღელეში, სადაც ღამის თევით დგებოდნენ. აქედან თავხევისბერის წინამძღოლობით ყველანი ლაშარის გორზე ადიოდნენ. ლაშარში თავხევისბერი გჰამოიტანდა დროშას და ყველანი ფიცსა დებდნენ. თუ მტერზე გალაშქრება გადაწყდებოდა თავხევისბერი ხელში დროშით ლაშქარს წინ გაუძღვებოდა დაყ ველა თემები ერთად იბრძოდნენ.
ამ ბრძოლის ეპიზოდებით მდიდარია ფშაური ეპოსი, რომელშიაც გალექსილია მებრძოლთა თავდადება და ვაჟკაცობა.
ამ მხრივ საყურადღებოა ფშავლების ბრძოლა ზურაბ არაგვის ერისთავთან. ამ ბრძოლის შესახებ ისტორიული ცნობები ქართულ მატიანეში არ მოიპოვება, მაგრამ მისი გალექსილი ეპიზოდები და გადმოცემანი ფშავში დღემდე შემონახულა.
ზურაბის შემდეგ ერთს ფუძნარელ ჭავჭავაძეს მოუნდომებია ფშავის ყმად დაჭერა და ამ მიზნით მას კიდევაც გაულაშქრია ფშავში, მაგრამ ფშაველებს ეს მებატონეც დაუმარცხებიათ.
ასეთი მედგარი ბრძოლებით ფშაველებმა თავი დააღწიეს ფეოდალების ბატონყმურ უღელს და თავიანთი თემური თავისუფლებაც ბოლომდე შეინარჩუნეს.
ფშავის ხევს თავდაცვა უხდებოდა აგრეთვე მეზობელ ტომებისაგან, რომლებიც ნადავლისა და ტყვეების გატაცების მიზნით მას თავს ესხმოდნენ და ამ კუთხეს იკლებდნენ.
1658 წელს კახეთის გამგებელმა სელიმ-ხანმა ბახტრიონსა და ალავერდში თათრები დაასახლა. სელიმ-ხანი ხელს უწყობდა ალვანი (ალონის) ველზე ლეკების თავისუფალ თარეშს, სადაც

ზამთრობით დგებოდა ფშავ-თუშეთის ცხვარი ცხვარი და მოთარეშე ლეკებიც ამ ცხვარ-საქონელს იტაცებდნენ. ფშავ-ხევსურეთის ლაშქარი შეყრილა ლაშარში და აქედან წესისამებრ ხევისბერის ლუხუმის წინამძღოლობით ბახტრიონისაკენ დაძრულა. გზად თუშებთან ერთად ისინი შეერთებიან ზაალ ერისთავის ლაშქარს. 1659 წელს ბახტრიონი ქართველებმა აიღეს და დამარცხებული სელიმ-ხანი გაიქცა.
ფშაველები თუშ-ხევსურებთან მონაწილეობას იღებენ თეიმურაზ I და მოსკოვის მეფის ალექსი მიხეილისძის შორის დიპლომატიურ მიმოწერაში და 1657 წელს თავიანთი სახელით მოსკოვში აგზავნიან ელჩებად ხევისბერებს და რუსთ ხელმწიფეს ქვეშევრდომობასა და მფასრველობას თხოვენ.
მე-18 საუკუნეში თეიმურაზ II (1744-1760 წ.) და ერეკლე II (1760-1798 წ.) დროს ფშავ თუშ-ხევსურეთს, როგორც ჩრდილოეთის მოსაზღვრე კუთხეებს მეტი პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლევათ. აქედან შემოდიოდნენ ქისტ-ჩაჩნები, განსაკუთრებით ლეკები, რომლებიც ქართლ-კახეთში დათარეშობდნენ და მოსახლეობას იკლებდნენ. ამიტომ როდესაც ერეკლე II ლეკების თარეშის ასალაგმავად მორიგი ლაშქრობა დააწესა, მან ამ ბეგარისაგან ფშავ-თუშ-ხევსურები გაათავისუფლა, რადგანაც ისინი ლეკების საზღვარს ისედაც იცავდნენ.
ამასთანავე თეიმურაზ II და ერეკლე II ფშავ-თუშ-ხევსურეთში ხშირად იხიზნებოდნენ და ამ მთიელებისაგან ადგენდნენ პირად მცველ საიმედო რაზმებს.
მე-19 საუკუნის დასაწყისში, საქართველოში რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის დამყარებამ, ჩვენს მთიელებშიც დიდი მღელვარება გამოიწვია, რასაც მოჰყვა ხევ-მთიულეთის ამბოხება.
მეამბოხეებმა ფშავ-ხევსურეთს მოუწოდეს და შეიარაღებულ ძალით დახმარება სთხოვეს. ფშაველები ამ მოწოდებას პირველად გამოეხმაურნენ, მაგრამ შემდეგ სხადასხვა მიზეზეთა გამო ამბოხებაში აქტიურ მონაწილეობაზე უარი თქვეს. მათ ასევე უარი შეუთვალეს დახმარებაზე ტახტის მაძიებელ ბატონიშვილებს იულონს და ფარნაოზს, ხოლო შემდგომში სპარსეთში გახიზნულ ალაქსანდრე ბატონიშვილსაც. ეს გარემოება იმით აიხსნებოდა, რომ ფშავი თავის გეოგრაფიული მდგომარეობით დაშორებული იყო პოლიტიკურ ბრძოლის ცენტრებს და ყველა ამ პოლიტიკურ ამბებს თავისი თემურ

ინტერესით ზომავდა. ცნობილია, რომ რუსები ფშაველებს ცალკე მოურავის დანიშვნასაც შეჰპირდნენ, თუ მათ წინააღმდეგ ამბოხებებში მონაწილეობას არ მიიღებდნენ.

მე-19 საუკუნეში რუსეთის კაპიტალიზმის ჩვენში განმტკიცებას მოჰყვა ახალი პოლიტიკურ-ეკონომიური ურთიერთობა და საზოგადოებრივი ცხოვრებაც ბარში და მთაშიც სწრაფად შეიცვალა. ამ ფერხულში მოექცა ფშავიც, სადაც თემურ ადათ-ჩვეულებზე დაფუძნებული ცხოვრება შეირყა.

კაპიტალისტურმა ურთიერთობამ ხელი შეუწყო ფშავის მესაქონლეობის განვითარებას, წარმოიშვნენ მსხვილი მეცხვარეები, რომლებიც თავიანთ ფარას ათასობით ითვლიდნენ. მოსახლეობის შეძლებულმა ნაწილმა სავაჭრო მიზნით ბარად (კახეთში) დაიწყო გასახლება. ამას მოჰყვა მოსახლეობის ქონებრივი უფლებრივი დიფერენციაცია. საერთოდ ფშავის მოსახლეობა თანდათანობით ბარისაკენ მიიწევდა. ასე შეიქმნა ფშავის არაგვის ქვემო წელში, ვიდრე ჟინვალამდე, ფშაველებით დასახლებული სოფლები. კომპაქტურად ჩასახლდნენ ისინი ივრის ხეობის სათავეებში, გომბორში, ქედში.

XIX საუკუნის დასაწყისში, ფშავი მაზრების საზღვრებს გარეთ მოექცა. 1840 წლის 10 აპრილის დებულებით ფშავი თელავის მაზრაში გაერთიანდა, ხოლო მალე (1842 წ.) ფშავი თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოკრუგში მოექცა. საუკუნის ბოლოს კი იგი თიანეთის მაზრაშია ფშავ-ხევსურეთის საბოქაულოს სახით. 1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ლუშეთის რაიონშია და ამჟამადაც ასევე რჩება.

არქეოლოგიური ძეგლები. მიუხედავად სხადასხვა თაობის მკვლევართა მიერ ჩატარებული კვლევისა, შეიძლება ითქვას ფშავი სათანადოდ ჯერაც შეუსწავლელია. აქ არც შემთხვევითი ხასიათის არქეოლოგიურ აღმოჩენებს ჰქონია ადგილი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ფშავის შორეული წარსულის გაშუქება. მიჩნეულია, რომ ფშავი დასახლებულია ბრინჯაოს ხანიდან, რასაც მოწმობს აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები.

ისტორიული ძეგლები. ფშავი ისტორიული ძეგლებით და ნაშთებითაც ღარიბია და მოკლებული ვართ საშუალებას ფშავის ისტორიული მიმოხილვა შორეული წარსულიდან

დავიწყოთ. არსებული ცნობები კი შედარებით გვიანდელ პერიოდს განეკუთვნება.
მკვლევარნი შესაძლებელად მიიჩნევენ, რომ შუაფხო მე-12 საუკუნეში თავისი პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობით ფხოვის ცენტრი ყოფილიყო, სადაც დაცულია ფშავის ძლიერი სალოცავი იახსარის ხატი და ნასოფლართა ნანგრევები.
მე-XIII საუკუნეში თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში, დაახლოებით 1212 წელს გამდგარი ფხოელებისა და დიდოელების დასასჯელად გაიგზავნა სარდალი ათაბაგი ივანე მხარგრძელი. მაგრამ მეამბოხე ფხოელების დასამორჩილებლად არ კმაროდა მხოლოდ სამხედრო ძალაზე დამყარება მძევლებისა და ხარჯის აღება, საჭირო იყო ამასთანავე მათი სარწმუნოებრივ-იდეოლოგიური შემომტკიცება. მით უმეტეს, რომ ფხოელები მართალია, ოფიციალურად ქრისტიანებად და ჯვარის მსახურად ითვლებოდნენ, მაგრამ სინამდვილეში ისევ წარმართები იყვნენ და მუხის ანგელოზს თაყვანსა სცემდნენ. ეს მუხა ხალხურ გადმოცემით ლაშარის „ხმელ გორზე" მდგარა და თემის მთავარ სალოცავად ითვლებოდა თურმე, თამარის ბრძანებით აქ ეკლესია აუშენებიათ, რომლისათვის თამარს თავის ძის ლაშა გიორგის სახელზე ვერცხლის ჯვარი შეუწირავს და ამ გორსაც ლაშარის ჯვარი დარქმევია.
ამასთანავე, რათა ფხოელებში ჩაენერგათ თამარის პიროვნების ღვთაებრიობის რწმენა, ლაშარის გაღმა გორზე, ე.წ. „ღელეში," აუგიათ თამარის სამლოცველო თამარ ნეფედ წოდებული.
ამგვარად, მეამბოხე ფხოვის იდეოლოგიურ-პოლიტიკური შემომტკიცების მიზნით აქ წარმოიშვა თამარ მეფისა და მისი ძის გიორგი ლაშას სამლოცველო, სადაც შეიქმნა მათი თაყვანისცემის კულტი, რომელსაც ფშავი დღესაც თამარ-ლაშარობით ლოცულობს.
ამასთანავე აღსანიშნავია ფშავში დღემდე შემონახული ზოგიერთი ცნობაც, რომელიც ივანე მხარგრძელის შესახებაც მოგვითხრობს. წინათ ლაშარობა-თამარობას ხევსურები დამწყალობლების დროს ივანე მხარგრგრძელსაც იხსენიებდნენ თურმე. თამარ მეფის საჯარეში ღელეში დღესაც დაცულია სავარძლისებურად მომრგვალებული ქვის საჯდომი, რომელსაც მხარგრძელის საჯდომს უწოდებენ. გადმოცემით ათაბაგი აქ ჯდებოდა თურმე და საჯარეში შეკრებილ ფხოელების ხევისბერების ბჭობა-თათბირს უსმენდაო.

ხელოვნების ძეგლები.
ეთნოგრაფიული და ფოლკლორული თავისებურებანი. რეგიონის მთავარი სალოცავია იახსარი, ლაშარის ჯვარი და თამარის ხატი.
იახსარი წარმართული ღვთაებაა ფშავში, რომლის ცენტრი იყო შუაფხო. სხვა ღვთისშვილებისაგან განსხვავებით, იახსარი ზეციდან მოვლენილად მიაჩნდათ, ხალხური რწმენა-წარმოდგენებით, მას მიეწერებოდა ავსულებთან (დევები, ქაჯები, ეშმაკები) შეურიგებელი ბრძოლა, საკუთარი საკმოსა და მისი მავედრებელი უცხო მლოცველების მფარველობა. ლაშარის ჯვარი ფშავის მთავარი სალოცავია, ფშავის არაგვის ხეობის ზედა ნაწილში იგი მოლაშქრე ღვთაებად ითვლებოდა. როგორც ფშავის თორმეტივე თემის მფარველს, მასვე შესთხოვდნენ სახნავ-სათესის ბარაქიანობას, ადამიანთა კეთილდღეობას, ავადმყოფობისა და ზიანისაგან თავდაცვას. ლაშარის ჯვარი ხალხური გადმოცემით ლაშა გიორგის სახელს უკავშირდება, მაგრამ იგი ძველი წარმართული, ასტრალური ბუნების ღვთაება უნდა იყოს, რომელსაც ქრისტიანობის ხანაში ლაშა გიორგის კულტი შეერწყა.
არქიტექტურისა და ლანდშტაფური
ხელოვნების ძეგლები. დოკუმენტური ძეგლები.
რაც შეეხება წერილობით ცნობებს ესეც ერთობ მცირეა. ქართულ მატიანეში და ისტორიულ საბუთებში ფშავზე მეტად მოკლე და ნაწყვეტი ცნობებია შემონახული. ამის გამო ძნელია ფშავის ისტორიული წარსულისა და მისი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების სწორი და მთლიანი სურათის მოცემა.

ჭართალი - ჭართალი – ჭართალელი, ისტორიული მხარე აღმოსავლეთ საქართველოში, მდ. მთიულეთის არაგვის შუა წელზე, სოფ. ანანურიდან მდ. ხანდოს ხევამდე (ახლანდელი დუშეთის რაიონის ტერიტორია). XI-XIX სს. იმ წერილობითი წყაროების მიხედვით, სადაც ფიგურირებენ ჭართლელები და ჭართალი, ჭართალი წარმოგვიდგება არაგვის ხეობასა და მის გვერდით ხევში (ჭართალის ხევი, ვაშლობის (ან ჯუღისის) ხევი, სონდის ხევი, დგნალის ხევი) ლოკალიზებულ ერთ-ერთ მთის მხარედ, რომელსაც ჩრდილოეთით ესაზღვრება სახანდოო, სამხრეთით ბაზალეთი, აღმოსავლეთით ფშავი და ხორხის ხევი, ხოლო დასავლეთით ქსნის ხეობა.

წყაროებში პირველად იხსენიება მემატიანე ლეონტი მროველთან (XI ს.). მისი ცნობით, ძვ. წ. II ს.-ში ჭართალში მოსახლე მთიულნი დურძუკებთან ერთად მონაწილეობდნენ კახეთისა და ბაზალეთის დარბევაში. IV ს. 30-იან წლებში წობენში ქართველთა განმანათლებელმა ნინომ სხვა მთიელებთან ერთად ჭართალელებსაც მიაღებინა ქრისტიანობა. 853 წ. არაბთა დამსჯელი ჯარი ბუღა თურქის სარდლობით ჭართალშიც ავიდა. XIII ს. დასაწყისში თამარ მეფის წინააღმდეგ მთიულთა გამოსვლის დროს, ჭართალელნი სამეფო ხელისუფლების დასაცავად იბრძოდნენ. შემდგომ საუკუნეებში ჭართალი არაგვის საერისთავოს იურისდიქციას ექვემდებარებოდა. იყო მისი სამოურავო.

ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში გუდამაყრისა და მთიულეთისგან განსხვავებით არ ეთმობა სათანადო ადგილი ჭართლის აღწერილობას. ისტორიკოსი კმაყოფილდება იმის ზოგადი განმარტებით, რომ „ანანურს ზეით ერთვის არაგუს დასავლეთიდამ ჭართალისხევი, მის ჩრდილოდ არს მთიულთ-კარი.”

ჭართალის თემის მკვიდრთ შეადგენდნენ სხვადასხვა „მთის ალაგებიდან” გადმოსახლებული მთიელები, მაშასადამე, ჭართლის მოსახლეობა მთლიანად ნაკრებია. ამასთან ყურადღებას იქცევს ის დეტალიც, რომ აღნიშნულ მხარეში მცხოვრები „მთის კაცნი,” იშვიათი გამონაკლისის გარდა, ჯეროვნად არც კი არიან გარკვეულნი იმაში, თუ ვინ ცხოვრობდა ჭართალში მათ მამა-პაპათ აქ გადმოსახლებამდე, რაც შედარებით გვიანდელ ხანაში განხორციელდა (დაახლოებით XIX-XX სს.). ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ერთ-ერთ უხუცეს ჭართელ მთხრობელთაგან მიღებული შემდეგი განმარტება: „მთიულეთიდან ვინცაა, მთიულიაო – იტყვიან, გუდამაყრიდან ვინცაა, იმაზე ამბობენ – გუდამაყრელიაო, ხანდოში ვინც ცხოვრობს, ხანდოელია, მაგრამ ჭართლიდან ვარო, ასე ვამბობთ, ჭართლელი ვარო – ესე არ ითქმის. მაგრამ ასეთი ფორმულირების მიუხედავად სადავოდ არ შეიძლება იქცეს ჭართლელთა, ვითარცა ქართველ მთიელთა ერთი განსაზღვრული ეთნოგრაფიული ჯგუფის ოდითგანვე არსებობა, რის სასარგებლოდაც მეტყველებენ XI-XVII სს. წერილობით წყაროებში დაცული ცნობები ჭართლისა და ჭართლელების შესახებ, აგრეთვე ადგილზე მოპოვებული

ეთნოგრაფიული მასალები. ამ უკანასკნელთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ჭართლის დღევანდელი სოფლების ადგილას სხვა „მთის ალაგებიდან" გადმოსახლებულ მთიელებს აქ ადგილობრივ მკვიდრთა (ძირითადად ფშავ-ხევსურეთიდან გადმოსახლებულ მთიელთა) გარდა ხვდებოდათ უძველესი ნამოსახლარები. მართალია, დღეს ადგილობრივმა მთხრობელებმა არ იციან, თუ ვის ეკუთვნოდა ისინი, მაგრამ, ეჭვგარეშეა, რომ აღნიშნული ნასოფლარების ადგილას თავის დროზე სწორედ ის „მთის კაცნი" ცხოვრობდნენ, რომლებიც წყაროებში „ჭართლელებად" არიან სახელდებულნი. საფიქრებელია, რომ ჭართლის თემის უძველესი მოსახლეობაც ძირითადად ნაკრები იყო (რაც საერთოდ ტიპიური მოვლენაა სხვა მთის კუთხეებისთვისაც). დროთა განმავლობაში მათ უნდა გამომუშავებოდათ კუთხური თვითშეგნება და უნდა შეეძინათ ეთნოგრაფიული ჯგუფისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშან-თვისებები, რომლებიც არ იქნა შეთვისებული ჭართალში მოგვიანებით (XIX-XX სს.) გადმოსახლებულ მთიელთა მიერ. ასეა თუ ისე, ერთი რამ სავსებით ნათელია – ჭართლელთა ვინაობით დაინტერესება არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს მათი არსებობის ეჭვქვეშ დაყენებას (და მით უმეტეს ხელაღებით უარყოფას), ეს აუცილებლად გასათვალისწინებელია სამერმისო კვლევა-ძიებისათვის, რაც ქართლის მთიანეთში მიმდინარე ეთნიკური პროცესების კომპლექსური (ისტორიულ-ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური და ენათმეცნიერული) შესწავლის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს უკავშირდება.

ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ჭართლის დღევანდელი მოსახლეობა შედგება მთიულეთიდან, ხანდოდან, გუდამაყრიდან და ფშავ-ხევსურეთიდან სხვადასხვა დროს გადმოსახლებული მთიელებისაგან. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ხსენებული „მთის ალაგნი" ჭართლის მეზობლად ან მასთან სიახლოვეში მდებარეობენ. ცხადია, ისინი უძველესი დროიდან მეტ-ნაკლებად ინტენსიურ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ჭართალთან. აღნიშნული კონტაქტები ხორციელდებოდა, ერთი მხრივ, არაგვის გზით, მეორე მხრივ, ხეობათა ურთიერთდამაკავშირებელი გზა-გადასასვლელებით.

დაბოლოს, ყურადღებას იქცევს ის დეტალიც, რომ ჭართლის მკვიდრნი თავიანთი სამოსახლო კუთხის სახელწოდებად

გვისახელებენ როგორც უბრალოდ „ჭართალს”, ისე „საჭართლოს.” „საჭართლო” და „ჭართალი” სავსებით იდენტური მნიშვნელობის ტერმინებია, რომელნიც გამოიყენებიან ჭართლის თემის ისტორიული ტერიტორიის აღსანიშნავად, თუმცა არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ თავის დროზე ცნება „საჭართლო” იმავე მნიშვნელობით ყოფილიყო ხმარებული, რა მნიშვნელობითაც გამოიყენება სახელწოდებები „სახანდრო” და „საგუდამაყრო.” ასეთ აზრს გვკარნახობს ერთ-ერთი მთხრობელის მტკიცება, თითქოს ძველად ბანცურის ადგილი ჭართლის სათემოს წარმოადგენდა, რომლის შემდეგ ხანდოს წაურთმევია ჭართლისათვის. რა თქმა უნდა, ეს საკითხი დაზუსტებას საჭიროებს, რამაც შესაძლოა გარკვეული ცვლილებები გამოიწვიოს ჭართლის თემის მოცულობის განსაზღვრაში. ჯერ-ჯერობით კი ამ საკითხზე კატეგორიული მსჯელობის შესაძლებლობას მოკლებული ვართ სათანადო ფაქტობრივი მონაცემების უკმარობის გამო.

ჭართლის მკვიდრთათვის უცნობია აგრეთვე მათი სამოსახლო კუთხის გეოგრაფიული დარაიონების ტრადიცია, რაც დადასტურებულია მთიულეთსა და გუდამაყარში, თუმცა მომავალში კვლევა-ძიებამ შეიძლება ამ საკითხშიც ახალი სიტყვა თქვას.

ჭართალის არქეოლოგიური ძეგლებიდან საგულისხმოა ადრე ფეოდალური ხანის კომპლექსები: „მთავარნი,” წმ. გიორგის ეკლესია (სოფ. ჭალისსოფელში), ციხესიმაგრე (სოფ. ციხისძირში), ციხე-სიმაგრე (სოფ. ბუჩანში).

ხანდო - ხანდოს ხევი (ხანდო ან სახანდოო, როგორც ადგილობრივნი უწოდებენ) წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთ ტერიტორიულ ერთეულს, რომელიც ლოკალიზებულია მდ. არაგვის მარჯვენა შენაკადის ხანდოსწყლის პატარა ხეობის ფარგლებში.

ისტორიული წყაროების, არსებული ლიტერატურისა და მკვლევართა მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მონაცემების შედეგად გაირკვა, რომ ხანდოს ხევი წარმოადგენს ერთ-ერთ ლოკალურ ტერიტორიულ ერთეულს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ის არ შედიოდა მთიულეთის ფარგლებში, როგორც ეს არასწორად იყო აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში. ხანდო წარმოადგენს ტიპიურ ხევს

თავისი საზღვრებით, სოფლებით, ისტორიული ძეგლებით, გზებითა და გადასასვლელებით. ხანდოს გააჩნდა ტერიტორია საკუთრივ ხანდოს ხევის ფარგლებს გარეთ, რომელსაც სახანდოო, ანუ სათემო ეწოდებოდა და ერთი ტერიტორიული თემის კუთვნილებას შეადგენდა.

ხანდოს ხევის შესახებ პირველ ცნობას ვხვდებით „ძეგლი ერისთავთაში," სადაც აღნიშნული ხევი იხსენიება XIII ს. ისტორიული მოვლენების აღწერასთან დაკავშირებით. ხანდოს ხევი ფიგურირებს XVI-XIX სს. წერილობით წყაროებშიც, ვახუშტი ბაგრატიონის დაკვირვებით კი „ანანურს ზეით ერთვის არაგუს დასავლიდამ ჭართალის-ხევი. მის ჩრდილოდ არს მთიულთ-კარი, სიმაგრე მტკიცე; მის ზეით ნასასახლევი მეფეთა და ხანდოს-ხევი, რომელი გამოსდის ლომისის მთას, ერთვის არაგუს დასავლეთიდამ."

წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ხანდოს მოსახლეობა იყო ქართული წარმომავლობისა, ქართული კულტურითა და ყოფით. დადასტურდა აგრეთვე არაქართული წარმომავლობის გვართა არსებობაც. წყაროებთან ეთნოგრაფიული მასალის შეჯერება გვიჩვენებს მოსახლეობის სტაბილურობას, გვარების სიძველეს. ამასთან ერთად დადასტურდა მოსახლეობის მოძრაობისა და ადგილმონაცვლეობის პროცესი. რაც ყველა ეპოქისათვის დამახასიათებელი იყო და ამას სათანადო საფუძველი გააჩნდა (სამეურნეო პირობები, მესისხლეობა..)

ხანდოს მოსახლეობის ძირითად მასას შეადგენდნენ რიგითი მეთემეები (გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დებით," სოფლიონი), ხოლო XVIII-XIX საუკუნეებისათვის უმთავრესად სახელმწიფო გლეხები. ამასთან ერთად გაირკვა, რომ ხანდოს მოსახლეობაში, ისევე როგოეც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში საერთოდ ადგილი ჰქონდა დიფერენცირებული საზოგადოების არსებობას, პრივილეგიური ფენის წარმომადგენლები იყვნენ ერთი მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობიდან გამოყოფილი პირები (გამგებელი, ხევისბერი, ციხისთავი, ჰეროვანი, მოხელე, იასაული, მღვდელი..) ისე გარედან მოსული ფეოდალური წრისა და სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები (ერისთავი, აზნაური, მოურავი).

ხანდოს მოსახლეობის ძირითად საქმიანობას შეადგენდა მთის მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. აქ დადასტურდა სამეურნეო სავარგულების დასვენებისა და შენაცვლებით გამოყენების წესი. მიწათმოქმედებაც და მესაქონლეობაც აქ შეზღუდული იყო მცირემიწიანობის გამო. ოჯახების უმრავლესობა პურს იძენდა საქართველოს ბარის რაიონებში ან ჩრდილო კავკასიაში, მეცხვარეობის განვითარების მასშტაბები კი იზრდება უმთავრესად XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ჩრდილო კავკასიისა და ყიზლარის საზამთრო საძოვრების ინტენსიური გამოყენება დაიწყეს.

მიწათსარგებლობის ფორმების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ სახელმწიფოს იმ ძირითად ფონდთან ერთად, რაც საოჯახო სარგებლობაში იყო, ხანდოში დადასტურდა საგვარო (პატრონომიული), სასოფლო და სათემო მიწებით სარგებლობის ფორმებიც. ყოველივე ეს იმ გარემოებაზე მიგვითითებს, რომ საოჯახო სარგებლობის წესთან ერთად, რაც დამახასიათებელია კლასობრივი საზოგადოებისათვის, გადმონაშთის სახით არსებობას ინარჩუნებდა ერთობლივი მფლობელობა-მოხმარების ფორმებიც, რაც გენეტიკურად უკავშირდება მიწათმფლობელობას და წინაკლასობრივ საფეხურებს.

მატერიალური კულტურის ძეგლები. ხეობა, რომელსაც მდ. ხანდო ქმნის, მოკლეა და იმდენად ვიწრო, რომ გზა უშუალოდ მდინარის კალაპოტს მიჰყვება. მდინარის სათავეს ზემოთ ბილიკს თუ გავაგრძელებთ და ქედზე გადასვალთ, ქსნის ხეობაში მოვხვდებით.

ხეობის ორივე მხარეს რამდენიმე სოფელი და ნასოფლარია. ქვემოდან მიმავლისათვის პირველი საინტერესო ობიექტია მდინარის მარცხენა მხარეს, მაღლა სერზე მდებარე ნასოფლარი, ერთი ეკლესიითა და ზურგიანი კოშკით. აქ უწინ სოფელი წინამხარი ყოფილა.

ზურგიან კოშკს პირი მდინარისაკენ აქვს მიქცეული. მასში შესასვლელი მაღლაა, მის ზემოთ რამდენიმე სართულია სარკმლებით ხვეისკენ. კოშკი კარგი პროპორციისაა.

ეკლესია დარბაზულია, მოზრდილი, საკურთხეველი – სწორკუთხა. ატ ტიპის ეკლესიები გავრცელებულია მთიან საქართველოში ძრითადად VIII-X საუკუნეებში.

ხევი - მხარე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის გადაღმა მდებარეობს. მოიცავს მდ. თერგის ზემო ნაწილსა და მისი მარჯვანა შენაკადის სნოს-წყლის აუზებს. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით მთლიანად მოქცეულია ყაზბეგის რაიონში. მისი ფართობი 1081,9 კმ2-ია.

ხევი იგივეა, რაც ადრინდელი შუა საუკუნეების წანარეთი. მატიანეში „მოქცევაი ქართლისაი" (IX ს.) VI საუკუნის მოვლენების თხრობასთან დაკავშირებით მოხსენებულია „ხევი წანარეთისა." შემდეგში კი მას სახელწოდება ხევი მხარის საკუთარ სახელად დაუმკვიდრდა. სახელწოდება „წანარეთი" ხმარებიდან თანდათან გამოვიდა და ზოგადი სახელი ხევი იქცა მხარის საკუთარ სახელად. ერთდროულად წანარების სატომო სახელის ნაცვლად ჩნდება ტერმინი „მოხევე."აღსანიშნავია, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეს მთა-ხეობიან ადგილის გამო ერქვა ეს სახელი. ასე მაგალითად, ხევი იყო ლოპოტისა, კლარჯეთისა, კახეთისა და სხვ.

ტერმინ ხევთან ერთად გაჩნდა ამ რეგიონის მცხოვრების სახელიც – მოხევე. ხევი მისი გეოგრაფიული მდებარეობის მაჩვენებელია, ხოლო მასთან დაკავშირებულ აქ მცხოვრებ ქართველ მთიელთა სახელწოდება მოხევე, სიტყვასიტყვით ხევში მცხოვრებს ნიშნავს. ეთნოგრაფიული ჯგუფის აღსანიშნავად, ეს სახელწოდება ისეთივე მნიშვნელობით დამკვიდრდა, როგორც სხვა ქართული ეთნონიმი: მთიული, ხევსური, თუში, რაჭველი, სვანი და სხვ.

მოხევე პირველად თამარ მეფის ისტორიკოსის (XII ს.) თხზულებაში იხსენიება. მიუხედავად ამისა, ხევის ტერიტორიაზე მოსახლეობა გაცილებით ადრე სახლობდა, რომლის მცხოვრებთა აღსანიშნავად გვხვდება მთიულნი„ რასაც შემკრებლობითი ცნების მნიშვნელობა აქვს მთიელთა ისტორიულ წარსულში.

ისტორიის მანძილზე ხევის ვიწრო ხეობა ერთ-ერთი გზა და ხიდთაგანი იყო, რომელიც კულტურულ-ეკონომიკურად აკავშირებდა არა მარტო მთელს კავკასიას, არამედ ევრო-აზიას. ამ გზას კი ეწოდებოდა „გზა დარიელისაი", ხოლო კარს რამდენიმე სახელი (დარი ალან, არაგვის კარი, კავკასიის კარი, სარმატის კარი, კასპიის კარი, ივერიის კარი და სხვ.) ერქვა. ძველთაგანვე ეს გზა იყო ერთ-ერთი უმთავრესთაგანი,

რომელიც ამიერკავკასიას (მათ შორის საქართველოს) ჩრდილო კავკასიასა და კავკასიის გადაღმა მხარეებთან აკავშირებდა. რეგიონის სამხედრო-სტრატეგიულმა მნიშვნელობამ განაპირობა აქ სიმაგრეთა სისტემების არსებობა. საქართველოს რაიონებს შორის ხევი ერთ-ერთი მრავალმხრივ საინტერესო, მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე მაღალმთიანი რაიონია. ტერიტორიითა და მოსახლეობით ხევი არ არის დიდი, მაგრამ საკმაოდ მდიდარია ის თავისი წარსულით, კარგად შემონახული ქართული ტრადიციებით, ფოლკლორითა და მატერიალური კულტურის ძეგლებით.

ხევის ტერიტორიაზე მოსახლეობის ოდითგანვე არსებობაზე მიგვითითებს აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, რომელიც „ყაზბეგის განძის" სახელწოდებითაა ცნობილი. იგი მიეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეებს. განძი შეიცავდა ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინის და სხვა ნივთებს.

ხევი საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ყოველთვის მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა და სამეფო ხელისუფლების გამგებლობაში შედიოდა. გარდა იმ პერიოდისა, როცა იგი არაგვის ერისთავებს ემორჩილებოდა (XVII ს-ის 20-იანი წლებიდან 1743 წლამდე, არაგვის საერისთავოს გაუქმებამდე), შემდეგში ხევისა და მისი მეზობელი კუთხეების (თრუსოს ხეობა, მთიულეთ-გუდამაყარი) ერეკლეს შვილებს ჩაბარდა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ხევი მაზრის საზღვრებს გარეთ მოექცა, ხოლო 1840 წლის 10 აპრილის დებულებით ხევი ჯერ თბილისის მაზრაში გაერთიანდა, ხოლო 1843 წელს ცალკე გამოეყო მთიელთა ოკრუგი, რომელშიც ხევიც შევიდა. საუკუნის ბოლოს ეს რეგიონი დუშეთის მაზრაში აღმოჩნდა. საბჭოთა წლებში შეიქმნა ხევის რაიონი, რომლის ცენტრი იყო სოფელი ყაზბეგი. დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით ხევი ყაზბეგის რაიონს ეკუთვნის.

ხევის მოსახლეობის ძირითად საარსებო საშუალებას ოდითგანვე შეადგენდა მესაქონლეობა და მთის მიწათმოქმედება, ხოლო შემოსავლის დამხმარე წყაროს – შინამრეწველობა, მონადირეობა, საქართველოს სამხედრო გზაზე მუშაობა და ქირით ტვირთვის ზიდვა. ხევში არახელსაყრელი სამეურნეო პირობებისა და სახნავ-სათესი ნაკვეთების სიმცირის გამო წამყვანი მნიშვნელობა

მესაქონლეობას ენიჭებოდა. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან აქ განსაკუთრებით დაწინაურდა მეცხვარეობა, რომლის საფუძველს წარმოადგენს ხევის საზაფხულო და ჩრდილო კავკასიის საზამთრო საძოვრების რეგულარული სეზონური გამოყენების შესაძლებლობა. დღეს ხევი საქართველოს რაიონებს შორის ადგილმონაცვლე მეცხვარეობით სახელგანთქმული კუთხეა.

ხევი მდებარეობს საქართველოს ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში, ცენტრალური კავკასიონის ზოლში, რომელზედაც გადის საყოველთაოდ ცნობილი საქართველოს სამხედრო გზა. ამ გზის ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტები – ჯვრის უღელტეხილი და დარიალის კარიბჭე ხევის სასაზღვრო მიჯნებს წარმოადგენენ.

ხევის ტერიტორია მოიცავს აგრეთვე სნოს ხეობას.

თერგის ხეობაში განლაგებული სოფლებიდან (ალმასიანი, კობი, ზემო უხათი, თოლგოთი, ყანობი, ხურთისი, ფხელშე, გორისციხე, ქედური, ტორნისა ანუ ვარდისუბანი, სიონი, გარბანი, გაიბოტენი, თოთი, არშა, ფანშეტი, ყაზბეგი, თარგმანი, გერგეტი, ქობი, ცდო, გველეთი) ნასოფლარებად ქცეულან თოლგოთი, ქედური და ქობი (ქვაბი), დანარჩენი სოფლებიდან უმრავლესობა დასახლებულია ქართველი მთიელებით (მოხევეებით), ხოლო ალმასიანში, კობში და უხათში ცხოვრობენ სხადასხვა დროს ჩამოსახლებული ოსები. სნოს ხეობის სოფლებიდან (აჩხოტი, სნო, ახალციხე, ქოსელი, მიგუდა, ართხმო, კარკუჩა, ჯუთა, მთრეხი) მთრეხი და მიგუდა ნასოფლარებს წარმოადგენენ, ართხმოცი, სადაც ხევსურები ცხოვრობდნენ, უკვე მიტოვებულია. ჯუთში ცხოვრობენ ხევსურები, ხოლო დანარჩენ სოფლებში – მოხევეები. სნოს ხეობის მთელ სიგრძეზე მოედინება მდ. სნოს წყალი ანუ ხევის შავი არაგვი, რომელიც დაბა ყაზბეგთან ახლოს მდ. თერგს ერთვის. ლიტერატურაში და რუკებზე სნოს ხეობა იწოდება ღუდუშაურის ხეობად. ხეობის ეს სახელწოდება უშუალოდ უკავშირდება ხევში ყველაზე მრავალრიცხოვანი საგვარეულოს – ღუდუშაურის სახელს, რომლის დედასამშობლოა სოფელი სნო.

თერგისა და სნოს ხეობებთან ერთად ყაზბეგის რაიონის ფარგლებშია მოქცეული თეთრი არაგვის (მთიულეთის არაგვის) სათავეები და თრუსოს ხეობა – ისტორიული დვალეთის ერთი

ნაწილი, რომელიც დასახლებული იყო დვალებით, ქართველების მონათესავე ტომით. გვიანფეოდალურ ხანაში ამ ხეობაში ოსები დასახლდნენ, რის შედეგად მოხდა დვალების ასიმილაცია. დვალთა ასიმილაციის პროცესი აქ XVIII საუკუნეში ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული.

ხევი თვით ამ ხეობის, ამ კუთხის გეოგრაფიული მდებარეობის შესატყვისია. უშუალოდ მასთანაა დაკავშირებული აქ მცხოვრებ ქართველ მთიელთა სახელწოდება მოხევე, რაც სიტყვასიტყვით ხევში მცხოვრებს ნიშნავს.

ხევში მცხოვრები მთიელები მოხევეებად პირველად იხსენებიან თამარ მეფის ისტორიკოსის მიერ, მაგრამ ეს ცნობა სრულებითაც არ არის იმის საფუძველი, რომ მოხევეების ისტორია XII საუკუნიდან დავიწყოთ. გაცილებით უფრო ძველი დროის წყაროებში ხევში მცხოვრები მთიელების აღსანიშნავად გვხდება მთეულნი, რასაც შემკრებლობითი ცნების მნიშვნელობა აქვს მთიელთა ისტორიულ წარსულში. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა „მოქცევაი ქართლისაის”-ს ცნობა მთიელთა როლის შესახებ დარიალის ხეობის დაცვის საქმეში, სადაც პირველ ყოვლისა მოხევეების აქტიური მონაწილეობა იგულისხმება. ხევის ტერიტორიაზე მოსახლეობის დიდი ხნიდან არსებობის ასეთსავე უტყუარ მაჩვენებელს წარმოადგენს ხევში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, რომელიც საქვეყნოდაა ცნობილი „ყაზბეგის განძის” სახელწოდებით და ის პირველი ათასწლეულით თარიღდება.

ხევი ძველთაგანვე მრავალ მკვლევარს, მწერალს და მოგზაურს იზიდავდა. ხევის ბუმბერაზი ბუნების, თოვლ-ყინულით შეკერცხლილი მყინვარწვერისა და მყინვართა კალთებზე დაბადებული მშფოთვარე თერგის შესახებ ბევრს წერდნენ ქართველი, რუსი თუ უცხოელი მწიგნობარნი. ხევის მომხიბლავ ადგილებს გატაცებით ხატავდნენ ფუნჯის ოსტატები. საქართველოს სამხედრო გზაზე, როგორც ერთ-ერთ ყველაზე უფრო მიმზიდველ ტურისტულ მარშრუტზე არნახული მოძალების გამო ხევისადმი ინტერესი დღეს კიდევ უფრო გაიზარდა. ჩრდილოეთის მხრიდან საქართველოში შემოსული კაცისთვის სწორედ ხევია პირველი კუთხე, საიდანაც იწყება საქართველოს დათვალიერება. ამიტომ ხევის ღირსშესანიშნაობათა გაცნობასაც საქართველოს ჩრდილოეთი კარებიდან – დარიალის ვიწროებიდან უნდა შეუდგეთ.

ქ. ორჯონიკიძიდან მომავალი მგზავრი მდ. თერგის ხეობის აღმასვლით 30 კმ-ის შემდეგ უკან მოიტოვებს ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე მდებარე სოფლებს (ბალდარჩიმი, ლარსი), სადაც მოსახლეობის უმრავლესობა, ქართველები შეადგენენ, და დარიალის ჭიშკრით საქართველოში შემოდგამს ფეხს.

დარიალის ხეობის გრანდიოზული სანახაობა მნახველს წარუშლელი შთაბეჭდილებით ხიბლავს. მაგრამ რა იქნებოდა ეს ხეობა თავისი ბუმბერაზი კლდეებით და მჭუხარე თერგით, რომ იქ ადამიანის თვალს არ იტაცებდეს საუკუნეების მიღმა შექმნილი მატერიალური კულტურის ძეგლები, რომელთა უმრავლესობა ნანგრევების სახითღა შემოგვრჩა. მათ შორის მნახველის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ხალხის მიერ თამარის ციხედ სახელდებული დარიალის ციხე და დავითის (აღმაშენებლის) ციხედ წოდებული ერთ-ერთი კოშკი. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, დავითის ციხე დგას „არაგვის აღმოსავლეთ კიდესა ზედა," ე.ი. მდ. თერგის მარჯვენა მხარეზე, სათვალთვალოდ მარჯვე კლდეზე. ამ სადარაჯო კოშკიდან მეთვალყურეობდნენ საქართველოში შემოსასვლელ კარებს და სათანადო ნიშანს აძლევდნენ დარიალის მთავარ სიმაგრეში მყოფ მეციხოვნეებს. მისგან დაახლოებით ერთი კმ-ის დაშორებით, მდ. თერგის მარცხენა მხარეზე დგას კიდევ ერთი კოშკი, რომელიც საბრძოლო ფუნქციის დაკარგვის შემდეგ სალოცავად იქცა და დღეს ბახტრის წმინდა გივარგის სახელს ატარებს. ადრე კი მას ბახტრის ციხე ეწოდებოდა, რადგანაც ის მდებარეობს დარიალის ხეობის იმ უბანში, რომელსაც ბახტარი ერქვა.

აღნიშნულ კოშკებთან მისვლას ართულებს საქართველოს სამხედრო გზიდან მიუდგომელი მდებარეობა. სამაგიეროდ ასეთ დაბრკოლებას არ ხვდება დარიალის ციხის მნახველი. მხოლოდ გულისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ დროთა განმავლობაში ისედაც მრავალგზის ნგრევა-დაზიანებას გამოვლილი ეს გრანდიოზული ნაგებობა კიდევ ერთხელ დაზიანდა გაზსადენის გაყვანის დროს.

დარიალის ციხე მდებარეობს მდ. თერგის მარცხენა მხარეზე, კლდოვან ტერასაზე, რომლის ფართობი ერთ ჰექტარს აღემატება, ხოლო სიმაღლე თერგიდან დაახლოებით 70 მეტრს აღწევს. ეს დიდი მოვაკებული ადგილი მოფენილია ნაგებობათა ნაშთებით, რომლებიც თავისი დროისათვის გამოიყენებოდა

მუდმივად იქ მყოფი გარნიზონის სადგომად. ციხეს შემორტყმული ჰქონდა ქვიტკირის კედელი, რომელშიც დატანებული იყო სათვალთვალო კოშკები. ამ კედლებთან ერთად ციხეს იცავდა და მას მიუდგომელს ხდიდა კლდე, რომელზედაც ციხის ნანგრევები დღესაც გადმოჰყურებს მდ. თერგს. ციხის სამხრეთ კედელში დატანებული გვირაბით ჩადიოდნენ თერგზე წყლით მომარაგების მიზნით. როგორც ჩანს ამ გვირაბის გაყვანა განაპირობა სასმელი წყლის შეწყვეტის საშიშროებამ, რომელიც ციხეში დასავლეთის მხრიდან ყოფილა შეყვანილი თიხის მილებით. ციხე, მისი გალავანი და გალავნის შიგნით ნანგრევების სახით შემორჩენილი ნაგებობანი აშენებულია თლილი ქვითა და დუღაბით. ჟამთასიავის შედეგად ციხეს რამდენჯერმე განუცდია ნგრევა და ის სხდასხვა დროს არაერთხელ აღუდგენიათ, რაზედაც მიგვითითებს კედლის წყობის ნაირგვარობა. ციხის ნანგრევებში ვხდებით ქრონოლოგიურად განსხვავებულ მრავალ ფენას (გვიანანტიკურს, ადრეფეოდალურს, შემდეგი დროისას), რაც იმის მაჩვენებელია, რომ აღნიშნული სიმაგრე უძველესი დროიდან გვიანობამდე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჩრდილოეთის კარების დაცვის საქმეში. აღნიშნული ვითარება დასტურდება წერილობითი წყაროებით და ხალხში შემორჩენილი გადმოცემების მიხედვითაც. როგორც ქართულ, ისე უცხო საისტორიო მწერლობაში სხვადასხვა დროს ისტორიული მოვლენების აღწერისას მრავალგზის იხსენიება არაგვის კარი, დარიალანი ან ოვსეთის კარი მის ვიწროებში ჩადგმულ სიმაგრესთან ერთად, რომელიც საქართველოს იცავდა ჩრდილოეთის ხალხთა ექსპანსიისაგან. ამის შესახებ მიუთითებენ ძველ ქართველ ისტორიკოსთაგან ლეონტი მროველი, ჯუანშერი თუ ჟამთააღმწერელი, ხოლო ბერძენ-რომაელ ავტორთაგან სტრაბონი, პროკოფი კესარიელი, პლინიუსი და ა.შ. ეს უკანასკნელი განსაკუთრებული სიცხადით მიგვანიშნებს პირველ საუკუნეში დარიალის ხეობაში სიმაგრის არსებობას, რომლის ფუნქციასაც შეადგენდა მრავალრიცხოვანი ტომებისაგან თავდაცვა. დარიალის ამ სიმაგრეს რომაელი ისტორიკოსი კუმანიას უწოდებს. უძველესი დროიდან ცნობილი დარიალის ციხე დღეს შესწავლის პროცესში იმყოფება. ამ უბანში წარმოებდა არქეოლოგიური გათხრაც და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში

არქეოლოგიური ძიების გაგრძელება ბევრ სიახლეს გამოავლენს ამ ძეგლის შესახებ.
დარიალის ციხის ახლოს მდ. თერგს ერთვის მდ. დევდორაკი, რომელიც სათავეს იღებს ამავე სახელწოდებით ცნობილი მყინვარიდან, ხოლო დევდორაკის პირდაპირ, საქართველოს სამხედრო გზიდან სამხრეთ-აღმოსავლეთი მიმართულებით იწყება ხდის ხეობა, რომლის მთელ სიგრძეზე დიდი სისწრაფით მოედინება თეთრი ქაფქაფა მდინარე ხდის წყალი ანუ ქისტურა. ეს წარმტაცი ხეობა მრავალ ალპინისტსა და ტურისტს იზიდავს. მისი სათავეებიდან შესაძლებელია გადასვლა როგორც ხევსურეთში, ისე არმხის ხეობაში (ინგუშეთში). საქართველოს სამხედრო გზის პირას ხდის წყალზე დგას დარიალჰესი, რომელიც ელექტროენერგიას აწვდის ყაზბეგის რაიონის სოფლებს.
დარიალჰესიდან ორიოდე კილომეტრიც შემდეგ მგზავრი მიადგება სოფელ გველეთს, რომელიც მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. ხევის დასახლებულ პუნქტებს შორის გველეთი ჩრდილოეთის მხრიდან პირველი სოფელია, სადაც ადრე ქართველი მთიელები (მოხევეები) ცხოვრობდნენ, XIX საუკუნეში ინგუშები დასახლდნენ, ხოლო ამჟამად კვლავ მოხევეები მოსახლეობენ. XV საუკუნის ისტორიულ საბუთშიც („გერგეტის სულთა მატიანე”) ხევის მთლიანი ტერიტორიული თემისა სასაზღვრო პუნქტებად ნაჩვენებია სამხრეთიდან სოფ. კობი, ხოლო ჩრდილოეთიდან სოფ. გველეთი. მას გვერდზე ჩამოუდის პატარა მდინარე გველეთის წყლად წოდებული, რომლის ლამაზი ჩანჩქერის ხილვა დიდ სიამოვნებას ანიჭებს მნახველს.
ამ წყლის მარჯვენა მხარეზე შემორჩენილია ნასოფლარი – ვახუშტის მიერ დაბად წოდებული, იქვეა კოშკების ნანგრევები, ხოლო სოფლის უკან აღმართულ ბორცვზე დგას ფიქლითა და ხსნარით აშენებული მცირე ზომის ეკლესია. გველეთის ეკლესია წარმოადგენს მოგრძო კვადრატული გეგმის მქონე ნაგებობას სწორკუთხა ფანჯრებით. არქიტექტურული თვალსაზრისით არც თუ ისე საინტერესო ეს ძეგლი ყურადღებას იქცევს კედლის მხატვრობით, რომლის დაზიანებული ფრაგმენტები (XIII-XIV სს.) ინახება ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. გველეთიდან ჩმხარეზე, მოვაკებულ ქვიან ადგილზე, არის მყინვარული წარმოშობის

ორი პატარა ტბა. გველეთიდან გზა მიემართება დევდორაკის მყინვარისაკენ, რომლითაც ალპინისტები მყინვარწვერზე ადიან. მწვერვალზე ასასვლელ გზებს შორის ეს ერთ-ერთი ცნობილი მარშრუტია.

გველეთიდან ყაზბეგამდე 8 კმ. რჩება. გზის ეს მონაკვეთი მდ. თერგის მარცხენა მხარეს ფერდობებსა და კლდეებშია გაჭრილი და მრავალ ადგილას სახიფათოა. გზა თანდათანობით მაღლა მიიწევს და მგზავრი ზემოდან დასცქერის მკვეთრი დაქანების ვიწრო კალაპოტში მშფოთვარე თერგს. გველეთიდან ყაზბეგამდე გზა ადრე გადიოდა თერგის მეორე მხარეს და ყაზბეგში შესვლამდე კვეთდა ყუროს. იგი ალ. პუშკინისა და სხვა აქ გამვლელთა მიერ „Бешенная балка"- დ წოდებული მთის პატარა მდინარეა, რომელიც მდ. ჩხერის პირისპირ მდ. თერგს ერთვის.

გველეთიდან ყაზბეგამდე რაიმე ისტორიული ძეგლი არ შეინიშნება, მხოლოდ მე-5 კმ-ზე მგზავრი დაინახავს ფერდობზე ზიგზაგად გაჭრილ გზას, რომელიც სოფ. ცდოში შედის. კლდოვან ბორცვზე მდებარე ამ სოფელში, სადაც წიკლაურები და ზაგაშვილები ცხოვრობენ, მხოლოდ სიძველეთა ნანგრევებია შემორჩენილი. თავდაპირველი სახით დაცული ძეგლი აქ აღარ არსებობს.

სოფ. ცდოს სამხრეთ მხარეს მდებარეობს საკმაოდ მოზრდილი ზეგანი, სადაც გაშენებული იყო სოფელი ქობი. ერეკლე მეორის დროინდელი (1762-1798 წწ.) საბუთების მიხედვით ეს სოფელი მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა, მაგრამ ამჟამად ის წარმოადგენს ნასოფლარს, საცხოვრებელ ნაგებობათა ნანგრევებით, რაიმე მნიშვნელოვანი ძეგლი იქ აღარ არსებობს.

ნასოფლარ ქობის სიახლოვეს, გველეთიდან მე-7 კილომეტრზე, იქ, სადაც გერგეტის მყინვარიდან გამომდინარე ჩხერი მარცხენა მხრიდან დიდი სისწრაფით ჩაედინება მდ. თერგში, თავდება დარიალის ვიწრო ხეობა. ჩხერზე გადებული ხიდის გავლით მგზავრი მიადგება შედარებით გაშლილ ადგილს, რაც დაბა ყაზბეგიდან სოფ. კობამდე (18 კმ.) ხევის ტერიტორიის უმთავრეს ნაწილს მოიცავს.

დაბა ყაზბეგს – ყაზბეგის რაიონის კულტურულ-ადმინისტრაციულ ცენტრს – ზურგი შეუქცევია მთა ყუროსათვის, რომელიც მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთითაა

აღმართული და კლდოვან-ქვიშიანი ფასადით პირდაპირ გასცქერის ხევის დედოფალს – მყინვარწვერს.
ძველად ყაზბეგს სტეფანწმინდა ერქვა. მას ყაზბეგი შეარქვეს რუსებმა ალ. ყაზბეგის პაპის – გაბრიელ ყაზიბეგის ძე ჩოფიკაშვილის პატივსაცემად, ვინაიდან ის რუსეთის ხელისუფლების ერთგული მოხელე გამოდგა. გააზნაურებულმა და სამხედრო სამსახურში დაწინაურებულმა გაბრიელმა უარყო მამაპაპური გვარი, რიგით მეთემეებად დარჩენილ ჩოფიკაშვილებს გაემიჯნა და გვარად მიიღო მამის სახელი. აქედან დაიწყო ყაზბეგის გენეალოგია, ასეთნაირად იშვა ახალი პრივილეგიური გვარი და ამის ნიადაგზე წარმოიშვა სოფლის ახალი სახელწოდებაც. ამავე დროიდან რუსებმა მყინვარწვერსაც ყაზბეგი უწოდეს.
ყაზბეგში მგზავრი ნახავს როგორც ძველი, ისე ახალი ეპოქის ღირსშესანიშნაობებს. მის ცენტრალურ მოედანზე 1960 წლიდან აღმართულია აქ დაბადებული და აღზრდილი, დიდი ქართველი მწერლის, მთიელთა ყოფა-ცხოვრების უბადლო მცოდნის ალექსანდრე ყაზბეგის მონუმენტური ქანდაკება (ავტორი ი. ოჩიაური). ყაზბეგის შესასვლელთან, ჩრდილოეთის მხრიდან აღმართულია დიდი რუსი პოეტის ალ. პუშკინის ძეგლი. ახალი ეპოქის ნაგებობებიდან მნახველის ყურადღებას იქცევს დაბის ცენტრში მდგარი სამსართულიანი სასტუმრო და დაბის თავში მდებარე ტურბაზის შენობა.
დასახლების ძველი ფორმა და ისტორიული ძეგლების უმრავლესობა აქ თითქმის მოისპო, ყაზბეგში შემორჩენილია მხოლოდ ზოგიერთი ძველი საცხოვრებელი ნაგებობა მისთვის დამახასიათებელი ელემენტებით, ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და ფეოდალური ხანის (დაახლოებით XVII- XVIII სს.) ორიოდე კოშკი. ყაზბეგის ძველ უბანში ერთიმეორის ახლოს მდგარი ეს კოშკები, რომლებიც ჩოფიკაშვილებს ეკუთვნოდათ, მსგავსნი არიან როგორც კვადრატული გეგმით, ისე გარეგნული ფორმითა და შინაგანი სტრუქტურით. ორივე მათგანს შესასვლელი მაღლა აქვს, პირველი სართული მაღალია კამაროვანი გადახურვით და კედლებში სათოფურებია დატანებული. განსხვავება ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ ერთი კოშკი – ზალიეთ ციხე (ზალიენი ჩოფიკაშვილების გვარის ერთი ნაწილია) ქვიტკირითაა ნაგები, ხოლო მეორე –

გუგუეთ ციხე (გუგუენი ჩოფიკაშვილების გვარის ნაწილია) მშრალი წყობითაა აშენებული.
ყაზბეგის მხარეთმცოდნეობითი მუზეუმი (დაარსდა 1934 წ.), დიდი ქართველი მწერლის სახლშია მოთავსებული. ეს სახლი ააშენა ალ. ყაზბეგის პაპამ გაბრიელმა (1809-1814), ხოლო 1858 წელს მისი რეკონსტრუქცია მოახდინა ალექსანდრეს მამამ მიხეილმა. ამ შენობის ორივე სართულზე მოწყობილი ექსპოზიცია გვაცნობს ხევის ბუნებას, არქეოლოგირ მონაპოვარს, ისტორიულ ძეგლებს, მონეტების ნიმუშებს, წერილობით საბუთებს, ეთნოგრაფიულ ექსპონატებს, ალ. ყაზბეგის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ მასალებს. მუზეუმის ფონდები მოთავსებულია ყაზბეგის კარის ეკლესიაში (1809 წ.), რომელიც იმავე ეზოში დგას თავისი სამრეკლოთი. აქვეა ყაზბეგის სასაფლაო, ეზოს წინა მხარეს, მთავარ შესასვლელთან არის ალ. ყაზბეგის საფლავი, რომელიც დამშვენებულია გრანიტის ძეგლით.
ყაზბეგის პირდაპირ, თერგის გადაღმა მდებარეობს ხევის ერთ-ერთი უძველესი სოფელი გერგეტი, რომელიც 1966 წლიდან დაბად გარდაქმნილ ყაზბეგს შეუერთდა და მის ერთ-ერთ უბნად იქცა. ტერასულად შეფენილი ეს დასახლებაც დამშვენებულია ახალი სახლებითა და უბნებით, მაგრამ იქ შემორჩენილია აგრეთვე სიძველეთა ნაშთები. ძველი ტიპის საცხოვრებელ ნაგებობათაგან აღსანიშნავია სუჯაშვილების სახლი კარისთავზე (ქვის წართხალზე) ორი გველის რელიეფური გამოსახულებით, რაც გველის კულტის ადრინდელი არსებობით აიხსნება. ისტორიული ძეგლებიდან მნახველის ყურადღებას იქცევს სოფლის თავში მდებარე მცირე ზომის სალოცავი – ე.წ. ყუთარას საყდარი (ყუთარა სუჯაშვილი აქ მღვდლად ყოფილა), სანახევროდ ჩამონგრეული ზურგიანი კოშკი და გერგეტის წმინდა სამება – ერთადერთი გუმბათიანი ეკლესიაა ხევში.
გერგეტის ციხედ წოდებული ზურგიანი კოშკი დგას სოფლის დასავლეთით და სამების ეკლესიის სამხრეთით, გერგეტის ხევის (წყლის) პირად მდებარე კლდოვან ბორცვზე. ის აგებულია ადგილობრივი ქვით. კედლის შენობაში თითქმის ყოველ მეტრზე დაგებულია ლასტი, რომლის როგორც კონსტრუქციული ელემენტის გამოყენების მაგალითი მოწმდება აგრეთვე სოფ. სნოს მცირე ზომის კოშკებშიც. გერგეტისა და მთელი ხევის არქიტექტურულ ძეგლებს შორის ყველაზე

თვალსაჩინო ნაგებობაა წმინდა სამების ეკლესია თავისი სამრეკლოთი. მყინვარწვერის ფონზე, ზღვის დონიდან 2170 მ. სიმაღლეზე, მისი მდებარეობა ამ ადგილს დიდ მხატვრულ მიმზიდველობას ანიჭებს, რაც მკაფიოდაა გამოხატული არაერთ პოეტურ ქმნილებაში თუ შთაბეჭდილებათა დღიურში. ეკლესია შემოღობილია ქვის მშრალი კედლით, რომელსაც ეზოში შესასვლელი კარი აქვს სამრეკლოს გვერდით. ადრე ეზოში სამრეკლოს პირველ სართულზე არსებული შესასვლელით შედიოდნენ, რაც შემდეგ ქვის კედლით შეუკრავთ. ეზოში შესასვლელი მიადგება ტაძრის ფასადს სამხრეთის მხრიდან, საიდანაც შესასვლელი კარები დაფარულია ეკლესიის კედლის ქვედა ნაწილზე მიშენებული და თაღით გადახურული პატარა ზომის ნაგებობით. მას თემის საბჭეო ეწოდება, სადაც ხევის ბერის მეთაურობით თემის კაცები იკრიბებოდნენ და სათემო საკითხებზე მსჯელობდნენ. ეს ტრადიცია გრძელდებოდა XIX საუკუნეშიც. ხალხურ გადმოცემათა მიხედვით, ვიდრე სამების ეკლესია აშენდებოდა (XIII-XIV სს. მიჯნა) და გერგეტის ხევის ცენტრი გახდებოდა, ხევის საბჭეო მოწყობილი ყოფილა ჯერ სოფ. სათარგმნოში, რომელიც ყუროს წაულეკავს, ხოლო შემდეგ სოფ. გარბანსა და სოფ. სიონში.
ამჟამად სამების ეკლესიაში დასავლეთის მხრიდან შედიან. მის შიგნით დიდი სივრცე, საკმაო სინათლე და გუმბათის სიმაღლე იგრძნობა. გუმბათის შიგნით ყელი ცილინდრულია, ხოლო გარედან წახნაგოვანი, წახნაგებს შორის დატანებული სარკმლებით. ტაძარი შიგნიდან მოხატული ყოფილა, მაგრამ XIX საუკუნეში კირით შეულესავთ. სამაგიეროდ ტაძარს გარედან შენარჩუნებულიუ აქვს თავდაპირველი სახე. მოჩუქურთმებულია მისი კარები და სარკმლები, მკაფიოდაა გამოსახული ორნამენტირებული დიდი ზომის ჯვრები.
ეკლესიასთან ერთად მნახველის ყურადღებას იქცევს ორსართულიანი სამრეკლო, რომელიც თლილი ქვით აშენებულსა და თაღით გადახურულ ნაგებობას წარმოადგენს. მისი ფასადები მორთულია რელიეფური ჩუქურთმებით. დასავლეთის კედელზე გამოსახულია ადამიანის (მშენებლის) რელიეფური ფიგურა, ერთ ხელში გაურკვეველი იარაღით, ხოლო მეორეში ჭურჭლით. იქვე შეიმჩნევა გრძელკუდა ცხოველის გამოსახულება და ასომთავრული წარწერა.

სამების ტაძრიდან მნახველის თვალწინ გადაშლილია დიდებული სურათი – ადამიანი ზემოდან დაჰყურებს გერგეტს, ყაზბეგს, დარიალის ხეობის დასაწყისს, პირდაპირ გასცქერის ყუროს მთას, ხოლო მის უკან მყინვარწვერია აღმართული.აქედანვე მიემართება გზა მყინვარწვერისაკენ. სამების ესოდენ მომხიბლავი მდებარეობის გამო, აქ გაიყვანეს სამანქანო გზა და საბაგირო გზაც გაიხსნა, რომელიც სამებას პირდაპირ დაბა ყაზბეგთან აკავშირებს.

მნახველთა დიდი ნაწილი სამებაზე გავლით ადის მყინვართა სამყაროში, რომლის სიახლოვეს მდებარეობს საქვეყნოდ ცნობილი ბეთლემის გამოქვაბული, მის ირგვლივ არსებული სხვადასხვა სახის ნაგებობათა ნაშთებით. ამ ძეგლზე ხალხში არსებული ლეგენდები და გადმოცემები ოდესღაც ბერების იქ ცხოვრების შესახებ საბოლოოდ დადასტურდა 1948 წელს, როდასაც აღმოჩენილ და შესწავლილ იქნა გამოქვაბული მასში დაცული ნივთებით, სხადასხვა დროით დათარიღებული (XIII, XV, XVII, XVIII, XIX) ეს ნივთები (კარები, ჯაჭვი, შანდლები..) ამჟამად დაცულია ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ბეთლემისა და მისი მიდამოების დათვალიერებაში ტურისტებს მეგზურობას უწევენ ადგილობრივი მთასვლელები. ისინი ხალისიანად მიუძღვებიან მყინვარწვერზე ამსვლელთაც. მოხევე „ალპინისტები” ამ მოვალეობას ძველადაც წარმატებით ასრულებდნენ. ჯერ კიდევ ერეკლე მეორის მეფობის დროს, XVIII საუკუნის მიწურულში მყინვარწვერზე ავიდა იოსებ მოხევე (იოსებ სუჯაშვილი). ქართული ალპინიზმის ისტორიაში საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს ჩვენი საუკუნის მთასვლელებმა: კოტე ფიცხელაურმა, გახა წიკლაურმა, იაგორა კაზალიკაშვილმა, ლევან სუჯაშვილმა, გრიგოლ შადურმა, ვასო ხაიკაშვილმა, ნიკო ქირიკაშვილმა, ვახტანგ ქარიკაშვილმა, მიტო სუჯაშვილმა და სხვებმა. 1923 წელს პროფ. გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობითა და იაგორა კაზალიკაშვილის მეგზურობით განხორციელდა მყინვარწვერზე პირველი მასობრივი ასვლა 18 კაცის მონაწილეობით. ამით საფუძველი ჩაეყარა ალპინიზმს საქართველოში.

ყაზბეგიდან მესამე კმ-ზე, მდ. თერგის მარცხენა მხარეს მდებარეობს სოფ. ფანშეტი. კლდოვან კონცხზე შეფენილი ეს დასახლება საქართველოს სამხედრო გზაზე გამვლელის თვალთახედვას ვერ ასცდება. სოფელს ამ გზასთან აკავშირებს

თერგზე გადებული ხიდი. ამასთან ერთად, ყაზბეგიდან იქ მისვლა შესაძლებელია პირდაპირი სამანქანო გზითაც. ფანშეტის მისადგომებთან, იქ სადაც თერგის კალაპოტი დიდ სიგანეზეა გაშლილი, ამოდუღს მინერალური წყალი „ყაზბეგი". სოფელი ყურადღებას იქცევს ძველი და ახალი ნაგებობების თანაარსებობით, რომელთაგან მნახველი პირველ რიგში შენიშნავს ფეოდალური ხანიდან შემორჩენილ ორ კოშკს. მათ შორის უფრო მაღალი და ოსტატურად ნაგები კოშკი სამქანაშვილების გვარისა ყოფილა და დღემდე მას ეწოდება სამქანეთ ციხე, ხოლო მეორე ეკუთვნოდა ჩონიაშვილების გვარს და ჩონიეთ ციხედ იწოდებოდა. დღევანდელი ფანშეტის ახლოს არის აგრეთვე საბაურების გვარის პირველსაცხოვრისი – ძველ ფანშეტაი, სადაც შემორჩენილია ნასახლარები, საკულტო ნაგებობანი და კოშკების ნაშთები. დროთა ვითარებაში მიტოვებული სამოსახლო იქცა სალოცავ ადგილად.

სოფ. ფანშეტის მახლობლად, ორიოდე კმ-ის დაშორებით, თერგის მარცხენა მხარეს მდებარეობდა სოფ. არშა. დარიალის ციხისაგან განსხვავებით, რომელიც დარიალის ხეობას კეტავდა, არშის ციხე ხევის მოსახლეობის ყველაზე დიდსა და საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა. ციხის კედლებში დატანებული სათოფურები, რომელთა მიხედვით ის შეიძლება დათარიღდეს XVI-XVII საუკუნეებით, მაგრამ ნაგებობების კომპლექსი მთლიანად გაცილებით ადრინდელი უნდა იყოს. სხვათა შორის, არსის ციხეში გიორგი სააკაძემ გამოკეტა ანდუყაფარ ამოლახვარი თავისი ცოლით. ამ ციხესთან დაკავშირებულია მოხევეთა ბრძოლები გარეშე მტრებთან, რაზედაც ფოლკლორიც მეტყველი სურათებით გვამცნობს.

ახლა კი შევიხედოთ სნოს ხეობაში, მთებს შორის ღრმად შეჭრილ ხევის მიკრორეგიონში.

სნოს ხეობაში დამთვალიერებელი შენიშნავს მიტოვებულ სამოსახლოებს, კოშკებს, საკულტო და ძველი ტიპის საცხოვრებელ ნაგებობებს. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ორი ძეგლი – ახალციხის ეკლესია და სნოს ციხე.

სნოს ხეობის დათვალიერების შემდეგ თუ ისევ თერგის ხეობაში გადმოვინაცვლებთ, არსის ახალი დასახლების ზემოთ, ყაზბეგიდან მე-7 კმ-ზე მივადგებით სოფ. გარბანს, სადაც მნახველის ყურადღებას იქცევს ამ სოფლის სამხრეთ-

აღმოსავლეთით მდგომი ეკლესია. არქიტექტურული მონაცემების მიხედვით ძეგლის თარიღად მიჩნეულია IX-X სს.
სოფ. გარბანს უშუალოდ ემეზობლება სოფ. სიონი. მისი თვალწარმტაცი ბუნების გარდა მნახველის ყურადღებას იქცევს IX-X სს. მიჯნაზე აშენებული სამნავიანი ბაზილიკა და გვიანფეოდალური ხანის კოშკი.
მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებით დაინტერესებულებს ვურჩევთ სოფლების გორისციხის, ხურთისის, კობის მონახულებას.
სოფ. ალმასიანიდან დასავლეთის მიმართულებით მგზავრის თვალწინ იშლება თრუსოს ხეობა, ადრინდელი მკვიდრი მოსახლეობის დვალების (დვალეთის) კუთვნილი მიწა-წყალი.
ალმასიანიდან ორიოდე კმ-ის შემდეგ მგზავრები ჩერდებიან მინერალურ წყალთან. აქედან სულ ახლოს იწყება ე.წ. ბიდარას ხევი, რომლის ქართული ისტორიული სახელწოდებაა ჯუართაყელი, ყელი, ჯორი ან ჯორთვაკე.
მგზავრი, რომელიც ამ ხეობას აათავებს და ბიდარას ნამოსახლარს უკან მოიტოვებს, მალე გაივაკებს ალპურ ზეგანზე, რომელიც წარმოადგენს ხევისა და მთიულეთის, ანუ თერგისა და არაგვის ხეობის გეოგრაფიულ სასაზღვრო მიჯნას, ამ ზეგანის წყალგამყოფ ზოლში აღმართულია თლილი ქვის სტელა წარწერით ნიშნად იმისა, რომ საქართველოს სამხედრო გზის უკიდურესი სიმაღლე ზღვის დონიდან შეადგენს 2395 მეტრს. აქ თავდება ისტორიული ხევის ტერიტორია და იწყება არაგვის ხეობა.
ხევის არქეოლოგიური ძეგლები. ხევის ტერიტორია მდიდარია არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლებით. 1874 წელს სოფ. სტეფანწმინდაში დღევანდელი ალ. ყაზბეგის სახლმუზეუმის ეზოსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, გზის გაყვანასთან დაკავშირებულ მიწის სამუშაოების დროს, მუშებმა შემთხვევით იპოვეს ბრინჯაოს ნივთები და სამკაულები. ნაპოვნი იმდენად საინტერესო იყო, რომ არქეოლოგთა ყურადღება მიიქცია. 1877 წ. რუსეთის არქეოლოგიური კომისიის დავალებით, თავად ყაზბეგის ეზოში გათხრების ჩატარება დაევალა გ. ფილიმონოვს. არქეოლოგებმა აქ გათხრები აწარმოეს, რის შედეგად აღმოჩნდა ძველი წელთაღრიცხვის VI-V სს. განძი (დაახლოებით 200 ნივთი). განძის შემადგენლობაში იყო აქემენიდური ხელოვნების ნიმუშები: ვერცხლის ფიალა,

ბრინჯაოს ჭურჭელი, ფიბულები, ირმის პატარა ქანდაკება, ადამიანის გამოსახულება, კვერთხისთავი, სარტყელი, რკინის სატევარი, შუბი და სხვა. აღმოჩენილი, ორიგინალური ნივთები მსოფლიოს კულტურის ძეგლთა საგანძურში „ყაზბეგის განძის" სახელწოდებით შევიდა.

1878 წელს „ყაზბეგის განძის" აღმოჩენის ადგილზე გათხრები ჩაატარა, ცნობილმა ბუნებისმეტყველმა და არქეოლოგმა ფრიდრიხ ბაერნმა, მან აღმოაჩინა მეტად საინტერესო ნივთები: ოქროსა და ვერცხლის ბრინჯაოს სამკაულები, მძივები, რკინის შუბისპირები და ცხენის აკაზმულობის ნაწილები.

გარდა ამისა, დაზვერვითი სამუშაოები ჩაუტარებია სნოს ხეობაში, სადაც სოფ. ჯუთასა და სოფ. ართხმოში შეუსწავლია შუა საუკუნეების კოლექტიური სამარხი-ქვაყუთები. მცირე სამუშაოები დარიალის-თამარის ციხეზეც უწარმოებია.

არქეოლოგთა V ყრილობასთან დაკავშირებით, რომელიც თბილისში უნდა ჩატარებულიყო, 1879 წ. კავკასიაში ჩამოვიდნენ არქეოლოგიური კომისიის წევრები, ცნობილი მკვლევარები ს. და პ. უვაროვები, ვ. ანტონოვიჩი, კ. ოლშოვსკი და სხვ.

ისინი მცირე გათხრების ჩატარების მიზნით ყოფილან სოფ. ყაზბეგში და ფ. ბაიერნის განათხარი ფართობის სამხრეთით ამოღებულ საცდელ თხრილში მიუკვლევიათ ცალკეული ნივთების შემცველ კულტურული ფენისა და სამი სამარხისათვის. სამარხებში ძვლები ცუდად ყოფილა დაცული, მაგრამ ჩონჩხების მიმართულების გარკვევა მაინც შესაძლებელი იყო. აქ აღმოჩენილი რკინის, ბრინჯაოს, ოქროს, ვერცხლის ნივთები, გ. ფილიმონოვის მიერ აღმოჩენილი ნივთებთან შედარებით, უფრო გვიანდელი ჩანდა, მაგრამ ზოგიერთი ნივთის (მაგ. მშვილდსაკინძების, ზარების) მსგავსება უეჭველს ხდიდა, რომ ყაზბეგის განძის ტრადიციების გაგრძელებასთან გვქონდა საქმე.

1882 წ. სოფ. გველეთთან მცირე მასშტაბის გათხრები ჩაატარა არქეოლოგიის მოყვარულმა ხატისოვმა, რის შედეგადაც აღმოჩნდა, გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეთა ხანის ნივთები: ზამბარიანი მშვილდსაკინძები, ბრინჯაოს სარკეები, მძივები და სხვა.

1888 წ. ყაზბეგში გათხრები აწარმოა არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარემ ა. ბობრინსკიმ. სოფლის შარაგზაზე გაჭრა თხრილი, სადაც 1 მ სიღრმეზე, დედაქანის ზემოთ აღმოჩნდა

დიდი გათლილი ქვის ფილა, რომლის ირგვლივ ჯგუფად ეყარა ნივთები: ორნამენტიანი ოქროს ფირფიტა, ვერცხლის ავგუსტის დენარი, ორი ბეჭდის თვალი (ერთ მათგანზე მხედარი იყო ამოჭრილი) 140 ცალი მძივი, სამი მთლიანი და ერთი გატეხილი ბრინჯაოს ზანზალაკი, ბრინჯაოს ჯაჭვი.

1934-1935 წწ. ნ. მარის სახელობის მატერიალური კულტურისა და ინსტიტუტის მიერ, მ. კრუგლოვის ხელმძღვანელობით მდ. თერგის ხეობაში ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები. ექსპედიციის მიზანი იყო ძველი ნამოსახლარების გამოვლენა. ექსპედიციამ აღმოაჩინა შუა საუკუნეების 300-მდე ნამოსახლარი, მდ. არმხის შესართავთან კი მიაკვლია უძველეს ნამოსახლარს.

1958 წელს წყალდიდობის დროს, სოფ. ლარსის მახლობლად, თერგის მიერ გადარეცხილი გზის ქვეშ, აღმოჩნდა ინვენტარიანი სამარხები. (ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საცავი (3), ხელნაწერი).

1960 წ. ყაზბეგის რაიონში მუშაობდა გეოლოგთა ჯგუფი, რომელსაც ევალებოდა დარიალჰესის მშენებლობის ადგილის მიკროსეისმოლოგიური გამოკვლევა.

ამ სამუშაოებთან დაკავშირებით ი. გრძელიშვილმა მდ. ტერხენას მარცხენა ნაპირზე განლაგებულ ბორცვთა შორის გათხარა ერთ-ერთი. გათხრისას გამოვლინდა თლილი ქვებით მშვენივრად ნაშენი საცხოვრებელი შენობის ნაშთები. მცირე რაოდენობით მოპოვებული არქეოლოგიური მასალის საფუძველზე, შენობა ადრეშუასაუკუნეებს უნდა მიეკუთვნებოდეს. ბორცვები თითქმის ერთი ზომისაა და თითქოს ერთდროულად არის მიტოვებული.

ი. გრძელიშვილმა იმუშავა ა. ყაზბეგის სახლ მუზეუმის ეზოშიც. ეკლესიასა და მუზეუმს შორის მდებარე ფართობზე გატარებულ საცდელ თხრილში მასალა არ აღმოჩენილა.

1962 წ. ზაფხულში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა ყაზეგის რაიონში მიავლინა შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ექსპედიციის ყაზბეგის რაზმი, რომელსაც ევალებოდა სამუშაოების ჩატარება ალ. ყაზბეგის სახლ. მუზეუმის ეზოში, ძველი აღმოჩენების ადგილზე. აქ იქნა გატარებული 4 სადაზვერვო თხრილი.

№3 თხრილში გამოვლინდა გვიანშუასაუკუნეების უინვენტარო ქვის სამარხები. №1 თხრილში გ. ფილიმონოვისა და ვ.

ბაიერნის მიერ შესწავლილ დონემდე მოხერხდა ჩასვლა, შემდეგ ტექნიკური მიზეზების გამო მუშაობა შეჩერდა. რაზმმა დაზვერვები და მცირე გათხრები ჩაატარა ხევის სხვა უბანზეც. ზოგან სამუშაოების ჩატარებას ძეგლების გადარჩენის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. მაგ. თამარის ანუ დარიალის ციხის ტერიტორიაზე, გაზსადენის გაყვანასთან დაკავშირებით აფეთქებული იყო ციხის ნაწილი, გაშიშვლებული იყო კერამიკისა და ოსტეოლოგიური მასალის შემცველი კულტურული ფენები. დარიალის ციხის კულტურული ფენებისა და საცდელი თხრილებიდან მომდინარე მასალა ნათლად მოწმობდა, შუა საუკუნეების მასალებთან ერთად, ანტიკური ხანის ფენების არსებობას.

რაზმმა იმუშავა სოფ. ლარსის მახლობლად, სადაც სატელოფონო კაბელის გაყვანასთან დაკავშირებით დაზიანდა კულტურული ფენები. აქვე აღმოჩნდა დაუზიანებელი სამარხიც. მოხილულ იქნა ისტორიული არქეოლოგიის თვალსაზრისით საინტერესო უბნები: სოფ. გველეთის, გორისციხის, არშას ციხე-კოშკები, სოფ. სიონი და გარბანი და აქ აღმოჩენილი სამარხები და აკლდამები, დაიზვერა სოფ. სნოს მიდამოები.

1963 წ. აკად. ნიკო ბერძენიშვილის წინადადებით ხევში მივლინებული იყო ხევის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც გათხარა დარიალის ციხის პლატოზე მდებარე სათავსოები, სამარხები. უფრო საფუძვლიანად დაიზვერა მთელი რაიონი. საცდელი თხრილი გატარდა ა. ყაზბეგის მუზეუმის ეზოს ჩრდილო ნაწილში. გზის მახლობლად თხრილში აღმოჩნდა რომბული მოყვანილობის ქარვისა და მრგვალი, კარგად დამუშავებული სარდიონის მძივი. ორივე მათგანი ეხმაურება გ. ფილიმონოვისა და ფ. ბაიერნის აღმოჩენებს.

1966 წ. გაზაფხულზე, დარიალის ხეობაში, მდ. თერგის მარჯვენა ნაპირზე, ადგილ მცირე „არკასთან," იმავე „გიგიას სათიბად" წოდებულ ადგილზე, შემთხვევით გამოჩნდა სამარხების ჯგუფი, რომელიც ნაწილობრივ გათხარა და შეისწავლა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორის თანამშრომლებმა. სამაროვანი ორსართულიანი იყო. ზედა უინვენტაროა, ქვედა შეიცავდა საყურადღებო მასალას. მონეტების საფუძველზე იგი IX საუკუნით დათარიღდა.

1972 წ. ამავე სამაროვანზე მუშაობა გააგრძელა ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის რაზმმა გ. ღამბაშიძის ხელმძღვანელობით. მათ მიერ გაითხარა ადრეული შუა საუკუნეების 39 სამარხი.

1973 წ. ჟინვალის ექსპედიციის ხევის რაზმმა სამუშაოები ჩაატარა ტყარშეთში, გარბანში, დაზვერა თერგის ორივე სანაპირო – ყაზბეგის რაიონის ფარგლებში. გაიწმინდა სოფ. ტყარშეთში შუა საუკუნეების ეკლესიები და მასთან დაკავშირებული სამაროვანი.

1989-1991 წლის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ექსპედიციის ხევის რაზმმა დ. მინდორაშვილის ხელმძღვანელობით დარიალის ხეობაში, გველეთის ციხის ჩრდილოეთით, გათხარა ადრეული შუა საუკუნეების 16 სამარხი. სამუშაოები ჩატარდა დარიალის ციხის ტერიტორიაზე, სამაროვანზე, საცხოვრებელ ნაგებობებზე და თვით ციხეზე.

ყაზბეგის აღმოჩენებს, გარდა უშუალოდ მისი გამთხრელი არქეოლოგებისა, სწავლობდნენ სხვა მკვლევარებიც.

ხევის ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან აღსანიშნავია: IX-X საუკუნეების - ახალციხის, სიონის, გარბანის ეკლესიები. სიონის ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა. გუმბათიანი ეკლესიაა სამება, რომელიც XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზეა აგებული. გერგეტის მყინვარის მახლობლად ბეთლემის გამოქვაბული შუა საუკუნეებშია გამოკვეთილი. აღსანიშნავია, აგრეთვე, შუა საუკუნეების არშის, დარიალის, სნოს (იგივე ღუდუშაურის) ციხეები. გარდა ამისა, ხევში ბევრია თავდაცვითი დანიშნულების კოშკები.

ყაზბეგი. ისტორიულ ხევის ცენტრს – სტეფანწმინდას (ამჟამად რაიონული ცენტრი) ყაზბეგი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შეერქვა ყაზიბეგ ჩოფიკაშვილის პატივსაცემად. ჩოფიკაშვილს ებარა რუსეთ-საქართველოს მაერთებელი მთავარი გზა. ამ მხარეს იგი განაგებდა. მისი სახელი შეერქვა აგრეთვე მყინვარწვერსაც, რომელიც დღეს მსოფლიო მთასვლელთა შორის საყოველთაოდაა აღიარებული. ყაზბეგში არის სასტუმრო და იქვე მახლობლად ტურბაზა.

ყაზბეგის მწვერვალი იშვიათი სანახავია, წლის ყოველ დროს და დღის ყოველ მონაკვეთში. განსაკუთრებით დიდებული და შთამბეჭდავია მზის ამოსვლისას.

ცენტრთან ახლოს დგას ალექსანდრე ყაზბეგის მამისეული სახლი და მათი კარის ეკლესია, აგებული 1809 წელს. ყაზბეგისეულ ორსართულიან სახლში ამჟამად მხარეთმცოდნეობის მუზეუმია. შენობის წინ მწერლის საფლავია ბიუსტით. მუზეუმში წარმოდგენილი მასალებიდან მნახველი ერთი თვალის გადავლებითაც გაეცნობა მოხევეთა ისტორიულ წარსულსა და აწყმოს.

ყაზბეგის ძველ კვარტალში ჯერ კიდევ ბლომადაა შერჩენილი მოხევეთა სახლები – ქვით ნაგები, დაბალი და ჯმუხი. ფეოდალური ხანის ნაგებობებიდან აღსანიშნავია ამავე უბანში მდგარი ორი კოშკი. ადგილობრივთა გადმოცემით, აქ ამ ასიოდე წლის წინათ ოთხი კოშკი ყოფილა.

აღნიშნული ორი კოშკი ერთმანეთს ასიოდე მეტრითაა დაცილებული და ისეთი მსგავსნი არიან, რომ საფიქრებელია ერთი და იმავე ოსტატის მიერ იყოს აგებული. ორივე კოშკს შესასვლელები მაღლა აქვს, ერთმანეთის მოპირდაპირედ. ჩანს, ერთიანი ფრონტი ჰქონიათ.

აღმოსავლეთით მდგარი პირამიდული ფორმის კოშკში პირველი სართული მაღლა იწყება, ქვედა ტანი ნაწილობრივ მასიურია. პირველი სართული მაღალია კამაროვანი გადახურვით. მეორე სართულიდან ნაწილებია შერჩენილი. ორივე სართულის კედლებში სათოფეებია განლაგებული.

დაახლოებით ასეთივე გადაწყვეტისაა მეორე კოშკიც. ორივე კოშკი აგებულია XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე.

ახალციხე. სოფელ სნოს ზემოთ, სამიოდე კილომეტრის მოშორებით გზას კვეთავს პატარა მდინარე. სწორედ ამ გადაკვეთის ადგილას მდებარეობს სოფელი ახალციხე.

ახალციხის სახლებში შორიდანვე მოჩანს სამნავიანი ბაზილიკის სილუეტი. ახლოს დათვალიერებისას ირკვევა, რომ ამ ბაზილიკას ბევრი საერთო აქვს სიონის ბაზილიკასთან და მასთან ერთად თარიღდება IX საუკუნით ან მომდევნო საუკუნის დასაწყისით.

ეკლესიის გეგმა თითქმის კვადრატულია. სამწუხაროდ, იგი ძალიანაა დაზიანებული, განსაკუთრებით ზედა ნაწილები. შესასვლელი დასავლეთის ცენტრშია. ცენტრალური განიერი ნავი სამ-სამი თაღით უერძთდება გვერდით ნავებს. ცენტრალური და ჩრდილოეთის ნავები ჩანგრეულია და შემდეგ ხით აღუდგენიათ. სამხრეთის ნავის ცილინდრული თაღი

შერჩენილია. ნავების გამყოფ სვეტებს გრეხილებით მორთული ორიგინალური კაპიტელები ამთავრებს.
საკურთხეველი აქაც სამი ნაწილისაგან შედგება. ცენტრში განიერი აფსიდია, გვერდებზე კი სადიაკვნე და სამკვეთლოს მცირე სათავსები.
ფასადები მარტივია. თავდაპირველი თაღოვანი კარნიზის ფრაგმენტი ჩართულია ჩრდილო ფასადის შუა ნაწილში. კარნიზის ასეთი ფორმა სწორედ დამახასიათებელია ეკლესიის აგების პერიოდისათვის. ფასადების მორთულობა მეტად მცირეა, ისიც მხოლოდ აღმოსავლეთის მხარეს. აქ ცენტრალურ სარკმელს შემოვლებული აქვს ისეთივე გრეხილოვანი ლილვი, როგორიც შიგნით კაპიტელებზეა. გვერდით პატარა სარკმელებს მხოლოდ ხაზები შემოუყვება.
გერგეტის სამება – ეს ერთადერთი გუმბათოვანი და, იმავე დროს, ყველაზე დიდი ეკლესიაა ხევში – ხევის მთავარი სალოცავი, ყაზბეგის მახლობლად, სოფელ გერგეტის ზემოთ მთაზე.
რაიონული ცენტრის ყაზბეგის დასავლეთით თვალწარმტაცი ხედი იშლება, რომელსაც აგვირგვინებს მუდამ თოვლით შემოსილი მყინვარწვერი. მის წინ მდებარე მაღალი მთის თავზე (ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე) სილუეტად მოჩანს ორი ნაგებობა – ეკლესია და სამრეკლო. ამ ეკლესიას ადგილობრივი მკვიდრნი „წმინდა სამებას” უწოდებენ.
სამებაზე მიმავალმა ყაზბეგიდან თერგი უნდა გადაიაროს და სოფელ გერგეტში შევიდეს. სოფელში აქა-იქ შემორჩენილია ბოლო საუკუნეებისათვის დამახასიათებელი კოშკური სახლები. ერთ-ერთი მათგანის კარის თავზე რელიეფურად გამოსახულია ორი გველი, რომელთაც თითქოს ოჯახის მფარველობა ეკისრებათ.
გერგეტის სამების ეკლესიასა და სამრეკლოს ფართო გალავანი შემოუყვება, მას თავდაპირველი სიმაღლე არ შერჩენია, მაგრამ ზოგ ადგილას საკმაო სიმაღლისაა. ეზოში ერთადერთი შესასვლელი სამრეკლოს პირველ სართულზე ყოფილა, რომელიც გვიან ამოუშენებიათ და ახლა იქვე გვერდით გაუკეთებიათ მარტივი კარი.
ეკლესია ცენტრალურ-გუმბათოვანია და მიეკუთვნება XI საუკუნიდან საქართველოში გავრცელებულ ეკლესიათა ტიპს. ისტორიას არ შემოუნახავს არც ძეგლის აგების თარიღი, არც

ხუროთმოძღვართა ვინაობა, მაგრამ არქიტექტურული ფორმებით ტაძრისა და სამრეკლოს აგების თარიღი XIV საუკუნის პირველ ნახევარს უნდა მიეკუთვნოს. ძეგლი თარიღდება XIII-XIV საუკუნეთა მიჯნის ძეგლებთან სტილისტიკური სიახლოვის საფუძველზე.

სამების ანსამბლს, რომელიც შედგება ტაძრისა და სამრეკლოსაგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ირგვლივ დაბალი გალავანი აკრავს.

ტაძრის გარე მასები ქმნის ამ ტიპის ეკლესიებისათვის დამახასიათებელ კომპოზიციას, თლილი ქვით ნაგები კედლები უხვადაა მორთული. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ლილვებითა და ჩუქურთმებით მოკაზმული კარ-სარკმლები. მნახველის ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, ყველა ფასადის ცენტრალური სარკმლის თავზე აღმართული დეკორატიული ჯვრები, ათწახნაგოვანი გუმბათის ყელი თაღებითაა შემკული.

შიდა ხალვათ სივრცეს არაჩვეულებრივად მაღალი გუმბათი აგვირგვინებს, ამ სივრცის განათება გვერდებიდან და გუმბათის ყელიდან შემოსული სინათლით ხდება. ყურადღებას იპყრობს ტაძრის შიდა კედლების მოპირკეთება კარგად ნაწყობი თლილი ქვით.

ორსართულიანი სამრეკლო მდებარეობს ტაძრის სამხრეთით რამდენიმე ნაბიჯზე. ტაძრის გალავანში შესასვლელი ყოფილა სამრეკლოს პირველ სართულიდან, სადაც ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებში თითო ვიწრო კარი მდებარეობს, სამრეკლოს თლილი ქვით შემოსილი კედლები ნაწილობრივ მორთულია ჩუქურთმებითა და ბარელიეფებით. სამრეკლოც XIV საუკუნეში უნდა იყოს აგებული.

ლამაზი ბუნების წიაღში მდგარი სამების ანსამბლი იმითაც არის საინტერესო, რომ ასეთი რთული და დიდი ზომის ნაგებობა სხვა არ გაგვაჩნია საქართველოს მთიანეთში.

ბეთლემის მონასტერი. მყინვარწვერის მასივზე (4100 მ) ციცაბო მოწითალო ანდეზიტის კლდეში (კლდის ძირიდან 300 მ სიმაღლეზე) გამოკვეთილია ძნელად მისადგომი და ლეგენდებით მოცული ბეთლემის მონასტერი, რომელიც ჯერ კიდევ XIX ს. დასაწყისში განდეგილთა საცხოვრებელი იყო. მასზე ასვლა ჩვეულებრივი გზით არ ხერხდება, ტექნიკური აღჭურვილობაა საჭირო.

გარბანი. სამხედრო გზაზე, სიონსა და ყაზბეგს შორის მდებარეობს სოფელი გარბანი. მის სამხრეთ-აღმოსავლეთის განაპირას მდგარი ეკლესია მაღალი და ვიწრო პროპორციისაა, რის გამო იგი შორიდან კოშკი ჰგონიათ. ასეთი სახე მიიღო მან დროთა განმავლობაში გვერდითი ნაწილების დაკარგვის გამო. ეკლესიის მთავარი ნაწილი ცენტრალურ ერთნავიან დარბაზს წარმოადგენს. ჩრდილოეთით მიშენებული აქვს პატარა ეკლესია, ხოლო სამხრეთით, მთელ სიგრძეზე, ნაწილობრივ ღია ეკლესიაა. ამჟამად ცენტრალური დარბაზის კამაროვანი გადახურვა ჩანგრეულია. ასევე დაზიანებულია საკურთხეველი, ეს ვრცელი სათავსი ნათდებოდა ოთხივე მხარეს არსებული სარკმლებით. შესასვლელები ჰქონდა დასავლეთით და სამხრეთით.

ჩრდილოეთით მიდგმული, ახლა თითქმის დანგრეული ეკლესია მცირე ზომისა იყო. მისი სიგრძე დასავლეთის ბოლომდეც არ მიდის. ეს ვიწრო სათავსიც კამარით ყოფილა გადახურული და ნახევარწრიულად მთავრდებოდა. ეკლესიას გასანათებლად მხოლოდ აღმოსავლეთით ჰქონია სარკმელი. კარით ცენტრალურ ეკლესიასთანაა დაკავშირებული.

ეკლესიის სამხრეთის მინაშენი შედარებით რთულია. იგი, უპირველეს ყოვლისა, კარიბჭის როლს ასრულებდა. ნანგრევებიდან ირკვევა, რომ აქ ყოფილა სამთაღოვანი ღია შესასვლელი. აღმოსავლეთის ნაწილი აფსიდით მთავრდება, რაც იმის მაუწყებელია, რომ აქ სრულდებოდა მცირე საეკლესიო წირვა. აფსიდი სარკმლით ნათდებოდა.

მთავარი და გვერდითი მინაშენების შიდა კედლები შემოსილი ყოფილა კარგად თლილი კვადრებით. ინტერიერის კედლების ასე შემოსვა დამახასიათებელია ადრეული საუკუნეების ძეგლებისათვის. მოგვიანებით, როდესაც ეკლესიათა შიდა კედლების მოხატვა აუცილებელი გახდა, ეკლესიის კედლები შეულესიათ და საფიქრებელია, რომ ფრესკული მხატვრობით იქნებოდა დამშვენებული.

ეკლესიის ფასადების მორთულობა მცირეა, მაგრამ თლილი ქვით ისე კოხტადაა შემოსილი, რომ მორთულობის სიმცირეს ვერა გრძნობთ. არქიტექტორი არაჩვეულებრივი ტაქტით ათავსებს მორთულობის მცირე ელემენტებს სარკმლების ზემოთ, ხოლო შენობას მთლიანად აგვირგვინებს თაღოვანი კარნიზით.

ეკლესიის ფასადებზე რამდენიმე წარწერაქა, ზოგან წარწერის ფრაგმენტია. ამათგან საინტერესოა აღმოსავლეთის ფასადის მარცხენა ნაწილში მოთავსებული ორსტრიქონიანი ნუსხური წარწერა, რომელიც ასე იკითხება: „წმიდის გიორგის ოქრო.” მართალია, აქ შინაარსი მთლიანად ნათელი არ არის, მაგრამ საგულისმოა ოქროს მოხსენიება. ხალხში ამ ეკლერსიას ახლაც ეძახიან „ოქროს ბებერი წმიდა გიორგის ეკლესიას.” ცხადია, ხალხში დარჩენილ ამ სახელს თავისი ახსნა ექნებოდა.
ეკლესიის წარწერებში თარიღი არ ჩანს, მაგრამ ძეგლი IX-X საუკუნეებს მიეკუთვნება.
ეკლესიის გალავანი ამჟამად დაზიანებულია, მაგრამ ემჩნევა, რომ ისიც კაპიტალურად ყოფილა ნაგები. შემოსასვლელის თავზე ჯვრებია დადგმულ;ი. გალავნის შიგნით ძველი სამარხები ჩანს.
სიონი. სამხედრო გზაზე (ყაზბეგის რაიონში) გამვლელის ყურადღებას ორი სილუეტი იპყრობს. ერთია სიონი თავისი კოშკით, ხოლო მეორე – გერგეტის ანუ ყაზბეგის სამება. ამ ადგილას ხეობა ვიწროვდება და მდ. თერგის კალაპოტიც ვიწრო და ღრმაა. სწორედ ამ ადგილზე ბატონობს მთიდან გადმომდგარი სიონის კოშკი. იგი თითქოს კლდესთანაა შეზრდილი და მეტად მიმზიდველ კომპოზიციას ქმნის. აქედან კარგად მოჩანს არსის ციხე და ფანშეტის კოშკები.
კოშკი ყველა მონაცემებით აგებულია X-XII საუკუნეებში. იგი დიდი ზომის მასიური ნაგებობაა და ისე მკვეთრად ვიწროვდება ზემოთკენ, რომ თითქმის პირამიდულია. გზის მხარეს მდებარე ერთადერთი კარი მაღლაა, მის ზემოთ ხუთი სართულია. სართულები ნათდება მცირე ზომის თაღოვანი სარკმლებით. მეხუთე სართულის ცენტრში არსებული ფართო ღიადები თავდაცვითი ხასიათისა უნდა ყოფილიყო. კოშკი ნაგებია ანდეზიტის მოწითალო ქვის დიდი ზომის კვადრებით.
კოშკის ირგვლივ განლაგებულია მოხევეთა ძველი საცხოვრებელი სახლები, რომლებიც ამჟამად მიტოვებულია. ამ ნანგრევებში შეიძლება ბევრი საინტერესო კომპლექსის პოვნა. ტაძარი ყველაზე განთქმული სამლოცველო იყო მოხევეთათვის.
ეკლესია სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს. იგი აგებულია IX საუკუნის ბოლოს ან X საუკუნის დასაწყისში. ეკლესია თითქმის ხელოვნურ შემაღლებაზეა დადგმული და გალავანიც შესაბამისად არათანაბარგვერდებიანია.

ტაძრის გეგმა ამჟამად კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედია, მაგრამ მას უნდა აკლდეს გვერდითი მინაშენები, რითაც თავის დროზე გეგმა სხვა ფორმას მიიღებდა. შესასვლელი ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდანაა. ცენტრალური ნავი გვერდის ნავებს უერთდება სამ-სამი თაღით. თაღების სიგანე აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ კლებულობს. აფსიდის გვერდებზე თითო სწორკუთხა სათავსია.აფსიდის ირგვლივ საფეხურია მღვდელმსახურთა ჩამოსაჯდომად, მის ცენტრში შემაღლებაა. საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია თაღედით. ასეთი გადაწყვეტა ჩვეულებრივია ქართული ეკლესიისათვის. ინტერიორს ერთ დროს ფრესკული მხატვრობა ამშვენებდა, ახლა კი მისი უმნიშვნელო ფრაგმენტებია შემორჩენილი.

ტაძარს გარედან სამნავიანი ბაზილიკისათვის დამახასიათებელი ფორმა აქვს. შუაზე ცენტრალური ნავი აწეულია და ორქანობიანი სახურავითაა გადახურული, გვერდებზე თითო ქანობია. ფასადებიდან მორთულობა მხოლოდ აღმოსავლეთისას აქვს. ეზოში აღსანიშნავია ქვის სვეტი, რომლის ძირს მდებარე ქვაზე დამდგმელის წარწერაა ძველი ქართულით.

თერგის მარცხენა ნაპირზე კიდევ ბევრი საინტერესო ძეგლია. მათ შორის აღსანიშნავია მდინარის ნაპირას კლდოვან გორაკზე მდგარი „გორისციხე.” ქვემოთ ერთ-ერთ ხეობაში ფანშეტის კოშკი მოჩანს. იგი იშვიათი კომპოზიციის მეტად ორიგინალური ნაგებობაა.

ფანშეტი. სოფელი ფანშეტი მდებარეობს ყაზბეგსა და სიონს შორის, მდინარე თერგის მარცხენა ნაპირას. ამ ადგილას, მარჯვნივ თერგს შეერთვის სნოსწყალი. ამ ორი ხეობის შესაყარში აუგიათ საყარაულო კოშკები, რომლებიც დღესაც კი მიუვალია. აქ კოშკების ორი ჯგუფია. ერთი ქვემოთაა დღევანდელი სოფლის ადგილას და მეორე ზემოთ სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მაღალი მთის ფერდობზე, სადაცადრე ყოფილა სოფელი ფანშეტი, ხოლო XIX ს-ში მისი მცხოვრებნი ძირს ჩამოსულან შიშიანობის დაცხრომის გამო.

ერთი კოშკი მდგარა თერგსა და სნოსწყალს შორის. ამჟამად იგი სანახევროდ დანგრეულია. აქ სოფელი აჩხოტია.

ამ ხეობაში კოშკების ჯაჭვია. აქედან ნიშნის მიცემა შეიძლება ყაზბეგის, აჩხოტისა და სიონის კოშკებისათვის.

ახლა ფანშეტში ორი კოშკია. ერთი მათგანი დგას თითქმის გზისპირას, მეორე კი – ჩრდილოეთით ასიოდე მეტრზე. პირველი კოშკი დგას პიტალო კლდეზე და იშვიათი პროპორციის ნაგებობაა. მას შესასვლელი დასავლეთით ჰქონია. კლდე გამოფიტულია და ახლა შესვლა ძნელია. შემდეგ კარისთვის დამცველი სათავსი მიუდგამთ.

კოშკის ზედა ნაწილი დეკორატიულადაა გადაწყვეტილი. ზემოთ ყოველ კუთხეში წვეტიანი ქვები დგას, ოთხივე მხარეს კი სწორკუთხა სალოდეებია. ორსართულიანი კოშკის სართულშუა გადახურვა ხისაა გარდა ერთისა, სადაც კამარაა გამოყენებული. ეს კონსტრუქციულად გამართლებულია, სულ ზემოთ ბანია.

მეორე კოშკი დაზიანებულია. მაგრამ ეტყობა, რომ ისიც ამის მსგავსი ყოფილა, მხოლოდ პროპორციებით ბევრად ჩამოუვარდება მას.

კოშკები აგებული უნდა იყოს ბევრად ადრე თოფის შემოღებამდე.

დარიალის ციხე – ქვეყნის დაცვას ძირითადად ის ციხესიმაგრეები ემსახურებოდა, რომლებიც იდგა საზღვრებზე, მაგისტრალებზე, გზაჯვარედინებზე და საერთოდ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში. მტრის შემოსევის დროს პირველ დარტყმას ეს ციხეები იღებდნენ. ამიტომ მათში უნდა მდგარიყო გარნიზონი, თორემ დაკისრებულ მოვალეობას ვერ შეასრულებდნენ და მომხდური დაუბრკოლებლად შემოვიდადა ქვეყნის შიგნით.

ციხესიმაგრე ერთხელ შემუშავებული ფორმითა და კონსტრუქციით როდი იგებოდა. როგორც ცოცხალი ორგანიზმი იგი პასუხობდა თავის ეპოქას. ეპოქების მიხედვით კი ბევრი რამ იცვლებოდა და ყველაფერი ეს უშუალოდ აისახებოდა ნაგებობის საერთო გადაწყვეტასა და დეტალებში.

დარიალი ჰქვია მდ. თერგის ვიწრო ხეობას, რომელსაც პიტალო კლდეების ვერტიკალური კედლები საზღვრავს. სიტყვა დარიალი სპარსულად ნიშნავს „ალანთა კარს" (დარი-ალან); ქართველები ამ ხეობას უწოდებენ „არაგვის კარს," ან კიდევ „ოვსთა (ალანთა) კარს". თავისი სიმაგრით ეს ხეობა მართლაც კარი იყო ამიერკავკასიისა და ჩვენი წინაპრები მის გამაგრებას დიდ ყურადღებას აქცევდნენ, მუდამ ზრუნავდნენ მტკიცედ ჰქონდათ იგი ჩაკეტილი, ვინაიდან ჩრდილოეთის ხალხები

აქედან იჭრებოდნენ ხოლმე ჩვენს ქვეყანაში თავისი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო დარიალის ხელში ჩაგდებასა და ჩაკეტვას ცდილობდნენ დიდი ქვეყნებიც: სპარსეთი, ბიზანტია, არაბეთი, მონღოლეთი ..

საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრის გამაგრების ხაზი გადიოდა არა უშუალოდ კავკასიონის უღელტეხილზე, არამედ ქედს გადაღმა, მის ჩრდილოეთ ფერდობზე. ნანგრევების მიხედვით ირკვევა, რომ ძველისძველად ხეობის გარდიგარდმო აღმართული ყოფილა სქელი, მტკიცე კედლები, რომლებსაც ჩაყოლებული ჰქონდა კოშკები. მემატიანეთა ცნობით ქართველებს დარიალის ხეობა ჯერ კიდევ ძვ. წ. II ს-ში გადაუღობავთ მაგარი კედლით, რომელსაც რკინის კარი ჰქონია. ქართული საისტორიო ტრადიციებით დარიალში პირველი ციხე აუგია ვახტანგ გორგასალს (V ს.), მაგრამ ციხე, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, გაცილებით ადრეა აშენებული. შესაძლოა ვახტანგმა ამ ხეობაში სადმე სხვაგან, წინა ხაზზე ააგო ციხე, ან ანტიკური ხანის ციხე გააფართოვა.

როცა არაბებმა საქართველო დაიპყრეს, მაშინვე ჩაკეტეს დარიალი. ამით თავი დაიზღვიეს ჩრდილოელთა თავდასხმებისაგან. თუკი სჭირდებოდათ, თვითონ აღებდნენ მას. ასე მოიქცა ბუღა-თურქი, როდესაც IX ს-ის შუა ხანებში ამიერკავკასიას შემოესია და ააწიოკა. მემატიანეს ცნობით ბუღა-თურქს ერთგულ ახალშენთა შექმნა მოუნდომებია. ამ მიზნით გააღო დარუბანდის კარი, გადმოიყვანა სამასი ხაზარი და შამქორს დაასახლა, ხოლო დარიალის კარით ასი ოსი დმანისში გადმოიყვანა.

XII ს-ის დამდეგს დარიალის კარი ოსთა ხელში ყოფილა. როცა დავით აღმაშენებელმა საკუთარი ლაშქრის გასაძლიერებლად ყივჩაღთა გადმოყვანა განიზრახა, წავიდა ჩრდილოეთ კავკასიაში, მოარიგა ოს-ყივჩაღნი და მორჩილების ნიშნად ორივეს მძევლები გამოართვა. ამას გარდა დაიბრუნა დარიალის ციხე, წაართვა იგი ოსებს და შიგ თავისი ჯარი ჩააყენა.

XIII ს-ის ბოლოს, როდესაც დავით VI-ს გამწვავებული დამოკიდებულება ჰქონდა ირანთან, მან ძველი ხერხი გამოიყენა: განიზრახა ირანისათვის ჩრდილოეთში გაბატონებული ოქროს ურდო დაეპირისპირებინა და ამ მიზნით დარიალის კარის გახსნა დააპირა. ასეთი ნაბიჯით დავით მეფემ პოზიციები

გაიმაგრა, რადგან დარიალის გახსნით დიდ განსაცდელში აგდებდა ირანის ილხანს.
მომდევნო პერიოდში, კერძოდ XV ს-ის პირველ ნახევარში დარიალის კარი კვლავ საიმედოდ ეჭირა მეფე ალექსანდრე დიდს.
XVIII ს-ის ბოლოს გიორგი XII-ემ, როცა რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტა განიზრახა, პირველ და მთავარ ღონისძიებად დარიალის კარის სამუდამოდ დახშობა მიიჩნია, მაგრამ განზრახვა მალე შეცვალა.
დარიალის ხეობის საიმედოდ დასაცავად ციხესიმაგრე მდ. თერგის მარცხენა ნაპირის კლდოვან მთაზე აუგიათ. ციხე მუდგომელი იყო ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან, რადგან ამ მხრიდან სალი კლდე საზღვრავდა. დასავლეთით კი აუშენებიათ მაგარი კედლები, რომელთა შორის არსებული ტერიტორია ციხის დამხმარე ეზო იყო.
თავდაპირველ ციხეს ეჭირა კლდოვანი მთის ზედა ნაწილი, დაახლოებით ერთი ჰექტარი ფართობი. ნანგრევებში არის ქრონოლოგიურად განსხვავებული ფენები, რაც იმაზე მიუთითებს რომ ციხეს სტატეგიული მნიშვნელობა გვიან საუკუნეებშიც არ დაუკარგავს. ციხის ტერიტორიაზე გალავნისა და კოშკების გარდა მრავლადაა სხვა ნაგებობათა ნაშთებიც. ციხეს შესასვლელი სამხრეთიდა უნდა ჰქონოდა. ამავე მხარეს ყოფილა მდინარეზე ჩასასვლელი საიდუმლო გვირაბიც. შემდეგ სიმაგრეს სასმელი წყლით დასავლეთიდან მომდინარე თიხის წყალსადენი ამარაგებდა.
დარიალის ხეობაში ეს ადგილი ციხესიმაგრისათვის ყველაზე ხელსაყრელი იყო, რასაც ისიც ადასტურებს, რომ რუსეთმა XIX ს-ის დამდეგს ამიერკავკასიაში მომავალ მთავარ გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ციხე ზუსტად აქ, ძველი ციხის გვერდით ააგო.
დარიალის ვიწრო ხეობა ოციოდე კილომეტრზეა. შემდეგ თანდათანობით იშლება და ბოლოს ველზე გადის. გზაზე აქა-იქ კიდევაა უმნიშვნელო რამდენიმე კოშკი. გზის ბოლოს კი მდებარეობს ქალაქი ორჯონიკიძე.
სნო – ციხე მდებარეობს ყაზბეგის რაიონში, ხევში, სნოს ხეობაში. ქართულ ციხესიმაგრეთა შორის სნოს ციხეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მას აქვს ფორტიფიკაციული ნაგებობის ნიშანდობლივი ყველა ელემენტი

და ამავე დროს მხატვრულად შესანიშნავადაა გადაწყვეტილი. იგი აგებულია განცალკევებით მდგარ კლდოვან გორაკზე მდ. სნოსწყლის მარჯვენა ნაპირზე. მდინარის ვიწრო ხეობა რამდენიმე კილომეტრიც შემდეგ თერგის ხეობას უერთდება. ციხე ამ ხეობას კეტავდა. აქედან გადიოდა ძნელი, მაგრამ მოკლე გზა ხევსურეთში, ფშავში, გუდამაყრის ხეობით – მთიულეთში და ა.შ.

ციხე დიდი არ არის, მაგრამ ძნელად მისადგომია. შედგება თითქმის წრიული გალავნისა და ერთი კოშკისაგან. ციხეს ერთადერთი შესასვლელი აქვს აღმოსავლეთიდან, მის წინ კლდეზე ამოკვეთილია საფეხურები. მშენებელს უცდია გალავნის კედლები კლდის რელიეფისთვის შეუფარდებია: თუ ზოგან ოთხი მეტრი სიმაღლისაა, სხვაგან მისი სიმაღლე ათ მეტრს აღწევს. ასევეა განლაგებული საბრძოლო ელემენტები: დაბალ ნაწილში ორი იარუსია, მაღალში – სამი. ქვედა იარუსში მოთავსებულია სათოფეები და სარკმელები, რომელთა გამოყენება საზარბაზნედაც შეიძლებოდა. მეორე იარუსზე სამი სალოდეა გადარჩენილი. სალოდეები ოთხკუთხაა და განსხვავდება იმ დროს ბარში გავრცელებული სალოდეებისაგან.

კოშკის სიმაღლე ოც მეტრამდე ყოფილა. დღეს მას რამდენიმე მეტრი აკლია. პირველი სართული, რომელსაც ერთადერთი შესასვლელი აქვს, ექვსი მეტრის სიმაღლეზეა. მესამე სართული დაზიანებულია და ზედ მხოლოდ საბრძოლო ელემენტების კვალია შერჩენილი.

კოშკი და გალავანი ნაგებია ადგილობრივი კლდის ქვით. თლილი ქვა გამოყენებულია კოშკის კუთხეებში და კარ-ფანჯრების ირგვლივ.

მსგავს ციხეებთან შედარება საშუალებას იძლევა სნოს ციხე XVI ს-ის მეორე ნახევრით ან მომდევნო საუკუნის დასაწყისით დათარიღდეს. სნოს ამშენებლის ან მეპატრონის შესახებ ისტორია დუმს. იგი მხოლოდ ერთხელ, XVIII ს-ის 30-იანი წლების დამდეგს იხსენიება. ლეგენდის მიხედვით ციხე ეკუთვნოდა შიოლა ღუდუშაურს.

არშა – ისტორიული ხევი, დღევანდელი ყაზბეგის რაიონი, კავკასიონის მთებში მომწყვდეული, თვით იყო სიმაგრე და ხელოვნურ ციხეებს ნაკლებად საჭიროებდა. ფაქტიურად ამ მხარეში ღირსშესანიშნავი იყო დარიალისა და არსის ციხეები.

პირველი ჩრდილოეთის საზღვარს კეტავდა, მეორე ხევის ცენტრში მდებარეობდა და ახლომახლო სოფლების გასახიზნად იყო განკუთვნილი, ხოლო მესამე ციხეს, სნოს ეტყობა, კერძო მფლობელი ჰყავდა და ერთ-ერთ გვარს ემსახურებოდა.

არსის ციხე ძირითადად ბუნებრივი სიმაგრეა. მდ. თერგის მარჯვენა მხარეს, დიდ მთებს შორის აღმართულია მაღალი კლდოვანი მთა, რომლის პლატო სიმაგრედაა ქცეული. იგი თითქმის მიუდგომელია, ბევრგან იქ ასვლა ალპინისტსაც კი გაუჭირდება. შედარებით სუსტი ადგილები ციხის მესვეურთ გალავნით გაუმაგრებიათ. ციხის შიგნით რამდენიმე ათასი კაცი დაეტეოდა და ძლიერი მტრის შემოსევის დროს იგი ხევის მოსახლეობის დიდ ნაწილს შეიხიზნებდა.

არსის ციხის მნიშვნელობასა და თავისებურებაზე ისტორიკოსი ვახუშტი წერს, რომ იგი შექმნილია ბუნებრივად და კაცთაგან შეუვალია. ცნობა ამის შესახებ, თუ როდიდანაა გამოყენებული ეს ტერიტორია ციხედ, არ შემონახულა. მატიანეებში კი იგი იხსენიება მხოლოდ XVII საუკუნიდან, ისიც არა ომთან, არამედ ერთი დიდი პიროვნების იქ დამწყდევასთან დაკავშირებით.

XVII ს-ის დასაწყისში, როდესაც შაჰ-აბასმა საქართველოს მოსპობა განიზრახა, ხალხი ცდილობდა დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, მაგრამ გამოჩნდნენ მოღალატეები, მაგალითად, ანდუყაფარ ამილახვარი. 1623 წ. გიორგი სააკაძემ შაჰის წინააღმდეგ რომ გაილაშქრა, მოღალატე ანდუყაფარი ცოლ-შვილით გაგზავნა ხევში და არსის ციხეში დაამწყვდია.

ამის შემდეგ კარგა ხანს არშაზე არაფერი ისმის. 1731 წელს ბარძიმ არაგვის ერისთავი წერს რუსეთს შეხიზნულ ვახტანგ VI-ს, სნოსა და არსის ციხეს ლეკები დაესხნენო, მაგრამ შედეგზე არაფერს ატყობინებს. არის ცნობა იმის შესახებაც, რომ ხევი და, კერძოდ, არშა საგანძურის სამალავი ყოფილა.

ციხის ტერიტორია საკმაოდ რთული რელიეფისაა. ყველაზე მაღალი წერტილია დასავლეთი ბოლო. აქედან რელიეფი მკვეთრად ეშვება აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით. ციხის ერთადერთი შესასვლელი ჩრდილო-დასავლეთის კუთხეშია. იქაური კარი ჩვენამდე კარგადაა მოღწეული, რადგან მთლიანად სქელი ფურცლოვანი რკინითაა მოჭედილი. ერთ-ერთი ცნობით, გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ჯერ კიდევ კარგად იყო შენახული შესასვლელის დაცვის რთული სისტემა.

შესასვლელის გვერდით კლდეში საყარაულო ყოფილა გამოჭრილი, რომელიც კართან კიბიტზ იყო დაკავშირებული. ამავე კიბეებზე გადიოდა და ციხისკენ მიემართებოდა თიხის წყალსადენი, რომლის სიგრძე ორ კილომეტერს აღწევდა.
ციხის ტერიტორიაზე ბლომადაა საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები და პატარა ეკლესია. ეკლესია აგებული უნდა იყოს IX-X საუკუნეებში.
ზემოაღნიშნული ნაგებობები განლაგებულია ციხის ქვედა ნაწილში. აქ არის ცალკეული ოთახები, ბინები რამდენიმე ოთახითა და დამხმარე სათავსითურთ. ციხის გალავანში ჩატანებულია სათოფეები, რომელთა მიხედვით არშა XVI-XVII საუკუნეებით თარიღდება.
საქართველოს მთიანეთის, კერძოდ, საარაგვოს ფოლკლორი – ხევსურეთი, ფშავი, მთიულეთი, ხევი წარმოუდგენლად მდიდარია ფოლკლორით, მითოლოგიითა და იმ პიროვნებებით, ვინც თავისი ცხოვრება მთის, მთიელთა ცხოვრების, იქაური სოციალური გარემოს აღწერას შეალია და თავისი მოღვაწეობით გარკვეული კვალი დატოვა საქართველოს კულტურულ ისტორიაში. საქართველოს თითქმის არცერთ მხარეში არ გვხვდება ზეპირსიტყვიერების იმდენი ნიმუში და სახალხო მთქმელი, რამდენიც ზემოთხსენებულ კუთხეებში. ეს, ალბათ, იმით არის გამოწვეული, რომ აქაური მკვიდრნი განსაკუთრებული პოეტური ნიჭითა და გადმოცემის უნარით არიან დაჯილდოებულნი. უხსოვარი დროიდან მოყოლებული, მთიელთა პოეტური თუ პროზაული ნიმუშები (ბალადები, ლეგენდები, მითები და ა.შ.) ზეპირსიტყვიერების ოსტატთა მეშვეობით თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ჩვენამდე თითქმის უცვლელი სახით მოაღწია.
მთიელთა ფოლკლორი მდიდარ ისტორიულ და დოკუმენტურ ცნობებს შეიცავს. იგი, უმთავრესად, ეპიკური და სატრფიალო შინაარსისაა. ხშირად ვხვდებით ლირიკულ-ფილოსოფიური პოეზიის ნიმუშებსაც, მაგრამ ძირითადი მიმართულება მაინც ეპოსი და სამიჯნურო-სატრფიალო თემატიკა გახლავთ. ვინაიდან ქრისტიანულმა რელიგიამ ყველაზე გვიან სწორედ მთაში და იქაურ აბორიგენებში შეაღწია, მათ ფოლკლორში უხვადაა შემორჩენილი წარმართული დროის მითოსურ გმირთა (ბაადური, კოპალა, იახსარი, პირქუში და სხვ.) სახელები და მათთან დაკავშირებული ჰეროიკული პრეცედენტები.

ზეპირსიტყვიერების ამგვარი ნიმუშები თავისებური სიმკაცრით, ადათ-ჩვეულებების, რწმენისადმი (ხატებისადმი) და ვაჟკაცობის ინსტიტუტისადმი ზედმიწევნითი ერთგულებით, ქალური და მამაკაცური მორალისადმი გამორჩეული პატივისცემითა და სამართლიანობისადმი განსაკუთრებული მიდგომით გამოირჩევა. ფშაური ფოლკლორი - ფშაური ხალხური პოეზია მდიდარი და მრავალფეროვანია. მასში ძირითადად ამ კუთხის ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი მომენტებია ასახული. ფშაველს, თავისი პოეტური ბუნების გამო, ოდითგანვე ეხერხებოდა დალხინება-გაჭირვების ლექსად გამოთქმა და საკუთარ სულიერ განცდებს სწორედ ლექსებში აყალიბებდა. ამიტომ ფშავის ყოფა-ცხოვრებისა და ისტორიის გასაცნობად მის ფოლკლორს დიდი მნიშვნელობა აქვს. აღსანიშნავია, რომ ფშავის საზოგადოებრიობა წარსულში თემურ წყობილებას არ გასცილებია და მისი ძველი პოეზიაც თემობრივობის მენტალიტეტს შეიცავს, სადაც სხვა თემებს შორის (თქმულებები, გალექსება და კაფიაობა, სიკვდილი და ნატირლები) ჰეროიკული და სატრფიალო ჟანრი დომინირებს. მაგალითად:

(საგმირო)

გარა ვარ თურმანაული, ბევრგან მიქნია ზიანი,
ლაშარის გორზე მიხოცავ, ქისტის ხარები რქიანი.

(სატრფიალო)

ვერცხლისამც ბეჭდად მაქცია, რო თითზე ჩაგედებოდი,
ანამც ყანა მქნა სამკალი, რო ნამგალს შაგეჭრებოდი,
ანამც მქნა წითელი ღვინო, დამლევდი შაგერგებოდი.

(სხვადასხვა)

თესლი მიწას მივაბარე, თესლი-დ მიწა ორივ

ღმერთსა,
ეხლა ღმერთმა თავად იცის მამცემსა თუ არ მამცემსა,
იმის მადლი შაეწიოს, ყველას მისგან განაჩენსა.

სახალხო მთქმელები: თევდორე ჩიტოშვილი, გიორგი ციგროშვილი, ბერიძე შუშანაშვილი, ხთისო გორელაშვილი, ალექსი კუწაშვილი და სხვ.

ფშაველი ცნობილი მწერლები: ვაჟა ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი)
თედო რაზიკაშვილი
ბაჩანა რაზიკაშვილი

ხევსურული ფოლკლორი საოცარი მაღალმხატვრულობითა და მახვილგონივრულობით გამოირჩევა. დიალექტიკური თავისებურებების გამო, შედარებით რთული აღსაქმელია, მაგრამ რითმათა მრავალფეროვნება და მუსიკალურობა მნიშვნელოვნად განაპირობებს ხევსურული პოეზიის შთამბეჭდავობასა და ეფექტურობას. ხევსურების განსაკუთრებული პოეტური ნიჭი თითქმის თითოეულ ლექსში იგრძნობა – ტყუილად არ ამბობენ საქართველოში, ყველა ხევსური პოეტიაო.
ხევსურული ხალხური პოეზიის ძირითად ჟანრს საგმირო და სატრფიალო თემა წარმოადგენს. როგორც აკაკი შანიძე გადმოგვცემს, „ხევსურს მოსთხოვეთ ლექსები უფრო ხმლის ქნევისა, ფარის ფარებისა, ომისა და ცდის შესახებ, სადაც მას ვერვინ შეედრება. მაგრამ სატრფიალო ლექსებიც საკმაოდ მოეპოვებათ.“ (აკაკი შანიძე, „ქართული ხალხური პოეზია“, 1931 წ.). გვხვდება აგრეთვე მეომრული და ომის, სტუმარ-მასპინძლობის, მონადირეობის, სიკვდილის, თქმულებების, შრომის (მთიბლური) თემაზე თქმული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. მაგალითად:

(საგმირო)

კაი ყმა, მგელი, არწივი, არც ერთ არ
გაიწურთნება:
მგელი არ მოშლის მგლობასა, კაი ყმა
მამაცობასა,
არწივი არწიობასა, მთის ყურეს ნადირობასა.

(სატრფიალო)

ნეტავინ, კარგავ ქალაო, ყანები მოგვცა
ზიარი!
შიგ სამარგელა მაღრივა, ნაპირიმც მისცა
ტყიანი!
მემრამც ვის აყურებივა ჩემი და შენი გრიალი!

(სხვადასახვა)

კარგად ვერ სჩადით, ყორნებო, – ტირილ არ
იცით მკვდარზედა,
რახან საჭმელად წახვიდით, ცრემლ არ
მაგივათ თვალზედა.

სახალხო მთქმელები: გიორგი ჯაბუშანური, მინდია წიკლაური, უშიშა წიკლაური, დათვია ლიქოკელი, გრანჯა ქიბიშაური, ბერდია არაბული და სხვ.

ხევსური ცნობილი მწერლები: ლადო ბალიაური
გაბრიელ ჯაბუშანური

ხევის ფოლკლორი - ხევის მშვენიერი ბუნება და მოხევეთა გმირული წარსული საოცარი ოსტატურობით ერწყმის ერთმანეთს მათსავე ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. ძველ მოხეურ ლექსებში ასახულია მკვიდრი მოსახლეობის თემური ყოფა მისი დამახასიათებელი მოვლენებით: შურისძიება და სისხლის აღება, თავდადება და ვაჟკაცობა. აქაური ფოლკლორის თემატიკა და ფორმა მოხევეთა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან ერთად თანდათან იცვლებოდა. სხვათა შორის, მათი ლექსის ენას და ფორმას XIX-XX საუკუნეების ქართული მხატვრული მწერლობის აშკარა ზეგავლენა ეტყობა.

ისევე, როგორც ფშაურ და ხევსურულ პოეზიაში, მოხეური ზეპირსიტყვიერების უმთავრესი თემებია საგმირო და საყოფაცხოვრებო (ტრფობა, სიბრძნე, სევდა და სხვა). მაგალითად:

(საგმირო)

ვაჟკაცსა გულად მამაცსა აბჯარი შვენის ხისაო,
თოლნი ქორებულ მხედველნი, მუხლები
შავარდნისაო.

(სატრფიალო)

გაღმიდან ქალმა ლამაზმა ჩიქილა დამიქნიაო,
იქით ის მოკლა სურვილმა, აქათ მე დამაბნიაო.
(სხვადასხვა)

სიონის ციხევ მაღალო, საყდარო გუმბათიანო,
ქალო და რძალო ლამაზო, ვაჟკაცო ლაზათიანო.
შენ გორისციხევ ქვიანო, სულ მუდამ ქარი
ჰქრიანო,
არც წყალო, არცა წისქვილო, არც მეზობელო
ღვთიანო.

სახალხო მთქმელები: გახუტა ხეთაგური, იაგორა ღუდუშაური, კოსტა გოდერძიშვილი, ვანო სუჯაშვილი, მიხა მარსაგიშვილი, გუგუა ღუდუშაური და სხვ.
ცნობილი მოხევე მწერლები: ალექსანდრე ყაზბეგი (ჩოფიკაშვილი)

მთიულეთი - მთიულური ხალხური პოეზია, ვერსიფიკაციულ-შინაარსობრივი და თემატური თვალსაზრისით, ძალიან ახლოს დგას ზემოთ მოხსენიებული კუთხეების (ფშავი, ხევსურეთი, ხევი) ფოლკლორთან. თუმცა აქაური ლექსი გაცილებით იოლად აღსაქმელია, რასაც განაპირობებს შედარებით მარტივი სალექსო ენა, რითმათა სირბილე და მუსიკალურობა. ადგილობრივ ზეპირსიტყვიერებაში გადმოცემულია მთიულთა ყოფა-ცხოვრების, წეს-ჩვეულებების, უცხოთა (ოსები, ქისტები, ლეკები) წინააღმდეგ ბრძოლის ამბები. უხვად გვხვდება

აგრეთვე სატრფიალო, საგმირო და შრომის თემაზე შექმნილი ფოლკლორული ნიმუშები. მაგალითად:

(საგმირო)

ქისტები შამოეყარნენ სასტუმროს იყვნენ სხვისასა,
დაიცა ძაღლო ქისტებო, შურს ვეძებ ბიძაშვილთასა,
ესროლა ჩოხელთ ბერამა შუბლს დაკრა ღებავს კისერსა,
ბევრი აქვს ტყვია-წამალი, სალაღოს სწურავს ქვიშასა.

(სატრფიალო)

ტიალი ძნელი ყოფილა ქვეყნად სურვილი ქალისა,
ყოფილა გულის დამდნობი, მუხლში დამლევი ძალისა,
თავში თმის გამთეთრებელი დამბრმობი ორივ თვალისა

სახალხო მთქმელები: გოგა ბექაური, ილიკო პატაშური, შიო ბურდული, ვანო ბექაური, შიო გოგიშვილი, გიორგი ციხელაშვილი და სხვ.
ცნობილი მთიული მწერლები: შიო არაგვისპირელი (დედაბრიშვილი)
მითოლოგია - ხევსურეთში, ფშავში, ხევში და მთიულეთში ქრისტიანულმა რელიგიამ საკმაოდ გვიან შეაღწია. ამ რეგიონში დღემდე შემორჩენილია წარმართული საკულტო წეს-ჩვეულებები (ხევში – შედარებით ნაკლებად), თაყვანს სცემენ ხატს (სალოცავს), რომელიც დღესდღეობით ქრისტიანობისა და წარმართულობის თავისებურ სიმბიოზს წარმოადგენს. ეს რეგიონი ქრისტიანული ძეგლებით საკმაოდ ღარიბია. მაგალითად, ხევსურეთში, რომელიც ხარჭაშოს საეპისკოპოსოს სამწყსოში შედიოდა, ქრისტიანული მოძღვრება ვერ გავრცელებულა და ადგილობრივი მოსახლეობა წარმართული

ადათ-კანონებით ცხოვრობდა. XIX საუკუნეში აქ ქრისტიანობის აღდგენა განუზრახავთ და ხახმატში, ბაცალიგოში, ბარისახოში, ახიელსა და შატილში ეკლესიებიც აუშენებიათ, მაგრამ ხალხი მაინც თავის ხატ-სამლოცველოებსა და რიტუალებს იცავდა. იგივე შეიძლება ითქვას ფშავისა და მთიულეთის შესახებაც. ამ მხრივ, ოდნავი უპირატესობა ხევის მხარესაა: ახალციხის, სიონის, გარაბნის ეკლესიები IX-X საუკუნეებშია აგებული, ხოლო ცნობილი გერგეტის სამების ტაძარი – XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე.

ვინაიდან საქართველოს ამ მაღალმთიან კუთხეებში წარმართული ადათ-წესები ჯერ კიდევ შემორჩენილია, ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეთა ხატ-სამლოცველოებიც წარმართულ ღვთაებათა სახელობისაა. მაგალითად: გუდანის-ჯვარი, კოპალა კარატის წვერი, პირქუში, სანება ცროლის წვერი და ხახმატის ჯვარი – ხევსურეთში; ლომისისა და პირიმზე ფუძის ანგელოზისა – მთიულეთ-გუდამაყარში: იახსარისა და ლაშარის ჯვრისა – ფშავში. კოპალა, იახსარი, პირქუში, ბაადური, ლომისა და სხვები საარაგვოს მცხოვრებთა მითოლოგიის მთავარი პერსონაჟებია. ისინი წარმართობის დროინდელი გმირები (ღვთის შვილები) არიან, რომლებიც დედამიწაზე ბოროტებას (დევებს, ქაჯებს) ებრძვიან. ხალხის რწმენით, ბრძოლის დროს მათ „სხეულიდან გასვლა“ (განსხეულება) შეეძლოთ და უკვდავნი ხდებოდნენ. მათი „საქმენი საგმირონის“ გამო აქაურმა თემურმა მოსახლეობამ ისინი ღვთაებებად შერაცხა და ყველა მათგანს საკუთარი ხატ-სალოცავი აუშენა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამგვარი ხატები დღესაც თითქმის ყოველ სოფელს, თემსა და გვარს გააჩნია. ყოველი დღესასწაულის დროს ადგილობრივი მოსახლეობა მიემართება ხატთან, მიჰყავთ საკლავი (ცხვარი, კურატი და ა.შ.), მიაქვთ სასმელი (არაყი, ლუდი, ღვინო) და სხვა სანოვაგე, ანთებენ სანთლებს, ლოცულობენ, აღასრულებენ საღვთო რიტუალებს და შემდეგ პურმარილობენ.

ტოპონიმია

ხევი. ხევი იგივეა, რაც ადრინდელ შუა საუკუნეთა წანარეთი. მატიანეში – „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (IX ს.) – VI საუკუნის მოვლენების თხრობასთან დაკავშირებით, მოხსენიებულია „ხევი წანარეთისა“. შემდეგში კი მას სახელწოდება „ხევი“ მხარის საკუთარ სახელად დაუმკვიდრდა. აღსანიშნავია, რომ

საქართველოს ზოგიერთ კუთხეს, მთა-ხეობიანი ადგილის გამო ერქვა ეს სახელი. ასე მაგალითად, ხევი იყო ლოპოტისა, კლარჯეთისა, კახეთისა და სხვ. 1932 წელს ხევს (რაიონს) სახელწოდება შეეცვალა და ყაზბეგი დაერქვა. რაც შეეხება დაბა ყაზბეგს, 1925 წლამდე დასახლებულ პუნქტს (სოფელს) სტეფანწმინდა ერქვა. სახელწოდება ყაზბეგი ჩოფიკაშვილის გვარის გარდაქმნითაა მიღებული. XVIII საუკუნის მიწურულს ჩოფიკაშვილებს, მოურავობის გარდა, თანამდებობაც ჰქონიათ ყაზიბეგობისა (ყაზბეგობა), რაც სასულიერო მსაჯულს, მოსამართლეს, ანუ მოსამართლეთუფროსს ნიშნავს. ვინაიდან ჩოფიკაშვილებში ხევის მოურავობაც და ყაზბეგობაც მემკვიდრეობით გადადიოდა, მათმა შთამომავლებმა გვარსახელად ყაზიბეგიშვილი-ყაზბეგოვი-ყაზბეგი მიიღეს. აღსანიშნავია, რომ ამ ადგილს ეს სახელი არა მწერალ ალექსანდრე ყაზბეგის, არამედ მისი პაპის, გაბრიელ ყაზბეგის პატივსაცემად დაერქვა, როგორც ეს რუსულ ლიტერატურულ წყაროებსა და რუკებშია მითითებული.

ხევსურეთი. ხევსურეთი მაღალმთიანი და ღრმა ხევებით დასერილი კუთხეა, რის გამოც, მეცნიერების აზრით, სახელწოდება ხევსურ-ეთ-ი შერქმევია, რაც ღრმა ხევებიან ადგილს ნიშნავს. ამავე შეხედულებას უჭერს მხარს ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ხევსურ – ხევ-ის-ურ-ი ნიშნავს ხევის მცხოვრებს. სხვა მოსაზრებით, ეს სახელწოდება წარმოშობილია ჰიდრონიმისაგან – ხევ, რომელსაც ერთვის სურ ეთნონიმი (ძველი ქართული გვარის ან ტომის სახელი). ხევსურეთის ტოპონიმები, ძირითადად, ქართული წარმოშობისაა და საკმაოდ მრავალფეროვნებით გამოირჩევა. გარდა ამისა, გვხვდება ქისტური წარმოშობის სახელწოდებებიც.

მთიულეთი. ძველ ქართულ მწერლობაში ამ რეგიონის მკვიდრთ „მთიულნი“ ეწოდებოდათ, რომელიც განსხვავდებოდა მეორე მსგავსი სახელისაგან „მთიელნი“. ეს უკანასკნელი, საერთოდ, მთაში მცხოვრებ ხალხს ეწოდებოდა და, ამდენად, საზოგადო შემკრებელობითი მნიშვნელობა ჰქონდა. შემდეგში ამ ორ ტერმინს ერთმანეთში ურევდნენ და ძველ თხზულებებში, გადამწერების მიერ, არასწორად იყო წარმოდგენილი. მაგალითად, ლეონტი მროველი ძვ. წ. II საუკუნეში მთიულეთს უწოდებს კავკასიონის ვრცელ ზოლს ეგრისიდან დიდოეთამდე. სხვა მემატიანეებიც, მსგავსად ამისა, კავკასიონის სხვადასხვა

ნაწილს მთიულეთს უწოდებდნენ. კერძოდ, ჯუანშერი აღნიშნავს „კახეთის მთიულეთს“, „შუა მთიულეთს“, „ყოველ მთიულეთს“ და სხვ. XIV-XV საუკუნეების სვანურ საბუთში მთიულეთი რაჭაა, ხოლო ჟამთააღმწერლის თხზულების მიხედვით, მთიულეთი ქართლის მთიან ნაწილს ნიშნავს.

ბერი ეგნატაშვილი მთიულეთს არაგვის ხეობის ერთ-ერთ კუთხედ მიიჩნევდა, რომელიც ცხავატის თემის ადგილას ლოკალიზდება. XVIII საუკუნის ბოლოსათვის ცხავატის ადგილზე გვაქვს გარეშემოს, მრევლისა და ცხაოტის თემები. XIII საუკუნიდან ეთნოგრაფიული კუთხის – მთიულეთის აღსანიშნავად იხმარებოდა ხადა-ცხავატი. საუკუნეების მანძილზე „მთიულების“ მნიშვნელობა დავიწროვდა და XVIII-XIX საუკუნეებში იგი იხმარება ხადისა და ცხავატის მოსახლეობის აღსანიშნავად. ამრიგად, „მთიული“ მთიანეთის მოსახლეობის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინიდან დავიწროვდა არაგვის ხეობის ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულის მოსახლეობის მნიშვნელობამდე.

ტოპონიმ ხადა-ს შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობს, რომელთაგანაც ყველაზე სარწმუნო მისი ღადა-სგან („კლდიანი, ხრიოკი, ქვიან-ბორცვიანი ალაგი“) წარმოშობაა, ხოლო ცხავატი-ს (ცხაოტი) მნიშვნელობას, მეცნიერ ვ. ითონიშვილის აზრით, მცენარის (წყავი>ცხავი) სახელწოდება განსაზღვრავს.

საერთოდ, მთიულეთ-გუდამაყრის ტოპონიმიის დაახლოებით 15-20 პროცენტს მცენარეულთა სახელებისაგან წარმოქმნილი ტოპონიმები შეადგენენ. სიხშირის მიხედვით, ტოპონიმებში უმეტესწილად ხე-მცენარეულია ასახული, შემდეგ – კულტურული და ბალახ-მცენარეული. სამწუხაროდ, ასე მრავლად აღარ გვხვდება თვით ის მცენარეულობა, რომელთა სახელებიც შერქმევია ამა თუ იმ ადგილს. ამ მხარეში მცირე ტყიანი ფართობებია, მთის ფერდობები ჩამორეცხილია, არაგვის ჭალები რიყედ არის ქცეული. ყოველივე ამის მთავარ მიზეზად ბუნებაში ადამიანის ინტენსიური ჩარევა უნდა მივიჩნიოთ. ადგილობრივი მოსახლეობა შეშისა და სხვა საჭიროებისათვის ტყეს ჭრიდა, სახნავ-სათესი მიწების სიმცირის გამო ტყის გაჩეხვას, გადაწვას და სავარგულებად გადაქცევას ცდილობდა. ამაზე მიუთითებენ ტოპონიმები – ახო, ნამწვავი, ნატუსი, ნაჭერი, ნაკაფი და სხვ. ჟინვალიდან მოყოლებული არაგვის

სათავემდე მურყანის ნასახიც აღარ არის, ტოპონიმები კი მის ადრინდელ არსებობაზე მიგვითითებენ.

ფშავი — საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე. საქართველოს თანამედროვე ადმინისტრაციულ დაყოფაშიმცხეთა-მთიანეთის მხარე ადმ. ცენტრიჟინვალიმუნიციპალიტეტი 1ფართობი340 კმ ისტორიულადიგი ხევსურეთთან ერთად ფხოვად იწოდებოდა. უძველეს წყაროებში სწორედ „ფხოვი“ გვხვდება, ფშავი და ხევსურეთი შედარებით გვიან დამკვიდრებული სახელწოდებებია.

ფშავი მდებარეობს დუშეთის რაიონში ფშავის არაგვის ხეობაში, ჩრდილოეთ განედის 4215 -4230 და აღმოსავლეთის გრძედის 6225 -6250 შორის. მისი ფართობი დაახლოებით 550კვ. კმ-ია. ფშავს ესაზღვრება: ჩრდილო-აღმოსავლეთით - კავკასიონის მთავარი ქედი, რომელიც მას ჰყოფს თუშეთისა და პირაქეთა ხევსურეთისაგან, დასავლეთით - პირაქეთა ხევსურეთი, გუდამაყარი, ხანდო და ჭართალი, სამხრეთით - შიდა ქართლი, აღმოსავლეთით - ერწო-თიანეთი. ფშავი ორად იყოფა: ფშავის არაგვის სათავიდან ორწყლამდე უკანა ფშავის თემია, ხოლო ორწყალს ქვემოთ, ფშავის არაგვის ქვემო წელში, მაღაროსკარის თემი. გეოგრაფიულად ფშავი მდებარეობს ქართლ-კახეთის საზღვარზე და წარმოადგენს ამ ორი კუთხის მთიანეთს, მაგრამ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულად ფშავი წინათ კახეთის პროვინციაში შედიოდა, ხოლო თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ფშავის მთელი ტერიტორია შედის მცხეთა-მთიანეთის მხარის დუშეთის რაიონში. სამხრეთი საზღვარი იწყება შარახევიდან და ორწყალ ფშავის ხევით (შუაფხო-უკანაფშავი) მიემართება აღმოსავლეთით და ეკვრის კავკასიონის მთავარ ქედს. ფშავის ზედაპირი სამხრეთით დაგეზებულია. იგი თუშეთ-ხევსურეთისაგან შედარებით უფრო დაბალია. მისი ჰიპსომეტრული სიმაღლე 1000-3000 მ-ია, ამიტომ ფშავის მიდამოს არ ამშვენებენ თეთრწვერად შევერცხლილი მყინვარწვერები, თუმცა მისი ბუნება უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ხევსურეთისა და თუშეთისა.

მოსახლეობა - ფშაური მოსახლეობა დღეს გაფანტულია მდინარე არაგვისა, იორისა, ილტოსა და ალაზნის სათავეებში, მათი დიდი ნაწილი ცხოვრობს პანკისის ხეობაში. ფშავლები ცხოვრობენ აგრეთვე გომბორში, ერწო-თიანეთში და შირაქში, მაგრამ ფშავის ძირეული მოსახლეობა და მისი ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორია მოქცეულია ფშავის არაგვის ხეობაში.

ფშაველი. ვახუშტი ბაგრატიონი ფშავლებს ასე ახასიათებს: ''ფიზიკურად ფშაველი ჯანსაღია. მოქმედებაში ის მარჯვეა და შრომის ამტანი. სიმაღლით ფშაველი შუა ტანისაა, თხელი და სწორი აგებულების. სახით კი შავგვრემანია და ლამაზი მოყვანილობისა. სახის იერით ფშაველი უფრო ბარის ქართველს წააგავს და ფიზიკურ სიმახინჯეს მათში იშვიათად შეხვდებით. ხასიათით ფშაველი თავაზიანია და ხათრიანი. საზოგადოებაში ფშაველი ქალი თუ კაცი თამამია და უადგილო მორცხვობა და პირის არიდება ფშავში სიმდაბლის ნიშანია. ფშაველი, ამასთანავე, ალერსიანია და არშიყი. ფშაველი გულჩათხრობილი არ არის, მას უყვარს მხიარულება, შაირობა და დროს ტარება. სტუმრის დახვედრა, მისი პატივისცემა და გართობა მათში მიღებულია. ქურდობა-ავაზაკობას ფშაველი არ ჩაიდენს და ეს სამარცხვინოდ მიაჩნია. ამასთანავე, ფშაველი შარიანი და მოჩხუბარიც არ არის და ამგვარ შემთხვევას ის შეგნებულად გაურბის. ფშაველი გონებამახვილია, ტკბილად მოუბარი, ენაწყლიანი და მოლექსე. მას ეხერხება ლექსის "კაფიად" თქმა და მოსწრებული სიტყვა-პასუხი. ფშავლებს მოსწონთ კარგი ენიანობა და თავაზიანობა და ასეთ პირსაც პატივსა სცემენ. ფშაველი ქალი თამამია, მარტო დადის, ლაპარაკის დროს გამბედავია და თამამი. ყოველ სიტყვაზე ის ატანს "ჩემს ძმას": "ვაჰმე, ჩემო ძმაო." ფშავლები ქართულად მეტყველებენ და მათ დღევანდელ თქმას უკვე არ ახასიათებს კილოკავი... ფშავლები სწავლა-განათლებას ეტანებიან. ამისათვის მათ ნიჭი და უნარიც შესწევთ...".

დიალექტი

ფშაური კილო აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტთა ე.წ. ფხოური ჯგუფის ერთი წევრია და ამ ჯგუფის სხვა წევრებთან შედარებით თავისებურ მდგომარეობაშია. როგორც მისი პირველი მკვლევარი ა. შანიძე აღნიშნავდა, "ფშაურს ცოტა მოშორებული ადგილი უჭირავს, რადგანაც დროთა განმავლობაში, ქართლ-კახეთის სიახლოვის გამო მას მეტი გავლენა დასტყობია ბარისა". მეცნიერის ეს რამდენიმე ათეული წლის წინ თქმული სრულიად შეეფერება ფშაურის დღევანდელ ვითარებას. ამ კილოზე მოლაპარაკე მოსახლეობის ბარისა თუ მთისწინეთის სხვადასხვა ადგილებში გაძლიერებული მიგრაციების წყალობით, იგი კიდევ უფრო დაუახლოვდა ბარელთა მეტყველებას და დაშორდა თავის თავდაპირველ მოძმე კილოებს - თუშურს, ხევსურულს და მოხეურს. ასე რომ, მას თავისი ფონეტიკური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური თავისებურებებით შუალედური მდგომარეობა უკავია აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და მთის დიალექტებს შორის.

ფშაურმა კილომ ქართველი საზოგადოების ყურადღება ვაჟა-ფშაველასა და მისი ძმების სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიპყრო, მათს შემოქმედებაში ფშაური დიალექტური ფორმების უხვმა და პრინციპულმა ხმარებამ მკითხველთა თუ კრიტიკოსთა მკვეთრი (ძირითადად უარყოფითი) რეაქცია გამოიწვია. შეიძლება გავიხსენოთ აკაკი წერეთლის დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. მაგრამ ფშაური დიალექტის მეცნიერული შესწავლა პირველად აკაკი შანიძემ დაიწყო.

ისტორია

ფხოვლები პირველად მოხსენიებულია „ მოქცევაი ქართლისაი“– ში, რომელთა შესახებ ნათქვამია, რომ, როდესაც წმ. ნინომ იბერიის სამეფო ქრისტიანობაზე მოაქცია (323წ.) შემდეგ: „ წარვიდა წმიდაი ნინო, და ეპისკოპოსი იოანე, და მათ წარატანა მეფემან ერისთავი ერთი. და მოვიდეს, და დადგეს წობანსა, და მოუწოდეს, მთიულთა, პირუტყვისა სახეთა–მათ კაცთა, ჭართალელთა, ფხოელთა, გუდამაყრელთა და უქადაგეს მათ

ჯვარი ქრისტიანთა ჭეშმარიტი. ხოლო მათ არა ინებეს ნათლისღებაი, მაშინ ერისთავმან მეფისმან მცირედ წარმართა მახვილი მათზედა, და ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი. გარდამოვიდეს მუნით და დადგეს ჟალეთსა, და უქადაგეს ერწოთიანელთა, ხოლო მათ შეიწყნარეს და ნათელიღეს, ხოლო ფხოველთა დაუტევეს ქვეყანა მათი, და ამვიეს თუშეთს, და ხვნც მთიულნი უმრავლესნი არა მოიქცეს, არამედ დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი... რომელიმე მათგანი დარჩეს წარმართობასავე დღესამომდე“–ო.1 ამ საყურადღებო ცნობებიდან ირკვევა, რომ მეოთხე საუკუნეში ფხოვი (ფშავის ხევი) დასახლებული ყოფილა და ფხოელებს ქრისტიანობა ნებით არ მიუღიათ. ამის გამო წარმართ ფხოელებს ხელისუფლებისაგან დევნაც კი განუცდიათ და მათი ნაწილი მეზობელ თუშეთში გახიზნულა. აქედან უკვე აშკარაა, რომ ფშავის ხევში მოსახლეობა ადრე გაჩენილა, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს პირველი საუკუნისა. ფხოვის ისტორიული ტერიტორია მემატიანეს ასე აქვს შემოფარგლული: „ გუდამაყრის ხეობის აღმოსავლეთით ფხოელთა მთებზე არის ფხოეთი, რომელსაც აღმოსავლეთით დიდოეთი, ხოლო სამხრეთ–აღმოსავლეთით თუშეთი საზღვრავსო“2. ფშავის ხევი (ფხოვი) დღესაც ამავე საზღვრებშია მოქცეული.

XIII საუკუნეში, თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში, დაახლოებით 1212 წელს, ფხოელები და დიდოელები გამდგარან და ამ ამბოხების მოსასპობად საჭირო გამხდარა იქ დამსჯელი ლაშქრის გაგაზავნა: „ მათ ჟამთა იწყეს კაცთა მთეულთა განდგომად, ფხოელთა და დიდოთა. დიდონი... უჩინარ რასმე ეშმაკს თაყვანის–სცემდნენ. ხოლო ფხოელნი ჯუარის მსახურნი არიან და ქრისტიანობასა იჩემებიან. ამათ იწყეს რბევად, ხოცად და ტყვეობად, ცხადად და ღამით, მაშინ მოუწოდა მეფეან თამარ ათაბაგსა ივანეს და ყოველთა მთეულთა, დვალთა, ცხრა–ზმელთა, მოხევეთა, ხადელთა, ჭართალთა და ერწო–თიანელთა, მისცნა ივანე ათაბაგსა, და წარავლინა მათ–ზედა. ხოლო ივანემ გონიერად ყო, აღვიდა მთასა ხადისასა, და წარვლო წვერი მთისა, და წარდგა მთასა ფხოელთა და დიდოთასა, რომელი

ესე არავის ექმნა, არცა პირველ და არცა შემდგომად. ერთ–კერძო დაურჩა ძურძუკეთი, და ერთი–კერძო დიდოეთი და ფხოელი. ცნეს მისვლა ათაბაგისა, მოვიდეს ძღვნითა მეფენი ძურძუკთანი, მოსცეს ლაშქარი და დაუდგეს გვერდსა, და იწყეს ზეიდამ ბრძოლა, ტყვეობა და კვლა, და რბევა, და დაწვა, და მოწყვიდნეს ურიცხვი კაცი დიდო და ფხოელი. და დაუყუნედ სამნი თთუენი. ივნისი, ივლისი და აგვისტოსი. მაშინ შეიწრებულთა ათაბაგისაგან მოსცეს მძევლები, და აღუთქვეს მსახურება და ხარაჯა, და მოსცეს პირი სიმტკიცისა, ქმნეს ზავნი, და წარმოასხნა მძევლები, და ესრეთ გამარჯვებულნი მოვიდეს წინაშე მეფისა, და იქმნა ბრძანება შენი, და მოვაოხრენ ურჩნი ბრძანებისა შენისანი, დიდოეთი და ფხოელნი“–ო (ქართლის ცხოვრება, გვ 484–485). ძლეულ ფხოელებს მორჩილების ნიშნად მიუციათ მძევლები და ხარაჯა. ფხოვის ისტორიაში ამ ამბოხებას საბედისწერო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მეფის ლაშქარმა ეს მხარე ცეცხლით და მახვილით შემუსრა და გაანადგურა. ამას მოწმობენ აქ დღესაც დარჩენილი ძველ ნასოფლართა ნანგრევები შუაფხოს მიდამოებში (ხოვლევი, სოფ. თხილიანასთან, ქანიშო და სხვ.)

ამ დროიდან ამ მხარეს სახელიც ეცვლება და ფხოვის ნაცვლად შემდეგ საუკუნეებში ის ფშავად იხსენიება. მისი ძველი ისტორიული სახელი ფხოვი დღეს მხოლოდ ერთ სოფელს შუაფხოს შერჩენია, რომელიც ფხოვის არსებობის უტყუარი მოწმეა. შესაძლებელია, ეს შუაფხო XII საუკუნეში თავისი პოლიტიკურ–ეკონომიკური მნიშვნელობით ფხოვის ცენტრი ყოფილიყო, სადაც დაცულია ფშავის ძლიერი სალოცავი იახსრის ხატი და ნასოფლართა ნანგრევები. მეამბოხე ფხოელების დასამორჩილებლად არ კმაროდა. მხოლოდ სამხედრო ძალაზე დამყარება, მძევლებისა და ხარაჯის აღება, საჭირო იყო ამასთანავე მათი სარწმუნოებრივ–იდეოლოგიური შემომტკიცება. მით უმეტეს, რომ ფხოელები, მართალია, ოფიციალურად ქრისტიანებად და ჯვარის მსახურად ითვლებოდნენ, მაგრამ სინამდვილეში ისევ წარმართები იყვნენ და მუხის ანგელოზს თაყვანსა სცემდნენ. ეს მუხა ხალხური

გადმოცემით ლაშარის „ ხმელ გორზე“ მდგარა და თემის მთავარ სალოცავად ივლებოდა თურმე. თამარის ბრძანებით აქ ეკლესია აუშენებიათ, რომლისათვის თამარს თავისი ძის, ლაშა–გიორგის სახელზე ვერცხლის ჯვარი შეუწირავს და ამ გორსაც ლაშარის ჯვარი დაურქმევია. ამასთანავე, ფხოელებში რომ ჩაენერგათ თამარის პიროვნების ღვთაებრივობის რწმენა, ლაშარის გაღმა გორზე, „ღელეში“, აუგიათ თამარის სამლოცველო თამარ ნეფედ წოდებული. ამგვარად, მეამბოხე ფხოვის იდეოლოგიურ– პოლიტიკური შემომტკიცების მიზნით, აქ წარმოიშვა თამარ მეფისა და მისი ძის, გიორგი ლაშას სამლოცველო, შეიქმნა მათი თაყვანისცემის კულტი, რომელსაც ფშავი დღესაც თამარ–ლაშაროობით ლოცულობს.

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან წყდება ფშავის შესახებ ისტორიული ცნობები და ჩვენ არ ვიცით, თუ რა ბედი ეწია მას შემდეგ სუკუნეებში. შესაძლებელია, ფხოელებმა ისარგებლეს მონღოლების შემოსევით, საქართველოს ფეოდალური მონარქიის დაშლა–დაცემით, ისევ განდგნენ და ეწეოდნენ დამოუკიდებელ თემურ ცხოვრებას. საყურადღებოა ფშავლების ბრძოლა ზურაბ არაგვის ერისთავთან, ამ ბრძოლის შეასახებ ისტორიული ცნობები ქართულ მატიანეში არ მოიპოვება, მაგრამ მისი გალექსილი ეპიზოდები და გადმოცემანი ფშავში დღემდე შემონახულა.

ზურაბ არაგვის ერისთავმა (1619-1629) ისარგებლა ქართლ–კახეთის სამეფოს დასუსტებით და განიზრახა თავისუფალი მთიელები, რომლებიც უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდნენ, დაეპყრო და თავის ყმებად ექცია. მაშინ ის შეუდგა მთიელების დაპყრობის სამზადისს. პირველად ზურაბმა მთიულეთ–ხევისკენ გაილაშქრა და ძლიერი ბრძოლის შემდეგ ეს მხარე დროებით დაიპყრო5. შემდეგ ფშავ–ხევსურეთისკენ გაილაშქრა და ორწყალში ჩავიდა. ორწყალთან ზურაბს ფშავ–ხევსურები შეებრძოლებიან.ორწყალთან ფშავლებს ზურაბი დაუმარცხებიათ და გამარჯვებულ ხალხს ეს ამბავი ასე გაულექსია:

"არ კი გითხარა, ზურაბო,
ფშავლების ხელი სენია,

შენ ეგ არ დაგიჯერებავ,
არცა რა მოგისმენია.
ორწყალში შემოგივლია,
ხალიჩა მოგიფენია;
მანდმოგივიდგენ ფშავლები,
დღე დაგაყეენეს ცხელია,
სირბილით ჩამოგავლიეს,
არაგვის ჭალა გრძელია,
კართანას გადასეესა,
მსახურთ გაკიდეს ხელია,
თვალივისყელშირომმიხველ,
იქ მოგაგონდა ცხენია."

ხანგრძივი ბრძოლის მიუხედავად, ზურაბმა მაინც ვერ შეძლო თავისუფალი ფშავის დამორჩილება და თავის ყმად ქცევა. დამარცხებული ზურაბი ბოლოს ფშავლებს შერიგებია, და ცოდვის მონანიების მიზნით, ლაშარისათვის ზარი მიურთმევია. ფშავის–ხევს თავდაცვა უხდებოდა აგრეთვე მეზობელი ტომებისაგან, რომლებიც ნადავლისა და ტყვეების გატაცების მიზნით მას თავს ესხმოდნენ და ამ კუთხეს იკლებდნენ. ამ მხრივ, ხალხური თქმულებით, მძიმე იყო თუშების თარეში, რომლებსაც ფშავში მეკობრად და ჯარად თურმე უვლიათ. თუშ მეკობრეთა მეთაური თუშური თქმულებით გიორგი თილისძე ყოფილა სოფ. ყვავლოდან. თილისძის ლაშარი თუშეთიდან უკანაფშავში გადადიოდა და იტაცებდა ფშავლების ცხვარ–საქონელს, იკლებდა სოფლებს და ნადავლით უკანვე ბრინდებოდა. ამ მეკობარ თუშებს და ფშავლებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა სოფ. ხოშარაში მომხდარა. თილისძე თავისი ლაშქრით ფშავში გადმოსულა, სოფლები აუკლია და ხოშარისკენ წასულა. მას აქ ფშავლები დახვედრია და ხოშარაში მომხდარა გადამწყვეტი ბრძოლა. ფშავლებს თუშები დაუმარცხებიათ და დიდის ზარალით თილისზე გაქცეულა. ხალხური გადმოცემით, ხოშარაში მრავალი თუში დახოცილა და ფშავლებს მათი ჩითები (ნაქსოვი ჭრელი ფეხაცმელი), გოდრებით უზიდიათ. სოფ. ხოშარაში დახოცილი თუშების

საფლავებს აქ დრესაც უჩვენებენ, რომელსაც საკმაო დიდი ფართობი უჭირავს. ამ ბრძოლაში ფშავლებში გმირობა გამოუჩენია სუმელჯი წოწკულაურს. ამის შემდეგ თუშებს ფშავლებისათვის შერიგება უთხოვიათ. ამ მიზნით თიღისძე ლაშარობას ფშავში მისულა და ლაშარის ჯვარისათვის თეთრი ქორა ხარი მიუყვანია. ბოლოს ორივე მხარე მაინც შერიგებულან და ფშავლები და თუშები იქვე ძმად გაფიცულან. ამის სიმტკიცის ნიშნად ლაშარში სამანი ჩაუსვიათ, თუშებს ლაშარში თავიანთი საჯარე გაუმართავთ და ლაშარის ყმად გამხდარან. ამის შემდეგ ფშავლები და თუშები დამეგობრებულან და მტერსაც ძმურად ებრძოდნენ:

„თუშნო, ფშაველნო, ხევსურნო,
ლაშქარი გავაზიაროთ,
ჩვენ ერთურთს მხარი უჭიროთ,
მტერი კი დავაზიანოთ“.

ასეთ კავშირს მოითხოვდა თუშ–ფშავ–ხევსურების საერთო პოლიტიკურ–ეკონომიკური ინტერესები, რომ მათ შეერთებული ძალით შესძლებოდათ თავდაცვა მოძალადე ფეოდალებისა და ქისტ–ლეკებ–თათრების თარეშისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხე მოელოდა მათ თემურ თავისუფლებას და ცხვარ–საქონელს. ამას კარგად გრძნობდნენ თვით ეს მთიელებიც და სამივენი ერთად იბრძოდნენ ბახტრიონის აღებაში. თუშებმა ბახტრიონზე პირველად ფშავ–ხევსურებს მოუწოდეს:

"ჩვენაც ხომ თქვენი ძმანი ვართ
სისხლით, ხორცით და რჯულითა,
მტერმა დაგვჩაგრა, გვიშველეთ
გაუტეხელნო გულითა."

თუშების მოწოდებას ფშავლები გამოეხმაურნენ და სალაშქროდ ბახტრიონისაკენ დაიძრნენ.

ფშავ–ხევსურეთის ლაშარი შეყრილა ლაშარში და აქ წესისაბერს სამღვთო გადაუხდიათ. ლაშარიდან ხევისბრის ლუხუმის წინამძღვრობით ეს ლაშქარი ბახტრიონისაკენ დაძრულა და ზაალ ერისთავის ლაშქარს შეერთებია. 1659 წელს ბახტრიონი ქართველებმა აიღეს და დამარცხებული სელიმ–ხანი გაიქცა,

რომლის შესახებ მატიანეში ნათქვამია: „ზაალ ერისთავმან შემოიფიცა საყმონი თვისნი და ფშავ–ხევსურ–თუშნი, წარუძღვნა ძე თვისნი და მიუხდეს პირველად ბახტრიონს, მოსრნეს თათარნი, მერმე ალავერდს და შემგდომ ყოველსა კახეთსა“–ო (ვახუშტი, საქარ. ცხოვრება, გვ, 189). ბახტრიონის აღებაში ფშავლებში გმირობა გამოუჩენია:

"ვის მოგილოცოთ სახელი,
ვინა ხართ სახელიანი?
პირველ – ობოლი კვირია,
სახე აქვს ნათელიანი.
მეორე – ლელა ბაჩლელი,
ქალი ხელფარტენიანი.
მესამე – ბერი ლუხუმი
კურთხეულგამდელიანი,
მეოთხე– ხოშარეული
არწივი მხარკვერიანი;
მეხუთე გივით სუმელჯი,
მოგვყავის ნაჭრევიანი."

ამგვარად, ფშავლებს ბახტრიონის აღებაში თავი უსახელებიათ და გამარჯვებული დაბრუნებულან.

ფლორა და ფაუნა

ფშავი მდიდარია მცენარეულობით და მთელი მისი მიდამო შუაფხომდე შემოსილია ხშირ ფოთლოვანი ტყით. პირმზეში იზრდება: მუხა, იფანი და რცხილა. პირჩრდილში: წიფელი და თელა. მთის მწვერვალზე არყია. ტყის ჯიშებში სჭარბობს: მუხა, წიფელი, ნეკერჩხალი და რცხილა. უთხოვარი დაცულია კაწალხევის ტყეში, რომლის მოჭრა აკრძალულია. ფიჭვი იზრდება კუდოს ტყეში (მაღაროს ზემო). მრავალია ტყის მსხალი, ვაშლი და თხილი. იზრდება და ხარობს კაკლის ხეც. ორწყალ-ზემო ფშავის არაგვის სათავისა და კავკასიონის ქედის მიმართებით ტყე თანდათანობით მცირდება, ის ბუჩქნარზე გადადის და მწვერვალებზე ალპიურ მდელოს ხალით იცვლება, სადაც ფართო სათიბები და საძოვრებია. ასეთი იალაღებით

მდიდარია უკანაფშავის თემი, რომელიც უმთავრესად მესაქონლეობას მისდევს. ფშავის მიდამოში ბუდობენ:

- ფრინველები: არწივი, ორბი, შავარდენი, როჭო, სოვი (სვავი), ქორი, ძერა, ყოვი (ყვავი), ჭკა (ყორანი), მწყერი, გვირილა, ქერონა ჩიტი (ბეღურა), ღობემძვრალა, ბოლოცეცხლა, სახნაურა, მერცხალი, მწივანა, გუგული, ოფოფი, ცხიკვი (ჩხიკვი), შაშვი, შინტლინკა, წიპრანა, პრანწია.
- ნადირი: მგელი, დათვი, მელია, კურდღელი, მაჩვი, კინდოლი, ჯიხვი, ფსიტი, შველი, ჟღაბი (ზღარბი), ციყვი და სხვა.
- ქვეწარმავლები: გველი შხამიანი და უშხამო, ფსლიკვი (ხვლიკი), თაგვი, ბაყაყი და სხვა.
- თევზები: კალმახი, ორაგული, ფიჩხული და მურწა.

მდინარეები

ფშავის მთავარი მდინარე არაგვია, რომელშიაც იწურებიან ფშავის კავკასიონის

მაღალ და დახრამულ მწვერვალებიდან გადმონახეთქი ნაკადები. ფშავის არაგვის სათავე ბოთანა-ბორბალოშია (3,135მ), რომელიც უმთავრესად შედგება სამი შენაკადისაგან: ბოთანას წყალი, ასისხევი და ბოგოჩარის ხევი. კავკასიონიდან დაქანებული არაგვი უკანაფშავიდან თანდათანობით დავაკებით მიმდინარეობს და აქ მას უერთდება წაწადა და ვარეულა ახადთან, მათურხეულა (მათურის წყალი) დამასტესთან და ნაროულა და თეთრახევა შუაფხოსთან.

აღმოსავლეთიდან მომდინარე ფშავის არაგვი შუაფხოდან 7 კილომეტრის დაშორებით უხვევს სამხრეთით და აქ ის უერთდება ხევსურეთის არაგვს "ხევსურულა"-ს, სადაც იქმნება ეგრე წოდებული "ორწყალი" (ფშავ-ხევსურეთის არაგვი).

კლიმატი

ფშავის კლიმატი ბართან შედარებით მკაცრია და განეკუთვნება მთის ტყეების ჰავის ზოლს. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა საშუალოა და მერყეობს 1000-1200 მმ-ს შორის. ფშავში ზომიერად ცივა, წლის საშუალო ტემპერატურა ქვემო საფეხურზე 11 გრადუსია, ხოლო ზემოთ 5-მდე ჩამოდის.

ზამთარი ცივია. გაზაფხული გვიან დგება, ზაფხული თბილია, შემოდგომა კი მზიანი. წვიმიანი და ნისლიანი ამინდები უფრო გაზაფხულობით იცის. ზამთარი იშვიათად არის უხვთოვლიანი. როგორც წესი, თოვლის საფარი 1 მ-ს არ აღემატება, იშვიათად 1,5-2 მ.

პოეზია (კაფია)

ვაჟა-ფშაველა

მიხა ხელაშვილი

ქართულ ხალხურ პოეზიაში ფშაურ პოეზიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, განსაკუთრებით ფშაურ კაფიას (მილექსებას). პოეზიის ამ ჟანრს ახასიათებს ექსპრომტულ-დიალოგიური გაშაირება ორ მოპირდაპირე პირსა თუ ჯგუფს შორის. კაფია ფშავლების კუთვნილებაა. ლექსით საუბარს მარტო ფშავლებისგან თუ გაიგონებ. ფშავლებს სხვებზე ადრე უგრძვნიათ სიტყვის სიტკბო და სიმწარე. ფშავლები ხანჯალივით აჭრევინებენ სიტყვას, ამიტომაც ამბობენ მთაში: "ხევსურო, ხმალი გალაღებს, ფშაველო-ენა მჭრელიო".

კაფია (მილექსება) ფშავში გავრცელებული ჩვეულებაა და იციან ხატობაში, ქორწილში, მწყემსობაში, მგზავრობაში და სხვ. ფშაურმა პოეზიამ განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიიპყრო ვაჟა-ფშაველას სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე. ვაჟას გარდა ფშავის წიაღში სხვა მრავალი მოლექსე და სახალხო მთქმელიც იშვა, ესენი არიან:მიხა ხელაშვილი, ბაჩანა და თედო რაზიკაშვილები, ყრუვ გიორგი და სხვები.

თემები და სალოცავები

ფშავში 12 თემია და თითოეულ თემს თავისი სალოცავი – ხატი ჰყავს. ეს სალოცავებია: იახსარი (ქისტაურთა თემი), კოპალა (უძილაურთა თემი), მთავარანგელოზი (გოგოჭურთა თემი), მთავარანგელოზი (ზურაბაულთა თემი), მთავარმოწამე (გოგოლაურთა თემი), მოხარნადე (წოწკურაულთა თემი), ძელის ანგელოზი (გაბიდაურთა თემი), პირცეცხლი (ჭიჩოელთა თემი), პირქუში (გოდერძაულთა თემი), კოტიას წმინდა გიორგი (წითელაურთა თემი), წყაროსთაველი (უკანაფშაველთა თემი), მათურის თემი (მთავარაგგელოზი). თორმეტივე თემისთვის

საერთო სალოცავს წარმოადგენს ლაშარის ჯვარი და ღელე (თამარის სალოცავი).
ფშავში ხატი ღვთიშვილთან არის გაიგივებული. მათ ღვთისაგან საყმო აქვთ ნაბოძები. ისინი ოდესღაც "ხორციელნი" იყვნენ და აღსასრულის შემდეგ ანგელოზებად იქცნენ. ხორციელობის ჟამს ისინი ფშავში ცხოვრობდნენ და ადამიანთა მტრებს – დევ–კერპებს – ებრძოდნენ (მაგ. კოპალა, იახსარი, პირქუში). სწორედ ამის გამო უქცევია ღმერთს ისინი "სულიწმინდებად" და საბრძანისად ფშავის ხევი უჩუქებია. ამიტომ დღეს ფშავლები ამ სულიწმინდადქცეული ხატების ყმებად მიიჩნევენ თავს.
ყველა ხატს თავისი საბრძანისი ადგილი აქვს ანუ ადგილი, სადაც ღამით ხატის ანგელოზი ნათელ სვეტად ეშვება. ხატის საბრძანისი წმინდა და შეუვალ ადგილს წარმოადგნს, რომელიც, როგორც წესი, მუხისა და იფნის ხეებით არის გარშემორტყმული. ხელშეუხებელია ხატის ეს ხეივანიც.
ხატის საბრძანისი და მისი ნაგებობები (დარბაზი, საზარე, სასანთლე) ფშავში ყველგან ერთნაირად არის წარმოდგენილი. ხატის ადგილი ჩვეულებრივ ღობე–ყორით არის შემოსაზღვრული. მისავალში ფიქალი ქვებისაგან აშენებულია პატარა სასანთლე. შორიახლოს აშენებულია ასევე საზარე, რომელშიც ერთი ნა რამდენიმე სხვადასვა ზომის ზარია დაკიდებული. იგი წარმოადგენს ოთხსვეტიან ნაგებობას. ძველი საზარეები პირამიდული ფორმის სიპი ქვებითაა გადახურული, რომელსაც ზედ აყუდია ფილთაქვის ფორმის შირიმის ქვა. შედარებით ახალ საზარეებს (რესტავრირებულებს) თუნუქის სახურავი აქვს, და ხშირად ჯვარიც უკეთია.
ხატის შუა მოედანზე ხატის "ნიშ–საბრძანისია" განთავსებული. ნიში ქვის ფილისაგან (სიპი ქვისაგან) არის მშრალად აგებული. ფორმით ოთხუთხაა და წინ პატარა თახჩა აქვს გამოჭრილი. მისი სახურავი ასევე პირამიდული ფორმისაა. იქვეა ხატის "მკვრივი" ანუ ხატის საგანძურის სამალავი. მკვრივი ოთხივე მხრივ შეკრულია (პირამიდული ფორმის ნაგებობა ფართით 2ხ2 მ), ნაგებია მკვიდრად და შეუვალია. სამალავის ახდა დაუშვებელია და თუ ვინმე ამას ჩაიდენს, მკაცრადაც ისჯება

სიკვდილით ან ჭკვაზე გადაცდომით (ამის მაგალითები არა ერთია).

ხატის ნაგებობების კომპლექსში შედის ასევე ხატის ბეღელი, რომელიც ერთკარიანი პატარა ოთახს წარმოადგენს. ამ ბეღელში ინახება ხატის მამულებიდან აღებული ჭირ–ნახული. ზოგიერთ ხატში ბეღელთან ერთად არის "სახარბაკე", სადაც ათავსებდნენ ხატისათვის შეწირულ ხარ–კურატებს. სახარბაკე ფორმით ბოსლის ტიპის გაგებობაა.

ყველა ხატში ასევე აგებულია "სალუდე". იგი წარმოადგენს მიწურ გრძელ ოთახს, რომელშიც მოთავსებულია სალუდე (ალაოს მოსახარში) სპილენძის დიდი ქვაბები, თავისი ხელსაწყო–იარაღებით: საწურით, თუნგებით, ჯამებით და სხვა.

ხატში ასევე ცალკე ნაგებობებია საბერო და საჯარე. საბერო განკუთვნილია ხევისბრისა და მოწმინდრებისათვის, რომლებიც სადღესასწაულო დღეებში დგებიან და წმინდობენ.

ხატის გალავნის გარეთ ან სალუდესთან სიახლოვეს მოთავსებულია საჯარე. წინათ თითოეულ გვარს საკუთარი საჯარე ჰქონია, სადაც ამ გვარის შვილები დღეობებზე იკრიბებოდნენ და ღამეებს ათევდნენ.

ფშავლები — ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიული ჯგუფი. ძირითადად ცხოვრობენ დუშეთის რაიონში, ფშავის არაგვის აუზში. მათი კომპაქტური დასახლებებია აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში: ერწო-თიანეთი, კახეთი. ფშაური მოსახლეობა ასევე გაფანტულია მდინარე იორისა, ილტოსა და ალაზნის სათავეებში, მათი დიდი ნაწილი ცხოვრობს პანკისის ხეობაში. ფშავლები ცხოვრობენ აგრეთვე გომბორში და შირაქში. ისინი საუბრობენ ქართული ენის ფშაურ დიალექტზე. წარსულში ფშავლები გამოირჩეოდნენ კულტურისა და ყოფის ადგილობრივი თავისებურებებით. ისინი ცნობილნი იყვნენ შალეულის ნაწარმის დამზადებით, ხალხური ზეპირსიტყვიერების ბრწყინვალე ნიმუშებით და სხვა.

ვახუშტი ბატონიშვილი ფშავლებს ასე ახასიათებს: „ფიზიკურად ფშაველი ჯანსაღია. მოქმედებაში ის მარჯვეა და შრომის ამტანი. სიმაღლით ფშაველი შუა ტანისაა, თხელი და სწორი

აგებულების. სახით კი შავგვრემანია და ლამაზი მოყვანილობისა. სახის იერით ფშაველი უფრო ბარის ქართველს წააგავს და ფიზიკურ სიმახინჯეს მათში იშვიათად შეხვდებით. ხასიათით ფშაველი თავაზიანია და ხათრიანი. საზოგადოებაში ფშაველი ქალი თუ კაცი თამამია და უადგილო მორცხვობა და პირის არიდება ფშავში სიმდაბლის ნიშანია. ფშაველი, ამასთანავე, ალერსიანია და არშიყი. ფშაველი გულჩათხრობილი არ არის, მას უყვარს მხიარულება, შაირობა და დროს ტარება. სტუმრის დახვედრა, მისი პატივისცემა და გართობა მათში მიღებულია. ქურდობა-ავაზაკობას ფშაველი არ ჩაიდენს და ეს სამარცხვინოდ მიაჩნია. ამასთანავე, ფშაველი შარიანი და მოჩხუბარიც არ არის და ამგვარ შემთხვევას ის შეგნებულად გაურბის. ფშაველი გონებამახვილია, ტკბილად მოუბარი, ენაწყლიანი და მოლექსე. მას ეხერხება ლექსის "კაფიად" თქმა და მოსწრებული სიტყვა-პასუხი. ფშავლებს მოსწონთ კარგი ენიანობა და თავაზიანობა და ასეთ პირსაც პატივსა სცემენ. ფშაველი ქალი თამამია, მარტო დადის, ლაპარაკის დროს გამბედავია და თამამი. ყოველ სიტყვაზე ის ატანს "ჩემს ძმას": "ვაჰმე, ჩემო ძმაო." ფშავლები ქართულად მეტყველებენ და მათ დღევანდელ თქმას უკვე არ ახასიათებს კილოკავი... ფშავლები სწავლა-განათლებას ეტანებიან. ამისათვის მათ ნიჭი და უნარიც შესწევთ...“

ფშავი. სახელწოდება ფშავი დაკავშირებულია სიტყვა „ფშა“-სთან, რაც ფშაურად მდინარის ნაპირიდან გამომდინარე წყაროს ნიშნავს. ასეთი ფშანი წყაროები კი საკმაოდ მრავლად მოიპოვება უკანაფშავის საკრებულოს ტერიტორიაზე.

ფშავის ტერიტორიაზე არსებული ძირითადი ტოპონიმები ქართული წარმოშობისაა. ფშაური ტოპონიმია, უმთავრესად, ცნობილ ქართულ ტოპონიმურ სახელთა წარმოებას მისდევს, რაც, თავის მხრივ, საზოგადო სახელთა წარმოებისაგან არ განსხვავდება. ფშაურ ტიპონომურ მასალაში ტოპონიმთა შემდეგი ტიპები გამოიყოფა: უაფიქსო (მარტივი სახელები – ხომი, ბოდავი, ინო და ა.შ.), აფიქსებით ნაწარმოები და სიტყვათშეერთებით ნაწარმოები სახელები (კომპოზიტები – აფში, ყელყვითელა, აჩაქველი, ბეტისჩრდილი და ა.შ.). აღსანიშნავია, რომ მრავალ სახელში დასტურდება

გეოგრაფიული ტერმინი, მაგალითად: ვანხევი, მაღაროსკარი, უკანაფშავი, შუაფხო და სხვა.

გუდამაყარი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა და მისი სახელწოდება, ისტორიულ-ტოპოგრაფიული წარმომავლობის თვალსაზრისით, რელიეფთან არის დაკავშირებული. ვ. ითონიშვილის აზრით, გუდამაყარის ეტიმოლოგიზაციის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტებია: 1) გუდა („კლდიან-ქვიანი“, „ოღრო-ჩოღრო“, „გორაკ-ბორცვიანი“, „მთა-გორიანი“, „ხრიოკი“) + მაყარი („მთათაშორისი ქვაბული“, „ვიწრო, ღრმა ხეობა“, „ღარტაფი“) = გუდამაყარი („მთა-გორიანი, კლდიან-ქვიანი ვიწრო ხეობა“, „ჩავარდნილი, მთიან-კლდიანი ქვაბული“); 2) გუდა („ხეობა, ღარტაფი, ქვაბული“) + მაყარი („მთიანი-ტყიანი ადგილი“) = გუდამაყარი („ტყიან-კლდიანი, ბნელი, ღრმა ხეობა“); 3) გუდა („შემაღლება, მთა“) + მაყარი („მაღალი“) = გუდამაყარი („მაღალმთიანი ადგილი“, „მთამაღალი“). აღნიშნულ ტოპონიმთან დაკავშირებით ძველი ხალხური ლეგენდაც არსებობს, რომელიც გულუბრყვილობასთან უფრო ახლოა, ვიდრე სინამდვილესთან: ვიღაც კაცი ქორწილში წასულა, ნაქეიფარს კი უკან დაბრუნებისას მასპინძლებთან გუდა დარჩენია და დაუძახია – „გუდა, მაყარო!“

ხანდო ერთ-ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა მდ. არაგვის ხეობაში, რომელიც ლოკალიზდება არაგვის მარჯვენა შენაკადის – ხანდოს ხევის ხეობაში, დაბლობში. მეცნიერთა ვარაუდით, ტოპონიმი ხანდო ნაწარმოებია არაბული სიტყვა „ხანდაკ“-ისაგან, რაც თხრილს, ორმოს ნიშნავს. არსებობს მოსაზრება, რომ ხანდო ზოგადად „ხეობის“, „მთათაშორის ქვაბულის“, „ჩავარდნილი ადგილის“, ან, რაც უფრო ნაკლებ სარწმუნოა, „კლდიან-ტყიანი“ (ან „ქვა-კლდიანი“) ადგილის აღმნიშვნელი სიტყვაა.

ჭართალი-ს ეტიმოლოგიური წარმოშობის შესახებ ქართველი მეცნიერები სხვადასხვა ვარაუდს გამოსთქვამდნენ. ივ. ჯავახიშვილი თავის დროზე წერდა: „ჭართალი, ვითარცა ტომის სახელი უნდა ჭარ-ისა და თალ-ისაგან შედგენილი სახელი იყოს. ჭარი ისედაც ცნობილი ლეგური ტომის სახელია, თალი – კი ღუნძურში დაცული შენობისა (хутор) და სკის აღმნიშვნელი თალა-ს ხმოვან ჩამოცილებული ფორმა უნდა იყოს. ამრიგად, ჭართალი თავდაპირველად თემის სახელი უნდა

ყოფილიყო.“ მოგვიანებით, აკადემიკოსმა გ. მელიქიშვილმა, გაიზიარა რა ეს ვარაუდი, დაამატა, რომ თალი ხუნძურად არამარტო შენობას, არამედ ხეობასაც ნიშნავს. ტოპონიმ ჭართალი-ს შესახებ გავრცელებული აზრის ერთ-ერთი ყველაზე სწორი და მისაღები ვარიანტი ასეთია: ტოპონიმის ძირეული მორფემა – „ჭარ“ ზოგადად წყლის, ნესტის, სინოტივის აღმნიშვნელი სიტყვაა, ხოლო თალ (თალა, დალა) სპარსულად, მონღოლურად და თურქულად ნიშნავს „ვაკეს“, „მხარეს“, „ველს“, „ხეობას“, „ადგილს“ (შდრ.: ძვ. ინდური თ – „ვაკე, სიბრტყე“). ასე რომ, „ჭართალი = „წყლიან-ბალახიანი, ჭენჭყი, ლენჭყი ადგილი“ ან „წყლიანი, ნოტიო ხეობა“ (ვ. ითონიშვილი, „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან“. 1992 წ.).

ხევის ისტორიულ-კულტურული ღირშესანიშნაობანი:

ყაზბეგი შემორჩენილია კოშკები ზალიეთი და გუგუეთი, ისევე მცირე ბაზილიკური ტიპის ეკლესია, ;ქუშეთ ნიში” დარიალში ივანე ნათლისმცემლის ადრეფეოდალური ხანის ბაზილიკური ტიპის ეკლესია, თამარის ციხე.

გერგეტი შემორჩენილია XIII-XV საუკუნეების გუმბათოვანი ტიპის ეკლესია და ორსართულიანი სამრეკლო ე.წ. წმინდა სამება, ასევე შემორჩენილია ირჭიაულების ნახევრადდანგრეული ზურგიანი კოშკის ნარჩენები.

ცდო შემორჩენილია კვირეს ეკლესიის ნანგრევები და ყოჩის ქანდაკება.

გველეთი შემორჩენილია კოშკის ნანგრევები და სოფლის თავს შუა საუკუნეების ბაზილიკური ტიპის ეკლესიის ნანგრევები, რომელსაც ფრესკებიც ჰქონია. აქვეა ე.წ. დავითის ციხე.

სნო სნოში შემორჩენილია ადრე ფეოდალური ხანის ზურგიანი კოშკის ნანგრევები და გვიანდელი ხანის ციხე-კოშკი, რომელიც „სნოს ციხის” სახელწოდებითაა ცნობილი.

ქოსელი ქოსელი საყურადღებოა როგორც დასახლების ტიპი, სადაც ასევე შემონახულია ძველი საცხოვრებელი სახლები.

კარკუჩა კარკუჩაში შემორჩენილია ყანანაზის წმ. გიორგის ნიში

ჯუთა შემორჩენილია ძველებური ყოფისათვის დამახასიათებელი ელემენტები და ნიშნები.

აჩხოტი შემორჩენილია პირამიდული ტიპის კოშკი ნახევრად დანგრეული.

ახალციხე შემორჩენილია IX საუკუნის ბაზილიკური ტიპის ეკლესია, ღალანგურის ნიში. შემორჩენილია აგრეთვე მიწის ზედა აკლდამა.

სიონი შემორჩენილია IX საუკუნის ბაზილიკური ტიპის ეკლესია.სასიგნალო
კოშკი და წმ. გიორგის სახელობის მცირე ზომის ბაზილიკა ადრე ფეოდალური ხანისა.

გარბანი შემონახულია გარბნის წმ. იორგის სახელობის VIII–IX სს ერთნავიანი ბაზილიკა

არშა არშაში შემორჩენილია ფეოდალური ხანის ციხე ე.წ. არსის ციხე და ბაზილიკური ტიპის ეკლესიის ნანგრევები.

გაიბოტენი გაიბოტენი არის შუა საუკუნეების ორი სასიგნალო კოშკი პირამიდული და ზურგიანი, ბაზილიკური ტიპის ეკლესია და ყოჩის ქანდაკება.

თოთი შემორჩენილია ძველი კოშკების ნანგრევები და საფლავი ღინჭა ხულელისა, რომელიც იყო ალ. ყაზბეგის მთხრობელი და მისი ნაწარმოების გმირი /ელგუჯა- ხევისბერი გოჩა/.

ფანშეტი შემორჩენილია სამი კოშკი: სამქანეთი, ჩონიეთი და საბაურთ ძველი ნამოსახლარები ე.წ. ძველი ფანშეტი, ბაზილიკური ტიპის ეკლესიის ნანგრევები და მიწის ზედა აკლდამა.

გორისციხე შემორჩენილია ციხე კოშკი და სამლოცველო ე.წ. „მამაწმინდობისა”.

ფხელშე შემორჩენილია, ბაზილიკური ტიპის ეკლესიის ნანგრევები და ციხის ნანგრევები, სადაც თურმე დღესასწაულობდნენ „ქალის ხატობას”.

ტყარშეტი შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები, კოშკის ნანგრევები თვით სოფელში, ხოლო სოფლის თავს ქედზე შემორჩენილია ადრე ფეოდალური ხანის ბაზილიკის ტიპის ეკლესია და ძველი ნასახლარები.

ხურთისი შემორჩენილია სასიგნალო-საკონტროლო ხუთსართულიანი ზურგიანი კოშკი და ბაზილიკური ტიპის ეკლესიის ნანგრევები.

ყანობი შემორჩენილია ძველი ბაზილიკური ტიპის მომცრო ეკლესია და გვიანდელი ხანის გუმბათიანი ეკლესია.

კობი შემორჩენილია ფეოდალური ხანის ნანგრევები და გვიანდელი ხანის ბაზილიკა.

ალმასიანი შემორჩენილია გვიანდელი ხანის 8 გუმბათიანი ეკლესია.

ნოგყაუ შემორჩენილია ფეოდალური ხანის ბაზილიკა და გვიანდელი ხანის ქვაგვარი და ეკლესია ბაზილიკა.

მნა შემორჩენილია ძველი კოშკები.

გემო შემორჩენილია ძველი კოშკები, რომლებიც გამოყენებულია საცხოვრებლად და თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა.

ქვემო ოქროყანა შემორჩენილია ძველი კოშკები.

შევარდენი აქ შემორჩენილია სამრეკლო, ქვაჯვარი და ბაზილიკა „მაცხარ” ანუ მაცხოვარი.

აბანო შემორჩენილია, ბაზილიკური ტიპის ეკლესიის ნანგრევები და ორი ხუთსართულიანი კოშკი.

კეტრისი კოშკები და ძვ. ამოსახლარები.

დესი შემორჩენილია კოშკები.

სუატისი შემორჩენილია ეკლესია ბაზილიკური რომელსაც თამარის ეპოქას მიაკუთვნებენ, ძველი ციხე-კოშკები და მის მახლობლად ასევე შემორჩენილია ადრეფეოდალური ხანის ბაზილიკა ე.წ. „ყარანგელოზი.”

კარათკაუ შემორჩენილია ძველი ნამოსახლარები და 6 დიდი კოშკი.

ცოცოლთა აქ შემონახულია გვიანდელი ბაზილიკური ტიპის ეკლესია.

ბურმასიგი ბურმასიგში შემორჩენილია 2 კოშკი.

გიმარა შემორჩენილია ნიში ;ვაჩილა” და ძველი კოშკების ნანგრევები.

ტეფი კოშკები.

რესი კოშკები.

5. ქ ა რ თ ლ ი

ქართლი — მხარე აღმოსავლეთ საქართველოში. სახელწოდება მომდინარეობს იმ მთისაგან, სადაც ლეონტი მროველის ცნობით დაემკვიდრა ქართველთა ლეგენდარული ეთნარქი — ქართლოსი. მთა „ქართლი“ იქცა ქალაქ „ქართლად“ (მოიცავდა მცხეთას და წიწამურს), შემდეგ შეიქმნა „დიდი ქართლი“, აქედან კი სახელწოდება მთელ მხარეზე გავრცელდა.
ეთნიკურ-გეოგრაფიულად ელინისტური ხანიდან მოყოლებული ქართლი ორ ნაწილად იყოფოდა: ზენა სოფელი და ქვენა

სოფელი. სავარაუდოდ ამ ერთეულთა შორის მიჯნა მტკვარზე გადიოდა. მოგვიანებით, ისტორიული ქართლი გეოგრაფიული მდებარეობისა და უმთავრესი მდინარის მტკვრის დინების მიხედვით სამ ნაწილად იყო გაყოფილი:

1. ზემო ქართლი - მხარე მტკვრის ზემო დინებაზე. მასში შედიოდა ტაო, კლარჯეთი, კოლა, არტაანი, შავშეთი, სამცხე, ჯავახეთი, თორი. ტერმინი შეესაბამება გვიანდელი ხანის "მესხეთს".
2. შიდა ქართლი - მხარე მტკვრის შუა დინებაზე, ცენტრით ქალაქ გორში. მხარის ჩრდილოეთ ნაწილში საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.
3. ქვემო ქართლი - მხარე მტკვრის ქვემო დინებაზე, ცენტრით ქალაქ რუსთავში. იგი მოიცავს ისტორიულ მხარეებს: სკვირეთი, თრიალეთი, სომხითი, საბარათიანო, დბანისხევი და სხვა.

ქართლის ტერიტორია ძვ.წ. IV საუკუნიდან ქართლის (იბერიის) სამეფოში შედიოდა, რომლის დედაქალაქი ჯერ მცხეთა იყო, შემდეგ თბილისი. X საუკუნეში იგი გაერთიანებული ქართული სახელმწიფო ცენტრი გახდა. XV-XVIII საუკუნეებში აქ ჩამოყალიბდა ქართლის სამეფო (მოგვიანებით, ქართლ-კახეთის სამეფო), რომელიც 1801 წელს ინკორპორირებულ იქნა რუსეთის იმპერიის მიერ.

დღევანდელი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური დაყოფით ისტორიული ქართლის ტერიტორია შედის შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის და სამცხე-ჯავახეთის მხარეებში.

ქართლელები — ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი. ძირითადად ცხოვრობენ შიდა ქართლში (მდინარე მტკვრისა და მისი შენაკადების ხეობები), ქვემო ქართლში, თორში. საუბრობენ ქართლურ დიალექტზე, რომელიც ლიტერატურული ქართული ენის ერთ-ერთი საფუძველია. წარსულში ქართლელები გამოირჩეოდნენ კულტურისა და ყოფის ადგილობრივი თავისებურებებით. ამჟამად საქართველოში მცხოვრები

დაახლოებით 3.600.000 ქართველიდან დაახლოებით 580.000 ქართველი, ქართლური ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენელია.

ვახუშტი ბაგრატიონი ქართლელებს ასე ახასიათებს: „...მშვიდობიანი ხასიათით წინათ ქართლელები სჯობდნენ კახელებსაცა და იმერლებსაც. ამისი მიზეზი ჯერ ის იყო, რომ ქართლს შუაგული ადგილი უჭირავს საქართველოში და მცხოვრებლებზე სხვადასხვა ველურ ხალხებს გავლენა ნაკლებად ჰქონდათ. მეორე მიზეზი ხვნა-თესვის მიდევნაა. ხვნა-თესვა ყველა საქმეზე მშვიდობიანი და ალალი საქმეა. აქ არავითარი ადგილი არა აქვს მოყვასის მოტყუებას, რაიც ჩვეულებად გადაჰქცევია აღებ-მიცემის ხალხს. თუ გლეხი მუყაითად გაირჯება და ღმერთიც ამინდს მისცემს, კარგი მოსავალი მოუვა, თუ არადა, ნათესი მოუცდება. საკუთარი მარჯვენა და ღვთის ნება - აი ერთადერთი იმედი მხვნელ-მთესველისა. ამიტომ ხვნა-თესვა ხალხს წყნარის თვისებებისას ჰხდის და ძლიერ კარგი გავლენა აქვს ზნეობაზე. ამის გამო ერთმანეთის მტრობა, შფოთი და შური ქართლელებში უფრო იშვიათი იყო, ვიდრე სხვა ჩვენებურს მცხოვრებლებში. ოღონდ კი ქართლელს წმინდა სინდისი ჰქონოდა, თავისი თავი პატიოსან კაცად ეცნო, თორემ სხვისას მაგდენს არაფერს დაგიდევდა. ქართული ანდაზა: „თუ თავი ჩემი მეგობრად მყავს, ღარიბად არ ვიხსენიებიო“ სწორედ ქართლელზე იყო გამოჭრილი...“

ტერმინი „ქართლის” **ეტიმოლოგია** საბოლოოდ არ არის გარკვეული. უკავშირებენ ქართველთა სატომო სახელს (ქართი-ქართუ) ან კიდევ დასავლურ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილ, ინდოევროპული სუბსტრატის ნიშნად მიჩნეულ სიტყვა „ქართა-ს” (შემოღობილი ადგილი; აქედანვე ნაწარმოები – გალავანი, ნაგებობა, ციხე-სიმაგრე). Iსტ. ტრადიციით, სახელწოდება „ქართლი” მოდის ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქის ქართლოსის სახელისაგან. თავდაპირველად ქართლი ერქვა ქართლოსის პირველსაცხოვრებელს – მთას (შემდგომი დროის არმაზი; ახლანდელი მცხეთის რაიონი). „ქართლი” ანუ „მთა ქართლი” ქართლის ტომის განსახლების უძველესი ცენტრია, შემდგომში ქართლის (იბერიის) მეფეთა რეზიდენცია.

„მთა ქართლის" პოლიტიკური მნიშვნელობის ზრდა განაპირობა ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და ეკონომიკურმა მდგომარეობამ (აქ გადიოდა გზები ქვეყნის სხვადასხვა მხრისკენ, აგრეთვე ე.წ. „ცხვრის გზა", რომლითაც გადაჰყავდათ საქონელი თრიალეთ-ჯავახეთ-კარის (ყარსის) ზაფხულის საძოვრებზე. დროთა ვითარებაში ქართლი კიდევ უფრო მეტ პრიორიტეტს იღებდა ქართველურ და არაქართველურ ტომთა ეთნ.-კულტ. პოლიტიკურ ერთობასა და კონსოლიდაციაში. ვარაუდობენ, რომ გვიანდელ ბრინჯაოს – ადრინდელ რკინის ხანაში ქართლის ტომის განსახლების აღმნიშვნელმა გეოგრაფიულმა სახელმა „ქართლმა" ზოგადი მნიშვნელობა შეიძინა. ქართლი ეთნიკურ-გეოგრაფიულად 2 მხარეს მოიცავდა: „ზენა სოფელს" – შეესატყვისება გვიანდელი პერიოდის შიდა ქართლს. მკვლევართა ვარაუდით, ასევე უნდა არსებულიყო „ქვენა სოფელი" – შესატყვისად ქვემო ქართლი. მოგვიანებით აგრეთვე გაჩნდა ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინი „ზემო ქართლის" (მესხეთის აღსანიშნავად). ძვ.წ.ლის III ს-ის დასაწყისში ქართლის ჰეგემონობით ჩამოყალიბდა ადრეკლასობრივი სახელმწიფო (ცენტრი - მცხეთა). ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად კიდევ უფრო გაიზარდა ქართლის კულტურული და პოლიტიკური გავლენა მომიჯნავე და უფრო დაშორებულ რეგიონებზე; გაჩნდა ახალი ისტორიული კატეგორია საქართველო.

ახლანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ქართლი მოიცავს თბილისსა და მის შემოგარენს, ბოლნისის, გორის, გარდაბნის, დმანისის, დუშეთის, თეთრი წყაროს, კასპის, მარნეულის, მცხეთის, ქარელის, ხაშურის რაიონების ტერიტორიას; ისტორიული ქართლია აგრეთვე ახლანდელი ცხინვალის, ზნაურის, ლენინგორის, ჯავის რაიონების ტერიტორია.

ქართლის სამეფო. პირველი ქართული სახელმწიფო აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ჩამოყალიბდა ძვ. წ. IV ს. დასასრულს. III-VI სს-ში მიმდინარეობდა ფეოდალიზაციის ინტენსიური პროცესი. III ს-დან ირანის ვასალური სახელმწიფო იყო. IV ს-დან ქართლის სამეფომ რომის ორიენტაცია მიიღო, რასაც მოჰყვა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. V ს-ში, ვახტანგ გორგასალის მეფობაში, ქართლის სამეფოს შემადგენლობაში

მოექცა დასავლეთ საქართველო და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილი. 482 წელს დიდი აჯანყება ირანელთა ბატონობის წინააღმდეგ მარცხით დამთავრდა. 523 წელს, გურგენ მეფის აჯანყების დამარცხების შემდეგ, ირანელებმა ქართლში მეფობა გააუქმეს.

ქართლის სამეფო ფეოდალური სახელმწიფო 1484-1762 წლებში. საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის პოლიტიკური დაშლის (XV ს. II ნახევარი) შედეგად ჩამოყალიბებული სახელმწიფო, რომლის ცენტრი იყო ქ. თბილისი. თითქმის ორნახევარი საუკუნის განმავლობაში უცხოელ დამპყრობთა განუწყვეტელი შემოსევებით ეკონომიკურად და პოლიტიკურად დასუსტებულ საქართველოს XV ს. შუა წლებში ოსმალეთი დაუმეზობლდა. საქართველოში გაძლიერდა შინაფეოდალური ომები. 1463 წელს საქართველოს მეფე გიორგი VIII ჩიხორის ბრძოლაში (ახლანდ. ჩხარის ჩრდილო-აღმოსავლეთით) ბრძოლაში დაამარცხა ბაგრატ ბაგრატიონმა, რომელმაც თავი იმერეთის მეფედ გამოაცხადა (შემდეგში ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI), 1465 წელს სამცხე-საათაბაგოს მთავარმა ყვარყვარე II-მ გიორგი VIII ტყვედ ჩაიგდო. ამით ისარგებლა ბაგრატმა, რომელმაც 1466 წელს ქართლი დაიჭირა და თავი მეფეთა მეფედ გამოაცხადა. ტყვეობიდან განთავისუფლებულმა გიორგი VIII-მ ვერ შეძლო ტახტის დაბრუნება, კახეთში გადავიდა და საფუძველი ჩაუყარა კახეთის სამეფოს დამოუკიდებელ არსებობას. ქართლისა და იმერეთის მეფე გახდა ბაგრატ VI (1466-78). ქართლ-იმერეთის სამეფოში შინაფეოდალური ბრძოლები გრძელდებოდა. მეფე კონსტანტინე II-ის (1478-1505) დროსაც. 1483 წელს არადეთის ბრძოლაში ყვარყვარე II-მ დაამარცხა კონსტანტინე II, ამით ისარგებლა ბაგრატ VI-ის ძემ ალექსანდრემ და 1484 წელს თავი დასავლეთ საქართველოს მეფედ გამოახცადა. კონსტანტინე II-ის ცდა, აღედგინა ქართლ-იმერეთის ერთიანობა, 1489 წელს მარცხით დამთავრდა. ასე ჩაეყარა საფუძველი ქართლის სამეფოს დამოუკიდებელ არსებობას. XV ს-ის 90-იანი წლების დასაწყისში კონსტანტინე II და კახეთის სამეფოს სხვა პოლიტიკური მოღვაწენი იძულებულნი გახდნენ შერიგებოდნენ შექმნილ ვითარებას, ზავი დაედოთ კახეთისა და იმერეთის მეფეებთან და ათაბაგთან. სამცხე-საათაბაგო თუმცა ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ ფაქტობრივად დამოუკიდებელი სამთავრო

იყო. სამეფო სამთავროებს შორის ბრძოლა გრძელდებოდა. 1513 წელს ქართლის სამეფომ კახეთის სამეფო დაიპყრო, მაგრამ ქართლ-კახეთის გაერთიანებულმა სამეფომ მხოლოდ 1513-20 წლამდე იარსება. მას ბოლო მოუღო ირან-ოსმალეთის აგრესიამ. 1518 წელს ქართლის სამეფო იძულებული გახდა მიეღო სპარსეთის სახელმწიფოს ვასალობა. 1520 წელს კახეთის დამოუკიდებელი სამეფო კვლავ აღდგა. სამეფო-სამთავროთა გაერთიანებისათვის ბრძოლის მარცხი იმითაც იყო განპირობებული, რომ სხვა სამეფოები ქართლის სამეფოს პირველობას არ უთმობდნენ. ქართლის სამეფო ცდილობდა თავი დაეღწია ირანის ვასალობისაგან. ამის გამო 1522 წელს ქართლს ყიზილბაშთა ლაშქარი შემოესია. დამპყრობლებმა თბილისიც დაიკავეს. 1524 წელს ირანში შინაური ბრძოლის გამწვავების პირობებში ქართლის სამეფომ თბილისი დაიბრუნა და როგორც ჩანს, ვასალობისაგან განთავისუფლდა. ამ დროიდან 16 წლის განმავლობაში ქართლის სამეფო ფაქტობრივად სუვერენული სახელმწიფო იყო. 1541-54 წლებში ირანის შაჰი თამაზ I ოთხჯერ შემოესია ქართლის სამეფოს. თბილისი აიღო და ქალაქში ყიზილბაშთა გარნიზონი ჩააყენა. ქართლის მეფემ ლუარსაბ I-მა (1527-56) პარტიზანული ბრძოლა გააჩაღა. 1547 წლის იანვარში შაჰი მეორედ შეესია ქართლს, მოარბია ჯავახეთი, რომელიც ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა და ათაბაგ ქაიხოსრო III-ს დაუმორჩილა, მაგრამ ქართლი ბრძოლას განაგრძობდა. ლუარსაბმა კვლავ დაიბრუნა ჯავახეთი. მას მოჰყვა 1551 წელს შაჰის მესამე ლაშქრობა, რომლის დროსაც ყიზილბაშებმა გაძარცვეს ვარძიის მონასტერი, ათაბაგს გადასცეს ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შემავალი ჯავახეთი და ბამბაკი. 1554 წელს შაჰმა მეოთხედ ილაშქრა ქართლში, აიღო რამდენიმე ციხესიმაგრე, მაგრამ ლუარსაბი ვერ დაიმორჩილა და 30 ათასი ტყვითა და ნაძარცვით უკან დაბრუნდა. 1555 წელს სპარსეთსა და ოსმალეთს შორის დადებული ზავით დამპყრობლებმა საქართველო გაინაწილეს. ოსმალეთს ერგო იმერეთის სამეფო და სამთავროები, აგრეთვე სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი, სპარსეთს – ქართლისა და კახეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი. ლუარსაბი არ სცნობდა ამ ზავს და განაგრძობდა ბრძოლას; მან თანდათანობით დაიბრუნა ქართლის ციხე-სიმაგრეები და

ცდილობდა თბილისის განთავისუფლებას. 1556 წელს გარისის ბრძოლაში ქართველებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ლუარსაბ I სასიკვდილოდ დაიჭრა. ლუარსაბის პოლიტიკას განაგრძობდა მისი შვილი სიმონ I (1556-69; 1578-99), ამ დროიდან ქართლის სამეფოს რეზიდენცია გორი იყო. თბილისი, ქვემო ქართლი და ლორის მხარე კვლავ ყიზილბაშებს ეჭირათ. 1561 წელს ქართლში შემოსულ ყიზილბაშებთან ბრძოლაში სიმონ I-ის ლაშქარი დამარცხდა. სამეფოს ერთიანობის განმტკიცებას დიდი ზიანი მიაყენა მეფის ძმის დავითის ღალატმა. 1562 წელს შაჰმა გამაჰმადიანებული დავითი (დაუთ-ხანი) ქართლის მეფედ დანიშნა. 1569 წელს დაუთ-ხანის დასახმარებლად ქართლში მოსულმა ირანის ჯარმა დაატყვევა სიმონ I და იგი 1578 წლამდე ირანში იყო პატიმრად. დაუთ-ხანს ქართლის სამეფოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს არ უჭერდა; მისი ხელისუფლება მხოლოდ თბილისსა და ქვემო ქართლზე ვრცელდებოდა. 1578 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ახალი ომი დაიწყო. ოსმალთა არმიამ საქართველო და აზებაიჯანი დაიკავა; ოსმალები თბილისში შევიდნენ – ყიზილბაშები ოსმალებმა შეცვალეს. თბილისში ფაშა დაჯდა. ეს იყო ქართლის სამეფოს სრული დაპყრობის - „ოსმალობის" დამყარების პირველი ცდა, რომელიც 1606 წლამდე გაგრძელდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად შაჰმა სიმონი ტყვეობიდან გაათავისუფლა, ქართლის მეფობა უბოძა და ყიზილბაშთა ჯარით ქართლში გაგზავნა ოსმალთა წინააღმდეგ. ქართლში სიმონის მეთაურობით პარტიზანული ბრძოლა გაჩაღდა. ქართველებმა ვერ შეძლეს თბილისის აღება, მაგრამ ვერც ოსმალებმა შეძლეს ქართლში გაბატონება. 1590 წლის სტამბოლის ზავით მთელი საქართველო ოსმალეთს ერგო. დამპყრობლებმა ამის შემდეგაც ვერ მიაღწიეს მიზანს. ისინი იძულებულნი გახდნენ ეცნოთ ქართლის სამეფოს ვასალობა ხარკის გადახდის პირობით. 1595 წელს შეიქმნა ირანის, ქართლისა და კახეთის კავშირი ოსმალეთის წინააღმდეგ. 1598 წელს ქართლში აჯანყება დაიწყო. 1599 წელს სიმონმა გორის ციხე აიღო. ოსმალეთმა დიდძალი ჯარი გამოგზავნა ქართლში. 1599 წლის ზაფხულში ოსმალებმა დაატყვევეს სიმონი. ირანი ვერ ურიგდებოდა ამიერკავკასიაში ოსმალეთის გაბატონებას. 1602 წელს შაჰმა აბას I-მა ომი დაიწყო ოსმალეთის წინააღმდეგ. შაჰის მხარეზე იბრძოდნენ ქართლისა და კახეთის

სამეფოები. 1606 წელს ოსმალები იძულებულნი გახნენ დაეტოვებინათ თბილისი. ქართლში ყიზილბაშები გაბატონდნენ. 1612 წლის სტამბოლის ზავით ძირითადად აღდგა 1555 წლის ამასიის ზავის პირობები. შაჰმა ლორის მხარე და დებედის ხეობა ქართლის სამეფოს ჩამოაცილა, იქ ლორის სახანო შექმნა და დებედის ხეობაში თურქმანული ტომი – ბორჩალუ ჩაასახლა, აქედან მიიღო შემდეგში ამ მხარემ ბორჩალოს სახელწოდება. შაჰის მიზანი იყო ქართლისა და კახეთის სამეფოების მოსპობა და მათ ადგილზე ყიზილბაშური სახანოების შექმნა. 1614 წელს აბას I-მა კახეთი დაარბია და გაძარცვა, ქართლში შეიჭრა და თბილისის, გორისა და სურამის ციხეებში თავისი გარნიზონი ჩააყენა. შაჰმა ცბიერებით იგდო ხელთ ქართლის მეფე ლუარსაბ II, რომელიც 1622 წელს ირანში მოაკვლევინა. ქართლის მეფედ შაჰმა დაუთხანის შვილი ბაგრატ-ხანი (1615-19) დანიშნა, მაგრამ ფაქტობრივად ის მხოლოდ ქვემო ქართლსა და თბილისს განაგებდა. 1616-17 წლებში შაჰმა კახეთი გაანადგურა, გააუქმა სამეფო და მისი აღმოსავლეთი ნაწილი განჯის სახანოს შეუერთა, დასავლეთი კი – ქართლის სამეფოს. ქართლის სამეფოსაც კახეთის ბედი მოელოდა. მოახლოებული საფრთხის წინააღმდეგ დაიწყო სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც სათავეში გიორგი სააკაძე ჩაუდგა. 1625 წელს მისი მეთაორობით აჯანყებულებმა მარტყოფის ბრძოლა მოიგეს, დამპყრობლები განდევნეს და გაერთიანებულ ქართლ-კახეთის მეფედ თეიმურაზ I დასვეს. იმავე წლის ივლისში მარაბდასთან ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. აღმოსავლეთ საქართველოში კვლავ ყიზილბაშები გაბატონდნენ, მაგრამ ბრძოლები კვლავ გრძელდებოდა. ქვეყნის მტრებმა მეფესა და დიდ მოურავს შორის მტრობა გააღვივეს. 1626 წელს ბაზალეთის ბრძოლაში თეიმურაზმა სააკაძე დაამარცხა. მას 1626-32 წლებში გარდა თბილისისა ეჭირა ქართლ-კახეთი.

ქართველი ხალხის გმირულმა ბრძოლამ შაჰი აიძულა კომპრომისის გზას დასდგომოდა და ეცნო თეიმურაზი ქართლ-კახეთის მეფეს, მაგრამ თეიმურაზი სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლას არ წყვეტდა. ახმარების მიღების მიზნით მან განაახლა ურთიერთობა რუსტ ხელმწიფესთან. მის გამო შაჰმა 1632 წელს თეიმურაზი გადააყენა, ქართლის მეფედ ბაგრატ-

ხანის ძმა გამაჰმადიანებული როსტომი (1632-58) დანიშნა, კახეთი კი თავის მოხელეს ყიზილბაშ სელიმ-ხანს გადასცა. ამრიგად, 1632 წელს გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფო ისევ დაიშალა. 1632-1744 წლებში ქართლი ირანის ვასალი იყო დამ ას განაგებდნენ ბაგრატიონთა დინასტიის გამაჰმადიანებული წარმომადგენლები. მათ ქართლის ვალი, ე.ი. შაჰის მოადგილე ერქვათ, ადგილობრივ კი ისინი ძველებურად მეფედ იწოდებოდნენ. ქართლი ირანს ყოველწლიურ ხარკს უხდიდა და ვალდებული იყო საჭიროების შემთხვევაში სპარსეთის სამხედრო ძალებთან ერთად ებრძოლა. ქართლის ვალის იურდიული სტატუსი განსხვავდებოდა სპარსეთის დანარჩენი 3 ვალის (არაბისტანის, ლურისტანისა და ქურთისთანის) სტატუსისაგან. მათგან განსხვავებით, ქართლის მიწა-წყალი არ იყო აღრიცხულ-აღწერილი და უშუალოდ არ შედიოდა ირანის სახელმწიფოს

მხარის ტერიტორიაზე მდებარეობს ბუნების, არქიტექტურისა და კულტურის მრავალი ძეგლი, მათ შორის უმნიშვნელოვანესია:

რკონის მონასტერი
სურამის ციხე
წრომის ტაძარი
ქვათახევი
ფიტარეთის მონასტერი
ბირთვისის ციხე-სიმაგრე
დმანისის ნაქალაქარი
სამშვილდე (ციხე-ქალაქი)
კლდეში ნაკვეთი ქალაქი უფლისციხე,
გორის ციხე,
ატენის სიონის ეკლესია (VII ს.),
ყინწვისის სამონასტრო კომპლექსი (XII-XIII სს.),
სამთავისის ტაძარი (XI ს.),
წრომის ტაძარი,
ბულბულის ციხე,
რუისის ღვთისმშობლის ხუროთმოძღვრული კომპლექსი,
სამწევრისის ციხე-დარბაზის კომპლექსი,

მუზეუმები:
ი.გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი,
ორბელიანთა სასახლე-მუზეუმი (ლამისყანა),
სტალინის სახლ-მუზეუმი,

განსაკუთრებით ქვემო ქართლი გამორჩეულია თავისი სიმწვანით, ტყეებით, ანკარა მდინარეებითა და ტბებით, უხვი ნადირითა და თევზებით, მინერალური და თერმული წყლებით. აქ გვხვდება ვულკანური წარმოშობის მთები, ვრცელი ველები და წინაალპური მთები, ნახევრადუდაბნო, მშრალი სუბტროპიკული და ალპურ ზონები. ქართლში კლიმატი თბილია, ჰავა - რბილი.
ქვემო ქართლს უძველესი ისტორია აქვს. მისი ტერიტორია უძველესი დროიდანვე ქართველური ტომებით იყო დასახლებული. აქ შეიქმნა თრიალეთის ყორღანების დიდი კულტურა, რომელიც უფრო ძველია, ვიდრე ლეგენდარული კოლხეთი და მითი არგონავტებზე. მხარეში შეხვდებით V-VI სს. და შემდგომი პერიოდის ისტორიულ ძეგლებს, ასევე ძვ.წ. I ათასწლეულის ნაქალაქარსა და სხვა ღირსშესანიშნაობებს. უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენაა პირველყოფილი ადამიანისა და მისი ადგილსამყოფელის ნაშთები დმანისის ნაქალაქარზე, რაც იმაზე მოწმობს, რომ დმანისელი ჰომინიდი ამ ტერიტორიაზე 1,8 მლნ წლის წინათ ბინადრობდა და რომ იგი უძველესია ევროპასა და აზიაში.
ქართული ეპიგრაფიკის უძველესი ნიმუში შემოგვინახა ბოლნისის სიონმა (V ს.).
ღირსშესანიშნაობები: (დაახლოებით 650 ისტორიული ძეგლი)
ბოლნისის სიონი (V ს.-შუა საუკ.),
წუღრუღაშენი (შუა საუკ.),
ვანათი (V-VI სს.),
სათხის (X-XI სს.),
აკვანების (VI-VII სს.),
ამაღლების (VI-II სს.) ეკლესიები.
კაზრეთის სამება (შუა საუკ.),
გარდაბნის ღვთისმშობლის ეკლესია (VI ს.).

აკაურთას, ნარდევანის,
სანთის ციკლოპური ციხეები (ძვ.წ.I ათასწლ.).
კარის ორბელიანის წმ. ნიკოლოზის ეკლესია (XVII-XVIII სს.).
ქოლაგირის ციხეგალავანი და ეკლესია (შუა საუკ., XVIII ს.),
ნასოფლარი ქოლაგირი,
საყდრისი (ძვ.წ. 3018-2929),
ბეთანიის (XII-XIII-შუა საუკ.),
მარტყოფის (1699,XIX ს.),
ვარდისუბნის (შუა საუკ.) მონასტრები.
ანტონ მარტყოფელის სვეტი (შუა საუკ.),
პეტრიანთ საყდარი (1014-22),
ეგრისის კომპლექსი (X-XIII სს.),
სიხუაანთ საყდარი (1034),
კვირაცხოველი (VI-VII სს),
დიდი გომარეთის ღვთისმშობლის (შუა საუკ.) და წმ.ნიკოლოზის (X .) ეკლესიები,
ელისპირის წმ. დემეტრეს ეკლესია (VIII-IX, XIX ს.),
რევაზაშენი (VIII-IX სს.).
დმანისისა (XIII ს.) და სამშვილდის (VIII-შუა საუკ.) ნაქალაქარები.
სიონი (1702),
წმ.მარინეს (გვიანი შუა საუკ.),
წმ. ბასილის (VIII-IX სს.),
ამაღლების (VIII-IX სს.), უკანგორის (V-VI სს.) ეკლესიები,
ლამაზი საყდრის მონასტერყ (შუა საუკ.),
მანგლისის (VI-XI სს., XIX ს.),
აბელიანის (1250-1259),
დრიანეთის (X-XIსს.) ეკლესიები.
გუდარეხის (შუა საუკ.),
სამღერეთის (XIIIს.) სამონასტრო კომპლექსები,
ქვაჯვარი (XIIIს.),
კოშკი "სალხინო" (1811),
ნადარბაზევი (სასახლე და გალავანი (X-XIსს.),
პირღებულის (X-XIIIსს.), ფიტარეთის (1213-22) მონასტრები.
ბირთვისის, ხულუტის, წოფის ციხეები (შუა საუკ.).

ანდრიას ნასახლარი (შუა საუკ.-XIII ს.),
ღოუბნის ორმოცმოწამის ეკლესია (XVI ს.),
"დედა ღვთისა" (VIII-IX სს.),
ცხნარი (XIII ს.),
აიაზმის ღვთისმშობლის ეკლესია (VI-VII ს.),
არჯევან-სარვანის წმ. გიორგის ეკლესია (XI ს.),
ედიქილის წმ. დემეტრეს ეკლესია (შუა საუკ.),
ედიქილის სასახლე (შუა საუკ.),
თეჯისის წმ. კონსტანტინეს ეკლესია (შუა საუკ.),
მენჰირი (ძვ. წ. I ათასწლ.),
კუშჩის წმ. გიორგის ეკლესია (VI-VII სს.),
ქირიაქის წმ. გიორგის ეკლესია (XII-XIII სს.),
ქირიაქის ორმალიანი ხიდი (შუა საუკ.),
ჩათახის მონასტერი (XII-XIII სს.),
ჭოჭიანი (შუასაუკ.).

მუზეუმები:
რუსთავის,
ბოლნისის,
თეთრიწყაროსა და გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები.
ტანძიის სულხან-საბა ორბელიანის სახ. მემორიალური მუზეუმი,
ბოლნისის ღაზაროს აღაიანის სახლ-მუზეუმი,
დმანისის ისტორიულ-არქეოლოგიური ნიმუშების საექსპოზიციო დარბაზი,
წერაქვის მ. ჯავახიშვილის სახ. მემორიალური მუზეუმი,
შაუმიანის მელიქ ფაშაევის სახ. მემორიალური მუზეუმი.

6. შავშეთი, კლარჯეთი, ამიერ ტაო, იმიერ ტაო, თორთომი, სპერი.

ტაო-კლარჯეთი

ტაო-კლარჯეთი ისტორიული საქართველოს კუთხეები ტაო, სპერი, კლარჯეთი, შავშეთი, ნიგალი, არტანი, კოლა, ერუშეთი, ფოცხოვი, მაჭახელა, სპერი, თორთომი თურქეთის რესპუბლიკის

ტერიტორიაზე ართვინის, არდაგანის, ერზრუმისა და ყარსის რაიონებში მდებარეობს, მდინარეების მტკვრისა და ჭოროხის აუზებში. ძველად ქართველები ამ რეგიონს ზემო ქართლს, სამცხეს ანუ მესხეთს უწოდებდნენ. ამ მხარეში დარჩენილი მიწები საქართველოს საერთო ფართობის ერთ მეხუთედს შეადგენს. დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზეა ასევე ეგრისის სამეფოს ნაწილი - ჭანეთი (ლაზისტანი), დღევანდელი ტრაპიზონის რაიონი.

ისტორია

ამ ლეგენდარული კუთხის შესახებ გადმოცემები ფართოდ აისახა ჯერ კიდევ ანტიკურ თქმულებებსა და მითოსში, რაც ტაო-კლარჯეთის მხარეს განსაკუთრებულ დატვირთვას აძლევს. მას შემდეგ, რაც კავკასიის მთებზე მიჯაჭვული პრომეთე დატოვა მის სანუგეშოდ მოსულმა ოკეანემ, ოკეანიდებთან საუბარში ტიტანი პრომეთე, იაპეტის ძე, უყვება მათ, თუ როგორ გამოსტაცა მოსხის მთაზე ზევსს ცეცხლი. ასე მოგვითხრობს ესქილეს ტრაგედია "მიჯაჭვული პრომეთე". როგორც ცნობილია, ქართულ მითოლოგიაშიც არსებობს მსგავსი თქმულება ამირანის შესახებ. ჯავახეთის ზეგანზე დღესაც არის ადგილი, რომელსაც მოსახლეობა "ამირანის გორას" უწოდებს. როგორც ზევსის მიერ პრომეთეს კავკასიის მთებზე მიჯაჭვის, ასევე იასონის კოლხეთში ლაშქრობისას ჰერაკლეს მიერ კვერთხის დაკვრით კლდიდან წყლის აღმოცენების შესახებ ლეგენდებმაც ვერ აუარეს გვერდი ტაო-კლარჯეთის მიწას: მითები ჰერაკლეს, არგონავტების, ჰელიოსის ვაჟიშვილის - აიეტისა და აიეტის ქალიშვილის - მედეას შესახებ ამის ნათელი დადასტურებაა. პირველი მატერიალური კულტურის ძეგლები და პირველი ტომობრივი გაერთიანებები დიაოხში (ტაოხში, ტაოში) შეიქმნა ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის დასაწყისში და იარსება ძველი წელთაღრიცხვის მერვე საუკუნემდე. ურარტუს მეფეების - არგიშტისა და სარდურ II-ის წერილობით დოკუმენტებში დიაოხები და კოლხები მოხსენიებულია როგორც მსხვილი ტომობრივი გაერთიანებები.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთელი ტერიტორია – ე.ი. კოლხეთის ტერიტორია, მდინარე ჭოროხის შესართავის დასავლეთით და იბერიის ტერიტორია მდინარე მტკვრის სათავისა და ჩილდირის ტბის სამხრეთით – უძველესი დროიდანვე მთლიანად დასახლებული იყო ქართული ტომებით, რომელნიც შემდგომ ქართველ ერად გაერთიანდნენ. ჩვენამდე შემორჩენილი ისტორიული ცნობებიდან აღსანიშნავია: ჰეროდოტეს (ძვ. წ. 490/480-425 წწ.), ქსენოფონტის (ძვ. წ. V ს.), სოფენტე სტიმამფელის (ძვ. წ. V ს.), სტრაბონის (ძვ. წ. 63-ახ. წ. 24 წწ.), პლინიუს სეკუნდეს (23-79 წწ.), პლუტარქეს (46-126 წწ.), კლავდიუს პტოლემაიოსის (II საუკუნის მე-2 ნახევარი), ფავსტოს ბიზანტიელის (V ს.), მოსე ხორენელის და სხვათა ცნობები.

ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავენ, რომ "ძველი წელთაღრიცხვის ჯერ კიდევ II საუკუნის დამდეგს იბერიას ეკუთვნის პარიადრის მთიანი ოლქი (ახლანდელი სივასის ოლქის აღმოსავლეთი სექტორი), ხეთთა ძველი სამეფოს ერთ-ერთი ძირითადი რაიონი. აქ იბერია გადიოდა შავ ზღვაზე, რასაც გვიჩვენებს ტიბარანიის სახელწოდება, რომელსაც ატარებდა ქვეყანა ჰალისის შესართავის აღმოსავლეთით ჯერ კიდევ სტრაბონის დროს". ძველი წელთაღრიცხვის 66 წელს მითრიდატე პონტოელს, რომელიც პომპეუსს გამოექცა, ევფრატის ზემო წელში შეტაკება მოუხდა ადგილობრივ იბერებთან, ძველი ქართული პროვინციის მკვიდრ მცხოვრებლებთან.

ტიბარანიის აღმოსავლეთით, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა მეორე ქართული სახელმწიფო - კოლხეთი, ერთ-ერთი წინა აზიის VI საუკუნის ოთხ უდიდეს სახელმწიფოთაგან, როგორც ამას მოწმობს "ისტორიის მამა" – ჰეროდოტე. მეცნიერებას მოეპოვება სარწმუნო ცნობები კოლხეთის (ქართულად – ეგრისის) სამეფოს საზღვრების შესახებაც. ქსენოფონტი თავის "ანაბაზისში" (ძვ. წ. აღ-ის V ს.) აღნიშნავს, რომ მან ამ მხარეში 10 000 მხედრით იმოგზაურა, ხოლო ქართველი ტომი ტაოხები მოხსენიებული ჰყავს ჭოროხის ხეობაში, ისტორიულ ტერიტორიაზე. მისი ცნობით,

ტრაპეზუნტი და კერასუნტი (ამჟამად გირუსენი) კოლხეთის ქალაქებია, ხოლო ტრაპეზუნტის გარშემო კოლხები ცხოვრობდნენ".

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეს ნაწილი – აქ განვითარებული ისტორიული მოვლენებით, წარმოებული სასულიერო და საგანმანათლებო საქმიანობითა თუ დღემდე შემორჩენილი არქიტექტურული ძეგლებით – განსაკუთრებულია საქართველოს კულტურისთვის. კერძოდ: 1. პირველი წერილობითი წყაროები საქართველოს შესახებ ეხება დაიაენ-ტაოს. (ძვ. წ. XII ს); 2. საქართველოში ქრისტიანობა ამ ტერიტორიებიდან შემოვიდა და აქვე აშენდა პირველი ქრისტიანული ტაძარი (IV ს). 3. აქ ჩაეყარა საფუძველი ბაგრატოვანთა ათასწლოვან სამეფო დინასტიას. 4. IX-X საუკუნეებში კლარჯეთში სასულიერო მოღვაწეობამ და ტაოში შექმნილმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ ჩაუყარა საფუძველი საქართველოს ოქროს ხანას. 5. ამ ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია ორასზე მეტი ქართული არქიტექტურული ძეგლი. სამხრეთ საქართველოს ეს ადგილები უძველესი დროიდან ქართველებით იყო დასახლებული. ცნობილია, რომ ძვ. წ. XII საუკუნის ასურულ ლურსმულ წარწერაში, რომელიც მეფე ტიგლათფილესერ I-ის ლაშქრობას ეხება, ნაირის ქვეყნებს შორის მოხსენიებულია დაიაენი, რომელიც ტაოსთანაა გაიგივებული. ქვეყანა დიაოხი, იგივე ტაო, მოხსენიებულია აგრეთვე ძვ. წ. IX-VIII საუკუნეების ურარტულ ლურსმულ წარწერებში. ქართული საისტორიო ტრადიცია კლარჯეთს ქართლის ნაწილად განიხილავს და ბიბლიური ნოეს შთამომავლის ქართლოსის სამფლობელოდ თვლის. ძვ. წ. IV-III საუკუნეებში ქართლის (იბერიის) ჩამოყალიბების შემდგომ ტაო და კლარჯეთი ქართლის ორგანული ნაწილია. ამ საერისთაოების ისტორია მეფე ფარნავაზის და ქუჯი ერისთავის (ძვ. წ. III ს.) სახელებს უკავშირდება. ძვ. წ. II-I საუკუნეებში სომხეთის სამეფო ტაოს ტერიტორიას იკავებს. ამ დროიდან ძლიერდება სომეხი მოსახლეობის მიგრაცია ამ რეგიონში.

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში ტაოსა და კლარჯეთის ტერიტორიები სპარსეთსა და აღმოსავლეთ რომის იმპერიების ინტერესების სფეროში ექცევა. ამ ქვეყნებზე გავლენის აღდგენასა თუ შენარჩუნებას ცდილობენ ქართლისა და სომხეთის სამეფოები. ამ საუკუნეებში პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენები დინამიურად ვითარდება და ეთნო-კულტურული და რელიგიური სიტუაციაც ხშირად იცვლება. ქრისტიანობა ტაო-კლარჯეთის მხარეში I საუკუნიდანვე დამკვიდრდა. ისტორიული ცნობებით სწორედ კლარჯეთიდან შემოვიდა ქრისტიანობის პირველი გამავრცელებელი მოციქული ანდრია პირველწოდებული. IV საუკუნეში ჯავახეთიდან შემოვიდა ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო. პირველი ქრისტიანული ტაძარი საქართველოს მიწაზე ერუშეთში აიგო ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე დიდის ძალისხმევით.

IV-V საუკუნეებში გამწვავდა დაპირისპირება სპარსეთისა და ბიზანტიის იმპერიებს შორის. სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიაში განვითარებულმა მოვლენებმა კვლავ გააძლიერა სომეხი მოსახლეობის მიგრაცია ტაოსა და კლარჯეთში. იმავდროულად ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი საგარეო პოლიტიკურ ორიენტირად ბიზანტიას ირჩევს და ქართლის პოზიციებს აძლიერებს ბიზანტიის მოსაზღვრე რეგიონებში – აშენებს ქრისტიანულ მონასტრებს ოპიზაში, დაბაში, მერესა და შინდობში. ვახტანგ გორგასლის დაარსებულ 12 საეპისკოპოსოს შორის ორი – ახიზის და ერუშეთის – ამ მხარეში მდებარეობდა. ქართლი დასავლურ, ბიზანტიურ ორიენტაციას ირჩევს და კლარჯეთიც ირანის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად იქცა. VII საუკუნისათვის ქართლი ბიზანტიის საიმედო პარტნიორი და მოკავშირე ხდება.

VII სუკუნეში არაბეთის სივრცეში მუსლიმური რელიგიით გაერთიანებული დიდი იმპერია – არაბეთის სახალიფო შეიქმნა და ბიზანტიას დაუპირისპირდა. ქართლი მოძალებულ არაბებს ჯერ უზავდება, შემდეგ კი აჯანყებას აწყობს და 735-737 წლებში მურვან-ყრუს გამანადგურებელ შემოსევას განიცდის. ქართლი

აოხრდა, დაიცალა ტაო-კლარჯეთის სოფლები და ქალაქები, გავერანდა მონასტრები.

VIII საუკუნიდან არაბები ქართლში მძლავრობენ. მათგან შევიწროებული ქართლის ერისთავი აშოტი (†826) IX საუკუნის დასაწყისში ცენტრალური ქართლიდან ბიზანტიის მოსაზღვრე რეგიონში, კლარჯეთში მკვიდრდება. აშოტი ბიზანტიელების მხარდაჭერით სარგებლობს – ღებულობს კურაპალატის ბიზანტიურ ტიტულს, ანახლებს და კვლავ სამეფო ქალაქად აქცევს არტანუჯს, ქმნის ცენტრალურ სახელმწიფოს მტკიცე ადმინისტრაციით და სამხედრო ძალით. ამ პერიოდში, სწორედ ტაო-კლარჯეთში საფუძველი ჩაეყარა ბაგრატოვანთა ათასწლოვან სამეფო დინასტიას.

VIII საუკუნის 80-იან წლებში კლარჯეთში მოღვაწეობა დაიწყო ცენტრალური ქართლიდან წამოსულმა გრიგოლ ხანძთელმა. აშოტისა და შემდგომ მისი ძის ბაგრატის ხელშეწყობით გრიგოლ ხანძთელმა კლარჯეთში დაიწყო ფართომასშტაბიანი სამონასტრო მშენებლობა. გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების მიერ დაარსებულ მონასტრებს შემდგომში მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო "საქართველოს სინა" ეწოდა.

კლარჯეთში IX-XII საუკუნეებში დაარსებულ თუ განახლებულ სახელგანთქმულ მონასტრებში – ხანძთაში, ოპიზაში, შატბერდში, პარეხთაში, მიძნაძორსა, ბერთასა და სხვებში (კლარჯეთის ათორმეტი უდაბნო), იწერებოდა დღემდე შემორჩენილი ფასდაუდებელი ოთხთავები, ითარგმნებოდა და იქმნებოდა სასულიერო და სამეცნიერო ლიტერატურა. აქ მოღვაწე მამები სახელგანთქმულნი იყვნენ, როგორც აღმოსავლეთის ქვეყნების – სირიისა და პალესტინის (იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერი, XI ს.), ასევე ბიზანტიის კულტურულ სამყაროში. კლარჯეთთან არის დაკავშირებული ცნობილი ოქრომჭედლების ბეშქენ და ბექა ოპიზრების მოღვაწეობა, კლარჯეთში, ანჩის ტაძარში იყო დასვენებული მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი.

X საუკუნე ტაოს აღმავლობის ხანაც არის. დავით კურაპალატის (†1001) ენერგიული მოღვაწეობით გაფართოვდა ტაოს საზღვრები. ბიზანტიის იმპერატორის ბასილი II-ის წინააღმდეგ მოწყობილ ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობაში დახმარებისთვის დავით კურაპალატმა ბიზანტიისგან დიდი პოლიტიკური მხარდაჭერა და დიდძალი სიმდიდრე მიიღო. მისი ქტიტორობით აშენდა ტაოში – ოშკის, ხახულის, პარხლისა და ოთხთას მონასტრები. ამ ბრძოლის სარდალმა თორნიკე ერისთავმა ათონის ივერთა მონასტერი ააგო (X ს) და საფუძველი ჩაუყარა ბიზანტიაში ქართული კულტურის დიდი კერის შექმნას. VIII-IX საუკუნეებში ტაოსა და კლარჯეთის ტერიტორიაზე არსებობდა ორ-ორი საეპისკოპოსო კათედრა – კლარჯეთში ანჩი და ტბეთი, ხოლო ტაოში – იშხანი და ბანა. ამ პერიოდში რეგიონის მოსახლეობის გასომხებული ნაწილი უბრუნდება თავის ძველ ეთნიკურ-კულტურულ წრეს – ქართულ კულტურასა და მართლმადიდებლურ წიაღს. როგორც აღვნიშნეთ, VIII-X საუკუნეებში ტაოსა და კლარჯეთის მონასტრებში დიდი სასულიერო, მწიგნობრული და საგანმანათლებო მუშაობა მიმდინარეობდა.

X საუკუნეში დავით კურაპალატის მცდელობით ბაგრატ III ერთიანი საქართველოს – აფხაზთა და ქართველთა სამეფო ტახტზე ჯდება. ამ მოვლენებმა საფუძველი ჩაუყარა XI-XII საუკუნების საქართველოს ოქროს ხანას. XI საუკუნიდან კულტურული და პოლიტიკური ცენტრები საქართველოს ცენტრისკენ ინაცვლებს და ტაოსა და კლარჯეთის როლი ქვეყნის ცხოვრებაში მცირდება.

XIII-XIV საუკუნეებში საქრთველოს ჯერ მონღოლები, შემდეგ თემურ ლენგის ურდოები იპყრობენ. დასუსტებულ ქართულ სახელმწიფოში სეპარატისტული მოვლენები იწყება. ამ პერიოდში, ყოფილ ტაოსა და კლარჯეთის ტერიტორიაზე ფაქტობრივად დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთეული სამცხე-საათაბაგო ყალიბდება, რომლის სათავეში ჯაყელთა საგვარეულო ექცევა. აღსანიშნავია XIV საუკუნეში ბექა ჯაყელის ბრძოლა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ და მის მიერ ამ

ქყევყნებში ჩატარებული სააღმშენებლო საქმიანობა, მოსახლეობასა და ეკლესია-მონასტრებზე ზრუნვა.

XIII საუკუნიდან დასასრულიდან სამცხე-საათაბაგოში ცამეტი საეპისკოპოსო არსებობდა – აწყურის, კუმურდოს, იშხნის, ანჩის, ტბეთის, წურწყაბის, ერუშეთის, ვალაშკერტის, ანისის, კარის, ბანის, დადაშის. მაღალი იყო აქაური მღვდელმთავრების პატივი და ღირსება ქვეყნის ერთ-ერთი უმაღლესი სახელმწიფო და პოლიტიკური აქტის – მეფის კურთხევის დროს. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს 36 მღვდელმთავარს შორის მრავალი მათგანი თვით ტფილელ, მანგლელ, რუსთველ, სამთავნელ მღვდელმთავრების წინ იდგა; ხოლო იშხნელი ეპისკოპოსი განსაკუთრებული პატივითაც იყო მოსილი.

XV საუკუნიდან სამხრეთ კავკასია და სამცხე-საათაბაგოც გაძლიერებული სპარსეთისა და თურქეთის იმპერიების ბრძოლის ასპარეზი ხდება. XVI საუკუნიდან ტაო-კლარჯეთი ოსმალეთის თურქეთის შემადგენლობაშია. იწყება მოსახლეობის გამუსლიმების პროცესი. XVII საუკუნიდან უქმდება საეპისკოპოსოები. კნინდება ქართული კულტურა, იცლება მონასტრები, თუმცა ცალკეულ რაიონებში ქართული ენა დღემდე შემორჩა. XIX საუკუნეში სამხრეთ კავკასია რუსეთის გაძლიერებული იმპერიის ინტერესების სფეროში ექცევა. დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომები.

1870-იანი წლებიდან ყოფილი ტაო-კლარჯეთის ტერიტორიები დანარჩენ საქართველოსთან ერთად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშია და იწყება აქ შემორჩენილი ქართული და სომხური არქიტექტურული ძეგლების შესწავლა რუსი და ქართველი მეცნიერების მიერ. საქართველოსა და რუსეთის სიძველეთსაცავებში გროვდება ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე შემორჩენილი ხელნაწერები, ხატები და კულტურის სხვა ძეგლები.

1920 წლის დასასრულისათვის ოსმალეთისა და მეფის რუსეთისგან ქართული ტერიტორია განთავისუფლდა, გაერთიანდა და გამრთელდა: შეიქმნა დიდი საქართველო, თავის ძველ საზღვრებში, თავისი ქართული მიწა-წყლით,

რომელიც ჟამთა სიავის სრბოლაში და ისტორიული უკუღმართობით მოწყდა მას.
მაგრამ ახალი საფრთხე უკვე კარებზე იყო მომდგარი: საბჭოთა რუსეთისა და ქემალისტური ოსმალეთის მხრიდან. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ ხმამაღლად განაცხადა: ჩვენ გვირჩევნია დასავლეთის იმპერიალიზმი აღმოსავლეთის ბარბაროსობასო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ნოე ჟორდანია საბჭოთა რუსეთის ორიენტაციას უარყოფდა, მაგრამ რუსეთ-ოსმალეთის დამეგობრებამ დასავლეთის წინააღმდეგ კავკასიის რესპუბლიკებს, და კერძოდ, საქართველოს ბოლო მოუღო.
1921 წლის 16 მარტის რუსეთ-თურქეთს შორის მოსკოვისა და 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებებმა განსაზღვრა თურქეთ-საქართველოსა და თურქეთ-სომხეთის საზღვრის დემარკაციის საკითხი, რომლის ძალითაც საქართველოს უარი ათქმევინეს თავის ისტორიულ ტერიტორიებზე – კოლაზე, არტაანზე, შავშეთზე, კლარჯეთზე, ტაოზე, ჯავახეთისა და აჭარის ნაწილზე, სომხეთს კი – ყარსის ოლქსა და ვანის ტბის მიმდებარე ტერიტორიებზე.
1921 წლიდან საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაშია და ყოველგვარი კავშირი საქართველოსა და ამ რაიონებს შორის წყდება.
სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდგომ. კერძოდ, 1945 წლის დეკემბრიდან საბჭოთა კავშირში დაიწყო ფართომასშტაბიანი იდეოლოგიური კამპანია თურქეთის მიერ 1921 წელს დაკავებული ქართული ტერიტორიების დაბრუნების მოთხოვნით. 1945 წლის 19 მარტს საბჭოთა კავშირმა მოახდინა 1925 წლის 17 დეკემბერს თურქეთთან დადებული ნეიტრალიტეტის შესახებ ხელშეკრულების დენონსაცია. 1945 წლის ივნისის მოლაპარაკებებზე კი საბჭოთა მთავრობამ თურქეთს სხვა საკითხებთან ერთად წაუყენა ტერიტორიული პრეტენზიები და მოსთხოვა ბოსფორის სრუტეზე ახალი რეჟიმის დაწესება. ეს საკითხები საგანგებოდ განიხილეს "დიდი სამეულის" (საბჭოთა

კავშირი, აშშ, ინგლისი) პოტსდამის კონფერენციაზე. 1945 წლის 22 ივლისის სხდომაზე ინგლისის პრემიერი უინსტონ ჩერჩილი შეშფოთებას არ მალავდა აღნიშნულთან დაკავშირებით: "მე მესმის, რომ ეს არის საბჭოთა მთავრობის პრეტენზიები თურქეთისადმი, მაგრამ ვინაიდან თურქეთმა დასვა სსრკ-სთან კავშირის საკითხი, ამ უკანასკნელმა წამოაყენა ამგვარი სახელშეკრულებო პირობები. ჩემთვის სრულებით ნათელია, რომ ვინაიდან თურქეთი ითხოვს ამ კავშირს, საბჭოთა მთავრობას ეძლევა საშუალება, განაცხადოს ორ ქვეყანას შორის ურთიეთობების გაუმჯობესების პირობების შესახებ. თუმცა თურქეთი შეაშფოთა წამოყენებულმა პირობებმა. მე არ ვიცი, რა მოხდა მოლაპარაკებების შემდეგ და მსურს გავიგოთ ამ საკითხზე მთავრობის პოზოცია". ამ განცხადების შემდეგ იოსებ სტალინმა საგარეო საქმეთა კომისარს, ვიაჩესლავ მოლოტოვს სთხოვა მოეხსენებინა საქმის ვითარება. ამ უკანასკნელმა კი აღნიშნა: "...ზოგიერთ უბანზე სსრკ-თურქეთის საზღვარს მივიჩნევთ უსამართლოდ. მართლაც, 1921 წელს თურქეთმა საბჭოთა საქართველოს და საბჭოთა სომხეთს ჩამოაჭრა ყარსის, ართვინისა და არდაჰანის ოლქები (წარმოადგენს რუკას). ამიტომ განვაცხადე, რომ ხელშეკრულების დასადებად აუცილებელია საკითხის მოგვარება, დაუბრუნდეთ მათ ეს ტერიტორიები".

საბჭოთა კავშირ-თურქეთის აღმოსავლეთ საზღვრის თაობაზე კამათი პოტსდამის კონფერენციის მომდევნო სხდომაზეც გაგრძელდა. ამჯერად მოკავშირეებს განმარტებები მისცა თავად იოსებ სტალინმა: "...აქ საუბარი იყო პირველ მსოფლიო ომამდე არსებული საზღვრის აღდგენაზე. მხედველობაში მაქვს ყარსის რაიონი, რომელიც ომამდე იყო სომხეთის შემადგენლობაში და არდაჰანის რაიონი, რომელიც ომამდე საქართველოს ეკუთვნოდა... ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყარსის და არდაჰანის რაიონში საზღვრები უმართებულოა და თურქებს განვუცხადეთ, რომ ჩვენთან კავშირის შემთხვევაში საზღვარი უნდა გასწორდეს. თუ თურქეთს არ სუსრს საზღვრის შესწორება, კავშირის საკითხი იხსნება".

1953 წლის 30 მაისი. მსოფლიო დიპლომატიის ზეწოლით, საბოლოოდ იოსებ სტალინმა უარი თქვა თურქეთისადმი ტერიტორიულ პრეტენზიებზე, ხოლო 1953 წლის 30 მაისს საბჭოთა კავშირის მთავრობამ ოფიციალურ დონეზე და საბოლოოდ უარი თქვა ქართულ-სომხური მიწების დაბრუნებაზე. თურქეთის რესპუბლიკის მთავრობისადმი მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებისა და მშვიდობის განმტკიცების მიზნით საბჭოთა საქართველო და სომხეთი უარს ამბობენ თურქეთისადმი თავიანთ ტერიტორიულ პრეტენზიებზე.

1960-იანი წლებიდან ტაო-კლარჯეთსა და კოლა-არტანის ქრისტიანული კულტურის ძეგლების კვლევის შესაძლებლობა მხოლოდ ევროპელ და ამერიკელ მეცნიერებს ეძლეოდათ. 1991 წლიდან, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, დაიწყო კეთილმეზობლური ურთიერთობები თურქეთთან და ქართული კულტურის თურქეთში მდებარე ძეგლების ინტენსიური შესწავლა ქართველ მკვლევარ-მეცნიერთა მიერ. 2002 წლიდან საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა ახალციხის ეპარქიას ნომინალურად მიუერთა ტაო-კლარჯეთის ტერიტორია. დღეისთვის თურქეთის ტერიტორიაზე შემორჩენილია 200-ზე მეტი ქართული არქიტექტურული ძეგლი – მონასტრები, ეკლესიები, ციხე-ქალაქები, ციხეები, კოშკები. მათი უდიდესი ნაწილი ჟამთა მსვლელობამ გაანადგურა, მაგრამ რამდენიმე შემორჩენილი ტაძარი – ხანძთა, ტბეთი, დოლისყანა, ახალდაბა, იშხანი, პარხალი, ოთხთა, ოშკი, ხახული, ბანა, აგრეთვე ციხე-ქალაქები არტანუჯი, არტანი, თორთომი, ოლთისი დღესაც დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე. ტაო-კლარჯეთის ქართული ძეგლების შესწავლას ხანგრძლივი და სახელოვანი ისტორია აქვს. ამ კეთილშობილურ საქმეში მონაწილეობდნენ: მარი ბროსე, ნერსეს სარგისიანი, გიორგი ყაზბეგი, დიმიტრი ბაქრაძე, ნიკო მარი, ე. თაყაიშვილი, ხოლო შედარებით ახლო დროს – ვახტანგ ჯობაძე, ვახტანგ ბერიძე, პ. ზაქარაია. ინტენსიურად შეისწავლეს ეს ძეგლები გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის

ინსტიტუტში ამჟამად მოღვაწე მეცნიერ-თანამშრომლების – როგორც უფროსი, ისე საშუალო და უმცროსი თაობის მიერ. არაერთი გასვლა მოეწყო მათ მიერ ამ ძეგლების ადგილებზე შესასწავლადაც.

სამცხე

სამცხე-ჯავახეთის მხარე საქართველოს თანამედროვე ადმინისტრაციულ დაყოფაში, ადმ. ცენტრი ახალციხე მუნიციპალიტეტი 3, ფართობი 2634,9 კმ.

სამცხე — საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე, ისტორიული მესხეთის ნაწილი. არის მოსაზრება, რომ ადრე ამ მხარეს ოძრხე ეწოდებოდა. მისი ისტორიული საზღვრებია: დასავლეთით — არსიანის მთები, ჩრდილოეთით — ფერსათის მთები, სამხრეთით — ერუშეთის მთები, კასრის სერი, გუმბათისა და ვანის მთები, აღმოსავლეთით — ჭობისხევი.

სამცხის უძველესი ცენტრებია ოძრხე და აწყურის ციხე (აქ იყო სამცხის ერთ-ერთი მთავრის - სამძივარის რეზიდენცია). სამცხე იყოფოდა ხევებად (შუა საუკუნეების ადმინისტრაციული-ტერიტორიული ერთეული). XI საუკუნის 40-50-იან წლებში სამცხე მსხვილ ფეოდალს ლიპარიტ ბაღვაშს ემორჩილებოდა, შემდგომში კი კვლავ სამეფო ხელისუფლებას. ამ პერიოდში დაწინაურდა ცენტრალური ხელისუფლების ერთგული ფეოდალი სულა კალმახელი, რომლისგანაც სათავეს იღებს სამცხის მთავართა - ჯაყელ-ციხისჯვარელთა ფეოდალური სახლი.მონღოლთაგან სამცხის დაპყრობის შემდეგ, 1266, მთავარი სარგის ჯაყელი „ხასინჯუს“ სისტემით უშუალოდ მონღოლებს დაემორჩილა. XII-XIV საუკუნეების სამცხის ეკონომიკური და კულტურული აყვავების ხანაა. აშენდა ტაძრები: საფარა, ზარზმა, ბიეთი, ჭულე. შეიქმნა სამართლის წიგნი (ე. წ. ბექას და აღბუღას სამართალი). XVI საუკუნისათვის სამცხეში 2 საეპისკოპოსო იყო — აწყურისა და წურწყაბის. XIV საუკუნის I ნახევარში სამცხისა და მომიჯნე ტერიტორიაზე იქმნება მსხვილი ფეოდალური პოლიტიკური ერთეული სამცხე-საათაბაგო.

სამცხე XIV —XVII საუკუნეებში სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში შედიოდა, XVI საუკუნის მე-2 ნახევარში დაპყრობილ იქნა თურქეთის მიერ. 1828-1829 წლებში სამცხის ერთი ნაწილი დაუბრუნდა საქართველოს, ხოლო თურქეთის ფარგლებში დარჩა კუთხეები — ყველისხევი, წურწყაბი, ფოცხოვი და ჯაყისწყალი.

თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით სამცხე მოიცავს სამცხე-ჯავახეთის მხარის ადიგენის, ახალციხის და ასპინძის მუნიციპალიტეტებს.

სპერი (ამჟამად თურქეთის პროვინცია სპირ - ისპირი) — ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიული მესხეთის ნაწილი. იგი მდებარეობს ჭოროხის ზემო დინებაში. მკვლევართა დიდი ნაწილი სპერსა და მის მოსახლეებს მიიჩნევს აღმოსავლელი ქართული ეთნიკური, სახელმწიფოებრივი და კულტურული წრის შემადგენელ ნაწილად. ძვ. წ. V საუკუნეში ჰეროდოტე იხსენიებს მის მოსახლეობას — სასპერებს (ტერმინი შეიძლება ნაწარმოები იყოს მხარის სავარაუდო სახელწოდებისაგან „სასპერ“-ოდან). სპერის ტერიტორია შავ ზღვამდე აღწევდა (აქედან სახელწოდება „სპერის ზღუა“). ძვ. წ. IV—III საუკეებში სპერი, ქართლის სამეფოს წარმოქმნის დროისათვის, პროვინცია იყო (სტრაბონი სპერის „პარიადრის მთიანეთის“ სახელით იხსენიებს).

სპერის მხარის ერთი ნაწილი — ზემო სპერი სხვა ძველ ქართულ პროვინციებთან (ტაო, გოგარენე) პერიოდულად გადადიოდა ხან სომხეთის, ხან ქართლის მფლობელობაში. სომხეთის მფლობელობაში სპერის მხარის ეს ნაწილი მოქცეული იყო ძვ. წ. II საუკუნეში და ახ. წ. III—IV საუკუნეებში (387 წლამდე). სპერის ოლქის უდიდესი ნაწილი და საკუთრივ ძველი ქალაქი სპერი 1570-იანი წლების დამლევამდე თითქმის ყოველთვის შედიოდა საქართველოს საზღვრებში: XII-XIII საუკუნეებში საქართველოს ფეოდალური მონარქიის გამგებლობაშია, XIII საუკუნის II ნახევრიდან სამცხის სამთავროში (სამცხე-საათაბაგოში) შედის. XIII საუკუნის ბოლოს

სამცხის მთავარმა ბექა მანდატურთუხუცესმა სპერში დაამარცხა ოსმალთა ლაშქარი. 1578 წლიდან ეს ძირძველი ქართული მხარე ოსმალეთმა მიიტაცა. ამჟამად იგი შედის თურქეთის ისპირის ვილაიეთში. სპერი უაღრესად მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ სწორედ ეს მხარე არის ბაგრატიონთა საგვარეულოს სამშობლო.

ტაო (სომხ. ტაიქ Տայք) — ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიული მესხეთის ნაწილი. იგი მდებარეობს მდინარე ჭოროხის შუა დინების აუზში. სახელწოდება დაკავშირებულია ქართული ტომების ტაოხების სახელთან. პირველად მოიხსენიება ძვ. წ. 1112 წელს ასურულ წყაროებში "დაიაენის" სახელწოდებით. ურარტული წყაროები (ძვ. წ. IX-VIII სს) "დიაუხის" სახელით იცნობდნენ[1]. ამ წყაროების მიხედვით, XII-VIII სს-ში დიაუხი ძლიერ გაერთიანებას წარმოადგენდა, რომლის სამხრეთი საზღვარი დღევანდელი არზრუმის მიდამოებსა და ევფრატის ზემო წელს მოიცავდა და აქედან ჩრდილოეთით დიდ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. დაახლოებით ამავე ტერიტორიაზე მოიხსენიებენ ძველი ბერძენი ავტორები ტაოხებს.

შემდგომ პერიოდში ტაო შედიოდა კოლხეთის სამეფოში, ძვ. წ. IV-III სს-ში იბერიის ორგანული ნაწილი იყო, ძვ. წ. II საუკუნეში სომხეთი დაეუფლა. ახ. წ. I-II საუკუნეებში ტაო კვლავ ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია, IV-VII სს-ში მამიკონიანთა ფეოდალური საგვარეულოს სამფლობელო იყო. VIII საუკუნეში ტაო პოლიტიკურად ქართლის სამეფოს შეუერთდა, აქ გაიშალა ფართო სამონასტრო მშენებლობა, დასაბამი მიეცა ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას.

XII-XIII სს-ში ტაო საქართველოს სანაპირო საერისთავო იყო, XIII საუკუნის II ნახევრიდან სამცხე-საათაბაგოშია, XIV საუკუნიდან კვლავ ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში. XVI საუკუნის 50-იან წლებში სამცხე-საათაბაგოს სხვა ტერიტორიებთან ერთად ოსმალეთმა შეიერთა.

ტაშირი — ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე, ქვემო ქართლის განაპირა ოლქი. იგი შემოსაზღვრული იყო ლოქის, ლელვარის,

ყარაღაჯის და ბამბაკის მთებით, მოიცავდა ტაშირისწყლის ხეობას. ეს მხარე ხშირად ლორედ იწოდებოდა, რადგან ცენტრი ლორის ციხე იყო. ტერიტორია საცილობელი იყო ქართულ და სომხურ სახელმწიფოებს შორის. ((X))-XI სს-ში ტაშირ-ძორაგეტის სამეფოშია. 1122 წელს შემოუერთდა საქართველოს და სამართავად გადაეცა ჯერ ორბელებს, შემდეგ - მხარგრძელებს. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დროს, 1918 წელს ეს მხარე საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. ტაშირი ამჟამად სომხეთის ფარგლებშია მოქცეულია და ლორის ოლქში შედის.

კლარჯეთი
ართვინი
ახიზა
არტანუჯი
ანჩა
ჯმერკი
დოლისყანა
დაბა
ბერთა
პარეხი
მერე
ხანძთა
ოპიზა
ბარეთელთა
წყაროსთავი
მიჯნაძორი
შატბერდი
სვეტი
მამაწმინდა
ტანძოთი
სინკოთი
გურნათელი
კლარჯეთი

ქალაქები

საეპისკოპოსო კათედრები
„ათორმეტი უდაბნო“ სხვა ეკლესია-მონასტრები

ციხეები

კლარჯეთი — ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მხარე, ისტორიული მესხეთის ნაწილი. იგი მოიცავს ჭოროხის ქვემო დინების აუზს არსიანის ქედიდან შავ ზღვამდე, მდინარე იმერხევისა და არტანუჯისწყლის ხეობების ჩათვლით. კლარჯეთის უძველესი ცენტრია ციხე თუხარისი. კლარჯეთს განაგებდა ქართლის მეფის ერისთავი, რომლის რეზიდენცია V საუკუნის II ნახევრიდან არტანუჯის ციხე უნდა ყოფილიყო. მეფე ვახტანგ გორგასალმა (V საუკუნე) აქ ფართო კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობა წამოიწყო: ააშენა ეკლესია-მონასტრები, დააარსა ახალი საეპისკოპოსო (ცენტრი ახიზაში). კლარჯეთი ამავე დროს გახდა ირანის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმი. VIII საუკუნეში აქ დამკვიდრდა ბაგრატიონთა სამეფო დინასტია. IX საუკუნის დასაწყისში მეფე აშოტ I-მა დიდმა არაბთა ლაშქრობებით და ეპიდემიებით გაპარტახებული მხარე აღადგინა და დაასახლა, ამავე დროს აქ დაიწყო ფართო სამონასტრო მშენებლობა გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით. XI-XIII საუკუნეებში კლარჯეთში ფართოდ გაიშალა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. იგი განთქმული იყო ეკლესია-მონასტრებით, რომელთაც კლარჯეთის თორმეტ უდაბნოს („ათორმეტი უდაბნო“) უწოდებდნენ. XVI საუკუნეში კლარჯეთი სამხრეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად ოსმალეთმა მიიტაცა. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაშია. 1921 წლიდან კი ისევ თურქეთის საზღვრებშია.

გეოგრაფია

ისტორიულად კლარჯეთის პროვინცია მესხეთის მხარის ნაწილია. იგი მდინარე ჭოროხის ქვემო აუზს მოიცავს და გადაჭიმულია არსიანის ქედიდან შავ ზღვამდე. ისტორიულად კლარჯეთს ეკუთვნის ასევე მდინარე იმერხევისა და არტანუჯის წყლის ხეობები.

კლარჯეთი კლდოვანი ხევებით დასერილი მთიანი მხარეა. ამ მხარის რთული რელიეფი და ტყის მასივები ერთი მხრივ ხელს უშლიდა სამეურნეო ცხოვრების განვითარებას რეგიონში, მეორე მხრივ კი ბუნებრივ ბარიერს ქმნიდა მტრისათვის და იცავდა ადგილობრივ მოსახლეობას. ლეონტი მროველი აღნიშნავს:

„ვერავინ შევიდოდა მავნე კლარჯეთს. რამეთუ შეუვალი და მაგარი იყო ტყითა და კლდითა, და მკჳდრნი კლარჯეთისანი იყვნეს კაცნი მკჳრცხნი და მჴედარნიცა“

აღსანიშნავია, რომ ქართულ წყაროებში ერთგვარ მეტაფორად გამოიყენება „კლარჯეთის კლდენი“, რაც თავისთავად გულისხმობს დამპყრობთაგან ძნელად მისადგომლობას.

დღეს ისტორიული კლარჯეთის მხარე მთლიანად თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებშია მოქცეული. დღეს იგი, როგორც ცალკე პროვინცია ან რაიონი, არ არსებობს. თურქეთის თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით კლარჯეთი მოქცეულია შავი ზღვის რეგიონში, კერძოდ ართვინის პროვინციაში. აერთიანებს ამ პროვინციაში შემავალ არტანუჯის, ართვინის, მურგულისა და ბორჩკის რაიონებს, ასევე ზღვისპირა ხოფას რაიონს.

პროვინციის სახელი ხალხში ბოლო დრომდე შემორჩა არტანუჯიდან დაახლოებით 10 კმ-ით სამხრეთით მდებარე სოფელ კლარჯეთს, რომელიც დღესაც არსებობს თურქული სახელწოდებით — ბერექეთ ქოი (თურქ. ერეკეტ კ ჲ). ამ სოფლის თანამედროვე სახელწოდების მიხედვით თურქი მკვლევარი მინე ქადიროღლუ კლარჯეთის პროვინციასაც ბერექეთს უწოდებს, ხოლო ტაო-კლარჯეთის სინონიმად იგი ხმარობს ხელოვნურ ტერმინს „ოლთუ-ბერექეთი“ (თურქ. ლტუ-ერეკეტ).

კვლევა

დიმიტრი ბაქრაძე, კლარჯეთის ქრისტიანული არქიტექტურის ერთ-ერთი პირველი მკვლევარია. კლარჯეთისადმი, განსაკუთრებით კი მისი ქრისტიანული არქიტექტურისადმი ინტერესი XIX საუკუნეში გაჩნდა. პირველი მოკლე ცნობები კლარჯეთის ეკლესიებისა და მონასტრების შესახებ ეკუთვნის

კარლ კოხს, დიმიტრი ბაქრაძეს, გიორგი ყაზბეგსა და პრასკოვია უვაროვას. კლარჯეთის არქიტექტურის შესახებ კვლევას საფუძველი დაუდო ალექსანდრე პავლინოვმა. აღსანიშნავია ნიკო მარის „შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობის დღიური“, რომელიც ერთგვარი რეგიონალური ენციკლოპედიაა და დღესაც შეუცვლელი წიგნია კლარჯეთისა და შავშეთის ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, არქიტექტურისა და ეპიგრაფიკის შესასწავლად. პალეოგრაფიულად, უპირველესად ექვთიმე თაყაიშვილის ძალისხმევით, შემუშავდა თურქეთის ისტორიული ქართული სხვა რეგიონების, ტაოს, კოლა–არტაანის, ერუშეთის სიძველეებიც.

ქართული ხელოვნებათმცოდნეობის სკოლის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე ტაო–კლარჯეთი, განსაკუთრებით კი მისი არქიტექტურა, როგორც პრიორიტეტული საკვლევი თემა, ბუნებრივად იყო შემზადებული, თუმცა შესაფერისად ვერ დამუშავდა მეცნიერებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. გიორგი ჩუბინაშვილის 1930–1940-იან წლების ნაშრომებში გამოიკვეთა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ტაო–კლარჯეთს განსაკუთრებული როლი ეკუთვნოდა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ფორმირებაში. ეს როლი კიდევ უფრო სრულად წამოაჩინა ვახტანგ ბერიძემ, რომლის სპეციალურ გამოკვლევაშიც პირველად გაშუქდა ტაო-კლარჯეთის არქიტექტურის მრავალი ასპექტი. იმავე ხანებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ დაგროვილი ცოდნა შეჯამდა პარმენ ზაქარაიას ნაშრომში. გამორჩეული და აღსანიშნავია ვახტანგ ჯობაძის მოღვაწეობა კლარჯეთის კვლევის საქმეში და მისი წიგნი „ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში“; აგრეთვე სხვა ევროპელი და ამერიკელი ავტორების — ნიკოლ და ჟან-მიშელ ტიერის (ცოლ–ქმარმა თურქეთის ქართულ სიძველეებს არაერთი ნაშრომი მიუძღვნა), დევიდ უინფილდის, რობერტ ედვარდსის, ბრუნო ბაუმგარტნერის და სხვათა ნაშრომები. უცხოელ მკვლევართა ნაშრომებსა და გამოკვლევებს, ასევე ვახტანგ ჯობაძის მოღვაწეობას

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან 1950–იანს წლების ბოლოდან სამი ათეული წლის მანძილზე კლარჯეთი და ზოგადად ისტორიული ქართული მიწები თურქეთში ქართველ მეცნიერთათვის მიუწვდომელი იყო. 1980-იანი წლებიდან ამ საქმეში აქტიურად ჩაებნენ თურქი მეცნიერებიც, თავდაპირველად მინე ქადიროღლუ შემდეგ კი სხვებიც.

კლარჯეთის ისტორიის შესწავლა ძირითადად ქართულ და უცხოურ წერილობით ძეგლებზე დაყრდნობით ხორციელდება. არქეოლოგიური გათხრები ამ რეგიონში არასოდეს ჩატარებულა. სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ კლარჯეთის ისტორიის, განსაკუთრებით კი მისი ადრეული ეტაპის შესახებ მხოლოდ მწირი ინფორმაცია მოიპოვება.

კოლა — მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე.

იგი მოიცავს მტკვრის სათავეების ქვაბულს. სახელწოდება წარმოდგება კოლხას ტომის სახელისაგან. უძველესი აბორიგენული მოსახლეობა დასავლურ-ქართული იქნებოდა. ძვ. წ. IV საუკუნეში შედიოდა წუნდის საერისთავოში, ძვ. წ. II-I სს-ში სომხეთის სამეფოს მფლობელობაშია, ახ. წ.-ის I-II სს-ში - იბერიაში. შემდეგ V საუკუნემდე კვლავ სომხეთს ეკუთვნის. IX-XI სს-ში ქართველთა საკურაპალატოშია, XVI ს-დან ოსმალეთის მიერაა მიტაცებული. 1918-21 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაშია. 1921 წლიდან კი ისევ თურქეთის საზღვრებშია.

კოლა-დან უნდა მომდინარეობდეს თანამედროვე თურქული ქალაქის ლე-ს სახელწოდება, რომელიც მტკვრის სათავეებში 2038 მ სიმაღლეზე მდებარეობს.

არსებობს თხზულება კოლაელ ყრმათა წამებაზე.

მესხეთი — ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ზემო ქართლი) ზოგადი სახელწოდება. ანტიკური წყაროებში (სტრაბონი, ძვ. წ. 64/63 — ახ. წ. 23/24) მოიხსენიება ეს ტერიტორია "მოსხიკეს" სახელწოდებით. (მოსხური ქვეყანა, მესხების მხარე) ეწოდებოდა. აღსანიშნავია, რომ ძველი ქართული წყაროები "მესხეთს" არ ახსენებენ და ამ მხარის

სახელწოდებად X-XVI სს-ში ზემო ქართლი იხმარებოდა. მის პარალელურად არსებობდა ტერმინები შიდა ქართლი და ქვემო ქართლი. ზემო ქართლი მოიცავდა მტკვრის აუზის ზემო ნაწილს (სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, ერუშეთი, კოლა) და ჭოროხის აუზს მთლიანად (აჭარა, კლარჯეთი, შავშეთი, ტაო, სპერი). იგი სამხრეთიდან მდინარეების ევფრატისა და არაქსისაგან იფარგლებოდა ე. წ. მოსხური მთებით.

ამ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან სახლობდნენ ქართველები — მესხები. აქედან მოდის მხარის სახელწოდებაც. საუკუნეთა განმავლობაში მესხეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა ადმინისტრაციული და პოლიტიკური ერთეულები არსებობდა: დიაოხი, ზაბახა, ვიტეროხი (ტომთა გაერთიანებები), კლარჯეთის, წუნდის და ოძრხის საერისთავოები, ქართველთა სამეფო ანუ ტაო-კლარჯეთის სამთავრო, სამცხე-საათაბაგო, ახალციხის საფაშო.

ძვ. წ. II-I საუკუნეებში მესხეთის ტერიტორია 3 ნაწილად იყოფოდა; სომხეთს ეკავა — ტაო, სპერი და კოლა; კოლხეთს — შავშეთი, კლარჯეთი და აჭარა; ქართლს (იბერია) — არტაანი, კავახეთი და სამცხე. უფრო გვიან იბერიამ კვლავ შემოიერთა დანარჩენი მესხეთი გარდა სპერისა. IX-X საუკუნეებში მესხეთის ტერიტორიაზე წარმოიქმნა ბაგრატიონთა სამეფო (ცენტრი არტანუჯი). XII— XIII საუკუნეებიდან მესხეთი საქართველოს სამეფოს დიდმოხელე ერისთავთა, სამცხის სპასალარ ჯაყელ-ციხისჯვარელთა სამფლობელო იყო. ამ საგვარეულოს მიერ ათაბაგის სახელოს დამკვიდრების შემდეგ საათაბაგოდ იწოდებოდა (ცენტრი ახალციხე). XVI საუკუნეში მესხეთი ოსმალებმა მიიტაცეს და იქ ოსმალეთის ადმინისტრაციული ერთეული — ახალციხის საფაშო შექმნეს. ისტორიული მესხეთის ნაწილი (სამცხე და ჯავახეთი) საქართველოს დაუბრუნდა რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 ომის შედეგად, ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების (1829) თანახმად. აჭარა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 ომის შემდეგ ბერლინის კონგრესის (1878) გადაწყვეტილებით.

მესხეთს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, რასაც გამოჩენილ ქართველთა სიტყვებიც ადასტურებს:

- "მესხეთი არის აკვანი საქართველოს დიდებისა..." – მოსე ჯანაშვილი.
- "იქ გაფანტული კულტურის ნაშთები სულია ჩვენი ერისა" – ვაჟა-ფშაველა.
- "აქ ოდითგანვე ჟღერდა სიტყვა ქართული რუსთაველისა" – ვახუშტი ბაგრატიონი.
- "მესხეთი ქართველებისთვის ის არის სწავლა-განათლების საქმეში, რაც საბერძნეთი კაცობრიობისათვის" - მოსე ჯანაშვილი.

ისტორიული მესხეთის ტერიტორია (სამცხე, ჯავახეთი, თორი, კოლა, არტაანი, ერუშეთი, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, სპერი, ჭანეთი) ცენტრალიზებული ფეოდალური საქართველოს ერთ მესამედს შეადგენდა, რაც დაახლოებით 34,2 ათას კვ. კმ-ია. აქედან დღეისათვის 9,4 ათასი კვ. კმ საქართველოს შემადგენლობაშია მოქცეული, ხოლო დიდი ნაწილი თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებშია.

ისტორია

მესხეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში პირველად 1828 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად რუსეთის იმპერიის ფარგლებში შევიდა და „საქართველოს" „შეუერთდა" ძველი მესხეთის ნაწილები: ქობლიანი, ოძრხე (აბასთუმანი), ახალციხე, აწყვერი, ასპინძა, ხერთვისი, ახალქალაქი, ჭაჭარაქი, ფოცხოვი და აბოცი (ჩილდირი); ანუ ძველი სამცხე, ჯავახეთი, პალაკაციო(აბოცი) და ერუშეთი. შემდეგ, 1877-78 წლების რუსეთ ოსმალეთის ომის შედეგად, პარიზის ზავით (მუხლ. 58), შემოერთებულ იქნა მესხეთის მეორე ნაწილი: აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილო ნაწილი – ოლთისი. მთელი ეს მხარე რუსეთის იმპერიის დროს მოქცეული იყო შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში: ახალციხის მაზრა (სამცხე), ახალქალაქის მაზრა (ჯავახეთი), ბათუმის ოლქი (აჭარა, ქობულეთი, შავშეთი), ყარსის ოლქი

(ერუშეთი, ფოცხოვის უბანი, არტაანი ანუ არდაგანი და ოლთისი).

ტერიტორია

რუსეთის დროს შემოერთებული ტერიტორია შემდეგი მოცულობისა იყო: ახალციხის მაზრა – 2 706 კვადრატული კილომეტრი; ახალქალაქის მაზრა – 2 793; ბათუმის ოლქი – 3 779; ართვინის ოლქი – 3 339; ფოცხოვის უბნი – 588; არტაანის ოლქი – 5 137; ოლთისის ოლქი – 3 051. სულ მესხეთის ტერიტორია უდრიდა 21 393 კვადრატულ კილომეტერს ანუ მთელი საქართველოს მესამედზე მეტს. ძველი მესხეთის ნაწილებიდან ოსმალეთის საზღვარში დარჩა ჭანეთი ანუ ლაზისტანი და ზემო ჭოროხზე მდებარე ნაწილი.

ისტორიული ჩანაწერები

ექვთიმე თაყაიშვილი წერს: ”ადგილები, რომელნიც ერგო რუსეთს ოსმალეთისაგან ბერლინის ტრაქტატის ძალით 1878 წელს რუსის მთავრობამ გაჰყო ორ ადმინისტრაციულ ოლქად, ყარსისა და ბათუმისა. ყარსის ოლქს შეადგენდა ოკრუგები ყარსისა, ყაღიზმანისა, არგადანისა და ოლთისისა. ისტორიულად და ეთნოგრაფულად ყარსის და ყაღიზმანის ოკრუგები ეკუთვნოდა სომხეთს, არდაგანისა და ოლთისის საქართველოს. ოლთისის ოკრუგი ხელოვნურად იყო მიწერილი ყარსის ოლქზე, გეოგრაფიულად ის უნდა შესულიყო ბათუმის ოლქში, ვინაიდან ის მოქცეულია ჭოროხის შემდინარე ოლთისის წყლის არემარეში, და ჭოროხი ეკუთვნის შავი ზღვის ბასეინს, ხოლო ყარსის სხვა ოკრუგები ეკუთვნიან კასპიის ზღვის ბასეინს. არდაგანის ოკრუგი, რომელიც მდებარეობით წარმოადგენს ზეგანის პლატოს, გაყოფილი იყო უჩასტკებად: ჩილდირისა, არდაგანისა, გელისა და ფოცხოვისა. პირველი სამი უჩასტკა მდებარეობს მტკვრის ზემო წელზე, ხოლო ფოცხოვის უჩასტკა ფოცხოვის წყალზე. ეს უჩასტკაც ხელოვნურად იყო მიწერილი არდაგანის ოკრუგზე, ვინაიდან გეოგრაფიულად ფოცხოვი სრულიად არ შეადგენს არდაგანის ზეგანის პლატოს ნაწილს, არამედ ეკუთვნის ახალციხის ტერასას და შეიცავს ფოცხოვის წყლის ბასეინის ნაწილს“. ამ ადმინისტრაციულმა პოლიტიკამ

მერმედ გამოიღო ნაყოფი და საქართველოს ტერიტორიული საზღვრების საკითხი მეტად გაართულა.

ბასიანი — პროვინცია ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ისტორიული მესხეთის ნაწილი, მდინარე არაქსის სათავეების რაიონში (თურქეთის ტერიტორია). სახელწოდებას უკავშირებენ ფასიანების (ფაზიანების) კოლხურ ტომს. სომხეთის სამეფოს წარმოქმნისა და მისი გაფართოების შედეგად (ძვ. წ. II ს.) ბასიანი მის ფარგლებში მოექცა. უფრო გვიან იგი შეადგენდა არარატის სამეფოს ერთ-ერთ გავარს (პროვინციას). 384 წელს რომსა და ირანს შორის ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური გავლენის სფეროების განაწილების შედეგად ირანის საზღვრებში მოექცა. VII-VIII საუკუნეებში ბასიანი არაბთა სახალიფოს შემადგენლობაში შევიდა. არაბთა მფლობელობის დასუსტებისა და ქართული სამეფო-სამთავროების გაძლიერების პერიოდში ბასიანი საცილობელი გახდა ბიზანტიისა და "ქართველთა სამეფოს" შორის. მალე "ქართველთა სამეფო" მთლიანად დაეუფლა ბასიანს. X საუკუნის I ნახევარში საზღვარი ბიზანტიასა და "ქართველთა სამეფოს" შორის მდინარე არაქსზე დაიდო და ბასიანის ჩრდილოეთი ნაწილი ქართველ ბაგრატიონთა მფლობელობაში დარჩა. 1001 წელს დავით კურაპალატის მემკვიდეობის გამო ბიზანტიასთან კონფლიქტის შედეგად იმიერ-ტაო და ბასიანი მთლიანად ბიზანტიელთა მფლობელობაში გადავიდა. ქართველები დაჟინებით ცდილობდნენ ბასიანის დაბრუნებას ბიზანტიელთაგან, შემდეგ თურქ-სელჩუკთაგან. XII საუკუნიდან ბასიანი კვლავ ფეოდალური საქართველოს მონარქიის ფარგლებში შედიოდა. 1203 წელს ბასიანში ქართველთა ლაშქარმა სძლია თურქ-სელჩუკებს. 1545 წელს ბასიანი ოსმალებმა მიიტაცეს. XVII საუკუნიდან იგი არზრუმის ვილაიეთის ერთ-ერთი სანჯაყია.

მესხები — ერთ-ერთი უძველესი ქართული ტომია, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, მესხეთის მოსახლენი. თანამედროვე მესხებში დღევანდელი სამცხის ანუ ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონების მოსახლეობას

გულისხმობენ, ზოგიერთ შემთხვევაში აგრეთვე ჯავახებსაც. ხანგრძლივი თურქული ოკუპაციის გამო მესხების ნაწილმა ისლამი მიიღო, მაგრამ შეინარჩუნა ქართული ენა, უძველესი ადათ-წესები, თქმულებები და სიმღერები.

ვახუშტი ბაგრატიონი მესხებს ასე ახასიათებს: „... თუმცა რამდენიმე საუკუნეა გავლილი მას შემდეგ, რაც მესხნი საქართველოს განშორებულნი იყვნენ, მაგრამ აქამდე ისინი თითქმის არ განსხვავდებიან ქართველებისაგან არც ხასიათით, არც ზნეობითა და ჩვეულებით და არც შინაური ყოფა-ცხოვრებით... საზოგადოდ ხალხი მეტად შრომის მოყვარულია... ქონებით მესხნი შემძლებელი ხალხია. ოჯახობა და სახლ-კარი ლაზათიანად და ფაქიზად აქვთ მოწყობილი. უცხო კაცს უკვირს და მოსწონს იმათი სიფაქიზე და სისუფთავე... კეთილს ცხოვრებას აქ უფრო შეჩვეულია ხალხი, ვიდრე საქართველოს სხვა ნაწილებში“

ჯავახეთი — მხარე სამხრეთ საქართველოში, ზემო ქართლში (ძირითადად მოიცავს ახლანდელი ასპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ტერიტორიას), ისტორიულად საზღვრავდა დასავლეთით მდინარე მტკვარი (მდინარის მარცხენა შენაკადი ხევები მგელციხიდან ასპინძამდე ასევე ჯავახეთში შედიოდა), ჩრდილოეთით, სამხრეთით და აღმოსავლეთით შავშეთის, სამსარისა და ნიალისყურის მთები. წყაროებში ჯავახეთი (ზააბახა) პირველად ძვ. წ. 785 წელს იხსენიება ურარტუს მეფის არგიშთი I-ის წარწერაში, როგორც დაპყრობილი მხარე; იმხანად იგი მოიცავდა ჩილდირის ტბის დასავლეთ მხარეს (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია). უძველესი დროიდანვე ჯავახეთი ქართლის სამეფოს ერთ-ერთი საერისთავო ოყო (ცენტრი წუნდა). იგი როგორც აღმოსავლურქართულ, ისე დასავლურქართულ კულტურულ-ისტორიულ სფეროში იყო მოქცეული (ჯავახეთის, ისე როგორც მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საქართველოს ტოპონიმიკაში, შეიმჩნევა ზანური ენის დანაშრევი ელემენტები). ისტორიული ჯავახეთი იყოფოდა: ზემო ჯავახეთად

(ახალქალაქის ზეგანი) და ქვემო ჯავახეთად (მდინარე მტკვრის კანიონი მარცხენა სანაპიროთი).
XI საუკუნიდან ზემო ჯავახეთის ცენტრი გახდა ახალქალაქი. X საუკუნიდან ქვემო ჯავახეთის ცენტრი ხდება თმოგვი. საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერების ხანაში (XI-XIII საუკუნეები) ჯავახეთიც აღმავლობის გზას დაადგა; აშენდა ქარვასლები, ხიდები, ეკლესია-მონასტრები, სამეფო რეზიდენციები (დლივი, ღრტილა, ბოჟანო, ვარძია, ალასტანი). XII საუკუნიდან დომენს თორელთა ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლები განაგებდნენ.
XIII საუკუნიდან ჯავახეთის ადმინისტრაციული საზღვრებში შედიოდა აგრეთვე პალაკაციო და სამცხის ნაწილი. XV საუკუნეში ჯავახეთი სამცხე-საათაბაგოს სამთავროს ეკუთვნოდა. XVI საუკუნეში სამხრეთ საქათველოს სხვა ტერიორიის ნაწილთან ერთად ოსმალეთმა მიიტაცა. ჯავახეთის ქართული მოსახლეობის ერთი ნაწილი ქვეყნის შიდა რაიონებში - ქართლსა და იმერეთში გადასახლდა. ადგილზე დარჩენილმა იძულებით ისლამი მიიღეს.
XIX საუკუნის I ნახევარში ჯავახეთში კომპაქტურად სახლდებოდა თურქეთიდან დევნილი სომხური მოსახლეობა და რუსეთის იმპერიის შიდა რაიონებიდან გადასახლებული რუსული მოსახლეობა — სექტანტი დუხობორები.
XIX საუკუნის პირველ მესამედში, მას შემდეგ, რაც რუსეთმა ამიერკავკასია მიიერთა, კიდევ უფრო გამწვავდა ურთიერთობა რუსეთსა და ირან-თურქეთს შორის. რუსეთის მთავარი ამოცანა იყო სამხრეთ საზღვრების საიმედო ჩაკეტვა. მთავრობის ამ პრობლემის გადაწყვეტა შეიძლებოდა ირანისა და თურქეთის საზღვრებთან ყველაზე ერთგული ხალხის დასახლებით, რომლებიც შეძლებდნენ არა მარტო სამხრეთის საზღვრების საიმედო დაცვას, არამედ სახელმწიფოს გაათავისუფლებდნენ იმ კოლოსალური ხარჯებისაგან, რომლებსაც იგი ახმარდა საზღვრების დამცველი ჯარის შესანახად.
1828 წელს თურქეთთან რუსეთის ჯარების წარმატებებმა მთავრობის წინაშე დააყენა საკითხი სამცხე-ჯავახეთში საიმედო

ხალხის ჩამოსახლებაზე. გადაწყდა, თრიალეთსა და ჯავახეთში თურქეთიდან ქრისტიანი სომხებისა და ბერძნების ჩამოსახლება. 1829 წლის 3 დეკემბერს გენერალმა ივანე პასკევიჩმა შეადგინა გადმოსახლების განსაკუთრებული კომიტეტი, რომელსაც სამოქალაქო გუბერნატორი ზავილეისკი თავჯდომარეობდა. კომიტეტმა შეიმუშავა გადმოსახლების დებულება. კომიტეტის წინასწარი ანგარიშით ყარსის, ერზურუმისა და ბაიაზეთის ვილაიეთებიდან საქართველოში გადმოსახლდებოდა 8000 ოჯახი. მაგრამ გადმოსახლების დაწყების შემდეგ ოჯახთა ეს რაოდენობა 14000-მდე ავიდა.

ცარიზმის პოლიტიკური მიზანი იყო საქართველოში ეთნიკური სიჭრელის შექმნა. რუსეთისადმი ქართველი ხალხის ერთგულება მეფის მთავრობას რატომღაც არ სწამდა. ამიტომ იყო, რომ უარი უთხრა იმერეთში გახიზნულ მესხ მოსახლეობას განთავისუფლებულ ტერიტორიზე დასახლებაზე.

ახალციხის აღებისთანავე პასკევიჩთან გამოცხადდნენ XVI-XVIIსს. მესხეთიდან გაქცეული ციციშვილების, ავალიშვილების, მუსხელიშვილების და სხვათა შთამომავლები. ქართველ,მეფეთა გაცემული სიგელები წარუდგინეს და მამაპაპისეული მამულების დაბრუნება სთხოვეს. პასკევიჩმა მათი თხოვნა არ შეიწყნარა და გარკვეული გულისწყრომაც გამოთქვა.

სახელწოდება

ტერმინი „ჯავახეთი“ მიღებულია ჯავახ– ფუძეზე –ეთ ბოლოსართის დართვით, შესაბამისად „ჯავახეთი“ ჯავახების საცხოვრებელს, სამყოფელს ნიშნავს (შეადარეთ: სპარსეთი – სპარსთა ქვეყანა, რუსეთი – რუსთა ქვეყანა).

პირველი ცნობა ჯავახეთის სახელწოდების შესახებ ურარტუულ წყაროებში, მეფე არგიშთი I–ის წარწერებში გვხვდება (ძვ. წ. 785). აქ ჯავახეთი ზააბახას სახელითაა ნახსენები. პავლე ინგოროყვას მოსაზრებით სიტყვა ჯავახი უძველეს ქართულ სატომო სახელწოდებას – ტაოხ–ს უკავშირდება. ტაოხები დიაოხის (ტაოს) ძირითად მოსახლეობას შეადგენდნენ და დღევანდელი ჩრდილო–აღმოსავლეთ თურქეთისა და სამხრეთ საქართველოს, მათ შორის ჯავახეთის ტერიტორიაზე

სახლობდნენ. პავლე ინგოროყვა თვლის, რომ ტაოხსა და ჯავახს შორის შუალედური ფორმა უნდა ყოფილიყო ჭაოხ–ი, ჭავახ–ი. დღევანდელი ადგილობრივი სომხური მოსახლეობა ჯავახეთს ჯავახქ–ს (სომხ. Ջավախք) ეძახის, რაც ქართული სახელის სომხური ინტერპრეტაციაა.

ჯავახები, მვ. ქართული ჯავახნი— ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი. ძირითადად ცხოვრობენ სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, ისტორიულ ჯავახეთში.

საუბრობენ ქართული ენის ჯავახურ დიალექტზე. ამჟამად მათი ოდენობა ჯავახეთის მხარეში დაახლოებით 5 000-მდეა. 1829–1830 წლების შემდეგ, როდესაც ოსმალეთის იმპერიიდან გენერალ პასკევიჩის მიერ ჯავახეთში გადმოსახლებულ იქნა 7 300-ზე მეტი სომხური ოჯახი, ჯავახები იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ საკუთარი სახლ-კარი და დასახლებულიყვნენ საქართველოს სხვა მხარეებში.

"ჯავახ" ეთნონიმი იქცა ანთროპონიმად (შეადარეთ ივერი, იმერი, კახი, და სხვ.); ჯავახი (უსუფიქსოდ) არის გვარიც. ამ ფუძიდან წარმოქმნილია აგრეთვე გვარები: ჯავახიშვილი, ჯავახაძე, ჯავახიძე, ჯავახია, ჯავახიანი.

ისტორიული წყაროები

ჯავახნი, თორელებთან ერთად, იხსენიებიან ჟამთააღმწერელის ასწლიან მატიანეში, როგორც ნაწილი "ყოველთა ქართველთა":

„და წარიტანეს თანა მეფე გიორგი საბერძნეთს, და ვერ წინააღუდგეს ფარმანიანნი ლაშქართა მათ ერთ წელ, და ყოველნი მას შინა მყოფნი ქართველნი მოსცა მეფესა გიორგის. იახლნეს ჯავახნი და თორელნი, რაოდენნი ყვეს, და სადაცა ილაშქრიან და შეიბნიან ციხეთა ზედა, მუნ მჴნედ მბრძოლად გამოჩნდის მეფე გიორგი, და მის თანა ყოველნი ქართველნი.“

საინტერესო ფაქტები

რუსულ ენაში ჯავახებისთვის არ დამკვიდრებულა ერთი მყარი შესატყვისი და იქ შეიძლება შეგხვდეთ ფორმები: Джавахи, Джавахы, Джавахетинцы, Джавахцы.

ლაზეთი

აქვე მნიშვნელოვანია საგანგებოდ შევჩერდეთ ლაზეთის (ჭანეთის) სამეფოზეც. ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში რომაელებმა მოახერხეს კოლხეთის დაპყრობა. უფრო გვიან, IV საუკუნეში, აღმოსავლეთ კოლხეთისაგან შეიქმნა ლაზთა სამეფო, რომელსაც ქართველები კვლავ უწოდებდნენ ძველ ეროვნულ სახელს – ეგრისს. ლაზიკა რომ კოლხეთის მემკვიდრეა, ამას ბევრი ბიზანტიელი ისტორიკოსი ადასტურებს. კერძოდ, პროკოპი კესარიელი VI საუკუნეში აღნიშნავს: "შეუძლებელია, რომ კოლხები იგივე ლაზები არ იყვნენ... კოლხთა სახელი ლაზებად შეიცვალა, როგორც ეს ბევრ სხვა ხალხშიც მომხდარა". ამის შესახებ უფრო გარკვევით ლაპარაკობს პროკოპის უმცროსი თანამედროვე და თანამემამულე აგათია: "ძველად რომ ლაზებს კოლხები ერქვათ და ისინი რომ ნამდვილად კოლხები არიან, ამაში არავინ დაეჭვდება, ვინც კი გაეცნობა ფაზისის, კავკასიისა და გარშემო ქვეყნების მოსახლეობას". "ლაზები, — ამბობს იგივე ბიზანტიელი მწერალი, — ძლიერი და მამაცი ხალხია, რომელიც ბატონობს სხვა ძლიერ ხალხებზე. ისინი ფრიად ამაყობენ კოლხთა ძველი სახელწოდებით და, ალბათ, არც უსაფუძვლოდ".

ოსმალეთმა 1578 წელს დაიპყრო სამხრეთ საქართველო, სამცხე და მას გურჯისტანის, ე.ი. საქართველოს ვილაიეთი უწოდა. დაცულია 1595 წლის ოსმალეთის ოფიციალური დოკუმენტი – "საქართველოს ვილაიეთის დიდი დავთარი", რომლის ერთ ნაწილში, სხვა რაიონებს შორის, აღწერილია ჩილდირის, ფოცხოვის, პანიაკის (ბანას), არტაანის რაიონები. მეორე ვილაიეთი – ტრაპეზუნტისა – XIX საუკუნის სამოციან წლებში შეიცავდა მთელ ტერიტორიას მდინარე ყიზილ-ირმაქამდე (ძველი ჰალისი) და გაყოფილი იყო ოთხ სანჯაყად: 1. ლაზისტანი, რუსეთის საზღვრიდან ქ. რიზემდე; 2. ტრაპეზუნტის სანჯაყი, რიზედან ქ. ორდუმდე; 3. ჯანიქი, ორდუდან მდინარე ყიზილ-ირმაქამდე, ცენტრით ქ. სამსუნში და 4. გუმიშხანე. ამრიგად, ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს ოსმალეთის ოფიციალური ნომენკლატურა მოწმობდა, რომ

ქალაქ სამსუნის ოლქიც კი, თვით ყიზილ-ირმაქამდე, არის ჯანიქი – ჭანების, ე.ი. იმავე ლაზების ქვეყანა".
შესაბამისად, ლაზურმა ენამაც და კულტურამაც განიცადა ჯერ ბერძნების, ხოლო შემდეგ ოსმალების დიდი გავლენა. ამის მიუხედავად, ი. ყიფშიძის, ნ. მარის, არნ. ჩიქობავასა და სხვათა აზრით, მორფოლოგიური სტრუქტურა, ფონეტიკური სისტემა, იდიომატიკა, და როგორც იტყვიან, მთელი ფსიქოლოგია ლაზური მეტყველებისა იგივეა, რაც ქართველურ ენებში. საგულისხმოა ლაზური სახელები (მაგალითად, ტუხა — ქალის სახელი) და გვარები: ხეცია, პატარაია, ნორაკია, ლომიძე და სხვა. ცნობილია ლეგენდა მეფის წყაროზე (ლაზურად: "მაფა წყარი"), რომლებიც თამარ მეფის სახელს უკავშირდება. დიდია ლაზური სამოსის მსგავსება გურულებისა და აჭარლების დამახასიათებელ ტანისამოსთან და ყაბალახთან, ლაზური და გურულ-აჭარული ცეკვების (უპირველეს ყოვლისა, ქართული საბრძოლო ცეკვის "ხორუმის") მსგავსება; მსგავსია დღემდე შემორჩენილი უამრავი ადათ-ჩვევა და ა.შ. ტრაპიზონის იმპერიის დაცემამდე (1461 წელს), კონსტანტინოპოლის დაცემიდან 8 წლის შემდეგ, ბევრი ლაზური რაიონი გაბერძნებული იყო. რელიგიის ერთიანობა, საქართველოსთან პირდაპირი კავშირის უქონლობა, რაც გამოწვეული იყო მონღოლური შემოსევებისაგან დანაწევრებული და დასუსტებული საქართველოს მდგომარეობით, ხელს უწყობდა ლაზების ასიმილაციას ბერძნებთან. XV საუკუნიდან კი დაიწყო ლაზების მასობრივი გათურქების პროცესი.
აი, რას წერდა ვახუშტი ბატონიშვილი 1745 წელს: "ბაიბურდისა და ფორჩხის სამხრით, ჭანეთის მთას იქით, არს ჭანეთი, და აწ უწოდებენ ლაზსავე. არს ესე შავი ზღვის კიდის წადევნებით, გონიიდამ ტრაპიზონის საზღვრამდე. გონიის დასავლით მოერთვის ზღვას მდინარე... ამ მდინარის იქით არს ხოფჯა, ქალაქი მცირე, ზღვის კიდესა ზედა. აქ მოერთვის მდინარე ხოფჯისა... კვალად მოერთვის ზღვას მდინარე ხოფჯას იქით გამომდინარე ჭანეთისავე მთისა... ამ მდინარის დასავლით არს ქალაქი მცირე რიზა, ზღვის კიდეზედ. მოერთვის მუნვე

მდინარე მისივე ზღვასა..., ხოლო ამის დასავლით ჩამოვარდების მცირე მთა, კნინღა ზღვამდე, ჭანეთის მთიდამ. და ესე არს საზღვარი საქართველოსი და საბერძნეთისა. აქა არს რკინის-პალო, აქავ არს სატყეპელა. აქ აღაშენა მეფემან არჩილ მოწამემან ციხე შემდგომად ყრუს შემოსვლისა. ...კაცნი არიან... სარწმუნოებით აწ სრულიად მოჰმადიანნი, გარნა მცირედნი ვინმე მოიპოვებიან ქრისტეანენი, არამედ იციან კვალად ქართული ენა ვიეთამე... არამედ არა არს ციხე, ანუ დაბანი, ანუ აგარნი, რომელსა შინა არა იდგეს საყდარი ანუ ეკლესია, თლილის ქვით ნაშენნი, ორი ანუ სამი, დიდნი და მცირედნი, და ეგრეთვე ყოველთა საქართველოსა შინა, რომელნიცა აღვსწერენით". თურქულ ენციკლოპედიაში "ჰაამუსულ-ალამი" ნათქვამია: "ლაზები ცხოვრობენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ტრაპეზუნტის ვილაიეთში... ითვლებიან კავკასიელ ხალხად და ქართველებთან ნათესაური კავშირი აქვთ... მათი გარეგნობაც კი მოწმობს მათ კავკასიურ წარმოშობასა და რასას".

ტაო-კლარჯეთის ძეგლები

არტანუჯი

არტანუჯი მდებარეობს ისტორიულ კლარჯეთში. იგი აშენდა V საუკუნეში ვახტანგ გორგასალის ბრძანებით. IX საუკუნეში არაბებისგან დევნილმა აშოტ I კურაპალატმა არტანუჯის ციხე-ქალაქი აღადგინა და სატახტო ქალაქად აქცია. არტანუჯის ციხის ეკლესიაშია დაკრძალული (826 წ.) აშოტ კურაპალატი.

IX საუკუნის ბოლოდან არტანუჯს აშოტ I-ის შთამომავლები ფლობდნენ. 1010 წელს არტანუჯის ციხე-ქალაქს დაეპატრონა გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III. XIII საუკუნიდან არტანუჯი ათაბაგთა საკუთრებაში იყო, XVI საუკუნიდან კი ოსმალური თურქეთის მფლობელობაშია.

ქალაქი ახალ და ძველ უბნებად იყოფა. ისტორიულ ქალაქს, რომელიც არტანუჯის ციხესთან მდებარეობს ზღუდე ერტყა. ქალაქის ძველ უბანში XIX საუკუნის ნაგებობებიდან

შემორჩენილია ორსართულიანი ქვის სახლები. ციხე მდებარეობს ძველ ქალაქზე აღმართული ვერტიკალური კლდის თხემზე (220X55 მ). შესასვლელი ციტადელს ჩრდილოეთიდან აქვს მიშენებული. ციხის თავდაცვით სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ბუნებრივი გამოქვაბულები. ციხის შიგნით რამდენიმე შენობის უმნიშვნელო ნაშთები შემორჩა, მათ შორის პეტრე-პავლეს ეკლესიის აღმოსავლეთი კედლები მოხატულობის მცირე კვალით.

არტანუჯის ციხე მეტად შთამბეჭდავია. ციხიდან იშლება ვრცელი, ლამაზი პანორამა მდინარე არტანუჯისწყლის ხეობაზე.

ახალდაბა (ენირაბათი)

ახალდაბის ეკლესია მდებარეობს ისტორიულ კლარჯეთში, სოფელ ბულანიკთან.ეკლესიის ისტორია უცნობია, სავარაუდოდ იგი XI საუკუნეშია აგებული. ნაგებობა შედარებით კარგადაა შემორჩენილი, თუმცა მოპირკეთება სანახევროდ შემოძარცვულია. ტაძარი წარმოადგენს ჯვარ-გუმბათოვან ნაგებობას (16,7X10,7 მ.). თორმეტწახნაგა გუმბათის ყელი მდიდრულადაა შემკული ქვაზე კვეთილობით. ეკლესიას ორი შესავლელი აქვს. ორნამენტებით შემკული ფასადებიდან გამორჩეულია სამხრეთის ფასადის სარკმელების დეკორი. წარწერები და მოხატულობა თითქმის აღარაა შემორჩენილი.

XIX საუკუნეში დაფიქსირებულია ეკლესიაზე მიშენებული სათავსები, ხოლო ეკლესიის გარშემო მრავალი საყოფაცხოვრებო ნაგებობა ყოფილა

ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს, სადაც ტაძარია აშენებული, ენი-რაბათს ანუ ახალ რაბათს უწოდებს. მკვლევართა ნაწილი წლების განმავლობაში ახალდაბას, შეცდომით, შატბერდად მიიჩნევდა.

ბანა

ბანას ტაძარი მდებარეობს ისტორიულ ტაოში, სოფელ პენეკის ახლოს. იგი შუა საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლია, რომელიც ქართველ მეფეთა სამყოფს წარმოადგენდა.

მკვლევართა ნაწილი ვარაუდობს, რომ ნაგებობა აშენებულია VII საუკუნეში, იშხნელი ნერსეს კათალიკოსის თაოსნობით, ხოლო სხვა ვერსიით, ტაძარი აგებულია IX საუკუნეში, ადარნასე II-ს მეფობის დროს, კვირიკე ბანელის მიერ.

ძელი ჭეშმარიტის სახელზე ნაკურთხი ბანას ტაძარი იყო წრეში ჩახაზული ტეტრაკონქი (ოთხაფსიდიანი ნაგებობა), კუთხეებში ოთხი მასიური ბურჯით. ტეტრაკონქს შემოუყვებოდა გარშემოსავლელი, 28 წახნაგიანი ნახევრად ღია 38 მეტრი დიამეტრის მქონე გალერეა. ტაძარი სამსართულიანი იყო. მისი სიმაღლე 32 მეტრს აღწევდა.

XIX საუკუნის 50-იან წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, თურქებმა ბანას ტაძარი საბრძოლო ციხედ გადააკეთეს. საომარი მოქმედებების შედეგად ტაძარი თითქმის მთლიანად დაინგრა.

ბანასთან დაკავშირებულია ისტორიული მოვლენები: აქ ჯვარი დაიწერა ბაგრატ IV-მ, აქვე 1445 წელს დაკრძალულია მეფე ვახტანგ IV. ბანას სასულიერო მოღვაწეთაგან ცნობილია ზაქარია ბანელი (XI ს.). აქ გადაწერილი ხელნაწერების მცირე ნაწილია შემორჩენილი, მათგან ცნობილია საბაწმინდის ტიპიკონი (1511 წ.).

ტაძრისგან შემორჩენილია მხოლოდ პირველი და მეორე სართულის მცირე ფრაგმენტები და საკურთხევლის ნაწილი. მიუხედავად ამისა, ტაძარი დღესაც ძლიერ შთაბეჭდილებას ახდებს მნახველზე.

დოლისყანა

დოლისყანის მონასტერი მდებარეობს ისტორიულ ნიგალში, სოფელ ჰამამლიში. დოლისყანა გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში აგებული, საქართველოს სინად წოდებულ კლარჯეთის თორმეტ უდაბნოთა შორის ერთ-ერთია. მონასტერი აშენებულია X საუკუნეში. მისი აგება უკავშირდება მეფეების - ბაგრატ ადარნასეს ძისა და სუმბატ I-ის სახელებს.

კომპლექსიდან შემორჩენილია მხოლოდ მთავარანგელოზთა ტაძარი მინაშენებით. ნაგებობა ჯვარ-გუმბათოვანია (15,8X11,3 მ.). ეკლესია მოპირკეთებულია სხვადასხვა ფერის ქვებით. შენობის

გარე შემკულობიდან განსაკუთრებით გამოირჩევა სამხრეთის მკლავის სარკმელი მთავარანგელოზთა გამოსახულებით. სარკმლის თავსართზე საქტიტორო წარწერაა. გუმბათის ყელის სამხრეთ-აღმოსავლეთ წახნაგში ჩადგმულია ფილა სუმბატ მეფის რელიეფური გამოსახულებით და წარწერით. დოლისყანის ტაძრის XI-XIII საუკუნეების მოხატულობა, თითქმის მთლიანად განადგურებულია.

XIX საუკუნიდან ტაძრის შენობაში მეჩეთი იყო გამართული, რამაც ნაგებობა დღემდე შედარებით კარგ მდგომარეობაში შემოინახა. 1999 წლიდან მეჩეთი სხვა შენობაში გადაიტანეს.

ვაჩეძორი

ვაჩეძორის მონასტერი მდებარეობს ისტორიულ ტაოში, ნიაკომის წყლის ჭალაში, ნიაკომის ციხესა და სოფელ კეჩილს შორის.

კომპლექსი მოიცავს წმინდა სტეფანეს გუმბათიან ეკლესიას და ათამდე ნაგებობას: დარბაზულ სამლოცველოებს, სამრეკლოს, სატრაპეზოს, სენაკებს და სხვა.

წმინდა სტეფანეს ეკლესია ჯვარ-გუმბათოვანი ტიპის საშუალო ზომის ნაგებობაა. გუმბათი ეყრდნობოდა ოთხ მსხვილ მრგვალ ბურჯს. ტაძარს დასავლეთიდან ებმის ორი სამლოცველო და ორსართულიანი სამრეკლო. მთავარი ტაძრის ბურჯებზე მხატვრობის კვალი დღემდეა შემორჩენილი. ტაძარი სტილისტური ნიშნებით IX საუკუნეს ეკუთვნის.

მთავარი ტაძრის სამხრეთით მდებარეობს დიდი ოთხკუთხა მოგრძო ნაგებობა, რომლის დასავლეთის კედლის მხატვრობა კარგადაა შემორჩენილი. მონასტრის სხვა პატარა ეკლესიები დარბაზული ნაგებობებია.

XX საუკუნის დასაწყისში ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მონასტერში აღმოჩენილი XV საუკუნის ხელნაწერების მიხედვით შესაძლებელი გახდა ამ მონასტრის იდენტიფიკაცია. ამავე საბუთებშია მოხსენიებული ვაჩეძორთან დაკავშირებული ისტორიული პირები. მაღალი კლდეებით გარშემორტყმული ნიაკომის ხეობაში ხეხილის ბაღებში გაშენებული ვაჩეძორის მონასტერი მეტად ლამაზია.

თორთომის ციხე-ქალაქი

თორთომის ციხე-ქალაქი მდებარეობს ისტორიულ ტაოში, სოფელ თორთუმკალესთან.

ციხე-ქალაქი გაშენებულია მდინარე თორთომის მარცხენა შენაკადის ნაპირას, მაღალ კლდეზე, რომელიც შემოზღუდული იყო მაღალი გალავნით. იგი წარმოადგენდა მნიშვნელოვანი ისტორიული მხარის ცენტრს. მისი აღორძინება დაკავშირებულია ტაოს დიდი მეფის, დავით კურაპალატის (X ს.) მოღვაწეობასთან. დავითმა ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთთანამშრომლობით ტაოს საზღვრები გააფართოვა და თორთომის მხარეც მის მფლობელობაში გადავიდა. თორთომი XV-XVI საუკუნეებში შედიოდა იშხნელი ეპისკოპოსის სამწყსოში.

თორთომი არაერთხელაა მოხსენიებული ქართულ, სომხურ, ბიზანტიურ და მოგვიანებით, თურქულ და ევროპულ წყაროებში. ციხე-ქალქთან დაკავშირებულია მრავალი მნიშვნელოვანი საბრძოლო ეპიზოდი, მათ შორის ვრცლადაა აღწერილი თემურ-ლენგის (1401 წ.) და თურქების (XVI ს.) წინააღმდეგ გამართული ბრძოლები.

დღესდღეობით ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია გალავნის მაღალი კოშკები, სამნავიანი ბაზილიკის საკურთხეველი და კედლები, ასევე სხვადასხვა ნაგებობების ნაშთები.

მიუხედავად ძლიერი დაზიანებისა, თორთომი თავისი მასშტაბურობით ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე.

იშხანი

იშხნის მონასტერი მდებარეობს ისტორიულ ტაოში, სოფელ იშხანში. ტაძარი გამორჩეულია ხუროთმოძღვრული პლასტიკითა და საკურთხევლის სვეტების კოლონადით.

მონასტერი აშენდა VII საუკუნეში, იშხნელი ეპისკოპოსის, ნერსესის მიერ. ეკლესიის თავდაპირველი გეგმა წრეში ჩახაზულ ჯვრის ფორმას წარმოადგენდა. IX საუკუნეში ტაძარი მეორედ ააშენა საბა იშხნელმა, ბაგრატ კურაპალატის ქტიტორობით. ახალი ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია ისე აიგო, რომ ძველი ეკლესიის დარჩენილი საკურთხევლის სვეტნარი შენარჩუნდა. XI საუკუნეში იშხნის ეკლესია საფუძვლიანად გადააკეთა

მთავარეპისკოპოსმა ანტონ იშხნელმა. ცნობილია ხუროთმოძღვარიც - იოანე მორჩაისძე.
იშხნის მონასტრის ნაგებობათაგან შემორჩენილია მთავარი ტაძარი და დარბაზული ეკლესია.
წმინდა მოციქულთა მთავარი ტაძრის ზომებია 36,6X18,4 მეტრი. გუმბათის ყელი დაყრდნობილია ოთხ მძლავრ ბურჯზე. მორთულობით გამოირჩევა დასავლეთის და სამხრეთის ფასადები, რომლის მეორე კამარაში გაჭრილია კარი, აქვეა საქტიტორო წარწერაც.
დასავლეთი მკლავი, გვიან აშენებული კედლით, ჯამედ იყო გადაკეთებული. ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთი მინაშენის სამხრეთ კედელზე 27 პწკარიანი დაზიანებული წარწერაა (X ს), რომელშიც მოხსენიებულია ქართველი ბაგრატოვანი მეფეები. იშხნის მხატვრობა X-XII საუკუნეებისაა. განსაკუთრებით მდიდრულია და შედარებით უკეთესადაა შემორჩენილი კამარის მოხატულობა.
ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით დგას ღვთისმშობლის ერთნავიანი ეკლესია, აგებული გურგენ მეფის მიერ 1006 წელს. კარის ტიმპანზე შემორჩენილია ქართული და სომხური ქვაზე ნაკვეთი წარწერები.
იშხანი მწიგნობრობის კერას წარმოადგენდა. მონასტრის მოღვაწეთაგან გამორჩეულია ილარიონ იშხნელი (X-XI სს.).
იშხნის ნამონასტრალი არქიტექტურული გადაწყვეტით და ლამაზი გარემოთი დღესაც მეტად შთამბეჭდავია და მრავალ ტურისტს იზიდავს.

ოთხთა ეკლესია

ოთხთა ეკლესია მდებარეობს ისტორიულ ტაოში, მდინარე ჭოროხის მარცხენა შენაკადის, ოთხთა ეკლესიის წყლის ხეობაში, სოფელ თექალედან 4 კილომეტრზე.
ეკლესია აგებულია 961-965 წლებში, დავით III კურაპალატის მიერ. მისივე შემწეობით 978-1001 წლებში მონასტერი მნიშვნელოვნად გადაუკეთებიათ. ოთხთა ეკლესიის მონასტრის ნაგებობათაგან შემორჩენილია მთავარი ტაძარი, დასავლეთი

კარიბჭე, სემინარია, სატრაპეზო, სამარხი კაპელა და მცირე სამლოცველოები.

ოთხი მახარებლის მთავარი ტაძარი სამნავიანი ბაზილიკაა (28,46X18,60 მ, სიმაღლე 22,07 მ.). იგი გამოირჩევა სინატიფითა და დახვეწილი არქიტექტურული გადაწყვეტით. ფასადების მთავარი მორთულობა კამარებია, ფასადებზე შემორჩენილია წარწერებიც. ტაძრის მოხატულობის ფრაგმენტები მხოლოდ საკურთხეველშია შემორჩენილი. ბაზილიკის შუა ნავის დასავლეთით გვიანდელი პატრონიკეა.

დასავლეთის კარიბჭე მთავარ ტაძარს მოგრძო დარბაზთან, სემინარიასთან აკავშირებს. სემინარიის ჩრდილოეთით დგას დიდი შენობა – სატრაპეზო.

ბაზილიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ორსართულიანი დაზიანებული სამარხი კაპელა დგას.

მონასტრის მოღვაწეთა შესახებ შემორჩენილია ცნობა გიორგი მთაწმინდელის (XI ს.) თხზულებაში "ცხოვრება იოვანესი და ეფთიმესი".

ოთხთა ეკლესია, X საუკუნის II ნახევრის გრანდიოზული ბაზილიკა, ორგანულად შერწყმული ტყიან ლანდშაფტთან, დღესაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს თითოეულ მნახველზე.

ოლთისის ციხე

ოლთისის ციხე მდებარეობს ისტორიულ ტაოში, ქალაქ ოლთუში. ციხე გაშენებულია ქალაქის ცენტრში, კლდოვან გორაკზე. X საუკუნეში ოლთისი წარმოადგენდა ტაოს მეფეთა ქალაქს, აქვე ედგა ტახტი დავით III კურაპალატს.

ციხესთან დაკავშირებულია მრავალი ისტორიული მოვლენა: ქალაქის დაპყრობისთვის XI საუკუნეში იბრძოდნენ ბიზანტიელები. ცნობილია, რომ მათ მიერ დაკავებული ციხე 1123 წელს დავით აღმაშენებელმა აიღო და გადაწვა. XVI საუკუნეში ეს მხარე თურქეთმა დაიპყრო.

ციხის ნაგებობებიდან შემორჩენილია მაღალი გალავანი, მომრგვალებული კოშკებით. ციხეს შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. შუა ციხეში მოედანია სხვადასხვა შენობათა ნაშთებით:

ძველი ნადარბაზალი, ქალაქში გამავალი სამალავი გვირაბი, ჩრდილო-აღმოსავლეთით წმინდა გიორგის გარდამავალი ხანის ექვსაფსიდიანი ეკლესიის საძირკველი, მაჰმადიანთა წმინდანის საფლავია. კომპლექსში XIX საუკუნეში დაფიქსირებულია მოხატულობა და წარწერები, რომელიც ამჟამად მთლიანად გამქრალია.

ციხიდან იშლება ვრცელი პანორამა ქალაქსა და ოლთისის წყლის ხეობაზე.

ოპიზა

ოპიზის მონასტერი მდებარეობს ისტორიულ კლარჯეთში, სოფელ ბაღჯილარში. ოპიზა, გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში კლარჯეთში დაარსებულ ათორმეტ უდაბნოთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული იყო.

ოპიზის მონასტერი V საუკუნის II ნახევარში დააარსა ვახტანგ გორგასლის ერისთავმა არტავაზმა. VIII საუკუნეში კლარჯეთში სამოღვაწეოდ ჩასული გრიგოლ ხანძთელი პირველად სწორედ ოპიზაში დამკვიდრდა. გადმოცემით, ოპიზაში იოანე ნათლისმცემელის ხორხი იყო დაკრძალული. იოანე ნათლისმცემლის მთავარი ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანი ტიპის ნაგებობა იყო. IX საუკუნეში ეკლესია განაახლა და სატრაპეზო ააშენა აშოტ კურაპალატმა. ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით იდგა სამრეკლო, რომლის ქვედა სართულიღაა შემორჩენილი. გალავანშემოვლებული კომპლექსი XX საუკუნემდე კარგად იყო შემონახული. ნაგებობებზე დაფიქსირებული იყო მოხატულობა, წარწერები და ქვაზე კვეთილი გამოსახულებები. 1965 წელს სოფელში გზის გაყვანისას ეკლესია ააფეთქეს, რის შემდეგ კომპლექსი თითქმის მთლიანად განადგურდა.

ოპიზა მნიშვნელოვანი სასულიერო და მწიგნობრობის კერა იყო. XII საუკუნეში ოპიზაში მოღვაწეობდნენ ცნობილი ოქრომჭედლები ბექა და ბეშქენ ოპიზრები. სავარაუდოდ აქვე მოღვაწეობდა დიდი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი (XI-XII სს.).

ოშკი

ოშკის მონასტერი მდებარეობს ისტორიულ ტაოში, მჭიდროდ დასახლებულ სოფელ ჩამლიჩამაჯში (ოშვანქში). ეკლესია

შენდებოდა 963-973 წლებში. აქვე არიან დაკრძალულნი ქტიტორები ბაგრატ ერისთავთ ერისთავი და დავით III კურაპალატი.
ოშკის მონასტრის ნაგებობათაგან შემორჩენილია მთავარი ტაძარი, სამნავიანი ბაზილიკა და კვადრატული დარბაზი.
იოანე ნათლისმცემლის ტაძარი ტრიკონქის ტიპის ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა (38,5X36 მ; სიმაღლე 40 მ.). მთავარი შესასვლელი _ სამხრეთ კარიბჭე, მდიდრულადაა მორთული. მის ტიმპანზე მრავალი ინფორმაციის შემცველი სამშენებლო წარწერაა. ტაძარს ჩრდილოეთიდან ორსართულიანი ეკვდერი აქვს. ოშკის გუმბათი დახურულია მოჭიქული კრამიტით. მისი ყელი ეყრდნობა ოთხ მონუმენტურ ბურჯს. სამხრეთ ფასადის ხუთ ფიქალზე გამოკვეთილია წმინდანთა და ქტიტორთა ჰორელიეფები. განსაკუთრებულია ოშკის ოთხნაწილიანი სამხრეთი სტოა-გალერეა. ტაძრის კედლის მხატვრობა (XI-XIV სს.) მნიშვნელოვანი ნაწილი შემორჩენილია სამხრეთის მკლავში.
მთავარი ტაძრის ჩრდილოეთით მდებარეობს ძლიერ დაზიანებული სამნავიანი ბაზილიკა, რომელსაც მიშენებული აქვს კვადრატული დარბაზი სფერული გუმბათით.
XVI საუკუნიდან, მას შემდეგ რაც ტაო-კლარჯეთი თურქეთის შემადგენლობაში შევიდა, ოშკში სამონასტრო ცხოვრება შეწყდა. მოგვიანებით, ტაძრის სამხრეთ მკლავში (1860-1983 წწ.) მეჩეთი იყო განთავსებული.
ოშკის ტაძართან დაკავშირებულია თორნიკე ერისთავის (იოანე თორნიკყოფილი) სახელი, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ბიზანტიის იმპერატორის წინააღმდეგ მებრძოლი ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობაში. ასევე ცნობილია, რომ თამარის მხედრობამ 1202 წელს, ბასიანის ომში, ოშკი მტრისაგან გამოიხსნა. მონასტერი მწიგნობრობის დიდი კერაც იყო. აქ გადაწერილი ხელნაწერები დღემდე ინახება ათონის მონასტერში და საქართველოს სიძველეთსაცავში.
ოშკის მთავარი ტაძარი, მიუხედავად ძლიერი დაზიანებისა, გამორჩეულია მასშტაბებით, დახვეწილი არქიტექტურული პლასტიკით, მრავალრიცხოვანი წარწერებით და მდიდრული ქვაზე კვეთილობით.

პარეხთა

პარეხთას მონასტერი მდებარეობს ისტორიულ კლარჯეთში, სოფელ დუღანალასთან, ბერთას წყლის ხეობაში. მონასტერი გაშენებულია გრძელი და მაღალი ვერტიკალური კლდის მიუდგომელ შუა ნაწილში.

პარეხთაში, VI საუკუნეში, სავარაუდოდ, უკვე არსებობდა მონასტერი, რომელიც გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში იქნა განახლებული. იგი მოიხსენიება საქართველოს სინად წოდებულ კლარჯეთის თორმეტ უდაბნოთა შორის. პარეხთა ოპიზის შემდეგ უძველესი სავანეა კლარჯეთის ტერიტორიაზე და მნიშვნელოვან სასულიერო კერას წარმოადგენდა.

პარეხთას ღვთისმშობლის მონასტრის ტერიტორიაზე შემორჩენილია ძლიერ დაზიანებული ნაგებობები: დარბაზული ეკლესია (IX ს.), სამნავიანი ბაზილიკა, კლდის კონცხზე ერთმანეთის მიჯრით მდგომი ორი მცირე ტაძარი და კაპელა. მონასტრის ტერიტორიაზე, კლდის თხემიდან, მცირე ჩანჩქერი ჩამოედინება.

ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ მონასტერი XVI საუკუნემდე არსებობდა. მონასტერთან დაკავშირებულია ცნობილი მოღვაწეების _ მიქაელ პარეხელის, ილარიონ პარეხელის და მონასტრის მოძღვრის მაკარის სახელები.

მონასტერი მოხსენიებულია სერაპიონ ზარზმელის (IX-X სს.) და გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში (X ს.), ბერთის (XII ს.) და პარხლის (XIII ს.) ოთხთავებში.

მონასტრის ნაგებობები ორგანულადაა შერწყმული კლდოვან ლანდშაფტთან. მონასტრის ტერიტორიაზე მოხვედრა შეიძლება მხოლოდ ვიწრო კლდოვანი ბილიკით. აქედან მეტად შთამბეჭდავი პანორამა ბერთისწყლის ხეობაზე.

პარხალი

პარხალის მონასტერი მდებარეობს ისტორიულ ტაოში, სოფელ ალტიპარმაკში, მდინარე პარხლისწყლის ხეობაში. პარხალი მრავალჯერაა მოხსენიებული ბერძნულ, რომაულ, სომხურ, თურქულ და ქართულ ისტორიულ წყაროებში.

ისტორიული ცნობებით, პარხლის ბაზილიკა 973 წლისათვის ახალი აგებული ყოფილა დავით III კურაპალატის შემწეობით. პარხლის ტაძრის გამამშვენებელი პატრიარქი იოანე I ოქროპირია (980-1001 წწ.).

პარხალში, XV საუკუნეში, მეფე ალექსანდრე დიდის (1412-1442 წწ.) ზეობის ხანაში აიგო სამხრეთი ეკვდერი, რომელიც ამჟამად განადგურებულია.

XVI საუკუნიდან აქ სამონასტრო ცხოვრება შეწყდა. 1677 წელს პარხლის ტაძარი მეჩეთად გადაკეთდა, რომელიც 2009 წლამდე ფუნქციონირებდა.

პარხლის მონასტრიდან შემორჩენილია მხოლოდ იოანე ნათლისმცემლის მთავარი ტაძარი, რომელიც გვიანდელი ბაზილიკების რიგს განეკუთვნება. (25,64X15,7 მ.). ტაძრის ფასადები შემკულია სხვადასხვა ორნამენტებით და წარწერებით, მათ შორის გამოირჩევა შუა ნავის სამხრეთის ფასადი. ეკლესიის მოხატულობიდან შემორჩენილია მხოლოდ მცირედი ნაწილი.

პარხალი მწიგნობრობის დიდი კერაც იყო. აქ მოღვაწეობდნენ გაბრიელ პატარაი და იოანე ბერაი. პარხალშია გადაწერილი ცნობილი ხელნაწერები: პარხლის მრავალთავი (XI ს.), პარხლის ოთხთავი (973 წ.) და 1241 წლით დათარიღებული ოთხთავი.

XIX საუკუნემდე სოფელში გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობდნენ, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე ფარულად აღიარებდნენ ქრისტიანობას და საკუთარი მღვდელიც კი ჰყავდათ.

პარხლის ტაძარი ტყით დაბურულ პარხლის წყლის ხეობაში მდებარეობს. ეს ადგილი საკურორტო ზონაა და ტაძარს მრავალრიცხოვანი მნახველი ჰყავს.

ტბეთი

ტბეთის საეპისკოპოსო ტაძარი მდებარეობს ისტორიულ შავშეთში, სოფელ ჯევიზლიში.

ტბეთის ღვთისმშობლის ეკლესია აგებულია X საუკუნის დასაწყისში აშოტ კუხის მიერ. თავდაპირველი ნაგებობა რვამკლავიანი შენობა იყო დიდი გუმბათით. X საუკუნის ბოლოს მის ნაცვლად ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობა აღიმართა.

ტაძრის უძველესი მოხატულობა XII-XIII საუკუნეებით თარიღდება. ნაგებობა არაერთხელ გადაკეთდა. ტბეთი XV-XVI საუკუნეებში ხელმეორედ მოიხატა და იკურთხა წმინდა გიორგის სახელზე. ცნობილია, რომ ტბეთში საეპისკოპოსო ტაძარი XVII საუკუნემდე არსებობდა, ხოლო 1880-იან წლებამდე ტაძარში მეჩეთი იყო გამართული.

ტბეთი წარმოადგენდა უდიდეს ლიტერატურულ კერას, აქ მოღვაწეობდა სტეფანე მტბევარი, ტბეთის პირველი ეპისკოპოსი, ავტორი თხზულებისა ''წმინდა გობრონის წამება''. აქ ასევე მოღვაწეობდნენ ცნობილი მწიგნობრები იოანე მტბევარი, დავით ტბელი. ტბეთის მონასტრის XII-XIII საუკუნეების მოღვაწეა აბუსერისძე ტბელი, რომლის შრომებში, გარდა ლიტერატურულისა, მნიშვნელოვანი სამეცნიერო თხზულებებიცაა.

ტბეთთან დაკავშირებულია ცნობილი ისტორიული მოვლენა - XI საუკუნეში ბიზანტიის აგრესიისაგან შავშეთის დასაცავად ეპისკოპოსმა საბა მტბევარმა აქ ააგო ციხე-სიმაგრე. მის მიერ ორგანიზებულმა თავდაცვამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ პერიოდის საქართველოს ისტორიაში.

ტაძარი 1961 წელს ააფეთქეს. გადარჩა მთავარი ტაძრის კედლების ფრაგმენტები, რომლებიც დღესაც დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე.

შატბერდი

შატბერდის მონასტერი მდებარეობს ისტორიულ კლარჯეთში, მაღალმთიან სოფელ ოქუმუშლართან.

შატბერდი გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში აგებული, საქართველოს სინად წოდებულ კლარჯეთის თორმეტ უდაბნოთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. IX საუკუნის 30-იან წლებში ბაგრატ კურაპალატის ქტიტორობით და გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით აშენდა შატბერდის ღვთისმშობლის მონასტერი. "დიდებულ ლავრად" მოხსენიებული შატბერდი მწიგნობრობის უდიდესი კერა იყო და გამოირჩეოდა სასულიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო და ლიტერატურული ცხოვრებით. ამ ლავრაში მრავალი წელი მოღვაწეობდა გრიგოლ ხანძთელი.

შატბერდის სამონასტრო კომპლექსისგან შემორჩენილია მხოლოდ მთავარი ეკლესიის ნანგრევები (სიგრძე 28 მ), სატრაპეზოს და სენაკების ნაშთები, თუმცა მონასტრის მასშტაბურობა მაინც აღიქმება.

შატბერდში მოღვაწეობდნენ ცნობილი მწიგნობრები: გრიგოლ ხანძთელი, იოანე ზოსიმე, სოფრონ შატბერდელი, იოანე ბერაი, დავით ჯიბისძე, გრიგოლ ვაჩეძორელი, სტეფანე შატბერდელი და მრავალი სხვა.

შატბერდში შექმნილ თხზულებათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია შატბერდის კრებული. აქ გადაწერილი ოთხთავებიდან შემორჩენილია _ ჰადიშის (897 წ.), ჯრუჭის (936 წ.), პარხლის (973 წ.) ოთხთავები, მიქაელ მოდრეკილის იადგარი (978-988 წწ.) და ბევრი ფასდაუდებელი ხელნაწერი რომლებსაც მრავალი სამეცნიერო პუბლიკაცია მიეძღვნა.

ხანძთა

ხანძთის მონასტერი მდებარეობს ისტორიულ კლარჯეთში, სოფელ ქვემო ფორთაში.

VIII საუკუნეში გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით კლარჯეთში იწყება საქართველოს სინად წოდებული ათორმეტ უდაბნოთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონასტრის – ხანძთის მშენებლობა. თავდაპირველად ხანძთაში გრიგოლს ხის ეკლესია აუშენებია. მოგვიანებით მან ადგილობრივი დიდებულის, გაბრიელ დაფანჩულის მხარდაჭერით, ქვის ეკლესია ააშენა.

IX საუკუნის დასაწყისში ხანძთის მონასტრის წინამძღოლმა არსენმა წმინდა გიორგის ეკლესიის მშენებლობა დაიწყო. ქტიტორები მეფე-მთავრები აშოტ კუხი და გურგენი იყვნენ, ასევე ცნობილია ხუროთმოძღვარ ამონას სახელიც.

დღესდღეობით ხანძთის მონასტერში შემორჩენილია: მთავარი ტაძარი, სატრაპეზო, გალავანი, სამრეკლო, სამლოცველოები და სენაკები. წმინდა გიორგის მთავარი ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანი ტიპის ნაგებობაა (16,8X10,5 მ). მკლავების კამარები და კონქის ზედა ნაწილი ჩანგრეულია, 2007 წელს ჩამოინგრა გუმბათიც. მთავარი ტაძრის სამხრეთით სატრაპეზოს კედლებია შემორჩენილი. მთავარ ტაძარსა და სატრაპეზოს შორის, სამი

პატარა სენაკისა და დერეფნის ნაშთებია, რომლებიც სამსართულიანი ნაგებობის ზედა სართულია. სატრაპეზოსა და სენაკებს შორის მდებარეობს პატარა სამლოცველო. მთავარი ტაძრის დასავლეთით, ცოტა მოშორებით, წყაროა, რომლის თავზე აფსიდიანი სამლოცველო დგას. სამრეკლო ორსართულიანია (XIV-XVI სს.) და მდებარეობს მთავარი ტაძრის სამრეთ-დასავლეთ მხარეს. სამრეკლოს ქვებზე ორი წარწერაა შემორჩენილი, რითაც შესაძლებელი გახდა ხანძთის იდენტიფიკაცია.

ხანძთის მონასტერი განათლების და მწიგნობრობის დიდი კერა იყო. აქ მოღვაწე სასულიერო პირებიდან ცნობილია: ქართლის კათალიკოსი არსენ დიდი საფარელი (830-887 წწ.), მაკარი ლეთელი, გიორგი მერჩულე, იშხნის განმაახლებელი საბა (საბან) იშხნელი, თეოდორე ნეძველი – ნეძვის სავანის დამაარსებელი, ქრისტეფორე კვირიკეწმიდელი, ეფრემ მაწყვერელი (IX ს.), რომელმაც მირონის ადგილზე კურთხევის უფლება მოუპოვა მშობლიურ ეკლესიას. ხანძთაშია დაკრძალული გრიგოლ ხანძთელი, რომელიც 861 წელს გარდაიცვალა.

ხახული

ხახულის მონასტერი მდებარეობს ისტორიული თორთომის მხარეში, სოფელ ბაღბაშში.

მონასტერი აშენებულია X საუკუნეში დავით III კურაპალატის მიერ. კომპლექსი ქვის დაბალი გალავნით არის შემოსაზღვრული. დღეისათვის შემორჩენილია: ღვთისმშობლის მთავარი ტაძარი გვიანდელი მინაშენებით, ცალკე მდგომი დარბაზული ეკლესია (IX ს.), სამნავიანი ბაზილიკის ნაშთები და გალავნის კარიბჭე.

ხახულის მთავარი ტაძარი წარმოადგენს ჯვარ-გუმბათოვან ნაგებობას (26,6X16,7 მ.). ტაძარი მდიდარია ფასადების ქანდაკოვან-ჩუქურთმოვანი რელიეფური შემკულობით. განსაკუთრებით გამოიჩევა სამხრეთის შეწყვილებული სარკმლის კომპოზიცია, რომელშიც არწივის ჰორელიეფური გამოსახულებაა ჩართული. მთავარი ტაძრის სამხრეთის შესასვლელთან რამდენიმე ბარელიეფია. ტაძრის კედლებზე წარწერები და

მოხატულობა თითქმის აღარ არის შემორჩენილი. ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობა ხახულს წმინდა სალოცავად თვლიდა. მთავარი ტაძარი ამჟამად მეჩეთად არის გადაკეთებული, რამაც ხელი შეუწყო მის დაცვას. ხახული ერთ-ერთი ბოლო მონასტერია ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე, რომელშიც დღესაც მეჩეთია გამართული.

ხახულის მონასტერი მწიგნობრობის ცნობილი კერაც იყო. ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილია, რომ გიორგი მთაწმინდელს ბავშვობაში განათლება ხახულის მონასტერში მიუღია. აქ მოღვაწეობდა იოანე ხახულელი - ოქროპირად წოდებული. აქ გადაწერილი ხელნაწერებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების შემორჩენილთაგან უძველესი, XII საუკუნის ხელნაწერი.

საქვეყნოდ ცნობილია ხახულის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც XII საუკუნეში დავით აღმაშენებელმა გელათის მონასტერში გადააბრძანა, სადაც ხატი ხელახლა მოიჭედა და კარედით შეიმკო. 1952 წლიდან ხატი ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდშია დაცული.

ხეხილის ბაღით გარშემორტყმული ხახულის მთავარი ტაძარი მოვლილია და ყველაზე კარგადაა შემორჩენილი თურქეთში მდებარე ქართულ ძეგლებს შორის.

7. ი მ ე რ ე თ ი

იმერლები — დასავლეთ ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი. ძირითადად ცხოვრობენ იმერეთის ტერიტორიაზე, მდინარე რიონისა და მისი შენაკადების ხეობებში. იმერელთა კომპაქტური დასახლებებია საქართველოს სხვა კუთხეებშიც: სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, კახეთი. იმერლები საუბრობენ ქართული ენის იმერულ დიალექტზე. წარსულში ისინი გამოირჩეოდნენ კულტურისა და ყოფის ლოკალური თავისებურებებით. ამჟამად საქართველოში მცხოვრები დაახლოებით 3.600.000 ქართველიდან დაახლოებით 850.000

ქართველი, იმერული ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენელია.

ვახუშტი ბაგრატიონი იმერლებს ასე ახასიათებს: „ხოლო კაცნი და ქალნი, ვითარცა ვსთქუთ, ეგრეთვე იუწყე, გარნა უშუენიერესადცა და უუჰაეროვნესადცა, ვინაითგან გლეხთაცა შვილნი მიგვანან წარჩინებულთა შვილთა. სუფთანი, სამოსელთ გამწყსონი; ეგრეთვე ცხენთა, და იარაღთა, და საჭურველთა; ცქვიტნი, კისკასნი, ენატკბილნი, მსუბუქნი, ფიცხნი, ბრძოლასა შემმართებელნი და ძლიერნი, და არა სულგრძელნი მას შინა და სხუათა შინაცა, უხუნი და მომხუეჭნი, დღეისის მძიებელნი, ხუალისის არა გამომკითხველნი, მომღერალ-მგალობელნი და მწიგნობარნი წარჩინებულნი, და უმეტესნი კეთილხმოვანნი და სხუათა და სხუათა შემძინებელნი. სარწმუნოებითა და ენით არიან ქართველთა თანა აღმსაარებელნი, არამედ უცქვიტესად მოუბარნი...“

ანთროპოლოგიურად იმერლების დიდ ნაწილს აქვს ქერა თმა, ცისფერი, ხშირად, მონაცრისფრო თვალები, საშუალოზე მაღალი სიმაღლე. იმერლების ნაწილს აღენიშნება წინაზიურ-კავკასიური ტიპის სახე, უმრავლესობას დასავლურ ქართული, კოლხური სახე.

იმერეთი — დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარე, ამჟამად იმერეთის მხარის ნაწილი. ვრცელი მნიშვნელობით იგი დასავლეთ საქართველოს ისტორიული სახელწოდებაა, ისევე როგორც ძველი კოლხეთი, ეგრისი, აფხაზეთი.

მუნიციპალიტეტი 11+1 ქალაქი, ფართობი - 6,552 კმ, მოსახლეობის რაოდენობა - 700,000 (2008).

საკუთრივ იმერეთი შემოსაზღვრულია აღმოსავლეთით ლიხის ქედით, დასავლეთით ცხენისწყლით, ჩრდილოეთით კავკასიონის ქედით და სამხრეთით ფერსათის, ანუ მესხეთის მთებით. სახელწოდება დაკავშირებულია ამ მხარის მდებარეობასთან, იმერეთი, ანუ ლიხსიქითა მხარე.

იმერეთი იყოფა ორ ნაწილად: ზემო და ქვემო იმერეთად. იმერეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები

ადასტურებს, რომ ამ მხარეში ადამიანს ცხოვრება, ჯერ კიდევ, ქვედა პალეოლითის ხანაში დაუწყია. მათ შორისაა საკაჟიის და ჭახათის (მდ. წყალწითელას ნაპირზე), დევისხვრელის (მდ. ჩხერიმელას ნაპირზე) გამოქვაბულები, სათაფლიის მიდამოები და სხვა. საქალაქო ცხოვრების უძველესი პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები ნაპოვნია ქუთაისში, ვანში, ვარციხეში (როდოპოლისი), შორაპანში და სხვა. მხარის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ამ ქალაქებს ოდითგანვე დიდი სტრატეგიული, ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

იმერეთის მხარე ფლორითა და ფაუნით მდიდარია. მის ტერიტორიაზე ტყის მასივებს 250 000 ჰა უჭირავს, რომელიც ძირითადად მთაგორიან ლანდშაფტზეა განფენილი. მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 2850 მეტრია. ფოთლოვან ტყეებთან ერთად აქ გვხვდება წიწვოვანი და შერეული ტყეები, კავკასიისათვის დამახასიათებელი ფაუნის წარმომადგენლები — კავკასიური დათვი, ტახი, ირემი, შველი, მელა, მგელი და ტურა, ფართოდაა წარმოდგენილი ფრინველთა სამყარო. ჯერ კიდევ შემორჩენილია ეკოლოგიურად სუფთა და ხელშეუხებელი ბუნება, განსაკუთრებით მთაგორიან რეგიონებში. ასეთ ზონებს მიეკუთვნება სათაფლიის, აჯამეთის, მუხნარის, ვანის, ჭიათურის, ბაღდათის და განსაკუთრებით ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, რომელსაც 24000 ჰა ტერიტორია უჭირავს. ტურიზმისა და დასვენების ზონებს მიეკუთვნება ტყიბულის, შაორისა და რიონჰესის წყალსაცავების ტერიტორია. გარდა დიდი ტბებისა იმერეთში მრავლად არის მცირე ბუნებრივი ტბები 1000 და 1500 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

კლიმატი - იმერეთი ძირითადად მდებარეობს ზღვის ნოტიო სუბტროპიკული კლიმატის ოლქში. მხარის დაბალმთიან და საშუალომთიან რაიონებში ზღვის გავლენა შესუსტებულია, თუმცა დამახასიათებელია ნოტიო კლიმატი. აქ ზამთარი ცივია და ზაფხული შედარებით მშრალი და ცხელი. იანვრის თვის ტემპერატურა +2, +5, ზაფხულში მაქსიმალური ტემპერატურა

+38, +40ჩ. ნალექების რაოდენობა 100—200 მმ-ია. ნალექიან დღეთა რიცხვი საშუალოდ წელიწადში 150-ს შეადგენს; წყლის ძირითადი არტერიებია მდ. რიონი და ყვირილა.

ისტორია - ანტიკურ ხანაში ამ ტერიტორიაზე გადიოდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავაჭრო გზა, ამიერკავკასიის ძველი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, ე. წ. აბრეშუმის დიდი გზა, რომლითაც დასავლეთის სამყარო უკავშირდებოდა აღმოსავლეთის ქვეყნებს. ძველი კოლხეთის დაცემის შემდეგ, ეგრისის სამეფოს (III—VII სს.) ტერიტორია ბერძენ-სპარსთა დაპირისპირების ობიექტი ხდება. VIII ს. პირველ ნახევარში არაბმა სარდალმა მურვან ყრუმ დაანგრია ეგრისის დედაქალაქი ციხე-გოჯი (ნოქალაქევი) და ქუთაისიც კი აიკლო. არაბებთან ბრძოლაში დაიღუპნენ არგვეთის მთავრები დავით და კონსტანტინე მხეიძეები. VIII ს. მეორე ნახევარში აფხაზთა ერისთავი, ლეონ II, აუჯანყდა ბიზანტიის იმპერატორს და თავი მეფედ გამოაცხადა. ამან გააერთიანა აფხაზეთი და ეგრისი. ახალმა სამეფომ, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა, აფხაზთა სამეფოს სახელწოდება მიიღო. ლეონ II სამეფოს დედაქალაქად ქუთაისი გამოაცხადა.

978 წელს ქუთაისში მეფედ აკურთხეს გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III (975—1014 წწ.), ხოლო 1089 წელს აქ მეფედ ეკურთხა საქართველოს უძლიერესი მეფე დავით აღმაშენებელი (1089—1125 წწ.). 1122 წლამდე საქართველოს სამეფოს რეზიდენცია ქუთაისში იმყოფებოდა.

იმერეთის სამეფო

საქართველოს ფეოდალური მონარქიის პოლიტიკური დაშლის შედეგად XIII ს. მეორე ნახევარში წარმოიქმნა იმერეთის სამეფო. თავდაპირველად იგი დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავდა; მაგრამ შემდეგ საგარეო და საშინაო პოლიტიკური მდგომარეობის გამო XVI ს. მას ოდიშისა და გურიის სამთავროები ჩამოსცილდა, XVII ს. კი აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროები. ამის შემდეგ იმერეთის სამეფოს ტერიტორია საკუთრივ იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმით შემოიფარგლებოდა.

იმერეთის სამეფოს აღმოსავლეთით ქართლის სამეფოსაგან ლიხის ქედი ყოფდა, ხოლო დასავლეთით მისი საზღვარი მდ. ცხენისწყალზე გადიოდა, ჩრდილოეთით მას კავკასიონის ქედი ესაზღვრებოდა, ხოლო სამხრეთით მესხეთის მთები. იმერეთის სამეფოს სატახტო ქალაქი ქუთაისია. თურქ დამპყრობთა გამუდმებულმა თარეშმა, კიდევ უფრო, მჭიდროდ დააკავშირა იმერეთის დედაქალაქი მთელი სამეფოს ცალკეულ მხარეებს, რომლებიც მასში უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამაერთიანებელ ძალას ხედავდნენ. აქვე იმყოფებოდა მეფის მთავარი რეზიდენცია. XV—XIX სს.

იმერეთის სამეფოში, ისე როგორც საერთოდ საქართველოში ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა იყო. სამეფოში არსებობდა მრავალი სათავადო (მხეიძეთა, ჩხეიძეთა, მიქელაძეთა, რაჭის ერისთავთა, იაშვილთა, ლორთქიფანიძეთა, აბაშიძეთა, აგიაშვილთა, წერეთელთა, წულუკიძეთა, და სხვა), რომლებიც ტერიტორიულად და პოლიტიკურად განცალკევებულ ფეოდალურ ერთეულებს წარმოადგენდნენ. იმერეთის სამეფოს სათავეში მეფე იდგა. ის იყო ქვეყნის უზენაესი მმართველი. იმერეთის მეფეები წარმოშობით ბაგრატიონთა დინასტიის დასავლურ შტოს (დავით ნარინის შტო) ეკუთვნოდა. მეფე ფორმალურად შეუზღუდველი იყო, მაგრამ ფაქტობრივად მისი ძალაუფლება დიდად იყო დამოკიდებული მსხვილი თავადების ნება-სურვილზე. იმერეთის სამეფოს კარზე არსებობდა „დარბაზი“ ანუ სახელმწიფო საბჭო, რომელშიც მაღალი ხელისუფლებით აღჭურვილი საერო და სასულიერო ფეოდალები შედიოდნენ, სამეფო იყოფოდა ოთხ სამეფო ტერიტორიულ ერთეულად-სადროშოებად ანუ სასარდლოდ: ქვემო იმერეთის, ზემო იმერეთის, რაჭის და ოკრიბა-ლეჩხუმის. იმერეთში სარდლის, ანუ სადროშოს სახელო ეკავათ მემკვიდრეობით გარკვეულ თავადურ საგვარეულოებს. მაღალი საერო თანამდებობის პირთა შორის იმერეთის სამეფოში მეფის შემდეგ პირველი ადგილი სახლთუხუცესს ეკავა. უმაღლესი საეკლესიო ხელისუფალი დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იყო. მისი რეზიდენცია

XVI ს. ბიჭვინთაში იყო, ხოლო XVI ს. შემდეგ გელათში. იმერეთის სამეფოში ოთხი საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა: ქუთაისის, გელათის, ხონის და ნიკორწმინდის, აქვე იყო გელათის, ჯრუჭის, მღვიმევის და სხვა ეკლესია-მონასტრები.

1555 წელს ირან-ოსმალეთს შორის დადებული ამასიის ზავით საქართველოს მდგომარეობა ძალზედ გართულდა: აღმოსავლეთ საქართველო-ირანის, ხოლო დასავლეთ საქართველო ოსმალეთის აგრესიის ობიექტი ხდება.

იმერეთის მეფეს, ამავე დროს, ავიწროებდნენ ოდიშისა და გურიის მთავრები, ეურჩებოდნენ საკუთარი მსხვილი თავადებიც. XVII ს. 60-იანი წლებიდან 1770 წლამდე იმერეთის ციხე-სიმაგრეებში (ქუთაისში, შორაპანში, ცუცხვათში, ბაღდათში) ოსმალეთის გარნიზონები იდგნენ. მიუხედავად რთული საშინაო და საგარეო პირობებისა იმერეთის მეფეები ენერგიულად იბრძოდნენ გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ, დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და ეკონომიკური და კულტურული წინსვლისათვის. ამ მისიას იმერეთის მეფეებიდან განსაკუთრებული თავგამოდებით ემსახურებოდნენ: ბაგრატ III (1510—1565), გიორგი II (11565-1585), გიორგი III (1605—1639), ალექსანდრე III (1639-1660 წწ.), ალექსანდრე V (1720—1751 წწ.), სოლომონ I (1751—1784 წწ.), სოლომონ II (1789—1810 წწ.).

იმერეთის სამეფოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა სოლომონ I მეფობის დროს. იგი ენერგიულად ებრძოდა ოსმალეთის აგრესიას და ქვეყნის შიგნით ფეოდალურ რეაქციას. მან გააუქმა რაჭის საერისთაო და აღკვეთა ტყვეებით ვაჭრობა, რომელიც ქვეყანას გადაშენებას უქადდა. სოლომონ I-მა XVIII ს. 60-იანი წლების ბოლოს დაამარცხა თურქი დამპყრობლები და გაათავისუფლა იმერეთის ციხე-სიმაგრეები (ქუთაისი, ცუცხვათი, შორაპანი, ბაღდათის). ამაში სოლომონს დაეხმარა რუსეთ-ოსმალეთის 1768—1774 წლების ომი და იმერეთის სამეფოში რუსეთის სამხედრო კორპუსის შემოსვლა.

1774 წელს სოლომონ პირველმა დახმარებისათვის რუსეთს მიმართა და მფარველობაში მიღება სთხოვა, მაგრამ უარი

მიიღო, რადგან რუსეთს არ სურდა ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების დარღვევა და ოსმალეთთან ურთიერთობის გართულება. 1783 წელს რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოთა შორის გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ, სოლომონ პირველმა სცადა მსგავსი ხელშეკრულება დაედო რუსეთთან, მაგრამ მას შედეგი არ მოჰყოლია.

სოლომონ პირველის გარდაცვალების შემდეგ (1784) ცენტრალური ხელისუფლების ძლიერება ისევ შეირყა. დაიწყო იმერეთის ტახტის პრედენდენტთა შორის პრძოლა. 1789 წელს ტახტს დაეუფლა სოლომონ II, რომელმაც შესძლო XVIII ს. ბოლოს სამეფოს შემომტკიცება.

1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ რუსეთის სამხედრო მოხელეებმა დაიწყეს ნიადაგის მომზადება იმერეთის სამეფოს გასაუქმებლად. ასეთ ვითარებაში ხელისუფლება რომ შეენარჩუნებინა, სოლომონ II-მ, 1804 წელს რუსეთის ქვეშევრდომობა აღიარა, მაგრამ იგი თხოულობდა საშინაო დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. რუსეთის მოხელეები ამაზე არ თანხმდებოდნენ და ამიტომ მათ შორის ურთიერთობა თანდათან მწვავდებოდა. სოლომონ II დამოუკიდებლობის დაკარგვას ვერ ურიგდებოდა და იგი ბრძოლას განაგრძობდა. ეს ბრძოლა ცნობილია საქართველოს ისტორიაში იმერეთის აჯანყების (1810) სახელწოდებით. 1810 წელს რუსეთმა გააუქმა იმერეთის სამეფო. სოლომონ II თავი ახალციხეს შეაფარა, საიდანაც შემდეგ თურქეთში გადავიდა. ემიგრაციაში სოლომონ II უცხო ძალის გამოყენებით შეეცადა იმერეთში მეფობის აღდგენას, მაგრამ მას შედეგი არ მოჰყოლია. იმერეთის მოსახლეობა, მისი წამყვანი ძალები დამოუკიდებლობის დაკარგვას არასოდეს შერიგებია. ამაზე მიუთითებს ის მრავალრიცოვანი მასობრივი აჯანყებები, რომლებიც შემდეგში ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში გადაიზარდა.

იმერეთის თავადაზნაურობა საოკუპაციო რეჟიმს ვერ ურიგდებოდა, ეს უკმაყოფილება კიდევ გამწვავდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების გამო (1814). 1819 წელს ხელისუფლებამ დაიწყო საკლესიო მამულების აღწერა, რასაც

შედეგად მოჰყვა მთელს იმერეთში მოსახლეობის აჯანყება 1819—1820 წლებში. დიდი მასშტაბის აჯანყება მოხდა 1841 წელს გურიაში, რომელიც დასავლეთ საქართველოს რუსული მმართველობის დამყარების შედეგად გატარებული ცვლილებების გამოძახილი იყო. აჯანყების მარცხის მიუხედავად საქართველოს მოსახლეობა, განსაკუთრებით მისი პროგრესული ძალები, თავადაზნაურობა, აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ მოძრაობაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1832 წლის თავადაზნაურთა შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. მან ბიძგი მისცა მომდევნო თაობის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გაღვივებას.

XIX ს. პირველ ნახევარში იმერეთის მხარის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, ისე როგორც მთელი საქართველოსა, ძალზე მძიმე იყო, მაგრამ 30-40 წლებიდან იწყება ერთგვარი ძვრები სამეურნეო ცხოვრებაში, რასაც თან ახლდა ქალაქების ზრდა-განვითარება: წინაურდება იმერეთის მთავარი ქალაქი ქუთაისი და იმერეთის საბაზრო ქალაქები, ვითარდება ქალაქებში ხელოსნური წარმოებანი და კაპიტალისტური ხასიათის მანუფაქტურები: აბრეშუმის, ტყავის, აგურის წარმოებანი და სხვა. 30-იანი წლებიდან გაღვივდა ასევე საზოგადოებრივი მოძრაობა. ამ მიზნით, XIX ს. პირველ ნახევარში, ქუთაისში ჯერ სამაზრო სკოლა, შემდეგ კლასიკური გიმნაზია გაიხსნა. ქართული კულტურის განვითარების საქმეში დიდ წარმატებებს მიაღწია მწერლობამ, მეცნიერებამ, გამოცოცხლებას იწყებს თეატრალური ცხოვრება.

იმერეთის გუბერნია

იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ შეიქმნა იმერეთის ოლქი, რომელიც 1840 წლამდე არსებობდა. ოლქის მთავარი ქალაქი იყო ქუთაისი, სადაც მოქმედებდა ოლქის დროებითი მთავრობა. იმერეთის ოლქი დაყოფილ იქნა ოთხ ოკრუგად: ქუთაისის, ვანის, შორაპნის და რაჭის ოკრუგებად. როგორც ოლქის, ასევე ოკრუგების სათავეში იდგნენ რუსი სამხედრო მოხელეები. 1840 წელს ამიერკავკასიაში გატარდა ადმინისტრაციული რეფორმა,

რის შედეგად შეიქმნა საქართველოს მასშტაბით ერთი საქართველო-იმერეთის გუბერნია. გუბერნიის შემადგენლობაში შევიდა ქუთაისის მაზრა, რომელიც იმერეთის ყოფილი სამეფოს ტერიტორიას მოიცავდა. 1846 წელს საქართველოში შეიქმნა ორი გუბერნია — თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები. ქუთაისი გამოცხადდა ქუთაისის გუბერნიის მთავარ ქალაქად. ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა ქუთაისის, გურიისა და ახალციხის მაზრები.

1855 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დროს თურქეთის ჯარებმა შეძლეს აფხაზეთის დაკავება. მაგრამ ისინი სასტიკად დაამარცხეს რუსეთის ჯარმა და ქართულმა ლაშქარმა სამეგრელოში. ამით ჩაიშალა თურქეთის სარდლობის გეგმა, რომელიც ქუთაისის ხელში ჩაგდებას ისახავდა მიზნად. ყირიმის ომში რუსეთი დამარცხდა, მაგრამ ამ ომით ცარიზმმა თავისი პოზიციები განამტკიცა კავკასიაში, რასაც შედეგად სამეგრელოში, აფხაზეთსა და სვანეთში რუსული მმართველობის დამყარება მოჰყვა.

1857 წელს შეიქმნა ქუთაისის საგენერალ-გუბერნატორო, რომელსაც ადმინისტრაციულად ექვემდებარებოდა ქუთაისის გუბერნატორის გარდა, სამეგრელოს, აფხაზეთის და სვანეთის სამფლობელოებიც, რომლებშიც რუსული მმართველობა იყო დამყარებული. 1883 წლიდან მას შეუერთდა ბათუმის ოლქიც.

ყირიმის ომში რუსეთის მარცხმა ცხადყო იმპერიაში ფეოდალური რეფორმის აუცილებლობა. პირველ ხანებში მეფის მთავრობა არ იყო მომხრე საგლეხო რეფორმის გატარებით, მაგრამ სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობის გამწვავებამ აიძულა დათანხმებულიყო. 1864 წელს გამოიცა დებულება თბილისის გუბერნიაში გლეხთა მიწათმოწყობის შესახებ, 1865 წელს ეს დებულება გატარდა ქუთაისის გუბერნიაში, სამეგრელოში — 1867 წელს, აფხაზეთში — 1870 წელს, სვანეთში — 1871 წელს.

საგლეხო რეფორმების გატარებამ გზა გაუხსნა ბურჟუაზიული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას. ქალაქებს მოაწყდა

თავისუფალი მუშა ხელი, გასაქანი მიეცა მრეწველობის განვითარებას, ვაჭრობა-აღებ-მიცემობას.

ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების წინსვლას დიდად შეუწყო ხელი საქართველოში სარკინიგზო მშენებლობამ, 1871 წელს გაყვანილ იქნა ფოთი-ყვირილის რკინიგზა, 1872 წელს — ფოთი-თბილისის რკინიგზა, 1883 წელს გაყვანილ იქნა თბილისი-ბაქოს რკინიგზა. 1877 წელს ამიერკავკასიის რკინიგზას შეუერთდა ქ. ქუთაისი. 1883 წელს ფოთი-თბილისის გზას შეუერთდა ქ. ბათუმის ხაზი. 1886 წელს გაყვანილ იქნა ქუთაისი-ტყიბულის რკინიგზის ხაზი.

საქართველოში რკინიგზებისა და სარკინიგზო სადგურების მშენებლობამ ხელსაყრელი პირობები შექმნა საქონელწარმოებისა და საქონელმიმოქცევის გაფართოებისა და ქალაქების, წინაქალაქებისა და სავაჭრო-სამრეწველო დაბების წარმოქმნისათვის. ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზზე დასავლეთ საქართველოში წარმოიქმნა ქალაქები: სამტრედია, ყვირილა, ახალი სენაკი, ტყიბული და სხვ. იწყება მეტოქეობა ამ ახლად წარმოქმნილ ქალაქებსა და ძველ ქალაქებს შორის.

ამ პერიოდიდან ქუთაისის გუბერნიაში არ დარჩენილა არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ქალაქი და დაბა, რომელსაც საქალაქო თვითმმართველობა არ მოეთხოვოს. ქუთაისმა საქალაქო თვითმმართველობა მოიპოვა 1875 წელს, ფოთმა — 1882 წელს, ბათუმმა — 1888 წელს, ოზურგეთმა — 1895 წელს, სოხუმმა — 1899 წელს. ამ ქალაქებთან ერთად ქუთაისის მაზრის სხვა ქალაქებიც და დაბებიც, მაგალითად, სამტრედია, ყვირილა, ხონი, ჭიათურა და სხვები მოითხოვდნენ გამარტივებული საქალაქო მმართველობის მიღებას, მაგრამ მათ ეს სტატუსი მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მიიღეს. XIX ს. 70-იანი წლების დამლევიდან ქუთაისისა და იმერეთის სხვა ქალაქების ეკონომიკური ცხოვრება კაპიტალისტური წარმოების სფეროში ექცევა, იცვლება მანამდე გაბატონებული საწარმოო ურთიერთობა და იწყება მათი გარდაქმნა ბურჟუაზიულ ყაიდაზე.

XIX ს. 60-70-იანი წლები მნიშვნელოვანი ფურცელია

საქართველოს ისტორიაში. ამ დროიდან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ახალი თაობა — თერგდალეულები, რომელთაც მესვეურობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგო მესხი, იაკობ გოგებაშვილი. საზოგადოებრივ მოძრაობას სათავეში ედგა საქართველოს დიდი საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე.

ამ ეროვნულ საქმეში განსაკუთრებით გამორჩეულია ქალაქ ქუთაისის როლი. ამ დროიდან ქუთაისი საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის თვალსაჩინო ცენტრი ხდება. საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში XIX ს. მეორე ნახევრიდან XX ს. 30-იან წლებამდე, ადგილი არ ჰქონია ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან მოვლენას, რომლის წამომწყები და ტონის მიმცემი არ ყოფილიყო ქუთაისის შემოქმედებითი ინტელიგენცია. იგი ყოველთვის თავს უყრიდა მთელი მხარის ინტელექტუალურ ძალებს, რადგან ისტორიულად მჭიდროდ იყო დაკავშირებული თავის მხარესთან. ქუთაისმა გაზარდა სახელოვანი თაობა, რომელმაც XIX ს. 60-იან წლებში „თერგდალეულთა“ ძირითადი ბანაკი შეადგინა.

ქუთაისში გაატარა თავისი ცხოვრების მეტი ნაწილი ქართველი ხალხის დიდმა ეროვნულმა მოღვაწემ და პოეტმა აკაკი წერეთელმა. ეს ქალაქი გახდა მისი პოეტური სამშობლო, რომელსაც იგი სავარდო და სამაისო ქალაქს უწოდებოდა. ქუთაისში დაიბადა და ჭაბუკობის წლები გაატარა დიდი ილიას მეგობარმა საზოგადო მოღვაწემ ნიკო ნიკოლაძემ. ქუთაისსა და იმერეთს შეეხება მისი სამეურნეო-ეკონომიკური პროექტები და მოწინავე რეფორმისტული იდეები, რომლებიც აქტუალურია დღესაც. ქუთაისის კულტურის ისტორიას ამშვენებენ ვლადიმერ (ლადო) ალექსი-მესხიშვილის, კოტე მარჯანიშვილის, ზაქარია ფალიაშვილის და სხვა დიდ შემოქმედთა სახელები. ქუთაისში გამოჩნდა სამწერლო სარბიელზე XX ს. პოეტური აზროვნების უბადლო ოსტატი გალაკტიონ ტაბიძე. ქუთაისში აიდგეს ფეხი

დიდმა მოაზროვნეებმა გრიგოლ რობაქიძემ და მიხაკო წერეთელმა. ამ ქალაქთანაა დაკავშირებული „ცისფერყანწელებისა“ და სხვა სახელოვან მამულიშვილთა მოღვაწეობა.

საქართველოს ზემოხსენებული ადმინისტრაციული დაყოფა 1921 წლამდე არსებობდა. 1921 წელს აღდგენილ იქნა ქუთაისის მაზრა, რომელიც 1929 წლამდე არსებობდა. 1929 წლის აგვისტოში მაზრის გაფართოების საფუძველზე შეიქმნა ქუთაისის ოლქი. მაგრამ ეს ოლქიც გაუქმდა და ქალაქის ადმინისტრაციული ფუნქცია განისაზღვრა საკუთრივ ქუთაისით და მისი რაიონით.

1951 წელს კვლავ შეიქმნა ქუთაისის ოლქი, მაგრამ 1953 წელს ისიც გაუქმდა. 1959 წელს გააუქმეს ქუთაისის რაიონი და ქუთაისის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტატუსი შემოიფარგლა საკუთრივ ქალაქით, მაგრამ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყნის ისტორიულ ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო: 1995 წელს აღდგენილ იქნა ქუთაისისათვის იტორიულად კუთვნილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტატუსი, რომელსაც საქართველოში ახალი სამხარეო დაყოფის საფუძველზე ისტორიულ იმერეთს მხარის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მხარის სტატუსი მიენიჭა. 1998 წელს იმერეთის მხარე ევროპის რეგიონთა ასამბლეის წევრი გახდა.

ამჟამად, იმერეთის მხარის ადმინისტრაციული ცენტრი ქალაქი ქუთაისია. მხარეში შედის თერთმეტი რაიონი: ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, ხარაგაულის, ხონის, წყალტუბოსა და ჭიათურის რაიონები.

კულტურული მემკვიდრეობა

მხარე მდიდარია მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლებით: ქუთაისის ციხე-ქალაქი, ბაგრატის ტაძარი, გელათის სამონასტრო ანსამბლი, გეგუთის ციხე-დარბაზი, მოწამეთის სიძველეები, ანტიკური პერიოდის შორაპნის ციხე-სიმაგრე და ვანის ნაქალაქარი. ეს სიძველეები იზიდავდა უცხოელ სტუმრებს და

მოგზაურებს, რომლებმაც მსოფლიოში სახელი გაუთქვეს საქართველოს და მის კულტურას.

არქიტექტურული ძეგლები

- ილმის «შემოქმედის» ეკლესია — აშენებულია მე-11-12 საუკუნეებში. 1993-98 წლებში აღდგენილია ნაწილობრივ. დღეისათვის მისი მდგომარეობა მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია.
- გუბადიანის «კონწოლია» ეკლესია — ასე მოიხსენებს მოსახლეობა სოფელ ზედა საქარაში თავაძეების უბნის წმ. გიორგის სახელობის მე-9-10 საუკუნის ძეგლს. გუმბათიანი ჯვრის ტიპის ბაზილიკა თლილი ქვისა და კირისაგანაა ნაშენი. გუმბათი შიგნიდან მრგვალია, გარეთ წახნაგოვანი, აქვს 8 სარკმელი.
- სოფელ წევის წმ. გიორგის ეკლესია — ზესტაფონის აღმოსავლეთით 10 კმ-ის მოშორებით ზღვის დონიდან 547 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს თლილი ქვისა და კირისაგან ნაგები ბაზილიკის ტიპის, წევის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია,
- მწყერის ციხე — როგორც მდებარეობა აჩვენებს, იგი აგებული უნდა ყოფილიყო ციხე-ქალაქ შორაპნის სადარაჯო პუნქტად.
- თვრინის ციხე-დარბაზი
- სასახლის მაცხოვრის სახელობის ეკლესია — სოფელ საზანოში მდ. ძუსის მარცხენა მხარეს არის ადგილი, რომელსაც სასახლეს ეძახიან. ამ ადგილებში მდგარა სასახლე, რომელიც იმერეთის მეფეთა საზაფხულო დასასვენებელ-სანადირო ადგილს წარმოადგენდა.
- შორაპნის ციხე — მდინარების ყვირილასა და ძირულას ხეობაში მდებარეობს დაბა შორაპანი. აქ შემორჩენილია ქართული ხუროთმოძღვრების ეს უძველესი ძეგლი.
- ბაგი-ბუგის ეკლესია — სამწუხაროდ დღეს ეკლესიის შენობა საგრძნობლად დაზიანებულია, სახურავი გადახდილი აქვს.
- საგელათოს ეკლესია კვინწიხის გორაზე.

• ბუჯის ციხე — უნდა ეკუთვნოდეს XII საუკუნის ძეგლს.
• თამარის ხიდი — ლეგენდის თანახმად ხიდის ასაშენებლად მხოლოდ კვერცხის ცილა, ქვა და კირი გაომოუყენებიათ
• ქალაქი ბალიასტომი — გადმოცემით, სოფელ საზანოში მდ. ძუსის სანაპიროზე ყოფილა ქალაქი ბალიასტომი გაშენებული. ქალაქი იწყებოდა «თამარ მეფის ხიდიდან» და მთავრდებოდა ზედა საზანოში.
• ციხე სკანდა — ციხე-სიმაგრე, რომლის უძველესი ფენა ადრინდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება, ასეული წლების განმავლობაში იყო საქართველოს და კერძოდ, იმერეთის სამეფოს ერთ-ერთი ძლიერი დასაყრდენი.
• გოგნის „კარუგდებელი“ — ყოველ 6 მაისს კარუგდებელაზე იმართება გიორგობის დღესასწაული, სადაც მთელი დღის და კვირის განმავლობაში უამრავი ადამიანი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოდის სალოცავზე.
• ტაბაკინის მონასტერი — წმინდა გიორგის ეკლესია, ქართული ხუროთმოძღვრების ეს შესანიშნავი ძეგლი მდებარეობს სოფელ ტაბაკინის ტერიტორიაზე ზესტაფონის სამხრეთით 10 კმ-ის მოშორებით მყუდრო და იშვიათი სილამაზის ადგილზე.
• ვანის წმინდა გიორგის ეკლესია — ხარაგაულში არსებულ სალოცავთაგან ვანის ეკლესია ერთ-ერთი უძველესია, იგი IX—X ს. თარიღდება,
• ნუნისის ღვთისმშობლის ეკლესია — IX—X სს. ძეგ ლია, მას «დედაღვთისას» უწო დებენ. ტაძარი, როგორც შემორჩენილი ნაგებობებიდან ჩანს, დიდებული არქიტექტურული გე მოვნებით ყოფილა აგებული და ადგილ მდებარეობას თან შეხამებული.
• უბისა — სოფელ უბისის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს უბისის დიდებული ტაძარი, იგი წმინდა გიორგის სახელზეა აგებული. ტაძარი დარბაზული ტიპისაა.
• ფარცხნალის კახორის წმ. გიორგის ეკლესია — მასზე ისტორიული მასალები ძალზე მწირადაა შემორჩენილი. არის თქმულება, რომ «კახორის» მთაზე წმ. გიორგის ეკლე სიის

მშენებლობის დროს ხალხი რიგში ჩამდგარა, ხელიდან ხელში აწვდიდნენ ქვას და ასე აუზიდიათ სამშე ნებლო მასალა.

• ვარძია — ხარაგაულის რაიონის ისტორიულ ძეგლთა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ანსამბლს წარმოადგენს სოფ. ვარძიის «დედაღვთისას» ტაძარი, ე. წ. «კიკოს» დიდებული მონას ტერი.

• ტბეთის ეკლესია — ამ ეკლესიას სახელად «ტბეთის წმინდა გიორგის ეკლე სია» ეწოდება და აგებულია ყრუ მთაში. ეს სახელი სავარაუდოდ იმ სახელოვანი ტბეთის ეკლესიის პატივისცემით დაურქმე ვიათ, რომელიც არსებობს შავშეთსა და ერუშეთში, ან კიდევ ახლო მდებარე ერთი პატარა ტბის გამო

• გედსამანიის საყდარი — «ტბეთის» ეკლესიას თან ახლოს წმ. მარიამ ღვთისმშობლის სახელზე აგებული «ვარდობის» ეკლესიაა. მის ირგვლივ სათოფურებიანი გალავნის ნანგრევებია შემორჩენილი. 1737 წელს შედგენილ დასავლეთ საქართველოს რუკაზე აღნიშნულია «გედსამანიის საყდარი».

• ლაშის ვანის ღვთისმშობლის ეკლესია — მდინა რეჩხერი მელას ხეობაში, შემაღლებულ ბორცვზე, სოფელ ლაშის ტერიტორიაზე არის გალავანი სადაც ეკლესიის ნანგრევებია. უფრო ადრე, მის ადგილას ციხე ყოფილა გა ლავ ნით.

• მირონწმიდა — ერთნავიანი ბაზილიკა, ნაშენია შირიმის ქვისა და კირისა გან. შიგნით მოხატული ყოფილა, მაგრამ 1900-იან წლებში სასულიერო უწყების ნებარ თვით შეულესიათ. კირი ადგილ-ადგილ ჩამოცვენილია და თაღის ნა წილზე მოჩანს მხატვრობა.

• ხიდრის წმინდა გიორგის ეკლესია —არქივებში დაცული მასალების მიხედვით, ხიდრის ეკლესია აგებულია 1870 წელს.

• ვახანის ციხე — სოფელ ვახანის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მაღალი მთის წვერზე დგას. ისტორიული წყაროების მიხედვით, იგი X—XI სს. ძეგლია.

გამოჩენილი იმერლები

ლიტერატურა: აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, გიორგი წერეთელი, გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ რობაქიძე, ლადო ასათიანი, რევაზ გაბრიაძე, ვალერიან

გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, ოტია იოსელიანი, დავით კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, მუხრან მაჭავარიანი, ტიციან ტაბიძე, გალაკტიონ ტაბიძე,

სახელმწიფო/საზოგადო მოღვაწეები: დავით აღმაშენებელი, ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი უზნაძე

- სახვითი ხელოვნება: ლადო ალექსი-მესხიშვილი, კოტე მარჯანიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, თენგიზ აბულაძე, სერგო ამაღლობელი, ვასილ ამაშუკელი, დოდო ანთაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, მელიტონ ბალანჩივაძე, კიტა ბუაჩიძე, დოდო ჭიჭინაძე, დავით კაკაბაძე, აკაკი კვანტალიანი, რევაზ ჩხეიძე
- მედიცინა: გიორგი აბაშიძე, გიორგი ადამია, აკაკი კვანტალიანი, ალექსანდრე წულუკიძე
- მეცნიერება: სიმონ ავალიანი, ვუკოლ ბერიძე, ანდრია ბიწაძე, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე
- სამხედრო მოღვაწეები: ნოე ადამია
- სპორტი: მაია ჩიბურდანიძე, ზურაბ საკანდელიძე
- ანარქისტები/რევოლუციონერები: ალექსანდრე წულუკიძე, სერგო ორჯონიკიძე

სოფლის მეურნეობა მხარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. მემცენარეობის პროდუქციიდან ძირითადია სიმინდი, ყურძენი და ბოსტნეული. კერძოდ, მწვანილი — ცერეცო, ქინძი, ოხრახუში, მწვანე ხახვი და წიწმატი მთელი სეზონის განმავლობაში, ასევე სანელებლების დამზადება. ნედლეულის ბაზა — წყალტუბოს რაიონი, სადაც შესაძლებელია მოწეულ იქნეს 3 ათასი ტონა ცერეცო, 500ტ. ქინძი, 1500 ტ. ოხრახუში, 250 ტ. წიწაკა, ასევე ზაფრანი, კამა, და ქონდარი 20 ტონის ფარგლებში. მიმდინარეობს მუშაობა სანელებლების დამამზადებელი მინისაწარმოს მშენებლობისათვის. ბაღჩეული — კიტრი, პომიდორი, სატაცური, ოსპი (წყალტუბოს, ვანის, ბაღდათის მუნიციპალიტეტები); ხილი — ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ტყემალი, ხურმა, შინდი (ვანის, თერჯოლის, სამტრედიის მუნიციპალიტეტები); თაფლი (ბაღდათი, ხარაგაული, წყალტუბო, თერჯოლა). მეჩაიეობის ძირითადი ზონებია: წყალტუბო, ტყიბული და ხონი.

იმერეთში 100-მდე მსხვილი ფერმერული მეურნეობაა, რომლებიც ძირითადად ეწევიან მეცხოველეობას, მევენახეობას, მეღორეობას, მეფრინველეობას, მეხილეობას, მეფუტკრეობას, მემწვანილეობას.

ტრანსპორტი

მნიშვნელოვანი რესურსული პოტენციალის რანგშია იმერეთის რეგიონის გეოპოლიტიკური მდებარეობა, რაც ევროპისა და აზიის ქვეყნების დამაკავშირებელი სატრანზიტო დერეფნის როლით გამოიხატება. რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრიდან — ქუთაისიდან მანძილი უახლოეს საზღვაო პორტამდე — ფოთამდე 102 კილომეტრია, დედაქალაქამდე — 236 კმ. ქუთაისში ფუნქციონირებს 2 აეროპორტი, რომლიდანაც ერთ-ერთში (კოპიტნარის) სრულდება საერთაშორისო რეისები. შესაბამისად, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა რეგიონის ეკონომიკის ერთ-ერთი მსხვილი დარგებია. ტრანსპორტის სახეობებიდან ძირითადად განვითარებულია საავტომობილო, სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტი. 2006 წელს სატრანსპორტო მომსახურების მოცულობამ 5,6 მლნ. ლარს მიაღწია, ხოლო დარგში დასაქმებულთა რიცხოვნობამ — 1827. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში ფუნქციონირებდა 89 საწარმო. საავტომობილო გზების საერთო სიგრძეა 2754,8 კმ, ხოლო სარკინიგზო — 229,285 კმ.

ენერგეტიკა

იმერეთი ენერგორესურსებით მდიდარი რეგიონია, რამაც განაპირობა ხუთი ჰიდროელექტროსადგურის ფუნქციონირება (რიონჰესი, გუმათჰესი, ძევრულჰესი, შაორჰესი, ვარციხეჰესი). სულ მათი პოტენციური(დადგმული)სიმძლავრეა 997,4 მეგავატი. აქედან გამომდინარე, ელექტროენერგიის წარმოება რეგიონის სამრეწველო წარმოების უმნიშვნელოვანესი დარგია, რომელსაც მთელი წარმოების სტრუქტურაში 21-23%-იანი სეგმენტი უჭირავს.

ექსპორტის მხრივ განსაკუთრებული ადგილი მხარის მრეწველობაში ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას უჭირავს, რომლის ხვედრითი წილი საექსპორტო პროდუქციაში

88%-ის ფარგლებშია. ძირითადი ადგილი უჭირავს მეტალურგიასა და ლითონპროდუქტების ექსპორტს, ხოლო კვების პროდუქტებიდან: ღვინომასალები, ჩაი, მწვანილი, რომლებიც ევროპისა და რუსეთის ბაზრებზეა ორიენტირებული.

მინერალური რესურსები

რეგიონი მნიშვნელოვანწილად გამოირჩევა საქართველოს ტეროტორიაზე არსებული წიაღისეული სიმდიდრეების მრავალფეროვნებით. ამჟამად იმერეთში 100-ზე მეტი მინერალურ-სანედლეულო რესურსების საბადოა აღრიცხული, რომელთაგან ნახევარზე მეტი საექსპორტოა. ძირითადი წიაღისეული სიმდიდრეა ჭიათურის მანგანუმი, რომლის ბალანსური და ბალანსგარეშე მარაგი 215 მილიონ ტონას შეადგენს მადნის ყველა ტიპის (ჟანგეული, კარბინატული, დაჟანგული, შერეული, ქვიშაქვები) მიხედვით. მანგანუმის ჯერ კიდევ დაუმუშავებელი მარაგის არსებობა სავარაუდოა ყვირილისა და ზესტაფონის რაიონებში, ჩხარი-აჯამეთის, ქუთაისისა და თერჯოლის ტერიტორიებზე. მხარის მნიშვნელოვანი წიაღისეული რესურსია ტყიბულისა და გელათის ქვანახშირის, ბარიტის, ლიატონიტის, საშენ მასალათა, თიხის მარაგი. ქუთაისის მიდამოები მდიდარია ბენტონიტური თიხებით (გუმბრინი), მარმარილოს, ეკლარის კირქვის, კურსების ტეშენიტის, ბაზალეთის საბადოებით.

მრავალფეროვანია მხარის რაიონების ნიადაგი. მათი გეოლოგიური აგებულება, რელიეფი, კლიმატი და მცენარეული საფარი განაპირობებს ნიადაგის ხასიათს. უპირატესი გავრცელება აქვს: ალუვიურ, სუბტროპიკულ ეწერ ყვითელმიწა, წითელმიწა, ნეშომპალა-კარბონატულ და კომრალ ნიადაგებს. მაღალმთიან რაიონებში გვხვდება ღია გაეწრებული ტყის მურა ნიადაგებიც. ყვითელმიწა და თხელ ფენად წითელმიწა ნიადაგები. ორივე მათგანი გამოიყენება ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურის გასაშენებლად.

იმერეთს წამყვანი ადგილი უჭირავს რეკრეაციულ სისტემაში, უნიკალური ბუნებრივი და ჰიდრომინერალური რესურსების, მინერალური წყლების სახით. სამკურნალო წყლებიდან

გამოიყოფა წყალტუბო, საირმე ბაღდათის რაიონში, ნუნისი ხარაგაულში, სულორი ვანში, აგრეთვე საჩხერის სხვადასხვა მინერალური წყაროები. დიდი რაოდენობითაა თერმული წყლების მარაგი.

მთისა და ტყის მასივებს 250000 ჰა ფართობი უჭირავს. რეკრეაციული რესურსებია სამთო ქვეითი, სამთო საცხენოსნო, სპელეო ტურიზმი, რაფტინგი მდინარე რიონზე. იმერეთის ტურისტული პროდუქციის ერთ-ერთ პრიორიტეტული მიმართულება კურორტები და გამაჯანსაღებელი ზონებია. რეგიონის ლანდშაფტი, სამკურნალო მინერალური წყლები ბალნეოლოგიურ კურორტებს მიმზიდველს ხდის დამსვენებლთათვის. დღეისათვის იმერეთში 53 საკურორტო და დასასვენებელი ბაზაა, მათ შორის აღსანიშნავია წყალტუბო, საირმე, ნუნისი, სიმონეთი, სულორი, საწირე, ჭითურის ხრეითი, სამტრედია, ზვარე, ამაღლება. განსაკუთრებით აღსანიშნავია სათაფლიის ნაკრძალი წყალტუბოს ტერიტორიაზე (345 ჰა), კარსტული გამოქვაბულითა და დინოზავრის ნაკვალევით.

8. ო დ ი შ ი ანუ ს ა მ ე გ რ ე ლ ო

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე, ადმ. ცენტრი ზუგდიდი, მუნიციპალიტეტი 7+1, ფართობი - 4400 კმ, მოსახლეობის რაოდენობა 451852 (2002).

სამეგრელო (მეგრ. სამარგალო) — დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე. ეს არის მდინარე რიონს, ცხენისწყალს, ენგურსა და შავ ზღვას შორის მოქცეული ტერიტორია. სახელწოდება მომდინარეობს ისტორიული მხარის ეგრისის სახელიდან. ქართულ წერილობით წყაროებში იხსენიება XII საუკუნიდან. თავდაპირველად გაიგივებული იყო მთლიანად დასავლეთ საქართველოსთან (მსგავსად აფხაზეთისა, იმერეთისა), XIII-XV საუკუნეებში უკვე ვიწრო მნიშვნელობა აქვს — აღნიშნავს ქართველების ეთნოგრაფიული ჯგუფით — მეგრელებით — დასახლებულ მხარეს მდინარეებს ფსირცხასა

(ძვ. ანაკოდიისწყალი) და ცხენისწყალს შორის. ცენტრალური ქალაქია ზუგდიდი.

გვიანდელ შუა საუკუნეებში ამ ტერიტორიაზე ოდიშის სამთავრო შეიქმნა, ახალი სახელწოდებაც აქედან მიიღო — ოდიში, თუმცა უცხოურ წყაროებში „სამეგრელოდან“ ნაწარმოები სახელწოდებებიც გვხვდება. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ლიტერატურაში ისევ დამკვიდრდა სახელწოდება „სამეგრელო“. XVII საუკუნის I ნახევარში აფხაზ ფეოდალთა მოძალების შედეგად, დროთა განმავლობაში სამთავროს საზღვარმა ჯერ მდინარე კელასურზე, შემდეგ ღალიძგაზე, ბოლოს კი ენგურზე გადმოინაცვლა.

დონ კრისტოფორო დე კასტელის ცნობით, მისი საქართველოში მოღვაწეობისას (1627-1654 წწ), სამეგრელო ტერიტორია ვრცელდებოდა რიონიდან კოდორამდე: „კოდორიდან მოკიდებული რიონამდე კოლხეთის ანუ დღეს სამეგრელოდ წოდებული ქვეყნის აღწერილობა...“

დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით სამეგრელო შედის სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში და მოიცავს აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის და ხობის მუნიციპალიტეტების და ქალაქ ფოთის ტერიტორიას.

ისტორია. რეგიონი, რომელიც სამეგრელოს ისტორიულ სამთავროს ეკავა, ისტორიის მანძილზე სხვადასხვა სახელით მოიხსენიებოდა - კოლხეთი, ეგრისი, ლაზიკა, ოდიში და მინგრელია. სამეგრელოს რეგიონს მთელი თავისი ისტორიის მანძილზე უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა. აქ ძლევამოსილი იმპერიები ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ. შედეგად, ეს მხარე ხშირად რომაელების, ბიზანტიელების, მონღოლების, თურქების, სპარსელების, რუსებისა და სხვათა არმიების არაერთი შემოსევის ობიექტი გახდა.

ანტიკურ ხანაში სამეგრელო კოლხეთის სამეფოს ნაწილს წარმოადგენდა. კოლხეთი მთლიანად მოიცავდა დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას. ბერძნულ მითოლოგიაში კოლხეთი ოქროს საწმისის ქვეყნად ითვლებოდა, სადაც იაზონმა

არგონავტებთან ერთად იმოგზაურა. აღსანიშნავია, რომ ძველი წელთაღრიცხვით VII საუკუნემდე ბერძნები ფიქრობდნენ, რომ კოლხეთი მათთვის ნაცნობი მსოფლიოს უკიდურეს მიჯნაზე მდებარეობდა. თანამედროვე ეპოქამდე ეს რეგიონი ლაზიკას სახელწოდებითაც იყო ცნობილი (იმ სახელის მიხედვით, რომელიც ბერძნებმა დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ტომებს უწოდეს); მას ეგრისიც ერქვა (იმ მდინარის მიხედვით, რომელიც იქ მოედინება და შავ ზღვას ერთვის). რეგიონის პოლიტიკური ცენტრი იყო არქეოპოლისი (ან ნოქალაქევი), რომელიც თანამედროვე სენაკის მახლობლად მდებარეობს.

რომაელებმა ეს რეგიონი ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ საუკუნეში დაიპყრეს და აქ თითქმის 400 წლის განმავლობაში ბატონობდნენ. IV საუკუნეში რომის იმპერიის დაშლის გამო მისი დედაქალაქი კონსტანტინეპოლში იქნა გადატანილი. შედეგად ლაზიკაში ფართოდ გავრცელდა ქრისტიანობა და იგი რომის სამართალმემკვიდრის, ბიზანტიის იმპერიის მეკავშირე გახდა, რითაც აღმოსავლეთით მდებარე სპარსეთის იმპერიას დაუპირისპირდა.

VII საუკუნეში კავკასიას არაბების ურდო მოედო. არაბებმა იმ დროისათვის ქართლი-იბერიის სახელწოდებით ცნობილი, აღმოსავლეთ საქართველო, დაიპყრეს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს დიდი ტერიტორია არაბეთის ისლამური ხალიფატის გავლენის მიღმა დარჩა.

მას შემდეგ, რაც ხალიფატის ძლიერება კავკასიაში საგრძნობლად დასუსტდა, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო ერთ სამეფოდ გაერთიანდა. ეს სამეფო XI საუკუნიდან XV საუკუნემდე არსებობდა. ადრეული XII საუკუნიდან მოყოლებული თურქებისა და მონღოლების შემოსევებისა და ადგილობრივი ფეოდალების მუდმივი ქიშპის გამო საქართველოს სახელმწიფო დაცემას იწყებს. XV საუკუნის დასასრულს საქართველოს მონარქია სამ მოქიშპე, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დაიყო: ქართლი - ცენტრალურ და აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთი – აღმოსავლეთში და იმერეთი – დასავლეთში. შეიქმნა რამოდენიმე სამთავრო და მომცრო ზომის სახელმწიფო, რომლებსაც ფეოდალები მართავდნენ. ოდიშის

სამთავროსთან ერთად, რომელიც ფაქტობრივად, დღევანდელი სამეგრელოს მთელს ტერიტორიას მოიცავდა, მათ რიცხვში გურია, აფხაზეთი და სვანეთიც შედიოდნენ.

XVI საუკუნის შუა წლებში საქართველოს დაქსაქსული სამეფოები და სამთავროები აღმოსავლეთით სპარსელებმა, ხოლო დასავლეთით ოსმალოებმა დაიპყრეს. მიუხედავად ამისა, საქართველოს მმართველებმა სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში შეძლეს გარკვეული ავტონომიის შენარჩუნება, რადგან სპარსელებსაც და თურქებსაც აწყობდათ, რომ ქართულ მიწას ერთგვარი ბუფერის როლი შეესრულებინა მეზობელ იმპერიასთან ურთიერთობაში

XII საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული XIX საუკუნემდე ოდიშს დადიანების გვარის წარმომადგენლები მართავდნენ. მკვლევართა აზრით, გვარი („დადიანი“) თავდაპირველად ტიტულს წარმოადგენდა და „სტრატეგიული მიწების მმართველს“ ნიშნავდა. ამ პერიოდის უძლიერესი მმართველი ლევან II დადიანი იყო (მართავდა 1611–1657 წლებში). ლევანმა წარმატებით დაიპყრო გურია, ხოლო იმერეთი დაპყრობას არაერთხელ ბეწვზე გადაურჩა. ლევანმა რეგიონში რუსეთის გავლენის განმტკიცებასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. მან რუსეთთან პირველი კავშირი ჯერ კიდევ 1636 წელს დაამყარა, რომ ოსმალოთა მხრიდან შესაძლო საფრთხის შემთხვევაში რუსეთის მხარდაჭერა ჰქონოდა.

დადიანების დინასტიისა და ოდიშის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, დასასრულის დასაწყისად შეიძლება XVIII საუკუნის ბოლო მივიჩნიოთ. გაუთავებელი, სისხლისმღვრელი და ულმობელი შიდა ომებისა და შუღლის ფონზე, რაც საქართველოს საუკუნეების მანძილზე ასუსტებდა, 1790 წელს დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოების – იმერეთის, გურიისა და ოდიშის – მმართველებმა დადეს ხელშეკრულება აღმოსავლეთ საქართველოში ქართლ–კახეთის სამეფოსთან (ქართლ–კახეთის სამეფო 1762 წელს შეიქმნა ორი მანამდე განცალკევებული სამეფოს გაერთიანების შედეგად). ეს ხელშეკრულება ითვალისწინებდა ერთგულების ფიცს ქართლ–კახეთის მეფე ერეკლე II–ის მიმართ, რომლის სამეფოც, თავის მხრივ, თანდათან ექცეოდა რუსეთის

გავლენის ქვეშ. ეს პროცესი დაიწყო 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერით, რომლის თანახმად სამეფო რუსეთის სამხედრო მფარველობის ქვეშ ექცეოდა, ხოლო კულმინაციას 1801 წელს მიაღწია, როდესაც რუსეთმა საქართველოს სრული ანექსია მოახდინა.

დასავლეთ საქართველოს თავადების ბრძოლა ძალაუფლების მოპოვებისათვის 1790 წლის ხელშეკრულებით არ დასრულებულა. რამდენიმე წელიწადში ოდიშის თავადი გრიგოლ დადიანი იძულებული გახდა, დახმარება აღმოსავლეთისათვის ეთხოვა, რადგან მის მმართველობას ემუქრებოდნენ დამყრობლები როგორც თვით ოდიშიდან (კერძოდ, მისი დედინაცვლის ვაჟი მანუჩარი),ისე სამეგრელოს საზღვრებს გარედან (იმერეთის მეფე სოლომონ II). 1801 წლიდან გრიგოლი თხოვნით მიმართავდა არა ქართლ–კახეთის მეფეს, არამედ პავლე ციციანოვს - უკვე აღმოსავლეთ საქართველოში რუსეთის იმპერიის ახალი ტერიტორიების გუბერნატორს.

დახმარება დამოუკიდებლობის ფასად მოვიდა. 1803 წელს ოდიში რუსეთის პროტექტორატად გამოცხადდა და მას ქართულად „სამეგრელო“, ხოლო რუსულად „მინგრელია“ უწოდეს. 1804 წლის გაზაფხულზე რუსულმა სამხედრო ძალებმა აღმოსავლეთ საქართველოდან სამეგრელოში გადაინაცვლეს, რამაც რუსთ ხელმწიფეს სხვა ქართული ტერიტორიების ოკუპაციისაკენ გზა გაუხსნა. ამით რუსეთმა თურქეთთან მიმდინარე ბრძოლისათვის ბაზა მოიპოვა და შავი ზღვის სავაჭრო მარშრუტებზედაც მიიღო გასასვლელი. თუმცა, მომდევნო 50 წლის მანძილზე რუსეთს სამეგრელოს ავტონომია საშინაო მართვის საკითხებში არ შეუზღუდავს

მაგრამ 1854–1856 წლების ყირიმის ომის შემდეგ რუსეთის მბრძანებლებმა დაინახეს, რომ იმპერიის საზღვრების გაფართოებისა და სამთავრო გაუქმების შესაძლებლობა მიეცათ. ომის დაწყებამდე გარდაიცვალა სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი და, რადგან მისი ვაჟი და მემკვიდრე ნიკოლოზი მხოლოდ შვიდი წლის იყო, სამთავროს მმართველად დავითის ქვრივი, ეკატერინე დაინიშნა. მისი ხანმოკლე მმართველობის პერიოდი

გამოირჩეოდა თურქების თავდასხმებითა და შიდა პოლიტიკური არეულობით. 1856 წელს, როდესაც ეკატერინე მეფე ალექსანდრე II–ის კორონაციას ესწრებოდა, სამეგრელოს ყმა გლეხებმა ღია ანტიფეოდალური და პრორუსული აჯანყება მოაწყეს. ამან შექმნა წინაპირობა, რომ შემდეგ წელს სამეგრელოში რუსული მმართველობა ღიად დამყარებულიყო.

რუსეთის მიერ სამეგრელოს დე ფაქტო ანექსიის მიუხედავად, ნიკოლოზ დადიანი ამ სამთავროს ტახტის მემკვიდრედ თითქმის ათი წლის მანძილზე ითვლებოდა, ვიდრე რუსეთის მმართველთა გავლენით ოფიციალურად არ გადადგა. 1867 წლის 4 იანვარს რუსეთის იმპერიამ სამეგრელოს დამოუკიდებელი სამთავრო ოფიციალურად გააუქმა.

1918 წელს საქართველომ ისარგებლა რუსეთის ბოლშევიკური რევოლუციის შედეგად შექმნილი ვითარებით და დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ხოლო სამეგრელო ახალი დემოკრატიული ქვეყნის ნაწილი გახდა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკა საკმაოდ დღენაკლული აღმოჩნდა. 1921 წელს საქართველოში წითელი არმია შემოიჭრა და ახალგაზრდა სახელმწიფოს სუვერენიტეტსაც ბოლო მოეღო. საქართველო საბჭოთა კავშირის სტრუქტურაში ჯერ ამიერკავკასიის რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილის სტატუსით (სომხეთსა და აზერბაიჯანთან ერთად) ჩართეს, ხოლო 1936 წლიდან მან საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელწოდებით გააგრძელა არსებობა.

1991 წელს საბჭოთა კავშირის შედარებით მშვიდობიანი დაშლის შედეგად საქართველო კვლავ დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. ისტორიული სამეგრელოს სამთავროს ტერიტორია ამჟამად საქართველოს რესპუბლიკის სამეგრელო–ზემო სვანეთის ადმინისტრაციული რეგიონის შემადგენლობაში შედის.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სულ მალე ეთნიკურად აფხაზმა სეპარატისტებმა აფხაზეთი (რომელიც ისტორიული სამეგრელოს ტერიტორიის მცირე ნაწილსაც მოიცავს) სუვერენულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადეს. 1990–იან წლებში დაწყებული სისხლიანი შეიარაღებული

კონფლიქტის დროს აფხაზმა სეპარატისტებმა მრავალი ათასი ეთნიკური ქართველი გამოაძევეს ამ რეგიონიდან, რამაც ლტოლვილთა უზარმაზარი ნაკადი წარმოშვა. მართალია, აფხაზეთის სუვერენიტეტი საერთაშორისო საზოგადოების მიერ არ არის აღიარებული, მაგრამ ეს მხარე რუსეთის დახმარებით დღემდე ინარჩუნებს ფაქტობრივ დამოუკიდებლობას.

აფხაზეთის საქართველოს წიაღში დაბრუნების პერსპექტივას დაბრკოლება შეექმნა 2008 წელს, საქართველოსა და რუსეთს შორის ხანმოკლე ომის შემდეგ, რომელიც სამხრეთ ოსეთის, რუსეთის მიერ მხარდაჭერილი მეორე სეპარატისტული რეგიონის, გამო დაიწყო. ამ ომმა, კიდევ უფრო გააძლიერა რუსეთის მხარდაჭერა სეპარატისტული რეგიონების მიმართ.

სამეგრელოს ერისთავები და მთავრები

- ვარდან I დადიანი (ლეგენდით)
- ვარდან II დადიანი 1184-დაახ. 1213
- შერგილ დადიანი 1213-დაახ. 1250
- ვარდან III დადიანი დაახ. 1250-დაახ.1260
- ცოტნე დადიანი დაახ. 1260-დაახ.1300
- გიორგი I დადიანი დაახ. 1300-1323
- მამია I დადიანი-გურიელი 1323-1345
- გიორგი II დადიანი-გურიელი 1345-1384
- ვამეყ I დადიანი 1384-1396
- მამია II დადიანი 1396-1414
- ლიპარიტ I დადიანი 1414-1470
- შამადავლე დადიანი 1470-1474
- ვამეყ II დადიანი 1474-1482
- ლიპარიტ II დადიანი 1482-1512
- მამია III დადიანი 1512-1532
- ლევან I დადიანი 1532-1546
- გიორგი III დადიანი 1546-1574
- მამია IV დადიანი 1574
- გიორგი III დადიანი (2 ჯერ) 1574-1582
- მამია IV დადიანი (2 ჯერ) 1582-1590

- მანუჩარ I დადიანი 1590-1611
- ლევან II დადიანი 1611-1657
- ლიპარიტ III დადიანი 1657-1658
- ვამეყ III დადიანი 1658-1661
- ლევან III დადიანი 1661-1681
- ლევან IV დადიანი 1681-1691
- გიორგი IV დადიანი 1691-1715
- კაცია I დადიანი 1704-1710
- ბეჟან I დადიანი 1715-1728
- ოტია დადიანი 1728-1744
- კაცია II დადიანი 1744-1788
- გრიგოლ დადიანი 1788-1791; 1794-1802; 1802-1804
- მანუჩარ II დადიანი 1791-1793
- ტარიელ დადიანი 1793-1794; 1802
- ლევან V დადიანი 1804-1840
- დავით დადიანი 1840-1853
- ნიკო დადიანი 1853-1867

სამურზაყანო — ისტორიული მხარე დასავლეთ საქართველოში, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე. როგორც პოლიტიკური ერთეული ჩამოყალიბდა XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე. მოიცავდა ძირითადად ახლანდელი გალის რაიონის ტერიტორიას. 1705 წელს მემკვიდრეობით მიიღო მურზაყან შარვაშიძემ, რომლის სახელისგანაც მთელი მხარის სახელია მიღებული. 1805 წელს შევიდა რუსეთის მფარველობაში. 1813-1840 წლებში ლევან დადიანს ექვემდებარებოდა. 1840 წელს რუსეთის ხელისუფლებამ ოდიშის სამთავროს სუვერენიტეტისაგან გამოისყიდა და სამურზაყანოს საბოქაულო დააარსა. 1857 წელს, სამგრელოს (ოდიშის) სამთავროს გაუქმების შემდეგ, სამეგრელოს მმართველს დაუქვემდებარეს. 1864 წლიდან სოხუმის სამხედრო განყოფილების შემადგენლობაში იყო, 1883-დან სოხუმის ოკრუგის შემადგენლობაში სამურზაყანოს უბნის სახელწოდებით.

ტოპონიმი «სამურზაყანო» ისტორიულ წყაროებში პირველად ნიკოლოზ დადიანის «ქართველთ ცხოვრებაში» ჩნდება. რუსულ

წყაროებში ამ ტოპონიმის სამი, უმნიშვნელოდ განსხვავებული ვარიანტი მოიპოვება: Самурзакано, Самурзакань, Самурзакан. (სამივე ვარიანტს იყენებენ თანამედროვე სეპარატისტი ისტორიკოსები ო. ბღაჟბა და ს. ლაკობა თავიანთ "აფხაზეთის ისტორიაში", თუმცა ამ ტოპონიმის ეტიმოლოგიას არ ხსნიან. ვარიანტი Самурзакан დაფიქსირებულია, აგრეთვე, კ. კვაშილავას მიერ დადიანების მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში მოძიებულ 1839 წლის 26 აპრილით დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტში. აფხაზურ ენაში დადასტურებულია ვარიანტი Самырзакан. საყურადღებოა, რომ სამურზაყანოელ შარვაშიძეთა მიერ 1805 წლის 9 ივლისს რუსეთის იმპერატორისადმი დადებულ ფიცის ქართულ დედანში მოცემულია სგავსი ვარიანტი «სამირზაყანო» (აღსანიშნავია, რომ ბ. ხორავამ ეს ვარიანტი თავის ნაშრომში გაუმართლებლად შეცვალა «სამურზაყანო»-თი, ხოლო რუსულ თარგმანში – Самурзакан. ეს არის ოფიციალურ დოკუმენტებში ამ ტოპონიმის პირველი ფიქსაცია.

მითები და ლეგენდები

სამეგრელოში, ამ უძველესი ისტორიის მქონე მხარეში, ანტიკური ხანიდან ქრისტიანულ ეპოქამდე უმდიდრესი ფოლკლორი, მითები და ლეგენდები წარმოიშვა. ალბათ, ყველაზე უფრო განთქმული წინაქრისტიანული მითი, რომელიც სამეგრელოს მიწას ეხება, იაზონისა და არგონავტების ამბავი გახლავთ. ამ რეგიონში მოგვიანებით შექმნილი ქრისტიანული მითებიდან მრავალი მათგანი მოგვითხრობს ქალწულ მარიამის - იესო ქრისტეს დედასა და ქართულ მართლმადიდებლობაში გამორჩეული ფიგურის - შესახებ და მასთან დაკავშირებული რელიკვიების ძალაზე.

იაზონისა და მედეას მითი

ანტიკურობის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი მითოლოგიური ამბავი იაზონის მიერ ოქროს საწმისის მოპოვებაზე მოგვითხრობს. მოქმედების უდიდესი ნაწილი კოლხეთის სამეფოში ვითარდება, რომელიც დიდი ხნის წინ დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე მდებარეობდა. ეს ამბავი პირველად აპოლონიოს როდოსელმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე III

საუკუნეში ჩაიწერა. მისი მოკლე შინაარსი შემდეგში მდგომარეობს:
იაზონი იოლკოსის კანონიერი მეფე ეზონის ვაჟი იყო. ეზონი მისმა ნახევარძმამ პელიასმა ტახტიდან ჩამოაგდო და საპყრობილეში ჩააგდო, ჯერ კიდევ მაშინ როდესაც იაზონი დედის საშოში იმყოფებოდა. როდესაც იაზონი დაიბადა, ეზონის მეუღლემ დაარწმუნა პელიასი, რომ ბავშვი მკვდრადშობილი იყო, სინამდვილეში კი ახალშობილი სასახლიდან გააპარა.
იაზონი კენტავრმა ხირონმა გაზარდა. უკვე ყმაწვილკაცობაში შესული იაზონი იოლკოსში დაბრუნდა, რომ კუთვნილი ტახტი დაებრუნებინა. პელიასი დათანხმდა ტახტის დაბრუნებაზე იმ პირობით, თუ იაზონი ერთ ძალიან სახიფათო დავალებას შეასრულებდა: კოლხეთის მეფე აიეტის სამფლობელოდან ლეგენდარულ ოქროს საწმისს წამოიღებდა. საწმისი ხეზე ეკიდა და მას მარად ფხიზელი გველეშაპი დარაჯობდა. იაზონი დათანხმდა ამ გამოწვევას და საბერძნეთის 50 რჩეულ ვაჟკაცთან ერთად გემ "არგოთი" კოლხეთისკენ გაემართა.
გზად უამრავი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ,"არგო" კოლხეთის ნაპირებს მიადგა. მეფე აიეტი მზად იყო, ოქროს საწმისი იაზონისათვის გადაეცა, თუკი იგი წარმატებით გაართმევდა თავს შეუძლებელ ამოცანას: მას უღელში ორი ცეცხლისმფრქვეველი ხარი უნდა შეება და მათი დახმარებით მინდორი მოეხნა, ხოლო მინდორზე გველეშაპის კბილები დაეთესა. ამ ამოცანის შესასრულებლად იაზონს მოულოდნელი დახმარება აღმოუჩინა აიეტის ქალიშვილმა მედეამ, უძლიერესმა ჯადოქარმა, რომელსაც იაზონი შეჰყვარებოდა. მედეამ იაზონს ჯადოსნური სითხე მისცა, რომელმაც იგი ცეცხლისმფრქვეველი ხარებისაგან დაიცვა, ასე რომ, იაზონმა დაიმორჩილა ხარები და მინდვრის მოხვნაც შეძლო.
სამწუხაროდ, აიეტი სულაც არ აპირებდა, ოქროს საწმისი კოლხეთიდან ვინმესათვის გაეტანებინა და ყველანაირად შეეცადა, იაზონთან დადებული პირობა დაერღვია. იაზონს ისევ მედეა დაეხმარა და არა მარტო ოქროს საწმისისაკენ მიმავალი

გზა უჩვენა, არამედ ელექსირიც მისცა, რომლის მეშვეობითაც იაზონმა საწმისის მცველი გველეშაპი დააძინა.
არგონავტებმა აფრები აუშვეს და იოლკოსისაკენ დაიძრნენ, მაგრამ მათ გზა აიეტის ფლოტმა გადაუღობა. მედეას საზრიანობამ ისევ იმარჯვა: მან შეტყობინება გაუგზავნა თავის ძმას, აფსირტეს, თითქოსდა იგი მოიტაცეს, და ემუდარებოდა, ერთ–ერთ კუნძულზე მისულიყო მისი ტყვეობიდან გამოსახსნელად. როდესაც აფსირტემ დის თხოვნა შეასრულა და დანიშნულ ადგილას მივიდა, მედეამ იგი მოკლა, მისი სხეული დაანაწევრა და ნაწილები ზღვაში გადაყარა. მან იცოდა, რომ, ვიდრე აიეტი თავისი ვაჟის ნეშტის შეგროვებით იქნებოდა დაკავებული, იაზონი დროს მოიგებდა და გაიქცეოდა.
იოლკოსში დაბრუნებისას იაზონმა შეიტყო, რომ უზურპატორმა პელიასმა მისი პატიმარი მამა, ტახტიდან ჩამოგდებული ეზონი მოატყუა, რომ არგო ჩაიძირა და იაზონმა დავალება ვერ შეასრულა. სასოწარკვეთილმა ეზონმა თავი მოიკლა. ამგვარი დანაშაულისათვის მედეამ საშინელი შურისძიება ჩაიფიქრა: მან პელიასის ორ ქალიშვილს უთხრა, რომ შეეძლოთ თავიანთი მოხუცებული მამა ჯადოსნური რიტუალის მეშვეობით გაეახალგაზრდავებინათ - ამისთვის საჭირო იყო მოხუცის დანაწევრება და ნაწილების მდუღარე ქვაბში ჩაყრა. უნდობლად განწყობილი დების დასარწმუნებლად, მან ბებერი ცხვარი ნაწილებად დაჭრა და მათ თვალწინ მდუღარე ქვაბში მოათავსა, რის შემდეგაც ქვაბიდან ქორფა, ძლიერი ბატკანი ამოხტა. ეს ყველაფერი ფანდი იყო, მაგრამ დებს ეჭვი გაუქარწყლა. მათ დიდი მონდომებით დაანაწევრეს საკუთარი მამა და მისი ნაწილები ადუღებულ ქვაბში ჩაყარეს. მათი ჩანაფიქრი არ გამართლდა და იაზონი და მედეა კორინთოში გაიქცნენ, რათა პელეასის ვაჟის, აკასტოსის რისხვა აეცილებინათ თავიდან.
რამდენიმე წლის შემდეგ, როცა იაზონს მედეასგან უკვე ორი შვილი ჰყავდა, იაზონმა კრეუზა, კორინთოს მეფის უმცროსი ქალიშვილი, შეიყვარა და მედეა მიატოვა. მედეამ კვლავ შურისძიების იშვიათი ნიჭი გამოავლინა და კრეუზას საქორწინო საჩუქარი, მოსაცმელი გაუგზავნა, მეფის ასულმა

ჩაიცვა თუ არა, ცეცხლის ალში გაეხვა და დაიღუპა. კრეუზას მამამ, მეფე კრეონმა სცადა ქალიშვილის გადარჩენა, მაგრამ თვითონაც დაიწვა. ამის შემდეგ მედეამ თავისი შვილები დახოცა, რადგან ეშინოდა, რომ დედის ცოდვებისთვის მათ აწამებდნენ ან მონებად აქცევდნენ და თავი ათენს შეაფარა. მითის ზოგიერთ ვერსიაში მედეა კოლხეთში ბრუნდება, სადაც მამის კეთილგანწყობას იბრუნებს იმით, რომ კლავს მისი ტახტის უზურპატორს.

კურთხეული ღვთისმშობლის კვართი

საქართველომ ქრისტიანობა რომის იმპერიაზე ოდნავ მოგვიანებით აღიარა. ჩვენი წელთაღრიცხვით 327 წელს (ან, შესაძლოა, უფრო ადრეც კი) აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე იბერიის სამეფოს მეფემ, მირიან II-მ ქრისტიანობა ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. მომდევნო ათწლეულებისა და საუკუნეების მანძილზე, მართლმადიდებლური ქრისტიანობა საქართველოს კულტურული იდენტობის ბირთვად გვევლინება.

ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, საქართველო კურთხეული ქალწული მარიამის, იესო ქრისტეს დედის, წილხვედრი ქვეყანაა. წმინდა სამოსი, რომელიც, გადმოცემის თანახმად, მარიამს ეცვა,დღემდე სამეგრელოში, კერძოდ, ზუგდიდის მუზეუმში, დადიანების სასახლის საგანგებო კოშკში ინახება. წელიწადში ერთხელ, ვლაქერნის კურთხეული ქალწულის დღესასწაულის დღეს, იგი გამოაქვთ; მლოცველებს შეუძლიათ, ხელით მას შეეხონ და ილოცონ. ზუსტად არ არის ცნობილი, თუ როგორ მოხვდა ეს რელიკვია ზუგდიდში, მაგრამ არსებობს ამ სამოსელთან დაკავშირებული რამდენიმე ამბავი, რომლებიც ქვემოთ არის აღწერილი.

ბიზანტიის იმპერატორ ლეონ დიდის მეფობის დროს (457–471) იმპერატორის ძმები, საეკლესიო პირები გალვიუსი და კანდიდი წმინდა მიწაზე წმინდა ადგილების მოსალოცად წავიდნენ. ისინი სოფელ ნაზარეთში, ქრისტეს დაბადების ადგილას, მოკრძალებულ კერძო სახლში გაჩერდნენ. მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც აღმოაჩინეს, რომ შიდა ოთახის

იატაკზე, დანთებულ სანთლებს შორის ავადმყოფები იწვნენ. სახლის პატრონმა აუხსნა მათ, რომ ქალწული მარიამის წმინდა სამოსი, რომელიც მორწმუნეთა თაობებმა შემოინახეს, ამ ოთახში, სკივრში ინახებოდა. ძმებმა დაამზადეს მსგავსი სკივრი და, როდესაც ოთახში არავინ იყო, სკივრები შეცვალეს. ამ განძით კონსტანტინოპოლში დაბრუნდნენ და იგი იმპერატორს მიართვეს, რითაც დიდად გაახარეს. იმპერატორმა კვართი ვლაქერნის კურთხეული ქალწულის ეკლესიაში, ფაქტობრივად, მისი სასახლის კარის ეკლესიაში დააბრძანა. თითქმის ათასწლეულის გავიდა და 1453 წელს კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგიქიდან გამოქცეულმა არქიეპისკოპოსმა სამოსი სხვა წმინდა რელიკვიებთან ერთად საქართველოში ჩამოიტანა.

წმინდა ქალწული მარიამის კვართს უამრავ სასწაულს მიაწერენ. მაგალითად, მოთხრობილია, რომ 626 წელს სპარსელთა და ხაზართა უზარმაზარმა ლაშქარმა შაჰ–ვარაზის მეთაურობით ალყა შემოარტყა კონსტანტინოპოლს. იმ დროს ბიზანტიის იმპერატორი ჰერაკლე სხვა ბრძოლაში იყო ჩაბმული და ქალაქის დაცვა პატრიარქ სერგის ჰქონდა მინდობილი. მან აიღო კვართი და სხვა წმინდა რელიკვიები და გადარჩენისათვის ლოცვითა და ვედრებით მთელ ქალაქს კედელ–კედელ შემოუარა. მტერმა ზღვიდან შემოუტია, ქალაქის კედლები სწრაფად გაარღვია და ქალაქში შემოიჭრა მისი სრული დაპყრობის იმედით. მაგრამ, როდესაც მტრის ურდო კურთხეული ქალწულის ეკლესიას მიუახლოვდა, ციდან მძლავრმა ქარმა დაუბერა და მათი სვლა შეაფერხა. ამავე სასწაულებრივმა ქარმა ზღვაზე უზარმაზარი ტალღები ააგორა და მტრის უამრავი გემი ჩაიძირა. შაჰ–ვარაზის შეძრწუნებულ ჯარს ისღა დარჩენოდა, რომ ამ ღვთაებრივი ძალით დაცულ ქალაქს გასცლოდა.

ეს იყო პირველი იმ რამდენიმე შემთხვევიდან, როდესაც, თქმულების მიხედვით, წმინდა ქალწულის სამოსმა კონსტანტინოპოლი გადაარჩინა. ლეგენდის თანახმად, კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა 866 წელს მოხდა, როდესაც ორი რუსი წარმართი მეომარი, ასკოლდი და დირი 200 შეიარაღებული

ხომალდით მიადგნენ კონსტანტინოპოლს. ბიზანტიის იმპერატორი ადგილზე არ იმყოფებოდა, რადგან სხვა ბრძოლებში იღებდა მონაწილეობას და ქალაქის მმართველობა პატრიარქს ჰქონდა ჩაბარებული. ამჯერად, პატრიარქმა ეკლესიიდან გამოიტანა წმინდა ქალწულის სამოსი და ზღვაში ჩაალბო. ზღვას მაშინვე ქარიშხალმა გადაუარა და მძვინვარე ტალღებმა რუსების არმადა მთლიანად ჩაძირა. ასკოლდი და დირი მიხვდნენ,რომ ზებუნებრივ ძალას ებრძოდნენ, მაშინვე საქციელი მოინანიეს და ქრისტიანებად მოექცნენ.

ეთნოგრაფია

მართალია, სამეგრელოს კულტურული ანთროპოლოგია სისტემატურად არ შესწავლილა, მაგრამ არსებული მაინც იძლევა შესაძლებლობას, თვალი გადავავლოთ იმ სოციალურ და კულტურულ თავისებურებებს, რაც ამ მხარეს საქართველოს სხვა რეგიონებისაგან განასხვავებს.

მეგრელები — ქართველთა ერთ-ერთი მსხვილი ეთნოგრაფიული ჯგუფი. წარსულში მათ ეკავათ ისტორიული კოლხეთის ცენტრალური რაიონები და მთისწინეთი, ამჟამად - რიონის, ხობის და ენგურის სანაპიროები, კომპაქტურ ჯგუფებად ცხოვრობდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რიგ რაიონებში (გალი, ოჩამჩირე, სოხუმი). წარსულში ქართებთან, სვანებთან და სხვებთან ერთად მეგრულმა ტომებმა შეადგინეს თანამედროვე ქართველი ხალხის ფორმირების საფუძველი. მეგრელების დიდი ნაწილი ორენოვანია, ისინი საუბრობენ ქართულ ენაზე, ხოლო ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში - აგრეთვე მეგრულ ენაზე, რომელიც ქართველურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება. მეგრელებს დღემდე აქვთ შენარჩუნებული კულტურისა და ყოფის ლოკალური თავისებურებები. ამჟამად საქართველოში მცხოვრები დაახლოებით 3.600.000 ქართველიდან, დაახლოებით 800.000 ქართველი, მეგრული ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენელია.

იაკობ გოგებაშვილი მეგრელებს ასე ახასიათებს:

„მეგრელები შეადგენენ ქართველთა შტოსა. სხვა ქართველებისაგან ბევრით არაფრით განსხვავდებიან. მეგრელი იმერელსა და გურულს ისე ძლიერ ემსგავსება, რომ ქართლელი და კახელი ამათ ერთმანეთში ძნელად გაარჩევს. მარტო ენით არიან ცოტათი განცალკევებულნი, მაგრამ ეს ენაც ღვიძლი ძმაა ქართულის ენისა, გარდა ამისა, თითქმის ყველა მეგრელმა კარგად იცის ქართული ლაპარაკი და ქართული ენა ძლიერ უყვართ. იმათ ეს საღმრთო ენად მიაჩნიათ, რადგანაც წირვა-ლოცვა მთელს სამეგრელოში იმ თავიდანვე ქართულს ენაზე სრულდებოდა და ახლაც სრულდება... შესანიშნავია, რომ ღრმა მცოდნენი ქართულის ენისა მეგრელებს შორის უფრო ბევრნი მოიპოვებიან, ვიდრე სხვა ქართველებში... მეგრელებს ყოველთვის უყვარდათ გულით ქართული ლიტერატურა და ბევრმა მეგრელმა გაამდიდრა იგი მშვენიერი თხზულებებით... გაბედულებითაც მეგრელები თითქმის ყველა ქართველს სჯობიან: კახეთში წასვლა, იქ სანახევროდ ბაღის შემუშავება, შავი ზღვის პირად დუქნის გაღება... და სხვა მრავალი ამგვარი საქმე მეგრელს ადვილად მიაჩნდა. ძნელად იქნება იმისთანა ნიჭიერი, სწავლის მოსურნე, გამბედავი და გამჭრიახი ხალხი, როგორიც მეგრელები არიან... თავი და თავი ზნეობითი სენი სამეგრელოსი არის ქურდობა შინაურის პირუტყვისა, მეტადრე ცხენისა...“

დონ კრისტოფორო დე კასტელი წერს: „ღარიბი მეგრელები თხის ან ბატკნის ტყავში იმოსებიან. ...ქალები იცვამენ მოხდენილად, მხრებზე წამოსხმული აქვთ რომელიმე შალი. საჭმელად და სასმელად ხმარობენ ღომსა და ღვინოს. წლის მესამედ ნაწილს დროის ტარებას ანდომებენ, პატიჟებენ მეგობრებს, მეზობლებს და ნათესავებს. ქვაბში მოხარშული აქვთ ღომი... მიწაზე წვებიან ცეცხლთან... სხვა საკვების უქონლობის გამო მკვახე ხილს ეტანებიან. რადგან ღარიბები არიან... ვაჭრობენ გაცვლა-გამოცვლის წესზე, ქურდობენ... დიდ დაირაზე უკრავენ და ცეკვავენ, რომელსაც როკვას უწოდებენ... ნადირობენ...“

ენა

ფილოლოგები და ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ ქართველურ ენათა ოჯახი უძველესი პროტოქართული ენიდან მომდინარეობს, რომლის წარმოშობაც ქრისტეშობამდე V–IV ათასწლეულებით თარიღდება. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულში ამ პროტოქართულ ენას სვანური ენა გამოეყო, ხოლო ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ ათასწლეულში – ზანური ენა. მოგვიანებით ზანური ორ ენად – მეგრულად და ლაზურად – გაიყო, თუმცა ამ განცალკევების თარიღი დღემდე მეცნიერთა კამათის თემაა.

სამეგრელოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მეგრულ ენაზე ლაპარაკობს; ქრისტეშობამდე პირველ ათასწლეულში ეს ენა გამოეყო იმ ენას, რომელიც შემდგომ თანამედროვე ქართულ ენად ჩამოყალიბდა.

1801 წლიდან მოყოლებული, სამი რუსი მეფის – პავლე I–ის, ნიკოლოზ I–ისა და ალექსანდრე II–ის – მმართველობის მანძილზე გაუქმდა ქართული სამეფოები და სამთავროები; აქტიურად ტარდებოდა ქართველი ერის რუსიფიკაციის პოლიტიკა. ასიმილაციის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს ქართველთა ენობრივი თვითმყოფადობის დაშლა–დაქუცმაცება წარმოადგენდა. ამგვარად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამეგრელოს სკოლებსა და ეკლესიებში ქართული ენის მეგრულით ჩანაცვლება დაიწყეს; რუსებმა აგრეთვე დაიწყეს განსხვავებული დამწერლობისა და შრიფტის შექმნა მეგრული ენისათვის და გამორჩეული მნიშვნელობის კულტურული ძეგლების, როგორებიცაა ბიბლია და XII საუკუნის ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“, მეგრულად თარგმნა სცადეს, მაგრამ ამ მცდელობას წარმატება არ მოჰყოლია. ბოიკოტის ნიშნად მრავალი ადამიანი აღარ ესწრებოდა მეგრულ ენაზე შესრულებულ საეკლესიო მსახურებას და არც თავიანთ შვილებს უშვებდა საჯარო სკოლებში. ამ გეგმას პროტესტით შეხვდა არისტოკრატიაც. ამ ძლიერი წინააღმდეგობის შედეგად რუსებმა უკან დაიხიეს და თავიანთ გეგმაზე უარი განაცხადეს.

საკვები

ტრადიციული მეგრული საკვები ცხარე და უხვი საკაზმით გამოირჩევა. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ძველად, რბილი, სუბტროპიკული ჰავიდან გამომდინარე, მალარია უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა სამეგრელოსათვის და ამ რეგიონის მცხოვრებლებმა თავიდანვე აღმოაჩინეს, რომ დიდი რაოდენობით წიწაკის მოხმარება საშინელი დაავადების განვითარებას გარკვეულწილად აფერხებდა. საბოლოოდ, ცხარე სანელებლები მეგრული სამზარეულოს ტრადიციულ ატრიბუტად იქცა.

მეგრული სამზარეულო რამდენიმე ტიპის საკაზმს იყენებს, ძირითადად, საწებლების სახით. ტრადიციულ კერძებს მიეკუთვნება ღომი (მოხარშული სიმინდის ქატო), სულგუნი (ცხიმიანი ყველი) და შემწვარი ხორცი ცხარე საწებელთან (მაგალითად, აჯიკასთან) ერთად. ორი განსაკუთრებული კერძი - ელარჯი და საცივი დღესასწაულებისა და საპატიო სტუმრებისთვის კეთდება. ეს კერძები მთელ საქართველოში მეგრული სამზარეულოს მშვენებად ითვლება.

ღვინოები

საქართველოში 500–ზე მეტი ვაზის ჯიში ხარობს, ხოლო 60 მათგანი სამეგრელოში იზრდება. მათგან ყველაზე ცნობილია ოჯალეშის ჯიშის ყურძენი, რომლისგანაც საუკეთესო ღვინო მზადდება; ეს გახლავთ ნახევრად ტკბილი წითელი ღვინო, რომელსაც ველური ვარდის სუსტი სურნელი და ხასხასა წითელი ფერი ახასიათებს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ოჯალეში თითქმის მთლიანად გაქრა. იმ დრომდე ყურძენი ვენახში კი არ იზრდებოდა, როგორც ევროპაში, არამედ ხის ტოტებზე, ველური ლიანების სახით; მოგვიანებით, ამ ღვინოზე მოთხოვნის ზრდამ ოჯალეშის გადაშენება გამოიწვია (მეგრულად სიტყვა „ოჯალეში“ „ხეზე გაზრდილს“ ნიშნავს). საბედნიეროდ, მე-19 საუკუნის შუა პერიოდში, ფრანგმა აშილ მიურატმა, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დის, სალომე დადიანის ქმარმა, დაიწყო ოჯალეშის კულტურის ევროპული წესით მოშენება, რაც მის მიერ ღვინის წარმოებისა და გასაღების გეგმის ნაწილს წარმოადგენდა.

ამგვარად ოჯალეში მივიწყებას გადაურჩა და ეს ღვინო სამეგრელოს ცაგერისა და მარტვილის რაიონებში მზადდება. ამ ღვინის წარმოება საქართველოს სხვა კუთხეებშიც გავრცელდა.

მუსიკა

მეგრული ხალხური მუსიკა მრავალხმიანია, ხოლო მისი სიტყვები მეგრულ ენაზე ჟღერს. სიმღერებს მელანქოლიური ტემპი და სევდა ახასიათებს; მეგრელებს მიაჩნიათ, რომ მათი მუსიკა გამუდმებული ომებით აკლებული და გაღატაკებული სამეგრელოს ტრაგიკულ ისტორიას ასახავს. მეგრული რომანტიკული სიმღერები ხშირად ჩონგურის (ხის ოთხსიმიანი საკრავის) აკომპანიმენტით სრულდება.

ჩონგური

ყველაზე ცნობილი მეგრული ხალხური სიმღერაა იავნანა ანუ „მეგრული ნანა“. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ იდუმალი სიტყვები „ნანა ნანინა“, რომლებიც სიმღერის ტექსტს რეფრენად გასდევს, წინაქრისტიანული ხანის ზაფხულის ქალღმერთის სახელს წარმოადგენს. „მეგრული ნანას“ ერთ–ერთი ჰანგი რუსმა კომპოზიტორმა, პეტრე ჩაიკოვსკიმ თავის ცნობილ საშობაო ბალეტში - „მაკნატუნა“ - გამოიყენა. კიდევ ერთი ცნობილი მეგრული სიმღერა -„დადიანის მოძახილი“ დადიანების საგვარეულოს ეძღვნება.

სამზარეულო

მეგრული ხაჭაპური

ტრადიციული მეგრული საკვები ცხარე და უხვი საკაზმით გამოირჩევა. ამის მიზეზი ის არის, რომ ძველად, რბილი, სუბტროპიკული ჰავიდან გამომდინარე, მალარია უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა სამეგრელოსათვის და ამ რეგიონის მცხოვრებლებმა თავიდანვე აღმოაჩინეს, რომ დიდი რაოდენობით წიწაკის მოხმარება საშინელი დაავადების განვითარებას გარკვეულწილად აფერხებდა. საბოლოოდ, ცხარე სანელებლები მეგრული სამზარეულოს ტრადიციულ ატრიბუტად იქცა.

მეგრული სამზარეულო რამდენიმე ტიპის საკაზმს იყენებს, ძირითადად, საწებლების სახით. ტრადიციულ კერძებს

მიეკუთვნება ღომი (მოხარშული სიმინდის ღერღილი), სულგუნი (ცხიმიანი ყველი) და შემწვარი ხორცი ცხარე საწებელთან (მაგალითად, აჯიკასთან) ერთად. ორი განსაკუთრებული კერძი - ელარჯი და საცივი დღესასწაულებისა და საპატიო სტუმრებისთვის კეთდება. ეს კერძები მთელ საქართველოში მეგრული სამზარეულოს მშვენებად ითვლება.

ღვინოები

საქართველოში 500–ზე მეტი ვაზის ჯიში ხარობს, ხოლო 60 მათგანი სამეგრელოში იზრდება. მათგან ყველაზე ცნობილია ოჯალეშის ჯიშის ყურძენი, რომლისგანაც საუკეთესო ღვინო მზადდება; ეს არის ნახევრად ტკბილი წითელი ღვინო, რომელსაც ველური ვარდის სუსტი სურნელი და ხასხასა წითელი ფერი ახასიათებს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ოჯალეში თითქმის მთლიანად გაქრა. იმ დრომდე ყურძენი ვენახში კი არ იზრდებოდა, როგორც ევროპაში, არამედ ხის ტოტებზე, ველური ლიანების სახით; მოგვიანებით, ამ ღვინოზე მოთხოვნის ზრდამ ოჯალეშის გადაშენება გამოიწვია (მეგრულად სიტყვა „ოჯალეში“ „ხეზე გაზრდილს“ ნიშნავს). მე-19 საუკუნის შუა პერიოდში, ფრანგმა აშილ მიურატმა, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დის, სალომე დადიანის ქმარმა, დაიწყო ოჯალეშის კულტურის ევროპული წესით მოშენება, რაც მის მიერ ღვინის წარმოებისა და გასაღების გეგმის ნაწილს წარმოადგენდა. ამგვარად ოჯალეში მივიწყებას გადაურჩა და ეს ღვინო სამეგრელოს ცაგერისა და მარტვილის რაიონებში მზადდება. ამ ღვინის წარმოება საქართველოს სხვა კუთხეებშიც გავრცელდა.

მუსიკა, ჩონგური.

მეგრული ხალხური მუსიკა მრავალხმიანია, ხოლო მისი სიტყვები მეგრულ ენაზე ჟღერს. სიმღერებს მელანქოლიური ტემპი და სევდა ახასიათებს; მეგრელებს მიაჩნიათ, რომ მათი მუსიკა გამუდმებული ომებით აკლებული და გაღატაკებული სამეგრელოს ტრაგიკულ ისტორიას ასახავს. მეგრული

რომანტიკული სიმღერები ხშირად ჩონგურის (ხის ოთხსიმიანი საკრავის) აკომპანიმენტით სრულდება.
ყველაზე ცნობილი მეგრული ხალხური სიმღერაა იავნანა ანუ „მეგრული ნანა“. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ იდუმალი სიტყვები „ნანა ნანინა“, რომლებიც სიმღერის ტექსტს რეფრენად გასდევს, წინაქრისტიანული ხანის ზაფხულის ქალღმერთის სახელს წარმოადგენს. „მეგრული ნანას“ ერთ–ერთი ჰანგი რუსმა კომპოზიტორმა, პეტრე ჩაიკოვსკიმ თავის ცნობილ საშობაო ბალეტში - „მაკნატუნა“ - გამოიყენა. კიდევ ერთი ცნობილი მეგრული სიმღერა -„დადიანის მოძახილი“ დადიანების საგვარეულოს ეძღვნება.
დადიანები, ფეოდალური საგვარეულო საქართველოში (გვარსახელი ნაწარმოები უნდა იყოს საკუთარი სახელისაგან "დადი"). სავარაუდოა, რომ დადიანები და ვარდანისძენი ერთი საგვარეულოს ორი განშტოება იყო. წერილობითი წყაროებით ამ საგვარეულოს პირველი წარმომადგენელი იყო იოანე (ივანე) დადიანი, რომელსაც 1046 ამბებთან დაკავშირებით მოიხსენიება "მატიანე ქართლისაჲ". XII საუკუნის 80-იანი წლებისათვის დადიანები დასავლეთ საქართველოს უძლიერესი ფეოდალები იყვნენ (დადიანი, ბედან (ბედიან), დადიანი, ვარდან). XII-XV საუკუნეებში დადიანებს ეჭირათ ოდიშის და, სავარაუდოა, სამოქალაქოსა და ზოგჯერ სვანეთის ერისთავობაც.
XIV საუკუნის 20-იან წლებში დადიანების საგვარეულოს ერთი წევრი გურიის ერისთავიც გახდა; საგვარეულოს ერთი შტო, ბედან (ბედიან) დადიანის (XIII საუკუნის შუა წლები) ხანიდან მაინც, მემკვიდრეობით ფლობდა ოდიშის ერისთავობას. 1557 წელს ამ შტოს წარმომადგენელი ლევან I დადიანი დამოუკიდებელი მთავარი გახდა. ამის შემდეგ "დადიანი" ოდიშის მთავრის ტიტულის აღმნიშვნელ ცნებად გადაიქცა. XVII საუკუნის 90-იან წლებში დადიანების პირველი დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი ლევან IV დადიანი იძულებული შეიქმნა ოდიში მიეტოვებინა და სამთავროს ფაქტობრივი გამგებელი გიორგი ლიპარტიანი (კაცია ჩიქოვანის ძე) გახდა. ჩიქოვანთა (ჩიქვანთა) გვარიდან დადიანის ტიტული პირველად

კაცია I-მა, გიორგი ლიპარიტიანის ძემ, მიიღო (1704). ამრიგად, ოდიშის დადიანების მეორე დინასტიის ფუძემდებლები გიორგი ლიპარტიანი (გიორგი IV) და მისი ძე კაცია I იყვნენ. თანდათანობით დადიანი ოდიშის მთავრის ტიტულთან ერთად გიორგი IV-ის ძის ბეჟან I-ის შთამომავლების გვარსახელად გადაიქცა. ოდიშის სამთავროს გაუქმების შემდეგ "დადიანი" მხოლოდ გვარის აღმნიშვნელ სახელად დარჩა. 1802 წელს რუსეთის მეფის სუბიექტი ხდება და რუსეთის იმპერიის პრინცის ტიტული ენიჭება. ნიკო დადიანი სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი იყო, რომელიც 1857 წელს რუსეთის მთავრობამ გადააყენა, ხოლო მისი მთავრობა კი გააუქმა. ნიკო დადიანმა ტახტის მემკვიდრის ტიტული ოფიციალურად 1868 წელს უარჰყო.

სახლები

მეგრული სახლი სამეგრელოს კიდევ ერთ გამორჩეულ კულტურულ თავისებურებას წარმოადგენს. ადამიანთა საცხოვრებლის არქიტექტურა ნელ–ნელა საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა და XX საუკუნისთვის სამეგრელოში ორი განსაკუთრებული ტიპის სახლი - ჯარგვალი და ოდა - ჩამოყალიბდა.

მეგრული ოდა

პირველი მათგანი უფანჯრო ხის ქოხს წარმოადგენს, რომელიც გაყოფილი მორებისაგან შენდება; სინათლე სახლში ღია კარიდან შემოდის, ხოლო მთავარი ოთახის შუაგულში კერიაა მოთავსებული, რომლის წყალობითაც ზამთარში მთელი სახლი თბება. კერია აგრეთვე წმინდა ადგილად ითვლება, რომელიც სამყაროს სამ შრეს – ზეცას, დედამიწასა და ჯოჯოხეთს განასახიერებს. ბოლო ათწლეულებში ჯარგვალი უფრო მეტად გამოიყენება, როგორც დამატებითი სამზარეულო (დიდი სადილების მოსამზადებლად), ვიდრე საცხოვრებელი სახლი.

ოდა საცხოვრებელი სახლის გავრცელებული სახეობაა, რომელიც ასევე ხისგან აიგება. მთელი შენობა ხის ბოძებს ეყრდნობა; ეს ნიშანდობლივია იმ რეგიონებისათვის, სადაც ხშირი წყალდიდობები მოსახლეობას აიძულებს, თავიანთი

საცხოვრებელი სახლები მიწის დონიდან გარკვეულ სიმაღლეზე აღმართონ. ოდის კიდევ ერთ სახასიათო დეტალს წარმოადგენს უხვად მოვარაყებული ხის აივნები, რომლებიც ოდის ფასადსა და უკანა მხარეს ამშვენებს. აივნების სვეტებისა და თაღების ორნამენტები, როგორც წესი, მცენარეულ მოტივებს შეიცავს. ტრადიციული ოდა ოთხი ოთახისგან შედგება (სასადილო, მისაღები და ორი საშუალო ზომის საძინებელი ოთახი) და თითოეულ მათგანს საკუთარი ბუხარი აქვს. ოდა შეიძლება თანამედროვე მობილური სახლის წინამორბედადაც განვიხილოთ, რადგან ისეა დაპროექტებული, რომ მისი დაშლა და სხვა ადგილას გადატანა სირთულეს არ წარმოადგენს.

ჩვეულებრივ, ტრადიციული მეგრული საცხოვრებელი კიდევ ორ დამატებით ნაგებობას მოიცავს: ერთი სურსათ–სანოვაგის შესანახად გამოიყენება, ხოლო მეორეში ქვევრები ინახება. ვენახი ყველა ქართველისათვის წმინდა ადგილს წარმოადგენს და სამეგრელოშიც მრავალ ოჯახს ჰქონდა ვენახი, სადაც სანთლებს ანთებდნენ და ლოცულობდნენ.

დღეისათვის არც ისე ბევრი ტრადიციული მეგრული სახლი შემორჩა. ხის მასალა ახალმა სამშენებლო მასალამ, აგურმა შეცვალა, რადგან იგი უფრო იაფი და გამძლეა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ახალ ნაგებობებში ტრადიციული ელემენტები - სვეტები, აივნები და ბუხრები კვლავაც შენარჩუნებულია.

ზუგდიდის რეზიდენციების კომპლექსი

დადიანების მთელმა თაობებმა საქართველოში, ისევე როგორც რეგიონის სხვა ნაწილებში, სასახლეები, ციხე-კოშკები, ეკლესიები და რეზიდენციები ააშენეს, მაგრამ მათი უმრავლესობა დაანგრიეს და სხვა ნაგებობებით ჩაანაცვლეს. თუმცა ის შენობები, რომლებიც გადარჩა და ის ნახაზები და ჩანაწერები, რომლებიც განადგურებული შენობებიდან შემოგვრჩა, დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენ მიერ იმ ადამიანების შეცნობაში, რომლებიც შთააგონებდნენ, აპროექტებდნენ და აშენებდნენ ამ შენობებს და შემდგომ მათში ცხოვრობდნენ.

საუკუნეების მანძილზე დადიანების სამთავრო ზუგდიდიდან იმართებოდა და სწორედ დადიანების ზუგდიდის

რეზიდენციების კომპლექსი წარმოადგენს სამეფო არქიტექტურის ერთ–ერთ ყველაზე შთამბეჭდავ ნიმუშს, რომელიც დადიანების საგვარეულოს უკავშირდება.

ლევან II დადიანის მეფობის (1611-1657) დროინდელი რეზიდენციის გარეგნული სახის დეტალური აღწერა 1628-1654 წლებში სამეგრელოში მყოფი კათოლიკე მისიონერის, დონ ქრისტოფორო დე კასტელის წერილობით აღწერილობასა და ნახაზებშია მოცემული. ამ ნაწერებში აღწერილია მასიური, სამსართულიანი შენობა ორმაგი გადახურვით, სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის 17 ფანჯრით, ორი აივნითა და მიშენებით, რომელსაც კოშკი ამშვენებდა. მაღალ კედელში, რომელიც ეზოს ერტყა, კოშკები და ჭიშკრები იყო დატანებული. სამრეკლო და საკარო ეკლესია აგრეთვე მთელი ამ ხედის ნაწილს წარმოადგენდა.

XIX საუკუნეში ამ კომპლექსის აღმშენებლობამ და ლანდშაფტის მოწყობამ ზენიტს მიაღწია, რის შედეგადაც მრავალი ულამაზესი და ისტორიული მნიშვნელობის შენობა აიგო. ესენია: დავით დადიანის სასახლე, დედოფალ ეკატერინეს სასახლე, მიურატების სასახლე, ბოტანიკური ბაღი და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ შენობები ახალი აგებული იყო, მათი დიდი ნაწილი ომებს, ხანძრებსა და საბჭოთა რეჟიმის მხრიდან მიუტევებელ იგნორირებას ემსხვერპლა.

დავით დადიანის სასახლე

სამეგრელოს ბოლო მმართველის დავით დადიანის (იგი ამ რეგიონს 1840-1853 წლებში მართავდა) სასახლის ზოგიერთი ნანგრევი დღესაც არსებობს. ეს სასახლე მისი ოფიციალური რეზიდენცია იყო. სასახლის ნანგრევები ზუგდიდის სარეზიდენციო კომპლექსში, ბოტანიკური ბაღის მთავარ შესასვლელთან მდებარეობს. ამ სასახლის მშენებლობა 1837 წლის ბოლოს ან 1938 წლის დასაწყისში დასრულდა. ეს ორსართულიანი სასახლე 28 ოთახისაგან შედგებოდა. მისი შუა ნაწილი ქვისგან იყო აშენებული, ხოლო წაბლის ხისგან ნაგები დამატებითი ოთახები მოგვიანებით მიაშენეს.

სასახლე თურქების გენერლის, ომარ ფაშას ჯარმა 1855 წელს დაიკავა და მასში სამხედრო ჰოსპიტალი მოაწყო. მეგრელების მიერ ზუგდიდის განთავისუფლების შემდეგ უკან დახევისას, თურქებმა შენობა მთლიანად გადაწვეს. მოგვიანებით სასახლე აღდგენილ იქნა და რეგიონში რუსეთის იმპერიის მიერ დასმულ გუბერნატორს გადაეცა. ამის შემდეგ, სულ მალე, სასახლეს კიდევ ერთხელ წაეკიდა ცეცხლი და იგი მთლიანად განადგურდა. მეორედ იგი არ აღუდგენიათ; აღდგენის ნაცვლად გადარჩენილი ქვის კედლები დაშალეს და მასალა ნიკო დადიანის სასახლის ასაშენებლად გამოიყენეს.

ბოტანიკური ბაღი

ზუგდიდის რეზიდენციების კომპლექსში დიდ ფართობზე გაშენებული ბოტანიკური ბაღიც შედიოდა, რომელიც იტალიელი ლანდშაფტის არქიტექტორის, იოსებ ბაბინის მიერ იყო დაპროექტებული. მასში ორანჟერეა, ლაბირინთი, სანერგე, სათბური და ხელოვნური ტბა შედიოდა. ბაღი სავსე იყო მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოტანილი ეგზოტიკური მცენარეებით, მათ შორის აღსანიშნავია უმშვენიერესი ვარდების კოლექცია. 1840 წელს, ბაღის გაშენებიდან არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ, ამ ბაღმა პირველი ადგილი დაიკავა კონკურსში, რომელიც რუსეთის იმპერიის საუკეთესო პარკის გამოსავლენად გაიმართა.

ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე დიდებული სასტუმრო იყო აშენებული. ერთ-ერთი სტუმარი, რომელიც აქ 1848 წელს გაჩერდა, აღწერდა ორ ულამაზეს კიბეს, რომლებიც ბოლო სართულზე მდებარე ორი სამეჯლისო დარბაზისაკენ მიემართებოდა. ორივე დარბაზს ამშვენებდა შავი და ყვითელი ხის მოჩუქურთმებული ჭერი, ჭაღები და ქანდაკებები. განათებული აივნები მთელ ნაგებობას გასდევდა, ხოლო მათ სვეტებში ხის ორნამენტები იყო ამოტვიფრული.

დავით დადიანმა ბოტანიკური ბაღი თავისი მეუღლის, ეკატერინესათვის ააშენებინა, რომელიც დაგეგმვის ყველა ასპექტს თავად ხელმძღვანელობდა. მას შემდეგ, რაც უკან დახევისას თურქების არმიამ ბაღი ვანდალურად გაანადგურა,

უაღრესად დამწუხრებულმა ეკატერინემ თავის მრჩეველს, პლატონ იოსელიანს წერილი მისწერა:
„ზუგდიდი აღარ არსებობს. ბაღის მიდამო, – თექვსმეტი წლის შრომის ნაყოფი, რომელიც ცნობილი იყო არა მხოლოდ კავკასიის ამ რეგიონში, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებშიც კი, – მტერმა მთლიანად მიწასთან გაასწორა. ხილი, ყვავილები, უცხოეთიდან ჩამოტანილი მცენარეები განადგურებულია; ზოგიერთი თან წაიღეს, ზოგიერთი კი მოჭრეს“.
მიუხედავად ამისა, ეკატერინეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ბაღის აღდგენა; იგი თანდათანობით, თავიდან გააშენეს, რითაც მას ძველი ხიბლის ნაწილი დაუბრუნდა. თუმცა 1882 წელს ეკატერინეს გარდაცვალების შემდეგ მის ვაჟ ნიკოს ზუგდიდის რეზიდენციისა და მისი ბაღების ბედი დიდად არ აღელვებდა. 1886 წელს გაზეთი „ივერია“ წერდა:
„ზუგდიდიდან გვატყობინებენ, რომ თუმცა ქალაქი გეგმის მიხედვითაა გაშენებული და იქ არის ბულვარი ორივე მხრიდან ჩარიგებული ხეებით, სისუფთავითა და დახვეწილობით იგი მაინც ვერ დაიკვეხნის. დავით დადიანის ბაღი ქალაქის მშვენებას წარმოადგენდა, რომელსაც ტოლი არ მოეძებნებოდა არა მარტო სამეგრელოში, არამედ მთელ კავკასიაში. მაგრამ სადღაა ახლა ეს დიდებული ბაღი? მისი ჩრდილიც კი აღარ არსებობს. ახლა იგი უდაბურ ტყედ არის ქცეული, რომელშიც ადამიანების მაგივრად, მგლები, ტურები და სხვა გარეული ნადირი ბინადრობს; ასე რომ, მზის ჩასვლის შემდეგ ადამიანი იქ შესვლასაც კი ვეღარ ბედავს“.
დღეისათვის მცენარეები გაველურებული და გადაბერებულია, ხოლო კედლები სიძველისაგან იფშვნება, მაგრამ მაინც შესაძლებელია წარმოვიდგინოთ ის დიდებულება და სიმშვიდით აღბეჭდილი სილამაზე, რაც ამ ბაღს იმხანად გააჩნდა. მის გარშემო მდებარე ტერიტორიას კვლავ ამკობს ხეები, რომლებიც თავის დროზე ინდოეთიდან, იაპონიიდან, იტალიიდან და ჩრდილოეთ ამერიკიდან ჩამოიტანეს.
მიურატების სასახლე

მოხდენილი სასახლე, რომელშიც ეკატერინეს ქალიშვილი სალომე თავის ფრანგ მეუღლე აშილ მიურატთან ერთად ცხოვრობდა, ზუგდიდის რეზიდენციის ნაწილად XIX საუკუნის ბოლოს იქცა. ეს სასახლე ძირითადად ხისგან იყო აგებული და 24 ოთახისგან შედგებოდა. ამ უნიკალური ნაგებობის ფოტო შემოგვრჩა, მაგრამ თავად შენობა დიდი ხანია აღარ არსებობს. როგორც სასახლემ, ასევე მისმა მფლობელმაც ტრაგიკული ბედი გაიზიარეს.

მიურატების სასახლე ზუგდიდში

1895 წელს სასახლე ცეცხლმა გაანადგურა. მწერალი სერგი ჭილაია ასე აღწერს ამ მღელვარე სცენას:

„მიურატების ულამაზესი სასახლე იწვოდა და მშველელი არსად ჩანდა. მსახურები ტიროდნენ და გაკიოდნენ, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ. ხის ნაწილი მთლიანად ჩაიფერფლა, – სასახლეს მხოლოდ ჩონჩხად წამომართული დანახშირებული აგურებიღა შემორჩა. მსახურებმა გადარჩენილი ავეჯი ერთ კუთხეში მოაგროვეს და თითოეულ ნივთს, როგორც გარდაცვლილ ადამიანს, ისე დასტიროდნენ“.

ამ ხანძრიდან ცოტა ხნის შემდეგ აშილ მიურატი თავის საზაფხულო რეზიდენციაში, სოფელ ჭკადუაშში, გარდაიცვალა. ფრანგულ პრესაში გამოქვეყნებული რეპორტაჟები იუწყებოდნენ, რომ მისი სიკვდილი თავის ტვინში სისხლის ჩაქცევამ გამოიწვია, მაგრამ აგორებული ჭორები ხანძარსა და მიურატის სიკვდილს შორის პირდაპირ კავშირზე მიანიშნებდნენ. პრესაში გამოქვეყნებული ზოგიერთი პუბლიკაცია ხანძრის გაჩენაში თავად სალომეს ადანაშაულებდა, თითქოს მის მიზანს დაზღვევის თანხის მიღება წარმოადგენდა, ხოლო სხვები მიიჩნევდნენ, რომ ამ ბრალდებებით შეძრულმა მიურატმა თავი მოიკლა.

დედოფლის სასახლე

1873 წელს, დედოფლის ცნობილი სასახლის (ეკატერინეს სასახლის) მშენებლობა დაიწყო. მისი დაპროექტება ედვიგ იაკობ რაისს მიეწერება. ეს არის საუკეთესოდ შემონახული ნაგებობა, რომელიც დადიანის სამეფო პატრონაჟით აშენდა და დღეს

მასში დადიანების სასახლე-მუზეუმი ფუნქციონირებს. გარეგნულად იგი ყირიმში მდებარე ალუპკის სასახლეს წააგავს. ორივე ეს შენობა ნეოგოთურ სტილშია აგებული, ხოლო მათი მასშტაბები მონუმენტურ ზომებს აღწევს. მთლიანობაში, ისინი ინგლისურ ციხე-კოშკებს გვაგონებს, ოდნავ აღმოსავლური იერით. უდიდესი ყურადღება მიექცა სასახლის შიდა გაფორმებას, რომელშიც ქართული, რუსული და პარიზული სტილია შერწყმული. სასახლე აგრეთვე შეიცავს ინგლისური სტილის სამსართულიან კოშკს, რომელიც ქალწულის კოშკის სახელით არის ცნობილი. მასში ინახება სამოსელი, რომელიც, გადმოცემით, ქალწულ მარიამს ეკუთვნოდა.

შიდა ეზოს აივანი, ე.წ. დედოფლის აივანი, რომელიც მთელ შენობას ერტყმის გარს, ხისგან არის დამზადებული. იგი ხის 51 მასიურ ბოძს ეყრდნობა და მას, ყოველგვარი ლურსმნების გარეშე, თავისივე სიმძიმე აკავებს. მისი ორნამენტები 50000-ზე მეტ მცირე ზომის ინკრუსტაციას შეიცავს. 1980 წელს აივანს რესტავრაცია ჩაუტარდა, რის შედეგადაც მას ადრინდელი ბრწყინვალება ნაწილობრივ დაუბრუნდა.

თავის დროზე დედოფლის სასახლე არა მხოლოდ მთავრისა და დედოფლის მთავარ რეზიდენციას წარმოადგენდა, არამედ მასში საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი ბიბლიოთეკა, მუზეუმი და სამხედრო უწყება იყო განთავსებული. მის ჭერქვეშ ხელოვნების ძვირფას ნიმუშებთან ერთად ისტორიული, არქეოლოგიური და პალეოგრაფიული საგნები ინახებოდა.

ნიკო დადიანის სასახლე

დავითისა და ეკატერინეს ვაჟის, ნიკოს, სასახლე 1880–იან წლებში დედოფლის სასახლის მომიჯნავედ რუს არქიტექტორ ლეონიდ ვასილიევის ნახაზების მიხედვით აიგო. ვასილიევმა, რომელმაც ოსტატურად შეძლო ქართული ინტერიერისა და რუსული ექსტერიერის შერწყმა, საბოლოო ჯამში შექმნა არქიტექტურის ნიმუში, რომელიც იმ დროისათვის საკმაოდ უჩვეულოდ გამოიყურებოდა.

ამ სასახლეს ისტორიული მნიშვნელობაც აქვს. აქ ხშირად იმართებოდა სალონური შეხვედრები, რომლებზედაც ქართული

ხელოვნებისა და ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყრიდნენ თავს, ხოლო XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ეს სალონი საქართველოს კულტურული ცხოვრების წამყვან ცენტრად იქცა.

ზუგდიდში მდებარე სხვა ობიექტები

ზუგდიდის სარეზიდენციო კომპლექსის ტერიტორიაზე მდებარეობდა სათბური, საჯინიბოები და აბანოებიც. აქვე იყო სტამბოლიდან ჩამოტანილი მოჩუქურთმებული ჭიშკარი და აგრეთვე სამსართულიანი ციხე-სიმაგრე, რომლიდანაც დიდ დღესასწაულებზე ზარბაზნებს ისროდნენ. ამ ობიექტებს შორის ყველაზე ღირსშესანიშნავი იყო აბანო – აგურით ნაშენი ერთსართულიანი, მცირეთაღოვანი შენობა, რომელიც საჯინიბოებთან, დედოფლის რეზიდენციის უკან მდებარეობდა. ტრადიციისამებრ, ქეიფი და თეატრალური წარმოდგენები ხშირად სწორედ აქ იმართებოდა.

სხვა სასახლეები, რეზიდენციები და ნაგებობები

გორდის სასახლე

დადიანების საზაფხულო რეზიდენცია, გორდის სასახლე, კიდევ ერთ არქიტექტურულ საგანძურს წარმოადგენდა. 1841 წელს სამეგრელოს საზღვარზე, იმერეთის დაბა გორდის მახლობლად, რუსი არქიტექტორის, ლეონიდ ვასილიევის პროექტის მიხედვით ამ ორსართულიანი, ციხე-სიმაგრის მსგავსი ნაგებობის მშენებლობა დაიწყო. დასრულებული სახით შენობა სიგრძეში 40 მეტრს და სიგანეში 20 მეტრს შეადგენდა. პირველ სართულს სვეტები და თაღები ჰყოფდა, ხოლო მეორე სართულზე დიდებული დარბაზი, მისაღები ოთახი, სალონი და ბიბლიოთეკა იყო განთავსებული.

დავით დადიანმა მოიწვია სახელგანთქმული აგრონომი და ლანდშაფტის არქიტექტორი, იოსებ ბაბინი, რომელიც აგრეთვე ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის გაშენებას ხელმძღვანელობდა და რომელსაც გორდის სასახლის გარშემო ბაღების დაპროექტება დაევალა. სამუშაოები ბაბინიმ დაიწყო და მოგვიანებით მშენებლობაზე პასუხისმგებლობა იტალიელმა მებაღემ გაეტანო ძამბერლეტიმ გადაიბარა. 80 ჰექტარზე

გადაჭიმულ ტერიტორიას ქვის კედელი ჰქონდა გარშემორტყმული, რომელშიც სამი დაცული ჭიშკარი იყო დატანებული. ამ კომპლექსში აბანო და ხელოვნური ტბაც შედიოდა.

ბოლშევიკური რევოლუციის დროს, როდესაც გორდის სასახლეში წითელი არმიის შენაერთები იყვნენ დაბანაკებულნი, სასახლეში დაცული იარაღი, ავეჯი და ჭურჭელი მთლიანად გაიძარცვა. მოგვიანებით ადგილობრივი ხელისუფლების წახალისებით სასახლის ძარცვა თავად სოფლის მოსახლეობამ გააგრძელა და ყველაფერი, რაც ოდნავ მაინც რაიმე ღირებულებას წარმოადგენდა – კარები, ფანჯრები, ორნამენტებით შემკული ხის სვეტები, – პირწმინდად გაიზიდა. დღეისათვის სასახლისგან უსახურავო კარკასიღა შემორჩა.

სალხინოს სასახლე

კიდევ ერთ არქიტექტურულ ნიშანსვეტს სალხინოს სასახლე წარმოადგენდა, რომელსაც ქვევრის სასახლესაც ეძახდნენ, ხოლო რატომ, ქვემოთ გახდება ნათელი. სასახლე თავდაპირველად მარტვილის ეკლესიის მახლობლად, სოფელ სალხინოში აშენდა დავით დადიანის მამის ლევან V დადიანის მეფობისას (1804-1840), სადაც ადრე მოკრძალებული ზომის სამეფო რეზიდენცია იყო, თუმცა შენობამ საბოლოო სახე კარგა ხნის შემდეგ მიიღო. სამშენებლო მასალა ამ ადგილზე გლეხებმა მოზიდეს, რისთვისაც ურმებში შებმული 100 წყვილი ხარისა და კამეჩის გამოყენება დასჭირდათ.

ქვედა სართულის დიდ დარბაზში იყო ჩაშენებული ქვევრი და მასიური, მდიდრულად გაფორმებული ბუხარი, რომლის თავზედაც ბაკქუსის ქანდაკება იყო წამომჯდარი. კედლები მუხისა და წაბლის პანელებით იყო მოპირკეთებული. სალხინოს კომპლექსში აგრეთვე შედიოდა უზარმაზარი, 35 მეტრი სიგრძისა და 10 მეტრი სიგანის, ღვინის მარანი. ქართველი ისტორიკოსი იონა მეუნარგია ამ სასახლის შესახებ ასე წერდა:

„სასახლე ოჯალეშის ჯიშის ვაზის სამშობლოს მახლობლად, კალმახით განთქმულ მდინარე ჭეშურას ნაპირზე მდებარეობდა... სასახლის დაგეგმარება, პირველ სართულზე განლაგებული

მარნითა და ქვევრით, მუხის სვეტებითა და ლამაზი ორნამენტებით მორთული თაღებით, მთლიანად ამართლებს თავის სახელ „სალხინოს“. ამგვარი სასახლის აგების იდეა და თანაც ასეთ ადგილას მხოლოდ თავად ლევან დადიანს თუ მოუვიდოდა თავში, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ქეიფსა და დროსტარებაში გაატარა“.

გორდის სასახლის მსგავსად, სალხინოს სასახლე, საბჭოთა რეჟიმის დროს გაიძარცვა და განადგურდა და თანაც ეს სოციალური თანასწორობის სახელით კეთდებოდა; შედეგად, სასახლისაგან მხოლოდ გამოშიგნული ნაჭუჭიღა დარჩა.

სხვა ღირსშესანიშნავი ნაგებობები

დადიანების მიერ აგებულ სხვა ღირსშესანიშნავ სასახლეებს შორის კურზუს (ლამაზი, ერთსარულიანი ნაგებობა, რომელიც ქართული ანბანის „ე“ ასოს ფორმით იყო აგებული), ჭაქვინჯის (ციხე-სიმაგრის მსგავსი შენობა), რუხისა (აგრეთვე ციხე-სიმაგრის სტილში) და ნოღას (უნიკალური წრიული ფორმის მქონე) სასახლეები გამოირჩევა. კურზუსა და ნოღას სასახლეები აღარ არსებობს, თუმცა ჭაქვინჯი, სადაც დავით დადიანი დაიბადა, ახლაც საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება. რუხის სასახლე, რომელიც კონფლიქტურ რეგიონში, აფხაზეთში მდებარეობს, დღემდეა შემორჩენილი, თუმცა მისი დღევანდელი მდგომარეობის შესახებ არაფერია ცნობილი.

აღნიშვნის ღირსია კელასურის კედელი, რომელიც XVII საუკუნეში აფხაზი ფეოდალების შემოტევების მოგერიების მიზნით ლევან დადიანის მიერ იქნა აშენებული. იგი რამდენიმე კოშკისა და ციხე-სიმაგრისაგან შედგებოდა, 60–ზე მეტ კილომეტრზე იყო გადაჭიმული და რუხის ციხესთან მთავრდებოდა. კედლის უმეტესი ნაწილი დღევანდელ აფხაზეთში მდებარეობს, მაგრამ ადრე ეს ტერიტორია სამეგრელოს ეკუთვნოდა.

დადიანების ზოგიერთი სასახლე და სხვა ტიპის ნაგებობები საქართველოს საზღვრებს გარეთ, უმეტესად რუსეთში, მდებარეობდა და ასევე გვიქმნის წარმოდგენას ამ ოჯახის სიმდიდრესა და ძლიერებაზე. ჯერ კიდევ XVII საუკუნეში,

ლევან დადიანის მეფობის დროს, ოჯახი საკუთრებას რუსეთში ფლობდა, ხოლო ნიკო დადიანი, რომლის ტახტიდან გადადგომითაც დადიანების მეფობა ოფიციალურად დასრულდა, მთელს კავკასიაში განთქმული იყო, როგორც დიდძალი უძრავი ქონების პატრონი და მის მფლობელობაში სევასტოპოლსა და როსტოვში შეძენილი უძრავი ქონებაც შედიოდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, დადიანებს მოსკოვშიც, ლიუბლიანკას მოედანზე ეკუთვნოდათ სახლი, მაგრამ იგი საბჭოთა დროს დაანგრიეს და მის ადგილას სამთავრობო დაწესებულება ააშენეს, რომელშიც დღეისათვის რუსეთის თავდაცვის სამინისტრო მდებარეობს. ნიკოს ძმას, ანდრია დადიანს (1850-1910) სახლი უკრაინაში, კიევში ჰქონდა; სამსართულიანი შენობა ვარდისფერი ქვის ფილებით იყო მოპირკეთებული, ხოლო იატაკი ჭადრაკის დაფის სტილში იყო დაგებული, რაც ანდრიას ჭადრაკისადმი სიყვარულს გამოხატავდა. დადიანებმა თავიანთი კვალი მოლდოვაშიც დატოვეს. მათ იქ შეძენილი ჰქონდათ დიდი, სამსართულიანი შენობა, რომლის არქიტექტურაც იტალიური რენესანსისა და გოთური სტილების ნაზავს წარმოადგენდა. მასში გოგონათა სასწავლებელი ფუნქციონირებდა. შენობა დღესაც დგას კიშინიოვში და მასში მოლდოვის ხელოვნების მუზეუმია განთავსებული.

ეკლესია-მონასტრები

სამეგრელოში დღემდე დგას უამრავი ეკლესია და მონასტერი დასტურად იმისა, თუ როგორ მფარველობდნენ დადიანები მართლმადიდებლურ ეკლესიას. ბევრი მათგანი დადიანების ოჯახზე საუკუნეებით ადრე არსებობდა, რაც საქართველოში ქრისტიანობის არსებობის უძველეს ისტორიაზე მიუთითებს.

მეორე ღირსშესანიშნავ ნაგებობას X საუკუნით დათარიღებული ცაიშის ეკლესია წარმოადგენს, რომელიც ზუგდიდიდან სამხრეთ–დასავლეთით ათ კილომეტრში, კოლხეთის დაბლობზე მდებარეობს. სწორედ ცაიშის ეკლესია გახლდათ პირველი ქართველი პატრიარქის რეზიდენცია. ეკლესია იმ ადგილას აშენდა, სადაც წმინდა იოანე პატმოსელი გარდაიცვალა,

რომელმაც ეფესოდან გამოძევების შემდეგ თურქეთსა და საქართველოს შეაფარა თავი. (იოანე განთქმული პიროვნებაა მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში, როგორც აღმოსავლური ბერმონაზვნობის მამა და ფუძემდებელი. ყველა ქრისტიანი მას ბიბლიური წიგნის, „გამოცხადების“ ავტორად იცნობს.) ეკლესია, რომელიც ამჟამად ძველი ტაძრის ადგილას დგას, XVIII საუკუნეში ინტენსიური გადაკეთებისა და აღდგენითი სამუშაოების შედეგს წარმოადგენს. ძველი, ორიგინალური ნაგებობიდან მხოლოდ სამსაფეხურიანი პიედესტალი შემორჩა.

წალენჯიხის ეკლესია

მაცხოვრის ტაძარი, რომელიც XIV საუკუნით თარიღდება, დაბა წალენჯიხის გარეუბანში, ერთ-ერთ ბორცვზეა აგებული. სატაძრო კომპლექსის გალავნის გარეთ, დადიანების სასახლის უძველეს ნანგრევებს ვაწყდებით. ტაძრის სვეტზე ამოტვიფრული ორენოვანი ქართული და ბერძნული წარწერები გვამცნობენ, რომ ვამეხ დადიანმა (მეფობდა: 1384-1396) ეკლესიის მოსახატად ბიზანტიელი მხატვარი სირუს ემანუელ ევგენიკოსი მიიწვია. მის მიერ შექმნილი ფრესკები ერთადერთი ცნობილი ნიმუშია იმ ხელოვნებისა, რომელიც ბიზანტიური პალეოლოგიური დინასტიის ეპოქაში შეიქმნა და რასაც მხატვრის ხელმოწერა და თარიღი ადასტურებს. ეპისკოპოს ევდემონ ჯაიანის მოთხოვნით, ლევან II დადიანმა (მეფობდა: 1611-1657), სამეგრელოს ისტორიაში ყველაზე უფრო ძლიერმა მთავარმა, მოხატულკედლებიანი ეკლესიის მიშენება ბრძანა. სამწუხაროდ, დღეისათვის ამ კედლის მხატვრობის მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი.

სოფელ მარტვილში მდებარე ეკლესიები: მარტვილის ჭყონდიდი და წმინდა ქალწულის ეკლესია VII საუკუნით თარიღდება, თუმცა მრავალსაუკუნოვანი რეკონსტრუქციების შედეგად ორივე ეს ეკლესია დიდწილად შეიცვალა და პირვანდელი სახე დაკარგა. წმინდა ქალწულის ეკლესიის მოდიფიკაცია იმაშიც ვლინდება, რომ XIV-XVII საუკუნეებში მას რამდენიმე კედლის ფრესკა დაემატა, რომლებიც დღეისათვის კარგადაა ცნობილი.

გეტის ფონდმა ახლახანს დააფინანსა პროექტი, რომელიც ამ ეკლესიის ფრესკების კონსერვაციას უზრუნველყოფს. ეკლესია აგრეთვე ცნობილია იმითაც, რომ მის კედლებზე გამოსახულია მფარველების პორტრეტები, რომლებიც ეკლესიას საუკუნეების მანძილზე ეხმარებოდნენ. სოფელ მარტვილში რამდენიმე თავადი დადიანი და მათი ოჯახის წარმომადგენლებია დაკრძალული. მათ შორისაა ამ გვარის ბოლო წარმომადგენელი ლევან V დადიანი (მეფობდა; 1804-1840) და მისი მეუღლე მართა; მათი ვაჟი დავით დადიანი (მეფობდა: 1840-1853) და მისი მეუღლე ეკატერინე თავიანთ ვაჟებთან, ნიკოლოზთან, დავითთან და ანდრიასთან ერთად.

XIX საუკუნის ცხოვრების სტილი

სანდო წყაროები დეტალურად აღწერს დადიანების ცხოვრების სტილს XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რაც სამეგრელოს სამთავროს არსებობის ბოლო წლებსა და შემდგომ პერიოდს მოიცავს. კონსტანტინ ბოროზდინი, რომელიც დავით დადიანის ქვრივის, ეკატერინეს რეგენტობის დროს ზუგდიდში რუსული ადმინისტრაციის წარმომადგენლად მსახურობდა, თავის მოგონებებში სასახლის კარზე იმდროინდელი ცხოვრების სურათებს აღწერს. ეკატერინეს პირადი მეგობრის, ბარონესა ბერთა ფონ ზუტნერის ჩანაწერები ასევე აღწერს იმ ცხოვრების სტილს, რომელსაც ევროპაში გადახვეწილი არისტოკრატები, დადიანები, ეწეოდნენ მას შემდგომ, რაც ყოველგვარი ოფიციალური ძალაუფლება დაკარგეს.

კარის ცხოვრება ზუგდიდში

ეკატერინე დადიანის ეპოქაში ზუგდიდის სასახლის კარი ცხოვრობდა განსაკუთრებული რეჟიმით, რომელსაც დედოფლისა და თავადის ჩათვლით, ყველა უნდა დამორჩილებოდა. ოფიციალური მმართველის ფუნქციებთან ერთად ეკატერინე დროის უდიდეს ნაწილს საჩივრების განხილვას უთმობდა. დადგენილი წესის მიხედვით, თავადის ქვეშევრდომებიდან ნებისმიერს შეეძლო მოსულიყო მასთან და საკუთარი ჭირ-ვარამი გაეზიარებინა, ხოლო ის ვალდებული

იყო მოესმინა მომჩივანისათვის და მისი მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა.
საჩივრების განხილვა ორი ადმინისტრაციული განყოფილების (ქართული და რუსული) ფუნქციას წარმოადგენდა. ისინი სასახლის მახლობლად ცალკე შენობაში მდებარეობდნენ. საჩივრების გარდა ეს განყოფილებები მართავდნენ თავადის სახელზე მოსულ მთელ კორესპონდენციას, რომელშიც თბილისიდან გამოგზავნილი რუსი გუბერნატორის ცირკულარები და სხვა ოფიციალური დოკუმენტაცია შედიოდა.
კონსტანტინ ბოროზდინის ნაწერები ზუგდიდის რეზიდენციის ყოველდღიური ცხოვრების ცოცხალ სურათს წარმოგვიდგენს:
როდესაც დედოფალი სადმე მიდიოდა, მას ყოველთვის კარისკაცები ახლდნენ. კარისკაცების მეთაურის დაქვემდებარებაში რამდენიმე მსახური ირიცხებოდა. მათ მოსდევდათ სხვადასხვანაირ ტანისამოსში გამოწყობილი, იარაღასხმული კეთილშობილი წარმოშობის ყმაწვილკაცების მთელი ამალა. ამ ახალგაზრდებს შინაყმები ეწოდებოდათ და მთავრის მსახურებად ითვლებოდნენ. ორი მათგანი ყოველდღიურად მორიგეობდა და მათ მოვალეობას სტუმრებისა და მთხოვნელების შესახებ მოხსენება და მათთვის მთავრის ნების გადაცემა წარმოადგენდა. მათ მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე სუფრაზე თეფშების შეცვლა და ღვინის შემოტანა. ეს ყმაწვილები შესანიშნავად იყვნენ გაწვრთნილნი; ისინი კარგი აღზრდით, სიჩაუქითა და დახვეწილი მანერებით გამოირჩეოდნენ; რუსული ენაც თითქმის ყველამ იცოდა. მათს უმრავლესობას მარტვილის სასულიერო სემინარია ჰქონდა დამთავრებული. ისინი მოხდენილად ცეკვავდნენ და მათ მიერ შესრულებული მეგრული სიმღერები სასიამოვნოდ ჟღერდა. როდესაც მთავარი დიდ ქეიფებს აწყობდა, ახალგაზრდების ამ გუნდს ცალკე მაგიდასთან ათავსებდნენ და პირველი კერძის შემოტანისთანავე ისინი ორკესტრის მსგავსად სიმღერას დააგუგუნებდნენ ხოლმე.
ცხოვრება, ძირითადად, ჩვეულ კალაპოტში მიმდინარეობდა. ყოველ დილით დედოფალი და მისი პირისფარეშები ეკლესიაში

დილის მსახურებას ესწრებოდნენ, ხოლო საუზმეს შუადღისას მიირთმევდნენ. ამის შემდგომ სტუმრების გამოცხადება და მიღება იწყებოდა; სადილი 5 საათზე იწყებოდა და ექვს საათზე ყველანი საღამოს მსახურებაზე დასასწრებად მიემართებოდნენ. საღამოს მსახურებს სახლში წასვლის უფლება ეძლეოდათ, ხოლო დედოფალი თავის პირისფარეშებთან ერთად რჩებოდა.
მარხვას მკაცრად იცავდნენ და დიდი დღესასწაულების დროს სასახლეში მობრძანდებოდა თავად ჭყონდიდელი, რომელიც წმინდა მსახურებას უდიდესი მოწიწებით წარმართავდა. მოგზაურობისას დედოფალს საკმაოდ ჭრელი შემადგენლობის ამალა ახლდა.

ბერთა ფონ ზუტნერის მოგონებები

XIX საუკუნის ბოლოს ბარონესა ბერთა ფონ ზუტნერი (1843-1914), ავსტრიელი რომანისტი, მშვიდობის მოძრაობის აქტივისტი და პირველი ქალი, რომელმაც დაიმსახურა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში, თავის მემუარებში საინტერესოდ აღწერს დადიანების ოჯახის ცხოვრებას. ფონ ზუტნერი ეკატერინე დადიანს დაუმეგობრდა, როდესაც ორი ქალბატონი ჰამბურგში ერთ-ერთ კურორტზე შეხვდნენ ერთმანეთს; მაშინ ეკატერინე ევროპაში ემიგრანტის სტატუსით იმყოფებოდა (1857-1867). ამის შემდგომ ფონ ზუტნერი დადიანების ოჯახის ხშირი სტუმარი გახდა. მათი ურთიერთობის პერიოდიდან გამომდინარე ფონ ზუტნერის მოგონებები ეკატერინესა და მისი ოჯახის შესახებ მხოლოდ იმ წლებს ეხება, როდესაც დადიანებს ოფიციალური პოლიტიკური ძალაუფლება უკვე დაკარგული ჰქონდათ.
რუსთხელმწიფესთან შეხვედრა
ძალაუფლების დაკარგვის შემდეგაც კი დადიანები მდიდარ და გამორჩეულ ოჯახად რჩებოდნენ. ფონ ზუტნერი აღნიშნავს, რომ ეკატერინე და მისი შვილები ჰამბურგში საკმაოდ მდიდრულად ცხოვრობდნენ; იქ ეკატერინე მთელ სართულს ქირაობდა ერთ-ერთ სასახლეში და დროს სალონებსა და თეატრალურ წარმოდგენებზე დასწრებაში ატარებდა. მას თეატრში საკუთარი ლოჟაც კი ჰქონდა.

ერთ საღამოს ეკატერინე და ფონ ზუტნერი მეგობრებთან ერთად ტერასაზე ისხდნენ, როდესაც რუსეთის ხელმწიფე, ალექსანდრე II-საგან შეტყობინება მოვიდა. იგი ეკატერინეს პირადად იცნობდა და რადგანაც იმხანად ჰამბურგში იმყოფებოდა, ეკატერინესთან შესახვედრად მოიჩქაროდა. სულ მალე ალექსანდრე მთელი თავისი ამალით იმ ტერასის მომიჯნავე პარკში შემოვიდა, რომელზედაც ქალები ისხდნენ. ეკატერინეს დანახვაზე მან მისასალმებლად კიბეები აირბინა. ეკატერინე ფეხზე წამოდგა, ხოლო ხელმწიფემ ხელზე აკოცა. ფონ ზუტნერი გვამცნობს:

ჩვენ იქვე, შორიახლოს, საპატივცემო დისტანციაზე ვიდექით, მაგრამ მე მაინც მოვახერხე იმპერატორის სიტყვების გაგონება, რომლებიც მან ფრანგულად ხმამაღლა წარმოთქვა: "სათამაშო ოთახში წამოსვლას ხომ არ ინებებთ?" მან დედოფალს მკლავი შესთავაზა და ჩვენც გავყევით.

ფონ ზუტნერი იხსენებს, რომ რულეტის მაგიდასთან ალექსანდრემ ეკატერინესაგან რამდენიმე ოქროს მონეტა ისესხა; შესაძლოა იმიტომ, რომ თავად ფულს არ ატარებდა ან იქნებ ფიქრობდა, რომ ნასესხები ფული მისთვის უფრო იღბლიანი აღმოჩნდებოდა. ის რაუნდი მოიგო, მაგრამ, საბოლოოდ, ულმობელმა კრუპიემ იგი მთლად გააკოტრა.

სალომე დადიანის ქორწინება

XIX საუკუნის არისტოკრატულ წრეებში მაჭანკლობა გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენდა, რადგან მიაჩნდათ, რომ დაწყვილება მხოლოდ სოციალურად თანასწორ ადამიანებს შორის იყო მიზანშეწონილი. ამიტომ ეკატერინეს დიდი სურვილი ჰქონდა, რომ თავისი ქალიშვილისთვის, სალომესათვის, წყვილი ევროპელ არისტოკრატებს შორის ეპოვა. ასეთი პიროვნება მან აშილ მიურატში აღმოაჩინა, რომელიც ფრანგი პრინცის ლუსიენ მიურატისა და მისი ამერიკელი მეუღლის ვაჟი გახლდათ. აშილი პარიზის მაღალი საზოგადოების ერთ-ერთი საუკეთესო გარეგნობის ახალგაზრდა იყო და სალომემ დიდი სიამოვნებით მიიღო ეს შეთავაზება. ფონ ზუტნერი მოგვითხრობს, რომ მათი დანიშვნის დღიდანვე

აშილი სალომეს თეთრი ყვავილების უზარმაზარ თაიგულს ყოველ დილით უგზავნიდა და დადიანების სასახლეს ყოველ საღამოს სტუმრობდა.

ქორწილი 1868 წლის მაისში შედგა. ნეფე-პატარძლის განსხვავებული მრწამსის გამო სამი განსხვავებული ცერემონიალი ჩატარდა: სამოქალაქო ქორწინების რეგისტრაცია მუნიციპალიტეტის შენობაში; კათოლიკური ქორწინება ტიუილრიში, რომელსაც საფრანგეთის იმპერატორი და დედოფალი ესწრებოდნენ; და მართლმადიდებლური ქორწინების ცერემონიალი, რომელიც იმავე საღამოს გაიმართა. ამ უკანასკნელზე სალომე დადიანის მეუღვარე ბერთა ფონ ზუტნერი გახლდათ. ფონ ზუტნერის გადმოცემით, სალომეს ოქრომკედით ნაქარგი საქორწინო პირბადე ეკეთა და თავს ბრილიანტებით მოჭედილი დიადემა – საფრანგეთის დედოფლის საქორწინო საჩუქარი – უმშვენებდა. ქორწილის შემდეგ დადიანის რეზიდენციაში ბალ-მასკარადი გაიმართა.

ნიკო დადიანის ქორწინება

ნიკო დადიანის ქორწინება გაცილებით უფრო დიდებული მოვლენა იყო, ვიდრე მისი დის გათხოვება. 1874 წლის გაზაფხულზე ნიკომ ცოლად გრაფის ასული მერი ადლერბერგი მოიყვანა. ეს ქორწინება სამეგრელოსთვის დიდი მოვლენა იყო, რომელიც, ალბათ, 1981 წელს ბრიტანეთის პრინც ჩარლზისა და ლედი დაიანა სპენსერის ქორწინებისადმი მასმედიის მიერ გამოჩენილი ყურადღებისა და ეროვნული სიამაყის მასშტაბს თუ შეედრება. ნიკოსა და მერის ქორწილი ევროპაში გაიმართა, ხოლო სამეგრელოში მათი სტუმრობა დიდ ეროვნულ დღესასწაულად იქცა. ფონ ზუტნერი ამ მოვლენას ეკატერინესაგან მიღებული წერილებზე დაყრდნობით აღწერს:

წყვილს საკუთარი გემი ჰყავდა, რომელმაც ისინი ოდესიდან ფოთში ჩაიყვანა, სადაც მატარებელში გადასხდნენ და ქუთაისში გაემგზავრნენ. გზად მათ მოზეიმე ადამიანები ხვდებოდნენ, რომლებიც მხიარულად ესალმებოდნენ, ჰაერში თოფებს ცლიდნენ და კეთილ მგზავრობას უსურვებდნენ. გზის გასწვრივ მთელი მოსახლეობა იდგა: გლეხები, თავად-აზნაურობა –

მოკლედ, ქუდზე კაცი იყო გამოსული. ახალდაქორწინებულები ვალდებულნი იყვნენ, დროდადრო მატარებელი გაეჩერებინათ, გადმოსულიყვნენ და ყვავილების ხეივნების გავლით სუფრასთან მისულიყვნენ. ისინი ქუთაისში ორი დღე დარჩნენ და დაესწრნენ უამრავ ქეიფს, ბალ-მასკარადსა და მიღებას.

“წყვილმა გზა ეტლით გააგრძელა. როდესაც სამეგრელოს საზღვართან მოგუგუნე მდინარეზე გადებულ ხიდს მიადგნენ, მათ დატოვეს ეტლი, ფეხით ჩაიარეს ხალიჩებით მოფენილი და ყვავილების ხეივნებით მორთული ხიდი და იქაურ თავად-აზნაურთა ჯგუფს მიადგნენ, რომლებიც მათ ელოდებოდნენ. შეისვა ახალდაქორწინებულთა სადღეგრძელო, რის შემდეგაც ცხენებზე ამხედრებული ამალა მათ წინ გაუძღვა.

ეკატერინე გორდის სასახლის აივანზე იცდიდა. ნეფე-პატარძლის გამოჩენას ხალხი მხიარული შეძახილებითა და ტაშით შეხვდა. უკრავდა სამხედრო ორკესტრი, რეკავდნენ ზარები, ზარბაზნების ქუხილს ახლომდებარე მთები ექოთი ეხმიანებოდნენ. იმდროინდელი რუსული ტრადიციის მიხედვით მსახურთუხუცესმა ახალდაქორწინებულებს პური და მარილი მიართვა; შემდეგ ისინი ეკატერინეს მიუახლოვდნენ და დაიჩოქეს, რათა მისი ლოცვა-კურთხევა მიეღოთ. პატივისცემის ნიშნად შეკრებილი ხალხი ამ რიტუალს დუმილით შეხვდა. ამ მოვლენის აღსანიშნავი საეკლესიო მსახურების შემდეგ დაიწყო ქეიფი, რომელმაც შუაღამემდე გასტანა. დღესასწაული მეორე დღესაც გაგრძელდა. იგი სრულიად შემთხვევით პატარძლის, მერი ადლერბერგის დაბადების დღეს დაემთხვა.

დადიანების სასახლის მუზეუმი

ზუგდიდში დადიანების სასახლის მუზეუმის დაარსება პირველად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობის პერიოდში (საქართველოს საბჭოთა კავშირში შესვლამდე) სცადეს. 1919 წლის იანვარში რესპუბლიკის ჯერ კიდევ ნორჩმა პარლამენტმა გამოსცა კანონი, რომლის თანახმადაც ექსპროპრიირებული სამეფო ქონება სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადდა. იმავე წლის დეკემბერში საკონსტიტუციო საბჭოს ორმა წევრმა შეამოწმა

დადიანების სასახლე (დედოფლის სასახლე) ზუგდიდში, რათა ისტორიული ღირებულების მქონე ნივთები თბილისში ჩამოეტანათ. ქონების მეურვემ და მცველმა ვლადიმერ ალშიბაიამ ითანამშრომლა ხელისუფლების წარმომადგენლებთან და მათ საიდუმლო გვირაბიც კი უჩვენა, სადაც დადიანები ძნელბედობის ჟამს თავიანთ განძეულს ინახავდნენ. შედგა ოქმი და შერჩეული ნივთები თბილისში გადმოიტანეს.

1920 წლის თებერვალში ზუგდიდის ადგილობრივმა ლიდერებმა მოაწყვეს შეხვედრა, რომელზედაც დადიანების ოჯახის ქონების საკითხი იქნა განხილული. გადაწყდა, რომ ხალხის შრომით აშენებული სასახლეები ხალხს უნდა დაჰბრუნებოდა. თუმცა ეს კონკრეტულად რას ნიშნავდა, არ დაზუსტებულა და ამიტომ გადაწყვეტილება არ განხორციელდა. მოგვიანებით დადიანის სასახლის მუზეუმად გადაკეთების კონკრეტული იდეა იქნა შემოთავაზებული, მაგრამ პოლიტიკური ნება და შესაბამისი დაფინანსება ჯერ კიდევ არ არსებობდა.

დადიანის სასახლის მუზეუმად გადაკეთების საკითხი დღის წესრიგში ინტენსიურად დადგა მხოლოდ მას მერე, რაც 1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. 1921 წლის მაისში რეგიონის რევოლუციური კომიტეტის მიერ წამოყენებული ინიციატივის საფუძველზე სასახლის ტერიტორიაზე სამეგრელოს მუზეუმი გაიხსნა. მუზეუმის პირველმა დირექტორმა ა. ჭანტურიამ უშურველად იზრუნა სასახლესა და მასში გამოფენილ საგანძურზე.

1980 წელს მუზეუმი გაარემონტეს და სწორედ მაშინ აღმოაჩინეს, რომ სასახლის კედლები თავდაპირველად XIX საუკუნის ევროპულ სტილში იყო მოხატული, რომელიც სრულიად არ ჰგავდა საღებავის იმ უღიმღამო ფენას, რომლითაც იგი მოგვიანებით დაფარეს. სამწუხაროდ, წინა ათწლეულების მანძილზე კედლების მრავალჯერმა გადაღებვამ თავდაპირველი მოხატულობის აღდგენა შეუძლებელი გახადა. დღეისათვის სასახლის ინტერიერის პირვანდელი იერსახე მხოლოდ ჩანახატებისა და ფოტოების მეშვეობით შეიძლება წარმოვიდგინოთ.

კოლექცია

მუზეუმის კოლექცია 45000-ზე მეტ ექსპონატს მოიცავს. ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ 1919 წლის ექსპროპრიაციის პერიოდს მიეკუთვნება; დანარჩენები სასახლეს მოგვიანებით შეემატა. ისინი ისტორიის ათასწლეულებს ასახავენ და რამდენიმე უაღრესად უნიკალურ ნივთს შეიცავენ, როგორებიცაა ნაპოლეონის სიკვდილშემდგომი ნიღაბი და კვართი, რომელიც, თქმულების თანახმად, წმინდა მარიამს ეკუთვნოდა. ნაპოლეონის ნიღაბი დადიანის სასახლეში სალომე დადიანი-მიურატის მეშვეობით აღმოჩნდა, რომელიც ნეპოლეონის დისშვილზე, აშილ მიურატზე იყო დაქორწინებული. რაც შეეხება ღვთისმშობლის კვართს, არსებობს უამრავი ისტორია, რომელიც მისი საქართველოში მოხვედრის ამბავს გადმოგვცემს. მათგან ყველაზე პოპულარული მოგვითხრობს, რომ 1453 წელს, თურქების მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ, კვართი სხვა წმინდა ნაწილებთან ერთად არქიეპისკოპოსმა ჩამოიტანა. ყოველწლიურად, აგვისტოში, სამოსს გამოაბრძანებენ; დანარჩენ დროს იგი ე.წ. ქალწულის კოშკში ინახება.

კოლექციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია დადიანის ბიბლიოთეკა, სადაც ათასობით ხელნაწერი, იშვიათი წიგნი და ნაპოლეონ ბონაპარტის პირადი ბიბლიოთეკიდან წამოღებული ტომებიც ინახება. 1927 წელს საბჭოთა მთავრობამ ბიბლიოთეკის თბილისში გადმოტანა მოისურვა, მაგრამ მუზეუმის დირექტორმა ჭანტურიამ დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ ბიბლიოთეკა მუზეუმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა და ის სასახლეში უნდა დარჩენილიყო.

სასახლის ბიბლიოთეკა

მუზეუმის აბჯარ-იარაღის კოლექცია 200-ზე მეტ ხმალს, პისტოლეტს, თოფსა და სხვა სამხედრო აღჭურვილობას მოიცავს. უმრავლესობა მათგანი ნადავლს წარმოადგენს, ხოლო ზოგიერთი რუსეთის ხელმწიფეთა ნაჩუქარია. სასახლის ავეჯი ფრანგული და რუსული წარმოებისაა და ზოგიერთი ნივთი მოოქრულია ან ოსტატურად მოჩუქურთმებული.

სასახლის ინტერიერი

მუზეუმში მრავალი სხვა საინტერესო ექსპონატია, რომლებიც დადიანების ოჯახმა წლების მანძილზე შეაგროვა. ესაა ნივთები, რომლებიც ჩინეთისა და იაპონიის საიმპერატორო ოჯახებს ეკუთვნოდა; ნივთები რუსეთის, დიდი ბრიტანეთისა და სხვა ქვეყნების არისტოკრატიული ოჯახებიდან; და, ასევე, დავით დადიანის მონეტების კოლექცია, რომელშიც შედის იშვიათი მონეტები ანტიკური რომიდან და საბერძნეთიდან.

მუზეუმის კოლექცია მას შემდეგაც ივსებოდა, რაც დადიანების მამული სახელმწიფოს გადაეცა. ზოგიერთი ექსპონატი შეგროვდა გამოფენებისთვის, რომელთაც უნდა წარმოეჩინათ საბჭოური ცხოვრების წესი რეგიონში, ზოგი კი მუზეუმის დირექტორ ჭანტურიას მიერ მოწყობილი არქეოლოგიური ექსპედიციების მეტად ღირებული მონაპოვარია. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1935 წლის არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი უძველესი კოლხური ნასახლარი. იგი წყლის დონეზე მაღლა იყო ამომართული, რაც ადასტურებს ჰიპოკრატეს ცნობებს კოლხთა უცნაური და თავისებური ცხოვრების წესის შესახებ. ამ ადგილზე ნაპოვნი ნივთები დადიანების სასახლის მუზეუმში იქნა გადატანილი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მუზეუმის კოლექცია მდიდრდებოდა; მაგალითად, მოხდა თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების შეძენა და მოპარული ნივთების დაბრუნება.

საბჭოთა პერიოდში კომუნისტური ლიდერები ხშირად იჩენდნენ უდიერ და მტრულ დამოკიდებულებას მუზეუმის მიმართ. მაგალითად, საბჭოთა კავშირის შექმნის პირველი წლებიდანვე ბოლშევიკები სამუზეუმო ექსპონატებს პოლიტიკურ ნაალაფრად მიიჩნევდნენ და ადგილობრივი პოლიტიკური ლიდერები ათასობით ნივთს ან "სესხულობდნენ" ან მათ ისინი "საჩუქრების" სახით ურიგდებოდათ. ზოგი პოლიტიკური ლიდერისთვის მიუღებელი იყო აზრიც კი იმის შესახებ, რომ წინასაბჭოური საძულველი არისტოკრატიის ცხოვრებისა და საერთოდ იმ დროის შესახებ მასალები რაიმე ფორმით უნდა შენარჩუნებულიყო; ისინი მუზეუმებს აიძულებდნენ შეეძინათ ეთნოგრაფიული ხასიათის ნივთები ან სულაც

პროპაგანდისტული მისია ეკისრათ. ნაწილობრივ, ამგვარი ოფიციალური გულგრილობის გამო საბჭოთა ეპოქის მთელი 70-წლიანი არსებობის პერიოდში მუზეუმს შედარებით მცირე მასშტაბის რემონტი ერთხელ, 1980 წელს, ჩაუტარდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო ომებმა და ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა, რის გამოც ახალი მთავრობის პრიორიტეტების ჩამონათვალში მუზეუმის გარემონტებამ ბოლო ადგილზე გადაინაცვლა. საბედნიეროდ, ზოგიერთი საკოლექციო ნივთი (ზოგიერთი ფერწერული ტილოს, სასახლის ორნამენტული ჭიშკრისა და რამდენიმე სხვა ექსპონატის ჩათვლით) კერძო პირების ძალისხმევის შედეგად იქნა აღდგენილი. მაგრამ ძირითადი კოლექცია – წიგნები, ხელნაწერები, აბჯარ-იარაღი, ფოტოები, ავეჯი, ტილოები – კვლავ სასწრაფო რესტავრაცია-კონსერვაციას საჭიროებს; აგრეთვე დაუყოვნებლად უნდა ჩატარდეს კვლევა მუზეუმის ექსპონატთა ისტორიული ფონის შესწავლისა და კატალოგიზაციის მიზნით.

ლაზიკა — ისტორიული მხარე დასავლეთ საქართველოში. ფეოდალური ხანის ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი პროვინცია. მოიცავდა ტერიტორიას მდ. რიონის ქვემო დინებასა და მდ. ჭოროხის შესართავს შორის (გვიანდელი გურია, საჯავახო-საჩინოს ჩათვლით და შავი ზღვის აჭარის სანაპირო მხარე).

პირველად მოიხსენიება VII საუკუნეში ანონიმური ავტორის "სომხურ გეოგრაფიაში" ("ლაზივის" სახელწოდებით)[საჭიროებს წყაროს მითითებას], ბიზანტიელი ავტორები დასავლეთ საქართველოს ლაზიკის სამეფოს უწოდებდნენ. პროკოპი კესარიელის (VI საუკუნე) მიხედვით, ეს ტერიტორია სრულიად დაუსახლებელი ყოფილა, ხოლო აგათია სქოლასტიკოსი (VI საუკუნე) ლაზიკის ტერიტორიაზე ასახელებს ციხესიმაგრე ტელეფისს (მკვლევარები აიგივებენ ახლანდელ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლებში არსებული ციხესიმაგრის ნანგრევებთან). აქვე ყოფილა ქიტროპოლია, თიხის ჭურჭლეულით სავაჭრო ადგილი. VI საუკუნის II ნახევარში ლაზიკაში შენდება ცნობილი ციხე-ქალაქი და საეპისკოპოსო ცენტრი პეტრა (ახლანდელი სოფ. ციხისძირი, ქობულეთის

მუნიციპალიტეტი). VIII საუკუნიდან ლაზიკის პროვინციის უდიდესი ნაწილი გურიის სახელით მოიხსენიება.

ლაზები

ლაზეფ

საერთო მოსახლეობა500.000, 1,500,000 რეგიონები მნიშვნელოვანი მოსახლეობით: თურქეთი საქართველო

ენები: ლაზური, თურქული, ქართული

რელიგიები: უმთავრესად მუსლიმი (სუნი); მცირე რაოდ. მართლმადიდებელი და კათოლიკე ქრისტიანი.

ლაზები, ჭანები — ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი, წარსულში ერთ-ერთი ქართული ტომი იყო. ლაზები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისა (ისტორიული ლაზეთი, ჭანეთი) და მდინარე ჭოროხის აუზის მკვიდრი მოსახლეობაა. ძირითადად ცხოვრობენ თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, აგრეთვე აჭარაში, მდინარე ჭოროხის აუზში და სამეგრელოში ენგურის შესართავთან (ანაკლია). ლაზები საუბრობენ ქართველური ჯგუფის ზანური (მეგრულ-ჭანური) ენის ლაზურ (ჭანურ) დიალექტზე. თურქეთში მცხოვრები ლაზები მუსულმანები არიან, მაგრამ გათურქების იძულებითი პოლიტიკის მიუხედავად მათ შეინარჩუნეს თავისი ენა და კულტურა. ლაზების ერთ ნაწილს საერთო ქართული ენობრივი და კულტურული გარემოსგან იზოლაციის გამო ლაზური თვითშეგნება ჩამოუყალიბდა. ვახუშტი ბატონიშვილი ლაზებს ასე ახასიათებს:

„კაცნი არიან ხელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთათა, დიდთა და მცირეთა, და სარწმუნოებით აწ სრულიად მოჰმადიანნი, გარნა მცირედნი ვინმე მოიპოებიან ქრისტეანენი, არამედ იციან კუალად ქართული ენა ვიეთთამე“

ცნობილი ლაზები

- ჰასან ჰელიმიში — მხატვარი
- ბიროლ თოფალიში — ლაზი მუსიკოსი და მომღერალი

10. ს ვ ა ნ ე თ ი

სვანები — ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი. ძირითადად ცხოვრობენ სვანეთში, მესტიისა და ლენტეხის რაიონებში, აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის ჩრდილოეთ ნაწილში (დალის ხეობა, ისტორიული მისიმიანეთი, იგივე აფხაზეთის სვანეთი). სვანი ეკომიგრანტები დღეს საქართველოს ბევრ რეგიონშია ჩასახლებული: იმერეთი, ქვემო ქართლი, კახეთი. სვანურ ტომებს წარსულში უზარმაზარი ტერიტორია ეკავათ დიდი კავკასიონის როგორც სამხრეთ კალთებზე, ასევე ჩრდილოეთში (მდინარე ყუბანის ზემო წელში). სვანური ტომები ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი იყო, რომლის საფუძველზე მოხდა თანამედროვე ქართველი ხალხის ფორმირება. წარსულში სვანებს ახასიათებდათ კულტურისა და ყოფის ლოკალური თავისებურებები, როგორებიც იყო კოშკური არქიტექტურის ორიგინალური ფორმები, ალპური მეურნეობის განვითარება, სამხედრო დემოკრატიის გადმონაშთები და სხვა. სვანების დიდი ნაწილი ორენოვანია: ისინი საუბრობენ ქართულ ენაზე, ხოლო ყოველდღიურ ყოფაში იყენებენ სვანურს, რომელიც ქართველურ ენებს მიეკუთვნება. ამჟამად საქართველოში მცხოვრები დაახლოებით 3.600.000 ქართველიდან დაახლოებით 80.000 ქართველი, სვანური ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენელია.

ვახუშტი ბაგრატიონი სვანებს ასე ახასიათებს:

„ქართველების ტომის უფრო შორეულს შტოს სვანები შეადგენენ... სვანების ცხოვრებაში ბევრს ქართველურ ჩვეულებასა და ხასიათს ხედავს მოგზაური... სვანი ადვილად საცნობია. იგი არა ჰგავს იმ მთის ხალხებს, რომლებიც სვანეთის გარშემო ბლომად ცხოვრობენ... პირისახით სვანი მაშინვე მთის ქართველებს მოგაგონებთ: თუშებს, ფშავებსა და ხევსურებს: ტანით წარმოსადეგია და საღი შეხედულება აქვს. სვანის ტანსაცმელი მხოლოდ ცოტათი განირჩევა მეგრელისა და იმერლის ტანისამოსისაგან. თავსახური სვანს ორნაირი აქვს:

ზამთარში იგი იხურავს მაღალსა და წვეტიან ნაბდის ქუდსა, თეთრსა ან შავსა; ზაფხულში სვანი ხმარობს იმერულს ფაფანაკს, რომელიც ისე პატარაა, რომ საქოჩრეს ძლივსა ჰფარავს, სვანს ტანისამოსზე უფრო უყვარს იარაღი: თოფი, დამბაჩა და ხანჯალი; ხმალს კი სვანები არ ხმარობენ. როგორც თითქმის ყველა მთიულ ხალხს, სვანსაც გამჭრიახი გონება აქვს... როგორც სხვა მთის ხალხს, ისე სვანებსაც თავისი სამშობლო მეტისმეტად უყვართ. სვანი ძნელად დასტოვებს თავის ქვეყანას მოკლე ხნობითაც კი. ბევრი სვანი ისე დაბერდება, რომ ლეჩხუმის მეტი მხარე არა ნახოს. ბევრს ზემო სვანელს არ უნახავს ქვემო სვანეთი. უცხო ქვეყნის ჰაერი სვანებზე ცუდად მოქმედობს... თუ ჰკითხავ, რატომ ზამთარში იმერეთში სამუშაოდ არ ჩამოდიხართო, სვანები მაშინვე მოგიგებენ, ჰავისა გვეშინიანო... უმთავრესი ზნეობითი სენი სვანებისა არის მოსისხლე მტრობა...“

დონ კრისტოფორო დე კასტელი წერს: „კავკასიის მთებში სვანები ქრისტიანის სახელს პატივს სცემენ, მაგრამ რადგან მღვდლები არ ყავთ, ამიტომ არ ინათლებიან. აფხაზები, სვანები, ამორძალები... რადგან ურწმუნონი არიან, ერთმანეთსა მტრობენ.“

მდებარეობა და საზღვარები. საქართველოს ყველაზე მაღალმთიანი რეგიონი-სვანეთი მდებარეობს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ ფერდობზე. იგი მოიცავს მესტიისა და ლენტეხის ადმინისტრაციულ რაიონებს საერთო ფართით 4338,9 კმ (ქვეყნის ტერიტორიის 6,2%). მესტიის რაიონს (3044,5 კმ) მდ.ენგურის აუზის ზემო ნაწილი უკავია და ფართობით ყველაზე დიდი რაიონია საქართველოში. ლენტეხის რ-ნი (1344,4 კმ) მდებარეობს მდ. ცხენისწყლის აუზის ზემო ნაწილში. სვანეთს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება რუსეთის ფედერაცია (ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა და სტავროპოლის მხარე), დასავლეთიდან-კოდორისა და აკიბის, სამხრეთიდან-ეგრისის, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ლეჩხუმის ქედები..

ისტორიულ სვანეთში შედიოდა აგრეთვე მდ. კოდორის ზემო ნაწილის ხეობები, ე.წ. აფხაზეთის სვანეთი, სამეგრელოს ჩრდილო ნაწილი, ლეჩხუმისა და რაჭის მოსაზღვრე რეგიონი, აგრეთვე, ჩრდილო კავკასიაში – ყუბანისა და ბაქსანის სათავის

ხეობები. მიუხედავად სვანეთის ერთგვარად იზოლირებული გეოგრაფიული მდებარეობისა, მისი ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული მთლიანად საქართველოს ისტორიასთან.
ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების თავისებურებებიდან გამომდინარე მისი ტერიტორია ზემო (მესტიის რ-ნი) და ქვემო (ლენტეხის რ-ნი) სვანეთად იყოფა. მათ შორის საზღვარია სვანეთის ქედი (ენგურისა და ცხენისწყლის აუზების წყალგამყოფი). ზემო სვანეთი და საქართველოს ჰიფსომეტრიულ "ჭერად" ითვლება. მისი ტერიტორიის 96% ზ.დ. 1000 მ-ზე, ხოლო 65,8% 2000 მ-ზე მაღლა არის განლაგებული.
სვანეთს კავკასიონის მთიანი სისტემის ძნელად მისადგომი ნაწილი უკავია და ქვეყნის სატრანსპორტო კომუნიკაციებსა და სამრეწველო ცენტრებს დაშორებულია. ამიტომ მისი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა ჩიხისებური და არახელსაყრელია სამეურნეო განვითარებისათვის.
სვანეთი, ძველი კოლხეთის სამეფოს შემადგენელი ნაწილი, ხოლო შემდგომ პერიოდში ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი საერისთაო, XIX ს-ის დასაწყისისათვის სამ ნაწილად იყო დაყოფილი. მდ.ენგურის დასავლეთით, ბალის ქედის ქვემო მხარეს მდებარეობდა საბატონო ანუ სადადეშქელიანო (თავბერი), ბალსქვემოთა სვანეთი. მდ.ენგურის სათავისაკენ აღმოსავლეთით, ბალის ქედიდან უშგულის თემის ჩათვლით მდებარე ტერიტორიას ბალსზემოთა ანუ თავისუფალი (უბატონო) სვანეთი ეწოდებოდა. სადადეშქელიანო და თავისუფალი სვანეთი ერთად (ზემო სვანეთი) მოქცეული იყო თანამედროვე მესტიის ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში. მდ.ცხენისწყლის ხეობის ზემო ნაწილი (დღევანდელი ლენტეხის რ-ნი), რომელიც XVIII საუკუნეში დადიანებმა დაიმორჩილეს-სადადიანოდ (ქვემო სვანეთად) იწოდებოდა. სვანეთის ტერიტორია დაყოფილი იყო თემებად, რომლებიც ერთიდან ოცამდე სოფელს აერთიანებდა. თავისუფალ სვანეთში 18 დამოუკიდებელი თემი (35 სოფელი და 539 კომლი) ითვლებოდა, სადადეშქელიანოში-4 თემი (51 სოფელი და 336 კომლი). სადადიანოში-3 თემი(33 სოფელი 528 კომლით) სულ სვანეთში 119 სოფელი და 25 თემი არსებობდა.
რუსეთმა დაუმორჩილებელ სვანეთში ადმინისტრაციული გაბატონება მხოლოდ 1856 წლიდან განახორციელა. მხარე ტერიტორიულად ლეჩხუმის მაზრის სვანეთის (ზემო სვანეთი)

და ცაგერის (ქვემო სვანეთი) საბოქაულოში მოექცა. საბჭოთა პერიოდში შეიქმნა ზემო და ქვემო სვანეთის ადმინისტრაციული რაიონები. 1953 წ. პირველ მათგანს მესტიის, ხოლო მეორეს – ლენტეხის სახელი დაერქვა. თანამედროვე სამხარეო დაყოფით მესტიის რ-ნი სამეგრელო-ზემო სვანეთის, ხოლო ლენტეხისა-რაჭა-ლეცხუმი-ქვემო სვანეთის მხარეების შემადგენლობაში შედის.

მოსახლეობა. საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონებისაგან განსხვავებით, სვანეთის მოსახლეობა სტაბილურად მატულობდა. თუკი 1926 წელს მოსახლეობა აქ 18,8 ათას კაცს შეადგენდა, უკვე 1979 წელს 30,4 ათასამდე, ანუ 1,6-ჯერ გაიზარდა. მაგრამ 1987 წლის დიდთოვლიანობის შედეგად მომხდარმა სტიქიურმა უბედურებმა, ამ რეგიონის მოსახლეობის ბარის რაიონებში მასობრივი ჩამოსახლება გამოიწვია. ამის გამო, 1989 წელს რეგიონის მოსახლეობა 26,1 ათასამდე, ხოლო 1992 წელს – 23,1 ათასამდე შემცირდა. 2000 წლის შეფასებით, სვანეთის მოსახლეობა ოდნავ გაიზარდა და 24,6 ათასი კაცი შეადგინა.

სვანეთის მოსახლეობა, ძირითადად მდინარეების ენგურის (ზემო სვანეთი), ხელედულასა და ცხენისწყლის ხეობებშია (ქვემო სვანეთი) განსახლებული. ორივე რეგიონის მოსახლეობა საშუალომთიანეთსა და მაღალმთიანი ზონების მდინარეთა ხეობების ვიწრო ზოლშია მომწყვდეული. სვანეთი საქართველოს ერთ-ერთ მეჩხრად დასახლებულ (5,6 კაცი კმ2-ზე) რეგიონს წარმოადგენს. რეგიონის 22 საკრებულოს 192 სოფელში ამჟამად 18,4 ათასი კაცი ცხოვრობს. აქედან 20-მდე ნასოფლარია. მცირერიცხოვანი დასახლებები (3-დან – 7-მდე მცხოვრები) რეგიონში 90-მდეა, ხოლო 50 მოსახლეზე ნაკლები სოფელთა რიცხვი 80-ზე მეტია. სვანეთის ორი დაბის (მესტია და ლენტეხი) მოსახლეობა 5,2 ათას კაცს ითვლის. რეგიონის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართველებია.

საქართველოს კავკასიონის სხვა მთიანი რაიონებისაგან განსხვავებით სვანეთში ბოლო დრომდე მოსახლეობის რაოდენობა არ მცირდებოდა. პირიქით, თითქმის საუკუნის განმავლობაში (1886-1979 წწ.) იგი გაორმაგდა (ცხრ.1), რაც პირველ რიგში, სვანების ცხოვრების ტრადიციებითა და ანტიმიგრაციული განწყობით აიხსნება.

სვანეთის მოსახლეობის ადგილზე დაკავება განპირობებული იყო შემდეგი მიზეზებით: 1. ერთ სულ მოსახლეზე სასოფლო-სამეურნეო მიწების, კერძოდ სათიბ-საძოვრების გაცილებით მეტი ფართობი (4,2 ჰა, 1970წ.) მოდიოდა, ვიდრე რაჭა-ლეჩხუმში (0,9 ჰა), აღმოსავლეთ კავკასიონის მხარეში (2,5 ჰა) და სხვ. ამდენად, აქ მეცხოველეობის განვითარებისა და მოსახლეობისათვის შედარებით უკეთესი მატერიალური პირობები არსებობდა; 2. სვანეთის გეოგრაფიულმა მდებარეობამ, „გარე სამყაროსაგან“ მისმა შედარებითმა იზოლირებულობამ ხელი სეუწყო საუკუნეების მანძილზე შექმნილი ტრადიციების, მათ შორის თემისა და გვარის ცხოვრების წესის შემონახვას, რაც მიგრაციის შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენს. 3. მაღლმთიან ბუნებრივ პირობებს შეგუებული მოსახლეობა ძნელად იტანდა მიმდებარე კოლხეთის ბარის ჭაობიან კლიმატს. სვანეთში მოსახლეობის შედარებითმა დამაგრებამ ხელი შეუწყო შედარებით მაღალი ბუნებრივი ნამატის შენარჩუნებას და მცხოვრებთა რიცხვის ზრდას.

მაგრამ უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში მხარის დემოგრაფიული სიტუაცია გაუარესდა. 1987 წ. დიდთოვლობის შედეგად მომხდარმა სტიქიურმა უბედურებებმა გამოიწვია სამთავრობო ღონისძიება-სვანი მოსახლეობის ორგანიზებული ჩამოსახლება საქართველოს ბარის რაიონებში. აღნიშნული გარემოების და, მთლიანად, ქვეყანაში განვითარებული პროცესების შედეგად, სვანეთში მოსახლეობის რიცხოვნობის და ბუნებრივი მატების მაჩვენებლების შემცირება მოხდა (ცხრ.2).

2000 წლის დასაწყისისათვის სვანეთის მოსახლეობა 24,5 ათას კაცს შეადგენდა (საქართველოს მოსახლეობის 0,53%). აქედან, ზემო სვანეთში მცხოვრებთა რიცხვი 15,0 ათასია (61,1%), ქვემო სვანეთში-9,5 ათასი (38,8%). მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ერთგვაროვანია-ქართველები მოსახლეობის 99,3%-ს შეადგენენ. საქართველოს ამ ერთ-ერთი ყველაზე მეჩხერად დასახლებული რეგიონის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კმ -ზე 5,4 კაცია, მაგრამ მაღალია მოსახლეობის სიმჭიდროვე დამუშავებულ მიწებზე (475 კაცი, განსაკუთრებით ზემო სვანეთში-655 კაცი 1 კმ -ზე).

სვანეთი სასოფლო განსახლების მხარეა (189 დასახლებული პუნქტიდან 187 სოფელია), სადაც ცხოვრობს მთელი

მოსახლეობის 77,5%. ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარეობს უშგულის თემის ს. ჟიბიანი (2200 მ-ზე). სვანეთის მოსახლეობის მცხოვრებთა დაახლოებით 77,0% განსახლებულია ზ.დ. 1200 მ-ზე ზევით, ხოლო ამავე საზღვრებში-ქვემო სვანეთში მხოლოდ 1/3. მესტიის რ-ნის განსახლების არეალი მიუყვება მდ.ენგურისა და მისი შემდინარეების (მულხურა, დოლასვიფი, მესტიაჭალა და სხვ.) ხეობებს. 1200 მ ზევით იზრდება სოფლების და იქ განლაგებული სვანური კოშკების რიცხვი, რომლებსაც ძველად მტრებისაგან თავშესაფრად იყენებდნენ. ლენტეხის რ-ნის განსახლების არეალი ძირითადად მდ. ცხენისწყალს მიუყვება.
მხარის სოფლების უმრავლესობა მცირე ზომისაა. 90 სოფელში მცხოვრებთა რიცხვი 10 კაცამდეა, ხოლო 80 სოფელში -50-მდე. ნასოფლართა რიცხვი ორ ათეულს აღწევს. ზემო სვანეთში ყველაზე დიდი სოფელი ხაიშია (529 კაცი), ქვემო სვანეთში-ს.ხელედი (590 კაცი). სუსტად ურბანიზებულ სვანეთში არც ერთი ქალაქი არ არის. ქალაქის მოსახლეობა მხოლოდ ორი დაბის-მესტიისა და ლენტეხის მცხოვრებლებით (5,4 ათასი კაცი) არის წარმოდგენილი.
მესტია (ყოფილი სეტი, დაბად 1968 წელს გამოცხადდა) ადმინისტრაციული და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრია (3,0 ათასი მცხოვრები); მდებარეობს მესტიის ქვაბულში, მდინარეების-მესტიაჭალისა და მულხურის გაშლილ ნაპირებზე, ზ.დ. 1500 მ სიმაღლეზე. დაბა ქართული ხუროთმოძღვრებისა და ეთნოგრაფიის ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლია, სადაც კარგად არის შემონახული სვანური სახლ-სიმაგრეები და შუა საუკუნეების საკულტო ნაგებობანი, მათ შორის აღსანიშნავია მაცხოვრის ქვით ნაგები ორსართულიანი ღვთისმშობლის („ლამარია“) სეტის მთავარანგელოზთა და ფუსტის ეკლესიები. მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული მდიდარი მასალიდან უნდა აღინიშნოს სვიმონ მესვეტის ხატი(XI ს.), ძველი ქართული ენისა და მწერლობის უძველესი ძეგლი-ადიშის ოთხთავი (879 წ.), ქართული ჭედური ხელოვნების მრავალი ღირსშესანიშნავი ნიმუში და სხვ.
მესტია სვანეთის ტურიზმის ცენტრია, რომელსაც განვითარების კარგი შესაძლებლობანი გააჩნია.
ლენტეხი (დაბად 1969წ. გამოცხადდა) რაიონის ადმინისტრაციულ-კულტურული და სამეურნეო ცენტრი (2,4

ათასი მცხოვრები0 მდებარეობს სვანეთის ქედის სამხრეთი კალთის ძირში, მდ. ცხენისწყლის ნაპირზე (ზ.დ. 760 მ) და უახლოესი რკინიგზის სადგურიდან (ქუთაისი) დაშორებულია 102 კმ-ით. დაბის საყურადღებო ღირსშესანიშნაობებია დადიანების ციხე-დარბაზის კომპლექსი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ტურისტული ბაზა.

მეურნეობა. სვანეთის მეურნეობის მთავარი დარგია სოფლის მეურნეობა, კერძოდ კი-მეცხოველეობა (სარძეო-სახორცე მიმართულების მესაქონლეობა), რაც განპირობებულია მდიდარი ბუნებრივი საკვები ბაზის არსებობით. სახელდობრ, სათიბ-საძოვრებზე (137,1 ათასი ჰა) მოდის მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 97,3%, ხოლო დამუშავებულ მიწებს მხოლოდ 4,0 ათასი ჰა უკავის. სათიბ-საძოვრების უდიდესი ნაწილი (73,1%) მესტიის რ-შია თავმოყრილი. სვანეთში ყოველ მცხოვრებზე საშუალოდ 5,7 ჰა სათიბ-საძოვარი მოდის, ხოლო ქვეყანაში-0,9 ჰა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა სოფლის ყოველ 100 მცხოვრებზე სვანეთში 80-ს, მთლიანად საქართველოში კი 58-ს შეადგენს.

დამუშავებული მიწების სიმცირისა და არახელსაყრელი აგროკლიმატური პირობების გამო მიწათმოქმედება შეზღუდულია და უმნიშვნელო როლს ასრულებს რეგიონის აგრარულ მეურნეობაში. ნათეს ფართობებს 3815 ჰა უკავია. მოჰყავთ ბოსტნეული, კარტოფილი, საკვები კულტურები, სიმინდი, ხორბალი, ქერი და სხვ. მრავალწლიანი ნარგავები მხოლოდ ქვემო სვანეთშია თავმოყრილი (162 ჰა) ხეხილის ბაღებისა და ვენახების მცირე ნაკვეთების სახით.

მრეწველობა სვანეთში სუსტადაა განვითარებული და წარმოდგენილია ხე-ტყის დამზადების რამდენიმე კერძო საწარმოთი. სვანეთის ხე-ტყის სამრეწველო ექსპლუატაცია 1930-იან წლებში დაიწყო ინგირის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის ნედლეულით მომარაგების მიზნით. ხე-ტყის დამზადების ცენტრი ს. ხაიში იყო, საიდანაც მდ.ენგურით ხდებოდა ხის მორების დაცურება. შემდგომში, კომბინატის სანედლეულო ბაზის შეცვლის მიუხედავად, სვანეთის ტყეების ჭრა, მათ შორის ბრაკონიერული, არ შეწყვეტილა.

მრეწველობის სხვა დარგებიდან აღსანიშნავია დარიშხანის მოპოვება და გადამუშავება ლენტეხის რ-ში, ს.ცანასთან. აქ 1939ქ. აშენდა ყორულდაშის სამთომეტალურგიული კომბინატი,

რომელიც უშვებდა მაღლი ხარისხის დარშხანის სამჟანგს. იგი გამოიყენებოდა სამედიცინო, სამხედრო და სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის. ამჟამად საწარმო არ ფუნქციონირებს. შეწყვეტილია ასევე ს.ხაიშთან ახლოს მდებარე ბარიტის საბადოს ექსპლუატაცია.

რეგიონში მოქმედებდა მარმარილოს მოპოვებისა და დამუშავების რამდენიმე საწარმო (ს.ს.დიზში, ჩოლურში, ჭუბერში). მიუხედავად იმისა, რომ აქაური მარმარილო მაღალი ხარისხისაა, მოპოვება შეწყვეტილია.

ტრანსპორტი. საქართველოს ბართან სვანეთი ორი საავტომობილო გზით არის დაკავშირებული. პირველი-მესტია-ზუგდიდის (136 კმ) მდ.ენგურს მიუყვება, მეორე კი-ლენტეხი-ქუთაისის (102 კმ)-მდ.ცხენისწყალს. ზემო და ქვემო სვანეთს კი ერთმანეთთან მუდმივი სატრანსპორტო მიმოსვლა არა აქვთ. მათი დამაკავშირებელი საავტომობილო გზა მხოლოდ ზაფხულში მოქმედებს. ადგილობრივი საავტომობილო გზების საერთო სიგრძე დაახლოებით 315 კმ-ს შეადგენს. დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს რეგიონისთვის სათიბ-საძოვრებამდე მისასვლელ გზებს, რომელთა უმრავლესობა კეთილმოუწყობელია.

ორივე რაიონს აქვს საჰაერო კავშირი თბილისთან და ქუთაისთან, მაგრამ რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო იგი არარეგულარულია.

ბუნების ძეგლები. სვანეთის ბუნების ძეგლებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მყინვარის მიერ გადაადგილებული ვეებერთელა ლოდები. ძველი მყინვარის მიერ სვანეთის ქედის უმაღლესი წერტილიდან ჩამოტანილია ლაჰიჭალის (მესტიის რ-ნი) ლოდი. ეს 10 მეტრიანი ლოდი ტყიან ზოლში მდებარეობს. ზემო სვანეთის რეგიონშია აგრეთვე ფერხულის ქვა (20X20X18), რომელიც ხალდეს მყინვარის მიერაა ჩამოტანილი "მცირე გამყინვარების ეპოქაში". ლოდი დახრილად დევს ალპურ მდელოზე. სოფ.იფარში კი ერთ-ერთ ლოდზე სვანური კოშკია დაშენებული.

1. კლდეკარისებურ ხეობაში მიედინება მდ.ენგურის ზემო ნაწილი. ხეობა კლდოვან ნაპრალს წარმოადგენს, ჯერ მთავარ და სვანეთის ქედების კონტრფორსებს, შემდეგ კი აფხაზეთ-სვანეთისა და სამეგრელოს ქედებს შორის. კანიონისებური ხეობაა

მესტიაჭალის ქვემო ნაწილში, მესტიის მიდამოებსა და უფრო დაბლაც. მულხრის ხეობის ფსკერში ჩაჭრილია ვიწრო და საკმაოდ ღრმა კანიონი, რომელშიც მდინარე ხმაურით მიედინება. სოფ.ჟაბეშს ზემოთ მდ. მულხრას მდგენელი, მყინვარებიდან გამომდინარე ნაკადები ვიწრო, კლდოვან ხეობებში მოედინებიან, რომლებიც ნაწილობრივ, ჩამოზვავებული თოვლით ივსება ხოლმე.

ტურიზმი. მთის ჯანსაღი ჰავა და მინერალური წყლების უხვი რესურსები ფართო შესაძლებლობებს ქმნის კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტების მშენებლობისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ თუ სვანეთის საკურორტო მეურნეობა, მისი ოპტიმალური განვითარების პირობებშიც ძირითადად ადგილობრივი მნიშვნელობის დარჩება, სამაგიეროდ, ტურიზმს აქვს შესაძლებლობა საერთაშორისო მნიშვნელობის გახდეს. ამისათვის აქ არსებობს შესანიშნავი ბაზა-კავკასიონის მაღალმთიანი ლანდშაფტები, ტყეში ჩაფლული მდინარეთა ხეობები, საუცხოო სილამაზის ჩანჩქერებით, მაღალი მწვერვალები, მხარის ცხოვრების წესის ამსახველი ძეგლები (საგვარეულო-საცხოვრებელი სახლები საბრძოლო კოშკებთან ერთად, ეკლესიები, სალოცავები და მრავალი ორიგინალური არქიტექტურის ნიმუში), რომელიც ყოველთვის იზიდავს მნახველს.

სვანეთი ალპინიზმის მხარეა. კავკასიონის მთავარი ქედისა და სვანეთის ქედის ძნელადმისადგომი მწვერვალები(უშბა, შხარა, თეთნულდი, აილამა, რუსთაველის პიკი და სხვ.) დიდი ხანია იზიდავენ ალპინისტებს. ასევე მაღალია ადგილობრივი მთასვლელების ოსტატობა და ავტორიტეტი, რამაც თავის დროზე ალპური ბანაკებისა და ბაზების შექმნა განაპირობა. მათი აღორძინება მხარის და ქვეყნის პრესტიჟის საქმეა.

ამჟამად სვანეთში ტურისტულ საქმიანობას რამდენიმე მცირე კერძო ფირმა ახორციელებს. დამყარებულია უშუალო კავშირები დასავლეთ ევროპის რიგ სახელმწიფოებთან (გერმანია, ჰოლანდია, საფრანგეთი და სხვ.). მომავალში ტურიზმი სვანეთის ეკონომიკური აღმავლობის ერთ-ერთ არსებით ფაქტორად უნდა იქცეს.

სვანეთი მდიდარია ხუროთმოძღვრული და ეთნოგრაფიული ღირსშესანიშნაობებით, კერძოდ, შუა საუკუნეების ეკლესია-მონასტრებით და საერო-თავდაცვითი ნაგებობებით, რომლებიც

ორგანულად არის შერწყმული მხარის ბუნებრივ ლანდშაფტებთან. დღემდე მოაღწია ასამდე ეკლესიამ, ათასზე მეტმა ჭედურმა ხატ-ჯვარმა, კედლის მხატვრობამ, ფრესკებმა და სხვ.

პერსპექტივები. ჯვრის წყალსაცავის ჩრდილოეთური ნაწილის სახით, გარკვეული ადგილი დაიკავა აკვალურმა ლანდშაფტმა, რომელიც საყურადღებო რესურსია სანიჩბოსნე ტურიზმის განვითარებისათვის.

სვანეთის ბუნებრივი და ანთროპოგენური ლანდშაფტების მიზანმიმართული გამოყენება შეიძლება საფუძველი გახდეს შემდეგი დარგების განვითარებისათვის:

I. განსაკუთრებით აქტიური და კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის უნიკალურად შეიძლება ჩაითვალოს:

1. ცად აწვდენილი ჭაღარა მწვერვალები მყინვარებითა და ფირნის ველებით, მდინარეთა ხშირი ქსელი, ჰიდრომინერალური და მთა-ტყის რესურსები;

2. ისტორიულ-ეთნოგრაფიული (საკარმიდამო ტერიტორიის ორგანიზაციის მკვეთრად განსხვავებული ძველი და თანამედროვე სახე), სხვადასხვა პერიოდის 40-მდე ეკლესია, 12 282 დასახელების უნიკალური მატერიალური კულტურის ძეგლი.

II. სამთო ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარებისათვის:

1. სამთო-სათხილამურო სახეობისათვის აუცილებელი 5 - 25 -მდე დახრილი ფერდობების საერთო სიგრძე (160 კმ) და თოვლის საფარის ხანგრძლივობით და საფარის სისქით გამორჩეული;

2. კლდეზე ცოცვის სახეობებისა და ალპინიზმისათვის აუცილებელი მაღალი და საშუალო სიმაღლის მწვერვალები;

3. საწყლოსნო ტურიზმის განვითარებისათვის (მდ.მდ. ენგურის, ნეკრესის, ჯვრის წყალსაცავის) აუცილებელი რესურსები. ყოველივე აღნიშნული წარმოადგენს ზაფხულისა და ზამთრის სახეობათა განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს.

ზემო სვანეთში ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებზე მიღწევადობის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს მდ.ენგურის ხეობის გაყოლებით არსებული სახმელეთო კავშირების მთავარი სატრანსპორტო არტერია და აქ არსებული მოკლე სიგრძის ხეობების (მდ.მდ. ნენსკრის, დოლრას, მუხურის, წანერის) და სხვა დამაკავშირებელი 5-დან 15 კმ-ის სიგრძის გრუნტიანი გზები და ბილიკები, რაც ქვეითად

მოსიარულეთათვის და საჭაპანო სატრანსპორტო საშუალებებით გადამსვლელთათვის მიღწევადს ხდის ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტებსა თუ ტურისტთათვის საინტერესო ტერიტორიას. აღნიშნული ფაქტი გარკვეულ წილად უშლის ხელს აქაური ინფრასტრუქტურის განვითარებას და ტურისტულ- რეკრეაციული რესურსების ათვისებას. ამ პრობლემის გადაწყვეტით მიღებული უკუგება მაღალ რენტაბელურს გახდის აქ ტურიზმს.

დღეს, როდესაც საქართველო ფართოდ ებმება საერთაშორისო ტურისტულ ურთიერთობაში, სულ უფრო აქტუალობას იძენს მაღალმთიანი რაიონების სამთო ტურიზმისა და ალპინიზმის სახეობათა განვითარებისათვის რეალური რესურსული ბაზის შესწავლა. მით უმეტეს ეს მეტად აუცილებელია იმ რეგიონისათვის, როგორიცაა სვანეთი. ამ თვალსაზრისით ზემო სვანეთში მაღალია მოცემული რესურსების პოტენციალის სიდიდე. მისი სწორი დაგეგმარება და გამოყენება შესაძლებელს გახდის მთისა და ბარის ჰარმონიული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარება.

სვანეთის მინერალური წყლები

73 თეთნაშერა
74 ნაკრა
75 ნოგარი
76 ლადლინა
77 ფალედი
78 ლახამულა
79 ფარის ჭალა (ფაკნერი)
80 ეცერი
81 ჭელირი
82 ქვედა ლჰა
83 ქხინი
84 მაზერი
85 შიხრა
86 ტვებიში
87 ბეჩო
88 ბაგვდანარი
89 უშხვანარიხ ნარზანი
90 ლაღამი

91 მესტია
92 დოლე-სვიფი
93 ქაშვეთი
94 სვიფი
95 ლეზგარა
96 ლაბსყალდი
97 არცხელი
98 ჟამუში (მულახის)
99 მუჟალი
100 ცანერი
101 ბოგრეში
102 ლაბრაში
103 ადიში
104 დავბერი
105 ლასილი
106 ინარი-ლასილი
107 ხალდე
108 ხალდეშური
109 ხაიში
110 კასლეთის
111 ახუმალდის
112 ლემჭარის მურელი
113 ჯგრადის მორელი
114 კოჭა-მორელი
115 გვილიანების
116 ლაშე წყალი
117 ტვიბერის
118 ლანაკირი
119 ტვიბიხი
120 ლენტეხი
121 ყარიში
122 ხოპური
123 მუაში
124 ცირნაში
125 ხერიაშ-გიმ
126 ჩიხარეში
127 ქორულდაში
128 შგედის

129 ქვედა ტონიშური
130 საგიმილარი
131 მარცხელი
132 ტონიშური
133 ლექვაა-სგიმ

ყოფის დამახასიათებელი რეალიები. XIX ს-მდე სვანეთში ძირითადად ცხოვრობდნენ ქვითკირის ორსართულიან სახლში, რომლის ზედა სართულში ინახავდნენ სანოვაგესა და საქონლის საკვებს. ქვედა სართულში თვითონ ცხოვრობდნენ. მძიმე საზამთრო პირობების გამო, განყენებულად არსებულ „გვალში" ათავსებდნენ საქონელსაც. შუა ადგილას ენთო ცეცხლი, რომელთანაც მოწყობილი იყო ოთხფეხა რკონის „კერაი," რომელზედაც ცხვებოდა პური. ცეცხლთან ჩამოშვებული იყო „ნაჭა," რომლითაც იხარშებოდა საკვები. ოთახში იდგა შესანიშნავად მოჩუქურთმებული ხის სკამები და „საკუცხვილ." (საუფროსო სკამი „მახვშვისათვის"). სტუმართმოყვარე სვანებს მუდამ მზად ჰქონდათ ჩუქურთმებიანი სავარძელი ე.წ. „ლურგმალ." ცომის მოზელვა ხდებოდა სპეციალურ ხის ჯამში, რომელსაც „ჯარ" – ეწოდებოდა. ჭერში ნაჭის პირდაპირ გაკეთებული იყო საკვამური. სახლში განსაკუთრებულად სუფთა კუთხე მიჩნეული იყო რძის ნაწარმის მოწყობილობა და წყლის ჭურჭლისათვის. ქვედა სართულს „მაჩუბი" ეწოდებოდა, ხოლო ზედა სართულს - „მაჟიბ" ანუ „დარბაზ." ზაფხულში ავეჯი აჰქონდათ დარბაზში და იქ იძინებდნენ. ზამთარში კვლავ მაჩუბს უბრუნდებოდნენ. სახლს დიდი თოვლიანობის გამო ფართო ფანჯრებს ვერ უკეთებდნენ და განათება ძირითადად კვარის ან ხის გამხმარ ქერქის საშუალებით ხდებოდა. ოთახში ხის ჯამ-ჭურჭელთან ერთად ხშირი იყო სპილენძის დოქები და სხვა ჭურჭლეულობა. კედელს ამშვენებდა არჩვის და ჯიხვის რქები. ზაფხულში საქონელი ცალკე ბაგებში გადაჰყავდათ. სახლს გარს ერტყა სუფთა ეზო, კალო და ბალსქვემო და ქვემო სვანეთის რიგ სოფლებში – ბოსტანიც. თავისთავად ცხადია, რომ მებატონე დადეშქელიანებისა და მთელ რიგ აზნაურთა სახლ-კარი შედარებით უკეთ იყო მოწყობილი.

სვანებს აღნიშნულ დროს ეცვათ პერანგი, ჩოხა, შარვალი, პაიჭები, ყაბალახი და სხვა. შეკერილი შალის ან ტილოსაგან. თავზე იხურავდნენ მშვენიერ სვანურ ქუდს. ფეხთ ეცვათ

წინდები, ქალამანი („ჯაბირ,” „ბანდულ”) „ლბარარებით” შემოჭერილი ქალამნებში იტნევნენ „წერქვას.” ეს იყო ძაფივით წვრილი და გრძელი ბალახი, რომელიც მთაში იზრდებოდა და ფეხის თბილად შენახვაში დიდ სამსახურს უწევდა ადამიანს. დიდ თოვლიან მგზავრობაში ხმარებაში იყო მრგვალი თხილამურები ან წრიპები.

სვან ქალებს ეცვათ პერანგი, შალის კაბა, ხავერდის ქათიბები და გულზე ნაქარგი „ჩაფრასტარი”. ფეხზე ეცვათ ნაზად დამუშავებული ტყავის რბილი ქალამნები, ყელზე ეკეთათ მძივები ქარვისა და გიშრისაგან. ატარებდნენ ბეჭდებს, საყურეებს, სამაჯურებს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქალი სვანეთში საერთოდ დიდი პატივისცემით სარგებლობდა. მაგრამ ამასთან ერთად ეკისრებოდა დამ ის უმაღლეს მოვალეობად ითვლებოდა შვილების ღირსეულად აღზრდა და სისუფთავის დაცვა. ქალს სვანეთში აუცილებლად უნდა სცოდნოდა ჭრა-კერვა, ქარგვა, ქსოვა და საოჯახო საქმე. ამიტომაც დედები თავიანთ ქალიშვილებს დიდის მონდომებით ასწავლიდნენ და თაობიდან თაობას გადაეცემოდა ეს ცოდნა.

მეომარი სვანი შეიარაღებული იყო შვილდ-ისრით, კაჟიანი თოფით, რომლისთვისაც საჭირო – მისსივე დამზადებულ ტყვია-წამალს სარტყლით ატარებდა სავაზნითა და ქისით. მასვე ეკეთა ადგილობრივი დამზადების ხანჯალი, დანა, ხელში ეჭირა „მჯრა” – ხის ჯოხი, რომლის რკინის წვეტანით მთავრდებოდა და ძალზე მოხერხებული იყო, როგორც სამოგზაუროდ საფრთხე ადგილებში, ასევე ბრძოლის დროსაც. იგი გამოყენებული იყო, როგორც დასამიზნებლად თოფდასაყრდენი საშუალება. XIX ს-ის მეორე ნახევრიდან, ჩანს რომ შეიარაღება გაუმჯობესებულა. ხმარებაში შემოდის დამბაჩა, „ლივერი,” დაშნა, ბერდანისა და მარტინის სისტემის თოფები. აღნიშნული საბრძოლო იარაღები, ხადია, გამოყენებული იყო ნადირობის დროსაც. ნადირობა ადრიდანვე, საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ამ მხარის ცხოვრებაში. მონადირე დილით გამთენიისას ოჯახის წევრებისა და სოფლის მცხოვრებთა გაუგებრად გაიპარებოდა სანადიროდ, თან მიჰქონდა ჯგრაგისათვის (წმინდა გიორგისათვის) შესაწირი არაყი, „ლემზირარ” (სალოცავი ხაჭაპური) სანთელი და სწირავდა ღმერთს. ბედნიერი ნადირობის შემდეგ ისევ ჩუმად ბრუნდებოდა ოჯახში. ხორცით გაუმასპინძლდებოდა მეზობლებს, ხოლო

არჩვის ან ჯიხვის რქებს ან ეკლესიას სწირავდა, ან სახლში იტოვებდა ან ყიდდა. რაც შეეხება დათვის და კვერნის ტყავს – ყიდდნენ. სვანეთში დასაბამიდანვე მისდევდნენ მჭედლობას. თვით მჭედლები დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. მათი ხელით „მაგიური ძალის მქონე რკინა" თვინიერდებოდა. ისინი ამზადებდნენ ნაჯახს, ცულს, დანას, ბარს, ნამგალს, ხერხს, საჭრეთელს, სახნისებს, ჯაჭვებს, „ზამს" (არყის გამოსახდელად). ნაჭებს „კა-კერას" და სხვ. ეს უკანასკნელი განსაკუთრებული მონდომებითა და მოქარგულობით იჭედებოდა. აღნიშნული და რამდენი აღუნიშნავი ნივთები მზადდებოდა სპეციალური დაზგის მეშვეობით.

სვანეთის მთავარი სიმდიდრე - ტყე – დურგლობის განვითარების კარგ საშუალებას იძლეოდა. სვანები ადგილზევე ამზადებდნენ: უღელს, მარხილს, ხისგუთანს, კავს, კვერს დაყ ველა ნივთს რაც ადგილობრივ მეურნეობას ესაჭიროებოდა. ხელოსნების ხელით ითლებოდა კვებასთან დაკავშირებული საოცარად ლამაზი ჯამ-ჭურჭელი, ასევე არყის გამოსახდელი მოწყობილობა: „რაყ" (მრგვალი ხის დიდი გომი) „გარ" – წყლის სათავსო გამოხდის პროცესში, სხვადასხვა სახის პატარა გომები, რომელთაც „გაბარს" უწოდებდნენ.

სვანურ ოჯახში ტრადიციულად საკმაოდ მაღალი კულტურის ავეჯი იყო ხმარებაში. „ფიჩე" – მაგიდა სტუმრისათვის, „საკურცხილ" – სკამი მახვშისათვის, „ბოჯგ" – სამფეხა სკამი, „ლეგიმ" – გრძელი ზურგმისაყუდებელი დივანისებური ფართო ხის სკამი, „ბანდარ" – გრძელი ოთხფეხა ერთიანი ფიცრის საჯდომ-საწოლი, ლამაზად მოჩუქურთმებული „ლგინ" – საწოლი და სხვ. ოჯახში პრაქტიკულად დიდ როლს თამაშობდა „ტაბაგ" – პატარა სამფეხა ან ოთხფეხა სუფრა. მისი გადაადგილება ადვილი იყო. ძვირფასი ნივთები ინახებოდა კიდობანსა და სკივრებში. კიდობნები და სკივრები მოჩუქურთმებული იყო მზის, მთვარის, ჯვრისა და სხვა საღვთო გამოსახულებებით. კარგი სკივრი მზითვისთვის მზადდებოდა.

ოდითგანვე სვანეთში მღეროდნენ როგორც საერთო ქართულ, ასევე სვანურ ისტორიულ საყოფაცხოვრებო, სანადირო, სარწმუნოებრივ, საწესჩვეულებო, „ტყვეთა სყიდვის," ბატონყმური დამოკიდებულების , სასიყვარულო, საბრძოლო და სხვა თემატიკის ხასიათის სიმღერებს. მათ შორის უძველეს ისტორიულ სიმღერებს განეკუთვნებიან „ჯგურაგიშ", „ლილე"

„კვირია”, „რიჰო,” „დალაკოჯას ხელღვაჟალე,” „ბარბალდოლაშ” და სხვ. ასევე ისტორიულია სიმღერები: „თამარ დედოფალ”, „ყანსავ ყიფიანე,” „დედეშ გურმახ,” „ლახმლდ ლაშქარ,” „ბეჩვია ლაშქარ” და სხვ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ XIX ს-ში სვანეთის ბრძოლა რუს დამპყრობელთა წინააღმდეგ აისახა სიმღერებში როგორიცაა: „ბახთუნგერ,” სადაც მებრძოლ გმირად გამოყვანილია ისმაილი. „ვატი ნარსავიძე” – სადაც მებრძოლი გმირია თვით ვატი ნარსავიძე, „გაულგავხე” – სადაც 1876 წ. აგვისტოში ზემო სვანეთში სოფ. ხალდესთან დამპყრობელ ცარიზმის რუსეთის წინააღმდეგ გმირულად მებრძოლი ხალდელი ვაჟკაცები გურმახი და ჭოხანი მოიხსენებიან, როგორც მტრის წინააღმდეგ „სასტიკი მებრძოლები,” „კონსტანტინე დადეშქელიანი” – სადაც ხოტბაა შესხმული კონსტანტინე დადეშქელიანისადმი, რომელმაც ქუთაისში ხალჯლით განგმირა გენერალი გ. გაგარინი და სხვ. ბატონუმური ურთიერთობა ასახულია სიმღერებში: „ვოთარ ფუსდა დაჩქელანა,” „ციუუ ი მიჩა ლაშქარ,” „ვიცბილ-მაცბილ,” „ნამსყურ,” „ლებსუუ ჯაჭვლიან,” „ვარგალ,” „როსტომ ჭაბიგ” და სხვ. მრავალში. „ტყვეთა სყიდვა” – ასახულია სიმღერებში „ჯაფსუუ გოშთელან,” „ვიცბილ-მაცბილ” და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ სიმღერა სვანთათვის საკმაოდ დამახასიათებელი თვისება იყო. ისინი მღეროდნენ შრომის, მგზავრობის, ქეიფის დროს. ცნობილია სვანური სამგლოვიარო სიმღერებიც: „ზარი,” „დედეშდედეშ მირანგულა.” „ზარი” – მრავალვარიანტში სრულდება. სხვათა შორის სიმღერის სახელს ატარებს სოფ. ხაიშის გარეუბანში არსებული ეკლესია - „ლაღრალაშ თარგლეზერ.” სვანურ სიმღერათა ციკლი იმდენად მრავალფეროვანია, რომ ყველას ჩამოთვლა უბრალოდ შეუძლებელია.

ცეცხლოვანია სვანური ცეკვა-თამაშობანი. მას განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი. თავისი მაღალი ახოვანი ტანით საოცარი დარბაისლობით, ცეკვა-თამაშითა და სილამაზით მნახველის, და საერთოდ ქალთა საზოგადოების ყურადღებას იქცევდა სვანეთის უკანასკნელი მთავარი კონსტანტინე დადეშქელიანი, რომელსაც სვანეთში თათარ-ხანს უწოდებდნენ.

სვანეთში უხსოვარი დროიდან მიწათმოქმედების და მესაქონლეობის კულტურა იდგა საკმაოდ მაღალ დონეზე.

კარგად იყო განვითარებული მეფუტკრეობის კულტურა და საერთოდ კულტურის სხვა დარგებიც.
სვანური ენა. სვანები წარმოადგენენ უძველეს იბერიულ-კავკასიური წარმოშობის მოსახლეობას და მიეკუთვნებიან ქართველურ ეთნიკურ ჯგუფებს, მსგავსი თავისებურებების მქონე ენითა და კულტურით. მაგრამ რადგან სვანური უდამწერლობო ენაა, ამიტომ სვანებისათვის იმთავითვე სალიტერატურო ენად საერთო ეროვნული, ქართული ენა ითვლებოდა.
ენობრივი მონაცემების საფუძველზე მეცნიერები ასკვნიან, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში სვანურ ტომებს ურთიერთობა ჰქონიათ ხეთურ-ხურიტულ მოსახლეობასათან. სვანები ამ დროს ქართველურ ტომთა გავრცელების ჩრდილოეთ არეალში იყვნენ დასახლებულნი. ამავე ენობრივი მონაცემების საფუძველზე ვარაუდობენ, რომ მათ იმ დროს გაცილებით მეტი ტერიტორია ეკავათ, ვიდრე მოგვიანებით. სვანთა ტომი დასახლებული იყო არა მარტო მთიან, არამედ ბარის რაიონებშიაც. ამას ტოპონიმიკის მონაცემებიც ადასტურებს, ხოლო სვანური ენის ლექსიკა რომ უფრო ვრცელ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული, გეოგრაფიულ სახელწოდებათა კვალიც მოწმობს.
სვანური კოშკები. სვანეთის სიმბოლოა კოშკები. დიდი რაოდენობითაა შემორჩენილი სვანური კოშკები მასზე მიდგმული საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების სხვა ნაგებობებითა და ციხე-დარბაზებით. მათ შორის, გამოირჩევა დადიანის ციხე-დარბაზის კომპლექსი ლენტეხში, ლექსურის შუა საუკუნეების კოშკები და სხვ. მრავალი. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ბალსზემო სვანეთზე მოდის. უფრო იშვიათია საბატონო და სადადიანო სვანეთში. მათი რიცხვი 200-ს აღემატება. თუ როდის დაიწყო მათი მშენებლობა, ეს ჯერ-ჯერობით დაუდგენელია. ის კოშკები, რომელ;თაც სათოფური ჭუჭრუტანები („სამცხვირ”) აქვთ, ძირითადში უნდა აშენებულიყვნენ XV საუკუნიდან, რადგან ჩვენში თოფი ფაქტიურად XV საუკუნის ბოლოდან შემოდის ხმარებაში. ადგილობრივ მკვიდრთა ვარაუდითაც სვანური კოშკები 400-500 წლისა მაინც უნდა იყოს.
სვანეთში კოშკი ოჯახთა იმრავლესობას ჰქონდა და ხანგძლივი დროის განმავლობაში ურთიერთდახმარების გზით უნდა

აშენებულიყო. მისი მშენებლობა მოითხოვდა მრავალმხრივ ცოდნას –ზვავთსაშიშროების, მიწის სიმაგრის, მტრის დასახვედრად მოხერხებული თუ საშინაო საქმიანობისათვის შესაფერისი ადგილის გამონახვას. ერთი სიტყვით, საჭირო იყო ხანგძლივი გამოცდილება, საუკუნეობრივი თვალთახედვით მიღებული პრაქტიკა, რომ ეს საოცარი კოშკები, ასეთი სიმაგრისა და აგებულების აშენებულიყო.

საბრძოლო დანიშნულების მიზნით კოშკები შენდებოდა ისე, რომ საჭიროების დროს შესაძლებელი ყოფილიყო მშვილდისრის სროლა, ლოდების გადმოგდება, ცხელი წყლის გადმოსხმა, თოფით სროლა და სხვ. კოშკები ერთიმეორეზე დადგმულ ოთახებად არის დაყოფილი. ძირი მისი ანუ პირველი ოთახი „დილეგის" სახელწოდებითაა ცნობილი. მეორე და მესამე სართულზე ხშირია ჩაკირული ქვევრები და კიდობნები. ისინი საჭირო იყო თავდაცვის დროს. ე.ი. როცა მტრის შიშით გასასვლელი გზა შეკრული იყო, შიგნით მყოფი ადამიანი ქვევრში შერნახული წყლითა და კიდობნებში მოთავსებული საკვებით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ. კოშკები ძალზე მტკიცე შენდებოდა. 1876 წელს, როცა დამპყრობელმა რუსებმა „ხალდეს ტრაგედია" დაატრიალეს, კოშკს მთის ზარბაზანი დაუშინეს, მაგრამ ვერ დაანგრიეს. მისი წაქცევა მოახერხეს ოთხივე მხრიდან ძირში ლაღუმის ჩადებით და ისიც წაიქცა დაშლისა და დანგრევის გარეშე თითქმის მთლიანი.

სვანეთში კოშკებს, გარდა თავდაცვისა, იყენებდნენ საოჯახო-სამეურნეო დანიშნულებისთვისაც. იქ ინახავდნენ სხვადასხვა-ხიბაკ-ხუბაკს, არაყს, ლორს, ყველს, ხორცს ზაფხულში სიგრილისათვის. კოშკი შესანიშნავად ინახავდა ხორბალს და საერთოდ პურეულს. ზოგს კოშკში ჰქონდა პურის სათავსო კიდობნები. იგი ინახავდა ყველანაირ ნივთს, რომლის გამოჩენაც ოჯახს არ უნდოდა. ყოველივე ამის გამო კოშკი ძვირად ფასობდა და ღირდა „ერთი მესამედი სახლ-კარობისა."

სვანეთის ხელოვნება. სვანეთი მდიდარია ძველი კულტურის ძეგლებით. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ სვანეთში შემორჩენილია ჭედური ხელოვნების 1000-ზე მეტი ძეგლი, 200-ზე მეტი კოშკი და 100-მდე ეკლესია. განსაკუთრებულ სიმრავლეს ჯვარ-ხატებისა და ხელნაწერებისა, რომელნიც სვანეთში იყო და დღესაც არის ბევრს აფიქრებინებდა და ცდილობდნენ აეხსნათ იმით, რომ სვანეთში ეზიდებოდნენ

საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ამ ნივთებს შესანახად და გადასარჩენად, რათა ეხსნათ მტერთა შემოსევების დროს განადგურებისაგან. ეჭვი არ არის რომ ამასაც ექნებოდა ადგილი განსაკუთრებით ჩვენი ერის ისტორიის უმძიმეს პერიოდებში, მაგრამ როგორც ჩატარებულმა მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ აჩვენა, ცხრა მეათედი ჯვარ-ხატებისა თვით სვანეთშია დამზადებული. ამას მოწმობს სვანიზმები წარწერებისა, გვარები შემკვეთელებისა და ოქრომჭედელთა.

საქართველოში ყველაზე უფრო მკვეთრად გამოსახულმა ეთნიკურმა რეგიონმა განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შემოგვინახა მის ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსთან შეხამებული მდიდარი მატერიალური და სულიერი კულტურა – არქიტექტურის, ფერწერის, ოქრომჭედლობის, ქანდაკების, ძველი მეტალურგიის, ხელნაწერების, მინიატურის, ქსოვა-ნაქარგობის, მუსიკისა და პოეზიის სრულფასოვანი ძეგლები. მათ პირველწყაროს მნიშვნელობა აქვთ საქართველოს ძველი ისტორიისა და კულტურის გასაშუქებლად. ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი უნიკალურია და მეცნიერები მსოფლიო-მნიშვნელობას ანიჭებენ. ამიტომ, ბუნებრივია, ის დიდი ინტერესი, რასაც სვანეთის მიმართ იჩენდნენ ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან მოყოლებული.

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში მატერიალური კულტურის ძეგლებიდან დაცულია ქართული ხელოვნების მრავალი ღირსშესანიშნავი ნიმუში. დღემდე მოაღწია ათასზე მეტმა ჭედურმა ჯვარ-ხატმა, კედლის მხატვრობამ, ეპიგრაფიულმა ძეგლებმა, ფრესკებმა. შემორჩენილია საღვთო წიგნები – მათ შორის IX საუკუნის ხელნაწერი „ადიშის სახარება – ოთხთავი," სახარების X-XIII სს. ხელნაწერი და სხვ.

ამჟამად სვანეთის ნივთიერი კულტურის ძეგლების უმთავრესი ნაწილი მესტიის მუზეუმსა და ეკლესიებშია დაცული, ხოლო უფრო მცირე – მოსახლეობაშია გაბნეული.

მესტია (2,9 ათასი მცხოვრები) ზემო სვანეთის ცენტრია. მესტიის რაიონი სიდიდით (ფართობი 3045 კმ2) ყველაზე დიდია საქართველოში. რაიონის სოფლებში 11,6 ათასი კაცი ცხოვრობს. რაიონი მდიდარია კულტურის ძეგლებით:

1. ადიში, ეკლესია მაცხოვრისა „მაცხვარ," X-XI საუკუნეები, არის მოხატულობა და კანკელი.

2. ადიში, ეკლესია მთავარანგელოზისა, შუა საუკუნეები, არის მოხატულობა და კანკელი.
3. ადიში, მიდამოები, ეკლესია წმ. გიორგისა „ჯგრაგ” განვითარებული შუა საუკუნეები, არის მოხატულობა და კანკელი.
4. ადიში, მიდამოები, ციხე-დარბაზი ალექსანდრე მეფისა, XVI საუკუნე, არის მოხატულობა და კანკელი.
5. ბარში, ციხე-დარბაზი დადეშქელიანისა, შუა საუკუნეები, არის მოხატულობა და კანკელი.
6. ვიჩნაში, ეკლესია წმ. ბარბარესი, განვითარებული შუა საუკუნეები, არის მოხატულობა.
7. ზგანი, ეკლესია, განვითარებული შუა საუკუნეები, არის მოხატულობა.
8. იელი, ეკლესია წმ. გიორგისა „ჯგრაგ” VIII-IX საუკუნეები, არის მოხატულობა და კანკელი.
9. იელი, ეკლესია იოანე წინამორბედისა, განვითარებული შუა საუკუნეები,
10. იელი, ეკლესია მაცხოვრის „მაცხვარ,” X-XI საუკუნეები, არის მოხატულობა და კანკელი.
11. იენაში (ენაში) ეკლესია იონა წინასწარმეტყველისა „იან”, XII-XIV საუკუნეები, არის მოხატულობა.
12. იფრარი, ეკლესია მთავარანგელოზისა, XI საუკუნე, არის მოხატულობა, 1096 წლის წარწერები ფრესკული და კანკელი.
13. იფხი, ეკლესია წმ. გიორგისა, X-XI საუკუნეები, არის მოხატულობა.
14. იფხი, ეკლესია მაცხვრისა, განვითარებული შუა საუკუნეები, არის მოხატულობა.
15. ლაბსყალდი (ლაფსხალდი), ეკლესია, განვითარებული შუა საუკუნეები, არის მოხატულობა.
16. ლაღამი: 1. ეკლესია (ორსართულიანი) მაცხოვრისა, XIII-XVI საუკუნეები, არის მოხატულობა. 2. გალავანი, განვითარებული შუა საუკუნეები.
17. ლაშთხვერი: 1. ეკლესია აბრიელ მთავარანგელოზისა „თარნგზელ”, XIV საუკუნე, არის მოხატულობა და კანკელი. 2. ეკლესია მიქელ მთავარანგელოზისა „მხერ”, XIII-XIV საუკუნეები, არის მოხატულობა, წარწერები ფრესკული და კანკელი.

18. ლეხთაგი, ეკლესია წმ. მარიამის „ლამარია”, განვითარებული შუა საუკუნეები, არის მოხატულობის ნაშთი და წარწერა ფრესკული.
19. მაცხვარიში: 1. ეკლესია მაცხოვრის, X-XI საუკუნეები, არის მოხატულობა XII ს-ის და წარწერა ფრესკული. 2. ეკლესია მთავარანგელოზისა „თარნგზელ,” განვითარებული შუა საუკუნეები, არის მოხატულობა და კანკელი.
20. მესტია, ეკლესია მთავარანგელოზისა, განვითარებული შუა საუკუნეები, არის მოხატულობა და კანკელი.
21. მესტია, კოშკები, შუა საუკუნეები.
22. მესტია, მიდამოები – სეტი, ეკლესია „ფუსტი”, განვითარებული შუა საუკუნეები, არის კანკელი.
23. მურკმელი, ეკლესია მაცხოვრისა, განვითარებული შუა საუკუნეები, არის მოხატულობა და კანკელი.
24. ნაკიფარი, ეკლესია წმ. გიორგის, X-XI საუკუნეები, არის მოხატულობა XII საუკუნის წარწერები ფრესკული და კანკელი.
25. ნესგუნი, ეკლესია მაცხოვრისა, IX-X საუკუნეები, არის მოხატულობა, წარწერები ფრესკული და კანკელი.
26. ჟაბეში, ციხე, შუა საუკუნეები.
27. ჟაბეში, ეკლესია მაცხოვრის, XI საუკუნე, არის მოხატულობა.
28. ჟამუში (ჟამიში), კოშკი, შუა საუკუნეები.
29. ჟამუში (ჟამიში), ეკლესია მაცხოვრისა, XI საუკუნე.
30. ჟამუში (ჟამიში), მიდამოები, სასახლე, გვიანი შუა საუკუნეები.
31. სვიფი (სიუფი), ეკლესია მთავარანგელოზისა, X საუკუნე, არის მოხატულობა.
32. სოლი, ეკლესია მაცხოვრისა, განვითარებული შუა საუკუნეები.
33. ფხოტრერი, ეკლესია მთავარანგელოზისა „თარნგზელ”, X საუკუნე, არის მოხატულობა და კანკელი.
34. ყურაში, ეკლესია დადეშქელიანებისა, გვიანი შუა საუკუნეები, არის კანკელი.
35. ჩვაბიანი, ეკლესია მაცხოვრისა, IX-X საუკუნეები, არის მოხატულობა.
36. ჩვაბიანი, ეკლესია მთავარანგელოზისა, X-XI საუკუნეები, არის მოხატულობის კვალი.

37. წვირმი, ეკლესია მაცხოვრისა, განვითარებული შუა საუკუნეები, არის მოხატულობა XII საუკუნის და წარწერები ფრესკული.
38. წვირმი, ეკლესია წმ. გიორგისა, განვითარებული შუა საუკუნეები, არის მოხატულობა, წარწერები ფრესკული და კანკელი.
39. წვირმი, ეკლესია წმ. ბარბარესი, XII-XIII საუკუნეები, არის კანკელი.
40. წვირმი, ეკლესია მთავარანგელოზისა VIII-IX საუკუნეები, არის მოხატულობა და კანკელი.
41. ხე, ეკლესია წმ. ბარბარესი „ბარბალ" XI საუკუნე, არის მოხატულობა და კანკელი.
42. ხე, მიდამოები – მთაზე მონასტერი: 1. ეკლესია „ლაგურკა" კვირიკე და ივლიტასი X-XI საუკუნეები, არის მოხატულობა, XII საუკუნის წარწერები ფრესკული და კანკელი. 2. გალავანი, განვითარებული შუა საუკუნეები, 3. სხვა ნაგებობანი.
43. ჩაჟაში, ეკლესია „მაცხოვარი", გვიანი შუა საუკუნეები, არის მოხატულობა.
44. ჩაჟაში, „თამარის ციხე," 1. კოშკები. 2. ეკლესია „ლაშკვდარი", X საუკუნე.
45. ჩაჟაში, კოშკები, გვიანი შუა საუკუნეები, არის

მოხატულობა და წარწერები

სვანეთის კულტურულ-ისტორიული წარსულის შესწავლის საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მესტიის მხარეთმცოდნეობით მუზეუმს. ამ სამუზეუმო მასალების შეგროვება-შენახვის აუცილებლობის საკითხი დაისვა ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დ. ბაქრაძის, ბ. ნიჟარაძის, ექ. თაყაიშვილის და სხვათა მიერ. მუზეუმს დასაბამი მიეცა მხოლოდ 1936 წ. მესტიის წმინდა გიორგის ეკლესიაში, შემდეგ 1963 წელს გადაეცა ის შენობა, რომელშიც იყო წარმოდგენილი 2000 წლამდე. ამჟამად გადასულია ახალ შენობაში.

ლენტეხი (2,3 ათასი მცხოვრები) ქვემო სვანეთის ცენტრია. სოფლად 7,8 ათასი კაცი ცხოვრობს. რაიონში კულტურის ძეგლებია:

1. გობი, ეკლესია, განვითარებული, შუა საუკუნეები, არის წარწერები.

2. გულიდა, ციხე, შუა საუკუნეები.
3. ჯახუნდერი, ეკლესია „ჯგრაგ", X საუკუნე.
4. ჟიბიანი, მიდამოები მთაზე, ეკლესია „ლამარია", X-XI საუკუნეები, არის წარწერები და ფრესკული მოხატულობა.
5. ჟიბიანი, ეკლესია „ჯგრაგ" განვითარებული შუა საუკუნეები, არის მოხატულობა.
6. კახურა, კოშკი, შუა საუკუნეები.
7. ლექსურა, დადიანის ციხე „ლარაში", 1. კოშკი, განვითარებული შუა საუკუნეები. 2. ციხე. 3. სხვა ნაგებობანი, განვითარებული შუა საუკუნეები.
8. ლუდჯი, ეკლესია, შუა საუკუნეები, არის მოხატულობა.
9. მახაში, ეკლესია „თარნგზელ", განვითარებული შუა საუკუნეები.
10. ცახი, ეკლესია „ლამარია", განვითარებული შუა საუკუნეები.
11. საყდარი, ეკლესია „ჯგრაგ", განვითარებული შუა საუკუნეები, არის წარწერები XVI საუკუნის და ფრესკული მოხატულობა.
12. საყდარი, კოშკი, შუა საუკუნეები.
13. ტვიბი, ეკლესია „თარნგზელ," X-XI საუკუნეები, არის ნაშთები წარწერებისა და ფრესკული მოხატულობის.
14. თეკალი, ეკლესია „ღვთაება," X-XI საუკუნეები, არის მოხატულობა და წარწერები.
15. ხერია - ლემზაგორი, ეკლესია, IX-X საუკუნეები.
16. ხერია - ლემზაგორი, ციხე გელოვანებისა, გვიანი შუა საუკუნეები.
17. ჩიხარეში, მიდამოები – ეკლესია
18. ჩუკული, ეკლესია მუჩპა, X-XI საუკუნეები, არის ნაკვალევი მოხატულობის.
19. ჩუკული, ეკლესია „თარნგზელ", IX-X საუკუნეები, არის მოხატულობა.

მატერიალური კულტურის ძეგლები. სვანეთის ტერიტორიაზე გავრცელებულია უძველესი ქრისტიანული ხუროთმოძღვრული ძეგლები. მათ შორისაა: იელის წმინდა გიორგის (VIII-IX სს.) ჩუკულის მთავარანგელოზის (IX-X სს.), ფაყის მთავარანგელოზის (IX-X სს.), ნესგუნის (IX-X სს.), ჟაბეშის (X ს.), სვიფის მთავარანგელოზის (X ს.), ჯახუნდერის წმინდა გიორგის (X ს.), ტვიბის მთავარანგელოზის (X-XI სს.), ღვთაების

თეკალის მიდამოებში, X-XI სს.), ადიშის მაცხოვრის („მაცხვარ,” X-XI სს.), იფხის წმინდა გიორგის (X-XI სს.), ნაკიფარის (X-XI სს.) იფრარის მთავარანგელოზის (XI ს.), ლატალის იენაშის (XII-XIV სს.), ლადამის მაცხოვრის („მარცხვიშ,” XIII-XIV სს.), წვირმის (განვით. შუა საუკ.), სოფ. ლეხთაგის ღვისმშობლის (ლამარია, განვითარებული შუა საუკუნეები) და სხვ. ეკლესიები. აღსანიშნავია სოფ. ხის მიდამოებში X-XI სს. მონასტერი ეკლესიით „ლაგურკა” (კვირიკე და ივლიტასი), გალავნითა და სხვა ნაგებობებით.

10. რ ა ჭ ა – ლ ე ჩ ხ უ მ ი (ისტორიული თაკვერი)

თანამედროვე ადმინისტრაციულ დაყოფაში რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარე, მუნიციპალიტეტი 2, ფართობი 2 854 კმ. ადმინისტრაციული ცენტრი ონი.

თაკვერი

თაკვერი — ისტორიული მხარე საქართველოში. პირველად დამოწმებულია VII საუკუნის ანონიმურ სომხეთის გეოგრაფიაში. ადრინდელ ფეოდალურ ხანაში სახელწოდება „თაკვერი“ ორი მნიშვნელობით იხმარებოდა: ფართო მნიშვნელობით ახლანდელი რაჭა-ლეჩხუმს მოიცავდა, ვიწრო მნიშვნელობით კი — ცხენისწყლის აუზის შუა წელსა და მდინარე ლაჯანურის (რიონის შენაკადი) ხეობას შორის მდებარე ტერიტორიას. შუა ფეოდალურ ხანაში სახელწოდება „თაკვერს“ მხოლოდ მეორე მნიშვნელობით ხმარობდნენ. XI საუკუნეში თაკვერი სვანეთის ერისთავს ემორჩილებოდა, XII-XIII საუკუნეებში რაჭის ერისთავის საგამგეოში იყო. გვიანდელ ფეოდალურ ხანაში იგი ლეჩხუმის შემადგენლობაში შედიოდა.

რ ა ჭ ა

მდებარეობა და საზღვრები. რაჭა წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს მთიან რეგიონს, რომელიც მოიცავს მდინარე რიონის ზემო აუზს. ტერიტორია ადმინისტრაციულად სრულად მოქცეულია ონისა და ამბროლაურის რაიონებში. რაჭას

ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება მდ. ასკისწყალი და თავშავის ქედი; ჩრდილო-აღმოსავლეთით კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის მონაკვეთი მდ.მდ. რიონისა და ჭანჭახის სათავეებთან. რაჭა იყოფა ზემო და ქვემო რაჭად. მათ შორის საზღვარი გადის მდ.რიონზე ხიდიკართან. რაჭის ფართობი 2836,4 კმ2-ია.

ბუნებრივი რესურსები. რაჭა მრავალფეროვანი სასარგებლო წიაღისეულით სიმდიდრეებით ხასიათდება. ონის რაიონში მდ.ჯეჯორის აუზში მდებარეობს ჩორდის ბარიტის საბადო. ამავე რაიონში მდ. ზოფხიტოსა და ჩვეშეურას ხეობებში წარმოდგენილია სტიბიუმის საბადო. იგი შენადნობების გამამდიდრებელ მასალას წარმოადგენს. ამბროლაურის რაიონში ცნობილია ლუხუნის დარისხნის საბადო, რომელიც მდებარეობს მდ.ლუხუნისწყლის მარცხენა შენაკადის მდ.მადნისღელეს ხეობაში. კვაისაში მოიპოვებენ ტყვია-თუთიას, ხოლო შაორში ქვანახშირს. სხვა წიარისეულიდან უნდა არინიშნოს: ონის რაიონში წედისის მარმაროლოსნაირი კირქვების, ქვედრულას კირქვების, ბაჯისხევის სააგურე ტიხებისა და თაბაშირის საბადოები; ამბროლაურის რაიონში: ზნაკვას კირქვები, ნაქერალას და მახარულის საშენებლო ქვები. ბუნების ძეგლები. აქ ბუნების ძეგლებიდან წარმოდგენილია კარსტული მღვიმეები და ერატიული ლოდები. საინტერესო სანახაობას წარმოადგენს: უსოლთის, ცახის, შარეულას, ცხრაჯვარის, მღვიმეები. აქვეა სხვავას საყინულე, სადაც მღვიმის ბოლოში თოვლის მასა გლეტჩერს ქმნის, ხოლო ნაპრალებიდან შემოსული წყალი ზამთრიდან შემორჩენილ ცივ ჰაერში იყინება და ყინულოვან სტალაქტიტებს, ფარდებს, სტალაგმიტებს, სვეტებს, გაყინულ ჩანჩქერებს წარმოშობს. ონის რაიონში წარმოდგენილია 6 სართულიანი მღვიმე კუდარო, რომლის კირქვულ შრეებში აშელური კულტურის ნაშთებია გამოვლენილი.

რეგიონში ბევრია მყინვარის მიერ გადაადგილებული დიდი ლოდები. აღსანიშნავია ჭუთხაროს მასივიდან მოტანილი პორფირიტის ერატიული ლოდი, რომელიც ერტ-ერტი უდიდესია მსოფლიოში. მას ადგილობრივი მოსახლეობა "დათუსელას" უწოდებს, ხოლო ლიტერატურულ წყაროებში "მგლისსარბიელათი" ვხვდებით. დიდი განზომილების ერატიული ლოდებია მდ. რიონის სათავეებში. სოფ.ღებთან

(ონის რ-ნი), მდ.ჩვეშურას მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს "ქვაბთათანას" ლოდი (სიგრძე 19 მ). ამავე ხეობასია "ქვაციხურას" ლოდი.

რიონის ეობაში რამოდენიმე კლდეკარია. საგლოლოს ხიდთან მდ. რიონი შედის ჭიდროთას ვიწრო ტყიან ხეობაში, რომელიც სოფ.უწერასთან წყდება, შემდეგ კი სოფ. ალპანასთან მდ.რიონი კლდის ნაპრალში ექცევა და ტვიშის კლდეკარით ხვამლის მასივსა და რაწის ქედის დასავლეთ ნაწილს შორის გაედინება.

ისტორია - ჩრდილოეთით რაჭას ესაზღვრება ოსეთი, ჩრდილო-დასავლეთით - ქვემო სვანეთი, სამხრეთით - იმერეთი, აღმოსავლეთით - შიდა ქართლი, დასავლეთით - ლეჩხუმი. ისტორიულ-გეოგრაფიულად რაჭა სამ კუთხედ იყოფოდა: მთის რაჭა, ზემო რაჭა და ქვემო რაჭა. ამჟამად რაჭა მოიცავს რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის მხარის ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიას.

ადრეულ პერიოდში რაჭა თაკვერთან ერთად ქმნიდა თაკვერის საერისთავოს, რომელიც ეგრისის სამეფოში შედიოდა. შემდეგ ლეჩხუმთან ერთად რაჭა-ლეჩხუმის საერისთავოში გაერთიანდა. X საუკუნის ბოლოს შეიქმნა რაჭის საერისთავო, რომლის პირველი ერისთავი რატი ბაღვაში იყო. მისი ძის, კახაბერის ძის სახელიდან მოდის რაჭის ერისთავების - კახაბერისძეთა გვარსახელი. XIII საუკუნის 80-იან წლებში დავით ნარინმა გააუქმა საერისთავო და ეს ტერიტორია სამეფო მამულებად გამოაცხადა. შემდგომში საერისთავოს აღდგენის შემდეგ ერისთავის ტიტულს ჭარელიძეთა, უფრო მოგვიანებით კი ჩხეტიძეთა საგვარეულო ატარებდა. იმერეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ, რაჭის ტერიტორია ქმნიდა ჯერ ოკრუგს, შემდეგ - მაზრას.

ვახუშტი ბაგრატიონის (ბატონიშვილის) "აღწერა სამეფოსა საქართველოსა"-ს მიხედვით, რაჭის მხარეს სხვადასხვა დროს განაგებდა რამდენიმე თავადური საგვარეულო: წულუკიძე, იაშვილი, ჯაფარიძე, ინასარიძე, ლაშხისშვილი.

რაჭის საერისთავო - ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულად ფეოდალურ საქართველოში ჩამოყალიბდა მეათე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, ერთიანი ქართული

მონარქიის შექმნის შემდეგ. წერილობით წყაროების მიხედვით, რაჭის პირველი ერისთავი იყო რატი ბაღაშთა საგვარეულოდან. რატის შემდეგ რაჭის ერისთავი იყო მისი ძე კახაბერი. მისი სახელიდან მოდის გვარსახელი კახაბერისძე, რასაც შუა ფეოდალურ ხანაში ატარებდაბა ბაღავშთა ის შტო, რომელიც რაჭის საერისთავოს განაგებდა. რაჭის საერისთვაო ერთიან საქართველოს სამეფოში მნიშვნელოვან ერთეულს წარმოადგენდა. მისი ერისთავები დიდ როლს თმაშობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში X-XIII საუკუნეებში.

რაჭას ჩრდილოეთით სვანეთის საერისთავო ესაზღვრებოდა. მათი გამყოფი იყო ლეჩხუმის ქედი. კავკასიონის მთავარ ქედამდე რაჭის საერისთავო მდ. ჭანჭახის ქედამდე აღწევდა. სამხრეთის მას რაჭის ქედი ესაზრვრებოდა. დასავლეთით თაკვერიდან მას გამყოფდა გუელისტავის ქედი (ლაბეჭინის სერი), ხოლო უშუალოდ მდ. რიონის ხეობაში ის ვიწროები, რომლებიც სოფელ ალპენის სამხრეთით იწყება. მდ. ჯეჯორის აუზში საზღვრები დაღვერილას ქედამდე აღწევდა. ამ ქედის ჩრდილოეთით მხარე კუდადო იყო.

X-XIII საუკუნეში რაჭის ერისთავები მეფის მოხელეებს წარმოადგენდნენ. მათ ევალებოდათ საერისთავოში სამეფო გადასახადების აკრეფა, ლაშქრის გამოყვანა და წინამძღოლობა. ამ პერიოდში რაჭის ერისთავთ მთავარი რეზიდენცია მინდაციხე იყო. დიდი ციხე-დარბაზი იყო კვარის ციხეც.

XIII საუკუნის 80-იან წლებში დავით VI ნარინმა გააუქმა რაჭის საერთავო და სახასო მამულად აქცია. კახაბერისძეთა საგვარეულო, როგორც ჩანს, ამოწყდა. XIV საუკუნის 30-იან წლებში, გიორგი მეხუთე ბრწყინვალემ საქართველოს ერთიანობა აღადგინა და რაჭა მის შემადგენლობაში შევიდა. შემდეგში საქართველოს მეფეებმა რაჭის საერისთვო ისევ აღადგინეს. თავდაპირველად რაჭის ერისთვთა ტიტულს ჭარელიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები ატარებდნენ, ხოლო დაახლოებით 1488 წლიდან ცხეტიძეები. XV საუკუნის მეორე ნახევარში საქართევლოს სამეფო-სათავროებად დაშლის

შემდეგ რაჭის საერისთავო სამეგრელოს შემადგენლობაში შევიდა.
მეთხუთმეტე საუკუნის 30-იან წლებში იმერეთის მეფემ ბაგრატ მესამემ რაჭის ერისთავებს მინდაციხე-დარბაზი გადასცა და იმერეთის შექმნილი სამეფოს ახლად შექმნილი სადროშოების, მასამო-რაჭის სადროშოს, სარდლობა ჩააბარა. რაჭის ერისთავებს საკუთარი სათავადო ჰქონდათ, რომელიც თავდაპირველად მდ. ლუხუნის ხეობის ერთ ნაწილს მოიცავდა. რაჭის ერისთავთა მთავარი რეზიდენცია გახდა მინდაციხე და სასახლე სოფელ წესში.
XV-XVII საუკუნეების რაჭის საერისთაოში იმერეთის მეფეები ფლობდნენ ყმა მამულს. მათვე ეკუთვნოდათ ხოტევისა და კვარის ციხეები, სოფელი ნიკორწმინდა. საზაფხულო რეზიდენცია იყო სოფელი შაორი და სოფელი ამბროლაური. იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც სამეფოში ფეოდალური ანარქია სუფევდა, რაჭის ერისთავები შინა ომების აქტიური მონაწილეები და ხშირად ინიციატორებიც იყვნენ. მათ სურდათ: გაეფართოებინათ თავიანთი სათავადოები, თავი დაეღწიათ იმერეთის მეფის მოხელეობისაგან და საერისთავო დამოუკიდებელ სამთავროდ ექციათ.
თავდაპირველად ერისთავმა შოშიტა მეორემ იმერეთში გაჩაღებულ შინაომში კანონიერ მეფე ბაგრატ IV-ეს დაუჭირა მხარი. 1678 წელს შოშიტა არჩილ მესამეს იმერეთის სამეფო ტახტის დაკავებაში დაეხმარა. თუმცა შემდეგ ბაგრატ მეოთხეს თურქები დაეხმარნენ და არჩილი ტახტიდან გადაყენეს. 1679 წელს თურქები პირველად შეესივნენ რაჭას და სასტიკად ააოხრეს. რაჭის ერისთავებს არჩილის რუსეთში წასვლის შემდეგაც არ შეუწყვეტიათ ბრძოლა იმერეთის ხელისუფლებასთან. ერისთავმა შოშიტა მესამემ კარგი ურთიერთობა დაამყარა ქართლის მეფეებთან, განსაკუთრებით ვახტანგ VI-სთან.
თავდაპირველად რაჭის ერისთავები საერისთავოს თავადებს ეყრდნობოდნენ იმერეთის სამეფო ხელისუფლებასთან

ბრძოლაში. მოკავშირეებმა პირველ რიგში რაჭის საერისთვოში მეფის კუთვნილი ყმა-მამული მიითვისეს: იაშვილებმა-კვარისციხე, წულუკიძეებმა-ხოტევისა; სამეფო ყმა-მამულის დიდი ნაწილი კი რაჭის ერისთავების ხელში გადავიდა. იმერეთის მეფე სოლომონ პირველმა 1769 წლის მეორე ნახევარში როსტომი ოჯახიანად შეიპყრო, ხოლო რაჭის საერისთავო გააუქმა. 1784 წელს რაჭის საერისთავო იმერეთის მეფემ დავით გიორგის ძემ აღადგინა. მეფის გადაწყვეტილების მიღებაში დიდი როლი ითამაშა კაცია II დადიანმა. მეფემ ერისთვობა ერთ-ერთ თავის დისწულს ანტონს უბოძა. ამით უკმაყოფილო წულუკიძეებისა და წერეთლების გამოსვლა მარცხით დამთავრდა.

1785 წელს იმერეთის მეფემ რაჭის ერისთავად ანტონის ნაცვლად მისი მამა, გიორგი როსტომის ძე, დასვა. ბერი წულუკიძე და პაპუნა წერეთელი ახალციხეში გაიქცნენ და 1786 წლის ისნვარში 500 ლეკისა და 1000 თურქისაგან შემდგარი ლაშქრით რაჭაში შეიჭრნენ. იმერეთის მეფემ ოდიშის ლაშქარი მოიშველია და რაჭაში ილაშქრა. გადამწყვეტ ბრძოლაში 1786 წლის 26 იანვარს სოფელ სხვავასთან დავით გიორგის ძემ გაიმარჯვა, 1787 წელს გიორგი რაჭის ერისთავი ბრძოლაში დაიღუპა და მის ადგილას დავით გიორგის ძემ კვლავ ანტონ გიორგის-ძე დასვა. 1789 წელს იმერეთში გამეფდა სოლომონ II, რომელმაც საბოლოოდ გაუქმა რაჭის საერისთავო.

ვახუშტი ბაგრატიონი რაჭის შესახებ წერს: „...ბალახიან-ყუავილოვანნი, ნადირიან-ფრინველიანნი. და დებნები რაჭისანი, ამ მთათა კალთათა მყოფნი, არიან, ვითარცა შქმერი აღვსწერეთ, აგარაკად და მთის ადგილად; და ჩრდილოთ მზღვრის რაჭას კავკასი, რომელი განყოფს გლოლას, ღებს, ჭიორასა და დიგორს-ბასიანსა, ლიხუნსა და სუანეთსა, სადმელს, ტოლას და სუანეთსა. და ამ საზღვართ შინაგან არს რაჭა, ფრიად მაგარი მთითა, კლდითა, ხრამითა, ხევითა და ტყითა, შეუალი გარე მტრისაგან. ჰავით არს კეთილმშუენი, ზაფხულის გრილი, ზამთარ თბილი და უქარო, მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯ-ბამბისა ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი, ვენახნი, ხილნი,

მტილოვანნი ყოველნი. რიონის კერძოდ ამიერ და იმიერ, სრულიად რაჭას ესრეთ ნაყოფიერებს, არამედ მთათა კერძონი, ვითრცა სხუანი მთის ადგილნი. პირუყვნი, აქლემს გარდა, ყოველნი, და არა მრავლად. ცხოვარი უდუმო, ღორი - სიცოცხლე მათი. მდინარეთა კალმახნი მრავალნი, სხუა თევზი არარაი, არცა რიონსა შინა. კაცნი ტანოვანნი, მხნენი, ბრძოლასა შემმართებელნი, ძლიერნი. უსაქციელო-ბრიყუნი, უშუერ-მქცევნი, სხუათა მაოხარნი, მომხუეჭნი და ძვირნი. სახლობენ მთავარნი და აზნაურნი. ქალნი მშუენიერნი, მქცევნი ეგრეთნივნე, რბილნი. პირველად იყო რაჭა შორაპანის საერისთაო, მერმე იქმნა თვით საერისთაოდ, და შემდგომად კახაბერის მოწყუედისა ეპყრათ მეფეთა. მერმე ბაგრატ იმერთა მეფემან მისცა ჩხეიძეს ერისთობა, და აწცა არიან იგინი ერისთავად რაჭას, და არს მესამე სადროშო. ხოლო სახელი მოიგო გარემოსთა დიდროვანთა მთათაგან და შინაგან ღრმის ადგილობისა მიერ: „იხილე, რა ჭაა ადგილი ესე!““

რაჭველები — ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი. ძირითადად ცხოვრობენ მდინარე რიონის ზემო წელზე, ამბროლაურისა და ონის რაიონებში. რაჭის გარდა მათი კომპაქტური დასახლებებია ქვემო ქართლშიც - თეთრი წყაროსა და ბოლნისის რაიონებში. წარსულში ცნობილი იყვნენ როგორც განთქმული მშენებლები და ხაბაზები.რაჭველებისთვის დამახასიათებელი იყო კულტურისა და ყოფის ლოკალური თავისებურებები. საუბრობენ ქართული ენის რაჭულ დიალექტზე. ანთროპოლოგიურად (ქვემო) რაჭველები დასავლურ ქართულ ტიპს განეკუთვნებიან, რომელიც შავი ზღვის პირის ქართველებისგან ოდნავ ფართო სახით, შედარებით მსხვილი აღნაგობით გამოირჩევიან. ქვემო რაჭველები ხასიათდებიან საშუალოზე მაღალი აღნაგობით, ღია ფერის (ქერა, ძალიან ღია წაბლისფერი) თმითა და ღია და საშუალოზე ღია ფერის თვალებით (ცისფერიდან მუქ თაფლისფრამდე) ზემო რაჭველები განეკუთვნებიან კავკასიონის ქართულ ტიპს და გამოირჩევიან მკვეთრი ბრაქიკეფალიით, შედარებით დიდი ზომის თავით, მაღალი და ფართო ცხვირით,

თხელი ტუჩებით, საშუალო შეფერილობის (მუქი ქერა, ღია წაბლისფერი) თმით და საშუალოზე ღია ფერის (ცისფერი, ლურჯი, მწვანე, მუქი მწვანე, თაფლისფერი) თვალებით.

ვახუშტი ბაგრატიონი რაჭველებს ასე ახასიათებს: კაცნი ტანოვანნი, მხნენი, ბრძოლასა შემმართებელნი, ძლიერნი. უსაქციელო-ბრიყუნი, უშუერ-მქცევნი, სხუათა მაოხარნი, მომხუეჭნი და ძვირნი. ქალნი მშუენიერნი, მქცევნი ეგრეთნივნე, რბილნი.

„...რაჭას ძლიერ მშრომელი და მუყაითი ხალხი ასხია. აქ მარტო მამრობითი სქესი არ მუშაობს; ქალებიც მონაწილეობას იღებენ ყველა შრომაში... არა გვგონია, რომ საქართველოს რომელსამე კუთხეში ამ გვარი გამრჯელი ხალხი იპოვებოდეს, როგორც აქ, რაჭაში. თვით მათი აგებულების მოყვანილობა იმათ მხნეობას ცხადად გვიჩვენებს. ისინი კარგად ჩასხმულნი, ზომიერის ტანისა, მხარბეჭიანნი და ძარღვიანნი არიან. იმათი ტანსაცმელი დიდად არ განსხვავდება იმერლების ტანისამოსისაგან, მხოლოდ ზოგს მათგანს ხშირად ზურგზე დააქვს ცხვრის გუდა ან ხბოს ტყავის ხალთა, რის გამოც ვაკელები (ქვემო იმერლები) რაჭველებს დასცინიან... რაჭველები მძიმე ხალხია, იმათ აკლიათ თავისი საკუთრების ღირსების გრძნობა, თავიანთი თავის იმედი, რომელიც ძვირფასი რამ არის ხალხისათვის. არ არის საქები ის კვეხნა და ტრაბახი, რომელიც ზოგიერთმა კახელებმა და იმერლებმა იციან; მეორეს მხრით, არც თავის დამცირება და თავისი პატივის მოკლება ვარგა, როგორც რაჭველებს სჩვევიათ. ერთს გურულს გლეხსა ჰკითხეს: "აზნაური ხარ, თუ ყაზახიო (იმერეთში გლეხებს ყაზახს ეძახიან) და იმან თავმომწონედ უპასუხა: "კაი კი ვარ, კილავ, და რას ჩივი შენ, აზნაური ვარ, თუ არაო". ამ გვარს პასუხს ვერასოდეს ვერ გაიგონებდი რაჭველი გლეხისაგან წინათ."

მოსახლეობა. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს რაჭაში დაახლოებით ხუთი ათასი კომლი ცხოვრობდა. მთის რაჭაში და რაჭის სხვა მაღალმთიან სოფლებში ყოველი კომლი ე.წ. „დიდ ოჯახს" წარმოადგენდა, სადაც ერთად ცხოვრობდნენ მშობლები და მათი ვაჟიშვილები ოჯახებით. „დიდი ოჯახი" საშუალოდ ოცი სულისაგან შედგებოდა. რაჭის დანარჩენ სოფლებში „დიდი

ოჯახები” კომლთა დაახლოებით ნახევარს შეადგენდნენ. ამიტომ მთელ რაჭაში ყოველ კომლზე საშუალოდ ათი სული უნდა ყოფილიყო. ასე რომ, გასული საუკუნის დასაწყისში რაჭაში 50 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობდა. აქედან ომის დროს 5600 მეომარი გამოდიოდა, რაც იმ დროისათვის დიდი ძალა იყო.

რაჭის მოსახლეობა, 2000 წლის შეფასებით, 29,2 ათას კაცს შეადგენს, რაც საქართველოს მოსახლეობის 0,5 %-ია. სასოფლო მიწის ფონდების დიდი დეფიციტის გამო, რაჭიდან მოსახლეობის გაძლიერებული მიგრაცია ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაიწყო და დღემდე გრძელდება. ამის შედეგად, 1926 წლიდან (76,4 ათასი კაცი) რეგიონის მცხოვრებთა რიცხვი 2,6-ჯერ შემცირდა. ამავე პერიოდში რაჭის მოსახლეობის წლიური შემცირების საშუალო ტემპი 650 კაცს შეადგენს, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია და დეპოპულაციის აქტიურ გამოვლინებაზე მიუთითებს. რაჭის მოსახლეობის კატასტროფული და შემაშფოთებელი შემცირება განპირობებულია მისი, როგორც ბუნებრივი, ისე მექანიკური მოძრაობებით. ამ მხრივ აღსანიშნავია რაჭიდან ახალგაზრდობის მიგრაცია. მოსახლეობის კლებას, სოციალურ მიზეზებთან ერთად ხელი შეუწყო, აგრეთვე სტიქიური მოვლენების (მეწყერი, თოვლის ზვავები) გააქტიურებამ.

რაჭის მოსახლეობა, ძირითადად მდ. რიონის ხეობაშია განსახლებული. რეგიონის მცხოვრებთა 29%, ანუ 8,4 ათასი კაცი ქალაქში ცხოვრობს. რეგიონის 34 საკრებულოს 130-ზე მეტ სოფელში 20 ათასზე ოდნავ მეტი მოსახლეა. რაჭის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე (10 კაცი კმ2-ზე) ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელს თითქმის 8-ჯერ ჩამორჩება. რაჭის მოსახლეობის უმეტესობა (92 %) ქართველებია. მცირე რაოდენობით (4,2 %) ოსი ეროვნების მოსახლეობაა, რომელთა დიდი ნაწილი რეგიონის აღმოსავლეთ პერიფერიაზეა განსახლებული. რაჭა ტიპიური დეპოპულაციის რეგიონია. მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია აქ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. 1926 წელს მოსახლეობა 76 ათასი კაცი იყო. დღემდე მოსახლეობის რიცხვი 2,6-ჯერ შემცირდა. რაჭაში დეპოპულაციის გამომწვევ ძირითად ფაქტორებს წარმოადგენენ: სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური. პირველია დამუშავებისათვის ვარგისი მიწების სიმცირე, მრეწველობის

მცირე სიმძლავრეები, სატრანსპორტო ქსელის გაუმართაობა, ურბანიზაციის დაბალი დონე და მოსხლეობის ისტორიულად ჩამოყალიბებული მიგრაციული ქცევა: გადასახლება ბარის სოფლებსა და ქალაქებში; ეკოლოგიურმა კატასტროფებმა, მხარისათვის დამახასიათებელმა ბუნებრივ-სტიქიურმა მოვლენებმა: მეწყერებმა, მიწისძვრებმა, ეროზიულმა პროცესებმა, წყალმოვარდნებმა ეკოლოგიურ მიგრანტთა ნაკადები წარმოშვა. ტენდენციად ქცეულმა მიგრაციულმა ნაკადებმა სრულად შეცვალა დემოგრაფიული სურათი. სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის დარღვევის შედეგად მკვეთრად იკლო მოსახლეობის შობადობამ, რამაც განაპირობა ამ მხარეში ბუნებრივი მატების უარყოფითი სალდო.

რაჭის მოსახლეობა ძირითადად მდ.რიონის ხეობაშია განსახლებული. რეგიონის მცხოვრებთა 30 % 8 ათასი კაცი ქალაქში ცხოვრობს. 34 საკრებულოს 130 სოფელში 20 ათასი მოსახლეა. რაჭის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 10კაცია 1 კმ2-ზე. ეთნიკური სურათი ძირითადად ერთგვაროვანია: 92 % ქართველებია, 4 % ოსები, მცირე რაოდენობით ებრაელები, რუსები და ა.შ.

მეურნეობა. მრეწველობის დარგებიდან შედარებით განვითარებულია მოპოვებითი მრეწველობა. აქ წამყვანი როლი უკავია დარიშხანის, ბარიტისა და საშენი მასალების მოპოვება-დამუშავებას. კვების მრეწველობაში აღსანიშნავია რძის, ღვინისა და საკონსერვო ქარხნები. ადგილობრივი წვრილი საწარმოები ამზადებენ ფართო მოხმარების საგნებს.

მკაცრი ბუნებრივი პირობების, რთული რელიეფის, დამუშავებისათვის ვარგისი მიწების სიმცირის გამო სოფლის მეურნეობა შეზრუდულადაა განვიტარებული. რაჭის სოფლის მეურნეობა წარმოდგენილია მევენახეობით, მეხილეობითა და მებოსტნეობით. მისი მეურნეობა მთლიანად ადგილობრივ ნედლეულზეა დაფუძნებული. აქ მოჰყავთ ენდემური ვაზის ჯიში ხვანჭკარა, რომელიც ყველაზე ძვირადღირებული ყურძენია საქართველოში, მცირე რაოდენობით მოდის მხოლოდ ამ მხარეში და სამარკო სასმელს წარმოადგენს. აღნიშნული ჯიშის ყურძნისაგან ამზადებენ საექსპორტო დანიშნულების ღვინოებს, რომელიც გადის ევროპისა და მსოფლიოს სხვა რეგიონების ბაზარზე. ვენახების უმეტესი ნაწილი ამბროლაურის რაიონში მდებარეობს. ასევე ვაზის სხვა

ჯიშებიდან საქვეყნოდ ცნობილია რეგიონში გავრცელებული სახეობები: უსახელოური, საფერავი, მწვანე კახური, რქაწიტელი. აქაური ვაზის ჯიშებს მაღალი შაქრიანობა და შესაბამისი მჟავიანობა ახასიათებთ და ერთმანეთისაგან მკვეტრად განსხვავებული ფერი, სუნი და გემო ახასიათებთ. საექსპორტოდ ასევე გააქვთ: "უსახელოური", "თეთრა", "ბარაკონი".

რაჭის დაბლობი ზოლის ბუნებრივი პირობები ხელსაყრელია მეხილეობისათვის, თუმცა შედარებით მკაცრი კლიმატის გამო მოსავლიანობა დაბალია. აქ გავრცელებული მსხლის ჯიშებია: გულაბი და შავი მსხალი -"ბერა"; ვაშლის ჯიშები: თურაშაული, აბილაური, ყინულა, კიტრა; კომში, კაკალი, ლელვი და ბროწეული. ზ.დ.-დან 700 მეტრს ზემოთ განვითარებულია მარცვლეული მეურნეობა და მეცხოველეობა. ძირითადად მოჰყავთ სიმინდი. პარკოსნებიდან დომინანტია ლობიო. მხარის მარალი ზონის ბუნებრივი პირობები ხელს უწყობს მარალხარისხოვანი კარტოფილის მოყვანას. მის ნატესებს აქ საკმაო ფარტობი უკავია. იგი იწარმოება, როგორც პირადი მოხმარებისავის, ისე გასაყიდად. საკვებ კულტურებს წარმოადგენს იონჯა და სამყურა. მისი მოყვანა მხოლოდ ამბროლაურის რაიონში ხდება. მას განსაკუთრებული როლი ენიჭება მეცხოველეობის განვითარებისათვის, წარმოადგენს რა მათთვის საკვებ ბაზას და ძირითადად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისტვისაა განკუთვნილი.

მეცხოველეობა წარმოდგენილია სახორცე-სარძევე მიმართულების მესაქონლეობით. ზამთრის საზოვრების უქონლობის გამო, საქონელი ზაფხულში სუბალპურ და ალპურ საძოვრებზეა, ხოლო ზამთარში ბაგურ-ბანაკურ წესზე იმყოფება. ჰყავთ ასევე ღორი, ცხვარი და თხა. მისდევენ მეფრინველეობასა და მეფუტკრეობას. მრავალფეროვანი ტყის, ველისა და კულტურული მცენარეულობა მეფუტკრეობის განვითარებას უწყობს ხელს და შესაბამისად, მოსახლეობის დიდი ნაწილი მეფუტკრეობას მისდევს.

რაჭაში წარმოდგენილი ორი ქალაქი: ონი და ამბროლაური.

ონი: (5 ათასი მცხოვრები) რაჭის დედაქალაქი და რაიონული ცენტრია. იგი ზ.დ.-დან 860 მეტრზე მდებარეობს რიონის ვიწრო და ლამაზ ხეობაში, მდინარის მარცხენა სანაპიროზე. ქუთაისამდე საავტომობილო გზა 118 კმ-ია, ხოლო თბილისამდე

ერწოს ტბის და მდ.ფცის ხეობის გავლით 220 კმ. ქალაქში ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებთან ერთად წარმოდგენილია კვებისა და მსუბუქი მრეწველობის, აგრეთვე ხე-ტყის დამამუშავებელი რამოდენიმე საწარმო.
ამბროლაური: (3 ათასი მცხოვრები) რაიონული ცენტრი. ქალაქში წარმოდგენილია საზოგადოებრივი კვებისა და მომსახურეობის სფეროს ობიექტები. არსებობს რეგულარული საავტობუსო რეისები ქ.ქუთაისთან.
ტურიზმი და კურორტები. რაჭაში მრავლადაა ტურიზმისა და ალპინიზმის პერსპექტიული ობიექტები, სხვადასხვა სირთულისა და სიმარლის მწვერვალები: შოდა-კედელა, დოლომისი, ჭანჭახი, ბურჯულა, ლაბოდა; სამთო-საუღელტეხილო სპორტული ტურიზმის მოყვარულთათვის მამისონის, ვაციწვერას, ნოწარულას და სხვა უღელტეხილები. ჰიდროგრაფიული ქსელი, სახელდობრ მდინარეები: რიონი, ჯეჯორა, ჭანჭახი ვარგისია საწყალოსნო ტურიზმის - "რაფტინგის", ხოლო ბუნებრივი ჩანჩქერები: კინჩხა და თმორი კანიონინგის განვითარების კარგ შესაძლებლობებს იძლევა. საყინულეს გლეტჩერული კარსტი საინტერესოა სპელეოტურიზმით დაინტერესებულთათვის. ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის შემთხვევაში კარგი პერსპექტივები აქვს შაორის წყალსაცავს, რომელიც დასვენებისა და თევზჭერის მოყვარულ ტურისტთათვის საინტერესო ობიექტი იქნება.
კულტურული ტურიზმით დაინტერესებულთათვის აღსანიშნავია: ნიკორწმინდის ტაძარი (XI), ზემო კრიხის (XI), ბუგეულის (XIV–XV), პატარა ონის წმ. გიორგის (XI), "მრავალძალის" წმ.გიორგის (XI), ბარაკონის (XII) ტაძრები. მოქმედებს ონის მხარეთმცოდნეობისა და ამბროლაურის სახვითი ხელოვნების **მუზეუმები.**
კურორტები. შოვი. მდებარეობს ონის რაიონში, 16 კმ/ზე სამხრეთ-აღმოსავლეთით მამისონის უღელტეხილიდან, 30 კმ-ზე ჩრდილო-დასავლეთით რაიონული ცენტრიდან, 147 კმ-ზე ცღდილო აღმოსავლეთით ქ.ქუთაისიდან და 230 კმ-ზე ქ.თბილისიდან, მდ.ბუბასა და მდ.ჭანჭახის სედა წელში, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ ფერდობზე, ზ.დ.-დან 1600 მ სიმაღლეზე. კურორტის გარშემო მთის ფერდობები დაფარულია ძირითადად წიწვიანი ტყეებით (ნაძვი,

სოჭი, ფიჭვი), რომლებიც ზემოთ იცვლება სუბალპური და ალპური ზონის მცენარეულობით.
კლიმატი შუამთისაა, ზამთარი ზომიერად რბილია თოვლის მდგრადი საფარით (იანვრის საშუალო ტემპერატურაა -5,8). ზაფხული ზომიერად თბილია (აგვისტოს საშულო ტემპერატუაა +15,7). ნალექების რაოდენობაა 1700 მმ. ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა ზაფხულში 50-60 %-ია, ზამთარში 70 %. ჰაერი გამოირცევა სისუფთავითა და სიგრილით. ჭარბობს ზომიერი და სუსტი მთა-ხეობის ქარები.
აქ წარმოდგენილია მინერალური წყლების მრავალი ამოსასვლელი, რომლებიც მიეკუთვნება ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატულ, კალციუმ-ნატრიუმიან რკინის შემცველ წყლებს. მათ იყენებენ სასმელ-სამკურნალოდ.
კურორტი ფუნქციონირებს სეზონურად წლის თბილ თვეებში (ივნისიდან ნოემბრამდე). იგი დადებითად მოქმედებს სასუნთქ ორგანოთა (არატუბერკულიოზური ხასიათის) დაავადებებზე, მათ შორის ბრონქიალურ ასთმაზე და ანემიის ზოგიერთ ფორმაზე. მინერალური წყლები გამოიყენებასაჭმლის მომნელებელ ორგანოთა დაავადებების სამკურნალოდ. გარდა ამისა შოვის მთის კლიმატი ფართო გამოყენებას პოულობს ბავშვთა ასაკში გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარების მიზნით.
ავადმყოფებსა და რეკრეანტებს ემსახურება შოვის ტურბაზა და დასასვენებელი სახლები.
მგზავრობა: ავტოტრანსპორტით თბილისიდან და ქუთაისიდან ამბროლაურისა და ონის გავლით.

უწერა

მდებარეობს ონის რაიონში, 13 კმ-ზე რაიონული ცენტრიდან, 130 კმ-ზე ქ.ქუტაისისდან და 215 კმ-ზე ქ.თბილისიდან. განლაგებულია მდ.რიონის ხეობაში, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ ფერდობზე, ზ.დ.-დან 1020-1150 მ-ის სიმაღლეზე. გარშემო მდებარე მტები დაფარულია შერეული ტყით (სოჭი, ნაძვი, ფიჭვი, მუხა, წიფელი, რცხილა).
კლიმატი შუამთისაა, ზამთარი ზომიერად რბილია, თოვლიანი (იანვრის თვის საშუალო ტემპერატურაა +17). ნალექების რაოდენობა 1700 მმ-ია. ჭარბობს მთა-ველის ქარები, რომლებიც უზრუნველყოფენ ადგილმდებარეობის ვენტილაციას.

სამკურნალო ფაქტორს შუამთის კლიმატი და მინერალური წყლები წარმოადგენს. მინერალური შემაადგენლობით ისინი მიეკუთვნებიან ნახშირმჟავა წყლებს, რომელთა შორის გამოყოფენ ორ სახესხვაობას: ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიანი, მინერალიზაციით 5-12 გ/ლ (“ბორჯომის“ ტიპის) და ჰიდროკარბონატული, კალციუმიანი, რკინის შემცველობით 15-17 მგ/ლ და მინერალიზაციით 1-3 გ/ლ (ნარზანის ტიპიოს). ბორჯომის წყლების ტიპის დჭე-ღამური დებიტი შეადგენს 50 ათას ლიტრს, ხოლო ნარზანის ტიპის 500 ათას ლიტრს. ისინი ძირითადად გამოიყენებიან სასმელ-სამკურნალოდ და სააბაზანო პროცედურებისათვის. ადრე წარმოებდა “უწერას ტიპის წყლის ჩამოსხმა, ამჟამად ეს ქარხანა ამორტიზებულია.

მაღალეფექტურმა მინერალურმა წყლებმა, კავკასიონის მთების სუფთა ჰაერმა, დიდებულმა ლანდშაფტებმა და ტყეებით დაფარულმა მთის ფერდობების ულამაზესმა პანორამამ შეუქმნეს კურორტს დამსახურებული პოპულარობა.

უწერა ფუნქციონირებს ზაფხულის სეზონში (მაისის დასაწყისიდან ნოემბრამდე). ემსახურება ძირითადად საჭმლის მომნელებელ ორგანოთა დაავადებებით შეწუხებულ რეკრეანტებს. მათ მომსახურეობას უწევს გასტროენტეროლოგიური პროფილის სამკურნალო პროფილაქტორიუმები.

მგზავრობა: ქ.ქუთაისიდა ან ქ.თბილისიდან.

სორუტანი

მდებარეობს ონის რაიონში, რაიონული ცენტრის განაპირას, რაჭის ქედის ძირში, ზ.დ.-დან 788 მ-ის სიმაღლეზე. მცენარეულობა წარმოდგენილია ფოთლოვანი ტყეებით (მუხა, წიფელი, რცხილა, ნეკერჩხალი).

კლიმატი დაბალმთიანია, ხასიათდება რბილი, თითქმის უთოვლო ზამთრით (იანვრის საშუალო ტემპერატურაა -1) და თბილი ზაფხულით (აგვისტოს თვის საშუალო ტემპერატურაა +20.4). ნალექების რაოდენობა წლიურად 1048 მმ-მდე აღწევს. ირგვლივ დაცულია კავკასიონის მთებით, ძლიერი ქარები არ იცის. კურორტის ძლიერი სამკურნალო ფაქტორია მინერალური წყლები, რომელთა დღე-ღამის დებიტი აღწევს 400 000 ლიტრს. ქიმიური შემადგენლობით მიეკუთვნება ნახშირმჟავა, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ ნატრიუმინ (“ესენტუკის“ ტიპის) წყლებს, მინერალიზაციით 3-11 გ/ლ (ტემპერატურა 13-16).

ეს წყლები ეფექტურია საჭმლის მომნელებელ ორგანოთა დაავადებების დროს, მაგრამ გამოიყენება სააბაზანო პროცედურების სახით საყრდენ-სამოძრაო აპარატის დაავადებათა შემთხვევაშიც.
მგზავრობა: ავტოტრანსპორტით ქ.ქუთაისიდან.

ხიდიკარი

მდებარეობს ამბროლაურის რაიონში, რაიონიდან 4 კმ-ის დაშორებით, მდ.რიონის მარცხენა სანაპიროზე, რაჭის ქედის მთისწინეთში, ზ.დ.-დან 680 მ-ის სიმაღლეზე. მცენარეულობა წარმოდგენილია ფოთლოვანი ტყეებით (მუხა, წიფელი, რცხილა) და ხეხილის ბაღებით.
კლიმატი სუბტროპიკულია, რბილი მცირეთოვლიანი ზამთრით (იანვრის საშუალო ტემპერატურაა -0,3) და ძალიან თბილი ზაფხულით (აგვისტოს თვის საშუალო ტემპერატურაა +22,1). ნალექების რაოდენობა წლიურად 1000 მმ-მდე აღწევს. ძლიერი ქარები არ იცის. კურორტზე არის მინერალური წყლები, რომელთა დღე-ღამის დებიტი აღწევს 50 000 ლიტრს. ქიმიური შემადგენლობით მიეკუთვნება სუსტ სულფიდურ, ჰიდროკარბონატულ, კალციუმ-ნატრიუმიან წყლებს, მინერალიზაციით 0,7-0,8 გ/ლ (ტემპერატურა 13-16). ეს წყლები გამოიყენება სააბაზანო პროცედურების სახით საყრდენ-სამოძრაო აპარატის დაავადებათა შემთხვევაში.
მგზავრობა: ავტოტრანსპორტით ქ.ქუთაისიდან.

ბუგეული

მდებარეობს ამბროლაურის რაიონში, რაიონიდან 12 კმ-ის დაშორებით, მდ.რიონის ზხეობაში, რაჭის ქედის მთისწინეთში, ზ.დ.-დან 560 მ-ის სიმაღლეზე. მცენარეულობა წარმოდგენილია ფოთლოვანი ტყეებით (მუხა, წიფელი, რცხილა) და ხეხილის ნარგავებით.
კლიმატი სუბტროპიკულია, რბილი ზამთრით (იანვრის საშუალო ტემპერატურაა -0,3) და ძალიან თბილი ზაფხულით (აგვისტოს თვის საშუალო ტემპერატურაა +22). ნალექების რაოდენობა წლიურად 1075 მმ-მდე აღწევს. ძლიერი ქარები არ იცის. კურორტზე დაბალმთიანი სასიამოვნო კლიმატის გარდა არის მინერალური წყლები, რომელთა დღე-ღამის დებიტი აღწევს 10 000 ლიტრს. ქიმიური შემადგენლობით მიეკუთვნება სუსტად სულფიდურ, ჰიდროკარბონატულ, მაგნიუმ-კალციუმიან ან მაგნიუმ-კალციუმ-ნატრიუმიან წყლებს თავისუფალი

გოგირდწყალბადის 4 მგ/ლ შემცველობით. მინერალური წყლები გამოიყენება სააბაზანო პროცედურების სახით საყრდენ-სამოძრაო აპარატის დაავადებათა შემთხვევაში.
მგზავრობა: ავტოტრანსპორტით .ქუთაისიდან.
ტერმინი რაჭა და ლეჩხუმი. რაჭველებისა და რაჭის დასახელებას ვხვდებით VII საუკუნის სომეხი-ანონიმი გეოგრაფის თხზულებაში. მის მიერ მდ. რიონის სათავეებში მოხსენიებულია „რაჭანები," რომლებიც რაჭველების წინაპრები უნდა იყოს. აქვე მოხსენებულია „ხუბურები" - „ღებურები" – ღებელები და „ქუდეტები" – კუდაროელები.
თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი „რაჭას" იხსენიებს თამარის მეფედ კურთხევის აღწერისას. ამავე მატიანეში „ლეჩხუმი" საერთოდ არ ჩანს, რადგან მის მონაცვლე ტერმინად „თაკვერია" გამოყენებული. სახელწოდება „რაჭის" წარმოშობის პროცესი უნდა მომხდარიყო XI-XII საუკუნეებიდან, რაჭის დაწინაურების კვალობაზე: ჟამთააღმწერელის (XIV ს.) მიერ რაჭა პირველად ფიქსირებულია როგორც „ქვეყანა რაჭისა." მემატიანე მრავალგზის ასახელებს რაჭის ერისთავს. ჩანს, ამ დროს რაჭასთან ერთად იყო თაკვერი, ე.ი. ლეჩხუმი.
არქეოლოგია. რაჭის ტერიტორიის მრავალ უბანზე გამოვლენილია ნეოლითის და ბრინჯაოს ხანის ნივთები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო კუთხის, არამედ ქვეყნის ისტორიის შესწავლისათვის. ქვის ხანის ადამიანთა სადგომები რაჭის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არაა აღმოჩენილი, სამაგიეროდ კარგადაა შესწავლილი ბრინჯაოს ხანის სამარხი ნივთები. სოფელ ღების მახლობლად ბრილის ტერასაზე 1939 წლიდან დაიწყო ძველი სამაროვანის არქეოლოგიური გათხრა. სამაროვანი რამდენიმე ფენისაგან შედგება. აქ სულ ცოტა ოთხი თანამიმდევარი ფენა გამოირჩევა, რომელთა შორის უძველესი ეკუთვნის ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის შუახანებს, ხოლო უახლოესი – ახალი წელთაღრიცხვის მესამე, მეოთხე საუკუნეებს. სამაროვანის ქვედა ფენიდან აღმოჩენილი მასალები ასახავს იმდროინდელი მოსახლეობის ყოფის სურათს. ეს უძველესი სამარხები ეკუთვნის გვაროვნულ საზოგადოებას. უფრო გვიანდელ სამარხებში უკვე მოჩანს პირველყოფილი თემური წყობილების ბზარი – ე.წ. გვაროვნული არისტოკრატიის გამოყოფის პროცესი. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ რიონის ზემო წელში

მცხოვრები ქართველები საკმაოდ დახელოვნებული ყოფილან ლითონის წარმოებით. აქვე ნაპოვნია ბალთები, სამაჯურები, ვერცხლის გულსაბნევები, ვერძის თავები, მძივები და სხვა. რაჭის სხვადასხვა მხარეში ნაპოვნია აგრეთვე ნეოლითის ხანის ნივთები: მადნის სასრესი ქვები, პირდაკბილული შუბის პირები, ქვის ცულები, ქვის სალესი და სხვადასხვა. შუა ბრინჯაოს ხანის ნივთები თავის ფორმით შესრულებულია გემოვნებით, სრულფასოვნად. ცულების შესანიშნავი ნაკეთობანი, ასევე ორნამენტებით შემკული ცელები საყურადღებოა როგორც ძველი ქართული ნივთიერი კულტურის განვითარების მანიშნებელნი.

ამ პერიოდის მოსახლეობაში გავრცელებული ყოფილა ცულისა და ცხვრის კულტი. ალპური საძოვრები ხელს უწყობდა მესაქონლეობის განვითარებას. რაჭის ტერიტორიის ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში. განსაკუთრებით მთის სოფლებში წედისში, შქმერში, ონჭევში, საკაოში მოპოვებულია მდიდარი არქეოლოგიური მასალა. მრავლადაა აღმოჩენილი ნეოლითისა და ენეოლითის ხანის ადამიანის საბრძოლო და სამუშაო იარაღები: ისრის, სატევრის, შუბის ნამსხვრევები და სხვა იმდროინდელი საგნები, აგრეთვე მონეტები, თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს ყელსაბამები.

თხმორის განძიდან განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თოხებს, რომლებიც ერთიმეორისაგან განსხვავდებიან. მცირე ფორმის თოხების არსებობა მიგვითითებს ამ მხარეში მებაღეობის ტიპის მიწათმოქმედების განვითარებაზე.

რაჭის ტერიტორიაზე ლითონის წარმოება მეორე ათასწლეულში დაწყებულა. მოცემულია ძველი წარმოების რკინის ცულები – ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე, მექვსე საუკუნე. რკინის დამუშავების ხანგძლივი ისტორიის მაჩვენებელია გეოგრაფიული პუნქტის სახელებიც: „წედისი", „ნამჭედური" და სხვა. არსებული სიტყვიერი ცნობებით და ზოგიერთი ფაქტიური მონაცემების საფუძველზე რკინის მოპოვება – დამუშავება ოთხ უბანზე წარმოებდა: შაორის, რიცეულის, ჯეჯორის და რიონის ზედა წელში. სოფელი წედისი იმ დროისათვის საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეტალურგიულ კერას წარმოადგენდა. მეთერთმეტე საუკუნეში გარკვევით იხსენიება წედისური რკინის ზოდები და სახნისები, რომლებიც ვაჭრობის საგნებს წარმოადგენდნენ.

მეთვრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში ვახუშტი ბაგრატიონი წედისის რკინის შესახებ წერდა: „აქ არის ლითონი რკინისა და იღებენ მრავალსა.” აქ წარმოებული რკინა მაღალი ხარისხის იყო. ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გამოფენაშია წედისური ძველი უნიკალური გრდემლი, კერია, სახნისი, ნაჭედი ჩოგნები და სხვა მრავალი იარაღი. წედისური რკინის დამუშავებით დაინტერესდა გერმანელი მოგზაური გიულდენშტენდი, მაგრამ წედისელები მისი დამუშავების ტექნიკას საიდუმლოდ ინახავდნენ. 1826 წელში სოფელ წედისში, როგორც ამას ისტორია გვეუბნება არსებობდა 19 რკინის გამოსადნობი ღუმელი. მიღებული რკინა თავისი სიმტკიცით და შემცველობით ფოლადს უახლოვდებოდა. რკინის მადანი რამდენიმე სახისა იყო, თვითეული მადნის თვისებები შესწავლილი ჰქონდათ და მის წარმოება- დამუშავებას საიდუმლოდ ინახავდნენ. ონის მუზეუმის გამოფენაში ინახება, აგრეთვე, გრდემლი, სადნობი ღუმელის მაკეთი, ხუთთითა და სამთითა შამფურები, კერიის მოწყობილობა და სხვა სამეურნეო იარაღები.

ადამიანის მიერ ლითონის იარაღის დამზადება და გამოყენება მთელი კაცობრიობისათვის უდიდესი ტექნიკური პროგრესი იყო. ტექნიკაში ადამიანთა ამ გრანდიოზულ ნაბიჯს მოჰყვა შრომის გადანაწილება, კერძო საკუთრების გაჩენა, ჩაისახა ადამიანთა შრომის ქონებრივი უთანასწორობა და ამ ცვლილებების შესაბამისად ჩამოყალიბდა პოლიტიკური ორგანიზაცია – სახელმწიფო.

ისტორიული განვითარება. რაჭა დასახლებულია ძვ. ქვის ხანიდან (სოფ. ქვედთან, ერთ-ერთ მღვიმეში, მეზოლითის ხანის ნამოსახლარი აღმოჩნდა), გონასა და ღების მიდამოებში მიკვლეულია სპილენძისა და დარიშხანის ძვ. მაღაროები, აქ ბრინჯაოს წარმოება შუა ბრინჯაოს ხანაში უნდა დაწყებულიყო. რაჭაში გამოვლენილია აგრეთვე სამაროვნები, რომლებიც შეიცავენ უძველეს კულტურულ ფენებს (ბრინჯაოს ხანიდან ადრინდელი ანტიკური ხანის ჩათვლით).

თავიდან რაჭა თაკვერთან ერთად ქმნიდა თაკვერის საერისთავოს, რომელიც ეგრისის სამეფოში შედიოდა, შემდგომში რაჭა-ლეჩხუმის საერისთავოში იყო გაერთიანებული. X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, ერთიანი ქართული მონარქიის შექმნის შემდეგ შეიქმნა რაჭის საერისთავო.

წერილობითი წყაროების მიხედვით, რაჭის პირველი ერისთავი იყო რატი ბაღვაშთა საგვარეულოდან. რატის შემდეგ რაჭის ერისთავი იყო მისი ძე კახაბერი, მისი სახელიდან მოდის გვარსახელი კახაბერისძე, რომელსაც შუა ფეოდალურ ხანაში ატარებდა ბაღვაშთა ის შტო, რომელიც რაჭას განაგებდა. რაჭის საერისთაო ერთიან საქართველოს სამეფოში მნიშვნელოვან ერთეულს წარმოადგენდა, მისი ერისთავები დიდ როლს თამაშობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

X-XIII სს-ში რაჭის საერისთაოს ჩრდილოეთით სვანეთის საერისთავო ესაზღვრებოდა. მათი გამყოფი იყო ლეჩხუმის ქედი. კავკასიონის მთავარ ქედამდე რაჭის საერისთავო მდინარე ჭანჭახის სათავეებამდე აღწევდა. სამხრეთით რაჭის ქედი ესაზღვრებოდა, დასავლეთით თაკვერიდან მას გამოყოფდა გუელისთავის ქედი (ლაბეჭინის სერი), ხოლო უშუალოდ მდ. რიონის ხეობაში – ის ვიწროები, რომლებიც სოფ. ალპანის სამხრეთით იწყება მდ. ჯეჯორის აუზში საზღვრები დაღვერილას ქედამდე აღწევდა. ამ ქედის ჩრდილოეთით მხარე კუდარო იყო.

X-XIII საუკუნეებში რაჭის ერისთავები მეფის მოხელეებს წარმოადგენდნენ, მათ ევალებოდათ საერისთავოში სამეფო გადასახადების აკრეფა, ლაშქრის გამოყვანა და წინამძოლობა. ამ პერიოდში რაჭის ერისთავთა მთავარი რეზიდენცია მანდაციხე იყო. დიდი ციხე-დარბაზი იყო კვარის ციხეც.

X-XIII სს-ში რაჭის საერისთაო დაყოფილი იყო ცალკეულ ხევებად, რომლებიც ერთ ან რამდენიმე სოფელს აერთიანებდნენ. ხევში გლეხებთან ერთად ხევის აზნაურებიც შედიოდნენ. თითოეულ ხევს ჰქონდა თავისი სამლოცველო, რაჭის მთავარ დღეობაზე მთელი ხევის მოსახლეობა იყრიდა თავს.

X-XIII სს-ში რაჭის საერისთავოში ქართული ხელოვნების მრავალი ძეგლი ააგეს (პატარა ონის, მთის წმინდა გიორგის, კრიხის საყდრები, ნიკორწმინდის ტაძარი და სხვა).

XIII ს. 80-იან წლებში დავით VI ნარინმა გააუქმა რაჭის საერისთაო და სახასო მამულად აქცია. კახაბერისძეთა საგვარეულო, როგორც ჩანს, ამოწყდა.

XIV ს. 30-იან წლებში გიორგი V ბრწყინვალემ საქართველოს ერთიანობა აღადგინა და რაჭა მის შემადგენლობაში შევიდა. შემდეგში საქართველოს მეფეებმა რაჭის საერისთავო ისევ

აღადგინეს. თავდაპირველად რაჭის ერისთავთა ტიტულს ჭარელიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები ატარებდნენ, ხოლო დაახლოებით 1488 წლიდან – ჩხეტიძეები.

XV ს. II ნახევარში, საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ რაჭის საერისთაო იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. დაახლოებით ამ პერიოდში რაჭის საერისთაოს შემადგენლობაში შევიდა ძველი სვანეთის საერისთავოს ერთი ნაწილი - „მთიულეთი" (მდ. რიონისა და ცხენისწყლის სათავეებში). გვიანდელ შუა საუკუნეებში რაჭის საერისთავოს ჩრდილო აღმოსავლეთით უშუალოდ კავკასიონის მთავარ ქედს ებჯინებოდა. სვანეთიდან მას ლეჩხუმის ქედი მიჯნავდა, ლეჩხუმიდან – მდ. ასკისწყალი, ხოლო მდ. რიონის სამხრეთით – რაჭის ქედი, რომელიც რაჭის საერისთავოს იმერეთისაგან გამოყოფდა. გვიანდელ შუა საუკუნეებში მდ. ჯეჯორის ხეობაში საკუთრივ რაჭის საზღვრები დაღვერილას ქედამდე აღწევდა. ამ მდინარის ზემოთში მდებარე კუდარო უმეტეს შემთხვევაში რაჭის ერისთავებს ემორჩილებოდა. თავდაპირველად კუდარო ქართველებით იყო დასახლებული. XV-XVII სს-ში მათი ადგილი დვალეთიდან გადმოსულმა ოსებმა დაიკავეს.

XVI 30-იან წლებში იმერეთის მეფემ ბაგრატ III-მ რაჭის ერისთავებს მინდაციხე დარბაზი გადასცა და იმერეთის სამეფოს ახლად შექმნილი სადროშოების მესამე – რაჭის სადროშოს – სარდლობა ჩააბარა. რაჭის ერისთავებს საკუთარი სათავადო ჰქონდათ, რომელიც თავდაპირველად მდ. ლეხუნის ხეობას, სოფ. წესსა და მდ. რიონის ხეობის ერთ ნაწილს მოიცავდა. რაჭის ერისთავთა მთავარი რეზიდენცია გახდა მინდაციხე და სასახლე სოფ. წესში. აქვე იდგა ერისთავთა საგვარეულო ეკლესია – ბარაკონი. XV ს-ში რაჭის საერისთაოს აზნაურები იყვნენ ჭარელიძეები, ბაქრაძეები, კოტრიძეები, ჯაფარიძეები, ლაშხიშვილები და გარაყანიძეები. მომდევნო ხანაში ჭარელიძეები, კოტრიძეები გადაშენდნენ. გარაყანიძეებმა და ლაშხიშვილებმა რაჭა დატოვეს. ჯაფარიძეებმა თავიანთი სათავადო ჩამოაყალიბეს. XVI-XVII სს-ში შეიქმნა წულუკიძეების, იაშვილებისა და ყიფიანების სათავადოები.

XV-XVII სს. რაჭის საერისთაოში იმერეთის მეფეები ფლობდნენ ყმა-მამულს, მათვე ეკუთვნოდათ ხოტევისა და კვარის ციხეები, სოფ. ნიკორწმინდა, საზაფხულო რეზიდენცია იყო სოფ. შაორი,

სოფ. ამბროლაური. იმერეთის მეფის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც სამეფოში ფეოდალური ანარქია სუფევდა, რაჭის ერისთავები შინაომების აქტიური მონაწილეები და ხშირად ინიციატორებიც იყვნენ. მათ, სურდათ გაეფართოებინათ თავიანთი სათავადოები, თავი დაეღწიათ იმერეთის მეფის მოხელეობისაგან და საერისთავო დამოუკიდებელ სამთავროდ ექციათ. თავდაპირველად ერისთავმა შოშიტა II-მ იმერეთში გაჩაღებულ შინაომში კანონიერ მეფეს ბაგრატ IV-ს დაუჭირა მხარი. 1678 წელს შოშიტა დაეხმარა არჩილ II-ს იმერეთის სამეფო ტახტის დაკავებაში. ბაგრატ IV-ს თურქები დაეხმარნენ და არჩილი ტახტიდან გადააყენეს. 1679 წელს თურქები პირველად შეესივნენ რაჭას და სასტიკად ააოხრეს. რაჭის ერისთავებს არჩილის რუსეთში წასვლის შემდეგაც არ შეუწყვეტიათ ბრძოლა იმერეთის ხელისუფლებასთან. ერისთავმა შოშიტა III-მ კარგი ურთიერთობა დაამყარა ქართლის მეფეებთან, განსაკუთრებით ვახტანგ VI-თან. თავდაპირველად რაჭის ერისთავები საერისთავოს თავადებს ეყრდნობოდნენ იმერეთის სამეფო ხელისუფლებასთან ბრძოლაში. მოკავშირეებმა პირველ რიგში რაჭის საერისთავოში მეფის კუთვნილი ყმა-მამულები მიითვისეს: იაშვილებმა – კვარის ციხე, წულუკიძეებმა – ხოტევისა; სამეფო ყმა-მამულის დიდი ნაწილი კი რაჭის ერისთავების ხელში გადავიდა. მათვე დაიმორჩილეს რაჭის აზნაურთა დიდი ნაწილი, ზოგიც საერისთავოს ტერიტორიიდან გააძევეს. შოშიტა III-მ ჯერ ჯაფარიძეები დაიმორჩილა, შემდეგ კი იაშვილებს კვარისა და სადმელის ციხეები ჩამოართვა და რაჭიდან გააძევა. როსტომ რაჭის ერისთავის დროს რაჭის საერისთავო ფაქტობრივად დამოუკიდებელ სამთავროს წარმოადგენდა, მაგრამ იმერეთის მეფე სოლომონ I-მა 1769 წლის II ნახევარში როსტომი ოჯახიანად შეიპყრო, ხოლო რაჭის საერისთავო გააუქმა.

1784 წელს რაჭის საერისთაო იმერეთის მეფემ დავით გიორგის ძემ აღადგინა. მეფის გადაწყვეტილების მიღებაში დიდი როლი ითამაშა კაცია II დადიანმა. მეფემ ერისთავობა ერთ-ერთ თავის დისწულს ანტონს უბოძა. ამით უკმაყოფილო წულუკიძეებისა და წერეთლების გამოსვლა მარცხით დამთავრდა. 1785 წელს იმერეთის მეფემ რაჭის ერისთავად ანტონის ნაცვლად მისი მამა, გიორგი როსტომის ძე დასვა. ბერი წულუკიძე და პაპუნა წერეთელი ახალციხეში გაიქცნენ და 1786 წლის იანვარში 500

ლეკისა და 1000 თურქისაგან შემდგარი ლაშქრით რაჭაში შეიჭრნენ. იმერეთის მეფემ ოდიშის ლაშქარი მოიშველია და რაჭაში ილაშქრა. გადამწყვეტ ბრძოლაში 1786 წლის 26 იანვარს სოფ. სხვავასთან დავით გიორგის ძემ გაიმარჯვა, 1787 წელს გიორგი რაჭის ერისთავი ბრძოლაში დაიღუპა და მის ადგილას დავით გიორგის ძემ კვლავ ანტონ გიორგის ძე დასვა. 1789 წელს იმერეთში გამეფთდა სოლომონ II, რომელმაც საბოლოოდ გააუქმა რაჭის საერისთავო.

იმერეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების (1810) შემდეგ, ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე რაჭა 1811 წლიდან რაჭის ოკრუგის სახელწოდებით იმერეთის ოლქის შემადგენლობაში იყო. ადმინისტრაციული ცენტრით ონი, ფართობი 2857 კმ2, მოსახლეობა 72742 კაცი (XIX ს. მიწურულის მონაცემები). 1840 წლიდან ეწოდა რაჭის უბანი და შევიდა საქართველო-იმერეთის გუბერნიის ქუთაისის მაზრის შემადგენლობაში. 1846 წელს ქუთაისის გუბერნიის შექმნის შემდეგ, რაჭის უბანს დაემატა ოსეთის ოკრუგის მამისონის ხეობის სოფლები და იწოდა რაჭის მაზრად; იყოფოდა ბუგეულის, კუდარო-მამისონის, უწერისა და ხოტევის უბნებად, ხოლო 1888 წლიდან ამბროლაურისა და ონის უბნებად. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების (1921) შემდეგ შეიქმნა იმავე რაჭის მაზრის სახელწოდების ახალი ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც 1928 წელს გაერთიანდა ლეჩხუმის მაზრასთან და იწოდა რაჭა-ლეჩხუმის მაზრად. გაუქმდა 1930 წელს. მოიცავდა 3 რაიონის (ამბროლაური, ონი და ჭრებალო) ტერიტორიას.

მატერიალური კულტურის ძეგლები:

ამბროლაურის რაიონი:

ამბროლაური, კოშკები, გვიანი შუასაუკუნეები.

ბეილევი, ეკლესია, XV სს. არის მოხატულობა და წარწერები ფრესკული.

ბუგეული, ეკლესია ღვთისმშობლისა, XIV-XV სს. არის მოხატულობა XVI-XVII სს.

გორისუბანი, ეკლესია წმ. ბარბარესი (ნანგრევები), X-XI სს. არის მოხატულობის ფრაგმენტები.

ველევი, ეკლესია, XV ს. არის მოხატულობა XV ს-ის.

ზედა შავრა, ეკლესია წმ მარიამის, XIXს. ორნამეტირებული ქვების ფრაგმენტები XIს.

ზედა შავრა, მიდამოები-კვერთა, ეკლესია, XI ს.
ზედა შავრა, მიდამოები-ლეკნარი, ეკლესია წმ. გიორგისა, IX-XI სს.
ზემო კრიხი, მიდამოები, ეკლესია მთავარანგელოზისა, X და XI სს. არის მოხატულობა XI ს. წარწერა ლაპიდარული და კანკელის ფრაგმენტები.
კლდისუბანი, კომპლექსი, IX-X სს.
კლდისუბანი, ეკლესია, IX-X სს.
კლდისუბანი, ეკლესია წმ. ილიასი, X-XI სს.
კლდისუბანი, კოშკები იაშვილისა, გვიანი შუასაუკუნეები.
კორტი, ეკლესია „კვირიკეწმინდა", IX-XI სს. არის წარწერა ლაპიდარული.
მუხლი, ეკლესია. IX-X სს.
პატარა ონი, ეკლესია „რაკეთის წმ. ნიკოლოზისა," XI ს. დასაწყისი, წარწერიანი ქვა გადატანილია ქუთაისის მუზეუმში.
პატარა ონი, ეკლესია წმ. გიორგისა, შუა საუკუნეები, ორნამენტირებული ფრაგმენტები, არის წარწერები ლაპიდარული.
პატარა ონი, ციხე, შუა საუკუნეები.
პირველი ტოლა, ციხე, შუა საუკუნეები.
პირველი ტოლა, ციხე, გვიანი შუასაუკუნეები.
სინათლე (ნიკორწმინდა), 1. ეკლესია გუმბათიანი, 1014 წ. არის მოხატულობა XVI სს. და წარწერები ლაპიდარული. 2. სამრეკლო, XIX ს-ეს განეკუთვნება.
მეათე საუკუნის ბოლოს რაჭის საერისთავოს შექმნის შემდეგ, საძირკველი ჩაეყარა დიდ ტაძარს, რომელიც ამ საერისთავოს რელიგიურ ცენტრად უნდა ქცეულიყო. ორი ათეული წლის შემდეგ მშენებლობა დასრულდა. ახლად აგებული ტაძარი ნიკოლოზ წმიდის, ნიკოლაოს წმიდის სახელობის იყო. ამიტომ საყდარსაც ნიკოლოზწმიდა ეწოდა, რომელიც შემდეგ ნიკორწმინდათ შეიცვალა. ტაძარმა თავისი სახელი სოფელსაც მისცა.
ნიკორწმინდის ტაძრის დასავლეთის შესასვლელს ნახევარწრიული ქვის ფილა-ტიმპანი ადევს. ტიმპანის შუაში რელიეფური გამოსახულებანია, ასომთავრული წარწერებით. წარწერაში მოხსენებულია ერთიანი საქართველოს მეფე ბაგრატ III კურაპალატი. იგი 1014 წ. გარდაიცვალა. სწორედ მისი მეფობის მიწურულს დასრულდა ნიკორწმინდის ტაძრის მშენებლობაც.

ნიკორწმინდის ტაძარი ექვსფასადიანი, ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობაა. დასავლეთიდან და სამხრეთიდან მიძშენებული აქვს კარიბჭეები, სამხრეთიდანვე ტაძრის მთავარ შენობას მიდგმული აქვს ეკვდერი. ორივე ეს მინაშენი XI ს-ში, ტაძრის ძირითად ნაგებობაზე გვიან არის აგებული. სამხრეთის კარიბჭის კამარა ჩუქურთმებითა და ცხოველთა გამოსახულებითაა შემკული.
ნიკორწმინდის ტაძრის სარკმლები მდიდრულად არის მოჩუქურთმებული. ხოლო ფასადები და გუმბათის ყელი ულამაზესი რელიეფური ქანდაკებებით არის მორთული. ბარელიეფებს შესაბამისი წარწერები ახლავს საეკლესიო თემებიდან. ნიკორწმინდის ლაპიდარულ წარწერებში საერო პირებიცაა მოხსენიებული.
ნიკორწმინდის ტაძარი XI ს-ში მოუხატავთ. XVII ს-ის მეორე ნახევარში მხატვრობა განაახლეს. შემორჩენილი ფრესკების უმეტესობა ამ ხანას განეკუთვნება. აქ გამოხატული საერო პირები წულუკიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები არიან.
ნიკორწმინდის ტაძარი შეუდარებელია, როგორც ადამიანის შემოქმედებითი გენიის ნიმუში.
სხვავა მიდამოები - კვარა, „კვარას ციხე," განვითარებული შუა საუკუნეები.
სხვავა, მიდამოები, ეკლესია გუმბათიანი, XIX საუკუნის, არის წარწერა ლაპიდარული.
ტბეთი, ეკლესია გუმბათიანი, X-Xი სს. არის წარწერა ლაპიდარული.
ქედისუბანი, ეკლესია მთავარანგელოზის, გვიანი შუა საუკუნეები, არის მოხატულობა XVI-XVII სს. და წარწერები ფრესკული. წყობაში ჩატანებულია XI ს. კანკელის ფრაგმენტები.
ქვემო ჟოშხა, ეკლესია ჯვარცმისა, ორნამენტული ფრაგმენტები.
ქვემო ჟოშხა, ეკლესია ჯვარცმისა, XIV-XVI სს.
ღვიარა, ეკლესია ჯვარცმისა, VIII-IX სს.
წესი, მიდამოები – ბარაკონი, ეკლესია გუმბათიანი, ღვთისმშობლისა, 1753 წ. არის წარწერები ლაპიდარული.
წესი, მიდამოები – ბარაკონი, „მინდა ციხე" (რაჭის ერისთავთა ციხე), განვითარებული შუა საუკუნეები.
წესი, მიდამოები – ბარაკონი, ეკლესია (ნანგრევები), XII ს.

ხვანჭკარა, 1.ყიფიანის ციხე, განვითარებული შუა საუკუნეები. 2. ეკლესია ღვთისმშობლის, გვიანი შუა საუკუნეები.
ხიმში, ეკლესია, XI ს. დასაწყისი, არის მოხატულობა, ფრაგმენტები XI ს. და წარწერები ლაპიდარული.
ხიმში, „ლანდიას ციხე-კოშკი", გვიანი შუა საუკუნეები.
ხონჭორი, მიდამოები, მონასტერი „უდაბნო," 1. ეკლესია ღვთისმშობლისა, XVI ს. 2. სამრეკლო, XVI ს.
ხოტევი, წულუკიძის ციხე, გვიანი შუა საუკუნეები.
შრომა (ჯვარისა), ეკლესია, განვითარებული შუა საუკუნეები.
ჭყვიში, დადიანის ციხე, გვიანი შუა საუკუნეები.
ჭყვიში, მიდამოები-ლაბეჭინა, ეკლესია მთავარანგელოზისა, XII ს. არის მოხატულობა და წარწერები ლაპიდარული.

ო ნ ი ს რ ა ი ო ნ ი

ბარი, მიდამოები – მრავალმალი, ეკლესია „მრავალმალის წმ. გიორგი", XI ს. განახლებული XIX ს. არის მოხატულობა XI ს. და წარწერები.
ბოყვა, ეკლესია, განვითარებული შუა საუკუნეები.
გლოლა, ეკლესია წმ. გიორგის, გვიანი შუა საუკუნეები, არის მოხატულობა.
გლოლა, ეკლესია „ციხე", განვითარებული შუა საუკუნეები.
გლოლა, კოშკი, შუა საუკუნეები.
ზემო ბარი, ეკლესია „ჭაბოს მთავარანგელოზი", განვითარებული შუა საუკუნეები.
კვაშხიეთი, მიდამოები – ველთეთი, 1. კოშკი „ველთეთის ციხე", განვითარებული შუა საუკუნეები. 2. ციხე, განვითარებული შუა საუკუნეები.
მეიდანი, ციხე, შუა საუკუნეები.
ნაკიეთი, მიდამოები – ჟამურეთი, ეკლესია, შუა საუკუნეები.
ონი, კომპლექსი, 1. ეკლესია წმ. გიორგისა, გვიანი შუა საუკუნეები. 2. სასახლე წერეთლისა, გვიანი შუა საუკუნეები. 3. სხვა ნაგებობანი, გვიანი შუა საუკუნეები.
საქაო – წინსაქაო, ციხე, შუა საუკუნეები.
საქაო – ლადიანთა, კოშკი, გვიანი შუა საუკუნეები.
სორი, ეკლესია წმ. გიორგის, XIV ს. არის მოხატულობა XIV ს. და წარწერები ფრესკული.
სორი, გოცირიძეების კარმიდამო, ციხე, შუა საუკუნეები.

სორი, მიდამოები შქმერის მთა, ეკლესია, განვითარებული შუა საუკუნეები.
სორი, მიდამოები, ეკლესია მთავარანგელოზის, განვითარებული შუა საუკუნეები.
სორი, მიდამოები, ხიდი (ნანგრევები), გვიანი შუა საუკუნეები.
სორი, მიდამოები – (მთაზე), ციხე, განვითარებული შუა საუკუნეები.
სომიწო, ეკლესია წმ. გიორგისა, განვითარებული შუა საუკუნეები, არის წარწერები ლაპიდარული.
სხიერი, ეკლესია „უძრავი წმ. გიორგი", განვითარებული შუა საუკუნეები, არის მოხატულობა, წარწერები და კანკელი.
უწერა, მიდამოები, „ციდრო ციხე", შუა საუკუნეები.
ფარახეთი, ეკლესია მთავარანგელოზისა, განვითარებული შუა საუკუნეები, არის მოხატულობა.
ქვემო ბარი, ეკლესია ღვთისმშობლისა, განვითარებული შუა საუკუნეები, არის მოხატულობა.
ღები, კოშკი (საცხოვრებელი სახლი გავაშელიშვილისა), გვიანი შუა საუკუნეები.
ღები, მიდამოები – თევრეში, ეკლესია მთავარანგელოზისა „თოვარ", განვითარებული შუა საუკუნეები.
ღები, მიდამოები, ეკლესია კოშკი „დედა ღვთისა", შუა საუკუნეები.
შრომისუბანი (ჯოისუბანი), ეკლესია „მცხეთის წმ. გიორგი", X ს. არის წარწერები ლაპიდარული.
ძეგლევი, საქორიის ციხე, განვითარებული შუა საუკუნეები.
წედისი, ციხე, განვითარებული შუა საუკუნეები.
ჭიორა, ეკლესია ბაზილიკური, გვიანი შუა საუკუნეები.
ჭიურა, კოშკი (საცხოვრებელი სახლი), განვითარებული შუა საუკუნეები.
ყოფის დამახასიათებელი რეალიები. რაჭაში შედარებით ბევრი შემორჩა IX-X სს-ის ეკლესიები. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ხანის საკულტო ნაგებობათა უმეტესობამ დღემდე ვერ მოაღწია, უნდა ვიფიქროთ რომ ამ ხანაში ეკლესია რაჭის ყველა სოფელში ააშენეს. ეს კი შემთხვევითი არაა. ეგრის-აფხაზეთის სამეფოს შექმნის შემდეგ ამ სამეფოში ტერიტორიულ-ადმინისტრაციული რეფორმა ჩატარდა. შეიქმნა ხევები, რომლებიც ცალკეული სოფლებისაგან შედგებოდა. როგორც ხევის ისე სოფლის ცენტრს, საკუთარი ეკლესია წარმოადგენდა.

ამის გამო იყო რომ საეკლესიო მშენებლობამ ფართო ხასიათი მიიღო. ყოველი ხევის მფარველად და პატრონად მისი ეკლესიის მთავარი ხატი ითვლებოდა. ყოველი კომლი ვალდებული იყო ამ ხატის დღეობაზე მისულიყო, რომელიც წელიწადში ერთხელ ან რამდენჯერმე იმართებოდა, სასმელ-საჭმელი მიეტანა და საერთო პურისჭამაში მონაწილეობა მიეღო.
ადრე და შუა ფეოდალურ ხანაში ხევში გლეხებთან ერთად აზნაურებიც შედიოდნენ. მოგვიანებით კი – მხოლოდ ყმა გლეხები.
ხევის წევრები დღეობებზე იკრიბებოდნენ საგანგებო შემთხვევაში. მათ ბუკით მოუხმობდნენ. „ეს იყო საყვირის მსგავსი, - წერს ფრანგი კომერსანტი და დიპლომატი გამბა, - ის ძალზე ძლიერ ხმას გამოსცემდა," ეს ბუკები 1819-1820 წლებში მეფის მოხელეებს მეამბოხეთა უპირველეს იარაღად მიაჩნდათ. ამიტომ აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მოსახლეობას მთლიანად ჩამოართვეს.
რაჭის მოსახლეობის ძირითად ნაწილს გლეხები შეადგენდნენ, რომლებიც აზნაურებს, თავადებს, ეკლესიას ან კიდევ სამეფო ხელისუფლებას ეკუთვნოდნენ. თვითეული კომლის კარ-მიდამო თავისი „სახლ-კარითა, ჭურ-მარნითა, საყანითა, სათიბითა, სასაფლაოით, საწისქვილოით, ტყითა, ველითა, საძებრითა და უძებრითა, ნასყიდითა და უსყიდლითა" თავისებურ სამეურნეო კომპლექსს წარმოადგენდა. ყოველგვარი გადასახადი ამ კომლზე მოდიოდა. გლეხთა ვალდებულებანი კი საკმაოდ მძიმე იყო.
რაჭაში გლეხები ქვის ან ხის სახლებში ცხოვრობდნენ. მთის რაჭის გარდა ქვის სახლები მის მეზობელ სოფელში იყო გავრცელებული. ასეთი სახლები ონის ზემოთ იწყებოდა. „მივედით ფარავნეშში, წერდა დიუბუა დე მონპერე, სოფელში 5-6 კოშკია. თითოეულ მათგანს მიდგმული აქვს ქვის სახლი. კოშკებს აქვთ სათოფურები. ეს არის პირველი სოფელი ასეთი უჩვეულო იერით აშენებული." ფარავნეშის კოშკები XIX ს-ში დაინგრა, ხოლო მათ გვერდზე მდგარი ქვის სახლები ჩვენი საუკუნის 50-იან წლებამდე შემორჩა. ეს სახლები ეკუთვნოდა დიდ ოჯახებს, კერესელიძეთა ექვს განაყოფს. უკანასკნელი სახლი 1951 წ. დაუნგრევიათ.
რაჭველ გლეხთა უმეტესობა ხის სახლებში ცხოვრობდა. „საცხოვრებელი სახლები არის დიდი; მთაში – დაწნული და

შელესილი წნელის კედლებით, ხოლო ბარში – მაგარი ფიცრებით, - წერდა გიულდენშტედტი, - სახლი შედგება ერთი ოთახისაგან. ცეცხლის კერა მოთავსებულია სწორი იატაკის შუა ადგილას. ოთახის ერთი ნაწილი, ხანდახან მხოლოდ ძელებით გამოყოფილი, თითქმის ყოველთვის საქონლისთვისაა განკუთვნილი. მარცვლეულის მარაგს ინახავენ დაწნულ კალათებში, რომლებიც თიხითაა შელესილი და ოთახშია მოთავსებული; ასე რომ, ოთახი ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს საცხოვრებელს, სამზარეულოს, ბოსელსა და საწყობს.”

აზნაურები ჩვეულებრივ ციხე-დარბაზებში ცხოვრობდნენ. ეს იყო ერთი ან რამდენიმე კოშკი, რომელსაც გალავანი უვლიდა. გალავნის შიგნით ციხე-ეზოში ხის შენობებიც იდგა.

თავადების ციხე-დარბაზები თავისი ზომებით აზნაურთა საცხოვრებელზე ბევრად უფრო დიდი იყო.

რაჭა მთაგორიანი ქვეყანაა და სავარგულებიც ნაკლებია, ამიტომ მოსახლეობა მაქსიმალურად იყენებდა თითოეულ მტკაველ მიწას. ხშირად ტყის ცალკეულ მონაკვეთებს გაკაფავდნენ და ყანებად აქცევდნენ. მიწას ე.წ. რაჭული გუთანით ამუშავებდნენ, რომელიც კარგად იყო მორგებული ადგილობრივ პირობებს.

რაჭაში მოჰყავდათ საზაფხულო და საშემოდგომო ხორბალი, ქერი და შვრია. ეს ორი კულტურა უფრო მაღალმთიან სოფლებში იყო გავრცელებული. დაბლობ ადგილებში მოჰყავდათ აგრეთვე ღომი და ფეტვის რამდენიმე სახეობა, რომელსაც ზოგჯერ მჭადს უწოდებდნენ. დიდი ადგილი ეკავა მევენახეობას. ბოსტანი და ბაღი რაჭის უმეტეს სოფლებში გააჩნდათ.

რაჭაში საზამთრო საძოვრები არაა, რაც გარკვეულწილად ზღუდავდა მესაქონლეობის განვითარებას. ზამთრისათვის თივა სათიბიდან ჩვეულებრივ ურმებით ჩამოჰქონდათ და ამიტომ მის რაოდენობასაც ასევე ურმებით ზომავდნენ. თითოეულ კომლს გააჩნდა ხარები და ძროხა, რამდენიმე ცხვარი. ამზადებდნენ ყველს, ერბოს და ხაჭოს. ხაჭოს საგანგებოდ ახმობდნენ და ინახავდნენ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რასჭველებისათვის ღორს. ღორის ხორცს ამარილებდნენ, შემდეგ კვამლში გამოჰყავდათ და ზამთრისათვის ინახავდნენ. ამას ლორი ეწოდებოდა.

რაჭაში დიდი ყურადღება ეთმობოდა ნადირობას. თავდაპირველად მშვილდისრით ნადირობდნენ, იცოდნენ მახეხაფანგების დაგება. მოგვიანებით თოფი შემოვიდა. XVIII ს-ში რამდენიმე ტიპის თოფი იყო გავრცელებული, ყველაზე უფრო „ყირიმული", რომელიც ალბათ ყირიმიდან მოჰქონდათ. ადგილზე ამზადებდნენ თოფის წამალს.

სანადირო ადგილების უმეტესობა მეფეს, ერისთავს ან კიდევ თავადებს თუ ეკლესიას ეკუთვნოდა. მათი ნებართვის გარეშე მათ მიწაზე ვინმე ვერც ითევზაებდა და ვერც ნადირს მოკლავდა.

თევზი, განსაკუთრებით კალმახი, რაჭის მდინარეებში ბევრი იყო, მაგრამ სათევზაო ადგილების უმეტესობაც საერო თუ სასულიერო ფეოდალებს ეკუთვნოდა. ჩვეულებრივ ანკესით, ბადით ან გოდრით თევზაობდნენ, მაგრამ ზოგჯერ არც „ბრაკონიერობას" ერიდებოდნენ. მდინარეს დამწვარი კირით წამლავდნენ. სორში და ალბათ სხვა სოფლებშიც ამ მიზნით ლეშკის ფოთოლსაც იყენებდნენ. ზაფხულის ერთ დღეს მთელი სოფელი სონტარულას პირას შეიკრიბებოდა, ლეშკის ფოთოლს დაკრეფდნენ და საგანგებოდ მომზადებულ ორმოში ჩაყრიდნენ. შემდეგ კეტებით დაამუშავებდნენ. მიღებულ მასას ერთიანად წყალში გადაისროდნენ. ორი-სამი წუთის შემდეგ წყალი მწვანედ შეიღებებოდა. თევზები ბრმავდებოდნენ და მათი დაჭერა ადვილი ხდებოდა. თევზის შეგროვება წყლის დაწმენდამდე გრძელდებოდა. ნადავლს თანაბრად ინაწილებდნენ.

რაჭველები ძალზე შრომისმოყვარენი იყვნენ. „მკისა და რთველის დროს მათი ქალიშვილები და ცოლები მამაკაცებს ეჯიბრებიან თავგამოდებული მუშაობით და ეს შრომა ყოველთვის გამოცოცხლებულია სიმღერითა და შეძახილებით, რაც ერთსა და მეორესაც ამხნევებს," – წერდა გამბა. მიუხედავად ამისა რაჭა მცირემიწიანი ქვეყანაა და მოწეული მოსავალი მოსახლეობას წლიდან წლამდე არ ყოფნიდა. ამიტომ თავისუფალ დროს გლეხები შინამრეწველობას მისდევდნენ. ტილოს ქსოვდნენ, ამზადებდნენ უხეშ მაუდს, აშენებნენ ხის სახლებს და მეზობელ კუთხეებში ჰყიდნენ. წედისში რკინის საბადოები იყო, სოფლიდან რამდენიმე კილომეტრიც დაშორებით „ქვაწითელაში" და „ხევხმულაში" ჩვეულებრივ შემოდგომაზე და ზამთარში ამტვრევდნენ, მსხვილ წითელ ქვას,

- წერს გიულდენშტედტი, სამმაგი გამოდნობის შემდეგ ღებულობდნენ რკინას, რომლისაგან აკეთებენ ნალებს, ნამგლებს, ნაჯახებს, გუთნის სახნისს, ჯაჭვებს ქვაბებისათვის". რკინის დამუშავება სპეციალურ ქურებში ხდებოდა. 1820 წლისათვის წედისში 20 ასეთი ქურა იდგა. თვით სოფლის სახელიც წედისი რკინის მეტალურგიასთან არის დაკავშირებული.

შინამრეწველობის პროდუქციას ბაზრობებზე ჰყიდნენ. რაჭის მთავარ სავაჭრო ადგილს ონი წარმოადგენდა.

ონი პირველად XV ს-ში, ბალს ზემო სვანეთსა და თავად ჯაფარიძეთა სასისხლო საქმის წიგნშია მოხსენიებული. თუმცა ონი, როგორც სავაჭრო ადგილი ბევრად უფრო ადრე უნდა იყოს წარმოდგენილი, რადგან უმნიშვნელოვანესი გზების თავშესაყარზე დგას.

ქვემო რაჭაში სავაჭრო ადგილს ხოტევი წარმოადგენდა, რომელიც იმერეთისაკენ მიმავალი გზების შესაყარში იდგა. სოფლის ცენტრში არის ადგილი - „ურიების კარი," გადმოცემით აქ ძველად ებრაელებს უცხოვრიათ.

ლეჩხუმი, ლეჩხუმელები — ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი. ძირითადად ცხოვრობენ ისტორიული ლეჩხუმის, დღევანდელი ცაგერის რაიონის ტერიტორიაზე, მდინარე ცხენისწყლის შუა დინებაზე, აგრეთვე მის მიმდებარე რაჭისა და იმერეთის სოფლებში. კულტურისა და ყოფის თავისებურებებით ლეჩხუმელები ახლოს არიან რაჭისა და მთიანი იმერეთის მოსახლეობასთან, საუბრობენ ქართული ენის ლეჩხუმურ დიალექტზე. წარსულში მათი ძირითადი საქმიანობა იყო მემინდვრეობა (სიმინდის და ხორბლის მოყვანა) და მევენახეობა.

მდებარეობა და საზღვრები. ლეჩხუმი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მთაგორიანი პატარა რეგიონია. იგი მოიცავს ცაგერისა და ორბელის ქვაბულებს, აგრეთვე მის მიმდებარე მთებს. ლეჩხუმის ბუნებრივ-გეოგრაფიული საზღვარი ვახუშტი ბაგრატიონს ზუსტად აქვს მოცემული. ლეჩხუმს დასავლეთიდან სამეგრელოსაგან ჰყოფდა ასხის მასივი, ჩრდილოეთით სვანეთისაგან – ლეჩხუმის ქედი, აღმოსავლეთით რაჭისაგან – მდ. ასკისწყალი, თავშავის ქედის სამხრეთ კალთები, სამხრეთით იმერეთისაგან – მდ. ლეხიდარის მარცხენა ნაპირის

გასწვრივ მდებარე სერი და ხვამლის მასივი. ამჟამად ლეჩხუმი მთლიანად მოიცავს ცაგერის რაიონს. ისტორიული ლეჩხუმი კი გადადის ამბროლაურისა და წყალტუბოს რაიონების ტერიტორიაზე და იყოფა ზემო და ქვემო ლეჩხუმად. ზემო ლეჩხუმი აერთიანებს ცხენისწყლის ხეობას მურის კლდეკარამდე, ლაჯანურის ხევისა და რიონის ხეობის სოფლებს ასკისწყლიდან ლახეფას ჩათვლით; ქვემო ლეჩხუმი ანუ კლდე – დაღმართი მოიცავს მდ. რიონის ხეობის სოფლებს ს. ტვიშიდან მდ. ლეხიდარის შესართავამდე. ტერიტორიის ფართობი 755,4 კმ2-ია.

ბუნებრივი რესურსები. ლეჩხუმი სასარგებლო წიაღისეულის სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. რეგიონში წარმოდგენილია ლითონური და არალითონური ნედლეულის საბადოები, სამშენებლო მასალები და მინერალური წყაროები. აღსანიშნავია რცხიმელურის ტყვია-თუთიის საბადო, ღვედის კალციტების, ზოგიშის საკედლე მასალის, ორბელის კირქვის, ლაშიჭალას ხრეშის, ქვიშისა და სხვა სილიკატური სამშენებლო მასალების საბადოები. მნიშვნელოვანია ასევე მინერალური წყაროების გამოსასვლელები, რომელთაც რეკრეაციული მნიშვნელობა გააჩნიათ. ჰიდრორესურსების ბაზაზე აქ წარმოდგენილია მდ. ლაჯანურზე ლაჯანურჰესი, რომლის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია ყოფნის რაჭასა და ლეჩხუმს. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს რეგიონის ტერიტორიის 20 % უკავია. ტყესა და ბუჩქნარებს კი ორჯერ მეტი ფართობი.

მოსახლეობა. ლეჩხუმის მოსახლეობა, 2000 წლის მონაცემებით 15,6 ათას მცხოვრებს აღემატება, რაც საქართველოს მოსახლეობის 0,3 %-ია. მოსახლეობაში შეიმჩნევა შემცირების ტენდენცია. დამუშავებისათვის ვარგისი მიწების ნაკლებობა გახდა უმთავრესი მიზეზი მოსახლეობის მიგრაციისა. ეს პროცესი გასულ საუკუნეში დაიწყო და დღესაც გრძელდება. ამის შედეგად გასული საუკუნის 20-იან წლებთან შედარებით მოსახლეობა თითქმის განახევრდა. დეპოპულაციის მიზეზებია: მძიმე სოციალური პირობები, რაიონის შიდა კომუნიკაციების დაბალი ხარისხი, რაც მკაცრი ზამთარის აპირობებში, რაიონულ ცენტრთან სრულ იზოლაციას იწვევს; ახალგაზრდა მოსახლეობის სწრაფვა ურბანიზებულ ცენტრებისაკენ

უმაღლესი განათლების მისაღებად და სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.
ლეჩხუმის მოსახლეობის განსახლების სურათი არაერთგვაროვანია. დასახლებულია ძირითადად რეგიონის შუა და სამხრეთ ნაწილი: მდ. მდ. ცხენისწყლის ლაჯანურისა და რიონის დაბალი ტერასები. ლეჩუმის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 20,7 კაცია 1 კმ2-ზე, ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელზე 4-ჯერ ნაკლებია. არსებობს პატარა მაღალმთიანი სოფლები, სადაც მხოლოდ 5-6 კომლი ცხოვრობს, დანარჩენი კი ნასახლარებს უკავია. რეგიონის მოსახლეობის 88 %, ანუ 14 ათასი კაცი სოფლად ცხოვრობს. აქ წარმოდგენილია 14 საკრებულო, 57 სოფლით.
მეურნეობა. ლეჩხუმის ეკონომიკა სუსტადაა განვითარებული. სატრანსპორტო ხელმიუწვდომლობის გამო ვერ ხერხდება სამშენებლო მასალებისა და მინერალური წყლების ექსპლუატაცია. საკმაოდ მოკრძალებულადაა განვითარებული აგროსამრეწველო კომპლექსი და კვების მრეწველობის მიმართულებები, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პოტენციალი რეგიონს გააჩნია. ცაგერში არსებობდა ღვინის ქარხანა, რომელიც ამჟამად მხოლოდ მცირედით არის დატვირთული.
ლეჩხუმის სოფლის მეურნეობა წარმოდგენილია ძირითადად მრავალწლიანი კულტურებითა და ბოსტნეული კულტურებით. მრავალწლიან კულტურებს შორის სჭარბობს ვაშლის სახეობები: თურაშაული, კეხურა, კიტრა, ყინულა; მსხლის ჯიშები: გულაბი, ბერა, "პანტა"; საღვინე ვაზის ჯიშები: ორბელის "ოჯალეში" "თეთრა", "უსახელოური", "ალექსანდროული", "ტვიში". მათ ბაზაზე შექმნილი ღვინოები მოსახლეობას გარდა მოპირადი მოხმარებისა გასაყიდადაც გააქვს, თუმცა ჯერ-ჯერობით საექსპორტო დანიშნულებით არ გადის. აქვე დიდი რაოდენობით ვხვდებით დიდხნოვან კაკლის ხეებს. გავრცელებულია აგრეთვე კომშის, ატმის, ლეღვის, წყავისა და ბროწეულის ხეები.
რეგიონის განაპირა მთიან ზოლში ერთწლიანი კულტურებიდან აღსანიშნავია სიმინდი და ლობიო, რომელიც დომინანტ სახეობებს წარმოადგენს და ხშირ შემთხვევაში მოსახლეობის შემოსავლის ერთადერთი წყაროა. მეცხოველეობა წარმოდგენილია სახორცე-სარძეო მიმართულებით. პირად

საკურორტო ზონაში ჰყავთ ასევე წვრილფეხა პირუტყვიც: ღორი, თხა და ცხვარი. მთებში გადაადგილებისა და ტვირთის გადაზიდვის საშუალებას წამოადგენს პირად საკუთრებაში მყოფი ცხენი.

კურორტები და ტურიზმი.

ლაშიჭალა

მდებარეობს ცაგერის რაიონში, 20 კმ-ზე ჩრდილო-აღმოსავლეთით რაიონული ცენტრიდან, მდ. ლაჯანურას (მდ.რიონის შენაკადი) ხეობაში, ლეჩხუმის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ზ.დ.-დან 800-900 მ-ის სიმაღლეზე. მცენარეულობა წარმოდგენილია ფოთლოვანი (მუხა, წიფელი, რცხილა) და წიწვოვანი (ფიჭვი, ნაძვი, სოჭი) ტყეებით.

კლიმატი დაბალმთიანია. რბილი მცირეთოვლიანი ზამთრით (იანვრის საშუალო ტემპერატურაა +2), თბილი, ზომიერად ტენიანი ზაფხულით (აგვისტოს თვის საშუალო ტემპერატურაა +20). ნალექების რაოდენობა წლიურად 1800-2000 მმ-მდე აღწევს. ძლიერი ქარები არ იცის.

კურორტზე არის მინერალური წყლები, რომელთა დღე-ღამის დებიტი აღწევს 50 000 ლიტრს. ქიმიური შემადგენლობით მიეკუთვნება ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატულ, მაგნიუმ-კალციუმიან წყლებს, მინერალიზაციით 1-5 გ/ლ. მინერალური წყლები გამოიყენება როგორც სასმელად, ასევე სააბაზანო პროცედურების სახით კურორტი ფუნქციონირებს სეზონურად (მაისიდან ნოემბრის ჩათვლით). აქ მკურნალობენ ავადმყოფ-რეკრეანტებს საჭმლის მომნელებელი ორგანოების, საყრდენ-სამოძრაო აპარატისა და პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებათა შემთხვევაში.

მგზავრობა: ავტოტრანსპორტით ქუთაისიდან.

ტერმინი ლეჩხუმი. რაჭველებისა და რაჭის დასახელებას ვხვდებით VII საუკუნის სომეხი-ანონიმი გეოგრაფის თხზულებაში. მის მიერ მდ. რიონის სათავეებში მოხსენიებულია „რაჭანები," რომლებიც რაჭველების წინაპრები უნდა იყოს. აქვე მოხსენებულია „ხუბურები" - „ღებურები" – ღებელები და „ქუდეტები" – კუდაროელები.

თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი „რაჭას" იხსენიებს თამარის მეფედ კურთხევის აღწერისას. ამავე მატიანეში „ლეჩხუმი" საერთოდ არ ჩანს, რადგან მის მონაცვლე ტერმინად „თაკვერია" გამოყენებული. სახელწოდება „რაჭის" წარმოშობის პროცესი უნდა მომხდარიყო XI-XII საუკუნეებიდან, რაჭის

დაწინაურების კვალობაზე: ჟამთააღმწერელის (XIV ს.) მიერ რაჭა პირველად ფიქსირებულია როგორც „ქვეყანა რაჭისა.” მემატიანე მრავალგზის ასახელებს რაჭის ერისთავს. ჩანს, ამ დროს რაჭასთან ერთად იყო თაკვერი, ე.ი. ლეჩხუმი.

არქეოლოგია. ლეჩხუმში ადამიანის ცხოვრების კვალი ნეოლითის ხანიდანაა დამოწმებული. არქეოლოგიურ მონაპოვრებში კარგად ჩანს გვიანდელი ბრინჯაოს ხანა. ცაგერთან (ჩიხეში) აღმოჩნდა ძვ.წ. IX-X სს. ბრინჯაოს ნივთების განძი. მათ შორისაა – კოლხური ცული (გველის გრავირებული გამოსახულებით), ნამგლები, სატეხები, ერთმანეთში გაყრილი მასიური რგოლები, მილები, ბრინჯაოს მუზარადიანი მხედრის ქანდაკება, სპილენძის ზოდები და სხვ.

ისტორიული განვითარება. ლეჩხუმისა და რაჭის წინა სახელად თაკვერი მიაჩნიათ. სახელწოდება „თაკვერი,” როგორც რაჭის განხილვისას აღინიშნა, „ქართლის ცხოვრებაში” ლეონტი მროველის მიერ არის მოხსენიებული III საუკუნის ამბებთან დაკავშირებით. ხოლო შემდეგ, მას ჯუანშერი აღნიშნავს V საუკუნის 40-იანი წლების ამბების თხრობის დროს. ამ პერიოდში, ვახტანგ გორგასლის დროს, არსებულა თაკვერის საერისთავო. „თაკვერს” რამდენჯერმე ასახელებს თამარ მეფის ისტორიკოსიც. იმ დროსაც ყოფილა თაკვერის საერისთავო, რომლის ერისთავი კახაბერ კახაბერისძეა. თამარ მეფის ხანაში „თაკვერი” მხოლოდ ლეჩხუმის სახელია, ხოლო რაჭა დამოუკიდებლად არსებობს.

„ლეჩხუმი” და „რაჭა” ერთიმეორეს საკმაოდ მკაფიოდ ემიჯნება. ქართველი ხალხი საუბარში ამ ორ სახელწოდებას უმეტესად გაერთიანებულად გამოთქვამს - „რაჭა-ლეჩხუმი.” ამას საფუძვლად მხოლოდ ტერიტორიული მეზობლობა არ უდევს, არამედ სახეზეა მათი ოროგრაფიული ურთიერთკავშირი, ბუნებრივი და სამეურნეო მსგავსება.

ლეჩხუმის ტერიტორია უძველესი პერიოდიდან იყო ადამიანის მიერ ათვისებული; ამას მოწმობს ცაგერთან (ჩიხეში) აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების განძი, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის IX-X საუკუნეებს მიეკუთვნება.

ლეჩხუმის „ქვეყანა,” ამავე სახელწოდებით, უხსოვარი დროიდან უნდა არსებულიყო თავისი მკვეთრად გამოხატული ბუნებრივი საზღვრებით, შესაბამისი მეურნეობითა და ეთნოგრაფიული თავისებურებებით, რაც იმთავითვე ქმნიდა მხარის იერსახეს.

ყოველ ეპოქაში მხარე კი რჩებოდა, მაგრამ ცვალებადობას განიცდიდა მისი პოლიტიკური საზღვარი.
ადრეფეოდალურ ხანაში ლეჩხუმს ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი (VI ს.) მოიხსენიებს როგორც საქართველოს ერთ-ერთ პროვინციას, სახელწოდებით „სკვმნია," ან „სკვმია. მეცნიერთა მტკიცებით ეს არის ლეჩხუმის ბერძნული ფორმა. შესატყვისი ქართული ფორმა არის „ჩხუმ-ნ-ი," სადაც ნ. მრავლობითის სუფიქსია. სკვიმიქებს ანუ ლეჩხუმელებს ასახელებს VII საუკუნის სომეხი ანონიმი გეოგრაფი, რაც ამ სახელწოდების სიძველეზე მიუთითებს.
როგორც აღინიშნა, ვახტანგ გორგასლის დროს თაკვერის საერისთავო ძლიერი ერთეული ჩანს. სავარაუდოა, რომ თაკვერის ერისთავი ადრეც კვარაციხეში იჯდა და აქედან მართავდა მის კუთვნილ „ქვეყნებს." ოფიციალურ ლიტერატურასა და საბუთებში თამარ მეფის დროიდან „თაკვერი" ლეჩხუმის სახელწოდებად იქცა. ეს არ ნიშნავს, კუთხეების – რაჭისა და ლეჩხუმის არარსებობას. ერთხანს, ასეთი რეგიონი სვანეთის ერისთავს ექვემდებარებოდა, ხოლო XII საუკუნის 80-იანი წლებიდან მაინც რაჭის ერისთავთა გამგებლობაში გადმოდის. ეს ვითარება გრძელდებოდა საკუთრივ რაჭის საერისთავოს გაუქმებამდე. რაჭის ერისთავები თავიანთ ტიტულატურაში, როგორც წესი, ლეჩხუმის ნაცვლად თაკვერს იხსენიებენ.
იმერეთის სამეფოს წარმოქმნის შემდეგ (XV ს.) ლეჩხუმი მის შემადგენლობაში შევიდა როგორც სამეფო დომენი. XVII საუკუნის II ნახევრიდან ლეჩხუმში თავი იჩინა მისწრაფებამ დამოუკიდებლობისაკენ, გაჩნდა თანამდებობა-ტიტული ლეჩხუმის თავი. ამ პერიოდში ლეჩხუმელი ძლიერი აზნაურები შეეცადნენ შეექმნათ ცალკე სათავადოები. ამ მხრივ, გარკვეულ წარმატებას მიაღწია ინასარიძეთა საგვარეულომ. შემდგომში ლეჩხუმს მთლიანად ჩიქოვანთა ფეოდალური საგვარეულო დაეუფლა.
1714 წელს, მას შემდეგ, რაც ლეჩხუმის გამგებელი ბეჟან დადიანი სამეგრელოს მთავარი გახდა, ლეჩხუმი სამეგრელოს სამთავროს ერთ ნაწილად იქცა. ამიერიდან მას დადიანების დანიშნული სარდალ-მოურავი განაგებდა. XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე იმერეთის მეფე სოლომონ II შეეცადა ლეჩხუმის დამორჩილებას, მაგრამ უშედეგოდ. სამეგრელოს სამთავროს

რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდეგ ლეჩხუმის ტერიტორიაზე შეიქმნა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული – ლეჩხუმის მაზრა. საუკუნის ბოლოს ლეჩხუმის მაზრაში შედიოდა ალპანის, ცაგერის, სვანეთის საბოქაულოები. ამ უკანასკნელში, ყოფილი სადადიანო, დადიშქელიანთა და უბატონო სვანეთი გაერთიანდნენ სვანეთის საბოქაულოდ, რომელიც 1868 წლიდან დაექვემდებარა ლეჩხუმის მაზრის უფროსს. 1930 წლიდან ლეჩხუმის მაზრის ნაცვლად შეიქმნა დამოუკიდებელი რაიონი ცაგერის სახელწოდებით.
ტოპონიმია. ლეჩხუმის ტოპონიმია მთლიანად ქართული წარმოშობისაა. თვით სახელწოდება ლეჩხუმის შესახებ განსხვავებული აზრია. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით „ლეჩხუმი" ეწოდა „ხომლის-კლდის გამო – ესე არს ლეჩ ხომი," თუმცა ეს აზრი გაზიარებული არ არის. არსებობს მოსაზრება, რომ „ლეჩხუმი" წარმოდგება მეგრული „ჩხომის" (თევზი), ან სვანური „ცხვიმის" (რცხილა) სახელებიდან. სხვა შეხედულებით იგი უკავშირდება ძველ სატომო სახელწოდებას. ლე კი პრეფიქსია (მეგრულ-სვანური), რაც სა-ს შეესატყვისება.
მატერიალური კულტურის ძეგლები.
ცაგერის რაიონი:
ალპანა, მიდამოები, გამოქვაბულები, შუა საუკუნეები.
გვესო, მიდამოები, გვესოს ციხე, შუა საუკუნეები.
დეხვირი, მიდამოები, ციხე, შუა საუკუნეები.
ზუბი, ციხე, შუა საუკუნეები.
ზუბი, მიდამოები, ციხე, შუა საუკუნეები.
თაბორი, ეკლესია, VI ს. არის მოხატულობა.
ლაილაში, ეკლესია, შუა საუკუნეები.
ლაილაში, ციხე დადიანის, შუა საუკუნეები.
ლაჯანა, ეკლესია, XVIII სს.
ნაკურალეში, ეკლესია, XVII ს. არის მოხატულობა XVII ს. და წარწერები ფრესკული.
ნაკურალეში, მიდამოები ცხეთა (მცხეთა) – ეკლესია გუმბათიანი, წმ. გიორგისა, განვითარებული შუა საუკუნეები, გადაკეთებული XVIII ს.
ნაკურალეში, მიდამოები, ციხე, შუა საუკუნეები.
ორბელი, მიდამოები, ეკლესია გელოვანებისა, 1798 წ. მიშენებულია ძველ ეკლესიაზე, არის წარწერა კანკელზე.

ორბელი, მიდამოები, „ორბელი ციხე” 1. ციხე. 2. ეკლესია ციხისა, შუა საუკუნეები.
ორხვი, მიდამოები, გოჩის ეკლესია, შუა საუკუნეები, არის მოხატულობა და წარწერა ლაპიდარული.
ოყურეში, 1. ეკლესია წმ. გიორგის, 1788 წ. არის წარწერა ლაპიდარული. 2. სამრეკლო, XIX ს.
ოყურეში, გამოქვაბული „ჭყონდიდელი”, შუა საუკუნეები.
საირმე, მიდამოები, მონასტერყ „უდაბნო” 1. ეკლესია, 1766 წ. 2. სამრეკლო, XVIII ს. 3. სხვა ნაგებობანი, XVIII-XIX სს.
საირმე, მიდამოები, ციხე, შუა საუკუნეები.
სპათაგორი, ეკლესია, შუა საუკუნეები.
უსახელო, დადეშქელიანის ციხე, შუა საუკუნეები.
უასახელო, მეფის ციხე, შუა საუკუნეები.
ჩხუტელი, ციხე, შუა საუკუნეები.
ცაგერი, ეკლესია, შუა საუკუნეების საკათედრო ტაძარი, განახლებულია 1871 წ. ქვის გალავანი, ეპისკოპოსის 2 სართულიანი სახლის ნანგრევები, არის მოხატულობა და წარწერები.
ცაგერი, მიდამოები – გველემბარი, ციხე, შუა საუკუნეები.
ცაგერი, მიდამოები, მურის ციხე, შუა საუკუნეები.

11. გ უ რ ი ა

საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე, ფართობი 2 030,1 კმ . დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით გურია მოიცავს ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებს.
მოსახლეობა – 139,8 ათასს, მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ–ზე – 73 კაცს. მოსახლების 96% ეთნიკურად ქართველია. ძირითადად ცხოვრობენ გურულები, მოსახლეობის 15% აჭარელია.
მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ოზურგეთი. მხარეში 193 დასახლებული პუნქტია, მათ შორის:

- ქალაქი - 2: ლანჩხუთი, ოზურგეთი;
- დაბა – 5: ლაითური, ნარუჯა, ნასაკირალი, ურეკი, ჩოხატაური.
- სოფელი - 186.

გეოგრაფია - ისტორიულად იგი შემოსაზღვრული იყო ჩრდილოეთით რიონით, სამხრეთით - ჭოროხით. აღმოსავლეთით ჭოროხ-აჭარისწყლის შესართავიდან მესხეთის ქედის გაყოლებით აჭარას ესაზღვრებოდა.

ამდენად გურია მოიცავდა ამჟამინდელი ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიას, ასევე, ნაწილობრივ, ქობულეთის, ხელვაჩაურის, აბაშის, სენაკის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქების, ფოთისა და ბათუმის ტერიტორიას.

გურია სამ რეგიონად იყოფოდა: ზემო გურია (ტერიტორია მდინარეებს რიონსა და სუფსას შორის), ქვემო გურია (მხარე ჭოროხსა და ჩოლოქს შორის) და შუა გურია (ტერიტორია ჩოლოქსა და სუფსას შორის). შესაბამისად, არსებობდა სამი საეპისკოპოსო: ჯუმათის (ზემო გურია), შემოქმედის (შუა გურია) და ხინოწმინდის (ქვემო გურია).

სურები – ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი გურიაში. მდებარეობს მდინარე სუფსის ზემო წელში. მოიცავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლებს: ზემო სურები, შუა სურები, ტობახჩა-თავსურები, შველაურ-ციციბაური, ჩაკიტაური, წითელგორა, ჭალა-ქადაგაური და ყოფილ სოფელი ქვემო სურები.

საჯავახო — ისტორიული მხარე დასავლეთ საქართველოში, საჯავახოს ქედის წინა ზოლის ტერიტორია, ახლანდელი სამტრედიისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების მოსაზღვრე რეგიონი.

სახელწოდება „საჯავახო“ XIII საუკუნის ფეოდალის ჯავახ ჭილაისძის სახელიდან უნდა მოდიოდეს. ისტორიულ წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVI საუკუნეში. მონაცვლეობით ეკუთვნოდა გურიისა და სამეგრელოს სამთავროებს, იმერეთის სამეფოს.

გურიის მხარის მდინარეები

- ბახვისწყალი
- ბჟუჟი
- გუბაზეული

- ნატანები
- რიონი
- ფიჩორი (მდინარე)
- ჩოლოქი
- ჭახვათა
- ხევისწყალი

გურიის მხარის ტბები

- იმნათის ტბა
- ჩალაუბნის ტბა
- ჯაპანის ტბა

გურიის მხარის მთები

- გადრეკილი
- გომისციხე
- დიდი ლობოროტი
- ზოტიმერია
- თაგინაური
- მეფისწყარო
- საყორნია

ეტიმოლოგია - პირველად სიტყვა გურია ისტორიულ წყაროებში იხსენიება VIII საუკუნეში, მურვან ყრუს ლაშქრობის დროს. როგორც მემატიანე წერს, "მურვან-ყრუმ გაიარა გზა გურიისა".

ტოპონიმ გურიის წარმოშობის შესახებ საბოლოო და დაზუსტებული მოსაზრება არ არსებობს. თედო სახოკიას მოსაზრებით, გურია შესაძლებელია გულს ნიშნავდეს (მეგრულად გური ნიშნავ გულს). გეოგრაფიულად გურია დასავლეთ საქართველოს შუაგულში მდებარეობს.

ნიკოლოზ ბერძენიშვილის მოსაზრებით გურია შესაძლებელია წარმოდგებოდეს რომელიმე დასახლებული პუნქტიდან. ბერძენიშვილს ასეთად მიაჩნია სოფელი გურიანთა.

არსებობს სხვა მოსაზრებებიც, რომლის თანახმადაც გურია არის ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში ურარტუს ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული ქვეყანა კურიანთა. ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს, რომ ამ მხარეში "გურიანნი", ანუ ფიცხი

და ბრაზიანი ხალხი ცხოვრობდა და აქედან წამოიშვა სახელი გურია.

გურული კილო მეტყველება გავრცელებულია გურიის მხარეში. გურულ კილოში შთამბეჭდავია მეგრულ-ჭანური ფენა.

გურული კილო იყოფა ორ კილოკავად: ზემო და ქვემოგურულად. ზემოგურული მოიცავს ძირითადად ჩოხატაურისა და ოზურგეთის მთიანი რეგიონის მოსახლეობის მეტყველებას, ქვემოგურული — ლანჩხუთისა და ოზურგეთის რაიონების მეტყველებას. გურული კილოს კილოკავებად დაყოფას საფუძვლად უდევს, ერთი მხრივ, ლექსიკური და, მეორე მხრივ კი, მორფოლოგიური სხვაობა. ზემოგურული დიალექტური თავისებურებებით უახლოვდება უფრო ქვემოიმერულს, ვიდრე ქვემოგურულს.

გურიის სამთავრო, ისტორია.

ფეოდალურ ხანაში გურია ჩამოყალიბდა როგორც საქართველოს ერთ-ერთი საერისთავო. ერისთავები იყვნენ გურიელები, რომლებიც ვარდანისძეთა საგვარეულო შტოდან წარმოიშვნენ. საერისთავოს ცენტრი იყო სოფელი გურიანთა.

გურიის სამთავროს დამუკიდებლობა იწყება კახაბერ II გურიელის დროიდან, როცა ის დაუპირისპირდა ერთიანი საქართველოს სამეფოს უკანასნელ მეფეს, გიორგი VIII-ს. ამის შემდეგ გურიის სამთავრო დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა. მას გურიელები განაგებდნენ და რეზიდენცია ჰქონდათ ალამბარში, შემდგომ ოზურგეთში, ასევე ლიხაურში. საუფლისწულო მამულს წამოადგენდა სოფელი ლესა.

ადრინდელი გურიის სამთავროს ტერიტორია მოიცავდა მესხეთის ქედს, შავ ზღვას, მდ. რიონსა და მდ. ჭოროხის შესართავს შორის მდებარე ტერიტორიას. XV-XVII საუკუნეებში გურიის სამთავროში ზოგჯერ აჭარა, ჭანეთის ჩრდილოეთი ნაწილი (გონიოს მხარე) და მაჭახელიც შედიოდა. გურიის სამთავროს განაგებდნენ გურიელები. მათი ძირითადი რეზიდენცია იყო ოზურგეთი.

1533 წელს ოდიშის მთავართან ერთად მამია I გურიელის ჯიქეთში მარცხიანი ლაშქრობის შემდეგ გურიის სამთავრო

დროებით იმერეთის მეფეზე დამოკიდებული გახდა. როსტომ გურიელის (1534-1566) დროს გურიის სამთავროს შემოუერთდა აჭარა და ჭანეთი.

XVI საუკუნეში როსტომ გურიელი აქტიურად მონაწილეობდა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე. მიუხედავად ამისა, ოსმალებმა მიიტაცეს გონიოს მხარე და გურიას უშუალოდ დაუმეზობლდნენ. ამის შემდეგ გურიის სამთავრო ოსმალების გავლენის სფეროში მოექცა, რასაც ხელი შეუწყო სამხრეთ საქართველოში ოსმალთა გაბატონებამ. როსტომ გურიელის ძე, გიორგი II გურიელი უკვე ოსმალების დახმარებით ხდება გურიის მთავარი.

XVII საუკუნის დასაწყისში გურიის სამთავროს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურის ძლიერების ხანა იყო. მამია II გურიელმა გამოიყენა ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარება და 1609 აჭარიდან განდევნა ოსმალები, მაგრამ მათთან ომის გაგრძელება ვერ შეძლო, 1614 იძულებული გახდა აჭარა დაეთმო და ოსმალეთის სასარგებლოდ ხარკი ეკისრა (გურია-ოსმალეთის შეთანხმება 1614). ამ დროიდან გურიის სამთავრომ პოლიტიკური ურთიერთობა დაამყარა რუსეთის სახელმწიფოსთან, დონისა და ზაპოროჟიეს კაზაკებთან და პოლონეთთან. იგი აქტიურად მონაწილეობდა ქართლისა და კახეთის სამეფოთა ანტიირანულ ბრძოლაში.

XVII საუკუნის II მეოთხედიდან გურიის სამთავრო დიდი ხნით მოექცა ოდიშის მთავრის გავლენის ქვეშ. მდგომარეობა გაართულა დასავლეთ საქართველოში გაჩაღებულმა შინაომებმა, რასაც მოჰყვა ტყვის სყიდვა. სხვა ქართველ მთვრებთან ბრძოლის დროს გურიელები დახმარებისათვის ხშირად მიმართავდნენ ოსმალეთს. ასევე იქცეოდნენ დასავლეთ საქართველოს სხვა მეფე-მთავრები, რამაც დასავლეთ საქართველოში ოსმალეთის ბატონობის გაძლიერებას შეუწყო ხელი.

მომდევნო ხანებში გურიის მთავრებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს: დემეტრე გურიელი, გიორგი III გურიელი, მამია III გურიელი და გიორგი IV გურიელი ზოგჯერ

დადიანობასა და იმერეთში გამეფებასაც კი ახერხებდნენ. XVIII საუკუნის დასაწყისში გურიის მთავარი დადიანთან და იმერეთის მეფესთან ერთად რუსეთის დახმარების იმედით ოსმალეთის წინააღმდეგ გამოვიდა. ამის საპასუხოდ ოსმალებმა 1703 წელს დასავლეთ საქართველო დაარბიეს. გურიის სამთავრომ საბოლოოდ დაკარგა ბათუმისა და ჩაქვის მხარეები: 1723 წელს გურიის ზღვისპირა ციხეებში ოსმალთა გარნიზონები ჩადგნენ.

XVIII საუკუნის შუა წლებში გურიის სამთავრო გაძლიერდა მამია IV გურიელის მთავრობის დროს. ის ერეკლე II-ის დახმარებით ცდილობდა ოსმალთა განდევნას. იმერეთში სოლომონ I-ის გამეფების შემდეგ გურიის მთავარი აქტიურად მონაწილეობდა იმერეთის მეფის ანტიოსმალურ ღონისძიებაში. მამია IV-მ აკრძალა ტყვის სყიდვა, მოაწესრიგა ეკლესიის საქმეები და დაიწყო აშკარა ბრძოლა ოსმალეთის წინააღმდეგ. მამია IV, ასევე მისი მოქიშპე ძმა, გიორგი V გურიელი აქტიურად მონაწილეობდნენ 1768-1774 რუსეთ-ოსმალეთის ომში. 1769 გურიაში ოსმალები შეიჭრნენ, მაგრამ მომდევნი წელს იმერეთისა და გურიის ლაშქარმა მხარე კვლავ გაათავისუფლა. 1771 იანვარში ლაშქარმა გაანადგურა ფოთის მიდამოებიდან უკანგაბრუნებული ოსმალთა დიდი რაზმი.

ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ ოსმალეთი თანდათან იპყრობდა გურიის სამთავროს მიწა-წყალს და მას ქობულეთის მხარე გამოგლიჯა. დაიწყო ქვემო გურიის გამაჰმადიანების პროცესი, რომელიც XIX საუკუნის 70-იან წლებამდე გაგრძელდა. ქვემო გურიის მოსახლეობის ნაწილი გურიის სხვა მხარეებში გადასახლდა. XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში გურია ოსმალთა ბოლომოუღებელი შემოსევების ასპარეზად იქცა. იმერეთის მეფე სოლომონ I-მა 1784 წლის მარტში სცადა ქვემო გურიიდან ოსმალების განდევნა, მაგრამ ნაჭიშკრევთან დამარცხდა. ამის შემდეგ ეს მხარე 1878-მდე ოსმალეთის ხელში იყო.

შედარებით გაუმჯობესდა გურიის სამთავროს მდგომარეობა ქაიხოსრო ბატონიშვილის რეგენტობის დროს. მან აკრძალა ტყვის სყიდვა და გაატარა მნიშვნელოვანი ეკონომიკური

ღონისძიებანი. საგარეო პოლიტიკაში ქაიხოსრო გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე რუსეთთან კავშირის მომხრე იყო. 1804 წელს რუსეთის მთავრობამ სცადა იმერეთის სამეფოსთან ერთად თავისი მფარველობა გურიის სამთავროზეც გაევრცელებინა, მაგრამ შედეგოდ.

1810 წლის 19 ივნისს მამია V გურიელმა რუსეთთან მფარველობითი ხელშეკრულება დადო. გურია რუსეთის იმპერიაში შევიდა როგორც ავტონომიური სამთავრო. ამის შემდეგ ოსმალთა შემოსევები შემცირდა, მაგრამ არ შეწყვეტილა. მამია V გურიელის დროს (1809-1826) გურიის სამთავროში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. გაუმჯობესდა მმართველობის სისტემა, გაიხსნა სკოლა ოზურგეთში, დაწესდა ყოველწლიური ბაზრობა ნაგომარში, მოწვეულ იქნენ ევროპელი მუსიკოსები და მსახიობები, მოწესრიგდა სახელმწიფო კანცელარიის სამიანობა, ჩატარდა მნიშვნელოვანი სააღმშენებლო სამუშაოები, განვითარდა ვაჭრობა და შინამრეწველობა. იმერეთისა აჯანყების დროს რუსეთის სარდლობამ გურიაში ჯარი შეიყვანა და იმერელ აჯანყებულთა დამხმარე ქაიხოსრო ბატონიშვილის შეპყრობა სცადა. შემოქმედის ციხესთან მოკლეს რუსთა რაზმის უფროსი, პოლკოვნიკი პუზირევსკი. რუსთა დამსჯელმა რაზმა ქაიხოსროსა და მის მომხრეთა მამულები მოარბია. ქაიხოსრო ბატონიშვილი თავისი მომხრეებით ემიგრაციაში წავიდა. 1826 წლის 26 ოქტომბერს გარდაიცვალა მამია V გურიელი. რუსეთის სარდლობის მოთხოვნით გურიის გამგებლობა დაევალა სამმართველო საბჭოს, რომელსაც სოფიო გურიელი თავმჯდომარეობდა. რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის დროს გურია ომის ასპარეზად იქცა. სოფიომ სცადა ეს ვითარება თავისი ხელისუფლების გასაძლიერებლად გამოეყენებინა, მაგრამ მოსახლეობის მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. გურიაში რუსეთის ჯარი შევიდა და 1828 წლის მიწურულს გურიის სამთავრო რუსეთის იმპერიას შეუერთდა. დედოფალი სოფიო შვილებით ემიგრაციაში წავიდა. რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 ომში გურიის მოსახლეობა აქტიურად იბრძოდა ოსმალეთის წინააღმდეგ. 1829-1840 წლებში გურიას განაგებდა

დროებითი მმართველობა, რომელშიც შედიოდნენ გურიის თავადები რუსი ოფიცრის თავმჯდომარეობით. 1840 წელს გურიის დროებითი მმართველობა გაუქმდა და გურია ოზურგეთის მაზრის სახით ქუთაისის გუბერნიაში შევიდა.

სოციალური წყობა

გურიის სამთავროს პოლიტიკურ-სოციალური წყობა და ურთიერთობანი ძირითადად საქართველოს ბარის სხვა მხარეთა მსგავსი იყო. XV-XVI საუკუნეების მიჯნიდან გურიის სამთავროს ეკლესია, რომელიც XI საუკუნიდან ქუთათელის სამწყსოში შედიოდა, გურიელთაგან დასმულ მღვდელთმთავრებს დაექვემდებარა. გურიის სამთავროში სამი ეპარქია შედიოდა: შემოქმედის, ჯუმათისა და ხინოწმინდისა. საშემოქმედლო მოიცავდა ტერიტორიას მდ. სუფსასა და კინტრიშს შორის, საჯუმათლო - სუფსასა და რიონს შორის, ხოლო სახინოწმინდლო — კინტრიშსა და ჭოროხს შორის. იყო რამდენიმე მონასტერი (შემოქმედის, ჯუმათის, თეთროსნისა და სხვა), საწინამძღვრო და ორასზე მეტი ეკლესია, რომლებიც დიდი რაოდენობით ყმა-მამულს ფლობდნენ და სწავლა განათლებისა და კულტურის ცენტრებს წარმოადგენდნენ.

გურიის მთავრების ქრონოლოგიური სია:

სახელი მთავრობის წლები

კახაბერ II გურიელი
1462-1483

გიორგი I გურიელი
1483-1512

მამია I გურიელი
1512-1534

როსტომ გურიელი
1534-1566

გიორგი II გურიელი
1566-1582; 1587-1600

ვახტანგ I გურიელი
1582-1587

მამია II გურიელი
1600-1625

სიმონ II გურიელი
1625-1626; 1658

მალაქია I გურიელი
1626-1639

ვახტანგ II გურიელი
1639-1641

ქაიხოსრო I გურიელი
1641-1658

დემეტრე გურიელი
1658-1664; იმერეთის მეფე 1660-1664

გიორგი III გურიელი
1664-1684; იმერეთის მეფე 1681-1683

მალაქია II გურიელი
1684-1685; 1689

ქაიხოსრო II გურიელი
1685-1689

მამია III გურიელი
1689-1711; იმერეთის მეფე 1701-1702; 1711

გიორგი IV გურიელი
1711-1712; 1714-1716; 1717-1726 იმერეთის მეფე 1716-1717;

ლევან გურიელი
1712-1714

ქაიხოსრო III გურიელი
1716-1717

მამია IV გურიელი
1726-1756; 1758-1765; 1771-1776

გიორგი V გურიელი
1756-1758; 1765-1771; 1776-1788

სიმონ III გურიელი
1788-1792;

ვახტანგ III გურიელი
1792-1797;

ქაიხოსრო ბატონიშვილი
1797-1809;

მამია V გურიელი
1809-1826;

დავით გურიელი
1826;

ოზურგეთის მაზრა

1841 წლის გურიის აჯანყება

ოზურგეთის მაზრა 12 თემად იყოფოდა. რუსეთის მმართველობით გამოწვეული უკმაყოფილება დიდი იყო, განსაკუთრებით გლეხობაში, რაც 1841 წლის აჯანყების ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

ხალხის მღელვარების საერთო მიზეზი იყო ფეოდალური ექსპლუატაციის ზრდა, სახელმწიფო გადასახადების სიმძიმე, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა თვითნებობა, უშუალო მიზეზი - კანონი, რომლის მიხედვით სახელმწიფო გადასახადები 1841 წლიდან ფულადი სახით უნდა აკრეფილიყო, რაზეც გლეხებმა უარი განაცხადეს და აჯანყება დაიწყო.

მასში 7200-მდე კაცი მონაწილეობდა. მღელვარებამ მოიცვა იმერეთისა და სამეგრელოს ზოგიერთი სოფელიც.

9 აგვისტოს აჯანყებულებმა გოგორეთის ბრძოლაში დაამარცხეს პოლკოვნიკ ბრუსილოვის რაზმი. მალე აჯანყებულებმა მთლიანად დაიკავეს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი, სამხრეთ-დასავლეთი გურია, ოზურგეთ-ქუთაისის საკომუნიკაციო ხაზი, ოზურგეთისაკენ მიმავალი გზები და სხვა. მთავრობის ხელში მხოლოდ ადმინისტრაციული ცენტრი - ოზურგეთი დარჩა. აჯანყებულებმა დაამარცხეს გურიის თავად-აზნაურთა და მთავრობის ჯარის დასახმარებლად მოსული სამეგრელოსა და იმერეთის თავად-აზნაურთა რაზმი. აჯანყებულთა წინააღმდეგ გაიგზავნა რეგულარული ჯარი პილკოვნიკ მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის მეთაურობით. ამ ბრძოლაში 60-ზე მეტი გლეხი დაიღუპა.

აჯანყებაში მონაწილეობდნენ აზნაურები და ნაწილი თავადების. გურიის აჯანყება მარცხით დამთავრდა. მეფის მთავრობამ მოძრაობის 50 მეთაური ქუთაისის ციხეში ჩასვა, შემხეგ კი სამხედრო წესით გაასამართლა, მაგრამ 1842 წელს ხალხის მღელვარების თავიდან აცილების მიზნით ყველა

გაათავისუფლა, მხოლოდ თავადი ამბაკო შალიკაშვილი გადაასახლეს ციმბირში.
მიუხედავად ამ დათმობისა, უკმაყოფილება მაინც დარჩა და 1862 წელს კიდევ ერთი აჯანყება მოხდა ბატონყმობის წინააღმდეგ.
1877-1878 წლებში გურიაში გადიოდა რუსეთ-ოსმალეთის ომის ფრონტი, რამაც მხარე კიდევ უფრო დააზარალა.
ოზურგეთის მაზრა იყო ერთ-ერთი ყველაზე სუსტად განვითარებული და ღარიბი ნაწილი ქუთაისის გუბერნიისა. მაზრაში საკმაოდ ძლიერი იყო ოპოზიციური განწყობები რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, ასევე მაღალი იყო სოციალ-დემოკრატიული იდეების მხარდაჭერა.
გურიის რესპუბლიკა
სოციალური პრობლემები ხელს უწყობდა გლეხობაში სოციალ-დემოკრატიული იდეების გავრცელებას. XX საუკუნის დასაწყისში ოზურგეთის მაზრაში დაიწყო სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა.
გურული სოციალ-დემოკრატები განსაკუთრებით გააქტიურდნენ რუსეთის 1905 წლის რევოლუციის დროს. თავდაპირველად გლეხებმა წამოაყენეს საკუთარი მოთხოვნები, რაც ბახვის მანიფესტის სახელითაა ცნობილი, ხოლო შემდეგ დაიწყეს შეიარაღებული ამბოხება.
აჯანყებულებმა 1905 წლის ოქტომბერში მოიგეს ნასაკირალის ბრძოლა, ნოემბერში დაიკავეს ფოსტა, ტელეფონი, ტელეგრაფი, რკინიგზა, აიღეს მაზრის ცენტრი ოზურგეთი და გამოაცხადეს გურიის მხვნელ-მთესველთა სოციალისტური რესპუბლიკა. პრეზიდენტად ბენია ჩხიკვიშვილი გამოცხადდა.
ამის პასუხად, 1906 წლის 10 იანვარს პოლკოვნიკ კრილოვის ექსპედიცია ქალაქ ოზურგეთისკენ გაემართა. მან ქალაქი გადაწვა. მეფის მთავრობამ აჯანყება უმოწყალოდ ჩაახშო.
1921 წლიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებასთან ერთად გააუქმა ოზურგეთის მაზრა და მის ნაცვლად შეიქმნა ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონები.

გურულები - ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი. ძირითადად ცხოვრობენ გურიის მხარეში, (ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე). საუბრობენ ქართული ენის გურულ დიალექტზე. გურულები მართლმადიდებლები არიან, საქართველოს სხვა კუთხეების მცხოვრებთაგან განსხვავდებიან ყოფისა და კულტურის ზოგიერთი თავისებურებებით. ამჟამად საქართველოში მცხოვრები დაახლოებით 3.600.000 ქართველიდან დაახლოებით 300.000 ქართველი, გურული ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენელია.

ვახუშტი ბატონიშვილი გურულებს ასე ახასიათებს:

„... გურული სადგომად იშენებს ფიცრის სახლს, ანუ ოდას... ტანისამოსად გურული იცვამს ჩოხასა და თავზე იხვევს ყაბალახსა; ჩოხის მაგივრად კიდევ ხმარობენ გურიაში მოკლე კოხტა გადასაცმელს წელამდე, რომელიც ძლიერ ჰშვენის გურულებს... გურული კაცი მეტად ჩქარია ლაპარაკში, მოძრაობაში, საქმეში, უყვარს პირდაპირობა და სძულს პირმოთნეობა, სწრაფად მოსდის გული, მაგრამ ჩქარავე მშვიდდება. სიმარჯვე და გულადობა გურულისა ნაქებია. გურულები ნიჭიერნი, მარდნი და მარჯვენი არიან ყველაფერში და განათლებასაც ძლიერ მისდევენ “

„...ხოლო კაცნი და ქალნი მგზავსნი იმერთა ზნითა, ქცევითა, სარწმუნოებითა, რჯულითა. სამწყსონი აფხაზეთის კათალიკოზისანი, შემოსილნი ეგრათვე და შუენიერებითაცა, არამედ უმეტეს კეკელანი და რბილნი, ენა-ტკბილმოუბარენი, უმეტეს წიგნის სიტყვით (მესხთაებრ), არამედ ქართულისავე ენისანი და არა სხჳსა. ბრძოლასა შინა შემმართებელნი და იმერთა თანა ვერ შემდარენი, უქურდალნი, უავაზაკონი; ვითარცა ოდიშარნი, სტუმრის მოყუარენი და კეთილად შემწყნარენი, კეთილ-მგალობელ-მწიგნობარნი, მშჳდნი, არამედ მყის გულმწყრალნი.“

ანთროპოლოგიურად გურულები დასავლეთ ქართული, შავი ზღვისპირა ტიპის სახეებითა და აღნაგობით გამოირჩევიან. გურულების დიდ ნაწილს ღია ფერის თვალები და ღია ფერის

თმა აქვს (ქერადან წაბლისფრამდე). საშუალოზე მაღალი სიმაღლე და სწორნაკვთოვანი აღნაგობა. ცხვირი სწორი, ტუჩები შედარებით სქელი, სახე მოგრძო.

კულტურა და ტრადიციები

გურიაში ტრადიციული ქართული ხალხური სამხმიანი სიმღერის გარდა მღეროდნენ ოთხხმიან სიმღერა "ნადურსაც". ერთ-ერთი ხმა კრიმანჭულია. კრიმანჭული გაგრეხილ, დამანჭულ კრინს ნიშნავს. კრინი მამაკაცის ყველაზე მაღალი ხმაა. კრინს ევროპაში ფალტეცი, კრიმანჭულს კი იოდლი შეესაბამება. ხალხური გადმოცემით ამ ხმის არსებობას ბავშვებს უნდა ვუმადლოდეთ: თითქოსადა შებინდებისას უდაბურ ადგილას მარტო წასული ბავშვები თავის გასამხნევებლად და ავსულების დასაფრთხობად ასეთ ხმებს გამოსცემდნენ. კრიმანჭულს სამეგრელოსა და იმერეთშიც მღერიან. გურიასა და მთელს დასავლეთ საქართველოში გავრცელეული საკრავია ჩონგური. მას ოთხი სიმი აქვს. სიმები აბრეშუმისაა ამიტომ საკრავი ნაზ ხმას გამოსცემს. ჩონგურის თანხლებით სრულდება სახუმარო, სატრფიალო, შრომის თუ საწესო სიმღერები

ჩიჩლაკი სიცოცხლის ხის ნაირსახეობაა. მას ახალი წლის წინა დღეს თხილის ან იმერული ხეჭრელის ტოტებისაგან ამზადებდნენ და კურკანტელით, მარადმწვანე სუროთი, რიტუალური პურით, ფერადი ბაფთებითა და ხილით რთავდნენ. ჩიჩილაკი ნაყოფიერებისა და ბარაქიანობის მომნიჭებლად ითვლებოდა. ჩიჩილაკს წყალკურთხევამდე ინახავდნენ,შემდეგ კი წვავდნენ ან წყალს ატანდნენ.

გურიაში გავრცელებული საცხოვრისის ძირითადი სახეა ოდა, რომელიც მთელი დასავლეთ საქართველოსთვისაა დამახასიათებელი. ის 3-6 ოთახიანი ფიცრული სახლია ხის იატაკითა და აივნით. ოდის ოთხფერდა სახურავი კრამიტით ან ყავრითაა გადახურული. ნესტიანი ჰავის გამო სახლი ხის ან ქვის ბოძებზეა შეყენებული. ოდას ბუხრით ათბობდნენ.

ცნობილი გურულები

პოლიტიკოსები და სამხედრო მოღვაწეები

- ნოე ჟორდანია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე 1918-1921 წლებში
- ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს პრეზიდენტი 1995-2003 წლებში
- ავთანდილ ურუშაძე - პოლიტიკოსი, სამხედრო მოღვაწე
- მახარობელ ურუშაძე - პოლიტიკოსი, სამხედრო მოღვაწე
- ფილიპე მახარაძე - საბჭოთა პოლიტიკოსი, რევოლუციონერი
- ბენია ჩხიკვიშვილი - სოციალ-დემოკრატი, ე.წ. გურიის რესპუბლიკის პრეზიდენტი
- პორფილე ჩანჩიბაძე - გენერალ-პოლკოვნიკი, საბჭოთა კავშირის გმირი

საეკლესიო მოღვაწეები

- ქიქოძე, გაბრიელ, იმერეთის ეპისკოპოსი (მე-19 საუკუნე)
- ონოფრე მაჭუტაძე - საეკლესიო მოღვაწე
- იაკობ შემოქმედელი - შემოქმედელი მიტროპოლიტი XVII საუკუნეში

მწერლები, პოეტები

- ანა კალანდაძე - პოეტი
- ეგნატე ნინოშვილი - მწერალი
- ნოდარ დუმბაძე - მწერალი
- ვახტანგ ჭელიძე - მწერალი, მთარგმნელი
- ზაურ ბოლქვაძე - პოეტი
- ტარიელ ჭანტურია - პოეტი
- გიორგი კეკელიძე - პოეტი

საზოგადო მოღვაწეები

- მამია დუმბაძე - ისტორიკოსი
- აკაკი ბაქრაძე - კრიტიკოსი, პუბლიცისტი
- ექვთიმე თაყაიშვილი - ისტორიკოსი, არქეოლოგი, საზოგადო მოღვაწე
- პავლე ინგოროყვა - ისტორიკოსი, ფილოლოგი, საზოგადო მოღვაწე
- სილოვან ხუნდაძე - პედაგოგი, ლიტერატორი
- გივი ჭანუყვაძე - საბჭოთა ეკონომისტი

- აპოლონ ურუშაძე - სტომატოლოგი, პედაგოგი
- სერგი ჟღენტი - ენათმეცნიერი
- ქეთევან ლომთათიძე - ენათმეცნიერი
- ნიკოლოზ ბერძენიშვილი - ისტორიკოსი
- გრიგოლ ბაბილოძე - პედაგოგი
- იოთამ ბოლქვაძე - იმერეთის აჯანყების ერთ-ერთი მონაწილე
- აბესა ბოლქვაძე - გურიის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური
- ჭიჭიკო ბენდელიანი - მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი
- სოკრატ სალუქვაძე - წამალთმცოდნე
- გიზო ჭელიძე - ფილოლოგი, ფოლკლორისტი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, მწერალი, აკადემიკოსი
- მინდია სალუქვაძე - მეცნიერი, აკადემიკოსი

სპორტსმენები

- გურამ თიკანაძე - ალპინისტი, ფოტოგრაფი
- მანუჩარ კვირკველია - მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი
- ნინო დუმბაძე - მძლეოსანი
- ბორის პაიჭაძე – ფეხბურთელი
- ვახტანგ ბლაგიძე - მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი
- ნინო სალუქვაძე - ტყვიის მსროლელი, მრავალგზის ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი

რეჟისორები, მსახიობები, მომღერლები

- ალექსანდრე წუწუნავა - რეჟისორი, სცენარისტი
- სიკო დოლიძე - რეჟისორი, სცენარისტი
- ივანე ასკურავა - თეატრის მხატვარი
- სულიკო ჟღენტი - დრამატურგი, მწერალი
- თინათინ ბოლქვაძე - მსახიობი
- ვიქტორ დოლიძე - კომპოზიტორი
- ანზორ ერქომაიშვილი - მომღერალი, დირიჟორი
- ვლადიმერ ერქომაიშვილი - მომღერალი, ლოტბარი
- ანანია ერქომაიშვილი - მომღერალი, მგალობელი
- არტემ ერქომაიშვილი - მომღერალი, ლოტბარი
- დავით ანდღულაძე - მომღერალი

- მიხეილ შავიშვილი - მომღერალი, ლოტბარი

ცნობილი გვარები

- ერქომაიშვილები
- თავდგირიძეები
- ნაკაშიძეები
- მაჭუტაძეები
- ურუშაძეები
- გურიელები
- ერისთავები

გურიის მხარის ხუროთმოძღვრების ძეგლები

- აკეთის მაცხოვარი
- აკეთის წმინდა გიორგის ეკლესია
- ასკანის ციხე
- აჭის ეკლესია
- ბუკისციხის ციხე
- დვაბზუს ეკლესია
- დიმიტრი გურიელის სასახლე
- ერკეთის ეკლესია
- ლიხაურის ეკლესია
- ლიხაურის ციხე
- ღომის ციხე
- შემოქმედის ეკლესია
- ჯიხეთის ეკლესია
- ჯუმათის ეკლესია

აკეთის მაცხოვარი - აკეთის მაცხოვრის სახელობის ეკლესია მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო აკეთში. ფუნქციური სტატუსი უმოქმედო, ხუროთმოძღვრული ტიპი გუმბათოვანი ეკლესია.

ეკლესიის აგების ზუსტი თარიღი უცნობია. აკეთის ეკლესია იყო დასავლეთ-საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ზაქარიას საკათოლიკოსო სადგომი. ის აფხაზთა კათალიკოსს დიმიტრი და სვიმონ გურიელებმა შესწირეს. ამის შემდეგ აკეთი თავად ართომელაძეების ხელში გადავიდა. 1713 წელს გიორგი გურიელმა ის კვლავ აფხაზთა კათალიკოსს შესწირა.

ქვემო გურიის ოსმალეთის იმპერიაში შესვლის შემდეგ აკეთში დასახლდნენ თავდგირიძეები. მათ აქ გადმოიტანეს თეთროსნის ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ხატები, ასევე სოფელ გვარადან - გვარასთავის წმინდა გიორგის ხატი. ამ ხატებზე სალოცავად მუსლიმის“ ქართველებიც დადიოდნენ. 1784 წელს აკეთი დალაშქრა აჭარის ბეგმა აბდულ ხიმშიაშვილმა. ამ ლაშქრობის დროს დაზიანდა კედლები და გუმბათი, თუმცა გადარჩა განძეულობა, რადგან ის დამალული იყო.

აკეთის ეკლესია XIX საუკუნეში განაახლა გიორგი თავდგირიძემ. ეკლესია მოხატული იყო, მაგრამ XIX საუკუნეში რუს მღვდლებს კირით შეუთეთრებიათ. დიმიტრი ბაქრაძემ, რომელიც გურიის სოფლებში მოგზაურობდა, მხოლოდ გუბათზე შემორჩენილი ფრესკების ნახვა მოახერხა. ეკლესია გაძარცვეს 1853, 1859 და 1873 წლებში. XX საუკუნის 50-იან წლებში გუმბათს საყრდენები გამოეცალა და ჩამოინგრა. 1986 წელს საქართველოს ძეგლთა დაცვის სამსახურმა მიიღო ეკლესიის რესტავრაციის გადაწყვეტილება, გაიწმინდა ნაგებობა, გადაეწყო და დახარისხდა ქვები, მოიხსნა ზედმეტი მიწა, მაგრამ 90-იან წლებში სამუშაოები შეწყდა.

ლეგენდა - ხალხური ზეპირგადმოცემის მიხედვით თამარ მეფეს საბერძნეთიდან დაუბარებია ოსტატები, რომლებსაც მიუღიათ ბრძანება ორი ეკლესიის აშენების შესახებ. ერთი უნდა აეშენებინათ სოფელ აცანაში (ოქონის მონასტერი) და მეორე სოფელ აკეთში. ამის შემდეგ ოსტატი შესდგომია აცანის ეკლესიის აშენებას, ხოლო აკეთის ეკლესიის აშენება კი მიუნდვია თავისი შეგირდისათვის. მეფის დანიშნულს ხალხს შეგირდის ნამუშევარი მოსწონებიათ, და შეგირდსვე მიუღია მეფის საჩუქარი. ეს სწყენია ოსტატს და საბერძნეთში დაბრუნების შემდეგ შეგირდისთვის მარჯვენა ხელი მოუჭრია. აღსანიშნავია, რომ ასეთივე ლეგენდა არსებობს შემოქმედისა და გორისფერდის ეკლესიებთან დაკავშირებით.

არქიტექტურა - ეკლესია ჯვრის ფორმისაა და სამწქხნაგოვანი საკურთხეველი აქვს. ჰქონდა რვაწახნაგოვანი გუმბათი.

ჩრდილოეთიდან მიშენებული აქვს ეკვდერი და ნაგებია ტლანქად გათლილი ქვით.
ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ კედლები თავისი შესასვლელებით და სამრეკლო, რომელიც ეკლესიის კედელზეა დაშენებული, კიბე შიგნიდან ადის. ჩრდილოეთის შესასვლელ კარზე არის ჩუქურთმა, რომელზეც გამოსახულია ორი გველეშაპი.
სამხრეთის კარიბჭესთან იატაკის ქვაზე ნაპოვნია წარწერა: „... აშენდა მეფობასა შინა... ბრძანებითა მისისა... ჩრ... წელს". ჩრდილოეთის კარიბჭესთან იატაკზე კი ნაპოვნია ბერძნული წარწერა.
აკეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია — ეკლესია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო აკეთში. ფუნქციური სტატუსი უმოქმედო. მემკვიდრეობითი ადგილმდებარეობა შემოქმედის ეპარქია, ხუროთმოძღვრული ტიპი დარბაზული ეკლესია, თარიღდება 1899.
წმინდა გიორგის სახელზე 1899 წ. აშენებული ეკლესიის ნანგრევები დგას სოფლის სასაფლაოსთან. დარბაზული ეკლესია ნაგებია კარგად დამუშავებული ქვებით. ამჟამად ჭერი ჩამონგრეულია, ასევე მთლიანად ჩამოქცეულა სამნაწილიანი აბსიდიც. შემორჩენილია მხოლოდ გარე კედლები თავისი შესასვლელებითა და სარკმელებით. სამხრეთის კედელზე, შესასვლელის თავზე შემორჩენილია ჩუქურთმა.
ასკანის ციხე, თამარის მეფის ციხე - ფეოდალური ხანის ციხესიმაგრე მდინარე სოფელ მთისპირში, (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი). ციხეზე გამოიყოფა რამდენიმე სამშენებლო ფენა, რომელთაგან უძველესი IV საუკუნისაა, უახლესი — XIX საუკუნისა. სამეცნიერო ექსპედიცია ციხეზე არასდროს ყოფილა და ის დღემდე შეუსწავლელია.
ასკანის ციხე მდებარეობს მდინარე ბახვისწყლის მარცხენა ნაპირზე, დელემურისა და თაფურიათის მთებს შორის, ნასოფლარ ციხისუბნის ტერიტორიაზე, სადაც ამჟამად ბენტონიტური თიხა "ასკანიტი" მოიპოვება.

ისტორია - ივანე როსტომაშვილის ცნობით ციხე IV სუკუნეშია აგებული. 1774 წელს ასკანის ციხე ლიხაურსა და ბუკისციხესთან ერთად თურქებმა აიღეს. იმავე წელს მამია IV გურიელმა და სოლომონ I-მა უკან დაიბრუნეს. 1805 წელს ქაიხოსრო გურიელმა განაახლა და სამთავროს მთავარ საპყრობილედ გადააქცია. 1819 წელს ციხის აღებას ცდილობდა აჰმედ-ფაშა ხიმშიაშვილი. 1828 წელს ციხე რუსეთის ჯარმა დაიკავა. 1833 წლის ცნობით, ასკანის ციხე ორი კოშკის, წითელი მარმარილოთი ნაშენი სამლოცველოსა და რამდენიმე ხის ქოხისაგან შედგებოდა. ამჟამად ხის ნაგებობათაგან აღარაფერია შემორჩენილი, საგრძნობლად დაზიანებულია სამლოცველო და გალავნის კედლებიც. ციხე აღჭურვილი იყო ქვემეხებით, რომლებიც XX საუკუნის 30–იან წლებში შემდეგ ოზურგეთში წაიღეს.

არქიტექტურა - ციხე ნაგებია ფლეთილი ქვითა და კირხსნარით. საკმაოდ დაზიანებული გალავნის კედლების სისქე 2 მეტრამდე, სიმაღლე კი 6 მეტრამდე აღწევს. ციხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შესასვლელია. შესასვლელის მარცხნივ გვირაბია, რომელიც ჩადის მდინარე ბახვისწყალზე. ციხის შიგნით ორი დიდი ქვა-ქვევრია, ასევე 3 მეტრი სიგანის სანადიმო ქვაფორე. მაღალ კლედზე აგებულია ციხის სასახლე. სასახლის გვერდით იდგა ეკლესია, რომელიც წარმოადგენდა თლილი ქვით ნაგებ ბაზილიკას.

აჭის ეკლესია — XIII-XIV საუკუნეების დარბაზული ეკლესია აჭში, (ლიხაურის თემი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი), ოზურგეთიდან 9 კმ. მიეკუთვნება შემოქმედის ეპარქიას, მოქმედია 1991 წლიდან.

აჭის ეკლესიის აშენების შესახებ არსებობს ლეგენდა. სოფელ აჭს დევი შეეჩვია, შეწუხებულმა მოსახლეობამ ღოცვით წმინდა გიორგის მიმართა შემწეობისთვის. წმინდანმა დევი მოკლა და გააქვავა, ხოლო მადლიერმა ხალხმა მას ტაძარი აუგო. მდინარე აჭისწყლის პირას ახლაც არის დიდი ლოფი - "დევის ქვა". ეკლესიის აგება კი ხალხს არ გამოდიოდა. ერთ დღესაც ნახეს

მტრედების მიერ დაწყობილი ნაფოტები, რომელსაც ეკლესიის ფორმა ჰქონდა და სწორედ იქ ააშენეს ტაძარი.
აჭის ეკლესიასთან დაკავშირებული წერილობითი წყაროები, რომელთა შორის უძველესი XVI საუკუნის მეორე ნახევრისაა, უმთავრესად შეწირულების ან ნასყიდობის წიგნებია.
აჭის ეკლესიის მიმართ გურიის მთავრები განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ. სვიმონ II გურიელმა აჭი საწინამძღვროდ აქცია. ქაიხოსრო I-მა მას უხვი შეწირულობა უბოძა და შემოქმედის მეტოქად-ჰყო. აჭის წინამძღვრობა მინიჭებული ჰქონდათ სალუქვაძე-თაყაიშვილების საგვარეულოს. მათგან აღსანიშნავია XVIII საუკუნეში მოღვაწე წინამძღვარი იოსებ თაყაიშვილი, რომელიც შემდგომ შემოქმედის მიტროპოლიტი გახდა. მას განუახლებია ვერცხლით მოჭედილი ჯვარცმის ხატი და მხატვარ იობისა და ოქრომჭედელ გრიგოლის შესრულებული წმინდა გიორგის მოოქრული ვერცხლის ხატი.
აჭის ეკლესია მოქმედია 1991 წლიდან. 2007 წლიდან აქ ამოქმედდა ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის დედათა მონასტერი. ამჟამად მონასტერში სამი მონაზონი მოღვაწეობს, რომლებიც ჩვეული ტიპიკონით ცხოვრობენ. დღესდღეობით ეკლესიას, გალავანსა და ფრესკებს სჭირდებათ რესტავრაცია.
არქიტექტურა - აჭის ეკლესია XIII საუკუნის დასასრულსა და XIV საუკუნის დასაწყისშია აგებული. ეკლესია დარბაზული ტიპისაა და ერთნავიანია. ნაგებია კარგად გათლილი ქვის სწორი კვადრებით და პორფირით არის მოპირკეთებული. გარშემოზღუდულია მაღალი, მყარად ნაგები ქვის გალავნით. როგორც ეკლესია, ასევე, გალავანი, მრავალჯერაა აღდგენილ-გამაგრებული.
ტაძარს ორი შესასვლელი აქვს – სამხრეთიდან და დასავლეთიდან. კარების თავებზე მოჩუქურთმებული ჯვრებია გამოსახული. დასავლეთით ჯვრის თავზე ასევე გამოსახულია ვარდული. სამხრეთ კარის თავზე ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა:

„წმინდაო გიორგი, მეოხ ექმენ პატრონთ საღირს, რატის და უშანიანს და მეოხ ექმენ ნიკოლოზ აჭიელსა და გალატოზთა მიქელს და მხეციძესა“

ტაძრის სარკმლები და აღმოსავლეთ მხარეს არსებული სვეტებიანი ჯვარი დაფარულია ფაქიზად ნაკვეთი ჩუქურთმებით. ტაძარს სამხრეთის კარიბჭე და ქვის ჩუქურთმებიანი კანკელი ჰქონდა, რომლის ნაშთიც ამჟამად გამოყენებულია საკურთხევლის აღმოსავლეთ კარიბჭის შესასვლელში.

მემკვიდრეობა - ტაძარი შიგნიდან მთლიანად მოხატულია ფრესკებით. დასავლეთ კედელზე არის სცენები წმინდა გიორგის ცხოვრებიდან, მათ შორის უნიკალურია გველეშაპის განგმირვის სცენა. საკურთხეველში გამოსახულია ვედრების და ათორმეტი დღესასწაულის სცენები: ჯვარცმა, ხარება, ღვთისმშობლის მიძინება, ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმში, და სხვ. მოხატულობა XIII საუკუნის ბოლოს განეკუთვნება. ტაძრის ფრესკები იკონოგრაფიული თვალსაზრისით იშვიათობაა. მაგ. მირქმის სცენაში იოსებსა და იოაკიმეს ხელთ ორ–ორი გვრიტი უპყრიათ.

ტაძარში ექვთიმე თაყაიშვილმა აღმოაჩინა თამარ მეფის დროს შექმნილი, ოქროთი დაფერილი ვერცხლის ჯვარი, რომელსაც ამკობდა წარწერა:

„ჰოი ძელო ცხორებისაო, მეოხ ეყავ შენთა მკობთა დღესა მას განკითხვისასა. შეიქმნა ჯვარი ესე ბეთანიასა ღვთის მშენებლისა ოქროსა და ვერცხლის წმიდისა, უფლებასა დედოფლისა თამარისა, ადიდენ ღმერთმან“

ჯვარს აღარ ჰქონდა შერჩენილი ძვირფასი ქვებით შემკული მედალიონები. ჯვარი ამჟამად აჭის მონასტერში ინახება, თუმცა ის ძვირფასი თვლებისგან გარეშეა დარჩენილი.

აჭის ტაძარს საკმაოდ დიდი რაოდენობის უძრავი ქონება და დიდი ზარი ჰქონდა, რომლის ხმა ლიხურამდე აღწევდა.

ბუკისციხე, თამარის ციხე - ფეოდალური ხანის ციხესიმაგრე სოფელ ბუკისციხეში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ჩოხატაურიდან 6 კმ.

ციხე მდებარეობს მდინარე სუფსის მარჯვნივ, მაღალ გორაზე. ამ ადგილებში, ე.წ. გურიის ტბასთან ადამიანი ჯერ კიდევ გვიანდელი ბრინჯაოს ხანაში ცხოვრობდა. ანტიკურ ეპოქაში აქ უკვე ჩნდება ქალაქური ტიპის დასახლება. აღმოჩენილია ანტიკურობისათვის დამახასიათებელი გათლილი კვადრებით ნაგები გალავნის ნაშთები.

ამჟამად ციხის მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილია შემორჩენილი. აშენებულია რიყის ქვითა და ტერიტორიულად არც თუ ისე დიდია, მაგრამ მაღალ ბორცვზეა განლაგებული და საკმაოდ ციცაბო მისასვლელი აქვს. ციხეს გარშემო უვლის ძლიერ დაზიანებული გალავანი. ძეგლზე არქეოლოგიური გათხრები 1964 წელს ნიკოლოზ ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა. გამოიყოფა რამდენიმე სამშენებლო ფენა, რომელთაგან უძველესი ადრეფეოდალური ხანისა, უახლესი გვიანი შუა საუკუნეებისაა. ციხის ჩრდილოეთ მხარეს მიდგმული მრავალსართულიანი კოშკის პირველ სართულზე გამოვლენილია ქვის დიდი საწნახელი და ქვისავე კიბის დიდი ნაშთი. მეორე სართული საცხოვრებელი ჩანს, მესამე სართული საბრძოლო. კოშკი არქიტექტორმა კ. მელითაურმა VI-VII საუკუნის ძეგლად მიიჩნია.

ციხის აღმოსავლეთ კედელზე მიშენებული ეკლესიის მხოლოდ ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლებია შემორჩენილი. შესასვლელი გამოვლენილია დასავლეთ კედლის სამხრეთ ნაწილში. ეკლესიას სწორი აფსიდა აქვს. ძეგლის შიდაპირი მოპირკეთებულია. არქიტექტურული მონაცემებით, ეკლესია ადრეული შუა საუკუნეების ბოლო ეტაპით თარიღდება.

ციხის აღმდგენად მოიხსენიება მამია III გურიელი, რომელიც XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ზეობდა.1774 წელს ბუკისციხე ლიხაურის ციხესა და ასკანის ციხესთან ერთად ერთად თურქებმა აიღეს. იმავე წელს მამია IV გურიელმა და სოლომონ II-მა უკან დაიბრუნეს. ციხე გურიის რუსეთთან შეერთებამდე (1811 წლამდე) კონტროლს უწევდა იმერეთიდან და მესხეთიდან შავი ზღვისკენ მიმავალ გზას.

არსებობს მოსაზრება, რომ ბუკისციხეს ადრე „გვაბრათი" ეწოდებოდა, ისევე როგორც ასკანის ციხეს. წყაროებში სახელი ბუკისციხე XVIII საუკნის 70-იანი წლებიდან მოიხსენიება.

დვაბზუს ეკლესია - წმინდა გიორგის სახელობის სოფელ დვაბზუში, (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი). ეკლესია დგას სოფლის ცენტრში, სასაფლაოზე. ფუნქციური სტატუსი მოქმედი, მემკვიდრეობითი ადგილმდებარეობა შემოქმედის ეპარქია.

ეკლესია დარბაზულია და თარიღდება VI საუკუნით. აშენებულია ნატეხი ლოდებითა და უხეში რიყის ქვით. კამარა და კონქის მცირე ნაწილი ჩამონგრეულია, თუმცა ჩანს შეკიდული თაღებისა და გვერდითა მინაშენების კვალი. შემორჩენილია აღმოსავლეთის სარკმელი, დასავლეთის სარკმელი კი ამოქოლილია.

ეკლესიასთან დგას ორი სამსართულიანი კოშკი. როგორც ჩანს, ერთი სამრეკლოს ფუნქციას ასრულებდა, ხოლო მეორე, აივნიანი - საბრძოლო კოშკის ფუნქციას.

დიმიტრი გურიელის სასახლე - ხუროთმოძღვრების ძეგლი ოზურგეთში. ააშენა 1873 წელს თავადმა დიმიტრი ქიხოსროს ძე გურიელმა, რომელიც იყო გურიის უკანასკნელი მთავრის მამია V გურიელის ბიძაშვილი. შენობას იხსენიებს სერგეი მესხი, რომელმაც ის ნახა რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს.

„ოზურგეთის მოედანზე....ამჟამად გამოჭიმულია თ. დ. გურიელის აჭრელებული, უცნობს არხიტექტურასა და გაუგებელს გემოვნებაზე აშენებული სასახლე" (სერგეი მესხი)

საბჭოთა პერიოდში შენობაში განლაგებული იყო მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მას შემდეგ, რაც მხარეთმცოდნეობის მუზეუმი შეუერთდა სამხედრო დიდების მუზეუმს და მის შენობაში გადავიდა, სასახლის შენობაში გაიხსნა სამლოცველო, შემდგომში კი - ეკლესია, რომელიც მოქმედებდა 2008 წლამდე, ქალაქის ცენტრში საკათედრო ტაძრის აშენებამდე. 2008 წელს შენობა გარემონტდა. ამჟამად აქ არის შემოქმედის ეპისკოპოსის რეზიდენცია.

ერკეთის ეკლესია — IX საუკუნის ეკლესია სოფელ ზემო ერკეთში (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი), ჩოხატაურიდან 8 კმ დაშორებით. აგებულია მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების სახელზე.სასულიერო სტატუსი დედათა მონასტერი ფუნქციური სტატუსიმოქმედიმემკვიდრეობითი ადგილმდებარეობა შემოქმედის ეპარქია, ხუროთმოძღვრული ტიპი ბაზილიკა, ხუროთმოძღვრული სტილი დარბაზული ეკლესია.

ეკლესია დარბაზული ტიპისაა, ერთნავიანი, გვერდებიდან დამხმარე სათავსოებით. ეკლესიის მოცულობითი ფორმები სიგრძივ ღერძზეა განლაგებული და ბოლოვდება ერთიანი ვრცელი აბსიდით. ეკლესია რამდენჯერმეა გადაკეთებული, რის გამოც გართულებულა კონქისთვის ფორმის შენარჩუნება და იგი თითქმის სწორხაზოვნად მთავრდება. ფასადების მორთულობა ძუნწია. ორივე შესასვლელის თავზე ნახევარწრიულ ტიმპანში მოთავსებულია მარტივი ჯვარი, დასავლეთის კარებთან შემორჩენილია ვაზის ორნამენტაციის ფრაგმენტი, ხოლო აღმოსავლეთის სარკმელი გარშემოვლებულია ლილვების მარტივი კომპოზიციით.

ეკლესიაში შემორჩენილი არის IX საუკუნის კარი და ფრესკები. კედლის მხატვრობა ფრაგმენტულია და საჭიროებს რესტავრაციას. კანკელი შედარებით გვიანდელი პერიოდის რესტავრაციის შედეგია.

ზემო ერკეთის მთავარანგელოზთა ეკლესია ამჟამად მოქმედია, ფუნქციონირებს დედათა მონასტერი. ერკეთის ეკლესია განეკუთვნება შემოქმედის ეპარქიას.

ლიხაურის დარბაზული ეკლესია - XII საუკუნის II ნახევრის ღვთისმშობლის სახელობის ბაზილიკური ეკლესია გურიის მხარეში, ს. ლიხაურში.მოქმედი, შემოქმედის ეპარქია

2010 წელს ლიხაურის ეკლესიის დამეწყრილ ტერიტორიაზე რკინა–ბეტონის საყრდენი კედელი აშენდა, რათა ძეგლი დაცული იყოს სტიქიური მოვლენების დროს.

არქიტექტურა - ეკლესია მდებარეობს სოფლის ცენტრში შემაღლებულ ბორცვზე , ეკლესიას ერთი მხრიდან იცავს ქვის

გალავანი, რომელშიც დატანებულია თლილი ქვით ნაგები ოთხკუთხიანი სამრეკლო. მას ხის სახურავი აქვს, რომელიც ოთხ, ძალზედ მახვილ ქვის სვეტს ეყრდნობა. მის ქვეშ ორი ზარია, რომლეთაგან ერთი ძველია თუჯისაა, უენო და უწარწერო, სამრეკლოს ორივე ფასადი ყურძნის მტევნებისა და ხის ფოთლების სახეებითაა მოჩუქურთმებული. სამრეკლოზე არის წარწერა და გამოკვეთილია ვერძის თავი.

ეკლესიის შენობა იმავე ქვითაა ნაშენი. ეკლესია დარბაზული ტიპის ნაგებობაა. იგი კვადრატის ფორმისაა, აღმოსავლეთ ნაწილში ხუთწახნაგიანი ნახევარწრით. ამ ნახევარწრეს დატანებული აქვს სამი ვიწრო ფანჯარა, რომლებიც საკმაოდ საგულდაგულოდ არის მოჩუქურთმებული. დასავლეთიდან მიშენებული აქვს კარიბჭე, რომელიც მოგვიანებით უნდა იყოს მიდგმული. ეკლესიას ეტყობა გადაკეთებათა კვალი. საშენ მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ზომის კარგად გათლილი, მონაცრისფრო კვადრები, სახურავისთვის კი - ორფერდა კრამიტი.

მემკვიდრეობა - ეკლესიის ფრესკებიდან საინტერესოა ოთხი პორტრეტი ერისკაცებისა. აქ ინახება ორი ძველი ქართული ხელნაწერი: "ოთხთავი" და "ჟამნი."

ეკლესიის ხატებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს: წმიდა იაკობის ხატი, რომელიც იმდენად ძველია, რომ ხეზე გამოსახულება არ ჩანს; ღმრთისმშობლის ხატი დაუსაბამო ჩვილით; მაცხოვრის მცირე ხატი ხის კუბოში. ხატებზე გამოკვეთილი წარწერების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისინი უძველესია გურიის ძველ წარწერებს შორის, რომლებიც გვხვდება შემოქმედში, ჯუმათში და ამ მხარის ზოგიერთ სხვა ეკლესიაში.

ლიხაურის ციხე, ან თამარის ციხე – ციხე ლიხაურში (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი). მდებარეობს ლიხაურის ცენტრიდან 2 კმ მოშორებით.

ისტორია - 1774 წელს ლიხაურის ციხე ასკანის ციხესა და ბუკისციხესთან ერთად თურქებმა აიღეს. იმავე წელს მამია IV გურიელმა და სოლომონ I-მა უკან დაიბრუნეს. თედო სახოკიას

ცნობით, რომელიც 1896 წელს იმყოფებოდა ლიხაურში, ციხეში რუსული სამხედრო ნაწილი იყო განლაგებული.
არქიტექტურა - გეგმაში ოვალურ ციხეს ორსართულიანი კარიბჭე ჩრდილოეთიდან აქვს. გალავნის ოთხივე მხარეში კოშკებია ჩართული. სამხრეთისა და დასავლეთის ოთხკუთხა, ხოლო ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისა მრგვალი. კოშკებს ახლავს სათოფურები, ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია წყლის რეზერვუარი და ჭა. ციხე ვიზუალური დაკვირვებით გვიანდელ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება.
ღომის ციხე - მდებარეობს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტში ადგილ "საყდრის ყელზე". შემორჩენილია ციხის აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლის ფრაგმენტები. ძეგლს მისასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აქვს.იგი აგებულია დიდი ზომის ფლეთილი ქვებით დუღაბზე. ციხე ქრონოლოგიურად შუა საუკუნეებში თავსდება.
შემოქმედის სამონასტრო კომპლექსი - გურიის მხარეში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ შემოქმედში, თარიღდება XII საუკუნით, შემოქმედის ეპარქიის ცენტრი. მდებარეობს მდინარე ბჟუჟის მარცხენა ნაპირზე, ოზურგეთიდან სამხრეთ-დასავლეთით 7-8 კმ-ის დაშორებით.
არქიტექტურა - შემოქმედის მონასტერი შედგება სამი ძეგლისგან. მათგან ორი ერთმანეთზე მიდგმული ტაძარია: XII საუკუნის ღვთაების ტაძარი (ბაზილიკა) და XVI საუკუნის გუმბათოვანი ეკლესია "ზარზმა", რომელიც ვახტანგ I გურიელმა საგანგებოდ ააგო, რათა შიგ დაებრძანებინა ზარზმის მონასტრიდან XVI საუკუნეში გადმოსვენებული ფერიცვალების ხატი. მესამე ძეგლია XVI საუკუნის სამრეკლო, რომელიც 1831 წელსაა აღდგენილი.
შემოქმედის მაცხოვრის ეკლესია შიგნით და გარეთ ნაგებია თლილი ქვით, აქვს მარმალილოს იატაკი. ეკლესია სამნავიან უგუმბათო ნაგებობას წარმოადგენს. ვახტანგ ბერიძის მოსაზრებით ეკლესია თავდაპირველად ერთნავიანი უნდა ყოფილიყო. მოგვიანებით, მას სიგრძივი კედლები მოარღვიეს და ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნავები მიუშენეს. ამდენად

შუა ნავიდან მხოლოდ ერთი-ორი ფრანგმეტიღა გადარჩა. ნავების მიშენების შემდგომ ეკლესია ახალი პერანგით შემოსეს და ჭადრაკულად განლაგებული სხვადასხვა ფერის ქვებით მოაპირკეთეს.

მემკვიდრეობა - შემოქმედის მონასტერი უმდიდრეს მონასტრად ითვლებოდა და გააჩნდა მდიდარი წიგნთსაცავი . აქ დაცული იყო ორი შესანიშნავი ხელნაწერი: გულანი ანუ ლოცვანი და "ფუტკარი" ანუ ბერძნული ეკლესიის ზოგი წმიდანის ცხოვრების კრებული, მასში ასევე მოთხრობილია ქართული და სომხური ეკლესიების განხეთქილების ამბავი, VI და VII საუკუნეების ქალკედონიის კრების შემდეგ. შემოქმედის მონასტერი მდიდარ მამულებს ფლობდა. შემოქმედში მრავალი ძვირფასი ხატი და საეკლესიო ინვენტარი იყო დაცული. მათი უმრავლესობა ადგილზე იყო მოჭედილი, ნაწილი კი საქართველოს სხვა კუთხეებიდან (ძირითადად სამცხე-საათაბაგოდან) გადატანილი.

შემოქმედის მონასტერი იყო შემოქმედელი ეპისკოპოსებისა და გურიელების საგვარეულო საძვალე.

ჯიხეთის ეკლესია, სამება-ჯიხეთის ეკლესია - XIX საუკუნის ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია გურიის მხარეში, სოფ. ჭყონაგორაში, ზღვის დონიდან 250 მ. ამჟამად მოქმედებს სამება-ჯიხეთის დედათა მონასტერი.

ლეგენდა - ჯიხეთის მონასტრის ადგილმდებარეობის შესახებ არსებობს ლეგენდა. ჯიხეთის მთაზე, მეტად მიუდგომელ ალაგს ყოფილა ნაგები მენელსაცხებლე დედათა სახელობის მონასტერი. დედებს მეტად აწვალებდათ უწყლობა, ამიტომ გადაუწყვეტიათ ტაძრისათვის ახალი ადგილი შეერჩიათ. ეს არჩევანი, წარღვნის მსგავსად, სამი მტრედისათვის მიუნდვიათ. იმ ადგილას, სადაც მტრედები დაფრინდნენ, აუშენებიათ ახალი მონასტერი.

ისტორია - ზეპირი გადმოცემის თანახმად ეკლესია თამარ მეფის დროს აშენდა, თუმცა XIX საუკუნეში უკვე ნანგრევებიღა იყო შემორჩენილი. 1886 წელს ჯიხეთის ტერიტორიაზე დასახლდა მონაზონი ელენე მგალობლიშვილი. თავადმა მაჭუტაძეებმა მონაზვნებს მიწები შესწირეს. მათ 1893 წელს

სინოდისგან ტაძრის მშენებლობის უფლება მოიპოვეს და 1896 ილარიონ მენაბდის თაოსნობით ააშენეს მთავარი, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ქვის ტაძარი.
მონასტერში სკოლაც გაუხსნიათ. აქ ასწავლიდნენ წერა-კითხვას, საოჯახო საქმესა და ხელგარჯილობას. მონასტრის ისტორიული წყაროების მიხედვით ჯიხეთის მონასტერს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ათონის იოანე მახარებლის მონასტერთან. 1905 წელს იოანე მახარებლის მონასტრის წინამძღვარმა მღვდელ-მონაზონმა იონამ ჯიხეთის მონასტერს ათონიდან ღვთისმშობლის ხატი გამოუგზავნა.
თანამედროვება - 1987 წელს ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ტაძარს მიუშენდა სამრეკლო. 1988 წელს აიგო წმინდა გიორგის ბაზილიკური ტიპის ტაძარი. 2002 წელს აიგო წმ. იოანე ნათლისმცემლის მუცლადღების ტაძარი. ეზოში მოწყობილის სანათლავი აუზი, რომელშიც წყაროს წყალი ჩაედინება („იორდანეს წყარო“). წყალს სამკურნალო თვისებები აქვს.
ყოველ 4 დეკემბერს - ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღეს - მონასტერში იმართება დღესასწაული - ჯიხეთობა.
ასკანის ციხე, თამარის მეფის ციხე - ფეოდალური ხანის ციხესიმაგრე მდინარე სოფელ მთისპირში, (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი). ციხეზე გამოიყოფა რამდენიმე სამშენებლო ფენა, რომელთაგან უძველესი IV საუკუნისაა, უახლესი — XIX საუკუნისა. სამეცნიერო ექსპედიცია ციხეზე არასდროს ყოფილა და ის დღედმე შეუსწავლელია.
ასკანის ციხე მდებარეობს მდინარე ბახვისწყლის მარცხენა ნაპირზე, დელემურისა და თაფურიათის მთებს შორის, ნასოფლარ ციხისუბნის ტერიტორიაზე, სადაც ამჟამად ბენტონიტური თიხა "ასკანიტი" მოიპოვება.
ისტორია - ივანე როსტომაშვილის ცნობით ციხე IV სუკუნეშია აგებული. 1774 წელს ასკანის ციხე ლიხაურსა და ბუკისციხესთან ერთად თურქებმა აიღეს. იმავე წელს მამია IV გურიელმა და სოლომონ I-მა უკან დაიბრუნეს. 1805 წელს ქაიხოსრო გურიელმა განაახლა და სამთავროს მთავარ საპყრობილედ გადააქცია. 1819 წელს ციხის აღებას ცდილობდა

აჰმედ-ფაშა ხიმშიაშვილი. 1828 წელს ციხე რუსეთის ჯარმა დაიკავა. 1833 წლის ცნობით, ასკანის ციხე ორი კოშკის, წითელი მარმარილოთი ნაშენი სამლოცველოსა და რამდენიმე ხის ქოხისაგან შედგებოდა. ამჟამად ხის ნაგებობათაგან აღარაფერია შემორჩენილი, საგრძნობლად დაზიანებულია სამლოცველო და გალავნის კედლებიც. ციხე აღჭურვილი იყო ქვემეხებით, რომლებიც XX საუკუნის 30–იან წლებში შემდეგ ოზურგეთში წაიღეს.

არქიტექტურა - ციხე ნაგებია ფლეთილი ქვითა და კირხსნარით. საკმაოდ დაზიანებული გალავნის კედლების სისქე 2 მეტრამდე, სიმაღლე კი 6 მეტრამდე აღწევს. ციხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შესასვლელია. შესასვლელის მარცხნივ გვირაბია, რომელიც ჩადის მდინარე ბახვისწყალზე. ციხის შიგნით ორი დიდი ქვა-ქვევრია, ასევე 3 მეტრი სიგანის სანადიმო ქვაფორე. მაღალ კლედზე აგებულია ციხის სასახლე. სასახლის გვერდით იდგა ეკლესია, რომელიც წარმოადგენდა თლილი ქვით ნაგებ ბაზილიკას.

ლიხაურის ციხე, ან თამარის ციხე – ციხე ლიხაურში (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი). მდებარეობს ლიხაურის ცენტრიდან 2 კმ მოშორებით.

1774 წელს ლიხაურის ციხე ასკანის ციხესა და ბუკისციხესთან ერთად თურქებმა აიღეს. იმავე წელს მამია IV გურიელმა და სოლომონ I-მა უკან დაიბრუნეს. თედო სახოკიას ცნობით, რომელიც 1896 წელს იმყოფებოდა ლიხაურში, ციხეში რუსული სამხედრო ნაწილი იყო განლაგებული.

არქიტექტურა - გეგმაში ოვალურ ციხეს ორსართულიანი კარიბჭე ჩრდილოეთიდან აქვს. გალავნის ოთხივე მხარეში კოშკებია ჩართული. სამხრეთისა და დასავლეთის ოთხკუთხა, ხოლო ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისა მრგვალი. კოშკებს ახლავს სათოფურები, ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია წყლის რეზერვუარი და ჭა. ციხე ვიზუალური დაკვირვებით გვიანდელ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება.

გურიის მხარის არქეოლოგიური ძეგლები

- გოგოლესუბნის განძი

- გურიანთა (ნამოსახლარი)
- ვაშნარი
- ოზურგეთის აბანოები
- ურეკის განძი
- შუხუთის ციხე-ქალაქი

გოგოლესუბნის განძი

გოგელესუბნის განძი - გვიანდელი ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. XII-XI სს.) სპილენძის ნივთების განძი. აღმოჩენილია 1944 წელს მდინარე სუფსის მარჯვენა ნაპირას, სოფელ გოგოლესუბანში. აქ ნაპოვნი კოლხური ტიპის მახვილყუიანი ცული, სამაჯური, სპილენძის 14 ზოდი (წონა 17,200 კგ) ადგილობრივი წარმოების პროდუქცია უნდა იყოს.

გურიანთა (ნამოსახლარი)

გურიანთა — ნეოლითური ნამოსახლარი სოფელ ციხისფერდში, მდინარე სკურდუმის მარჯვენა ნაპირას, ზღვის დონიდან 25 მ-ზე, გაითხარა 1963 (ხელმძღვანელი ნიკოლოზ ბერძენიშვილი). მოპოვებულია კაჟის, რიყის ქვისა და ობსიდიანისაგან დამზადებული საოჯახო, სამიწათმოქმედო, საბრძოლო და სანადირო იარაღი (საფხეკები, საჭრისები, დანები, სახვრეტები, ხელსაფქვავები, სანაყები, სახეხ-სასრესები, ცულები და სხვა). მრავლად იყო წარმოების ნარჩენები (ნუკლეუსები, ანატკეც-ანატეხები და სხვა), არათანახრად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ზოგი მათგანი შემკულია წიწვისებრი ორნამენტით. ნამოსახლარზე აღმოჩენილი მასალა ოდიშის, ანასეულისა და კინტრიშის არქეოლოგიური მონაპოვართა მსგავსია.

ვაშნარის ნაქალაქარი - ადრეული შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი გურიის მხარეში, სოფელ ციხისფერდის ახლოს. გურიის ისტორიული ცენტრი.

ვაშნარი მდებარეობს მდინარეების სკურდუმის და ნატანების შესართავში, შემაღლებულ ადგილას. ვაშნარის ციხე-ქალაქის მშენებლობისა და ძლიერების პერიოდი ისტორიკოსს მკვლევართა მიერ V-VIII საუკუნეებით განისაზღვრება.

ციხე ქალაქი (გარე და შიდა გალავანი) ნაგებია ქვითკირის თანაბარი წესიერი კვადრებით, აგრეთვე ნატეხი რიყის ქვით და გამაგრებულია კირხსნარით. იგი სამი მხრიდან დაცულია ფლატენაპირიანი მდინარეებით, ხოლო აღმოსავლეთიდან გამაგრებულია ქვითკირის მტკიცე ორმაგი გალავნით. 1949 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი გ. გობეჯიშვილი) შეისწავლა შიდა ციხის გალავნის აღმოსავლეთ ნაწილი. ის წახნაგოვანი ფორმისაა და შეიცავს 40 მეტრში ჩატანებულ კვადრატულ კოშკებს (8X8 მ).

განათხარ ნაგებობათა შორის მნიშვნელოვანია შიდა ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, გალავანის გასწვრივ აღმოჩენილი სამნავიანი ბაზილიკა. საკურთხევლის იატაკი მარმარილოს ფილებით ყოფილა მოპირკეთებული. ბაზილიკას სამი მხრიდან გარსშემოსავლელი დერეფანი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით სენაკი აქვს მიშენებული, ეკლესიის შესასვლელი კარიბჭე დასავლეთიდანაა გაჭრილი. ბაზილიკა კრამიტით ყოფილა დახურული. ბაზილიკის ცენტრალურ და სამხრეთ ნავში 4 აკლდამა, ხოლო სამხრეთ სენაკში ორი სამარხი იქნა დადასტურებული. ისინი წარჩინებულ პირთა სამარხებს წარმოადგენენ. ბაზილიკის კედლები ამოყვანილია ბაზალტის კვადრებისა და კვადრატული აგურის სარტყელების მონაცვლეობით და კირხსნარითაა ნალესი.

მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მონაპოვარია აღმოსავლეთის გალავნიდან თიხის მილებით შემოყვანილი წყალსადენი. იგი გაყვანილია ბაზილიკის სამხრეთი კედლის ქვეშ, მის გასწვრივ, რაც წყალსადენის დაზიანების აცილების საშუალებას იძლეოდა. ბაზილიკის ჩრდილოეთით, აღმოსავლეთის გალავნის გასწვრივ გამოვლენილია ნაგებობა, რომელსაც ორი წყება კედელი აქვს. ზედხედში ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის თითქოს კვადრატი კვადრატშია ჩასმული. ნაგებობა ორსართულიანი ყოფილა, რომლის ქვედა სართული ღორღით ყოფილა ამოვსებული და თავისებურ კვარცხლბეკს წარმოადგენდა. მას ზემოდან ედგა ოთხ სენაკიანი მეორე სართული, სადაც სამარხებაია თიხის

სარკოფაგებში, აქვეა გამოვლენილი ბაზისები, იმპოსტები და რვა კორინთული ტიპის სვეტისთავი, რომლებიც შემკულია აკანთის ფოთლის და ბოლუტების (ხვიების) გამოსახულებით. ნაგებობა, სავარაუდოდ, წარმოადგენდა "სამლოცველოს". არის მოსაზრება, რომ ზემოხსენებული ნაგებობა წარმოადგენს სვეტებიან მავზოლეუმს,რომელიც ცნობილია ელინისტურ სამყაროში.

1833 წელს ვაშნარი დიუბუა დე მონპერემ მოინახულა და აღწერა. 1949 წელს ვაშნარის ნაქალაქარის ტერიტორიაზე აშენდა ჩაის ფაბრიკა და ფაბრიკის მუშათა საცხოვრებელი სახლები. სწორედ მაშინ აღმოჩნდა არქეოლოგიური ფენები. ფაბრიკის მუშათა დასახლება ნაქალაქარის ტერიტორიაზე ახლაც მდებარეობს.

2009 წლის 30 ივლისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმისა და საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი ექსპედიციის ინიციატივით გაიმართა პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია , რომელიც ვაშნარის ნაქალაქარის აღდგენას მიეძღვნა.

ვაშნარის ნაქალაქარის ტერიტორიაზე შექმნილია ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის მუზეუმ-ნაკრძალი, რომლის ოფისიც ოზურგეთშია განთავსებული.

ოზურგეთის აბანოები — არქეოლოგიური ნაშთები ქალაქ ოზურგეთში. ნაშთები მსგავსია სხვა აბანოებისა, რომლის მსგავსი ცნობილია საქართველოში I საუკუნიდან მოყოლებული (არმაზი, ბიჭვინთა, კახეთი, დმანისი, ქვემო ჭალა, ახალციხე).

ისტორია - ქალაქ ოზურგეთში ძველი ნაგებობის ნაშთები აღმოაჩინეს მეოცე საუკუნის 50-იან წლებში, ქალაქის ცენტრში რესტორან „იზაბელას" მშენებლობის დროს. ნაშთები ისტორიკოსმა ნინო ხოშტარიამ შეისწავლა. ნაშთები კვლავ გამოვლინდა 2012 წელს იუსტიციის სახლის მშენებლობის დროს.

შესაძლებელია ნაშთები ეკუთვნოდეს დიუბუა დე მონპერეს მიერ XIX საუკუნის დასაწყისში აღწერილ გურიელების აბანოს.

ქალაქში გურიელთა სასახლე მოხსენიებული აქვს ასევე ვახუშტი ბატონიშვილს.
აღწერა - ოზურგეთის აბანო, ისევე როგორც საქართველოში აღმოჩენილი სხვა აბანოები ორ იარუსიანია-ქვედა გასათბობი ადგილი და სააბაზანო. უკეთაა შემორჩენილი ქვედა სართული - გასათბობი. ძველი ნაგებობის ნაშთები 400 კვადრატულ მეტრზეა გაშლილი.
მიწის ზედაპირიდან კარგად ჩანს აბანოს ღუმელი თაღოვანი გადახურვით. თაღი აშენებულია რადიალურად დაწყობილი თხელი აგურისაგან, რომლების თეთრი შემაკავშირებელი ნივთიერებით არიან დაკავშირებული. ამ თაღის საფუძველი 2,8 მეტრს შეადგენს, წყობის სისქე – 65 სანტიმეტრს. ჩრდილოეთით ჩანს კედლის ნაგებობაში დატანებული თიხის მილები, რომელთა დიამეტრი 10-12 სანტიმეტრია. მილების შიგნითა ზედაპირი დაფარულია ჭვარტლით. აღმოჩენილია ქვის ფილებისაგან ქვედა სართულის გადახურვა, მეორე სართულის იატაკი. ქვის ფილების ზომაა 75/35/10 სანტიმეტრი. ამ ფილების შიგნითა ნაწილი დაფარულია დაფარულია ჭვარტლით. ქვის ფილებიანი გადახურვა დაფუძნებულია ერთი მეტრის სიმაღლის სვეტებზე, რომლებიც თხელი აგურისაგან არიან აგებული 26-26 სანტიმეტრი და შეკავშირებულია თეთრი შემაკავშირებელი ნივთიერებით.
ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მეორე იარუსში აღმოჩნდა სააბაზანო იატაკი, რომლის ზედაპირი მოყვითალო-მოვარდისფრო ხსნარით არის დაფარული. ამ ადგილს უკავშირდება ჰორიზონტალური მილები. ნაგებობის ძირითად მასალასთან ერთად გამოყენებულია რიყის ქვა შემაკავშირებელი ნივთიერებით (სამხრრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში). ნაგებობაში გამოყენებულია ორი სახის შემაკავშირებელი ნივთიერება – თეთრი სილიანი და მოყვითალო-მოვარდისფრო. როგორც ჩანს ნაგებობა შემცველი იყო ქვის სვეტების, რასაც მოწმობს აქ არსებული ერთ-ერთი ფრაგმენტი.
ურეკის განძი — არქეოლოგიური გათხრების შედეგად ურეკში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების განძი.

ურეკი ძველი დროიდანვე დასახლებული პუნქტი იყო. მდინარე სუფსის შესართავთან სხვადასხვა დროს აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთების რამდენიმე განძი. დათარიღებაში აზრთა სხვადასხვაობაა: ძვ. წ. XVIII, XVII სს. (დ. ქორიძე და ა. რამიშვილი), ძვ. წ. XV, XIV სს. (თ. მიქელაძე). განძი მნიშვნელოვანია კოლხური ბრინჯაოს პერიოდიზაციის, წარმომავლობისა და ტიპოლოგიური ევოლუციის თვალსაზრისით. 1942 წელს ზღვისპირა დიუნის ყრილში ნაპოვნია გვიანანტიკური ხანის ნივთების განძი, რომელიც შეიცავდა III ს-ის ოქროსა და ვერცხლის რომაული მონეტები.

შუხუთის ციხე-ქალაქი — V-VI საუკუნეების ციხე-ქალაქი გურიის ტერიტორიაზე, სოფელ შუხუთში.

ციხე-ქალაქის არსებობა დასტურდება სოფლის ტერიტორიაზე ნაპოვნი მასალით: ადრე ბრინჯაოს ხანის სამუშაო იარაღები, ჩვენი წელთაღრიცხვის მე-2 საუკუნის პერიოდის ნივთები, მე-5-6 საუკუნეების სასახლის ნაშთები, 5-6 საუკუნეების მთავარანგელოზის ტაძრის ნანგრევები, რომაული აბანოს, ე.წ. „თერმას“ ტიპის ნანგრევები და აბანოს იატაკის მოზაიკური ფრაგმენტი, ასევე კერამიკული მილების საკმაოდ რთული სისტემა, სხვადასხვა ძვირფასი ნივთები და ოქროს ჯვარი. სავარაუდოდ, ქალაქის არსებობას ხელს უწყობდა თიხამიწით და კირქვით მდიდარი მიწა.

1961 წელს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიწაში აღმოჩნდა სასახლის ნაშთები. ის შედგებოდა საცხოვრებელი სახლის, აბანოსა და სხვა ნაგებობისაგან. აღნაგობითა და გეგმებით ეს კომპლექსი ადრებიზანტიური ხანის მდიდრული კლასის წარმომადგენლის სასოფლო რეზიდენციაა. კომპლექსი IV-V ს-ით თარიღდება. სავარაუდოდ ის ეკუთვნოდა ვინმე მდიდარ ეგრისელს.

აბანო საკმაოდ კარგად იყო ნაშენი. მას ჰქონდა ორნამენტიანი, ქვა-კენჭური მოზაიკური იატაკი, შემკული იყო სამი ფერის კენჭებით. ძეგლი V ს-ით თარიღდება. გათბობის სისტემა შემდეგნაირად იყო მოწყობილი: იატაკქვეშ აღმართულ სვეტებს

შორის დაგროვილი სიმხურვალე აბანოს იატაკსაც ათბობდა და ზედა სართულის კედლებსაც.
ციხის გალავნის ნაშთები დღემდეა შემორჩენილი, ხოლო არქეოლოგიური მასალა დაცულია თბილისის სიმონ ჯანაშიას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.
ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი — ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მთავარი მუზეუმი. დაარსდა 1978 წელს, ხოლო 1998 წელს პირველად გაიხსნა მუზეუმის ექსპოზიცია. მუზეუმში გახსნილია არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ისტორიული წარსულის ამსახველი გამოფენა. მუზეუმში რვა ათასზე მეტი ექსპონატია.

ექსპონატები

არქეოლოგიის განყოფილებაში გამოფენილია სოფელ ჯურუყვეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნეოლითური ხანის ქვის იარაღები, კვირისთავები, საფხეკები, IV ათასწლეულის მეორე ნახევრის ჭოლიპას ნამოსახლარში მოპოვებული მასალა. კოლხური კულტურის პერიოდის (II ათასწლეულის II ნახევარი და I ათასწლეული) იარაღები, კოლხური ცულები შუხუთიდან, კოლხური კერამიკა სუფსიდან, VI-IV საუკუნეების იმპორტული შავლაკიანი თიხის ჭურჭელი, სინოპური ამფორები.
მუზეუმში აგრეთვე წარმოდგენილია ფეოდალური ხანის ნივთები. განსაკუთრებით აღსანიშნავია VI ს-ის ბრინჯაოს ჯვარი და ბოლნური ჯვრის გამოსახულების ფილა, რომელიც სოფელ ღრმაღელის ეკლესიის გაწმენდისას აღმოძნდა. მუზეუმში წარმოდგენილია გვიანფეოდალური ხანის სოფელ ჯიხანჯირში „ნასტეფნარის“ გორაზე გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალა: XVI-XVII საუკუნეების თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და XVII-XIX საუკუნეების თიხის ჩიბუხები.
მუზეუმში ინახება ლაპიდარული წარწერა ქვაზე სოფელ ეწერიდან. ქვა წარწერით „ქრისტე შეიწყალე იოანე ბერი“ 1960-იან წლებში აღმოჩნდა სოფელ ეწერში. წარწერა შესრულებულია კუთხოვანი ასომთავრულით, რომელშიც ნუსხურიც ურევია.
ეთნოგრაფიის დარბაზში წარმოდგენილია საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შრომის იარაღები,

ყოველდღიური მოხმარების საყოფაცხოვრებო ნივთები, მარნის მოწყობილობა და სხვ.
მუზეუმში აგრეთვე წარმოდგენილია გურულ თავად-აზნაურთა ფოტო-გამოფენა: გურიელები, თავდგირიძეები, მაჭუტაძეები, შალიკაშვილები, ტუსკიები, ჭყონიები, ჟორდანიები, ბაჟუნაიშვილები, გუგუნავები, თავართქილაძეები, გიგინეიშვილები და სხვ. ასევე გამოფენილია გურული ცხენოსნების მოგზაურობის ამსახველი ფოტო-მასალა ევროპასა და ამერიკაში. წარმოდგენილია მწერლების ეგნატე ნინოშვილისა და საფო მგელაძის ფოტო-მასალა და ნაწარმოებები.
მუზეუმში წარმოდგენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრ ემიგრანტთა, ნოე ჟორდანიასა და ნოე ცინცაძის ფოტო-მასალა და ნივთები. ასევე ლანჩუთიდან მეორე მსოფლიო ომში წასულთა პირადი ნივთები და სამკუთხა ბარათები.
ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმი — ნოდარ დუმბაძის მემორიალური მუზეუმი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზენობანში. დაარსდა 1988 წელს. მუზეუმი ექვემდებარება ჩოხატაურის სამუზეუმო გაერთიანებას. მასში დაცულია ნოდარ დუმბაძის ხელნაწერები, სამახსოვრო ნივთები, გამოცემები. მუზეუმი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს.
მუზეუმი დგას ნოდარ დუმბაძის ბებიისა და ბაბუის სახლის პირდაპირ, იმ ადგილას, რომელიც დუმბაძეს განსაკუთრებით უყვარდა და სადაც მას სახლის აშენება სურდა
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული მუზეუმი, მდებარეობს ქალაქ ოზურგეთში.
მას არაკომერციული იურიდიული პირის (აიპ) სტატუსი აქვს. მუზეუმს აქვს სამი ფილიალი: შალვა რადიანის სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი სოფელ დვაბზუში, მემორიალური მუზეუმი სოფელ გურიანთაში და ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმი სოფელ ლიხაურში.

ისტორია - მუზეუმი დაარსდა 1936 წლის 1 აპრილს. მას მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ეწოდებოდა და თავდაპირველად მდებარეობდა ჟდანოვის ქუჩაზე, ხოლო შემდეგ გურიის გამზირზე, დათმობილი ჰქონდა 3 დარბაზი. მუზეუმის პირველი დირექტორი იყო ნიკოლოზ სამსონია. 1974-91 წლებში მუზეუმი განთავსებული იყო დიმიტრი გურიელის სასახლის შენობაში, რომელიც აგებულია 1873 წელს. 1977 წელს გაიხსნა საბჭოთა საზოგადოების ამსახველი, 1978 წელს კი რევოლუციამდელი პერიოდის ამსახველი ექსპოზიციები. 1991 წლიდან გადავიდა ყოფილი სამხედრო დიდების მუზეუმის შენობაში. მხარეთმცოდნეობის მუზეუმს 2001 წელს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი.
მუზეუმში დაცულია არქეოლოგიური (ნეოლითის პერიოდი, ადრე, შუა და გვიან ბრინჯაოს ხანის მასალა, კოლხური ცულების, თოხების სეგმენტების, ბრინჯაოს პლასტიკის იშვიათი ნიმუშები, ადრე ანტიკური ხანის ოქროს ნივთები), ნუმიზმატიკური (კოლხური თეთრი, თურქული ახჩები, საბჭოთა პერიოდის ფულის ნიშნები, ბონისტიკა, მათ შორის 144 მონეტა ოზურგეთის განძიდან), ეთნოგრაფიული (XIX საუკუნის სამუშაო და საყოფაცხოვრებო ნივთები), დოკუმენტური, ჰერალდიკისა და სფრაგისტიკის, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, ძველბეჭდური წიგნები. სულ მუზეუმში 5 ათასზე მეტი ექსპონატია, მათ შორის ნაპოლეონ ბონაპარტეს დაშნა.
არჩეულის ეგნატე ნინოშვილის მუზეუმი – მუზეუმი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ არჩეულში. ოფიციალურად გაიხსნა 1950 წლის 18 იანვარს ცნობილი ქართველი მწერლის ეგნატე ნინოშვილის პატივსაცემად. მუზეუმი შედგება ოთხი საგამოფენო დარბაზისაგან. პირველ დარბაზში ნინოშვილის ბავშვობის წლების ამსახველი განყოფილებაა. მეორე დარბაზში გამოფენილია მწერლის მიერ არალეგალური ცხოვრების პირობებში შექმნილი რომანის „ჯანყი გურიაში“ ილუსტრაციები. მესამე დარბაზში ეგნატესა და ნადასი კალანდაძის უიღბლო სიყვარულის ამსახველ ამბებს მოგვითხრობს, რომლის შესახებაც მწერალმა მოგვითხრო თავის

ნაწარმოებში „ქრისტინე“. მეოთხე დარბაზი მთლიანადაა მიძღვნილი თემისადმი: „ეგნატე და თანამედროვეობა“.
ამჟამად მუზეუმში დაცულია 6 ათასამდე ექსპონატი.

12. ა ჭ ა რ ა

რეგიონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ადმინისტრაციული ცენტრი ბათუმი. მუნიციპალიტეტი 5+1. ფართობი 2 900 კმ.
აჭარა საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინციაა. ისტორიულ-გეოგრაფიულად იგი ზემო ქართლის, კერძოდ, მესხეთის ნაწილს შეადგენდა. ისტორიულ წყაროებში აჭარა მოხსენებულია როგორც „აჭარის ქვეყანა,” „აჭარის ხევი” ან „აჭარის ხეობა.” ისტორიულად აჭარა, დასახლებული ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ჯგუფით-აჭარლებით, მოიცავდა აჭარისწყლის ხეობას ჭოროხ-აჭარისწყლის შესართავამდე. „აჭარის ხევი” ორ ძირითად ნაწილად იყოფოდა: ზემო აჭარად ანუ ზეგნად და ქვემო აჭარად. აჭარის ცენტრალურ ნაწილს შუახევი ერქვა. ზემო აჭარის ცენტრი იყო ძველად დიდ-აჭარა, შუა საუკუნეებში – ხიხანი, მოგვიანებით – ხულა, ქვემო აჭარისა – სოფ. ქედა. ზემო და ქვემო აჭარა მრავალ წვრილ ადმინისტრაციულ ერთეულად – ხევად იყოფოდა, მაგ., ზემო აჭარაში იყო ხულოს, ღორჯომის, ბეღლეთის, სხალთის და სხვა ხევები.
არქეოლოგია. აჭარა არქეოლოგიურად ნაკლებადაა შესწავლილი. აჭარის ტერიტორიაზე ცნობილი ძეგლებიდან აღმოჩენილი დღეს დღეობით უძველესი მიეკუთვნება ახალი ქვის ხანას (ნეოლითს). ეს კაჟისა და ობსიდიანის ის იარაღებია, რომლებიც არქეოლოგებს შეუგროვებიათ სოფ. ხუცუბანში (ქობულეთის რ-ნი). აჭარაში ენეოლითიც ძლიერ სუსტადაა გამოვლენილი. ქვა-სპილენძის ხანის ძეგლები დღემდე მხოლოდ ფიჭვნარიდანაა (ქობულეთის რ-ნი) ცნობილი. ეს ძეგლებია: წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭელი, ე.წ. „ქსოვილიანი კერამიკით,” ხელსაფქვავები, საწაფები და ა.შ. აჭარაში შედარებით უხვადაა გვაქვს ბრინჯაოს ხანის ძეგლები. ჭოროხის აუზი ბრინჯაოს მეტალურგიის ერთ-ერთი ძირითადი კერა იყო.

აჭარაში მეტწილად გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლებია გამოვლენილი. მათი უმრავლესობა შემთხვევითი აღმოჩენებითაა ცნობილი. რაც შეეხება რკინის ხანას, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, და, კერძოდ, აჭარა ჩვენს ქვეყანაში რკინის წარმოების ერთ-ერთი უძველესი კერა ჩანს. ამ მხარეში რკინის წარმოების ერთ-ერთ უმთავრეს ცენტრად ჯიხანჯური მოსჩანს. ბრინჯაოსა და ადრინდელ რკინის ხანის ძეგლები, ნაპოვნია დიდაჭარაში, საღორეთში, მახუნცეთში, კოლოტაურში, ღორჯომში, ვერნებში და სხვა.. აჭარაში შემორჩენილია წინა ისტორიული პერიოდის ნაგებობები (მენჰირები, ქვაკაცები). არქეოლოგიური გათხრის შედეგად მიკვლეულია ძვ.წ. III-II ათასწლ. ძვ. კოლხური ნამოსახლარების (მდ. ჩოლოქის შესართავიდან ბათუმამდე), რკინის სადნობი სახელოსნოების (სოფ. ლედვა, ჯიხანჯირი და სხვა) ნაშთები და დიდი კოლხური ნაქალაქარი ქობულეთის ტერიტორიაზე (ძვ.წ. IV-III სს.).

ისტორია. ლეონტი მროველის ცნობით, ძვ. წ. III ს II ნახევარში აჭარა ქართლის სამეფოს ოძრხის საერისთავოში შედიოდა. მომდევნო ხანაშიც იგი ქართლის სამეფოს ნაწილი იყო. აჭარაში ქრისტიანობა ადრე გავრცელდა. ისტიორიული ტრადიცია ამ მოვლენას ანდრია მოციქულის (I ს.) სახელს უკავშირებს. VII ს. ანონიმი სომეხი გეოგრაფის ცნობით, აჭარა ქართლის პროვინცია იყო. VIII ს-დან იგი ბაგრატიონთა სამფლობელოს, ე.წ. „ქართველთა სამეფოს" ნაწილად იქცა. 941 წლიდან აჭარის ნაწილი – ქვემო აჭარა - „აფხაზთა" (დასავ. საქართველოს) სამეფოში" შევიდა. თავდაპირველად აჭარა ტბეთის ეპარქიაში შედიოდა, XI ს. დასაწყისიდან კი ქვემო აჭარა ქუთაისის ეპარქიაში მოექცა. XI ს. II ნახევრიდან საქართველოს ერთიანი მონარქიის შემადგენლობაში იყო. XI ს. შუა წლებიდან ზემო აჭარა კლარჯეთთან ერთად აბუსერისძეთა საერისთავოში შედიოდა. „დიდი თურქობის" დროს (XI ს. 80-იანი წწ.). აჭარა სამხრეთიდან შემოჭრილმა სელჩუკებმა ააოხრეს. XIII ს. შუა წლებიდან აჭარა სამცხე-საათაბაგოს სამთავროს ერთ-ერთ საერისთავოს წარმოადგენდა.

ფეოდალური ხანის აჭარა კულტურულად მაღალ დონეზე იდგა. განვითარებული იყო არქიტექტურა, მწერლობა, წიგნების გადაწერა, ხით ხუროობა, ხისა და ტყავის დამუშავება. XIII ს-ში აქ მოღვაწეობდა სწავლული ტბელი აბუსერისძე, რომლის

თხზულებათაგან შემორჩენილია ერთი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები და ტრაქტატი ქრონოლოგიის შესახებ. ძვ. კულტურის მრავალი ძეგლი თითქმის მთლიანად განადგურდა ოსმალთა ბატონობის პერიოდში. ჩვენამდე მოღწეულია სხალთის ტაძარი, რამდენიმე ციხე და თაღოვანი ქვის ხიდები.

XV ს. შუა წლებიდან გიორგი VIII-სა და ყვარყვარე II ჯაყელს შორის მომხდარი ბრძოლის დროს ათაბაგმა გააუქმა აჭარის საერისთავო. ამ ბრძოლაში ათაბაგს გურიის მთავარი ეხმარებოდა, სამაგიეროდ ყვარყვარე II-მ აჭარა გურიელს გადასცა. XVI ს. დასაწყისში მზეჭაბუკ ათაბაგმა გურიელს წაართვა აჭარა, მაგრამ 1535-იდან ეს მხარე კვლავ გურიელის ხელში აღმოჩნდა.

XVI ს. 70-იან წლებში აჭარა ოსმალებმა დაიპყრეს, იქ ზემო და ქვემო აჭარის სანჯაყები დაარსეს და ახალციხის (ჩილდირის) ვილაიეთს შეუერთეს. 1582 აჭარა თურქთა წინააღმდეგ აჯანყებულ მანუჩარ II ათაბაგს მიემხრო. 1587 ოსმალებმა აჭარა ხელახლა დაიპყრეს. 1609 გურიელმა აჭარიდან ოსმალები გარეკა და ის გურიის სამთავროს შეუერთა. 1614 აჭარა კვლავ ოსმალთა ხელში მოექცა. XVII ს. II ნახევარში აჭარის ფეოდალებმა მუსლიმანობა მიიღეს, გლეხობა კი კვლავ ქრისტიანობას იცავდა. ქრისტიანული სარწმუნოება აჭარაში ნაწილობრივ XVIII ს. მიწურულამდე შემორჩა. თურქთაგან შევიწროების გამო აჭარის მოსახლეობის ნაწილი საქართველოს სხვა მხარეებში გაიხიზნა. აჭარა ოსმალთა ხელქვეითი გახდა, მაგრამ აქ ოსმალთა ბატონობა ნომინალური იყო – აჭარის მოსახლეობა სულთანს გადასახადს არ უხდიდა და რეგულარულ სამხედრო სამსახურში არ გადიოდა, მხოლოდ ომის დროს აძლევდა მოლაშქრეებს. შემორჩენილი იყო მიწათმფლობელობის ძველი ქართული ფორმები. ყველა საქმეს ადგილზე ბეგები განაგებდნენ. ასე გაგრძელდა XIX ს 40-იან წლებამდე. ოსმალეთზე აჭარის დამოკიდებულება უფრო გაძლიერდა XVIII ს-ში თურქთა მიერ გურიის სამხრეთ ნაწილის (მდ. ჭოროხიდან მდ. ჩოლოქამდე) დაპყრობით.

აჭარა ხშირად აშკარად ეურჩებოდა სულთანს. 1737 აჭარლებმა უარი თქვეს ახალციხის ფაშის მორჩილებაზე. ფაშამ აჭარა „მოსწვა და მოსტყვევნა," მაგრამ დიდხანს ვერ დაიმორჩილა. XVIII ს. II ნახევრიდან აჭარაში ოსმალთა გავლენა გაძლიერდა. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ადგილობრივ ფეოდალთა

ზედაფენებში: ძველი დიდგვაროვანთა ადგილები ოსმალთა სამსახურში დაწინაურებულმა მედროვეებმა დაიკავეს. აჭარის მოსახლეობა იძულებული იყო მონაწილეობა მიეღო თურქთა ლაშქრობებში. 1774 წლის თებერვალში იმერეთში, ჩხერთან, ოსმალთა ჯარის დამარცხებისთანავე აჭარის მოსახლეობა თურქებს აუჯანყდა. აჯანყებულებმა დაამარცხეს ახალციხიდან მოსული ფაშა. XVIII ს. 80-იანი წლებიდან ზემო აჭარის სინჯაყის გამგებლობა ახლად დაწინაურებულ ხიმშიაშვილთა საგვარეულოს ხელში გადავიდა. აბდულა-ბეგ ხიმშიაშვილი ოსმალთა ლაშქრობებში მონაწილეობდა. 1784 წლის დამდეგს აბდულა-ბეგი აკეთის ბრძოლაში დაიღუპა. XIX ს. დასაწყისში აჭარის მმართველი სელიმი (აბდულა ბეგის ვაჟი), რომელიც 1803 წელს ახალციხის ფაშა გახდა, რუსების დახმარებით ძველ სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე დამოუკიდებელი ქართულ მუსულმანური სამთავროს შექმნას ცდილობდა; ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა. 1815 სელიმი თურქებმა დაამარცხეს და სიკვდილით დასაჯეს. სელიმის მემკვიდრემ ახმედ ფაშა-ხიმშიაშვილმა 1828-29 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებისას მოლაპარაკება გამართა რუსეთის სარდლობასთან აჭარის რუსეთთან შეერთების თაობაზე, მაგრამ მოლაპარაკება ჩაიშალა და აჰმედი აქტიურად დადგა ოსმალეთის მხარეზე, ამავე დროს ცდილობდა ხელი შეეშალა გურიის სამთავროს რუსეთთან დაკავშირებისათვის. ამის გამო გენერალმა დ. ოსტენსაკენმა 1829 წლის აგვისტოში აჭარა დალაშქრა, რამდენიმე სოფელი დაარბია და გადაწვა, მაგრამ მალე დამარცხდა და იძულებული გახდა აჭარიდან წასულიყო. 1829 წელს ადრიანოპოლის ზავით აჭარა ოსმალეთის ფარგლებში დარჩა. რადგანაც ახალციხის საფაშოს უმეტესი ნაწილი რუსეთის ხელში გადავიდა, ეს საფაშო გაუქმდა და აჭარა ყარსის საფაშოს შეუერთდა. 1832 წელს აჭარაში იფეთქა ახალმა ანტითურქულმა აჯანყებამ, რომელიც მალე ჩაახშეს. 1839 წლიდან ოსმალეთში ე.წ. „თანზიმათის" რეფორმების გატარება დაიწყო. ამ ბურჟუაზიულმა რეფორმებმა აჭარაში როგორც ფეოდალების, ისე დაბალი ფენის უკმაყოფილება გამოიწვია: ფეოდალებს თავისი უფლებების შეკვეცა აშინებდათ, ფართო მასებს - ოსმალთა ჯარში სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემოღება. 1840 წელს აჯანყდა ზემო აჭარის გამგებელი ქორ-ჰუსეინ-ბეგი (სელიმ ხიმშიაშვილის ვაჟი),

რომელიც ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ ეგვიპტის ფაშა მუჰამედ-ალისთან იყო დაკავშირებული. იმავე წელს არზრუმისა და ტრაპიზონის საფაშოთა ჯარებმა აჯანყება ჩაახშეს და ქორ-ჰუსეინი სტამბოლს გააგზავნეს. 1843 წელს აჭარაში კვლავ დაიწყო მღელვარება. 1844 წელს ქორ-ჰუსეინი ეგვიპტეში გაიქცა და იქიდან ფარულად დაბრუნდა აჭარაში. აჯანყებამ აჭარის ორივე სანჯაყი მოიცვა: აჯანყებულებმა ერთმანეთს ერთგულება შეჰფიცეს და სულთანს გადასახადების შემცირება და ჯარში გაწვევის გაუქმება მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქრისტიანობაში დაბრუნებითა და რუსეთთან შეერთებით იმუქრებოდნენ. აჯანყებაში მონაწილეობდა 5000-მდე კაცი. 1844 აგვისტოში აჭარაში ერთდროულად შეიჭრნენ ყარსისა და ტრაპიზონის საფაშოთა ჯარები და აჯანყება ჩააქრეს. აჭარა ტრაპიზონის ვილაეთს შეუერთეს. ოსმალეთმა აჭარის დამორჩილება მაინც ვერ შეძლო. 1846 წელს ქორ-ჰუსეინი ფარულად დაბრუნდა ზემო აჭარაში და აჭარა ისევ აჯანყა. სულთნის ბრძანებით ტრაპიზონის ფაშამ აჭარა მოარბია და ქორ-ჰუსეინი შეიპყრო. 1851 წელს აჭარა ახლად შექმნილ ლაზისტანის სანჯაყში შევიდა (ჭანეთსა და ქვემო გურიასთან ერთად) და ბათუმის კაიმაკამს დაექვემდებარა. აჭარა შეადგენდა ამ სანჯაყის 2 კაზას (ნაჰიეს); ზემო აჭარას და ქვემო აჭარას. ამის შემდეგ აჭარაში დამყარდა თურქთა ფაქტობრივი ბატონობა და დაიწყო ეროვნული კულტურის (დედაენის, ზნე-ჩვეულებებისა და სხვა) დევნა, მაგრამ ოსმალეთის ასიმილატორულმა პოლიტიკამ წარმატებას ვერ მიაღწია: აჭარის მოსახლეობა თავგანწირვით იცავდა მშობლიურ ენას და ზნე-ჩვეულებებს. თურქთა ბატონობის მთელ მანძილზე აჭარის მოსახლეობის სალაპარაკო ენად ქართული დარჩა. ყირიმის ომის დროს (1853-56) აჭარის ფეოდალები თურქთა მხარეზე იბრძოდნენ. ამის გამო 1854 წლის მაისში რუსების დამსჯელმა რაზმმა ზემო აჭარის საზღვრისპირა სოფლები მოარბია. 1855 წელს, როცა ოსმალეთის მთავრობამ კვლავ მოინდომა აჭარიდან ჯარისკაცთა გაწვევა, აჭარა აჯანყდა. ოსმალებმა დიდი სიმკაცრით ჩააქრეს აჯანყება 1856 და 1859 წლებში. აჭარა 1875 წელს კვლავ აჯანყდა. სამი თვის შემდეგ ოსმალეთის მთავრობა იძულებული გახდა ხელი აეღო გადასახადების შემოღებაზე და აჯანყებაც ჩაქრა.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წლების ომის დროს ზემო აჭარის გამგებელი შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი რუსეთის ორიენტაციისა იყო (რისთვისაც ადრე რამდენჯერმე დააპატიმრეს კიდეც) და ოსმალეთის სარდლობის ღონისძიებებს მოხერხებულად უწევდა საბოტაჟს. ომის წინ და ომის დროს აჭარაში პირადად და პრესის საშუალებით დიდი ეროვნული სააგიტაციო საქმიანობა გააჩაღეს ცნობილმა ქართველმა მოღვაწეებმა: ი. ჭავჭავაძემ, ს. მესხმა, ა. წერეთელმა, გ. გურიელმა, ა. ყაზბეგმა, გ. მეფისაშვილმა. აჭარის მოსახლეობაში ეროვნული გრძნობების აღორძინებას დიდად შეუწყო ხელი ქართულმა პრესამ, რომელიც აჭარაში ჯერ კიდევ ომამდე ვრცელდებოდა. ბერლინის ტრაქტატით (1878) აჭარა რუსეთს გადაეცა. აჭარის მოსახლეობა ახალციხის მხრიდან და ართვინიდან შესულ რუსეთის ჯარს კეთილგანწყობილად შეხვდა. მალე, 25 აგვისტოს, რუსეთის ჯარი და გურიის მი;ლიცია ქობულეთის გავლით ბათუმში შევიდა. ოსმალეთის აგენტთა ცდები-აეჯანყებინათ აჭარის მოსახლეობა რუსეთის წინააღმდეგ უშედეგოდ დამთავრდა. შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი რუსეთის სამსახურში ჩადგა, გაქრისტიანდა, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ხიმშიაშვილი გახდა და გენერალ-ადიუტანტის წოდება მიიღო. ქვემო აჭარის გამგებელი ოსმან-ფაშა თავდგირიძე ოსმალეთში გადაიხვეწა. 1878 წელს აჭარა ახლად შექმნილი ბათუმის ოლქის შემადგენლობაში შევიდა აჭარის ოკრუგის სახით და ე.წ. „სამხედრო-სახალხო სამმართველოს" დაექვემდებარა. სპეციფიკური ვითარების გამო აჭარაში შეიქმნა ადგილობრივი მოსახლეობის საერო და სასულიერო ზედაფენების წარმომადგენელთაგან შემდგარი სამმართველო ადმინისტრაციული ორგანოები. 1879 წელს ოსმალეთის აგიტაციის შედეგად აჭარაში ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლები დაიწყო. ამას ზემო და ქვემო აჭარის მოსახლეობას შორის შეტაკება მოჰყვა, მაგრამ რუსეთის მომხრეებმა გაიმარჯვეს და მღელვარება ჩაქრა. 1883 წელს ბათუმის ოლქი საქართველოს სხვა ახლად შემოერთებულ მხარეებთან ერთად ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა. აჭარა ბათუმის ოკრუგს შეადგენდა გონიოსა და კინტრიშის უბნებთან ერთად. 1903 წელს ბათუმის ოლქი ისევ გამოეყო ქუთაისის გუბერნიას. 1879 წ. 27 იანვარს რუსეთ-ოსმალეთის კოსტანტინოპოლის ტრაქტატით საზღვრისპირა მხარეთა

მოსახლეობას 3 წლის განმავლობაში საზღვარგარეთ თავისუფალი გადასახლების უფლება მიეცა. ოსმალთა ხელისუფლებისა და ფანატიკოსი მუსულმანების სამღვდელოების რეაქციული ნაწილის აგიტაციისა და ხელშეწყობის შედეგად დაიწყო აჭარის მოსახლეობის მუჰაჯირობა. მუჰაჯირები აჭარის მეზობელ მხარეებში სახლდებოდნენ, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების საშუალება რომ ნაკლებათ ჰქონოდათ, ოსმალთა ხელისუფლებამ 1880 წელს მათ ოსმალეთის შორეულ პროვინციებში დასახლება უბრძანა. მომდევნო წლებში მუჰაჯირთა ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა. რუსეთთან შეერთების შემდეგ ცარიზმის რეაქციული ეროვნული პოლიტიკის გამო აჭარა ეკონომიკურად და კულტურულად დიდხანს წინ არ წასულა. საადგილმამულო ურთიერთობათა ოსმალურიდან რუსულ სისტემაზე გადაყვანა, რასაც 1879 წ. 1 მარტს დაარსებული „ბათუმის დროებითი საადგილმამულო კომისია" ხელმძღვანელობდა, ნელა მიმდინარეობდა. განათლების საქმე მუსულმანური სამღვდელოების ხელში რჩებოდა. აჭარელი ბავშვები მეჩეთებთან არსებულ მედრესეებში მხოლოდ არაბულ წერა-კითხვასა და ლოცვებს სწავლობდნენ.

აჭარის ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა 19 საუკუნის 80-90-იან წლებში საოლქო ცენტრად ქ. ბათუმის დაწესებამ. იგი ნავთობის გადამუშავება-ექსპორტისა და მასთან დაკავშირებული წარმოების მსხვილი ცენტრი და მნიშვნელოვანი ნავსადგური გახდა. საქართველოს სხვადასხვა მხრიდან ჩამოსულმა მუშებმა ბათუმი მუშათა რევოლუციური მოძრაობის ცენტრად აქციეს. 1893 წელს ე. ნინოშვილის თაოსნობით შეიქმნა ბათუმის მუშათა პირველი წრე.

1901 წლის ნოემბერში ი. სტალინმა ბათუმში შექმნა ს.-დ. ორგანიზაციები, დააარსა არალეგალური სტამბა. კომიტეტის ხელმძღვანელობით გაფართოვდა მუშათა საგაფიცვო მოძრაობა და გაძლიერდა რევოლუციური პროპაგანდა აჭარის სოფლებში. 1902 წ. 9 მარტს ი. სტალინის ხელმძღვანელობით გაიმართა ბათუმის მუშათა ცნობილი გაფიცვა. ამ დემონსტრაციის შემდეგ აჭარაში გახშირდა პოლიტიკური გაფიცვები და ქუჩის დემონსტრაციები. 1903 წ. 9 მარტს გაიმართა მუშათა გრანდიოზული პოლიტიკური დემონსტრაცია. 9 მარტის დემონსტრაციის შემდეგ რევოლუციური მოძრაობა აჭარაში

კიდევ უფრო გაფართოვდა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმის 1905 იანვრისა და ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვებს. ქობულეთის, ჩაქვის და სხვა რაიონების გლეხობა მოითხოვდა პოლიტიკურ თავისუფლებას, უარს ამბობდა გადასახადებზე, ბოიკოტს უცხადებდა მეფის ადმინისტრაციას, მხარს უჭერდა დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას. რევოლუციურ განწყობილებამ მოიცვა აგრეთვე ბათუმის გარნიზონის ჯარის ნაწილები. მაგრამ დაწყებულმა მოძრაობამ აჭარაში, ისე როგორც მთელ რუსეთში, მარცხი განიცადა. კონტრევოლუცია შეტევაზე გადავიდა, დაიწყო სასტიკი რეპრესიები. რეაქციის წლებში აჭარის სამრეწველო ცხოვრება დაქვეითდა, მუშათა რაოდენობა შემცირდა, მშრომელთა ცხოვრების დონე გაუარესდა. 1907-08 წლებში ეკონომიკური და პოლიტიკური მოთხოვნები წამოაყენეს და მძლავრი გაფიცვები მოაწყვეს ბათუმის მექანიკური ქარხნების, თამბაქოს ფაბრიკების, სამკერვალო სახელოსნოებისა და ჩაქვის საუფლისწულო მამულის მუშებმა, მოსწავლე ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა. აჭარის ბოლშევიკები ემზადებოდნენ ახალი რევოლუციური გამოსვლებისათვის. 1910 წლიდან აჭარაში დაიწყო ერთგვარი სამრეწველო აღმავლობა, გაძლიერდა რევოლუციური სულისკვეთება. I მსოფლიო ომის წინ აჭარაში ეკონომიკურ ნიადაგზე დაწყებული მუშათა გაფიცვები პოლიტიკურ გაფიცვებად გადაიქცა, მსოფლიო ომმა დროებით შეაფერხა აჭარაში რევოლუციური მოძრაობა. ბათუმის გამაგრებულ რაიონში საგანგებო წესები გამოცხადდა. ჟანდარმერიამ დაარბია ბოლშევიკური ორგანიზაცია, რევოლუციური მოძრაობის მონაწილეები დააპატიმრა, ბევრი მათგანი ამიერკავკასიიდან გაასახლა. თურქებმა მიიტაცეს ართვინის ოკრუგი და მთელი ზემო აჭარა. 1916-17 წლებში აჭარაში გამოდიოდა ბოლშევიკური გაზეთები „ბურეევესტნიკი", „მუშის სიმართლე" და სხვა. 1918 აპრილს ოსმალთა ჯარებმა დაიკავეს ბათუმი, არდაგანი, ოზურგეთი და ახალციხე. თურქი ოკუპანტები ძარცვავდნენ მოსახლეობას, შეურაცყოფდნენ მათ მშობლიურ ენას, ეროვნულ კულტურას. აჭარაში ფართოდ გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მოსახლეობა მოითხოვდა ოკუპანტთა განდევნას და აჭარის საქართველოსთან გაერთიანებას. 1918 შემოდგომაზე საქართველოდან და ამიერკავკასიიდან გერმანელების და

თურქების ჯარების ევაკუაციის შემდეგ, მენშევიკების წარუმატებელი საგარეო პოლიტიკის წყალობით, საქართველოში შემოვიდა და აჭარაში დაბანაკდა ინგლისელთა საოკუპაციო ჯარის ნაწილი, რომელიც 15 ათას კაცისაგან შედგებოდა. აჭარაში დამყარდა კოლონიური რეჟიმი. ინგლისელებმა აჭარა გადააქციეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად. საოკუპაციო ხელისუფლებამ გააძლიერა რეპრესიები. პროტესტის ნიშნად 8 აპრილს ბათუმში გაიმართა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. ოკუპანტებმა დააპატიმრეს გაფიცვის მონაწილენი. გაფიცვა კიდე 2 დღე გაგრძელდა. ხელისუფლება იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა დაპატიმრებული მუშების ნაწილი. 1919 აგვისტოში ინგლისელები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ამიერკავკასია, მაგრამ აჭარას მაინც არ თმობდნენ. კოლონიზატორებმა გაამაგრეს ბათუმის ხელისუფლება. აჭარის ბოლშევიკებმა დაუჭირეს მხარი საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მზადებას შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. ისინი ხელს უშლიდნენ თეთრგვარდიელთათვის საომარი და საწვავი მასალის მიწოდებას, აფერხებდნენ ოკუპანტების მიერ ნაძარცვი საქონლის გატანას საზღვარგარეთ. ამ მიზნით არალეგალურმა მებრძოლმა რაზმებმა ააფეთქეს კინტრიშის ხიდი, ნავთსადენი მილი, ჩაძირეს სამხედრო ხომალდი „სვეტი". ბათუმში შეიქმნა აჯანყების ხელმძღვანელი კომიტეტი. სოფლებში იქმნებოდა ბოლშევიკური ორგანიზაციები.

1920 წლის ივლისში ინგლისელები იძულებულნი გახნენ დაეტოვებინათ აჭარა. მათ ქალაქი ქართველ მენშევიკებს გადასცეს. განზრახული იყო ბათუმში გადაეყვანათ ვრანგელის დამარცხებული ჯარები და იქ მოეწყოთ საბჭოთა რუსეთზე თავდასხმის ბაზა. სამხედრო დახმარების სანაცვლოდ ქართველი მენშევიკები ჰპირდებოდნენ აჭარის მათთვის გადაცემას 12-15 წლით ან ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებას.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა. მენშევიკური მთავრობა ჯერ ქუთაისისაკენ, ხოლო შემდეგ ბათუმისაკენ გაიქცა და ოსმალეთთან მოლაპარაკება გამართა. 11 მარტს ბათუმში

ოსმალთა ჯარის ნაწილები შევიდნენ. მათვე დაიკავეს აგრეთვე ახალქალაქისა და ახალციხის ნაწილი. ვარაუდი იმის შესახებ, რომ ყოველივე ეს ოსმალეთისა და საბჭოთა ჯარების შეტაკებას გარდუვალს გახდიდა არ გამართლდა. 1921 წ. 16 მარტს მათ შორის სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო, რომლის ძალითაც აჭარა აღიარებულ იქნა საქართველოს განუყოფელ ნაწილად. 17 მარტს მენშევიკებმა დატოვეს აჭარა. 18 მარტს ბათუმში წითელი არმიის ნაწილები შევიდნენ. 1921 წლის 16 ივლისს საქართველოს რევკომის დეკრეტით აჭარა გამოცხადდა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად საქარღველოს სსრ შემადგენლობაში.

1941-45 წლებში დიდი სამამულო ომის ფრონტებზე აჭარიდან წავიდა 24 ათასზე მეტი მებრძოლი. აჭარიდან მრავალი მეომარი მონაწილეობდა აგრეთვე იტალიის, ჰოლანდიის, საფრანგეთის, პოლონეთის და სხვა ქვეყნების ანტიფაშისტურ წინააღმდეგობის მოძრაობაში. ომის შემდგომ პერიოდში დაიწყო ახალი ეტაპი. ავტონომიურ რესპუბლიკის ცხოვრებაში.

ყოფის დამახასიათებელი რეალიები.

აჭარამ განვითარების გრძელი და რთული გზა განვლო. მან, ოსმალეთის სამსაუკუნოვანი ბატონობის პერიოდში, ისლამის რელიგიური დოგმების ზეგავლენის მიუხედავად, ისტორიულად გამომუშავებულ და ძველთაგანვე მომდინარე ლოკალურ თავისებურებებთან ერთად ძირითადად შეინარჩუნა ზოგადქართული ოჯახისათვის დამახასიათებელი ნიშნები და ბოლომდე ქართული ბუნებისა დარჩა. აჭარლები — ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი, ძირითადად ცხოვრობენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ამავე დროს აჭარელთა კომპაქტური დასახლებები არის გურიაში, ქვემო ქართლში და კახეთში. აჭარლები საუბრობენ ქართული ენის აჭარულ დიალექტზე. აჭარაში თურქული მმართველობის შედეგად (მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან 1878 წლამდე) მათ მიიღეს ისლამი. ამის მიუხედავად აჭარლებმა შეინარჩუნეს ეროვნული თვითშეგნება, მშობლიური ენა, თვითმყოფადი კულტურის და ყოფა-ცხოვრების ფორმები. დღევანდელი ქვემო აჭარლების უმეტესი ნაწილი მართლმადიდებელი ქრისტიანია. ქრისტიანული სარწმუნოება, განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით, ფეხს ზემო აჭარის ახალგაზრდებშიც იკიდებს. აჭარლები

გარეგნულად დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ტიპის ხალხია. საშუალოზე მაღლები, სწორი აგებულებით, თხელი სახით, სწორი ცხვირით, ღია ფერის თვალებით და ღია ქერა თმით. ამჟამად საქართველოში მცხოვრები დაახლოებით 3.600.000 ქართველიდან დაახლოებით 460.000 ქართველი, აჭარული ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენელია.

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „...აჭარლები აგებულებითა, ენითა და ჩვეულებით ნამდვილი ქართველები არიან დღევანდლამდე... აჭარელი გურულივით მარდია, მხნე და გამბედავი, თოფ-იარაღი ძლიერ უყვარს და მეტად მარჯვე მსროლელიც არის. ამას გარდა, საუკეთესო ზნეობითი თვისებანი აჭარლების არის: მოხუცებულის პატივისცემა, სტუმრის მიგებება, ღირსეულად თავის დაჭერა, ზრდილობა, თავაზიანობა, ცნობისმოყვარეობა და დაუღალავი გამრჯეობა. მთელი დღე კაცი მინდორში შეუწყვეტლად მუშაობს, დედაკაცი - სახლობაში. ყმაწვილი რა წამს მოჩიტდება, მაშინვე მწყემსად გადის და მთელს დროს ტყეში ატარებს“

აჭარული საოჯახო ყოფისათვის ძველთაგანვე მომდინარე თავისებურებათა შორის ნაწილი ძველ ქართულ საოჯახო ტრადიციათა რიგს განეკუთვნება, რომლებიც საქართველოს სხვა რეგიონებში ადრე წაიშალა. ქართული საოჯახო ტრადიციების ასეთი სიმტკიცე აჭარაში უკავშირდება როგორც საკუთრივ ტრადიციის მდგრად ბუნებას, ისე მათ როლს ეთნიკური თვითშეგნების განმტკიცებასა და მთლიანად ეროვნული თვითმყოფადობის დაცვაში, რასაც, როგორც საკუთრივ აჭარისათვის, ისე დანარჩენი საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

ტრადიციულად აჭარაში ოჯახი თავისი შემადგენლობით საკმაოდ რთულ სოციალურ ერთეულს წარმოადგენდა. იგი ორი ძირითადი ტიპით – დიდ და პატარა ოჯახებად იყო წარმოდგენილი, რომელთა შორის გაბატონებული მდგომარეობა პატარა ოჯახს ეჭირა. პატარა ოჯახი, თავის მხრივ, ორი სახისა იყო – ორთაობიანი და სამთაობიანი. სტრუქტურული სირთულით გამოირჩეოდა დიდი ოჯახი. იგი სამი სხვადასხვა სახის იყო. ესენია: სამამო, საძმო და საბიძაშვილო, რომელთა

შორის ტრადიციულობის სიმტკიცით გამოირჩეოდა საბიძაშვილო ოჯახი.

საველე-ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ დიდი ოჯახი ხელს უწყობდა მოსახლეობაში ეთნოკულტურული ტრადიციების, საკუთარი ეთნიკურ-ეროვნული ხასიათის შენარჩუნებისა და მომდევნო თაობებისათვის მათი გადაცემის საქმეს. ამგვარი დასკვნა გამომდინარეობს იქიდან, რომ ოჯახის ერთ-ერთ ფუნქციას მუდამ წარმოადგენდა საუკუნეთა მანძილზე შეძენილი კულტურული მემკვიდრეობის ათვისება და მისი გადაცემა მომავალი თაობებისათვის. მრავალთაობიან დიდ ოჯახებში კი, სადაც უცილობლად ცხოვრობდნენ ხანდაზმული ასაკის ადამიანები, უფრო მტკიცედ, ვიდრე პატარა ოჯახებში, შენახული იყო ეთნოკულტურული ტრადიციები და მათი გადაცემა საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენლებისათვის ინტენსიურად მიმდინარეობდა. რაც შეეხება ეროვნული სახის შენარჩუნების ფუნქციას, რომელიც ოჯახს ეკისრებოდა, აჭარული ოჯახი ამ მხრივ განსაკუთრებულ როლს ასრულებდა.

აჭარული საოჯახო ყოფის შესწავლამ ნათლად აჩვენა, რომ უცხოელთა სამასწლოვანი ბატონობის მიუხედავად, აქაურმა მოსახლეობამ სამეურნეო ყოფისა და მატერიალური კულტურის სფეროებში ძირითადად ბოლომდე შეინარჩუნა საუკუნეების განმავლობაში შემუშავებული ტრადიციები. გარკვეულია, რომ საოჯახო მეურნეობის ძირითად დარგებს აჭარაში წარმოადგენდნენ მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. თუ ქვემო აჭარის საოჯახო მეურნეობაში წამყვანი ადგილი მიწათმოქმედებას ეჭირა, ზემო აჭარაში მესაქონლეობის უპირატესობა აშკარა იყო.

აჭარული ოჯახის სტრუქტურა ძირითადად განსაზღვრავდა საოჯახო შრომის ხასიათს. ნახევრადნატურალური და მრავალპროფილიანი საოჯახო მეურნეობის წარმართვა მოითხოვდა მრავალი მუშახელის ყოლას, რაც ერთ-ერთი მიზეზი იყო როგორც დიდი ოჯახის კონსერვაციის, ისე შრომის სქესობრივი და ასაკობრივი დიფერენციაციის. ოჯახში შრომის სქესობრივი დიფერენციაცია საფუძვლად ედო სახლის დიდისა და უფროსი ქალის არჩევას. ოჯახის წევრთა საერთო ნებით არჩეული სახლობის წინამძღოლი თავის საქმიანობაში ძირითადად სოლიდარობის პრინციპით ხელმძღვანელობდა.

ოჯახის გაუყოფლობის ტრადიცია ითვალისწინებდა მისი ცალკეული წევრის მიერ გამომუშავებული ყოველგვარი გასამრჯელოს შეტანას საერთო-საოჯახო „სალაროში”. თვით სახლის დიდიც კი ნავაჭრ-ნახარჯის შესახებ ანგარიშს აბარებდა ოჯახის სრულწლოვან წევრებს. მაგრამ, XIX საუკუნის ბოლოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე ახალმა მოვლენებმა გარკვეული დაღი დაასვეს ოჯახებში არსებულ ტრადიციას.

აჭარელთა ყოფა-ცხოვრების გაცნობაში უაღრესად მნიშვნელოვანია ხალხურ ჩვეულებაში გადანაშთის სახით მოცემული წარსულის დამახასიათებელი მომენტები. ცნობილია, რომ ტრადიციულად ცოლ-ქმარი ერთმანეთს სახელს ვერ დაუძახებდნენ. ქობულეთისა და ბათუმის რაიონში ერთმანეთისადმი მიმართვის დროს ცოლ-ქმარი სახელის ნაცვლად „შენ-ს” ხმარობდა. მაგალითად: „სად მიდიხარ შენ?” „რა გინდა შენ” და სხვა. ხულოს და ქედის რაიონში ქმარი ცოლს „გო-“ს ეძახის: „ჰაიდე გოჯ.” ცოლი ქმარს - „ჭო”-ს: „ჰად იყავ ჭო” და სხვა. „გელინი” მამამთილს „აღაბაბას” ეძახის, დედამთილს „ფაშანენეს,” მაზლს „აღაბატონს” და მულს „ფაშაბატონს.” პატარძალს ოჯახში დიდი სიფრთხილე ჰმართებდა. ის ყველას თავმდაბლად უნდა მოჰქცეოდა. ამიტომ ქალს გათხოვებისას მშობლები ასე არიგებდნენ: მამამთილს წელს ზევით არ უნდა შეხედო, როცა ის ყანიდან დაღლილი მოვა, ფეხზე გახადე და თბილი წყლით დაუბანეო. დედამთილმა, რაც უნდა გიბრძანოს, ყველაფერი უსიტყვოდ შეასრულე და ბატონობით უპასუხეო. ასევე უნდა მოექცე მაზლსა და მულსა და სხვა.

აჭარელი ქალი ტრადიციულად ოჯახის დიასახლისია. ზემო აჭარაში, სადაც მესაქონლეობას მისდევდნენ, ქალებს უფრო საქონლის მოვლა ევალებოდათ; მესაქონლეობაში აქ უმთავრესად ქალის შრომაა- იყო გამოყენებული.

მამაკაცი თავის საქმიანობაში დედაკაცს არავითარ ანგარიშს არ უწევდა და არც ქალს ჰქონდა უფლება მამაკაცის საქმეში ჩარევის.

აჭარაში ქორწილს უთუოდ კვირას ან ხუთშაბათს იხდიდნენ. სხვა დღეებში, აჭარლების წარმოდგენით, ქორწილი შეუძლებელი იყო; ქორწილისთვის სტუმრებს ერთი ან ორი კვირით ადრე დაპატიჟებდნენ. ქორწილის მოწყობის საქმეში

უპირატესობა დედოფლის მშობლებს ეძლევოდათ და თუ ისინი თავის თავს ნებას მისცემენ, რაც არ უნდა მოეთხოვათ, სასიძო ვალდებული იყო ყველაფერი შეესრულებინა.
ახალდაბადებულ ბავშვს პირველად „ხოჩიჩში" აწვენდნენ, რომელსაც უმთავრესად ცაცხვის ქერქისაგან ამზადებდნენ. ხოჩიჩი ნავის ფორმის იყო და იმით ბავშვს მელოგინეს ლოგინში უდგამდნენ. ორი კვირის შემდეგ კი ბავშვს აწვენდნენ აკვანში, რომელიც გამართული იყო: არტახებით, შიბაქით, ჩალახემითა და საბან-საგებით. ავი თვალის საწინააღმდეგოდ აკვანზე ჰკიდებდნენ: სათვალე კაკას, პაწია წალდს, ფერად მძივებს და სხვა.
ბავშვისათვის სახელის შერჩევის დროს უპირატესობა დედ-მამას ეძლეოდა. ხშირად ბავშვს ცნობილი წინაპრის სახელს არქმევდნენ. სახელის არჩევის დროს მთვარესაც ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან წლის თვეებსაც აჭარლები მთვარით ანგარიშობდნენ.
მშობლები ბავშვს ერთი წლის განმავლობაში უცხოს არ აჩვენებდნენ, თვალი არ ეცესო და არც მიწაზე დასვამდნენ, რომ „უუმური" არ აჰყვესო.
ბავშვი რომ ერთი წლის გახდებოდა, მშობლები შეუდგებოდნენ მის „დასუნათვის" (წინდაცვეთის) თადარიგს და კარგი „ქირვა"-ს (მამობილის) არჩევას.
აჭარაში ბავშვის „დასუნათვა" უმთავრესად ერთი წლიდან შვიდ წლამდის ხდებოდა. გამონაკლის შემთხვევებში „დასუნათვა" 13 წლამდისაც შეიძლებოდა.
„მესუნათეები", რომლებიც ამ წინდაცვეთის ოპერაციას აწარმოებდნენ, უფრო ქვედა-აჭარიდან და შავშეთიდან იყვნენ. „მესუნათე" „დასუნათვის" დროს ხმარობდა: „უსტურა"-ს (სამართებელი) და ჩქიფს. წამლად ხმარობდნენ მუხის რკოს, რომელსაც სხვა წამლებში ურევდნენ. სისხლის შესაჩერებლად კი ლეღვის ფოთლიდან დამზადებულ ფხვნილს.
ერთ „სუნნეთ დუგუნზე" რამდენიმე ბავშვის წინდაცვეთა შეიძლებოდა და იმართებოდა პატარა ქორწილის მსგავსი წვეულება. პატიჟებდნენ ნათესავ-მოკეთეებს, იწვევდნენ ზურნასა და მომღერლებს.
ვაჟი რომ 14-15 წლის გახდებოდა, მას „მანიდში" ე.ი. ნადში დაპატიჟებდნენ და ამ დროიდან ის მამაკაცების საზოგადოებაში ერევოდა და „დელიყანდად" ითვლებოდა.

რაც შეეხება ქალს, მისი დაბადება უფრო დედას ახარებდა ხოლმე; ეს უკანასკნელი მასში ხედავდა დამხმარეს საოჯახო საქმეში. ქალი რომ წამოიზრდებოდა, მამა ნაღვლიანად იტყოდა: ოჯახში სარჩენი მომემატაო. აჭარაში ქალის მონათვლა არ იცოდნენ. 7-8 წლამდის ქალი თავს ლაღად გრძნობდა: დახტოდა, თამაშობდა, თავის ტოლ გოგო-ბიჭებში და ოჯახშიაც საქმობდა. მაგრამ შეუსრულდებოდა თუ არა 8 წელი, მას ფრთები შეეკვეცებოდა. ამ დღიდან ის ვალდებული იყო ჯამეში ევლო ხოჯასთან და „ულუმი დინი" (საღმრთო რჯული) ესწავლა. 13 წლის ქალს ჩადრს ააფარებდნენ და ამიერიდან მას ეკრძალებოდა მამაკაცს უჩადროდ ჩვენებოდა. მშობლები მას სოფელში გასვლის უფლებას არ აძლევდნენ, ზოგჯერ თუ ნათესავებში გაგზავნიდნენ. ჩვეულებრივად კი გასათხოვარი ქალი ოჯახში იყო ჩაკეტილი, რადგანაც მშობლებს ეშინოდათ ვაი თუ ის ვინმე ვაჟს გამოლაპარაკებოდა და მათთვის საქვეყნოდ თავი არ მოეჭრა.

აჭარაში ადამიანის სიკვდილს მწვავედ განიცდიან და გლოვაც ხანგძლივი იციან. გლოვის ხასიათი დამოკიდებულია სიკდილის გამომწვევ მიზეზებზე. როცა მოხუცი თავისი ბუნებრივი სიკვდილით კვდება, ხალხის წარმოდგენით, ის ცხონებული და უცრემლო მიცვალებულია. მაგრამ ახალგაზრდის სიკვდილი და ისიც, თუ მტრის ხელით არის მოკლული, აჭარელის ოჯახში იწვევს უსაზღვრო მწუხარებას. მიცვალებულს აჭარაში 24 საათის განმავლობაში ასაფლავებდნენ. აჭარელი უთუოდ თავისი გვარისა და სოფლის სამარხში უნდა დაიკრძალოს. ამიტომ თუ აჭარელი სადმე შორეულ მხარეში გარდაიცვალა, ჭირისუფალი ყველა საშუალებას მიმართავს, რომ მისი ნეშტი სამშობლოში გადმოასვენოს.

რაც შეეხება აჭარელთა ყოფა-ცხოვრების კიდევ ერთ მომენტს, რაც მათ საცხოვრებელ სახლთან არის დაკავშირებული: აჭარაში გვხდება 3 ტიპის ხალხური საცხოვრებელი სახლი: ა. აჭარული („ჩარხილი" და ორთა სახლი"; უფრო ადრინდელი ტიპის „ჯარგვალა-სახლი" და მისი მომდევნო სახე – „ხულა-სახლი") – გეგმით კვადრატული, ხისკედლებიანი, ჩვეულებრივ ორსართულიანი (ზოგჯერ ორ-ნახევარ ან სამსართულიანი) შენობა; ბ. ლაზური სახლი („ოხოი" ან „ოხორი") – გეგმით სწორკუთხა, ორსართულიანი ნაგებობა; ინტერიერი გაწყობილია მოჩუქურთმებული თახჩებით, კარადებით, თაროებითა და

„დოლაბებით,” მოგვიანებით ამ სახლებში საჯალაბო დარბაზის კერიები შეცვალა. კედელთან მიდგმულმა ბუხარმა (ე.წ. „ლაზური ბუხარი” – განი 2 მ. სიმაღლე 1,7 მ-ზე მეტი); ოდა-სახლი. არის შემთხვევები, როდესაც ამ 3 ტიპის ნაგებობის ცალკეული ელემენტები ერთმანეთშია არეული. შემორჩენილია გამაჰადიანებულ ქართველთა XVII-XIX სს. ხის საკულტო ნაგებობის – ჯამეს ნიმუშები (ღორჯო, დანდალო, დიდაჭარა, ფაჩხა, მარადიდი და სხვ.): გარედან შედარებით სადა, სტრუქტურით დას. საქართველოში გავრცელებული საცხოვრებლის ტიპისა, გეგმით კვადრატული, ორსართულიანი შენობა. ინტერიერი უხვად და მაღალმხატვრულად, გეომეტრიული და მცენარეული სტილიზებული ორნამენტებით არის შემკული. ხალხური ხელოსნობიდან გავრცელებულია ხეზე კვეთა, ლითონის დამუშავება, ქარგვა.

XIX ს. ბოლო წლებში, კაპიტალისტურ ურთიერთობის განვითარებასთან ერთად, სწრაფად დაიწყო ზრდა ბათუმმა, განსაკუთრებით რკინიგზისა (1883) და ნავთსადენის (1906) გაყვანის შემდეგ. ქალაქი დაგეგმარებულია ურთიერთგადამკვეთი სწორი ქუჩებით. 1912 ჩაეყარა საფუძველი ბათუმის ბოტანიკურ ბაღს (მწვანე კონცხი); გაშენდა ქალაქის ბაღი (1881, შემდეგში ვ. ი. ლენინის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა პარკად წოდებული), ბათუმის ზღვისპირა ბულვარი (1884); დაიწყო განაშენიანება ზოგიერთი საკურორტო ადგილისა (ქობულეთი, მწვანე კონცხი) და სხვა. მომდევნო ათწლეულებში ბათუმში აშენდა მრავალი მნიშვნელოვანი ნაგებობა.

აჭარელთა ყოფის დამახასიათებელი ჩვეულებანი შესანიშნავად აისახა მათ ხალხურ სიტყვიერებასა და მუსიკალურ ხელოვნებაში.

სიმღერების მელოდიური და ჰარმონიულ-პოლიფონიური ფუძის, მრავალხმიანობის პრინციპების, ინტონირებისა და, საერთოდ, მუსიკალური აზროვნების მხრივ აჭარული მუსიკალური ფოლკლორი ენათესავება, უფრო მეტიც, განუყოფელია გურული მუსიკალური ფოლკლორისაგან. აჭარის მოსახლეობამ გაუძლო თურქეთის 300 წლის ბატონობას და შეუბღალავად შემოინახა ქართული ხალხური მუსიკის აჭარული სასიმღერო ნიმუშები, რომლებიც გამოირჩევა მდიდარი თემატიკით, ფორმის, ფაქტურისა და ჟანრების მრავალფეროვნებით. მდიდარია

აჭარული საცეკვაო მუსიკა („ხორუმი,” გადახვეული ხორუმი”, „განდაგანა,” „მხარული”, „ჩამორებული” და სხვა.). მუსიკალური საკრავებიდან აღსანიშნავია ჩონგური, ჭიბონი, გუდის ჭიბონი, დიდი დოლი, გუდის ჭიბონის გამოჩენილი დამკვრელი ყოფილა ქოჩახელა, რომელიც ერთდროულად უკრავდა, ცეკვავდა და ხელმძღვანელობდა კიდევ ხორუმის ცეკვას. ქართული მუსიკალური ფოლკლორის იშვიათი მონაპოვარია აჭარული ოთხხმიანი ნადურები. ოთხხმიან ნადურს მღერის „გადაბმული” ანუ ორპირი გუნდი ერთიმეორის შენაცვლებით. თითო მხარეზე თითო გამყივანი, თითო მთქმელი, ორი შემხმობარი და ორი ბანია. ცნობილი ნადურებია „ქალი ვიყავ აზნაური”, „ჩიორ-ჩიტი,” „მთას ირემი დაწოლილა,” „საჯავახურაი,” „გორდელაი” და სხვა. ოთხმიანი ნადური უჩვეულო მოვლენაა მსოფლიო ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაში. სხვა ორ და სამხმიანი სიმღერებიდან აღსანიშნავია „ძველი აბადელია”, „ტბეთური”, „ჟამიელი”, „სუფრული”, „მაყრული”, „საფერხულო”„ჩაღმა ჩაყრილო ვენახო”, „ელესა,” „ხელხვავი” „ქალთა ნადური”, „საძეობო” და ქართულ ხალხური სიმღერის შედევრები – გურულ-აჭარული „შავი შაშვი”, „შვიდ-კაცა,” „ხასანბეგურა,” „ალი-ფაშა” და სხვა.

მატერიალური კულტურის ძეგლები. ანტიკური პერიოდიდან აჭარაში საკმაოდ გვაქვს წიაღისეული ძეგლები (ლითონის, კერამიკის ნაწარმი და ა.შ.) ადრეკლასობრივი ურთიერთობის დადგინებასთან ერთად ჩნდება ქალაქები და საქალაქო ცხოვრება. აჭარაში ამ ხნისაა ფიჭვნარის ნაქალაქარი და გონია.

გონია რთული ნაგებობაა თავისი კოშკებით, მინაშენ-დანაშენებითა და სხვა. უბრალო დამკვირველსაც არ დარჩება შეუმჩნეველი, რომ ციხეს დროთა განმავლობაში არაერთი აღდგენა-რესტავრაცია განუცდია. გალავნის კედლებში აშკარად გამოიყოფა მშენებლობის რამდენიმე ფენა. მათგან უძველესია სწორხაზოვანი ნაწყობი დიდი და ფაქიზად გათლილი კვადრები, ხოლო უახლესი – კედლების ზემო ნაწილში რიყის ქვის ფენა (უსწორმასწორო წყობა). ეს უკანასკნელი XVI საუკუნის შუახანებით თარიღდება, როდესაც, როგორც წყაროები გვამცნობენ, „ოსმალებმა „აღაშენეს” (ე.ი. დააშენეს) ახლად მიტაცებული გონია.

რაც შეეხება ციხის უძველეს ფენას, იგი არქეოლოგიური მასალებისა და ბერძნულ-რომაულ მწერლობაში დაცული ცნობების მიხედვით წინაფეოდალური ხანით ათარიღებენ. აქვე არის ბიზანტიური ეპოქის (VI-VII სს.) ნაშენობათა ფენა, გარკვეული სარესტავრაციო სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო გონიაში გენუელთა ყოფნის ხანაშიც (XIII-XIV სს.), ამ უკანასკნელთ რომ აქ მშენებლობა უწარმოებიათ, ამას ადასტურებს ის გადმოცემაც, რომელიც ამ ციხის „აშენებას" გენუელებს მიაწერს. ამავე თვალსაზრისით საგულისხმოა ისიც, რომ თვით სახელწოდება გონია სახენაცვალი ფორმაა გენუა-სი. თავისი ძველი ფენით (თარაზული წყობა, ფაქიზად თლილი ქვები) გონიის ციხის გვერდით დგება სოფელ გვარას ციხე (ბათუმის რ-ნი).

რაც შეეხება ადრე ფეოდალურ ხანას, ამ პერიოდის ზედაპირული ძეგლებიდან აჭარაში ორი ციხე-სიმაგრე და ერთი ეკლესიის ნაშთია შემორჩენილი. პირველი მათგანია პეტრა-ქაჯეთის ნანგრევები (ციხისძირში), მეორე „თამარის ციხე" (მენავთობეთა დაბაში) და ეკლესია, რომელიც არის პეტრა-ქაჯეთის კათედრალი.

პეტრა-ქაჯეთი. პეტრა ამ ციხე-ქალაქის ბიზანტიური სახელწოდებაა, ხოლო „ქაჯეთის ციხე" – ქართული. ბიზანტიელთა მიერ დიდი ციხე-ქალაქის აგებამდე აქ ლაზთა მცირე სიმაგრე (პროკოფი კესარიელის სიტყვით „უმნიშვნელო") ყოფილა, მაგრამ მისი კვალი აღარ შეინიშნება..

იუსტინიანე დიდის (527-565 წწ.) კეისრობის პირველ ათწლეულში აქ დიდებული ციხე-ქალაქი წამოჭიმეს, რომელსაც ამ იმპერატორის პატივსაცემად „იუსტინიანეს ქალაქი" უწოდეს (535 წლის ნოველა).

პეტრა-ქაჯეთმა ბიზანტიურ ხანაში დიდი როლი ითამაშა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ს. ჯანაშია ამ ციხე-ქალაქის როლს თბილისის როლთან (აღმოსავლეთ საქართველოში რომ შეასრულა) აიგივებდა.

მართალია, ეგრისში ბიზანტიელთა ძლევამოსილების აღსასრულთან ერთად ჩაესვენა პეტრა-ქაჯეთის ბრწყინვალებაც, მაგრამ იგი სათანადო მნიშვნელობას მოკლებული არც მომდევნო ხანაში იყო. მისი ქართული სახელწოდება „ქაჯეთის ციხე" – ამის ნათელი დადასტურებაა.

ვენეციელთა დესპანის ამბროზიო კონტარინის ცნობით XV საუკუნის 70-იან წლებში აქ კიდევ ყოფილა პატარა ქალაქი, რომელსაც იგი დამახინჯებით „კალტიხეა"-ს (ქაჯეთის ციხე უწოდებს.

XVIII საუკუნის 20-იან წლებში ქაჯეთის ციხე ოსმალებმა დაიპყრეს და ძლიერადაც გაამაგრეს. ყირიმის ომის დროს მათ აქ 25 ზარბაზანი ედგათ. 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს ციხისძირს ენერგიულად უტევდა რუს-ქართველთა ლაშქარი, მაგრამ მისი აღება ვერ მოახერხა. ეს ციხე მხოლოდ 1878 წლის ბერლინის ტრაქტატით დავიბრუნეთ.

ჯერჯერობით პეტრა-ქაჯეთის ნანგრევები არქიტექტურულად აზომილშესწავლილი არ არის. იმ მრავალ ნაგებობათა შორის, რომელიც აქაა დაცული, მხოლოდ ვარაუდით თუ შეიძლება გამოვარჩიოთ სტრატეგოსის რეზიდენცია, პეტრელი ეპისკოპოსის საკათედრო ტაძარი, ყაზარმა ჯარისათვის და ზოგიერთი სხვა სათავსო.

ციხეს ნათლად ეტყობა რესტავრაცია-აღდგენის კვალი, ჯერ კიდევ ბიზანტია-ირანის ომების დროს (VI ს.) პეტრამ არაერთი ნგრევა-აღდგენა განიცადა. გარკვეული მოცულობის სარესტავრაციო სამუშაოები უნდა ვიგულისხმოთ აქ განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში და ოსმალთა მფლობელობის პერიოდში.

თავისი უძველესი ფენით ამავე ხანის ძეგლია **„თამარის ციხე"-**ც. იგი მდებარეობს მენავთობეთა დაბაში, მდ. ყოროლისწყლის მარცხენა ნაპირას აღმართულ კონუსისებურ ბორცვზე. ციხის გეგმა საკმაოდ რთულია. მას მრავალჯერ განუცდია გადაკეთება, ამიტომ თავდაპირველი სახის აღდგენა ძნელია.

„თამარის ციხე-"ში ხუთამდე სხვადასხვა ფენა გამოიყოფა. მათგან უძველესი, ადრეფეოდალური ხანით შეიძლება დათარიღდეს.

ციხეში რამდენიმე ნაგებობის ნაშთია შემონახული. ერთი მათგანი ჩრდილოეთ კედელზეა მიდგმული შესასვლელით სამხრეთ-აღმოსავლეთით. ეს სათავსო (შეიძლება ერთ დროს ციხისთავის საჯდომი იყო) რამდენჯერმე აღუდგენიათ: თურქთა ბატონობის ხანაში, ჩვენს დროში.

ორი სათავსოა დასავლეთ კედელთან (დაახლოებით შუა ადგილას), სათავსოები დაზიანებითაა მოღწეული, რის გამოც მათი დანიშნულების გარკვევა არ ხერხდება.

ამ პერიოდის საკულტო ძეგლებიდან აჭარაში, შედარებით კარგადაა შემონახული მხოლოდ პეტრა-ქაჯეთის ნაეკლესიარი. ეს კვადრატული ნაგებობა მდებარეობს შიდაციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედლის სიახლოვეს (3-4 მეტრის დაშორებით). მოღწეული კედლების სიმაღლე 2,5 მ-ია. ამ ნაგებობაში პეტრელი მღვდელმთავრის საკათედრო ტაძარი უნდა ყოფილიყო. საეპისკოპოსო კათედრა VI საუკუნეში დაარსდა და კარგა ხანსაც არსებობდა, (ერთიანდებოდა ფაზისის მიტროპოლიაში).

პეტრელ მღვდელმთავრებიდან სახელობით მხოლოდ ერთი, იოანე პეტრელი ეპისკოპოსია ცნობილი, რომელიც 692 წლის საეკლესიო კრებას დასწრებია.

პეტრელ ეპისკოპოსის საეკლესიო ხელისუფლება საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. ქვემო გურიის, აჭარისა და რიზეს მხარეც ერთ დროს მისი საწყმსო ყოფილა.

მოგვიანებით, ერთიანი ფეოდალური მონარქიის პოლიტიკური დაშლის ხანაში, როცა საეკლესიო პარტიკულარიზმიც მტკიცედ იკიდებს ფეხს, საერთოდ იცვლება საეკლესიო ცენტრების ისტორიული გეოგრაფია და პეტრა-ქაჯეთიდან საეპისკოპოსო კათედრა კინტრიშის სათავეებში, ხინოწმინდას გადადის.

განვითარებული ფეოდალიზმის, შუა ფეოდალური ხანის ძეგლები აჭარაში უფრო უხვად გვხვდება. ციხე-სიმაგრეებიდან აღსანიშნავია **ხირხათის და ბეგოშვილების ციხე**, საკულტო ძეგლებიდან – სხალთის ტაძარი, ვანაძეების ნასაყდრალი, ვერნების, თხილვანის, ცხმორისის, ქვახიდის სერის ეკლესიები, ხიდებიდან – მახოს, მახუნცეთის, დანდალოს, ფურტიოს, მიწის, ცხემლარის, ჩხერის, ზვარიას თაღიანი ხიდები.

ხირხათის ციხე მდებარეობს მაღალ მთაზე, აჭარა-შავშეთის საზღვარზე (ხულოს რ-ნი). ხირხათსაც რამდენჯერმე განუცდია განახლება-აღდგენა. მისი უძველესი ფენა შუაფეოდალურს, კერძოდ X-XI საუკუნეების მიჯნას მიეკუთვნება, ხოლო გვიანდელი ოსმალთა მფლობელობის ხანას.

ხირხათის ციხე რამდენიმე საუკუნის მანძილზე (X-XII სს.) აჭარის ერისთავ-აბუსერიძეთა სარეზიდენციო ადგილი იყო (აბუსერიძენი თავიანთი ძლიერების ხანაში შავშეთ-კლარჯეთსა და სამცხის ციხისჯვარსაც ფლობდნენ).

დროთა ვითარებაში (XI საუკუნის შუახანებიდან) აბუსერიძენი თანდათან ჰკარგავენ თავიანთი სამფლობელოების

მნიშვნელოვან ნაწილს და XII საუკუნიდან მხოლოდ-და აჭარას ინარჩუნებენ. XII საუკუნის 60-იან წლებში კი მათ სამცხეში გაძლიერებული ჯაყელები აჭარასაც აცლიან ხელიდან.
ამის შემდეგ ხირხათი კარგა ხანს თითქმის მიტოვებული ჩანს. ხირხათმა კვლავ მოიპოვა მნიშვნელობა ხიმშიაშვილების დროს, კერძოდ, სელიმის დროს იგი კვლავ ძლიერად ახმაურდა, ხოლო მამაცი ხიმშიაშვილის დაცემის შემდეგ, მალე მიჩუმდა.
ციხის ფართობი რამდენიმე ჰექტარს შეადგენს, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილია მოვაკებული, უმეტესი კი დამრეცი და ციცაბოა. ხირხათში მრავალი ნაგებობის ნანგრევია მოქცეული, მათგან ზოგი ნაწილობრივ არის შემონახული, ზოგიერთი კი სრულიად გასწორაბულია მიწასთან.
ამჟამად ხირხატში ოთხი კოშკის ნაშთია შემონახული.
განსაკუთრებით ძლიერი დაზიანებით არის მოღწეული ის კოშკი, რომელიც ციხის ასასვლელთან მდებარეობს. შედარებით კარგად არის შემონახული ამ ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი, ხოლო ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები სანახევროდ დანგრეულია. მათი უდიდესი ნაწილი დასავლეთ კედელთან ერთად ხევში ჩაქცეულა.
ამ კოშკის წინ რამდენიმე ქვევრია მიწაში დადასტურებული.
ადგილი, სადაც ხუთი ქვევრია (ზოგი მთელი და ზოგიც დაზიანებითაა მოღწეული), ხიხანის მარანია: მარანი, როგორც ცნობილია, ძველად სპეციალურ შენობაში – საღვინე სახლში იყო მოთავსებული. ასეთი „საღვინე სახლი" უნდა იყოს სწორედ ის ნაგებობა, რომლის ნაშთებიც აქ არის შემორჩენილი. ეს არის სწორკუთხედის ფორმის შენობა, რომლის სიგრძე 12 მეტრამდე აღწევს, ხოლო სიგანე 4,5 მეტრამდე. მისი ჩრდილო კედელი მიწამდეა გასწორებული, ხოლო სამხრეთი კედელი ერთ მეტრამდე სიმაღლითაა შემონახული.
აღმოსავლეთი კოშკიდან 42 მეტრის დაცილებით აღმართულია მეორე, მურყვამული ტიპის კოშკი. ეს ნაგებობა ამჟამად მხოლოდ ორი მაღალი კედლით (დასავლეთის, ჩრდილო-აღმოსავლეთის) არის წარმოდგენილი. დასავლეთ კედლის სიგრძე 3,78 მეტრია, ჩრდილოეთისა კი 4,5 მ. მეორე კოშკი, ისე როგორც პირველი, რამდენიმე სართულიანი ყოფილა. სამი სართული ახლაც კარგად შეინიშნება, კედლებში დატანებულია სარკმლები.

მეორე კოშკიდან ჩრდილოეთით მიემართება კედელი, რომლის სიგრძე 33,5 მეტრს უდრის, სისქე – 0,5 მეტრს, ხოლო სამაღლე – 3 მეტრს. ამის პარალელურად სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიდის მეორე კედელი, რომლის სიმაღლე, შედარებით კარგად დაცულ ადგილას 6 მეტრამდე აღწევს, ხოლო სიღრძე 77,5 მეტრამდეა. პარალელური კედლებით მოზღუდულ ტერიტორიაზე რამდენიმე შენობის ნაშთია მოღწეული. პირველი მათგანი, რომელიც ძლიერ დაზიანებული სახით შემონახულა, ორგანყოფილებიანი ნაგებობა, რომელიც, აგრეთვე, ძლიერ არის დაზიანებული. ამ ნანგრევის წინ შემონახულია ჭა, რომლის სიმაღლე 5,5 მეტრს უდრის, ხოლო დიამეტრი – 1,5 მეტრს. იგი დილეგი უნდა იყოს.

აღნიშნული კედლის პირველი მინაშენიდან ხუთიოდე მეტრის დაშორებით შემონახულია მეორე შენობის ნანგრევი, რომლის სიგანე 3,5 მეტრს უდრის, სიგანე კი 3,6 მეტრს. ამას მოსდევს ყაზარმული ტიპის ნაგებობა სიგრძით ექვსიოდე მეტრი; ჩრდილო-აღმოსავლეთით მისი სიგანე 2,5 მეტრს შეადგენს, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით – 2 მეტრს. ამ შენობის ჩრდილოეთით შემონახულია მოზრდილი ნაგებობის ნანგრევი, რომლის სიგრძე 7,5 მეტრია, სიგანე – 5,38 მეტრი, ხოლო სიმაღლე კედლებისა 1,5 მეტრამდე აღწევს. აქვე არის სხვა ნაგებობათა ნანგრევებიც.

კედლით მოზღუდული ტერიტორიის გარეთ რამდენიმე შენობის ნაშთია. ერთი მათგანი (სამხრეთით) კლდის ძირას მდებარეობს, მისი სიგანე 3,53 მეტრს უდრის, სიგრძე – 3,7 მეტრს. ამ ნაგებობის სამხრეთი კედლის დაცული სიმაღლე 1,73 მეტრია. აქ კედელში დატანებულია ბუხარი. ბუხრის პირის სიგანე 66 სმ უდრის, ხოლო სიმაღლე – 78 სმ. ბუხრის სიახლოვეს (აღმოსავლეთ კუთხეში) გაკეთებულია პატარა თაროები. ეს ნაგებობა საცხოვრებელი ბინა უნდა იყოს.

სამხრეთი-დასავლეთი კედლის სიახლოვეს (სამხრეთ-დასავლეთით) დაცულია, აგრეთვე, ერთი საფუძვლამდე დანგრეული შენობის ნაშთი. ამავე კედლის ჩრდილო-დასავლეთით ორი ნაგებობის ზოგიერთი დაზიანებული კედელიღაა შემონახული.

რაც შეეხება გვიან შუა საუკუნეებს, აჭარის ციხე-სიმაგრეთა უმრავლესობა გვიან შუა საუკუნეებშია აგებული ან განახლებული. ამ პერიოდის ციხეები მეტწილად აჭარისწყლის

ხეობაში გვხვდება. სამიოდე მათგანი შემონახულია აჭარის ზღვის სანაპირო მხარეში, ერთი სოფელ ყოროლისთავში (ბათუმის რ-ნი), მეორე სოფელ ალამბარში, მესამე კი ელიას მთაზე (ქობულეთის რ-ნი), ხოლო ერთიც მაჭახლის ხეობაში (სოფელ ჩხუტუნეთში, ბათუმის რაიონი).

აჭარისწყლის ხეობასა და მასში შემავალ ხევებში გვიანი შუა საუკუნეების 8 ციხეა მოღწეული: ცივასულას, საღორეთის, გულების (მარჯვენა მხარეზე), ტაკიძეების, კავიანის (მარცხენა მხარეზე), ერთი (ტაკიძეების) ჭვანის ხევში (მარჯვენა მხარეზე), ორი (ოქროპილაურისა და მთისუბნის ყალაბოინები) – მარითის ხევში (პირველი მარცხენა მხარეზე, მეორე მარჯვენაზე) და ერთიც სხალთის ხევის სათავეში (ვარდის ციხე - ხიხაძირში).

აჭარის გვიან შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეთა შორის ყველაზე უფრო გვიანდელია სელიმ ხიმშიაშვილის (1755-1815 წწ.) ნიგაზეულის ციხე-გალავანი (შუახევის რ-ნი).

გვიან საშუალო საუკუნეებში აჭარაში შექმნილი ისტორიული ვითარების გამო (ოსმალეთის გაბატონება) მოხდა ქრისტიანობის შეცვლა ისლამით. ქრისტიანობიდან ისლამზე გადასვლა ერთბაშად არ მომხდარა. ეს საკმაოდ რთული პროცესი დაიწყო XVII საუკუნეში და გაგრძელდა XIX საუკუნის დამდეგამდე. ორი რელიგიის (ქრისტიანობა, ისლამი) შესაბამისად საკულტო ძეგლებიც გვიან შუა საუკუნეების აჭარაში ორგვარი გვაქვს – ქრისტიანული საყდარ-ეკლესიები და მუსლიმანური – ჯამე მეჩეთები.

ეკლესიები ამ მხარეში თითქმის ყველა XVIII საუკუნის უწინარეს არის აგებული. ეს გასაგებია, ქვეყანაში ისლამის გაბატონების შემდეგ, ქრისტიანული საყდრები აღარ აიგებოდა. რაც შეეხება მუსლიმანურ სამლოცველოებს, მათი აგება ისლამის გავრცელების პირველსავე ხანებიდან იწყება. მაგრამ ხით ნაგებ ამგვარ ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ. რაც არის შემონახული XVIII საუკუნეს არ სცილდება.

ამ პერიოდის ეკლესიებიდან ყველაზე უფრო ძველი და საყურადღებო ხუროთმოძღვრული ძეგლია ცხრაფონას ამაღლების საყდარი (ქობულეთის რ-ნი). ეკლესია XIV-XV სს-ში უნდა იყოს აგებული.

უფრო ზუსტადაა ცნობილი სოფ. ჩაიხედენას ტაძრის (ქობულეთის რ-ნი) აგების დრო. იგი აუშენებიათ XVII საუკუნის

პირველ მეოთხედში იერუსალიმის პატრიარქ თეოფანეს ბრძანებით. ამჟამად ეს ტაძარი მიწასთანაა გასწორებული.
ქობულეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა სოფ. გვარისთავის წმიდა გიორგის ეკლესია ანუ თეთროსანი. იგი ქრისტიან თავდგირიძეთა საგვარეულო სალოცავი და სამარხი იყო (აშენებული უნდა იყოს XVII ს-ში).
ეკლესიები ხისაც ბევრი იყო. ასეთი ყოფილა ქაქუთის მთავარანგელოზი, რომელიც XIX საუკუნის 70-იან წლებამდე მოღწეულა.
საყდარი ყოფილა ჯიხანჯურის ბორცვზე (მდ. ჩოლოქის მარცხენა მხარეზე).
საინტერესო ძეგლი ყოფილა ხინოს კათედრალიც (ქობულეთის რ-ნი). მას არა ერთი დაზიანება განუცდია ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ხოლო 1919 წლს საბოლოოდ დაუნგრევიათ.
ისლამის გავრცელებასთან ერთად აჭარაში დაიწყო ჯამე-მეჩეთების მშენებლობა. ოსმალთა მფლობელობის დროს აჭარაში 200-მდე მეჩეთი ყოფილა.
მეჩეთების მშენებლობა აჭარაში განსაკუთრებით გაცხოველდა XIX საუკუნის შუახანებიდან. ეს გარემოება ქვეყნის გაოსმალების აქტიურ პოლიტიკას უკავშირდებოდა. 1839 წელს აჰმედ-ფაშა ხიმშიაშვილმა ხულოში დიდი მეჩეთი ააშენა. იგი ძველი ეკლესიის საძირკველზე დაუშენებიათ. ამის შემდეგ მეჩეთი აჭარის ბევრ სხვა თემსა და სოფელში აშენდა. დიდი მეჩეთი იყო აგრეთვე ღორჯომში, ქედაში, ერგეში, დიდვაკეში და ა.შ.
რამდენიმე მეჩეთი იყო ბათუმში: აჰმედ-ფაშის, მუფტის, აზიზიეს და ორთა ჯამე. ყველაზე ძველი იყო პირველი.
რაც შეეხება ამ პერიოდში აგებულ ხიდებს, მარტო კინტრიშის ხეობიდან ქვის სამი თაღიანი ხიდია. ერთი ბასრიმელეში (ვარჯანაულსა და ტყემაკარავს შორის), მეორე – სოფელ ცხემვანში, ხოლო მესამე – კილდიკარის წყალზე (კინტრიშის მარჯვენა შენაკადი) საგებაურში. ეს უკანასკნელი ხინოში გზის გაყვანისას მიწით დაიფარა და დღეს უკვე აღარ ჩანს. გადმოცემით, ყველა ესენი თითქოს აუგია სოდომურელ თამაზიშვილს XIX საუკუნეში.

13. ა ფ ხ ა ზ ე თ ი
ჯიქეთი

(აფხ. Аҧсны, აფსნი) — საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე, ქვეყნის ჩრდილო–დასავლეთით, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით, უკავია 8,7 ათ. კვ.კმ. ტერიტორია მდინარეებს ენგურსა და ფსოუს შორის. ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მიერ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ (იხ. საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ), იმართება მარიონეტული დე ფაქტო ხელისუფლების მიერ. ჩრდილოეთით ესაზღვრება რუსეთის ფედერაციას, სამხრეთ-აღმოსავლეთით საოკუპაციო ხაზი გადის სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ. აერთიანებს რამდენიმე ისტორიულ ოლქს: საძენი (ანუ ჯიქეთი), ბზიფი, გუმა, შუა სოფელი, სამურზაყანო და წებელდა-დალი. აფხაზეთი, როგორც პოლიტიკური ერთეული, სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ტერიტორიას მოიცავდა და მისი საზღვრები არასდროს ემთხვეოდა ეთნიკურ აფხაზეთს, ე.ი. აფხაზური ტომებით დასახლებულ მიწებს. დედაქალაქი – სოხუმი. მოსახლეობის რაოდენობა 102 000.

აფხა. გეოგრაფია - აფხაზეთის სამთავროს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარი იყო მდინარე კოდორი. აფხაზი ფეოდალები სამთავროს საზღვრების გასაფართოებლად ებრძოდნენ დადიანებს, ცდილობდნენ დაჰპატრონებოდნენ სამეგრელოს მიწა-წყალს მდინარე კოდორის მარცხენა ნაპირზე. ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. ბოლოს, XVII საუკუნის მიწურულს შარვაშიძეებმა სამთავროს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი მდინარე ენგურამდე გადასწიეს.

აფხაზეთის კავკასიონი — საქართველოს კავკასიონის დასავლეთი ნაწილი, მდინარეების ფსოუსა და საკენის სათავეებს შორის. მოიცავს მთავარ ქედს და მის სამხრეთ განშტოებებს: გაგრის, ბზიფის, ჩხალთისა და კოდორის ქედებს, რომელთა შორის მოქცეულია ბზიფის, ჩხალთის, საკენისა და სხვა ხეობები. მთავარ ქედზე უმაღლესი წერტილია მწვერვალი

დომბაი-ულგენი (4046 მ). უღელტეხილებია: კლუხორი (2816 მ), ნახარი (2931 მ), მარუხი (2746 მ), სანჩარო (2292 მ), ხიდა (2632 მ) და სხვა. მათზე გადადის საცალფეხო გზები.

აფხაზეთის კავკასიონს ახასიათებს სიმაღლეთა დიდი ამპლიტუდა. განეკუთვნება ალპურ ნაოჭა სისტემას. თითქმის ყველა მაღალი ქედის ზემო ნაწილში არის ტროგული ხეობები, მყინვარული ცირკები, მყინვარული ტბები და სხვა. აფხაზეთის კავკასიონის ბუნება მრავალფეროვანია. აქ არის თითქმის ყველა სიმაღლითი ლანდშაფტური სარტყელი მათი კარსტული სახესხვაობებით: მთა-ტყის (ფართოფოთლიანი) სარტყელი ტყის ყომრალი ნიადაგებით (ზღვის დონიდან 500-600 მ-იდან 1300-1400 მ-მდე); წიფლნარ-მუქწიწვიანი ტყის სარტყელი ტყის ყომრალი და გაეწრებული ყომრალი ნიადაგებით (1000-1300 მ-იდან 1800-1900 მ-მდე); სუბალპური სარტყელი მთის მდელოს ნიადაგებით, სუბალპური ტყე-ბუჩქნარით, ლიხითა და მდელოებით (1800-1900 მ-იდან 2300-2400 მ-მდე); ალპური სარტყელი მთა-მდელოს ნიადაგებით, მდელოებითა და ხალებით (2300-2400 მ-იდან 2700-2800 მ-მდე); სუბნივალური და ნივალური სარტყელი (2800-2900 მ ზემოთ) შიშველი კლდეებით, თოვლითა და მყინვარებით.

უმთავრესი მწვერვალები: დომბაი-ულგენი (4046) • გვანდრა (3983) • ჯუგუტურლუჩატი (3927) • ერწახვი (3910) • მარუხი (3805) • პტიში (3789) • საფრიჭა (3786) • ხოკელი (3644) • დიდი ხუტია (3544) • პატარა ხუტია (3280) • ყლიჩი (3271) • აგებსთა (3257) • აჭარა (2907) • ანჩხო (2700).

უღელტეხილები: საფრიჭა (3550) • დალარი (3500) • პტიში (3070) • აგებსთა) (3050) • დომბაიულგენი (3005) • გვანდრა (2950) • ნახარი (2880) • ნაური (2860) • კლუხორი (2896) • მარუხი (2769) • ხიდა (2632) • სანჩარო (2292) • ვაგერკერი (2270) • მაგანა (2265) • ახუკდარა (2072)

ბზიფი (ისტორიული სახელწოდება — „კაპოეტისწყალი“) — მდინარე დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. სათავე აქვს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე, უღელტეხილ ადანგესთან. სიგრძე 110 კმ, აუზის ფართობი 1510 კმ2. ზემო

დინებაში ხეობა ვიწრო და ღრმაა. გამომუშავებულია ტექტონიკური რღვევის ხაზის გასწვრივ ქვედა იურულ თიხაფიქლებისა და ქვიშაქვებში, აგრეთვე ბაიოსის პორფირიტულ წყებაში. სოფელ ფსხუსთან ხეობა განიერდება და მდინარე იტოტება. ქვემოთ ხეობა ვიწრო, ზოგან კანიონისებრია, სოფელ ბზიფთან დაბლობზე გამოდის და ერთვის შავ ზღვას ბიჭვინთის კონცხთან. წყლის საშუალო წლიური ხარჯი შესართავთან 99 მ3/წმ. საზრდოობს წვიმის (37,2%), მიწისქვეშა (32,2%) და თოვლის (30,6%) წყლით. წყალდიდობა გაყაფხულზე და ზაფხულის პირველ ნახევარშია, წყალმცირობა - ზამთარში. ზაფხულსა და შემოდგომაზე იცის წყალმოვარდნა. ბზიფის შენაკადებია ბავიუ და გეგა.

მდინარე იუფშარის ზემო წელზე, რომელიც ბზიფის აუზს ეკუთვნის მდებარეობს რიწის ტბა. ტბისკენ შავიზღვისპირა გზატკეცილიდან მიემართება საავტომობილო გზა, რომელიც ნაწილობრივ ბზიფის ხეობაში გადის. მდინარე ბზიფი არის პოპულარული ტრასა წყლის ტურიზმისთვის.

ისტორია, პრეისტორიული ხანა.

ადამიანის პირველი ნამოსახლარები აფხაზეთის ტერიტორიაზე წარმოდგენილია 400-100 ათასი წლის წინანდელი აშელის კულტურის სახით. არქეოლოგიური პერიოდიზაციით იგი ქვის ხანის ადრეულ ეტაპს განეკუთვნება. ძვ. წ. V ათასწლეულის მეორე ნახევრისა და ძვ. წ. IV ათასწლეულიდან აფხაზეთის მოსახლეობა ლითონის ათვისებას იწყებს. აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ნაკეთობები ძირითადად ძვ. წ. III ათასწლეულითაა დათარიღებული.

ადრეული ხანიდან ძვ. წ. II ათასწლეულამდე დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი რეგიონის, მათ შორის თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის მცხოვრებთა ეთნიკური წარმომავლობა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მეცნიერთა უმრავლესობა თვლის, რომ ამ პერიოდში რომელიმე კონკრეტულ ეთნოსზე მსჯელობა შეუძლებელია. ძვ. წ. II საუკუნიდან ანტიკურ ხანამდე ამ ტერიტორიაზე მოპოვებული მასალების საფუძველზე მეცნიერებს გამოაქვთ ის დასკვნა, რომ დასავლეთი საქართველო

ამ პერიოდში კოლხური ტომებით იყო დასახლებული. ამ ტომებში გამოიყოფა ცალკეული სუბეთნიკური ჯგუფებიც, თუმცა ერთიანობაში ისინი საერთო კოლხურ კულტურას ქმნიან. დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველური მოსახლეობის არსებობას ამ პერიოდისათვის მეცნიერები ასაბუთებენ ასევე ქალაქ სოხუმის სახელწოდების ქართველური წარმომავლობით — „ცხუმი“ სვანური ენიდან მომდინარეობს და რცხილას ნიშნავს. არსებობს ასევე არგანავტების ბერძნული მითის ლინგვისტურ კვლევაზე დამყარებული მოსაზრება არგონავტთა მოსვლისას აქ ქართველური ენის არსებობის თაობაზე.

ანტიკურ ხანამდე აფხაზეთის მოსახლეობის შესახებ ცნობები დაცულია ადრეული ანტიკური ხანის ბერძენ მწერლებთან — ჰეკატე მილეტელთან (ძვ. წ. VI საუკუნე), ჰეროდოტესთან (ძვ. წ. V საუკუნე), სკილაქს კარიანდელთან (ძვ. წ. IV საუკუნე), სტრაბონთან (ძვ. წ. I-I საუკუნეები) და სხვა. მათ წყაროებში კოლხებით მთლიანად დასახლებული ჩანს დასავლეთი საქართველო დიოსკურიამდე (დღევანდელ სოხუმამდე), რის შემდეგაც იწყება ეთნიკურად ნარევი მოსახლეობის განსახლების არეალი. დიოსკურიის ჩრდილო-დასავლეთით კოლხებთან ერთად იხსენიებიან კერკეტები, კორაქსები და სხვები, რომელთაც მეცნიერთა ნაწილი ჩრდილოკავკასიური წარმომავლობის ხალხებათ თვლის, ნაწილი კი კოლხების სუბეთნიკურ ჯგუფებად მიიჩნევს.

II საუკუნის ავტორები, ფლავიუს არიანე და კლავდიოს პტოლემაიოსი ნიკოფსიასთან (თანამედროვე ტუაფსე) ასახელებენ გეოგრაფიულ პუნქტ „ლაზიკას“, არიანეს მიხედვით „ძველ ლაზიკას“. ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით ეს დასახელება ამ ტერიტორიაზე კოლხთა უძველეს, ანტიკურ ხანამდელ მოსახლეობაზე მიუთითებს.

ანტიკური ხანა აფშილები და აბაზგები.

ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების მხარეები აფხაზეთში:

1. მთიანი აფხაზეთი (ძირითადი აფხაზეთი)
2. ზღვისპირა აფხაზეთი (ძვ. სამხრეთი ჰენიოხეთი)

3. შიდა ჰენიოხეთი (სანიგეთი)
4. ჯიქეთი (ძვ. ჩრდილო ჰენიოხეთი)
5. აბსილეთი (ძვ. კორახეთი)
6. მისიმიანეთი (ძვ. კოლაეთი)
7. აფხაზეთისა და ეგრისის სანაპირო მხარე „შუა სოფელი“

ადრეულ ანტიკურ ხანაში, ძვ. წ. VI საუკუნიდან ახ. წ. I საუკუნემდე თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია კვლავ კოლხეთის შემადგენლობაშია და მისი მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების საკითხიც უცვლელი რჩება, უცნობია დიოსკურიის ჩრდილო–დასავლეთით მცხოვრებ ხალხთა ზუსტი ეთნიკური წარმომავლობა. კოლხეთის ჩრდილოეთ მთიან მხარეში მოსახლეობენ სვანები, რომლებიც, როგორც ჩანს, დიოსკურიამდეც ვრცელდებოდნენ.

ახ. წ. I-II საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში იხსენიებიან აფსილები და აბაზგები. საკითხი, თუ რა დროიდან მოსახლეობენ ამ ტერიტორიაზე ეს ტომები, დღეს მეცნიერთა შორის საკამათის საგანია. ნაწილი თვლის, რომ ისინი კოლხეთის უძველესი მოსახლეობაა, თუმცა, რადგანაც კოლხურ-ქართველურ კულტურულ-ისტორიულ სამყაროს ეკუთვნოდნენ, ადრეულ წყაროებში არ იხსენიებიან. მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ აფსილები და აბაზგები აქ სწორედ ამ პერიოდში ჩამოსახლებული ჩრდილოკავკასიური მოდგმის ხალხები არიან. აზრთა სხვადასხვაობაა აფსილებისა და აბაზგების ეთნიკურ წარმომავლობაზეც. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ისინი ისეთივე ქართველურ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ, როგორც კოლხეთში მცხოვრები სხვა ხალხები — ეგრები (ლაზები), სვანები. ამ აზრის მომხრე მეცნიერები აფსილებთან და აბაზგებთან თანამედროვე აფხაზების ეთნიკურ კავშირს გამორიცხავენ და მიიჩნევენ, რომ დღევანდელი აფხაზები (აფსუები) მხოლოდ XVII საუკუნეში ჩამოსახლებული ადიღური მოდგმის ერია. მეორე ნაწილი, მეცნიერთა უმრავლესობა თვლის, რომ ეს ორი ტომი აფხაზურ-ადიღური მოდგმის ხალხია, რომლებიც თანამედროვე აფხაზების წინაპრები არიან. ამ მეორე ვარაუდს იზიარებენ ნიკო მარი,

ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკოლოზ ბერძენიშვილი, გიორგი მელიქიშვილი, ლ. ლავროვი, ზურაბ ანჩაბაძე, ედიშერ ხოშტარია-ბროსე და სხვები. მერი ინაძე ყურადღებას ამახვილებს პლინუსის ნაშრომში არსებულ ცნობაზე ჩრდილოეთ კავკასიაში „აბზოეს“ მრავალრიცხოვანი ტომების არსებობის შესახებ და აღნიშნავს, რომ პლინუსის ცნობაში მცირე გეოგრაფიული კორექტივის შეტანის შემთხვევაში შესაძლოა გამოითქვას ვარაუდი, რომ გარკვეული კავშირის არსებობს ამ სახელწოდებასა და „აფსილ–აბაზგს შორის. არსებობს ასევე ვარაუდი, რომ XI საუკუნის ასურულ წყაროებში ნახსენები აღმოსავლეთ მცირე აზიის მთიანეთში მცხოვრები ხალხი „აბეშლა“ არის აფსილთა წინაპარი ტომი, რომელმაც სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გადაინაცვლა.

ბერძნულ წყაროებში მოხსენიებულ „აფსილიასა“ და აფსილებს ქართულ შუა საუკუნეების წყაროებში „აფშილეთი“ და „აფშილი“ შეესაბამება, ხოლო „აბაზგს“ — აფხაზი. ერთიანი კოლხეთის სამეფოს დაშლის შემდეგ მის ტერიტორიაზე პოლიტიკურად რომის იმპერიაზე დამოკიდებული რამდენიმე სამთავრო შეიქმნა, რომელთა შორის, ფლავიუს არიანეს თქმით, აფსილია და აბაზგიაც იყო. II საუკუნის მეორე ნახევრიდან დასავლეთ საქართველო ეგრისის სამეფოს სახელით ერთიანდება. აფშილეთი ამ პერიოდში მდინარე ეგრისწყლიდან (ღალიძგა) კოდორამდე უშუალოდ ეგრისს ექვემდებარებოდა, ხოლო კოდორის ჩრდილოეთი ნაწილი წარმოადგენდა აფხაზეთს (აბაზგიას), რომელიც თუმცა არ იყო ეგრისის უშუალო შემადგენლობაში, მაგრამ მისი ვასალი სახელმწიფო იყო.

VI-VIII საუკუნეები

შუა საუკუნეების დასაწყისიდან თანდათან დასუსტებას იწყებს ეგრისის სამეფო. იგი აღიარებს აღმოსავლეთ რომის იმპერიის ძალაუფლებას. ბიზანტიის გავლენა ეგრისსა და მის ვასალებზე (აბაზგები, აფსილები) ხელს უწყობდა ამ ხალხში ქრისტიანობის გამტკიცებას. ბერძნული წყაროებით, VI საუკუნეში აფხაზური ტომები (აბაზგები, აფსილები) ქრისტიანები იყვნენ, თუმცა ზოგიერთი წარმართული ტრადიციაც არ ჰქონდათ

დავიწყებული, მაგალითად ხეების თაყვანისცემა. ეგრისის ვასალობაში აბაზგებს შინაგანი თვითმყოფადობის ყველაზე მაღალი დონე ჰქონდათ, მათ საკუთარი მეფე-მთავრების ინსტიტუტიც შეინარჩუნეს. VI საუკუნის დასაწყისიდან ეგრისმა დაკარგა გავლენა აფხაზეთზე (აბაზგიაზე), რომელიც განუდგა მას და უშუალოდ ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. ამ პერიოდიდან თანდათან ძლიერდება აფხაზეთი, რომელმაც გარდა ძველი აბაზგიის ტერიტორიისა მოიცვა სანიგების, მისიმიელებისა და აფშილების (აფსილები) ტერიტორიაც. ამ გაძლიერებას უკავშირდება ბერძნული ტერმინი „აბაზგისა“ და მისი ქართული შესატყვისის — „აფხაზის“ მნიშვნელობის გაფართოება. ბიზანტიის დაქვემდებარებაში შეიქმნა ახალი პოლიტიკური გაერთიანება — აბაზგიის სამთავრო (ქართულ წყაროებში აფხაზეთის სამთავრო), რომელშიც VII-VIII საუკუნეებში სუბეთნიკური ჯგუფების აქტიური კონსოლიდაცია მიმდინარეობს. VI-VIII საუკუნის წყაროებში წყდება ამ შედარებით მცირე სუბეთნიკური ჯგუფების მოხსენიება (აფსილები, სანიგები, მისიმიელები, ბრუქები) და მათ ნაცვლად ავტორები მხოლოდ აბაზგებს, ანუ აფხაზებს ასახელებენ. აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია აღნიშნავს:
„VIII საუკუნისათვის თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აშკარა უპირატესობა აბაზგებმა მოიპოვეს. ეს ეთნიკური სახელი მალე უფრო ფართო, განმაზოგადებელ მნიშვნელობას იძენს. მისი ქართული ფორმა — „აფხაზი“, რომელიც მიღებულია „აბაზგი“, „აბაზხი“-დან თანხმოვანთა შინაგანი გადაჯგუფების გზით, ქართული ენის ფონეტიკური კანონების თანახმად, თანდათანობით საყოველთაო გავრცელებას პოულობს “
ამგვარად, VIII საუკუნეში დასრულდა აფხაზების, როგორც ფეოდალური ერის ძირითადი ჩამოყალიბება, რაშიც უდიდესი გავლენა აბაზგებმა და აფსილებმა იქონიეს. ამ ორი ეთნოსის შერწყმით შეიქმნა ადრეფეოდალური ხანის აფხაზი ერის ძირითადი ბირთვი, რომელსაც შემდეგ ხანებში აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფებიც შეერწნენ.

VII საუკუნეში დასუსტებული ეგრისის სამეფო ბიზანტიის იმპერიამ საბოლოოდ გააუქმა, რის შემდეგაც თანდათან იწყება აბაზგიის მთავრების ჰეგემონიის გაფართოება მთელ დასავლეთ საქართველოში. აფხაზთა მთავრები კავშირს ამყარებენ აღმოსავლეთ საქართველოსთან; 736 წელს აფხაზთა და ქართველთა (აღმოსავლეთი საქართველოდან) გაერთიანებულმა ლაშქარმა ანაკოფიასთან მოიგერია არაბები, რის შემდეგაც მათ მალე დატოვეს საქართველოს ტერიტორია.

IX-X საუკუნეები, აფხაზთა სამეფო.

ბაგრატ ბაგრატიონი (გელათის ფრესკა), გაერთიანებული საქართველოს სამეფოს პირველი მეფე. იგი მამის მხრიდან სამხრეთი საქართველოს ბაგრატიონთა წარმომადგენელი იყო, ხოლო დედის მხრიდან აფხაზთა მეფეებს ენათესავებოდა

VIII საუკუნის 80-იან წლებში ეგრისის სამეფოს ტერიტორია და აფხაზეთის სამეფო გაერთიანდა. ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, ქართლის ერისმთავართა სახლის უკანასკნელმა მამაკაცმა წარმომადგენელმა არჩილმა თავისი გარდაცვლილი ძმის მირის ასული ცოლად შერთო ლეონ აფხაზთა მთავარს, რომელსაც გადასცა ეგრისის გვირგვინი[38]. ამგვარად ეგრისისა და აფხაზეთის გაერთიანება ნებაყოფლობით მოხდა[39]. ამ დროიდან სიტყვა „აფხაზეთი“ მთელ დასავლეთ საქართველოს აღნიშნავს, ხოლო „აფხაზი“ დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხის საერთო სახელწოდება ხდება, მათ შორის ქართველებისაც. ლეონ II განუდგა ბიზანტიის იმპერატორს, რომელთანაც მანამდე ვასალური მდგომარეობა ეკავა, თავი მეფედ გამოაცხადა და სამეფოს დედაქალაქი ქუთაისში გადაიტანა. ისტორიულ წყაროებში იგი აფხაზთა მეფედ იწოდება.

დღეს ზუსტად არაა ცნობილი აფხაზთა მეფეების ეთნიკური წარმომავლობა. ზოგიერთი მეცნიერი მათ საკუთრივ აფხაზებად მიიჩნევს, ზოგი კი ქართველებად. არსებობს ასევე ვარაუდი მათი ბერძნული წარმომავლობის შესახებ, ვინაიდან ისინი ბიზანტიის იმპერიას ექვემდებარებოდნენ და მათ ვასალებს წარმოადგენდნენ. ზოგიერთი მეცნიერი (მარიკა ლორთქიფანიძე)

არსებითად არ მიიჩნევს აფხაზთა მთავრების ეთნიკურ წარმომავლობას. მათი თქმით, არსებითი ისაა, რომ აფხაზთა სამეფო ენით, კულტურით, რელიგიით, პოლიტიკით ქართული სახელმწიფო იყო, ხოლო მისი მეფეები, ამავე ნიშნით — ქართველები. აფხაზთა სამეფოს მოსახლეობის უმრავლესობას ეთნიკურად ქართული მოსახლეობა შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ X-XI საუკუნეების ზოგიერთი სომეხი ისტორიკოსი, მათ შორის იოანე დრასხანაკერტელი, აფხაზეთის სამეფოს მოიხსენიებს „ეგრისის“ სახელით, ხოლო აფხაზებს „ეგრისელებს“ უწოდებს.

ვინაიდან ძველი ისტორიული აფხაზეთი აფხაზთა სამეფოს მხოლოდ ჩრდილოეთ მცირე ნაწილს წარმოადგენდა, მის მოსახლეობაში ეთნიკურ ქართველთა ხვედრითი წილი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ეთნიკური აფხაზებისა. საკუთრივ აფხაზები, რომლებიც ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ, სახელმწიფო პოლიტიკის გატარებაში, კერძოდ ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი აღნიშნავს:

„აფხაზთა და ქართველთა ასეთი ერთიანობა... იყო შედეგი არა ურთიერთ დაპყრობის, არამედ აფხაზთა თანდათანი მშვიდობიანი შემოსვლისა ქართველთა კულტურულ სამყაროში.“

IX-X საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს, აფხაზთა სამეფოს ქრისტიანული მრევლი აფხაზთა მეფეების აქტიური მონაწილეობით საბოლოოდ გამოეყო ბერძნულ ეკლესიას და ეკლესიურად მცხეთას დაექვემდებარა. ეს საკითხი საგანგებოდ შეისწავლეს ივანე ჯავახიშვილმა, ნიკოლოზ ბერძენიშვილმა, პავლე ინგოროყვამ, კორნელი კეკელიძემ, სიმონ ყაუხჩიშვიმა, ზურაბ ანჩაბაძემ, მარიკა ლორთქიფანიძემ. პავლე ინგოროყვას აზრით ეს საეკლესიო რეფორმა აფხაზეთის სამეფოში ქართული ენისა და მწიგნობრობის გავრცელებასა და საქართველოს ნაციონალიზაციას ისახავდა მიზნად. იგი შენიშნავს:

„ასეთი იყო ის ღონისძიებანი, რომელნიც ჩაუტარებია დასავლეთ საქართველოს — აფხაზეთის სამეფოს

ხელისუფლებას დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რეფორმაციასთან, მის გაქართულებასთან დაკავშირებით.“

IX საუკუნიდან აფხაზებში (საკუთრივ აფხაზებში) ქართულმა ენამ გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა. მან სბოლოოდ გამოდევნა ბერძნული ენა როგორც საეკლესიო, ისე საერო ცხოვრებიდან.

978 წელს აფხაზეთის სამეფო ტახტზე ავიდა ბაგრატ ბაგრატიონი, რომელიც მამის მხრიდან სამხრეთი საქართველოს ბაგრატიონთა წარმომადგენელი იყო, ხოლო დედის მხრიდან აფხაზთა მეფეებს ენათესავებოდა. ამგვარად ბაგრატი გახდა გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე — ბაგრატ III.

XI-XIV საუკუნეები

საქართველოს სამეფო დავით აღმაშენებლის დროს. აფხაზები ერთიან საქართველოში აფხაზეთის, აფშილეთისა და ჯიქეთის საერისთავოებში სახლობდნენ.

X საუკუნის ბოლოდან, როდესაც საქართველო გაერთიანდა, აფხაზეთი ერთიან სამეფოში ძირითადად ცხუმის საერისთაოს სახით შედიოდა, რომლის მმართველებადაც შარვაშიძეების საგვარეულო იყო დადგენილი (აფხაზურად ჩაჩბა). ამ პერიოდიდან ისედაც გაფართოებული მნიშვნელობის ცნება „აფხაზი“ კიდევ უფრო ფართოვდება. ერთიანი საქართველოს მეფის ტიტულში პირველ ადგილზე სწორედ „მეფე აფხაზთა“ იდგა, რადგანაც ბაგრატ III-მ თავდაპირველად მხოლოდ ეს ტიტული მიიღო, ქართველთა მეფის წოდება კი მას მხოლოდ XI საუკუნეში მიენიჭა. ერთიანი საქართველოს მეფის ტიტულში „მეფე აფხაზთა“-ს წინა პლანზე წამოწევამ გამოიწვია ის, რომ ცნება „აფხაზი“ ამ პერიოდიდან უკვე ზოგადად ქართველს აღნიშნავს, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში.

სამეფო ტიტულატურაში „მეფე აფხაზთას“ პირველი ადგილით გამოწვეული გაიგივება ქართველისა და აფხაზისა (ასევე საქართველოსი და აფხაზეთის) განსაკუთრებით უცხოურ, ბერძნულ, არაბულ, რუსულ ლიტერატურაში აისახა. უცხოელი ავტორები „იბერსა“ და „აფხაზს“ ერთმანეთის პარალელურად

სინონიმური მნიშვნელობით იყენებენ. მაგალითად, XI საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი გიორგი კეფრენე საქართველოს მეფეს გიორგი I–ს (1014-1027) აფხაზეთის არქონტს უწოდებს, ხოლო მის შვილს, ბაგრატ IV–ს (1027-1072) — იბერიის არქონტს[49]. XI-XII საუკუნეების ბიზანტიელი ავტორი იოანე ზონარა იმავე ბაგრატ IV–ს აბასგიის არქონტად იხსენიებს. იმპერატორ ბასილი II-ის საქართველოში ლაშქრობის შესახებ მონათხრობში ნათქვამია, რომ ბასილიმ გაილაშქრა გიორგი აბაზგის წინააღმდეგ და იბერიისაკენ გამოემართა.

ქართველსა და აფხაზს აიგივებენ ასევე აღმოსავლელი, არაბი და სპარსი ავტორებიც. XIII საუკუნის არაბი გეოგრაფი და ისტორიკოსი იაკუთი აღნიშნავს, რომ აფხაზეთში ცხოვრობს ქრისტიანი ხალხი — ქურჯები (ქართველები). XIII საუკუნის სელჩუკი მწერალი იბნ ბიბი თამარ მეფეს გურჯთა მეფეს უწოდებს, ხოლო მის სამეფოს — აფხაზთა სამეფოს, დედაქალაქით ტფილისში. აფხაზსა და ქართველს აიგივებს ნიზამი განჯელი, ხაკანი შირვანი და სხვები. აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეების რუსული წყაროებიც მიუთითებენ, რომ იბერია იგივე აბხაზიაა (ობეზი).

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის საქართველოში აფხაზისა და ქართველის ერთობა მხოლოდ ამ სიტყვების სინონიმური მნიშვნელობით არ შემოიფარგლებოდა. საკუთრივ აფხაზ ხალხს, საქართველოს ჩრდილო დასავლეთ ნაწილში მცხოვრებთ, არაქართველებად არ თვლიდნენ. XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი კავკასიის ხალხთა წარმომავლობაზე საუბრისას დასავლეთ საქართველოს ეთნიკურად მთლიანად „ეგროსის“ წილ ქვეყნად განიხილავს. ნიკოლოზ ბერძენიშვილი თვლის, რომ XI საუკუნის თხზულებაში ეს კონცეფცია VII-VIII საუკუნეებიდან უნდა მომდინარეობდეს და აღნიშნავს:

„ეს გადმოცემა ანგარიშგასაწევი მოწმობაა დასავლეთ საქართველოს ტომთა როგორც ეთნიკური მონათესაობისა, ისე მათი მრავალსაუკუნოვანი ისტორიულ-კულტურული თანამშრომლობისა (რაც აგრე ცხადად ჩანს ძველი ბერძნულ-

ლათინური მწერლობისა და, განსაკუთრებით, არქეოლოგიურ მონაცემთა შუქზე).“

მარიკა ლორთქიფანიძეც მიიჩნევს, რომ შუა საუკუნეების საქართველოში აფხაზები არაქართველებად არ განიხილებოდნენ. ამის დასამოწმებლად მას ის არგუმენტიც მოჰყავს, რომ ეთნიკურად ქართველ ბაგრატიონ მეფეებს საკუთარ ტიტულში (მეფე აფხაზთა...) ცვლილება არასდროს შეუტანიათ.

XV-XVIII საუკუნეები, აფხაზეთის სამთავრო.

საქართველოს სამეფოს დაშლა და მიგრაცია XV საუკუნის ბოლოს ერთიანი საქართველოს სამეფო დაიშალა ოთხ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ — ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ. ისტორიული აფხაზეთი იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა. იმერეთის სამეფოში გურიისა და ოდიშის სამთავროების შექმნის შემდეგ აფხაზეთი ოდიშის შემადგენლობაშია, XVII საუკუნიდან კი ცალკე სამთავროდ ყალიბდება სათავეში კვლავ შარვაშიძეებით. საზღვარი ოდიშსა და აფხაზეთს შორის მდინარე კოდორზე გადიოდა. ამ პერიოდში ცნება „აფხაზი“ გაფართოებული მნიშვნელობით აღარ გამოიყენება, ქართველებისა და უცხოელებისათვის აფხაზები უკვე კონკრეტულად ამ სამთავროს მკვიდრი მოსახლეობაა, რაც ძირითადად ეთნიკურ აფხაზებს გულისხმობს.

XV-XVII საუკუნეებში საქართველოში ჩრდილოკავკასიური ტომები მასიურად სახლდებიან. ეს ყველაფერი მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ ფონზე მიმდინარეობს — სეფიანთა იმპერიისა და ოსმალეთის გამუდმებული ბრძოლა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, მოსახლეობას მძიმე მდგომარეობაში აყენებდა. ქვეყნის ჩრდილოეთ მთიანეთში (მათ შორის აფხაზეთში) მცხოვრები ხალხი თანდათან ბარში მოიწევდა, ხოლო მაღალმთიანი რეგიონები მოსახლეობისგან იცლებოდა. მთიანეთის ეს ტერიტორიები თანდათან ჩრდილოკავკასიიდან ჩამოსახლებულმა ხალხმა აითვისა. აფხაზეთის ისტორიულ ტერიტორიაზე ჩერქეზულ-ადიღეური მოდგმის ხალხი დასახლდა. უცნობია ამ ახლადჩამოსახლებული

ჩრდილოკავკასიური ტომების თავდაპირველი სახელწოდება, თუმცა ქართველებმა აფხაზეთში მოსახლე ძველი აფხაზების გამო მათაც აფხაზები უწოდეს.

ზოგიერთი წყაროს მიხედვით აფხაზეთის ძირძველი მოსახლეობა, ძველი აფხაზები თავადაც სახლდებიან ჩრდილოეთ კავკასიაში. ეს პროცესი XIV საუკუნიდან დაიწყო და განსაკუთრებით გაძლიერდა ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ. ამ წყაროების მიხედვით, საქართველოდან გადასახლებული აფხაზები სახლდებიან მდინარე ყუბანისა და მისი მარცხენა შენაკადების სათავეებში და დროთა განმავლობაში ქმნიან ახალ ეთნიკურ ჯგუფს — აბაზას. ევროპელი ავტორები ზოგჯერ აფხაზეთს „ძველ“ ან „დიდ აფხაზეთს“ უწოდებენ, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიური ტომების, აბაზების სამოსახლოს — „მცირე აფხაზეთს“.

ისლამის გავრცელება

ჩამოსახლებულ ადიღეურ ტომებს აფხაზეთში საკუთარი წარმართული რელიგია ჩამოაქვთ. თავის მხრივ, ამ მხარეში გაბატონებული თურქები ისლამის გავრცელებას ცდილობენ. ამან განაპირობა ძველ აფხაზთა რწმენაში ქრისტიანული პოზიციების შერყევა. რელიგიური ცვლილების პროცესი კარგადაა ასახული ქართულ წერილობით ძეგლებში. XV საუკუნის ძეგლში – „მცნება სასჯულო“ – აღნიშნულია:

„აფხაზეთი ქრისტიანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყუნეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყუნეს.“

XVII საუკუნის პირველი ნახევრის დოკუმენტი იძლევა შემდეგ ცნობას: „მას ჟამსა უღმერთოდ და უსჯულოებად მიიქციეს აფხაზნი ... აფხაზთა გარყუნეს სჯული და კათალიკოზობა. (მამულების მფლობელობის განახლების სიგელი ლევან დადიანისა ხობის საყდრისადმი)“

XV საუკუნის ბოლოდან აფხაზები იწყებენ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონზე, ძირითადად სამეგრელოზე თავდასხმებს. XVII საუკუნისა და XVIII საუკუნის პირველი ნახევრის თითქმის ყველა თავდასხმა აღწერილი აქვს ვახუშტი ბატონიშვილს. ამგვარი თავდასხმების შესახებ არსებობს

უცხოური წყაროებიც, მათ შორის ჟან შარდენისა და არქანჯელო ლამბერტის მონაცემები. აღსანიშნავია, რომ XV საუკუნის უცხოელი ავტორები სოხუმს არ თვლიან აფხაზთა ქალაქად. ასევე, XVII საუკუნეში, არქანჯელო ლამბერტის ცნობით, დრანდა, მოქვი, ილორი და ბედია ეგრისელებისაა (სამეგრელო). XVII საუკუნის დასავლელი ავტორები არც ბიჭვინთას მიაკუთვნებენ აფხაზებს. იტალიელი მისიონერი ძამპი, რომლის თხზულებაც ჟან შარდენის მოგზაურობის წიგნშია შესული, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის შესახებ წერს:

„ამ კათალიკოსის ძალაუფლება ვრცელდება ოდიშში, იმერლების, გურულების, აფხაზთა და სვანთა ქვეყნებში. მისი სამიტროპოლიტო საყდარი არის ბიჭვინთაში, აფხაზთა ახლოს.“

ეს ცნობები სავარაუდოდ იმაზე მიუთითებს, რომ ის მოსახლეობა, რომელიც თავისი ყოფით, რწმენით განსხვავდება სამეგრელოსა და დანარჩენი დასავლეთი საქართველოს მოსახლეობისაგან (ჩამოსახლებული ადიღეველები), ბიჭვინთაში, სოხუმში ჯერ დამკვიდრებული არაა და ამიტომ ამ ქალაქების მოსახლეობა ევროპელებს აფხაზებად არ მიაჩნიათ.

„გააფხაზება“

XVII საუკუნის ბოლოს, როგორც ჩანს, უკვე საკმაოდ მრავალრიცხოვანი მუსულმანი აფხაზები იპყრობენ სამეგრელოს ნაწილს, სამურზაყანოს, დღევანდელ გალის მუნიციპალიტეტს. ამ დროიდან იწყება ამ მხარის „გააფხაზების“ პროცესი, რომელიც როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში კარგადაა ასახული. აღსანიშნავია ცნობა, რომელიც ამ ტერიტორიაზე აფხაზთა საგანგებოდ ჩამოსახლებას ეხება[65]. XVI-XVII საუკუნეებში ქართული დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ სოფელი ნიჟანელი ჯერ კიდევ ქართული (მეგრული) სოფელია, 1626 წლის აფხაზეთის საკათალიკოსოს დიდი დავთრის მიხედვითაც ნიჟანელი ოდიშია. მდგომარეობა იცვლება XVIII საუკუნის დასაწყისში. 1712 წლის დოკუმენტში კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე წერს:

„ნაჟანევს სოფელი აფხაზს აეყარა. სამოცი მოსახლე კაცი ნეფსაძე კათალიკოზს ყვაპუ შარვაშიძისათვის მიებარებინა. უფროსი ერთი დაკარგულიყო.“

იქვე ჩამოთვლილია აყრილი სოფლის მოსახლეობის გვარები, რომელთაგან ყველა მეგრულია. აფხაზთაგან თავდასაცავად სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი აგებს საგანგებო კედელს, რომელიც კელასურის კედლის სახელწოდებითაა ცნობილი. ამ კედლის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „შევლო ზღუდე დიდმა ლევან დადიანმა, აფხაზთა გამოუსვლელობისათვის“. არქანჯელო ლამბერტის მიერ შედგენილ რუკაზე ამ კედელს აფხაზთაგან დასაცავი კედელი აწერია.

აფხაზთა ყოფაცხოვრების წესისა და რელიგიის ცვლილებას ნიკოლოზ ბერძენიშვილი მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის ნაწილობრივ ცვლილებას მიაწერს, ხოლო პავლე ინგოროყვა თვლის, რომ ძველი აფხაზები მთლიანად ჩაანაცვლეს ჩრდილოეთი კავკასიიდან ჩამოსახლებულმა აფსუებმა. აფსუების ან მათი ნაწილის აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსულობის თვალსაზრისს გარკვეულწილად მათი გადმოცემებიც ეხმიანება. არსებობს რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებული გადმოცემა, ზოგი მათგანის მიხედვით აფსუები აქ ეგვიპტიდან მოვიდნენ, სხვა ვერსიით კი ისინი არმენიაზე გავლით ჯერ ყუბანში დასახლდნენ, იქიდან კი სიცივისაგან შეწუხებულები აფხაზეთში გადმოვიდნენ. აღსანიშნავია, რომ აფსუების ჩრდილოეთიდან მოსვლის იდეა ქართველ მეცნიერებს არ ეკუთვნით. ამის შესახებ XIX საუკუნის რუსი მკვლევარებიც წერდნენ:

„(რუსული) Афхазцы не всегда обитали там, где теперь живут; а предания их многие исторические данные и обычан их указывают, что они пришли с севера и потеснили картвельские племена, пака не остановились у Ингури.

(ქართული) აფხაზები ყოველთვის იქ არ ცხოვრობდნენ, სადაც ახლა; მათი ისტორიული მონაცემები და წყობა გვიჩვენებს, რომ

ისინი ჩრდილოეთიდან მოვიდნენ და ქართველური ტომები განდევნეს, სანამ არ გაჩერდნენ ენგურთან.

XIX-XX საუკუნეები

XIX საუკუნის დასაწყისიდან იწყება საქართველოს ტერიტორიის ანექსია რუსეთის მიერ. 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებიდან 9 წელიწადში, 1810 წელს რუსეთის ჯარები შეიჭრნენ აფხაზეთში და ქალაქი სოხუმი აიღეს, თუმცა აფხაზეთის სხვა ტერიტორიებს ისინი დიდხანს ვერ აკონტროლებდნენ. თავდაპირველად შარვაშიძეთა ხელისუფლება აფხაზეთში შენარჩუნდა შეზღუდული ავტონომიის სახით. აფხაზეთის სამთავროს საბოლოო გაუქმება პეტერბურგში მხოლოდ 1864 წელს გამოცხადდა, როდესაც აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე დააპატიმრეს და რუსეთში გადაასახლეს.

XIX საუკუნეში საქართველოში მოსახლეობის აღწერა აფხაზეთის ჩათვლით სამჯერ ჩატარდა; 1800 წლის მონაცემებით საქართველოში 52 ათასი აფხაზი ცხოვრობდა; 1832 წელს — 56,6 ათასი, ხოლო 1865 წელს — 60 ათასი. 1886 წელს აღწერა ცალკე სოხუმის ოლქში (ისტორიულად აფხაზეთის ტერიტორიას მოიცავდა) ჩატარდა, რის მიხედვითაც აფხაზეთში სულ 68,773 კაცი ცხოვრობდა, მათ შორის 34,806 ქართველი და 28,320 აფხაზი.

მუჰაჯირობა - რუსული მმართველობის დამყარებას აფხაზეთში თან მოჰყვა აფხაზი ხალხის წინააღმდეგობაც. ფართომასშტაბიანი შეიარაღებული აჯანყებები მოეწყო 1821-1827, 1840-1842, 1866 და 1877 წლებში. ყველა აჯანყება ჩახშობილ იქნა რუსული მმართველობის მიერ. აჯანყებების დამარცხებას თან სდევდა აფხაზთა იძულებითი გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში. 1864 წლის (კავკასიის საბოლოოდ დამორჩილების) შემდეგ რუსეთი უკვე პირდაპირ იწყებს მთიელ კავკასიელთა განდევნას სამშობლოდან. ამ პერიოდში ოსმალეთში გადასახლდა 700 ათასამდე ჩერქეზი, უბიხი, აფხაზი, ჩეჩენი, დაღესტნელი. განდევნილ მთიელ კავკასიელებს „მუჰაჯირებს“ უწოდებდნენ, რაც არაბულ ენაზე გადასახლებულს ნიშნავს. 1864

წელს გადასახლებულ აფხაზ მუჰაჯირთა რაოდენობა 20 000-ზე მეტია; დაახლოებით ამდენივე აფხაზი გადასახლდა ოსმალეთში 1866 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ; 1877 წლის უკანასკნელი აჯანყების დამარცხების შემდეგ კი აფხაზეთიდან 30-40 ათასი მუჰაჯირი წავიდა სამშობლოდან. საერთო ჯამში, აფხაზ და აბაზ მუჰაჯირთა საერთო რაოდენობა 135 000 ადამიანს შეადგენდა.

1877 წლის აფხაზური აჯანყების ჩახშობის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ „დასაჯა“ სამშობლოში დარჩენილი აფხაზური მოსახლეობა. ფაქტობრივად მთელი აფხაზი ხალხი, მცირე გამონაკლისის გარდა, ოფიციალურად გამოცხადდა „დამნაშავე მოსახლეობად“, რაც მათ უფლებებს მნიშვნელოვნად ზღუდავდა. აფხაზებს აეკრძალათ აფხაზეთის ტერიტორიის დიდ ნაწილზე ცხოვრება, კერძოდ ზღვისპირეთში, მაღალმთიან ზონასა და სოხუმის მიდამოებში — ქალაქიდან 25 კილომეტრის სიახლოვეს. „დამნაშავე ხალხის“ სტატუსი აფხაზებს მხოლოდ 1907 წელს მოეხსნათ.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის იმპერიის ხელისუფლება დაბრკოლებებს უქმნიდა მუჰაჯირთა იმ ნაწილს, რომელიც შემდგომში სამშობლოში დაბრუნების სურვილს გამოთქვამდა. აფხაზთა იძულებით გადასახლების შედეგად აფხაზეთში გამოთავისუფლებულ ტერიტორიაზე რუსეთი ხელს უწყობდა სომხების, რუსებისა და სხვაეროვანი მოსახლეობის დამკვიდრებას. ამ ტერიტორიაზე დასახლების უფლება ქართველებს არ ეძლეოდათ. როგორც ამ პერიოდის ქართული პრესიდან ჩანს, ქართველი ინტელიგენცია ჭავჭავაძის თაოსნობით ყველანაირად ცდილობდა, შეეჩერებინა მუჰაჯირობის პროცესი. მუჰაჯირობის ისტორიას სათანადო ნაშრომი მიუძღვნა აფხაზმა ისტორიკოსმა გიორგი ძიძარიამ. 1920 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მუჰაჯირობის საკითხი განსახილველად შეიტანა ანტანტის საბჭოს სხდომაზე.

აფხაზეთის დაცარიელებულ ადგილებზე რუსეთის ხელისუფლება ასახლებდა სომხებს, რუსებს, ბერძნებს.

მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის ბოლოსთვის აფხაზეთში ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფს ქართველები შეადგენდნენ. ამის მიზეზად გიორგი ანჩაბაძე მიიჩნევს იმას, რომ რუსული ხელისუფლების წინააღმდეგობის მიუხედავად ქართველები მაინც სახლდებოდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე. მისი თქმით, ეს პროცესი განსაკუთრებით ძლიერდება XIX საუკუნის ბოლოდან, როდესაც მეზობელ აფხაზეთში გადასახლებას იწყებენ ძირითადად მეგრელები. გიორგი ანჩაბაძე არ უარყოფს, რომ ქართველთა გარკვეული ნაწილი აფხაზეთში ძველი დროიდან მოსახლეობდა. ამის საპირისპიროდ, მარიკა ლორთქიფანიძე თვლის, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველთა მრავალრიცხოვნება ბუნებრივია და ეს უძველესი დროიდანვე ასე იყო, რადგან აფხაზეთი ყოველთვის რომელიმე ქართული სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი იყო, ან თავად წარმოადგენდა ქართულ სახელმწიფოს. მარიკა ლორთქიფანიძე იქვე აღნიშნავს, რომ ეს არ ნიშნავს აბაზგ-აფშილთა არაქართული წარმომავლობის უარყოფას — საქმე ისაა, რომ ჩრდილოკავკასიური ეთნოსები (აბაზგები, აფშილები, შემდგომში აფსუები) აფხაზეთში ყოველთვის უმცირესობას შეადგენდნენ[16]. 1864-1883 წლებში აფხაზეთის ტერიტორიას სოხუმის სამხედრო განყოფილება ეწოდებოდა, ხოლო 1883 წლიდან ისტორიული აფხაზეთი ქუთაისის გუბერნიის საზღვრებში შევიდა „სოხუმის ოლქის“ სახელწოდებით. მარიკა ლორთქიფანიძის აზრით, ეს სახელები („სოხუმის სამხედრო განყოფილება“, „სოხუმის ოლქი“) მიმართული იყო სიტყვა „აფხაზეთისა“ და „აფხაზის“ ამოძირკვისაკენ. ამ პირობებში, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ყალიბდება აფხაზური ინტელიგენცია, რომელიც რუსული და ქართველი საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელოვან გავლენას განიცდის. ამ პერიოდში ითარგმნა რამდენიმე სასულიერო წიგნი აფხაზურ ენაზე, მათ შორის ოთხთავი. შეიქმნა აფხაზური სახელმძღვანელოები და პირველი მხატვრული ნაწარმოებები. ამ ყველაფერს წინ უსწრებდა აფხაზური ანბანის შექმნა, რომელიც ხან ქართული, ხანაც ლათინურ დამწერლობის აფხაზურზე

მორგებულ ვერსიას წარმოადგენდა, უფრო ხშირად კი კირილიცაზე იყო დაფუძნებული.

XX-XXI საუკუნეები.

1917-1921 წლები

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შედეგად რუსეთის იმპერია დაიშალა. კავკასიაში შეიქმნა რამდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფო, მათ შორის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918). ამ პერიოდში აფხაზ ხალხში რამდენიმე პოლიტიკური მიმდინარეობა გამოიკვეთა. ერთი ნაწილი საჭიროდ მიიჩნევდა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფნას (ზოგჯერ ამას უწოდებდნენ „საქართველოსთან გაერთიანებას“), მეორეს კი ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან უნდოდა გაერთიანება. საბოლოოდ საქართველოსთან ერთობის იდეამ გაიმარჯვა და აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ავტონომიის სტატუსით შევიდა.

1918-1921 წლებში ხშირი იყო აფხაზთა გამოსვლები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების წინააღმდეგ. ამის მიზეზად მარიკა ლორთქიფნიძე აფხაზეთში საქართველოს კომუნისტური პარტიის აქტიურ ანტიქართულ მოღვაწეობას მიიჩნევს. მისივე თქმით, ისინი ყველაზე აქტიურად საქართველოს განაპირა რეგიონებში მოქმედებდნენ.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ აფხაზეთში მიმდინარე პროცესები საკუთარ გამოსვლებსა და წერილებში ვრცლად აქვს ასახული აფხაზი ბოლშევიკების ლიდერს ნესტორ ლაკობას. 1921 წლის 29 მარტს გადაწყდა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა. ნესტორ ლაკობა და ვ. ეშბა აფხაზეთის სსრ–ის დამოუკიდებლობას აფხაზი ხალხის სახელით მოითხოვდნენ, თუმცა მთლიანად უარყოფდნენ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა (აფხაზეთის მცხოვრებთა უმრავლესობის) ინტერესებს. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის სსრ–ის საქართველოსგან გამოყოფას და დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარებას არ შეწინააღმდეგებიან ქართველი ბოლშევიკები.

აფხაზეთის სსრ იმავე აფხაზი ლიდერების მოთხოვნით 1931 წელს გაუქმდა და კვლავ საქართველოს სსრ–ის შემადგენლობაში შევიდა.

აფხაზებსა და ქართველებს შორის მნიშვნელოვანი ეთნიკური დაპირისპირება სწორედ საბჭოთა პერიოდში იწყება. ამ მხრივ ვითარება განსაკუთრებით 1940-იანი წლებიდან იძაბება. პერიოდულად აფხაზთა გამოსვლები მასობრივ ხასიათს იძენდა (1956, 1967, 1978 წლები). გამოსვლებზე აფხაზები სხვადასხვა მოთხოვნებს აყენებდნენ, მათ შორის აფხაზეთის გამოყოფას საქართველოდან, რაც საპასუხოდ ქართველთა საპროტესტო აქციებს იწვევდა. გიორგი ანჩაბაძე თვლის, რომ ეს დაპირისპირებები გამოწვეული იყო მანკიერი კომუნისტური პოლიტიკით — მისი აზრით, საჭოთა ხელისუფლება ზოგჯერ სპეციალურადაც აღვივებდა ეთნიკურ შუღლს, რათა აფხაზეთი და, მთლიანად, საქართველო უფრო ძლიერი კონტროლის ქვეშ ჰყოლოდა. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ მთელი საბჭოთა კავშირის არსებობის განმავლობაში აფხაზთა და ქართველთა დაპირისპირებებს ეთნიკური ანტაგონიზმის ხასიათი არ მიუღია; ამას მოწმობს შერეული ქართულ-აფხაზური ოჯახებისა და ქორწინებების სიმრავლე.

საბჭოთა პერიოდში აფხაზური მოსახლეობა 5-ჯერ აღიწერა:

- პირველი საბჭოური, 1926 წლის აღწერის მონაცემებით აფხაზეთში 201,016 კაცი ცხოვრობდა, რომელთა შორის იყო 67,494 ქართველი და 55,918 აფხაზი, 25,677 სომეხი, 12,553 რუსი,14,045 ბერძენი და სხვა ეროვნებები;
- 1939 წლის აღწერით აფხაზეთში შედარებით გაიზარდა აფხაზი და ქართველი მოსახლეობის რაოდენობა. სულ აფხაზეთის მოსახლეობა 311,900 კაცს შეადგენდა, მათ შორის 91,900 ქართველი და 56,200 აფხაზი (რუსები — 60,200; სომხები — 49,700);
- 1959 წელს აფხაზეთის მოსახლეობა 404,700 კაცს შეადგენდა, ქართველები — 158,200, აფხაზები — 61,200, რუსები — 86,700, სომხები — 64,400;

- 1970 წელს აფხაზეთის მოსახლეობამ 487,040-ს მიაღწია, მათ შორის იყო 199,600 ქართველი, 77,300 აფხაზი, 92,900 რუსი, 74,900 სომეხი;
- 1989 წლის უკანასკნელი საბჭოური აღწერით აფხაზეთში ცხოვრობდა 239,900 ქართველი, 93,300 აფხაზი, 74,900 რუსი და 76,500 სომეხი.

აფხაზეთის ომი (1992-1993), კონფლიქტის შედეგები. 1990-იანი წლებიდან დღემდე

ქართულ-აფხაზურმა პოლიტიკურმა დაპირისპირებებმა პიკს ჯერ კიდევ 1980-იანი წლების ბოლოს მიაღწია. ამ პერიოდში, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება კრიზისს განიცდის, აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოში ჩამოყალიბებას იწყებენ ეროვნული მოძრაობები. აფხაზური ნაციონალისტური ორგანიზაციების მოთხოვნები ძირითადად რადიკალური იყო, მთავარ მოთხოვნად კვლავ აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფა რჩებოდა. ამგვარი პოლიტიკური დაპირისპირებები მალე გადაიზარდა ეთნიკურ უთანხმოებებსა და კონფლიტებში, რამაც საბოლოოდ 1992-1993 წლების ომი გამოიწვია. აფხაზეთის ომს ათასობით ადამიანი ემსხვერპლა, დაიღუპა 4,040 აფხაზი (მათ შორის 1,820 მშვიდობიანი მოსახლე) და 9,000-მდე ქართველი. ომს მოჰყვა აფხაზეთში ეთნოწმენდა ქართველების მიმართ და მოსახლეობის იძულებით გადასახლება საქართველოს სხვა რეგიონებში. დევნილთა უმრავლესობას ქართველები შეადგენენ, თუმცა მათ შორისაა აფხაზური მოსახლეობის დიდი ნაწილიც. ამ ყველაფერმა აფხაზეთის მოსახლეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განაპირობა, როგორც რაოდენობრივი, ისე ეთნიკური. ოპერატიული მონაცემებით 1992 წლის 1 იანვრისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა 535 061 კაცს შეადგენდა, ხოლო 1997 წლის შესაბამისი პერიოდისათვის — 145 586 კაცს. ამრიგად, ომის შემდეგ აფხაზეთის მოსახლეობა შემცირდა 388 075 ადამიანით, ე.ი. 72%. ომამდე აფხაზეთის მოსახლეობაში ქართველთა პროცენტული წილი 45,76%-ს შეადგენდა (რაოდენობრივად 244,872), ხოლო აფხაზებისა —

17,73%-ს (რაოდენობრივად 94,767). აფხაზეთის ეთნოწმენდის შედეგად აფხაზთა წილმა მოსახლეობაში 36,98%-მდე იმატა, თუმცა რაოდენობრივად მნიშვნელოვნად შემცირდა (40.774).
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მითითებით, აფხაზთა დიდმა ნაწილმა აფხაზეთი კონფლიქტის დაწყებისთანავე დატოვა, ვინაიდან ძმათამკვლელ ომში მონაწილეობა არ ისურვა. მათ დღეს აფხაზეთში დაბრუნების საშუალება, ისევე როგორც სხვა დევნილებს, არა აქვთ, რადგან აფხაზი სეპარატისტების მიერ მოღალატეებად არიან შერაცხული. გარდა ამისა, აფხაზეთის აფხაზური მოსახლეობის მნიშვნელოვანი კლების მიზეზი ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მონაცემებით ბუნებრივ-მიგრაციული პროცესებია, რასაც აფხაზეთის ამჟამინდელი ეკონომიკური და პოლიტიკური ქაოსი, გაუსაძლისი საყოფაცხოვრებო პირობები და კრიმინოგენური ვითარება განაპირობებს.
2002 წლის საქართველოს მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, რომელიც არ მოიცავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის (კოდორის ხეობის გარდა) მცხოვრებთა რაოდენობას, დანარჩენ საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს 3,527 აფხაზი. 2003 წელს აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის მიერ ჩატარებული აღწერის მიხედვით „რესპუბლიკაში“ 94,5 აფხაზი ცხოვრობს.
კონფლიქტის შედეგად ქართული მხრიდან 3.000-ზე მეტი მარტო ჯარისკაცი დაიღუპა. სეპარატისტები და მათი თანამებრძოლები საშინლად გაუსწორდნენ აფხაზეთის მშვიდობიან ქართულ მოსახლეობას, მარტო პატარა საკურორტო ქალაქ გაგრაში 1.000-მდე მშვიდობიანი მოქალაქე გამოასალმეს სიცოცხლეს სასტიკი წამებითა და შეურაცხყოფით. ეთნიკური წმენდა და მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურების საშინელი ფაქტებია დაფიქსირებული გუდაუთის, სოხუმის, ოჩამჩირისა და გალის მუნიციპალიტეტებში. სეპარატისტები ხშირ შემთხვევაში მათ მიერ აღებული სოფლების ქართულ მოსახლეობას თითქმის მთლიანად ანადგურებდნენ (სოფ. ოთხარა-გუდაუთის მუნიციპალიტეტი; სოფ. ახალშენი, სოფ.კამანი, სოფ. შრომა, სოფ.

ზემო ეშერა-სოხუმის მუნიციპალიტეტი; სოფ. ახალდაბა, სოფ. ახალი კინდღი, სოფ. ქოჩარა, სოფ. მერკულა-ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი) და ა.შ. ქართველების განადგურებამ პიკს ქალაქ სოხუმში მიაღწია, ქალაქის აღების შემდეგ 1.000-მდე სოხუმელი გახდა საშინელი წამების მსხვერპლი. საერთო ჯამში დაუზუსტებელი ინფორმაციით 5.000-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

მძიმე დანაკარგები განიცადა სეპარატისტული იდეებით მოწამლულმა მცირერიცხოვანმა აფხაზმა ხალხმაც, მათ 3.000-ზე მეტი თანამემამულე დაკარგეს. ომის პერიოდში დაიღუპა ასევე რამდენიმე ასეული რუსი და ჩრდილო კავკასიელი დაქირავებული ბოევიკიც.

საომარი მოქმედებების გამო აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ განიცადა უზარმაზარი ნგრევა და ეკონომიკის კოლაფსი. მთლიანად განადგურდა რკინიგზა. განადგურდა 450 კილომეტრი სიგრძის საავტომობილო გზა, 32 ხიდი, 500 კილომეტრი სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობის ინფორმაციით კონფლიქტის შედეგად ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განადგურდა 49.000-მდე შენობა, აქედან 43.000 კერძო საცხოვრებელი.

აფხაზთა ცხოვრების წესი, ყოფითი რეალიები.

(XV საუკუნის II ნახევარი) აფხაზეთი ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროში შედიოდა. XVI საუკუნის ბოლოდან აფხაზმა ფეოდალებმა შარვაშიძეების მეთაურობით იწყეს განკერძოებისათვის ბრძოლა, რომელიც XVII საუკუნის დასაწყისში დამთავრდა აფხაზეთის დამოუკიდებელი სამთავროს შექმნით.

XVII—XVIII საუკუნეების მიჯნაზე მთავარ ზეგნაყ შარვაშიძის შვილებმა აფხაზეთი ერთმანეთში დაინაწილეს. როსტომს ერგო ტერიტორია მდინარე ბზიფსა და კოდორს შუა, ჯიქეშიას — კოდორსა და ღალიძგას შუა (აბჟუა), ყვაპუს — დალიძგისა და ენგურს შუა, რომელსაც შემდეგში სამურზაყანო ეწოდა (სახელწოდება წარმოდგა ყვაპუს შვილის მურზაყანის

სახელიდან). ფორმალურად აფხაზეთის სამთავრო იმერეთის სამეფოში შედიოდა. სამთავროს სათავეში ედგა მთავარი (აფხაზურად — აჰ). მისი რეზიდენცია იყო სოფ. ლიხნში. აფხაზეთის სამთავრო იყოფოდა რამდენიმე ოლქად: ბზიფი (მდინარე ბზიფსა და გუმისტას შორის), რომელიც მთავრის უშუალო სამფლობელოს წარმოადგენდა, საძნი (ქართულად ჯიქეთი, გაგრა-ადლერის მხარე), გუმა (მდინარე გუმისთასა და კოდორს შორის), აბჟუა (მდინარე კოდორსა და დალიძგას შორის), სამურზაყანო (ახლანდელი გალის მუნიციპალიტეტი) და წაბალდალი (წებელდის მხარე).

გუმა, აბჟუა და სამურზაყანო მთავრის საგვარეულოს (შარვაშიძე-ჩაჩბა) უმცროსი შტოების საუფლისწულო იყო, საძებში უფროსობდა თავადი გეჩბა, წაბალ-დალში — თავადი მარშანია. მთავრის დომენი და საუფლისწულოები იყოფოდა ცალკეულ სენიორებად, რომელთა სათავეში იდგნენ თავადები (ათაუად) აჩბა (ანჩაბაძე), ემხაა (ემუხვარი), ძიაფშ-იფა, ინალ-იფა, ჩაბალურხუა და ჩხოტუა.

კლასობრივი დანაწილება

მთავარსა და უფლისწულებს (აჰიფა) თავადების გარდა, ყმა-ვასალებად ჰყავდათ აზნაურებიც (აამსთა). მათ შორის ყველაზე გამოჩენილი იყვნენ: მაანი (მარღანია), ლაკირბა, მიქანბა, ზვანბა და სხვა. აზნაურები ჰყავდათ თავადებსაც. მტავრის ხელისუფლება ემყარებოდა ფეოდალურ ლაშქარს. მთავარს ჰყავდა აგრეთვე ახლო ნათესავებისა და ერთგული ხელქვეითებისაგან შემდგარი შეიარაღებული რაზმეული, რომელსაც კიარაზი ეწოდებოდა. მთავრის შემოსავლის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს ყმა გლეხთა ბეგარა-გადასახადი შეადგენდა. მის ხაზინაშივე შედიოდა ჯარიმები (აიბარი), სავაჭრო ბაჟი, „ნებაყოფლობითი“ საჩუქრები და სხვა.

XVI—XVIII საუკუნეებში აფხაზეთი საზოგადოება იყოფოდა ორ ძირითად კლასად: ფეოდალებად (თავადები, აზნაურები) და გლეხებად. გლეხთა კლასი შემდეგ კატეგორიებად იყოფოდა: ანხაიუ, ამაწურასგუ, ახოიუ და ახაშალა. გლეხობა კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ფორმას მიმართავდა: უარს ამბობდა

გადასახადების გაღებაზე, გარბოდა „უკეთეს“ ბატონთან, კლავდა ფეოდალს. უფრო იშვიათად გლეხები კოლექტიური პროტესტებითაც გამოდიოდნენ. ამ ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა იყო მთიელი აფხაზების თანდათანობითი ჩამოსახლება მთისძირა და ზღვისპირა ზოლში. ამის შედეგად თავისუფალ გლეხთა ფენა იყრდებოდა, ფეოდალური წყობილება რამდენადმე სუსტდებოდა და ერთგვარ პატრიატქალურ ელფერს იღებდა.

ეკონომიკა

აფხაზეთის სამთავროს ეკონომიკურ ცხოვრებაში წამყვანი ადგილი ეკავა სოფლის მეურნეობას. მოსახლეობა მისდევდა მიწათმოქმედებას (უმთავრესად ზღვისპირა ზოლში), მევენახეობა-მეღვინეობას, მესაქონლეობას (უპირატესად მთიან მუნიციპალიტეტებში), მეფუტკრეობას, ნადირობას. XVII საუკუნემდე ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურა ღომი იყო. სიმინდი მასობრივად გავრცელდა XVIII საუკუნეში. მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ლობიოს. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა პრიმიტიული და მარტივი იყო (ხის კავი — წნული ფარცხი, ხისა და კრინის თოხი). აფხაზეთიდან დიდი რაოდენობით გაჰქონდათ თაფლი და ცვილი.

XVI—XVIII საუკუნეებში აფხაზეთის სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა-მრეწველობა, საქალაქო ცხოვრება და ქალაქები X—XII საუკუეებთან შედარებით დაკნინდა. ამის უმთავრესი მიზეზები იყო ოსმალეთის თითქმის სამასწლიანი ბატონობის და შინაფეოდალური ომები. შედარებით აღორძინდა აფხაზეთის სამთავროს ეკონომიკა XVIII საუკუნის მიწურულს. აფხაზეთის სამთავროში მისი არსებობის მთელ მანძილზე გაბატონებული იყო ნატურალური მეურნეობა.

აფხაზეთსა და სამეგრელოში, კერძოდ, ქიფურიაში, კორცხელში, ილორსა და ბედიაში იმართებოდა რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებული ბაზრობა. XVI—XVIII საუკუნეებში აფხაზეთში გაჩაღებული იყო ე. წ. „სანაპირო ვაჭრობა“, რომელიც თურქი კომერსანტების შუამავლობით წარმოებდა. თურქებს აფხაზეთში შემოჰქონდათ სხვადასხვა

ქვეყნის საქონელი და ჩალის ფასად გაჰქონდათ ბზა, ქონი, ბეწვეული, ტყავეული და სხვა.

ოსმალეთის გავლენა

XVI საუკუნეში აფხაზეთი, ისე როგორც მთელი დასავლეთ საქართველო ოსმალეთის გავლენა-ბატონობის სფეროში მოექცა და ხარკს უხდიდა მას. ოსმალეთი მოსახლეობას სრულ დამორჩილებასა და ასიმილაციას ისახავდა მიზნად. თანდათანობით ვრცელდებოდა ისლამი. თურქი დამპყრობლების და ადგილობრივი ფეოდალების გარკვეული ნაწილის წყალობით აფხაზეთის სამთავროში გავრცელდა „ტყვის სყიდვა“, დიდძალი აფხაზი ჭაბუკი და ქალწული იყიდებოდა სკურჩასა და სოხუმში.

აფხაზი ხალხი აქტიურად იბრძოდა დამპყრობლების წინააღმდეგ. 1725 და 1728 აჯანყებულმა აფხაზებმა ალყა შემოარტყეს ფაშის რეზიდენციას, სოხუმის ციხეს. 1733 ოსმალეთის მრავალრიცხოვანმა ჯარმა გააპარტახა სამეგრელოსა და აფხაზეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამან გამოიწვია საყოველთაო აჯანყება. აფხაზებმა დაამარცხეს ოსმალეთის ჯარი და განდევნეს ქვეყნის უდიდესი ნაწილიდან. მტრის ხელთ დარჩა მხოლოდ რამდენიმე ზღვისპირა ციხესიმაგრე. ფეოდალური დაქიცმაცებულობის მიუხედავად, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ერთიანი ძალით იბრძოდა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. აფხაზები მონაწილეობდნენ ხრესილის ბრძოლაში (1757), სადაც დასავლეთ საქართველოს გაერთიანებულმა ლაშქარმა იმერეთის მეფის სოლომონ I-ის მეთაურობით დაამარცა თურქთა რჩეული ჯარი. 1770 აფხაზთა რაზმი რუსებსა და ქართველებთან ერთად იბრძოდა თურქების წინააღმდეგ ქ. ფოთთან. 1771 აჯანყებულმა აფხაზებმა აიღეს სოხუმის ციხე-სიმაგრე, მაგრამ აჯანყებულთა შორის განხეთქილების შედეგად ვერ შესძლეს მისი შენარჩუნება. აფხაზეთის განთავისუფლება ოსმალეთის ბატონობისაგან შესაძლებელი გახდა რუსეთთან შეერთების (1810) შემდეგ.

რუსეთის ანექსიის შედეგები

ქართლ-კახეთის, იმერეთისა და სამეგრელოს სამთავროს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ აფხაზეთის მთავარი ქელეშბეი რუსეთის ქვეშევრდომობის სურვილს გამოთქვამდა, მაგრამ მეტი კომპენსაციის მიღების მიზნით საქმეს აყოვნებდა. ამავე დროს იგი აშკარად განუდგა ოსმალეთს და განდევნა მისი ჯარი აფხაზეთიდან. 1808 წლის 2 მაისს ოსმალეთის აგენტებმა ქელეშბეი მოკლეს. სოხუმი ისევ ოსმანთა ხელში გადავიდა. 1809 წელს აფხაზეთის სამთავროს ტახტის მემკვიდრე გიორგიმ (საფარბეი) ხელი მოაწერა ე. წ. „სათხოვრის პუნქტებს“, სადაც გამოთქვამდა რუსეთის მეფის ქვეშევრდომობისა და სამსახურის სურვილს. 1810 წლის 17 თებერვალს ალექსანრე I-მა დაამტკიცა „სათხოვარი პუნქტები“ და გიორგი შარვაშიძე აფხაზეთის მემკვიდრეობით მთავრად დანიშნა. 1810 წლის 2 ივლისს რუსეთის ჯარმა იერიშით აიღო სოხუმ-კალეს სიმაგრე. დამკვიდრების შემდეგ ცარიზმი ყოველნაირად განამტკიცებდა აფხაზეთში ფეოდალურ ბატონყმურ ურთიერთობას, ატარებდა მკაცრი კოლონიურ ექსპლუატაციისა და ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკას.

აფხაზეთის საკათალიკოსო, დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო. მის დაარსებას ზოგი მკვლევარი VIII საუკუნეს, ზოგი კი X საუკუნის II ნახევარს მიაკუთვნებს. აფხაზეთის საკათალიკოსო განასახიერებდა ქართულ ეროვნულ და ცენტრალიზებულ ეკლესიას, რომლის პოლიტიკურ საფუძველს ქართული სახელმწიფო „აფხაზეთის სამეფო“ (დასავლეთ საქართველო) წარმოადგენდა. აფხაზეთის საკათალიკოსომ შეცვალა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებული ლაზიკის სამიტროპოლიტო და აბაზგიის საარქიეპისკოპოსო ეპარქიები. აფხაზეთის კათალიკოსის საკათედრო ტაძარი, რომელიც ანდრია მოციქულის საყრდრად იწოდებოდა, ბიჭვინთაში იყო. აფხაზეთის კათალიკოსს „ბიჭვინთის კატალიკოსსაც“ უწოდებდნენ. იერარქიულად იგი საქართველოს კათოლიკოსს ექვემდებარებოდა. XV საუკუნიდან, საქართველოს პოლიტიკური დაშლის შემდეგ, აფხაზეთის საკათალიკოსო დამოუკიდებელეი გახდა და მისი მეთაური „აფხაზეთის

კათალიკოს-პატრიარქად“ იწოდებოდა. მისი იურისდიქცია ვრცელდებოდა იმერეთის სამეფოზე, გურიის, ოდიშის, აფხაზეთის სამთავროებზე, დასავლეთით და ჩრდილოეთით კი ბევრად სცილდებოდა ქართულ პოლიტიკის საზღვრებს. XVI საუკუნის II ნახევარში, კათოლიკოს ევდემონ ჩხეტიძის (1558—1578) დროს, აფხაზეთის საკათალიკოსოს რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადაიტანეს, რაც გამოწვეული იყო ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის გართულებით (სამეფო-სამთავროებს შორის შინაომები და ოსმალეთის აგრესიის გაძლიერება აფხაზეთში), ბიჭვინთას ამის შემდეგაც არ დაუკარგავს საკათალიკოსო საყდრის სახელი დამნიშვნელობა. 1814 წლის 14 ოქტომბრის ბრძანებულებით დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო უშუალოდ შეუერთდა რუსეთის ეკლესიას, ხოლო ადგილობრივ მმართველად დაინიშნა საქართველოს ეგზარქოსი, რომელსაც „საქართველოსა და იმერეთის ეგზარქოსი“ ეწოდა. 1917 წელს, როდესაც აღდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, აფხაზეთის ეკლესია შევიდა საქართველოს კათოლიკოსის გამგეობაში.

აფხაზური ენა.

აფხზაების მშობლიური ენაა აფხაზური ენა, რომელიც კავკასიური ენების ჩრდილო-დასავლურ, აფხაზურ-ადიღური ენების ჯგუფს მიეკუთვნება. ენაში გამოიყოფა ბზიფური და აბჟუური დიალექტები. მათ შორის განსხვავება ძირითადად ფონეტიკაშია. აფხაზურ სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს აბჟუური დიალექტი, რომელიც ქალაქ სოხუმის სამხრეთ-აღმოსავლეთითაა გავრცელებული.

აფხაზურ ენას ენათესავება და მასთან ყველაზე ახლოს დგას ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებული აბაზური ენა. აფხაზურთან ერთად იგი ქმნის ერთ ენობრივ ჯგუფს — აფხაზურ-ადიღური ენების აფხაზურ-აბაზურ ქვეჯგუფს. აფხაზური და აბაზური ენები იმდენად ახლოსაა ერთმანეთთან ფონეტიკურად და ლექსიკურად, რომ მათი გაყოფა ფორმალურია და უკავშირდება მხოლოდ ტერიტორიულ

დაცილებასა და სალიტერატურო ენის ორ სხვადასხვა საფუძველზე ჩამოყალიბებას.

აფხაზთა საკუთარი სახელწოდებაა „აფსუა“ (აფხ. аҧсуа). მსოფლიოს უმრავლეს ენაში მათი დასახელება მომდინარეობს ქართული სახელწოდებიდან „აფხაზი“. თურქულსა და ზოგიერთ ჩრდილოკავკასიურ ენაში აფხაზთა სახელწოდებაა „აბაზა“.

ისტორიულად შუა საუკუნეების აფხაზეთში ქართულ ენას ყოველთვის ეკავა გაბატონებული მდგომარეობა, როგორც ეთნიკურად ქართველ, ისე აფხაზ მოსახლეობაში. IX საუკუნემდე აფხაზეთში საეკლესიო ენად, როგორც ჩანს, ბერძნული ითვლებოდა, IX საუკუნიდან კი ქართული ენა ბერძნულს ეკლესიაშიც ანაცვლებს და საბოლოოდ იკავებს ადგილს აფხაზთა კულტურაში. ქართული ენის წამყვან როლს აფხაზთა შორის ადასტურებს ის ფაქტიც, რომ აფხაზეთშია დაწერილი ქართულენოვანი ჰიმნოგრაფიული და ჰაგიოგრაფიული თხზულებების დიდი ნაწილი. IX საუკუნიდან აფხაზეთში დასტურდება ქართული ეპიგრაფიკაც.

ქართლის ცხოვრების თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ დაცულია საინტერესო ცნობა თამარ მეფის ვაჟის, ლაშა-გიორგის სახელის (ლაშა) ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით. კერძოდ, აქ აღნიშნულია, რომ „ლაშა“ „აფსართა ენაზე“ განმანათლებელს ნიშნავს. „აფსართა ენის“ აფხაზურ ენასთან გაიგივების საფუძველს იძლევა როგორც ფონეტიკური მსგავსება (აფსარ — აფსუა), ისე ის ფაქტი, რომ დღევანდელ აფხაზურ ენაში „ალაშა“ ნათელს, სინათლეს ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ ეს ცნობა, აფსარული ენის შესახებ, დაცულია ქართლის ცხოვრების XVIII საუკუნის რედაქციაში, XIII საუკუნის წუსხაში კი „აფსარული ენა“ ნახსენები არაა. აქ ნათქვამია, რომ ლაშა განმანათლებელს ნიშნავს, თუმცა რომელ ენაზე, ეს დაკონკრეტებული არაა. მეცნიერები არ გამორიცხავენ, რომ „აფსარული ენა“ თამარის დროს მართლაც არსებობდა, შესაძლოა ეს ყოფილიყო ჩრდილოკავკასიელ ხალხთა ენა, რომლებიც აფხაზთა წინაპრებად არიან მიჩნეული. მეორე

ვარაუდით კი, აფსარული ენა არის იგივე აფხაზური ენა (აფსუა), ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ისტორიულად მართლაც XVII-XVIII საუკუნეებში იწყებს ჩრდილოეთიდან ჩამოსახლებას და ქართლის ცხოვრებაშიც „აფსარული ენის“ მოხსენიება შესაძლოა სწორედ ამ ფაქტს უკავშირდებოდეს.

1895 წელს გამოცემულ ცნობარში, რომელშიც რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ერთა შესახებაა საუბარი, ნათქვამია, რომ აფხაზთაგან წარჩინებულები საუბრობენ ქართულ ენაზე, ხოლო სხვები — განსაკუთრებულ დიალექტზე (на особом наречии), რაშიც სავარაუდოდ აფხაზური ენა იგულისხმება.

მეურნეობა

სოფლის მეურნეობის დარგებიდან აფხაზები ძირითადად მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას მისდევენ. დამხმარე დარგებია მეფუტკრეობა და მონადირეობა. მარცვლეული კულტურებიდან ძირითადად სიმინდი მოჰყავთ, ასევე ქერი, ლობიო და მცირე რაოდენობით ხორბალი. აფხაზ ხალხის სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეღვინეობასაც. მეღვინეობის ძირითადი ზონა ბზიფის მიდამოებია, ახლანდელი გუდაუთის მუნიციპალიტეტი. აქ XX საუკუნის დამდეგისათვის ვაზის 30-ზე მეტი სახეობა იყო გავრცელებული (მთლიანად აფხაზეთში ორჯერ მეტი). XIX საუკუნის ბოლოდან აფხაზეთში შემოიტანეს და გაავრცელეს ვაზის უხვმოსავლიანი ამერიკული ჯიში „იზაბელა“, რომელმაც დიდი კონკურენცია გაუწია ვაზის ადგილობრივ ჯიშებს, ზოგი მათგანი საერთოდ გაქრა.

აფხაზურ სოფლებში მისდევენ მეხილეობასაც; აქ ხარობს ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ატამი, გარგარი, თხილი, კაკალი, ლეღვი, ალუბალი და სხვა. მოჰყავთ ბოსტნეული კულტურებიც, მათ შორის კომბოსტო და კარტოფილი, რომლებიც XIX საუკუნეში შემოიტანეს. ტექნიკური კულტურებიდან გავრცელებულია ბამბა, სელი, კანაფი, რომლებიც თითქმის ყველა ოჯახს მოჰყავდა. XX საუკუნეში აფხაზებმა ხელი მიჰყვეს მეთამბაქოეობას, მეჩაიეობასა და მეციტრუსეობასაც.

შინაურ ცხოველთაგან ფართოდაა გავრცელებული წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მათ შორის ძროხა, კამეჩი, თხა, ცხვარი; გარდა რქოსანისა, ჰყავთ ასევე ცხენი და სახედარი. მრავლად მისდევდნენ მეღორეობასაც, თუმცა ისლამის გავრცელებამ მეურნეობის ამ დარგის განვითარება აფხაზეთში მნიშვნელოვნად შეაფერხა. მეღორეობა დღემდე შემორჩა რეგიონის სამხრეთ ნაწილში. საქონელი გვიანი გაზაფხულიდან ზაფხულის ბოლომდე საძოვრებზე ჰყავდათ. საძოვრებად აფხაზები იყენებენ როგორც სამხრეთი კავკასიონის კალთებს, ისე ჩრდილოეთისას. წელიწადის სხვა დროებში საძოვრებად ზღვისპირა და მთისწინა მინდვრებს იყენებენ.

XIX საუკუნეში აფხაზურ სოფლის მეურნეობაში გარკვეულ როლს ასრულებდა საზღვაო რეწვა. აფხაზები ნადირობდნენ შავი ზღვის დელფინებზე, რომელთა ქონიც ბერძენ და თურქ ვაჭრებს გაჰქონდათ. დელფინებზე სანადიროდ აფხაზები ზღვაში მთლიანი მორისაგან გამოთლილი ნავებით შედიოდნენ. აფხაზეთში დელფინების რეწვა აღწერა 1830-იანი წლების რუსმა მოგზაურმა ფ. ტორნაუმ, იგი აღნიშნავს:

„თევზაობის ეს წესი არც თუ უსაფრთხოა, რადგან ნავი ზოგჯერ იძირება დახოცილი თევზის სიმძიმისგან ან ყირავდება დელფინის დაჯახებით, მაგრამ აფხაზებს ეს არ აშინებთ, ვინაიდან ისინი ისე ცურავენ, როგორც ველურები სამხრეთ ოკეანის კუნძულებიდან.“

ხელოსნობა

XIX საუკუნის შუა ხანებამდე აფხაზეთში ხელოსნური ნაწარმი სოფლის მეურნეობისაგან ბოლომდე გამოყოფილი არ იყო. ოჯახური მოხმარების საგნებს, სამუშაო იარაღს, საოჯახო ჭურჭელს, ქსოვილებს, ნაბდებს, ტანსაცმელს, თოფის წამალსა და სხვ. აფხაზები ძირითადად ოჯახშივე ამზადებდნენ. ამას გარდა აფხაზეთში იყვნენ ხელოსნებიც, რომლებიც ბაზრისთვის მუშაობდნენ. მათ შორის იყვნენ მესაჭურვლეები, ოქრომჭედლები, ნავების მკეთებლები და სხვა. ადგილობრივი ხელოსნები ამზადებდნენ მაღალი ხარისხის იარაღს, თოფებს, ხმალ-ხანჯალს, რომელიც ხშირად ოქრო-ვერცხლით იყო

მორთული. XIX საუკუნის დასაწყისამდე აფხაზეთში ჭედავდნენ დამცავ აბჯრებსაც. ცნობილი გერმანელი ორიენტალისტის ჰაინრიხ იულიუს ფონ კლაპროთის ცნობით, რომელმაც საქართველოში 1807-1808 წლებში იმოგზაურა, აღნიშნავს, რომ აფხაზეთში, შავის ზღვის სანაპიროზე განსაკუთრებით მაღალი ხარისხის ჯაჭვის პერანგები იწარმოება.

აფხაზეთში მნრავალსაუკუნოვანი ისტორია ჰქონდა ასევე ნაოსნობასა და გემთმშენებლობას. ზოგიერთი თანამედროვე აფხაზური ტოპონიმის ეტიმოლოგია (მაგ. „ნავის გამოსათლელი ადგილი“, „ხომალდის ასაგები ადგილი“, „ნავის ჩასაშვები ადგილი“) მიუთითებს, რომ აქ გემთსაშენები ჰქონიათ მოწყობილი. ფრანგი მოგზაური ჟაკ ფრანსუა გამბა, რომელმაც XIX საუკუნის 20-იან წლებში შავიზღვისპირეთში იმოგზაურა, აღნიშნავს: „გემთმშენებლობის ხელოვნებას ჩერქეზეთისა და აფხაზეთის სანაპიროზე გაცილებით უკეთ ფლობენ, ვიდრე ხობისა და ფაზისის მიდამოებში.“

აფხაზები ძირითადად 80-100-კაციან ბრტყელძირიან აფრიან-ნიჩბიან ნავებს აშენებდნენ. გარდა ამისა, აფხაზ გემთმშენებლებს უფრო დიდი გემების აგებაც შეეძლოთ; მაგალითად, ერთ-ერთი ცნობით აფხაზეთის მთავარმა ქელეშბეგ შარვაშიძემ XIX საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის სულთანს საჩუქრად გაუგზავნა 60-ზარბაზნიანი ხომალდი, რომელიც აფხაზეთში იყო აგებული. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რუსეთის გაბატონების შედეგად აფხაზეთში XIX საუკუნის II ნახევრიდან გემთმშენებლობის ტრადიცია დავიწყებას მიეცა.

საზოგადოებრივი წყობილება

XIX საუკუნის დასაწყისში აფხაზები სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონით გარდამავალ საფეხურზე იდგნენ დასავლეთ საქართველოს ბარის რეგიონებისა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის პატრიარქალურ ფეოდალურ საზოგადოებებს შორის. აფხაზეთის ზღვისპირა რეგიონებში შედარებით უკეთ იყო განვითარებული ფეოდალური ურთიერთობები. ამ პერიოდის აფხაზურ მთაშიც წამყვანი სოციალური ფენა ფეოდალური იყო, თუმცა ზღვისპირეთთან

შედარებით მეტად იყო შემორჩენილი თემურ-გვაროვნული წყობილების გადმონაშთები.

აფხაზური ფეოდალური საზოგადოების სათავეში იდგა მთავარი (აფხ. აჰ), შარვაშიძეთა გვარის წარმომადგენელი (აფხ. ჩაჩბა). გაბატონებული კლასის ზედა ფენას თავადები წამოადგენდნენ (აფხ. ათავად), ხოლო პრივილეგირებული კლასის ქვედა ფენას — აზნაურები (აფხ. აამსთა). ისინი ძირითადად მთავრების, უფლისწულებისა და თავადების ვასალები იყვნენ.

ფეოდალურ კლასსა და გლეხებს შორის გარდამავალ ფენას წარმოადგენდნენ აშნაყმები (შინაყმა). ისინი ძირითადად ფეოდალთა შეიარაღებულ ძალებს ქმნიდნენ ან მათ კარზე სხვადასხვა სამეურნეო თუ ადმინისტრაციულ საქმიანობას ეწეოდნენ. არაპრივილეგირებული საზოგადოება შემდეგ ჯგუფებად იყოფოდა:

1. ანხაიუ — თავისუფალი მეთემე;
2. ამაწურასგუ — ყმა გლეხთა ზედაფენა, რომელსაც გარკვეული უფლებები და ქონებრივი პრივილეგიები შენარჩუნებული ჰქონდა;
3. ახოიუ — ყმა გლეხი;
4. ახაშალა — საოჯახო მონა.

ანხაიუ ყველაზე მრავალრიცხოვანი ფენა იყო აფხაზურ არაპრივილეგირებულ საზოგადოებაში. ისინი ძირითადად მიწათმოქმედებას ეწეოდნენ. 1869 წელს ანაიუთა რაოდენობა 47 ათას კაცს შეადგენდა, მთლიანად აფხაზეთში კი 65 ათასი ადამიანი ცხოვრობდა. იურიდიულად ანხაიუს გლეხები თავისუფალი მეთემეები იყვნენ, თუმცა სხვადასხვა მიზეზების გამო მაინც უწევდათ ფეოდალთა სასარგებლოდ შრომის ბეგარის გადახდა. ამგვარი ექსპლოატაცია ზოგჯერ ნებაყოფლობითი პატივისცემის, საჩუქრის სახელით ინიღბებოდა. 1870 წელს რუსეთის მიერ რეფორმის გატარების შედეგად ამგვარი საზოგადოებრივი იერარქია და დაყოფა გაუქმდა. შეიქმნა ბურჟუაზიულ წყობილებაზე გადასვლის წინაპირობა, თუმცა აფხაზეთში ეს პროცესი ნელა წარიმართა

და რეფორმის შემდეგაც დიდხანს შენარჩუნდა ფეოდალიზმის გადმონაშთები.

ოჯახი

გვიან შუა საუკუნეებში აფხაზები დიდ პატრიარქალურ ოჯახებად ცხოვრობდნენ. XIX საუკუნიდან ამგვარ დიდ გაერთიანებებს მცირე მონოგამური ოჯახები ცვლის. გარდა ამისა, სამეზობლო თემებში გამოიყოფოდა გვაროვნულ-პატრონიმიული გაერთიანებები, რომლებიც დღესაცაა შემორჩენილი.

საქორწინო ურთიერთობებს აფხაზური ჩვეულებითი სამართალი მკაცრად არეგულირებდა. ქორწინება დაუშვებელი იყო არა მარტო ერთი გვარის წარმომადგენელთა შორის, არამედ საერთო ძირის მქონე ორ გვარს შორისაც. ამგვარი აკრძალვები დედისა და ბებიების გვარებზეც იყო, თუმცა ეს წესი ხშირად ირღვეოდა. ქორწინება ეკრძალებოდათ მამამძუძეობითა და დედამძუძეობით დაკავშირებულ სახლებსაც. ამ ჩვეულებების დამრღვევი გვარიდან გაძევებით ისჯებოდა.

აფხაზური ოჯახები პატრიარქალური იყო და მამაკაცს ოჯახში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ოჯახის მამის, უფროსი მამაკაცის უფლება და მოვალეობა იყო. ქონების გაყოფისას უფროს და უმცროს ვაჟიშვილებს გარკვეული უპირატესობები ენიჭებოდათ. ქალი, რომელიც მამის ან მეუღლის მორჩილი იყო, ოჯახში საკმაოდ მოკრძალებული ადგილი ეკავა და მამაკაცის თანასწორი არ იყო. მას არ ჰქონდა მემკვიდრეობის უფლება, თუმცა მას ქმრის მხრიდან უსამართლო ქმედებებისაგან ადათი იცავდა. ამგვარ შემთხვევებში მას ნათესავები უწევდნენ დახმარებას.

მიუხედავად ოჯახში ქალისა და მამაკაცის უთანასწორობისა, ქალი აფხაზურ საზოგადოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და დაფასებულიც იყო, განსაკუთრებით კი ხანშიშესული. სხვა ისლამური საზოგადობებისაგან განსხვავებით, აფხაზი ქალები არასდროს იფარავდნენ სახეს, მონაწილეობდნენ სასოფლო თავყრილობებში, თავისუფლად შეეძლოთ სტუმრის მიღება დამოუკიდებლად. მამაკაცისათვის

სირცხვილად ითვლებოდა ქალის თანდასწრებით უხეში გამოთქმების ხმარება და ჩხუბის ატეხვა, ასევე დაუშვებელი იყო ქალზე შურისძიება. ქალებზე არ ვრცელდებოდა სისხლის აღების წესიც.

საცხოვრებელი გარემო

აფხაზურ სოფელს, როგორც წესი, დიდი ფართობი ეკავა, ხშირად ათეული კვადრატული კილომეტრი. სოფელი მეტწილად რამდენიმე უბანს აერთიანებდა. აფხაზური სოფლებისათვის გაფანტული მოსახლეობა დღესაც დამახასიათებელია. სოფელი მოშიშვლებულ ადგილში არ იყო გაშენებული, აფხაზები ძირითადად ტყიან ადგილებში ამჯობინებდნენ ცხოვრებას. ტყე აფხაზურ დასახლებებში თავდაცვით ფუნქციას ასრულებდა.

აფხაზთა ძველი საცხოვრებელი მრგვალ ან ოთხკუთხა ფაცხას წარმოადგენდა, რომელიც ჩალით იყო გადახურული და თიხით შელესილი. ოთხკუთხა სახლებში, რომლებსაც მრგვალი გადახურვა ჰქონდა, სოციალურად უფრო შეძლებული ოჯახები ცხოვრობდნენ. აღსანიშნავია, რომ შეძლებულ ოჯახებს ეზოში ორი საცხოვრებელი ჰქონდათ აშენებული: დიდი სახლი, რომელიც სტუმრებისთვის იყო განკუთვნილი და მცირე, რომელშიც ოჯახი ცხოვრობდა. ეს წესი ხაზს უსვამს აფხაზეთში სტუმართმოყვარეობის ტრადიციის განსაკუთრებულ მნიშვნელობას (იხ. ქვემოთ). ხშირად ეზოში დამატებით პატარა ფაცხას დგამდნენ ახლადდაქორწინებული შვილისათვის. გარდა ამისა, აფხაზურ ეზოში ხშირად იდგა სამზადი სახლი, რომელსაც მიწის იატაკი ჰქონდა და შუაცეცხლი იყო მოწყობილი. ოჯახის წევრები უმეტეს დროს სწორედ სამზად ფაცხაში ატარებდნენ.

აფხაზური ეზო შემოზღუდული იყო მოწნული ან მორებისგან აგებული ღობით, რასაც ზოგჯერ ემატებოდა არხები. საცხოვრებელ ეზოში, გარდა შენობა-ნაგებობებისა, შედიოდა დასამუშავებელი მიწა, მცირე საძოვარი, ტყე და ოჯახური სასაფლაო. აფხაზთა დასახლებების ამგვარ ფორმას ბევრი აქვს საერთო ჩრდილოკავკასიელი ადიღური მოსახლეობის

დასახლებებთან, თუმცა აშკარაა დასავლურქართული სამშენებლო კულტურის გავლენაც, რასაც ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები უწყობდა ხელს.
გლეხური ფაცხისგან ზომით, სამშენებლო მასალითა და დაგეგმარებით განსხვავდებოდა შედარებით მაღალი, პრივილეგირებული კლასის საცხოვრებლები. მსხვილ ფეოდალთა საცხოვრებლებს ციხე-დარბაზული ნაგებობები წარმოადგენდა. მათ, როგორც წესი იცავდა მაღალი, მტკიცე გალავანი კოშკებით, ასევე ღრმა თხრილი, რომელიც გალავანს მიუყვებოდა.
XIX საუკუნის შუა ხანებიდან აფხაზები იწყებენ დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ ოდა-სახლების ტიპის საცხოვრებელთა აგებას. ამგვარ ოდებს აფხაზები თავიდან სტუმრებისათვის იყენებდნენ. თანამედროვე აფხაზურ სოფლებში უკვე უფრო მეტად ქვის ან აგურისაგან ნაგები ორსართულიანი და მრავალოთახიანი საცხოვრებელი სახლებია გავრცელებული.

ცხოვრების წესი

შუა საუკუნეების აფხაზთა ცხოვრების წესზე ცნობებს გვაძლევს იტალიელი მოგზაური ჯოვანი ჯულიანო და ლუკა, რომელმაც დასავლეთი საქართველო 1630 წელს შემოიარა. მისი თქმით, აფხაზები შავი ზღვის სანაპიროზე გაფანტულები არიან და ისეთივე ცხოვრების წესს მისდევენ, როგორსაც ჩერქეზები; აფხაზთა ენა არ ჰგავს მეზობელი ხალხების ენებს, მათ არ აქვთ დაწერილი კანონები და დამწერლობა. რწმენით ქრისტიანები არიან, თუმცა ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს არ ასრულებენ. ტყეები მათთვის საცხოვრებელია, როდესაც ერთ ადგილს აირჩევენ, შემდეგ აღარ ტოვებენ. იცვამენ ჩერქეზების მსგავსად, მაგრამ თმებს სხვანაირად იკრეჭენ. ტყეში მათ ჰყავთ მცირე ჯოგი და აქვთ მცირე მასალა ტანისამოსის დასამზადებლად. იკვებებიან ტყეში გაზრდილი ნაყოფით და თაფლისგან დამზადებული ღვინით. ხორბალი მათთან არ მოდის, ხოლო მარილს კი არ ხმარობენ. აღსანიშნავია, რომ როდესაც ჯოვანი ჯულიანო და ლუკა ამ ცნობებს გვაწვდის, სათაურად წერს

„აბაზას“ („ბბაზზა“), ხოლო ტექსტში იყენებს სხვა ტერმინებს — „აბკასა“ და „აბაცა“.
არქანჯელო ლამბერტის ცნობით, რომელმაც XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ოცი წლის განმავლობაში იცხოვრა, აფხაზები არ ცხოვრობენ ქალაქებში. ერთი გვარის ხალხი ერთად შეიყრებოდა და მაღლობ ადგილზე სახლობდა. საინტერესოა ის ფაქტი, ამ ხალხს სხვა კი არ ერჩის, არამედ ერთმანეთს თავად ესხმიან თავს და ძარცვავენ. არქანჯელო ლამბერტის თქმით, „ეს ხალხი მოქალაქეობას და ვაჭრობას მოკლებულია, და არც ფული გააჩნია, არც საქონელი“. აფხაზები რომ ფულს არ ხმარობენ, ამას ადასტურებენ ჯოვანი და ლუკა და XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსი ევლია ჩელებიც. უფრო მოგვიანებით, XIX საუკუნის 20-იან წლებში იმავეს აღნიშნავდა ფრანგი მოგზაური ჟაკ ფრანსუა გამბა:
„აფხაზებს... წარმოდგენაც კი არა აქვთ ოქროსა და ვერცხლის მონეტების ღირსებებზე, რომელთაც ისინი მრავლად პოულობენ თავიანთ მხარეში და ჩვეულებრივ გადაადნობენ ხოლმე.“
1819 წელს რუსეთის საიმპერატორო კარის კვარტირმაისტერის, კაპიტან ენსგოლმის მიერ გამოცემულ რუსულენოვან ცნობარში, რომელშიც მოკლედაა აღწერილი დასავლეთ საქართველოს მხარეები, აფხაზების შესახებ ნათქვამია:
„(რუსული) Среболюбие есть отличительная черта характктера сих народов – недостаток промышленности и торговли, могущих некоторым образом удовлетворить оной, заставляет их часто прибегать к способам весьма предосудительным: в особенности абазинец, будучи руководствуем сильным желанием удовлетворить оной, достигает до своей цели самыми гнусными поступками. Страсть сия и до сих пор поджигает оного к продаже туркам не только своих пленников, но и ближных соседей и даже родственников своих. Гнусный торг сей и доныне имеет свое действие в Абхазии, – удобностям оного способствует столь везде рассыпанные проповедники корана, как и приходящие с разных мест Турции купеческие суда.
(ქართული) ვერცხლისმოყვარეობა არის ამ ხალხის დამახასიათებელი თვისება — მრეწველობისა და ვაჭრობის

ნაკლებობა, რომელთაც შეეძლოთ გარკვეულწილად დაეკმაყოფილებინათ მოთხოვნილება, ამ ხალხს ხშირად აიძულებს მიზნის მისაღწევად მეტად ავი საქმეები ჩაიდინონ: განსაკუთრებით აბაზინი, იგი მიზნის მისაღწევად ყველაზე გაუმართლებელ ხერხსაც კი ხმარობს. ეს თვისება დღემდე უბიძგებს აბაზინს არა მარტო საკუთარი ტყვეების, არამედ უახლოესი ნათესავების მონად გაყიდვაზე. ამგვარი საზარელი ვაჭრობა დღესაც გავრცელებულია აფხაზეთში, რასაც ყურანის მქადაგებლები და თურქეთის სხვადასხვა ადგილებიდან მოსული ხომალდები უწყობენ ხელს.“

გვიან შუა საუკუნეებში აფხაზებისათვის ყოველდღიურ ტრადიციულ საკვებს წარმოადგენდა ღომის ფაფა (აფხ. აბასტა), რომელიც ფეტვის ბურღულისაგან მზადდებოდა. XIX საუკუნეში ფეტვი სიმინდის ფქვილმა შეცვალა. თავდაპირველად ღომს ცივად მიირთმევდნენ, მაგიდასთან იგი პურივით დაჭრილი მიჰქონდათ. ჟან შარდენი აღნიშნავდა, რომ აფხაზები, ჩერქეზებისა და შავიზღვისპირეთში მცხოვრები სხვა კავკასიელების მსგავსად, მხოლოდ და მხოლოდ ფაფით იკვებებიან — ეს არის მათი პური, სხვა რამ არ გააჩნიათ. გარდა ღომისა, დღეს აფხაზთა საკვებია ლობიო, რძე და რძის პროდუქტები (ყველი, მაწონი), მწვანილი, ხილი, ნიგოზი, თაფლი და სხვა. ხორცეულიდან მიირთმევენ საქონლის, თხის, ცხვრის, ასევე შინაური ფრინველების ხორცს. აფხაზური სუფრისათვის დამახასიათებელია ასევე ცხარე საწებელი და აჯიკა.

შრომის იარაღები და ტრადიციული ჩაცმულობა დასავლურ ქართული და ზოგად კავკასიური ტიპისაა, თუმცა ზოგიერთი ადგილობრივი დამახასიათებელი თვისებაც აქვთ. წარჩინებული აფხაზი მამაკაცის ტანსაცმელი იყო ჩოხა, რომელიც იკერებოდა შინნაქსოვი შალისაგან. ქალებს კი გრძელი და წელში გამოჭერილი კაბები ეცვათ (აფხ. ნაზა).

კულტურა

სამართალი

ფეოდალიზმის ეპოქაში აფხაზურ საზოგადოებაში ურთიერთობებს ადათები და ჩვეულებითი სამართალი აწესრიგებდა. მჩაგვრელისა და შეურაცხმყოფელის წინააღმდეგ სასამართლოში ჩივილის უფლება ყველას ჰქონდა. წოდებრივ თუ სოციალურ უპირატესობას სამართალში მნიშვნელობა არ ენიჭებოდა და პასუხისმგებლობისგან არავინ თავისუფლდებოდა. მოსამართლედ პატივცემულ, პატიოსან და წეს-ჩვეულებების მცოდნე ადამიანს ირჩევდნენ. საქმეს, რომლის განხილვაც საჯაროდ ხდებოდა, ერთდროულად რამდენიმე მსაჯული არჩევდა. ბრალდებული და ბრალმდებელი ირჩევდნენ მედიატორებსა და თავდებებს. საქმის განხილვის დაწყებამდე იდებოდა ფიცი, რომ დამორჩილდებოდნენ სასამართლოს გადაწყვეტილებას. მოდავე მხარეებისა და მოწმეთა ჩვენებების მოსმენის შემდეგ მსაჯულები სათათბიროდ ცალკე გადიოდნენ. დეტალური განხილვის შემდეგ ერთ-ერთი მსაჯული გაიმეორებდა საქმის არსს და მიღებულ გადაწყვეტილებას გამოუცხადებდა საზოგადოებას. გადაწყვეტილების აღსრულება თავდებთა მოვალეობა იყო. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში სიკვდილით დასჯა მიღებული არ იყო. სასჯელები ძირითადად ქონებრივი იყო, ხოლო ღარიბი გლეხები, რომელთაც ჯარიმის გადასახდელად საკმარისი ქონება არ გააჩნდათ, საკუთარი თავისუფლებით აგებდნენ პასუხს. დაზარალებულ მხარეს შეეძლო იგი მონად გაეყიდა ან დაეტოვა თავისთან, სანამ ნათესავები ჯარიმას არ გადაიხდიდნენ.

1864 წელს, როდესაც აფხაზეთში რუსეთის უშუალო მმართველობა დამყარდა, ცენტრალურმა ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ საერთო იმპერიული კანონმდებლობის დანერგვა კავკასიაში ნაადრევი იყო. ამიტომ აფხაზეთში ფაქტობრივად ძალაში დარჩა ძველი ჩვეულებითი სამართალი. თუმცა გარკვეული ცვლილებები მაინც განხორციელდა — მსაჯულებს ძველებურად კვლავ მოდავე მხარეები ირჩევდნენ, თუმცა სასამართლო პროცესი რუსული ადმინისტრაციის კონტროლის ქვეშ მიმდინარეობდა.

ტრადიციები

მამამძუძეობა

აფხაზებისა და ზოგიერთი სხვა კავკასიური ხალხის კულტურისათვის დამახასიათებელი იყო მამამძუძეობის ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ახალშობილ ბავშვს აღსაზრდელად გადასცემდნენ სხვა ოჯახს. აღმზრდელი ოჯახი, როგორც წესი სოციალურად უფრო დაბალ საფეხურზე იდგა, ვიდრე ბავშვის ოჯახი. ზედა ფენის შვილები დაბადებიდან 8-13, ზოგჯერ კი 17-18 წლამდეც ქვემდგომი აზნაურებისა და გლეხების სახლებში იზრდებოდნენ. აღმზრდელი მამამძუძე აღსაზრდელ ვაჟს ასწავლიდა ქცევის ნორმებს, ცხენზე ჯდომას, იარაღის ხმარებას; ხოლო აღმზრდელი დედა აღსაზრდელ ქალიშვილს — ხელსაქმეს, საოჯახო მეურნეობის გაძღოლას, ეტიკეტსა და სხვა.

ახალგაზრდა ვაჟის თუ ქალიშვილის მშობლიურ ოჯახში დაბრუნების შემდეგ აღმზრდელ ოჯახთან ურთიერთობა არ წყდებოდა. აღზრდილის ოჯახი დახმარებას უწევდა აღმზრდელებსა და მის საგვარეულოს. მიჩნეულია, რომ მამამძუძეობის ტრადიცია არბილებდა კლასობრივ წინააღმდეგობას აფხაზურ საზოგადოებაში, თუმცა, ამავე დროს იგი ხელს უწყობდა ფეოდალიზმის განმტკიცებას და ქვედა ფენის დამოკიდებულებას თავად-აზნაურობაზე აძლიერებდა. აფხაზეთში მამამძუძეობის ტრადიცია XX საუკუნის დასაწყისამდე შეინარჩუნეს.

სისხლის აღება

აფხაზურ საზოგადოებაში, სხვა მთიელ კავკასიელთა მსგავსად, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სისხლის აღების ტრადიცია, რაც შურისძიების მიზნით მოკლულის ოჯახის მიერ მკვლელის ან მისი ჯახის რომელიმე წევრის მოკვლას მოითხოვდა. მკვლელობის შემთხვევაში სასამართლოს მხოლოდ ის დაზარალებული მიმართავდა, ვისაც შურისძიება სხვადასხვა მიზეზის გამო არ შეეძლო. სისხლის აღების ტრადიციის შეუსრულებლობა სირცხვილად იყო მიჩნეული. შურისძიებას არ ჰქონდა ვადა და ხშირად თაობიდან თაობაზე გადადიოდა, რაც მნიშვნელოვან ზარალს აყენებდა საზოგადოებას. სისხლის

აღების წესი განსაკუთრებულ სისხლისმღვრელ დაპირისპირებაში გადაიზრდებოდა, როდესაც საქმე თავადის მკვლელობას ეხებოდა. ამ შემთხვევაში ბრძოლაში თავადზე დამოკიდებული აზნაურები და გლეხებიც ერეოდნენ. დაუსრულებელი მტრობის შემთხვევაში არსებობდა ოჯახთა შერიგების გარკვეული საშუალებები, მაგალითად საპატიო მოხუცთა კრება ცდილობდა დაეყოლიებინა დაზარალებული მხარე, შურისძიების ნაცვლად მიეღო სისხლის ტოლფასი მატერიალური ანაზღაურება. ამგვარი ანაზღაურების ოდენობა დამოკიდებული იყო მოკლულის წოდებრივ მდგომარეობაზე.

სტუმართმოყვარეობა

აფხაზურ საზოგადოებაში სტუმართმოყვარეობის წესი უმნიშვნელოვანესი ტრადიცია იყო, სტუმრის ღირსეულად გამასპინძლება წმინდა კანონად ითვლებოდა. ვახუშტი ბატონიშვილი აფხაზებზე წერს: „უყუართ სტუმარი და პატივსა უყოფენ, და შეიწყნარებენ ფრიად“. აფხაზის სახლი ყოველთვის ღია იყო სტუმრისათვის. ნებისმიერ მგზავრს, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა შეეძლო შესულიყო პირველივე შემხვედრი აფხაზის ეზოში, სადაც მას დიდი პატივით ხვდებოდნენ. ტრადიციის თანახმად, სტუმარს არ ეკითხებოდნენ, ვინ იყო და სად მიდიოდა; მასპინძელი ვერც მშვიდობით მოსულ მტერს აკადრებდა ცუდს, მეტიც, საჭიროების შემთხვევაში მასპინძელი ვალდებული იყო საკუთარი სისხლის ფასად დაეცვა სტუმრის სიცოცხლე. აფხაზურ კულტურაში სტუმართმოყვარეობის ტრადიცია სისხლის აღებაზე მაღლა იდგა, ისევე როგორც სხვა კავკასიურ კულტურებში. აფხაზი ხალხის ცხოვრებაში ეს ტრადიცია დღესაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

რელიგია

აფხაზთა ძირითად რელიგიას ადრეულ შუა საუკუნეებში მართლმადიდებლური ქრისტიანობა წარმოადგენდა. IX-X საუკუნეებამდე აფხაზეთის ქრისტიანული მრევლი ბიზანტიის ბერძნულ ეკლესიას ექვემდებარებოდა, აღნიშნულ პერიოდში კი აფხაზთა მთავრების აქტიური მონაწილეობით აფხაზეთში

საეკლესიო რეფორმა გატარდა, რის შედეგადაც აფხაზეთის მოსახლეობა რელიგიურად მცხეთის ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას შეუერთდა.
აფხაზთა რელიგიური ცვლილება, მასობრივი გამუსულმანება XV-XVIII საუკუნეებს უკავშირდება. ეს ხანგრძლივი პროცესი განაპირობა ერთი მხრივ ჩრდილოკავკასიელი წარმართი ადიღეური ტომების ჩამოსახლებამ, ხოლო მეორე მხრივ ისლამური ოსმალეთის ბატონობამ აფხაზებზე. (აფხაზთა გამუსულმანების შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ ამავე სტატიის ქვეთავი „ისლამის გავრცელება“).
შუა საუკუნეების აფხაზ მოსახლეობაში, როგორც ქრისტიანებში, ისე მუსულმანებში, როგორც ჩანს რწმენა ყოველთვის შერყეული იყო. თურქი მოგზაური ევლია ჩელები აბაზთა (სავარაუდოდ, მათ შორის აფხაზებიც იგულისხმებიან) რელიგიაზე წერს:
„[აბაზს] რომ ქაფირი უწოდონ, კაცს მოკლავენ, მუსლიმი რომ უწოდონ, გაეხარდებათ. ესენი ყურანს არ იცნობენ და არც რაიმე სარწმუნოება აქვთ. ქაფირი არ უყვართ და მუსლიმს კი სულს მისცემენ.“
მისივე თქმით, ყურანი არც სხვა ჩრდილოკავკასიურმა ხალხებმა იცოდნენ, ზოგ ხალხში კი ერთი სარწმუნოება არ იყო გავრცელებული. არც ქრისტიანი აფხაზები ყოფილან მტკიცე მორწმუნეები. არქანჯელო ლამბერტის თქმით, აფხაზები მხოლოდ სიტყვით იყვნენ ქრისტიანები. იმავეს აღნიშნავენ ჯოვანი და ლუკა, პატრიარქი მაკარიოსი, პავლე ალეპოელი და ნიკოლაი ვიტსენი. უცხოელ ავტორთა ამ ცნობებს ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილიც, რომელიც წერს:
„სარწმუნოებით არიან ქრისტეანენი, არამედ არღარა რისა მეცნიერნი და ირიცხჳან, ვითარცა კერპნი, ვინაჲთგან არა დაჰფლვენ მკუდართა თჳსთა, არამედ მისითავე სამკაულ-იარაღითა და შესამოსლითა შთასდებენ კუბოთა შინა და შესდგმენ ხეთა ზედა, და უკუეთუ შტვენს მკუდარი იგი ეშმაკისა მიერ, სწამთ განსუენებულადა.“
თუმცა, ვახუშტისავე ცნობით აფხაზებს მაინც შეუნარჩუნებიათ გარკვეული ქრისტიანული ჩვეულებები, მაგალითად ერთი

ცოლის ყოლა, მარხვა, სამღვდელოების პირთა პატივისცემა; ასევე, არ ახასიათებთ სიძვა და მრუშობა.

XV-XVIII საუკუნეებიდან დღემდე აფხაზთა შორის არიან როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანები, ისე სუნიტი მუსულმანები. აფხაზეთში ისინი რამდენიმე საუკუნეა გვერდიგვერდ ცხოვრობენ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ოჯახის წევრებსა ახლო ნათესავებს შორისაც არის რელიგიური სხვაობა. აფხაზეთში საზოგადოებაში რწმენის სხვადასხვაობას არასდროს გამოუწვევია რელიგიური კონფლიქტი. აღსანიშნავია, რომ აფხაზი მუსულმანები და ქრისტიანები ზოგიერთ რელიგიურ დღესასწაულს, მაგალითად აღდგომას, ერთადაც კი აღნიშნავენ. დღეს აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზებში რაოდენობრივად მართლმადიდებლები მნიშვნელოვნად ჭარბობენ, თუმცა დიასპორის აფხაზები (ძირითადად თურქეთში) ძირითადად სუნიტი მუსულმანები არიან.

ქრისტიანობისა და ისლამის გარდა აფხაზ ხალხში დღემდეა შემორჩენილი ტრადიციული წარმართული რწმენის გადმონაშთებიც. აფხაზური მითოლოგიის მთავარი ღვთაებაა ანცვა (აფხ. Анцәа), სხვა ღმერთებიდან კი თითოეული სხვადასხვა სამეურნეო დარგის მფარველია. მაგალითად:

- ჯაჯა (Цаца) — ნაყოფიერების ქალღმერთი, მოსავლისა და მიწათმოქმედების მფარველი;
- აითარი (Аитҭ ар) — მეცხოველეობის ღმერთი;
- ანანა-გუნდა (Анана-Гунда) — ფუტკრებისა და მეფუტკრეობის მფარველი ქალღმერთი;
- კვიკვინი — სელისა და ბამბის მფარველი;
- ერიში (Эриш) — რთვისა და ქსოვის ქალღმერთი;
- აჟვეიფშა (Ажәыԥша) — ნადირთა მბრძანებელი და მონადირეთა მფარველი;
- აირგი (Аигр) — ომის ღმერთი;
- ძიძლანი (З ыз лан) — წყლის ქალღმერთი.

გარდა ამისა, ფართოდაა გავრცელებული წმინდა ხეებისა და მთების კულტიც. სალოცავ ადგილებში დღესაც სრულდება ტრადიციული რიტუალები, ლოცვები და მსხვერპლშეწირვა.

მიუხედავად ამისა, წარმართობა აფხაზ ხალხში დღეს დამოუკიდებელი რელიგია არაა და ეს ჩვეულებები შერწყმულია ქრისტიანობასა და ისლამში. წარმართულ ცერემონიებში მონაწილეობენ როგორც ქრისტიანი, ისე მუსულმანი აფხაზები.

2011 წლის ივნისში, საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენ“-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სეპარატისტულ აფხაზეთში მცხოვრები ახალგაზრდობა მასობრივად ისლამის მიღებას იწყებს. ახალგაზრდებზე დიდ გავლენას ახდენენ თურქეთიდან „ისტორიულ სამშობლოში“ დაბრუნებული ე. წ. მოჰაჯირების შთამომავლები.

ფოლკლორი და ნართული ეპოსი.

აფხაზური ფოლკლორი მდიდარი და მრავალფეროვანია. ზოგიერთი აფხაზური ეპიკური თქმულება გვაროვნული წყობილებიდან იღებს სათავეს. ასეთია მაგალითად თქმულება აბრსკილზე, მშვიდობისა და სიმართლის მცველზე, რომელიც ზრუნავდა საკუთარი ხალხის კეთილდღეობაზე, იცავდა მათ უცხოელთა დაპყრობებისაგან და დევნიდა ბოროტ ადამიანებს. აბრისკილი ღმერთებსაც არ ემორჩილებოდა, ამიტომ იგი ღვთის მსახურებმა ღრმა გამოქვაბულში ჩაკეტეს.

აფხაზურ ხალხურ შემოქმედებაში, ზოგიერთი სხვა კავკასიელი ხალხის ფოლკლორის მსგავსად, განსაკუთრებული ადგილი უკავია ნართების ეპოსს. ნართები ასი ძმანი იყვნენ, მათი საგმირო თავგადასავლები არაერთ სიმღერასა და თქმულებაშია გადმოცემული. ნართებში ყველაზე გამორჩეულია სასრიყვა, უმცროსი ძმა. აღსანიშნავია ასევე ნართების დედა — სათანეი-გუაშა, მის მხატვრულ სახეში აშკარად ჩანს მატრიარქალური ნიშნები. აღსანიშნავია, რომ ნართული ეპოსის აფხაზურ ვერსიაში ნართები ცხოვრობენ ქვის საცხოვრებლებსა და ციხე-კოშკებში, რაც არც აფხაზებისთვის ყოფილა დამახასიათებელი და არც ჩდილოკავკასიელი ადიღეველებისათვის. აფხაზურ ეპოსში არ ჩანს არც ქრისტიანული ნიშნები. ამის გამო მეცნიერები ფიქრობენ, რომ ძველი ქრისტიანი აფხაზებისათვის ნართული ეპოსი უცნობი იყო, იგი აფხაზურ ფოლკლორში

შედარებით ახალია და იგი თან მოიტანეს ჩრდილოკავკასიელმა ხალხებმა შუა საუკუნეების მიგრაციისას. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ნართული ეპოსის აფხაზურ ვერსიაში აღწერილი გეოგრაფიული გარემო არ ემთხვევა აფხაზეთის გარემოს, მდებარეობას, მცენარეულ და ცხოველურ სამყაროს, რასაც მკვლევარები იმით ხსნიან, რომ დღევანდელი აფხაზების წინაპრები ეთნიკურად ერთ ერად აფხაზეთის ტერიტორიაზე არ ჩამოყალიბებულან.

აფხაზური ფოლკლორიდან დღეს ყველაზე მეტად პოპულარულია სხვადასხვა ჟანრის ხალხური სიმღერები და ეროვნული ცეკვები, ხალხური სპორტული თამაშობები. აფხაზური სიმღერები და ცეკვები პოპულარულია არა მარტო აფხაზურ საზოგადოებაში, არამედ ეთნიკურად ქართველებშიც. ისინი ან მათი გათანამედროვებული ვერსიები ხშირად სრულდება და იდგმება სცენებზე ქართული ფოლკლორული ანსამბლების მიერ.

ანთროპოლოგია

დღევანდელ აფხაზთა (აფსუაა) ეთნიკური წარმომავლობა მეცნიერთა შორის საკამათოა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. არსებობს ორი ძირითადი ჰიპოთეზა მათი ეთნიკური კუთვნილობის შესახებ; ერთის მიხედვით აბაზგები და აფსილები დღევანდელი აფხაზების (აფსუაა, შემდგომში „აფსუები“) წინაპრები არიან, ხოლო მეორის თანახმად ამ ორ ანტიკურ ხალხს ეთნიკური კავშირი არა აქვს თანამედროვე აფხაზებთან. ამ უკანასკნელი ვარაუდის მომხრენი მიიჩნევენ, რომ აბაზგები და აფსილები ისეთივე კოლხური (ქართველური) მოდგმის ხალხები იყვნენ, როგორც ეგრები და სვანები. შემდგომში, XV-XVII საუკუნეებში ჩრდილოეთიდან ჩამოსახლებულმა „აფსუებმა“ დაიკავეს მათი ადგილი (ან დასახლდნენ მათთან ერთად), ქართველებმა კი მოსულებსაც და აბორიგენებსაც საერთო სახელი — აფხაზები უწოდეს. მეორე ძირითადი ჰიპოთეზის თანახმად, აბაზგები და აფსილები არ იყვნენ ქართული წარმოშობის ხალხები და მათ ეთნიკური თვითშეგნება შენარჩუნებული ჰქონდათ. ჩრდილოეთიდან

მოსულმა მათმა მონათესავე „აფსუებმა“ გააძლიერეს საკუთრივ აფხაზური (ამ სიტყვის ვიწრო გაგებით) ეთნიკური ელემენტი. „აფსუებმა“ თან მოიტანეს საკუთარი ენა, წეს-წესჩვეულებები. შემდგომში, როდესაც საქართველოში ცენტრიდანულმა ტენდენციამ გაიმარჯვა, თანდათან „აფსუური“ თვითშეგნება გაძლიერდა და და ჩამოყალიბდა ერი „აფსუაა“, რომელსაც ქართველებმა ძველი ტრადიციისამებრ აფხაზები უწოდეს. აღსანიშნავია, რომ მეცნიერთა უმრავლესობა (მათ შორის ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკოლოზ ბერძენიშვილი, გიორგი მელიქიშვილი, ლ. ლავროვი, ზურაბ ანჩაბაძე, ედიშერ ხოშტარია-ბროსე) აბაზგ-აფსილებისა და აფსუების ნათესაურ კავშირზე უფრო ამახვილებს ყურადღებას, ვიდრე მათ ეთნიკურ სხვაობაზე.

აფხაზთა ანთროპოლოგიაზე საუბრობს ქართველი მეცნიერი მალხაზ აბდუშელიშვილი საკუთარ ნაშრომებში. იგი განიხილავს სამი აფხაზური ანთროპოლოგიური ჯგუფის თავისებურებებს და განსაზღვრავს მათ ადგილს კავკასიელი ხალხის ანთროპოლოგიური ტიპების სისტემაში. მან შეისწავლა ოჩამჩირის, გაგრისა და გუდაუთის რაიონებში მცხოვრები აფხაზები და ასევე მუჰაჯირობის დროს გადასახლებული, დღეს ბათუმის მიდამოებში მცხოვრები აფხაზთა მცირე ჯგუფი. მიხეილ აბდუშელიშვილი ასკვნის, რომ აფხაზთა ეს ოთხივე ჯგუფი ყოველგვარი რეგიონალური თავისებურებების გარეშე ქართული ანთროპოლოგიური ტიპების ვარიაციების ფარგლებში თავსდება. ავტორი აფხაზებს მიაკუთვნებს წინააზიური რასის შავიზღვისპირულ ანთროპოლოგიურ ტიპს და მათ უპირისპირებს ენობრივად მონათესავე ადიღურ ჯგუფს, რომელიც პონტური რასის ადიღურ ნაირსახეობას მიეკუთვნება. აღსანიშნავია, რომ შესაბამისი ჯგუფების კვლევისას ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა აფხაზი ანთროპოლოგი ი. ლადარიაც.

შავკანიანი აფხაზები

აფხაზთა შორის განსაკუთრებულ ანთროპოლოგიურ ჯგუფს ქმნის ე. წ. „შავკანიანი აფხაზები,“ რომლებიც ნეგროიდულ რასას მიეკუთვნებიან. ცხოვრობენ სოფელ აძიუბჟასა და

კოდორის მიმდებარე რამდენიმე აფხაზურ სოფელში, ასევე რუსეთსა და ევროპაში. აფრიკული წარმომავლობის ხალხის აფხაზეთში მოსვლასთან დაკავშირებით რამდენიმე ჰიპოთეზა არსებობს. მეცნიერთა ნაწილი ვარაუდობს, რომ ისინი XVII საუკუნეში შარვაშიძეებმა სტამბოლის მონათა ბაზარზე იყიდეს და აფხაზეთში დაასახლეს. მეორე ჰიპოთეზით შავკანიანი აფხაზები ძველი კოლხების შთამომავლები არიან. ცნობებს იმის შესახებ, რომ კოლხები შავგვრემნები იყვნენ და სავარაუდოდ აფრიკიდან (ეგვიპტიდან) მოვიდნენ, ჰეროდოტეს შრომებშიც ვხვდებით. მეცნიერული შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ შავკანიან აფხაზთა ენა ენათესავება ამჰარულ ენას, რაც ეთიოპიელებთან სავარაუდო ეთნიკურ კავშირს უსვამს ხაზს.

ღირშესანიშნაობები

აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარეობს ბუნების, არქიტექტურისა და კულტურის მრავალი ძეგლი, მათ შორის უმნიშვნელოვანესია:

- ახალი ათონის მღვიმე
- ახალი ათონის მონასტერი
- კელასურის კედელი
- ბიჭვინთის მონასტერი
- დრანდის ეკლესია
- ბედიის ეკლესია
- ილორის ეკლესია
- თამარის ხიდი
- სოხუმის ბოტანიკური ბაღი
- რიწის ტბა
- გეგის ჩანჩქერი

ისტორიული ძეგლები აფხაზეთში

ქალაქი სოხუმი:

- ბესლეთის ხიდი
- დიოსკურიის ციხე
- კელასურის კედელი

ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი:

- ბედიის მონასტერი
- ილორის წმ. გიორგის ეკლესია
- მოქვის მონასტერი

გუდაუთის მუნიციპალიტეტი:

- ახალი ათონის სვიმონ კანანელის ეკლესია
- ახალი ათონის (ივერიის მთის) მონასტერი
- დოლმენები
- ბზიფის ციხე
- ლიხნის კომპლექსი
- ლიხნის ეკლესია აბა-ათა
- ამბარას სამეკლესიიანი ბაზილიკა

გაგრის მუნიციპალიტეტი:

- აბაათა
- გაგრის ეკლესია ბაზილიკური
- ბიჭვინთის მონასტერი
- განთიადის ბაზილიკა

გულრიფშის მუნიციპალიტეტი:

- დრანდის გუმბათიანი ტაძარი

ბესლეთის ხიდი (ასევე თამარის ხიდი) – XII საუკუნის ქართული კულტურის მატერიალური ძეგლი სოხუმთან, მდ. ბესლეთზე გადებულია ერთმალიანი თაღოვანი ხიდი. ხიდთან ადრე ბესლეთის ციხე მდგარა, რომელიც ვიწრო ხეობაში ქალაქის შემოსასვლელს მთის ტომების თავდასხმებისგან იცავდა. ხიდის თავთან ბოლო დრომდე შემონახული იყო მონუმენტური ქვა-სტელა ქართული ტექსტით. 1990-იანი წლების დასაწყისში სტელა დაიკარგა. ხიდის გარდიგარდმო დღემდე შემორჩენილია ქართული ასომთავრული წარწერები. დასავლეთ კიდეზე მოთავსებულია ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა „ქრისტე მეუფეო ყოველთა..... ადიდე ორთავე შინა სუფევათა უძლეველი მეფეთა მეფე ბაგრატი“. წარწერაში დასახელებულია საქართველოს მეფე ბაგრატ III (978-1014), ან ბაგრატ IV (1027-1072).

კელასურის კედელი — აფხაზეთის დიდი კედელი, ქართულ საისტორიო მწერლობაში, ჯუანშერის თხზულებაში. VIII

საუკუნის ამბებთან დაკავშირებით ნახსენებია „ზღუდე კლისურისა“, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიიდან შავისზღვისპირეთში მიმავალ გზებს ამაგრებდა, იდგა ჩრდილოეთ კავკასიიდან დასავლეთ საქართველოში მიმავალ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზაზე, რომელიც უშუალოდ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მიუყვებოდა.

VIII საუკუნის დასასრულიდან, აფხაზთა სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ, ზღუდემ დაკარგა თავისი მნიშვნელობა და თანდათან დაინგრა. მისმა ნაშთებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

შემორჩენილია ლევან II დადიანის მიერ აფხაზი ფეოდალების შემოსევების შესაჩერებლად XVII საუკუნეში აგებული სასიმაგრო ნაგებობათა სისტემა (საერთო სიგრძე 60 კმ). კედელი იწყება მდინარე კელასურის შესართავიდან, მიუყვება მდინარის მარცხენა ნაპირს, შემდეგ უხვევს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ და ფანავის ქედის ძირის სამხრეთი მხრიდან გრძელდება მდინარე ღალიძგის ხეობაში. კელასურის კედელი ერთმანეთთან კოშკებით დაკავშირებული ცალკეული სასიმაგრო ნაგებობებია (კოშკების სისტემა, ზოგჯერ ცალ-ცალკე კოშკები და კედლები). ზღუდით გამაგრებულია მხოლოდ ვიწრო გადმოსასვლელები საკუთრივ აფხაზეთიდან, დალიდან და წებელდიდან. ლევან II დადიანმა საგანგებო ღონისძიებანი გაატარა კელასურის კედლის დასაცავად, მაგ., ყოველი ფეოდალი (სასულიერო ან საერო) ვალდებული იყო წელიწადში 1 თვე თავისი მხედრებით ემორიგევა. ლევან II დადიანის სიკვდილის შემდეგ კელასურის კედელი მიატოვეს. როცა აფხაზმა ფეოდალებმა ძალაუფლება მდინარე ენგურამდე გაავრცელეს, კელასურის კედელმა თავისი ფუნქცია დაკარგა.

ბედიის მონასტერი — X საუკუნის ქართული მონასტერი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში.

ისტორიული ცნობების თანახმად, ბედიის კომპლექსი X საუკუნის მიწურულს, დაახლოებით 999 წელს ააგო გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III ბაგრატიონმა და შექმნა "საყდრად საეპისკოპოსოდ".

ბედიის სამონასტრო კომპლექსი აღმართულია ოჩამჩირიდან 25 კმ-ის დაშორებით. სოფელ ბედიის ცენტრში. იგი ქართული ხუროთმოძღვრების ულამაზესი ნიმუშია. მასში დღეისთვის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, საეპისკოპოსო პალატა და სამრეკლოს ნაწილი შედის.

სამონასტრო კომპლექსის მთავარ ნაგებობას წარმოადგენს ეზოს ცენტრში აგებული ბედიის ღმრთისმშობლის სახელობის ტაძარი, მისგან დასავლეთით შერჩენილია ბედიელ მიტროპოლიტთა ორსართულიანი სასახლე.

ტაძარი მნიშვნელოვნად გადაკეთებულია XIII-XIV საუკუნეთა მიჯნისა და XV საუკუნეში. სამრეკლო XII-XIV საუკუნეების ნაგებობას წარმოადგენს, ხოლო საეპისკოპოსო პალატა აშენდა XV საუკუნეში ბედიელი მიტროპოლიტის - ანტონ ჟუანისძე-ს მიერ. ტაძრის ინტერიერში შემორჩენილია ფრესკული მხატვრობის სამი ფენა, რომელიც X-XI, XIII-XIV და XVI-XVII საკუნეებით თარიღდება.

ბედიის საეპისკოპოსო საუკუნეების განმავლობაში შუა საუკუნეების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საეკლესიო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა.

დავით აღმაშენებელმა საქართველოსა და ქართული ეკლესიის ერთიანობის სიმბოლოდ ბედიელ მთავარეპისკოპოსს სვიმეონს ბედიელ-ალავერდელის საპატიო წოდება მიანიჭა, რითაც აღმოსავლეთ-ქართული და დასავლეთ-ქართული უძლიერესი სალოცავების ერთიანობას გაუსვა ხაზი.

მთავარეპისკოპოსმა ანტონ ჟუანისძემ ბედიის სამონასტრო კომპლექსში შექმნა წიგნთსაცავი, სადაც მიმდინარეობდა ძველ ხელნაწერთა განახლება-რესტავრაცია, საღვთისმეტყველო წიგნების თარგმნა და წიგნსაცავის შევსება ახალი ხელნაწერებით. ბედიის მონასტერში დასაფლავებულია გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III და დედამისი-დედოფალი გურანდუხტი.

არქიტექტურა

გადარჩენილი ორნამენტული ფრაგმენტების მიხედვით იგი თავდაპირველად X-XI საუკუნეების მიჯნაზეა აგებული.

ახლანდელი ნაგებობა XIII-XIV საუკუნეებს განეკუთვნება. ტაძარი გეგმით წაგრძელებული სწორკუთხედია სამი შესასვლელითა და ვიწრო გვერდის ნავებით. გუმბათი დაყრდნობილია ორ ბურჯსა და საკურთხევლის კედლების კუთხეებზე. აღმოსავლეთ ფასადზე ორი მცირე ნიშია. ფასადები კარგად გათლილი ქვითაა მოპირკეთებული. შიგნით წყობა უხეშია, ეტყობა, იმთავითვე იყო კედლების მოხატვა გათვალისწინებული. ტაძრის კედლებზე შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში გამოსახულია ქტიტორი - ბაგრატ III (ეკლესიის მოდელით ხელში) და დადიანთა გვარის წარმომადგენლები, ალბათ, ადგილობრივი ფეოდალის ოჯახი. მოხატულობა სხვადასხვა ქრონოლოგიურ ფენას განეკუთვნება - XIII-XIV საუკუნეებს და უფრო გვიანდელ ხანას (ზოგი მკვლევრის აზრით, XI საუკუნის ფენაც შეინიშნება), მონასტრის დასავლეთ მხარეს საკმაოდ დიდი სასახლეა, ხოლო ჩრდილოეთი შესასვლელი კარის თავზე XIV საუკუნის სამრეკლო.

დღევანდელი მდგომარეობა

2010 წლის 18 აგვისტოს ტელეკომპანია "რუსთავი 2"–მა 9 საათიანის "კურიერი"–ს პირველივე სიუჟეტი მიუძღვნა ბედიის მონასტრის დღევანდელ მდგომარეობას. ტელეკომპანიის თქმით, მონასტერში დაწყებულია "სარესტავრაციო სამუშაოები", რომელიც ძეგლისთვის შესაძლოა, სავალალო აღმოჩნდეს. აფხაზეთის ტელევიზიით – "Аԥаҳа", გადაცემული ვიდეო–კადრებიდან ჩანს, რომ გადაღებილია მონასტრის კედლები და ისტორიული ფრესკები – ბაგრატ III–ს გამოსახულება. ტელეკომენტატორის სიტყვებით, ეს ფაქტი სეპარატისტების მხრიდან ბედიაში ქართული კვალის წაშლას ემსახურება. კადრებიდან ისიც ჩანს, თუ როგორ აკურთხებს ტაძარში სეპარატისტების ცეცხლსასროლ იარაღს უკანონო "აფხაზეთის ეკლესიის" თვითგამოცხადებული მეთაური ბესარიონ აპლია, დე–ფაქტო პრემიერ–მინისტრ სერგეი შამბას თანდასწრებით. შამბა იქვე მიცემულ ინტერვიუში ამბობს: "ჩვენი ამოცანა ამ მონასტრის აღდგენაა და ეს უბრალო საქმე არ არის, მაგრამ

ჩვენი მოვალეობაა. მადლობა მინდა ვუთხრა იმ ადამიანებს, ვინც ამ მონასტერს "ბარბაროსებისგან" (ე. ი. ქართველებისგან) იცავდა".

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში სპეციალისტები განმარტავენ, რომ არასწორი რესტავრაცია ტაძრის უნიკალურ სახეს, უნიკალურ ორნამენტებსა და კედლებზე ჯერ კიდევ შემორჩენილ ფრესკებს გაანადგურებს. უძრავ ძეგლთა ატრიბუციის სამსახურის უფროსი, გიორგი გაგოშიძე თვლის, რომ ე. წ. "რესტავრაცია" არის იარაღი იმ ქართული კვალის წასაშლელად, რომელიც მძლავრად ჩანს ამ ბრწყინვალე ქართულ ძეგლზე. მისივე თქმით, აღნიშნული "რესტავრაცია" გამოიწვევს სრულიად შეუქცევად პროცესებს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოში ასევე ყურადღება გაამახვილეს ვენის კონვენციის დარღვევაზე. ამ საერთაშორისო დოკუმენტის მიხედვით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული და კულტურული ძეგლები ხელშეუხებელია. სპეციალისტები ტაძრის აღდგენის პროცესში ქართველი რესტავრატორების ჩართვას ითხოვენ.

საქართველოს კულტურის სამინისტროში საოკუპაციო რეჟიმის მიერ ბედიის მონასტრის აღდგენას ისტორიული ძეგლის მითვისების მცდელობად აფასებენ. ძეგლის აღდგენა კოლოსალურ თანხებს ითხოვს და არასწორი რესტავრაცია მას უფრო მეტ ზიანს მოუტანს, რადგან მათ არც შესაბამისი ფინანსები გააჩნიათ. კულტურის მინისტრის მოადგილემ, დავით ცხადაძემ ბედიის ამჟამინდელი მდგომარეობა შეაფასა, როგორც სავალალო.

2011 წლის ოქტომბერში მედიის გავრცელებული ინფორმაციით, ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის შემდეგ რუსული რესტავრაცია ბედიის მონასტერსაც ემუქრება. სარესტავრაციო სამუშაოებს ქალაქ ვლადიმირიდან კომპანი "Тектоник"-ი ჩაატარებს.

ილორის წმ. გიორგის ეკლესია. XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, რომელიც აგებულია სოფ. ილორის

(ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი) შუაგულში, შუასაუკუნეების საქართველოს უმნიშვნელოვანეს სალოცავს წარმოადგენდა. პროპორციათა მოხდენილობითა და შესრულების ტექნიკური დონით იგი ექცევა ნაგებობათა იმ წრეში, რომელშიც ჩანს შუა საუკუნეების საქართველოს წამყვანი რეგიონების მხატვრული მისწრაფებანი.

ილორის ეკლესია აფსიდით დასრულებული ერთნავიანი ნაგებობაა, რომელსაც ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან სხვადასხვა ხანის მინაშენები აქვს. აღმოსავლეთ ფასადზე შემონახულია ძველი ქართული წარწერებიანი 5 ქვა, რომლებიც ასევე XI საუკუნის I მეოთხედით თარიღდება. XVII საუკუნეში ილორის ეკლესია ლევან II დადიანმა შეაკეთა. 1736 წელს დაწვეს თურქებმა. აღადგინეს ოდიშის მთავრებმა. ძეგლი საფუძვლიანად შეაკეთეს XIX საუკუნის 40-იან წლებში.

თანამედროვე მდგომარეობა

ილორის წმინდა გიორგის ტაძარში წირვა-ლოცვა 90-იანი წლებიდან აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაციის შემდეგ შეწყდა მაშინ, როდესაც იქ ქართული მღვდელთმსახურების შეწყვეტა კომუნისტებმაც ვერ მოახერხეს.

2010 წლის 18 ნოემბერს ტელეკომპანია რუსთავი 2 იტყობინებოდა, რომ სეპარატისტებმა და ოკუპანტებმა მე-11 საუკუნის ქართულ ეკლესიას რუსული გუმბათი დაადგეს, ქართული კვალის წასაშლელად გარე ფასადი მთლიანად და შიდა კი ნაწილობრივ თეთრად გადაღებეს, აღმოსავლეთის მხარე კი, სადაც ქართული წარწერები იყო ამოკვეთილი, მთლიანად შელესილია. ეკლესიაზე ასევე დამონტაჟებულია კონდიციონერები. ტელეკომპანიის ცნობით, საფრთხე უნიკალურ ფრესკებსაც ემუქრება. გარდა ამისა, სატელევიზიო კადრებიდან ჩანდა, რომ აფხაზეთისა და სამეგრელოს მთავრების მთავარ სალოცავთან რუსული მძიმე ტექნიკა დგას.

ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის ხელყოფისთვის, საქართველოს მთავრობა მსოფლიო სიძველეთა დაცვის ორგანიზაციებისთვის სპეციალური მიმართვის გაგზავნა გადაწყვიტა. ქართულმა მხარემ ასევე გადაწყვიტა, რომ

იუნესკოსგან, ხუროთმოძღვრული ძეგლის დაზიანების გამო, ოკუპანტების ქმედებებზე დაუყოვნებლივი რეაგირება მოითხოვოს.

საიუბილეო მონეტა

2009 წლის 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულის აღსანიშნავად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გამოუშვა ილორის წმინდა გიორგის ეკლესიისადმი მიძღვნილი 10 ლარის ნომინალის ვერცხლის სამახსოვრო, საკოლექციო მონეტა.

ნომინალი: 10 ლარი

ავერსი: დიზაინის კომპოზიციას წარმოადგენს იტალიელი ბერის კრისტოფორო დე კასტელის მიერ XVII საუკუნეში გაკეთებული ჩანახატები – ილორის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, სოფელი ილორი, მხედრები. კომპოზიციას ფონად გასდევს კავკასიონის ქედი. მონეტის დიზაინის დაბალ მარჯვენა ნაწილში განთავსებულია წარწერა „საქართველო“ და გამოშვების წელი „2009“.

რევერსი: მონეტის შუაგულში გამოსახულია წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია დღევანდელი სახით, ხოლო მის ქვედა ცენტრალურ ნაწილში კი ეკლესიის აშენების თარიღი რომაული ციფრით „XI–ს“. მონეტის წრის მარცხენა ნაწილში მოთავსებულია ნომინალის აღმნიშვნელი ციფრი “10” და წარწერა „ლარი“, ხოლო წრის ზედა ნაწილში გამოსახულია საქართველოს გერბი და წარწერა „ილორი“.

წიბო: გლუვი წარწერებით (საქართველოს ეროვნული ბანკი National Bank of Georgia).

მოქვის ტაძარი — საკათედრო ტაძარი საქართველოში, მდებარეობს სოფელ მოქვში, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში, აფხაზეთი. ააგო აფხაზთა მეფე ლეონ III-მ (957-967). ტაძარი სამნავიანია, სამლოცველოების მწკრივით განაპირა ნავების გასწვრივ. აღმოსავლეთის მხრიდან სამი შვერილი აფსიდი აქვს. შუა (საკურთხევლის) აფსიდი შიგნიდან ნალისებრი ფორმისაა, გარედან ხუთწახნაგაა. გუმბათი ეყრდნობა შენობის ცენტრში აღმართულ ოთხ ბოძს. კვადრატიდან გუმბათის ყელზე გადასვლა განხორციელებულია აფრების საშუალებით. გუმბათის

თორმეტწახნაგა ყელი დაბალია. შენობა შემოსილია თლილი ქვის პერანგით. ფასადებზე ჩუქურთმები არა აქვს. ტაძარს მდიდარი წიგნთსაცავი ჰქონია, რასაც მოწმობს ჩვენს დრომდე მოღწეული ხელნაწერები.

ახალი ათონის მონასტერი (სრული სახელი: წმინდა მოციქული სვიმონ კანანელის მონასტერი ახალ ათონზე), მართლმადიდებლური ქრისტიანული მონასტერი დაარსებული 1875 წელს საბერძნეთის ათონის მთის წმინდა პანტელეიმონის ბერების მიერ. მდებარეობს ზღვის დონიდან 75 მეტრზე.[1]

სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა დაიწყო 1884 წელს და 1896 წელს დასრულდა. კომპლექსის ასაგებად საჭირო გახდა მთის ნაწილის ჩამოჭრა და ათასობით ტონა მიწისა და მთის ქანების გატანა. საქმეს ართულებდა გეოგრაფიული მდებარეობაც. მიუხედავად ამისა, მშენებლობა 12 წელიწადში დასრულდა.

მონასტრის მშენებლობას მფარველობდა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III. მისი ნაჩუქარია ცენტრალური დასავლეთის კორპუსის სამრეკლოს მუსიკალური კურანტები.

დოლმენი (ინგლ. olmen) — მეგალითური ნაგებობა. ის ძირითადად შედგება ვერტიკალური შემომსაზღვრელი კოჭებისგან, რომლებიც კედელს ქმნიან და ჰორიზონტალური ბლოკებისგან — ფილებისგან, რომლებიც ახდენენ შიდა კამერის იზოლაციას.

დოლმენი თარიღდება ნეოლითის გვიანდელი პერიოდით (ძვ. წ. 4000 — ძვ. წ. 3000). არქეოლოგების აზრით დოლმენი ძირითადად ტომის ბელადის პრიმიტიულ საცხოვრებელს წარმოადგენდა, თუმცა ზოგიერთი მათგანი, რომელთაც ზევიდან მიწას აყრიდნენ, იგებოდა დამკრძალავი კამერების სახით.

დოლმენები საქართველოში

- აჭანდარა. აფხაზეთი. დოლმენები. ძვ.წ. III-II ათასწლეულები
- ეშერა (ეშერა). აფხაზეთი. დოლმენები. ძვ.წ. III-II ათასწლეულები

- ოთხარა. აფხაზეთი. დოლმენები. ძვ.წ. III-II ათასწლეულები
- ფსხუ. აფხაზეთი. დოლმენები. ძვ.წ. III-II ათასწლეულები
- გოხნარი. თეთრიწყაროს რაიონი. დოლმენები. ძვ. წ. II-I ათასწლეულები
- თბილისი. თბილისის გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი

ლიხნი (აფხ. Лыхны) შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში ეწოდება ზუფუ (ასევე ცნობილია მისი თურქული სახელწოდება:სოუქსუ, სუუქსუ[2]) — ისტორიული სოფელი აფხაზეთში, გუდაუთის მუნიციპალიტეტში, ზღვის დონიდან 50 მ სიმაღლეზე, გუდაუთიდან 5 კმ-ში.

აქ მდებარეობს რამდენიმე მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლი — X-XI საუკუნეების ღვთისმშობლის ეკლესია და ჩაჩბა-შერვაშიძეების ორსართულიანი სასახლის ნანგრევები. სასახლე დაინგრა რუსეთის ხელისუფლების ბრძანებით 1866 წლის აჯანყების შემდეგ, მათ მიერ სოფელში მოწყობილი ეგზეკუციისას. აბაანთას ციხე (VII ს.) მდებარეობს სოფლის განაპირას მდ. ხიფსთას მარცხენა სანაპიროზე.

სოფელი ისტორიულად აფხაზეთის მთავრების საზაფხულო რეზიდენცია იყო. XVII ს. დასაწყისიდან აფხაზეთში დაწინაურდა შარვაშიძეთა ფეოდალური სახლი, რომელმაც შეძლო აფხაზ ფეოდალთა შეკავშირება და აფხაზეთის ოდიშისაგან გამოყოფა. ამიერიდან შარვაშიძეები მთავრის ტიტულით მართავდნენ აფხაზეთს, რომლის ცენტრი შეიქმნა ზუფუ (ლიხნი). ამის გამო, ილორის წმინდა გიორგის ხატის ლევან დადიანისეულ წარწერაში ლიხნელ აფხაზებს „ზუფუარები“ ეწოდებათ:

„მიუჴედით შარვაშიძესა ზუფუს, მუწუს წყალს აქათ ავაოჴრეთ და სადაცა სიმაგრე იყო ავიღეთ და გავაცუდეთ. და კაპოეტის წყალზე (ბზიფი) შემოგუებნეს ზუფუარი და სიხუარი მარშანიები და გაგვემარჯუა და დავჴოცეთ. ზოგი ჴელთ დაგვრჩა და გამარჯვებულნი მოვედით“

ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზეთის პოლიტიკურ ცენტრად

ასახელებს ზუფუს, რომელიც იმავე სახელწოდების მდინარის პირას მდებარეობს. ვახუშტის მიხედვით ზუფუ მცირე ქალაქია, სახლი და სამყოფელი შერვაშიძეთა, რომლებიც აფხაზეთის მთავრები არიან. მდინარე ზუფუს ახლა ხიფსთა ეწოდება, ხოლო დასახლებულ პუნქტს – ლიხნი.

სოფელი ლიხნი საერთოაფხაზური სამხედრო დემოკრატიის ტრადიციული ცენტრი იყო. სწორედ აქ იკრიბებოდნენ აფხაზები ისტორიულად, საუკუნეთა განმავლობაში და წყვეტდნენ უმნიშვნელოვანეს საკითხებს. პირველი დიდი სახალხო შეკრება ლიხნში 1861 წელს გაიმართა, რომელიც შემდეგ ანტირუსულ აჯანყებაში გადაიზარდა. ბოლო შეხვედრა კი აფხაზეთის ომის წინ - 1989 წელს, 18 მარტს შედგა, რომელზედაც აფხაზეთისთვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსის დაბრუნების საკითხი დააყენეს. ამ ინიციატივას არც სსრკ-ს ცენტრალურმა ორგანოებმა დაუჭირეს მხარი და არც საქართველომ. შეკრებაზე დაახლოებით 30 ათასი აფხაზი შეგროვდა. (სხვა მონაცემებით – დაახლოებით 50-60 ათასი ადამიანი)

განთიადის ტაძარი — VI საუკუნის სამაფსიდიანი ბაზილიკა, რომელიც მდებარეობს დაბა განთიადში (გაგრის მუნიციპალიტეტი). აშენებულია 543 წელს [საჭიროებს წყაროს მითითებას], მაგრამ არაერთხელ იყო გადაკეთებული VIII—X საუკუნეებში. 1576 წელს ნაწილობრივ დაინგრა ოსმალეთის შემოსევებისაგან. არის აფხაზეთისა და სრულიად საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ტაძარი. ჩვენამდე მხოლოდ ბაზილიკის ნანგრევები შემორჩა.

ჯიქეთი

ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების მხარეები აფხაზეთში:

1. მთიანი აფხაზეთი (ძირითადი აფხაზეთი)
2. ზღვისპირა აფხაზეთი (ძვ. სამხრეთი ჰენიოხეთი)
3. შიდა ჰენიოხეთი (სანიგეთი)
4. ჯიქეთი (ძვ. ჩრდილო ჰენიოხეთი)

5. აბსილეთი (მვ. კორახეთი)
6. მისიმიანეთი (მვ. კოლაეთი)
7. აფხაზეთისა და ეგრისის სანაპირო მხარე „შუა სოფელი“

ჯიქეთი, ასევე საძენი (აფხ. Саз ен, Саз ны) — წარსულში საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხე. ასევე მოიხსენიება, როგორც უკიდურესი აფხაზეთი. დღეს ნაწილობრივ შედის საქართველოს შემადგენლობაში (აფხაზეთის არ), კერძოდ კი გაგრის მუნიციპალიტეტის ტერიტორია. ჯიქეთის დიდი ნაწილი რუსეთის ფედერაციაშია და განაწილებულია ადიღესა და კრასნოდარის მხარეს შორის.

ხშირად იყო ბაზიანტიის ტერიტორია, მოხარკე ქვეყანა. XII საუკუნეში ჯიქეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა სამთავრო, რომელიც თამარის დროს საქართველოს შემადგენლობაში შევიდა

ლიტერატურა

1. მაკალათია ს. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.
2. მაკალათია ს. მთიულეთი, ტფ, სახელგამი, 1930.
3. მაკალათია ს. ხევი, თბ., 1934.
4. მაკალათია ს. ხევსურეთი, თბ., 1984.
5. მაკალათია ს. ფშავი, თბ., 1985.
6. მაკალათია ს. მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938.
7. მაკალათია ს. თუშეთი, თბ., 1983.
8. თბილისის ისტორია 3 ტომად, თბ., 1990.
9. მაკალათია ს, ფშავური წაწლობა და ხევსურული სწორფრობა, თბ., 1925.
10. მაკალათია ს. საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში, თბ., 1945.
11. მოლოდინი ლ, ჩაჩაშვილი გ., ქართული კოსტიუმის კატალოგი, თბ., 1964.
12. მაისურაძე ნ. აღმოსავლეთ საქართველოს მუსიკალური კულტურა, თბ., მეცნიერება, 1971.
13. ზაქარაია პ. არაგვისა და თერგის ხეობა. ისტორიულ-არქეოლოგიური გზამკვლევი, თბ., 1972.

14. ზაქარაია პ. საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, თბ., 1973.
15. ბერიძე ვ. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., ხელოვნება, 1974.
16. საქართველოს ისტორიული ძეგლები, ნაკვეთი მეორე, ქართლი, თბ., 1979.
17. გრიშაშვილი ი. ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, ბათუმი, 1986.
18. ბაქრაძე დ. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987.
19. დავითაძე ალ. ქართული ხალხური ტრანსპორტის ისტორიიდან, ბათუმი, 1983.
20. ვანილიში მ. თანდილავა ა., ლაზეთი, თბ, 1964.
21. ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბ., 1944.
22.სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქიტექტურული ძეგლები, ბათუმი, 1980.
23. სიხარულიძე ი. აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები, ბათუმი, 1962.
24. ადამია ი. ქართული საცხოვრებელი სახლების უძველესი ტიპები აჭარაში, თბ, 1968.
25. ითონიშვილი ვ. მოხევეების საოჯახო ყოფა, თბ., 1970.
26. ითონიშვილი ვ. ქართლის მთიულთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბ., 1974.
27. ითონიშვილი ვ. ხევი ძველად და ახლა. საცხოვრებელი ნაგებობანი ძველსა და ახალ ხევში, თბ., 1967.
28. ითონიშვილი ვ. ხევი: გზამკვლევი, თბ., 1984.
29. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.
30. Джикиа Н., Культура питания Грузинских горцев. (По Этнографическим материалам). ТБ., Мецниереба, 1988.
31. დემილოვი გ. ხევსურეთი (თარგმანი მარიჯანისა), ტფ, სახელგამი, 1933.
32. გოგოჭური დ. ხევსურული საგმირო პოეზია და გმირები, თბ., 1977.
33. გამყრელიძე ბ. ხევსურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები, თბ., მეცნიერება, 1989.

34. Инал-Ипа Ш. Д., Абхазы, 2 изд., Сух., 1965
35. ოჩიაური ალ. სტუმართმასპინძლობა ხევსურეთში, თბ., მეცნიერება, 1980.
36. ოჩიაური თ. ხევსურეთი და ხევსურები, თბ., 1977.
37. ფირცხალავა ს. სამაჰმადიანო საქართველო ან ძველი მესხეთი, ტფ. 1915.
38. კომახიძე თ. აჭარის კულტურის ისტორია, ბათუმი, 1999.
39. ჯაიანი ივ., წერილები შავშეთიდან, თბ. 1991.
40. ბარამიძე ჯ. აჭარული კერძები, ბათუმი, 1967.
41. ლორთქიფანიძე ვ. ისტორიული მესხეთი, თბ. 1998.
42. ვარშანიძე შ. გზები და საგზაო ნაგებობანი ძველ აჭარაში, ბათუმი, 1979.
43. ბოლქვაძე ლ. აჭარის ხელოვნება, თბ, 1977.
36. ადამია ი. ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, აჭარა, თბ, 1956.
44. პაპუაშვილი თ. ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970. მისივე, რანთა და კახთა სამეფო (VIII – XI სს.) თბ., 1982.
45. მსხალაძე ალ. ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკის ისტორიიდან, თბ, 1969.
46. ბერძენიშვილი ნ., აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, მის წიგნ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნ. 3, თბ., 1966.
47. ჯიქეიშვილი ალ. აჭარული საცეკვაო ფოლკლორი და მისი მესვეურები, ბათუმი, 1995.
48. აჭარის ზეპირსიტყვიერება, ბათუმი, 1959.
49. ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, ბ. გიორგაძის გამოც., თბ., 1964.
50. ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, გამოც. მე-2, თბ., 1938.
51. ნოღაიდელი ჯ. აჭარული ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიის მასალები, თბ, 1967.
52. ნოღაიდელი ჯ. ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან, ტფ. 1935.
53. ბექაია მ. ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, 1974.
54. ვარშანიძე შ. აჭარა ანტიკური ხანიდან საქართველოს ერთიანი მონარქიის შექმნამდე, ბათუმი, 1990.

55. მეგრელიძე შ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ, 1963.
56. კარბელაშვილი მ. კინწურაშვილი ს., ჯანბერიძე ნ., თბილისის ხუროთმოძღვრული გზამკვლევი. თბ., 1958.
57. ქორიძე დ. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, [ტ.] 1-2, თბ., 1955-58.
58. ხარაძე კ. ჯავახეთის ხუროთმოძვრული და ბუნების ძეგლები, თბ., 2003.
59. ბერიძე ვ. თბილისის ხუროთმოძღვრება (1801-1917), [ტ.] 1-2, თბ., 1960.
60. თბილისის ისტორია, შ. მესხიას რედ. თბ., 1958.
61. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4. თბ., 1973.
62. გვარამაძე კ. გურია, წიგნიდან გურია მხარის კვლევა-ძიების შედეგები, II, თბ., 1997, გვ. 207-242.
63. ლორთქიფანიძე მ. აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990.
64. ფიცხელაური კ. მუსხელიშვილი დ., მირიანაშვილი ლ., ბლუაშვილი უ. კახეთი, თბ., 2005.
65. ყენია რ. ალადაშვილი ნ., ზემო სვანეთი, თბ., 2000.
66. ბერაძე თ. რაჭა, თბ., 1983.
67. საქართველოს ისტორიული ძეგლები, ნაკვეთი მეორე, ქართლი, თბ., 1979.
68. ბოჭორიძე გ. იმერეთის ისტორიული ძეგლები, თბ., 1995..
69. ბერუჩაშვილი ნ. ელიზბარაშვილი ნ., საქართველოს გეოგრაფია, წიგნი I, თბ., 2004.
70. ბერუჩაშვილი ნ. დავითაშვილი ზ., ელიზბარაშვილი ნ., საქართველოს გეოგრაფია, წიგნი II, თბ., 2005.
71. პაპუაშვილი თ. ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970. მისსივე, რანთა და კახთა სამეფო (VIII – XI სს.) თბ., 1982.
72. ბოჭორიძე გ. რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994.
73. ჩიქოვანი თ. ზემო ქართლი, თბ., 1987.
74. სახოკია თ. მოგზაურობანი, ბათუმი., 1985.
75. შაიშმელაშვილი ივ. ქიზიყი, თბ., 1973.
76. ჯანაშვილი მ. საინგილო, თბ., 1910

77. ლომთათიძე გ საქართველოს მოსახლეობის ყოფა და კულტურა I-XIII სს. თბ., 1977.
78. თბილისის ისტორია 3 ტომად, თბ., 1990.
79. ციციშვილი ი. ქართული არქიტექტურის ისტორია, თბ., 1955.
80. ბერიძე ვ. სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბ., 1957.
81. ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1977.
82. თოფჩიშვილი რ. ქართველთა ეთნიკური ისტორია და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, www. Batu.edu.ge
83. თოფჩიშვილი რ. აფხაზები ადიღები აბაზები ეთნოლოგია ეთნოგენეზი, თბ., 2015.
84.თოფჩიშვილი რ. **მასალა აღებულია წიგნიდან** – „საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია“, თბილისი, 2010წ.